ჰასრათ ჰასრათოვ-ომარაშვილი

ქართული ენის ინგილოური დიალექტის ლექსიკური თავისებურებანი

(სალექსიკონო მასალითურთ)

ჰასრათ ჰასრათოვ-ომარაშვილი

ქართული ენის ინგილოური დიალექტის ლექსიკური თავისებურებანი

(სალექსიკონო მასალითურთ)

თბილისი
სტამბა „ფავორიტი სტილი“
2024

ჰასრათ ჰასრათოვ-ომარაშვილი

ქართული ენის ინგილოური დიალექტის ლექსიკური თავისებურებანი (სალექსიკონო მასალითურთ)

Hasrat Hasratov-Omarashvili

The Peculiarities of the Ingilo Georgian Dialect vocabulary (monograph along with the dictionary material)

მთავარი რედაქტორები: მარინა ბერიძე, ლია ბაკურაძე
რედაქტორები: დიანა ანფიმიადი, მაია ბარიხაშვილი, ზურაბ ოქროპირიძე
რეცენზენტები: მერაბ ბერიძე, ნინო შარაშენიძე
დაკაბადონება: დიანა დანელიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

პროექტი „საქართველოს ლინგვისტური
პორტრეტი“

შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL
SCIENCE FOUNDATION

ISBN 978-9941-8-6703-3

აღნიშნული პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი N SP-23-812). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.
This Project has been made possible by financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation (grant N SP-23-812). All the ideas expressed here with are those of the author, and may not represent the opinion of the Foundation itself.

ნაშრომის შესახებ

წინამდებარე გამოცემა მომზადდა პროექტის „დიალექტური კუნძული ტრანსეთნიკურ არეალში ინგილოური დიალექტი აზერბაიჯანში“ სამუშაო გეგმის ფარგლებში. ნაშრომი მოიცავს წარმოშობით ინგილო ენათმეცნიერის, ჰასრათ ჰასრათოვის მიერ წლების განმავლობაში მოგროვებულ ლექსიკურ მასალას. ამ მასალის დამუშავება და ცალკე წიგნად მომზადება გადავწყვიტეთ იმის გამო, რომ გვინდოდა, სამეცნიერო სივრცეში ის ავტორის სახელით და მისი ლექსიკოგრაფიული კონცეფციით შემოგვეტანა და მხოლოდ ამის შემდეგ აგვესახა ქდკ-ის კორპუსულ ლექსიკონში უკვე სხვა კონცეფციითა და სრულიად განსხვავებული ლექსიკოგრაფიული პრინციპით.

ინგილოური დიალექტის კვლევა, შესწავლა და დოკუმენტირება თანამედროვე ქართული ენათმეცნიერების უმნიშვნელოვანესი მიზანი და სამეცნიერო მოვალეობაა. საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული ქართული დიალექტური კუნძულები მყიფე, ყოველდღიური საშიშროების წინაშე მდგარი და, ამავე დროს, განუმეორებელი ენობრივი მოცემულობაა, რომელსაც დაცვა და შენახვა სჭირდება.

ინგილოურის კვლევას ქართული ენათმეცნიერების ისტორიაში დიდი ხნის მდიდარი ისტორია აქვს, დიალექტის შესახებ შექმნილია რამდენიმე მასშტაბური მონოგრაფიული ნაშრომი. დიალექტს სხვადასხვა დროს იკვლევდნენ: მოსე ჯანაშვილი, ზაქარია ედილი, ვენერა ჯანგიძე, გრიგოლ იმნაიშვილი, როგნედა ღამბაშიძე, ნათელა როსტიაშვილი, ვასილ აბაშვილი, ჰასრათ ჰასრათოვ-ომარაშვილი. ინგილოური დიალექტის მონაცემებს სხვადასხვა მნიშვნელოვანი ენობრივი კვლევისას იყენებდა და იმოწმებდა ქართული ენის ყველა თვალსაჩინო მკვლევარი.

შეიძლება ითქვას, რომ ქართულ დიალექტებს შორის ინგილოური ერთ-ერთი ყველაზე კარგად დოკუმენტირებული დიალექტია: გვაქვს ტექსტებიც, ლინგვისტური ანალიზიცა და ორი ლექსიკონიც (როგნედა ღამბაშიძისა და ნათელა როსტიაშვილის), თუმცა, დიალექტის დოკუმენტირების ყოველი ახალი პრეცედენტი, მისი ყოველი აქ და ახლა, სინქრონიაში დაფიქსირება ყოველთვის მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ სამუშაოს დიალექტის მატარებელი მკვლევარი ასრულებს — „დიალექტური პიროვნება“, რომელიც „ცხოვრობს“ ამ დიალექტში და დიალექტის აღქმა შეუძლია „შიგნიდან“, მისი ყველაზე ბუნებრივი და იშვიათი გამოვლინებებით.

ჰასრათ ჰასრათოვი მთელი თავისი სამეცნიერო ცხოვრების განმავლობაში ინგილოური დიალექტის ლექსიკის საკითხებს (ძირითადად, ონომასტიკის) იკვლევს და სწავლობს.

ამ სამუშაოში განსაკუთრებით ფასეულია მკვლევრის დიალექტური თვი-

თაღქმა, მის მიერ საკუთარი დიალექტური პიროვნების თვითიდენტიფიცირება. ლექსიკონი, გარდა კონკრეტული წესებით გამართული ლინგვისტური ინსტრუმენტისა, ერთგვარად უნიკალური, ინდივიდუალური შემოქმედებითი პროდუქტია. როცა ამ ლექსიკონის შემქნელი ამავე დროს, დიალექტის მატარებელიცაა, ის განსაკუთრებით ზუსტი და მნიშვნელოვანი მონაცემია დიალექტის ლინგვისტური თუ სოციოლინგვისტური ასპექტებით კვლევისათვის.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ამ მასალებს ის, რომ ინგილოური დიალექტის ალიაბადური კილოკავი, რომლის ლექსიკურ თავისებურებებსაც ის მოიცავს, ჰასრათ ჰასრათოვის მშობლიური კილოკავია და მისი ლინგვისტური შემოქმედების მთავარ ინტერესს წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, საინგილო აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობს, შედგება კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებისაგან და თხუთმეტიოდე სოფელს აერთიანებს: კაკი (კახ-ინგილო), ალათემური, მეშაბაში, ქოთოქლო, თასმალუ, ზაგანი, ყორაღანი, ყიმურუ, ქეშხუთანი, ხარაბთალა, ბახთალა, ალიაბათი, მოსული, ჰენგიანი და ითითალა. ინგილოური დიალექტი იყოფა კაკურ და ალიაბადურ კილოკავებად. სახელწოდება შერქმეულია სოფლების — კაკისა (რომელსაც XX საუკუნის 20-იანი წლებიდან კახი ეწოდება) და ალიაბადის მიხედვით. კაკურში გამოიყოფა ალიბეგლოური თქმა, ხოლო ალიაბადური იყოფა ალიაბადის, მოსულისა და ითითალის თქმებად.

გეოგრაფიული მდებარეობა და ასევე მოსახლეობის რელიგიური კუთვნილება განაპირობებს ალიაბადურ კილოკავზე მოსაუბრეთა მეტ ინტეგრაციას აზერბაიჯანულ ენასთან და ნაკლებ კონტაქტს ქართულ ენობრივ ბირთვთან, რაც ცვლილებებისა და, მეტიც, გაქრობის საშიშროების წინაშე აყენებს ინგილოური დიალექტის ალიაბადურ კილოკავს. სწორედ ამიტომ, ამ კილოკავის დოკუმენტირება და კვლევა განსაკუთრებით საშური საქმეა.

იმის გამო, რომ კოვიდპანდემიის გამო დაწესებული სასაზღვრო შეზღუდვები დღემდე არ მოიხსნა და პოლიტიკური მიზეზებითაც შედარებით გართულებულია აზერბაიჯანში სავიზო მიმოსვლა და საველე სამუშაოების წარმოება, ყველა მასალა, რომელიც რომელიც ადრეა შეკრებილი, ფასდაუდებელ მნიშვნელობას იძენს.

წიგნი, რომელიც გამოსაცემად მომზადდა ჩვენი პროექტის ფარგლებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან განსხვავებით ინგილოურის კაკური კილოკავისაგან, ალიაბადური, რომლის მონაცემები ჩვენ მიერ გამოსაცემი ნაშრომის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, ნაკლებად შესწავლილია, ამ კილოკავის მონაცემები გათვალისწინებული არ არის ინგილოური დიალექტის ორ ყველაზე მნიშვნელოვან, ნათელა როსტიაშვილისა და როგნედა ღამბაშიძის ლექსიკონებში.

როგნედა ღამბაშიძე, რომელიც რამდენჯერმე იყო მივლინებული საინგილო-

ში და უზარმაზარი შრომა გასწია ინგილოური დიალექტის დოკუმენტირებისა და კვლევისათვის, თავის სადისერტაციო ნაშრომში წერდა, რომ მზად ჰქონდა ალიაბადური ტექსტებიცა და სალექსიკონო მასალაც, რომლის გამოცემასაც მომავალში აპირებდა. სამწუხაროდ, ასეთი გამოცემა არ შესრულებულა და, როგორც გავარკვიეთ, არც მეცნიერის პირადი არქივი არ არის შენარჩუნებული.

ნათელა როსტიაშვილი წარმოშობით ინგილო იყო, კაკის რაიონიდან და, შესაბამისად, ისიც კარგად იცნობდა მხოლოდ კაკურ დიალექტს. ალიაბადური ლექსიკა მის ლექსიკონშიც ფრაგმენტულად არის ასახული.

ჰასრათ ჰასრათოვის სალექსიკონო მასალები უნიკალურია იმით, რომ ეს არის ერთადერთი სანდო წყარო ალიაბადური ლექსიკის სრულფასოვანი დოკუმენტირებისა და კვლევისათვის. მით უფრო, რომ ახლო მომავალში ამ ტიპის მასალის მოპოვების არანაირი პერსპექტივა არ იკვეთება. ნაშრომში კაკურთან საზიარო ლექსიკურ ერთეულებთან არის აუცილებელი მითითება სხვა ლექსიკონებზე, ხოლო როცა ლექსიკური ერთეული ამგვარი მითითების გარეშეა წარმოდგენილი, ესე იგი, ის მხოლოდ ალიაბადურისთვის არის დამახასიათებელი. სალექსიკონო მასალები მოიცავს ინფორმაციას არა მხოლოდ კაკურისა და ალიაბადურის მონაცემებსა და და მათ ურთიერთმიმართებაზე, არამედ ქართული ენის სხვა დიალექტებსა და ძველ ქართულ ენაზეც, რომლებთანაც მასალაში წარმოდგენილი ლექსიკა გარკვეულ დამთხვევას ან მსგავსებას ავლენს.

ნაშრომს ერთვის ინგილოური ლექსიკის თავისებურებათა შესახებ კვლევითი ნაწილი (უნდა ითქვას, რომ, ფაქტობრივად, ეს არის ალიაბადური კილოკავის ლექსიკის თავისებურებათა მიმოხილვის ცდა), რომელშიც დიალექტებთან და ძველ ქართულ ენასთან ალიაბადურის მიმართებაზე ამახვილებს ყურადღებას ავტორი. ნაშრომის ამ ნაწილის კონცეფცია მთლიანად ავტორისეულია და სარედაქციო ჩარევა, მიუხედავად ზოგი საორჭოფო საკითხისა, მას ნაკლებად შეეხო, რადგან მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ ამ კვლევის, როგორც კილოკავის კვლევის ეტაპის უცვლელად წარმოდგენა.

მასალა დაახლოებით 5000-მდე სალექსიკონო ერთეულს შეიცავს. ამათგან ერთი ნაწილი წარმოადგენს ლექსიკას, რომელიც დადასტურებულია კაკურშიც, თუმცა ალიაბადურში ის სხვა ფონეტიკური ან გრამატიკული ვარიანტითაა წარმოდგენილი; არის ლექსიკა, რომელიც ემთხვევა კაკურისას, თუმცა აქვს განსხვავებული ნიუანსური მნიშვნელობები; გარდა ამისა, სალექსიკონო მასალაში მრავლად არის ისეთი ლექსიკა, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ალიაბადურისათვის, არ დასტურდება კაკურში და შიდადიალექტური დიფერენციაციისთვის მკვიდრ საფუძველს ქმნის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი თავის ნაშრომში ინგილოური დიალექტის

ლექსიკის თავისებურებებზე საუბრობს და სალექსიკონო მასალას ეს ზოგადი სახელი დაარქვა, თუმცა, ძირითადად, ალიბადური კილოკავის მასალას ეყრდნობა. სარედაქციო ჩარევა ამ ნაწილში საჭიროდ არ მივიჩნიეთ და ანგარიში გავუწიეთ ავტორისეულ ტექსტს. გაანალიზებული მაგალითები ალიაბადურის ვითარებას ასახავს და მათი უმეტესობა არაა შეტანილი ინგილოური დიალექტის არსებულ ლექსიკონებში.

პუბლიკაციისთვის წარმოდგენილი მასალა შეკრებილია წლების განმავლობაში დიალექტის მატარებელი მკვლევრის მიერ და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ ის, ფაქტობრივად, შეიძლება განვიხილოთ „დიალექტური პიროვნების“, დიალექტის მატარებლის ლექსიკური ფონდის ანაბეჭდად. სხვადასხვა მიზეზის გამო ეს მასალა გვიან შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში. ის დაიჭერს მნიშვნელოვან ადგილს დიდ ინგილოურ კორპუსულ ლექსიკონში, რომელიც მზადდება ფონდის მიერ დაფინანსებული ამავე პროექტის ფარგლებში და რომელიც გააერთიანებს ინგილოური ლექსიკის ყველა აქამდე არსებულ წყაროსა და ქართული დიალექტური კორპუსის ინგილოური ტექსტების კოლექციის მონაცემებს.

ასრათ ჰასრათოვ-ომარაშვილის ნაშრომი ამ ლექსიკონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო გახდება.

წიგნის მომზადებისას სამუშაო ჯგუფმა გასწია შთამბეჭდავი სამუშაო: ავტორისეული ტექსტი მისივე კონცეფციის თანახმად იქნა დამუშავებული, ჩატარდა მნიშვნელოვანი სარედაქციო სამუშაო: სალექსიკონო სტატიების შინაარსობრივი, სტრუქტურული, გრაფემული უნიფიცირება; სალექსიკონო ერთულებს მიეწერა მთავარი გრამატიკული ვარიაციები; მოწესრიგდა საილუსტრაციო ველები; გაიმართა ნაშრომის ტექნიკური მხარე.

ალიაბადური ტექსტები წიგნის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაწილია. მათი გამოქვეყნებით მდიდრდება ინგილოური დიალექტის ტექსტური კოლექციის ეს შედარებით მწირი უბანი. ტექსტის ავტორისეული რედაქცია ზოგჯერ არ ემთხვევა სარედაქციო ჯგუფის თვალსაზრისს. განსაკუთრებით, ეს ეხება ჲ-სა და უმლაუტიანი ხმოვნების გამოყენებას. ავტორის მითითებით, პარალელური გამოყენების ფორმები უნიფიცირებულია და უმეტესად ტექსტებში წარმოდგენილია სრული ი-სა და უმლაუტის გარეშე.

ეს სამუშაო იყო ძალისხმევა იმისათვის, რომ ჰასრათ ჰასრათოვ-ომარაშვილის ნაშრომი მიეღო სამეცნიერო საზოგადოებას, როგორც სანდო სამეცნიერო და სასწავლო რესურსი ინგილოური დიალექტის ალიბადური კილოკავის შესახებ დამატებითი დოკუმენტური ინფორმაციის მისაღებად და საყრდენ კვლევით მონაცემად.

ამ მასალის დამოუკიდებელ წყაროდ ქცევა და ჩართვა ინგილოური დიალექტის კვლევის პროცესში პროექტის სამუშაო ჯგუფს მიაჩნია არა მხოლოდ მნიშვნელოვან სამეცნიერო ნაბიჯად, არამედ საავტორო და პროფესიული ეთიკის აუცილებელ მოთხოვნად.

მასალის მომზადებისას იყო დაცული ავტორისეული კონცეფცია. საჭიროების შემთხვევაში, ყველა ცვლილება შეთანხმებული იყო მასთან.

ნაშრომში შესულია როგორც ახალი კვლევის შედეგები, ისე ფრაგმენტები ადრე გამოქვეყნებული ნაშრომებიდან. შეძლებისდაგვარად, თავმოყრილია მასალა, რომელიც აუცილებლად გასათვალისწინებელია ინგილოურის, კერძოდ, კი მისი ალიაბადური კილოკავის ლექსიკური თავისებურების სიღრმისეული კვლევისას.

მარინა ბერიძე

ფილოლოგიის დოქტორი, თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

ლექსიკოლოგიური ესკიზები

ძველი ქართული ენის ლექსიკა ინგილოურში

ინგილოური დიალექტის ლექსიკურ ფონდში ძველი ქართული ენის ლექსიკურ ერთეულებს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მოცულობითა თუ მნიშვნელობით. ინგილოურს ბევრი ძველი სიტყვა შემოუნახავს არქაული, თავდაპირველი შინაარსის დაცვით.

როდესაც ძველი ქართულის ლექსიკაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ჩვენამდე მოღწეული (V-XI საუკუნეთა) ძეგლების სიტყვიერი არსენალი. ხსენებულ ძეგლთა ლექსიკის ის ნაწილი, რომელიც ასახავდა ადამიანის სამეურნეო-კულტურულ საქმიანობას, დღესაც თითქმის ძალაშია და მომავალ ეპოქებსაც გაუძლებს, მაგრამ მნიშვნელოვანი რაოდენობა ამ სიტყვებისა გამოვიდა ხმარებიდან და დღეს სპეციალური ლექსიკოგრაფიული ცნობარების გარეშე კაცს გაუჭირდება მათი მნიშვნელობის დადგენა. არქაიზმების არსებობა ინგილოურში გარკვეული ისტორიული პირობებითაა გამოწვეული. საინგილო ჩამოშორდა საქართველოს, ხოლო ინგილოურმა კილომ ძველი ქართული ენის ფორმები საუკუნეების მანძილზე შემოინახა.

ინგილოურში დღესაც გვხვდება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც თანამედროვე ქართულსა და მის დიალექტებშიც არის ან განსხვავებული სემანტიკური მნიშვნელობით დასტურდება. განვიხილავთ ლექსიკის ნაწილს, რომელიც მთლიანად არის შესული ამ ნაშრომში წარმოდგენილ სალექსიკონო მასალაში:

ამენ-ამენ: დღესაც დასტურის ნიშნად გაიგონებთ *ამენ-ამენ*-ს, რაც შეესატყვისება სიტყვას ,,მართლა“, ,,ნამდვილად“: ,,*ამინ* თქო და სრუმან ჯელები ზეიტყენ აჰწივეს /*მოსული*/.

აპარანი: ძველ ქართულში სასახლის გაგებაც ჰქონდა სიტყვა აპარანს და ძალის გამოცლის, გამოლევის, დასუსტების აღმნიშვნელიც იყო. ინგილოურში მხოლოდ ამ უკანასკნელი მნიშვნელობით გვხვდება: ,,მაგამ ჩონ პურ აპარანი გოვწყიტა /*ითითალა*/“.

აპევრი: ,,აპევრი მაიღი დაამბელა“ /*მოსული*/. ამ მაგალითში საინტერესოა აპევრი// აპაური, რომელიც ინარჩუნებს ძველ შინაარსს - ტაბიკების შესაკრავი თოკი. ამის გარდა, ამ სიტყვამ შეიძინა სხვა მნიშვნელობაც: მოკლე თოკი, რითაც ხბოს აბამენ.

არად-საჳმარი: ,,არად-საჳმარი“: ,,არ-საჳმარ ყაბ-ყაშული კორთე ზედ დაწყოვ“/ალიაბადი/.

ბაკი: ინგილოები სიმინდს ან ხორბალს ინახავენ ხის დიდი მოცულობის ჭურჭელში — ბაკში, ახალ ქართულში ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით არ მოიპოვება, შესაბამისად, ინგილოურმა დიალექტმა შემოინახა წარმოდგენილი ლექსიკური

ერთეული: ,,ერ დიდ ბაკი ავსო სიმინდით“ /ქაფიჩაი/. შდრ. ბაკი — მოზლუდვილი /საბა/.

ბანდი: ბანდი ინგილოურში იმასვე ნიშნავს, რასაც ძველ ქართულში - ,, ნაჭერი რისამე“: ,,ქურადთი ქობი ჩამააღებლა ბანდი მამიღი“ /ალიაბადი/ შდრ. საბა;

ბარკლისწული — ბარძაყი: ,,ბარკლისწული მე ამიწონე /ჰენგიანი/ ;

ბაყლი: დაბაყლებულა — დამწვარიანებულზე, ჭუჭყიანზე ითქმის. ბაყლი კი ჭუჭყი, მწვირეა: ,,შენ ფეყზე ნაქნარ ჰერა დაბაყლებულა /ითითალა/, ნ.საბა.

ბოსტანი: ბოსტანს სალიტერატურო ქართულში კონკრეტული შინაარსი აქვს და მიწის მცირე მონაკვეთს აღნიშნავს, სადაც ბოსტნეული და მწვანილეული მოჰყავთ, ძველ ქართულსა და ინგილოურში კი მას ბაღის, ყვავილნარის გაგება აქვს: ,,თქენ ბოსტანი ბიბინოვს“ /მოსული/. შდრ: “ბოსტანი — სხვათა ენაა, ქართულად მ ტ ი ლ ი“/საბა/;

გამოკუთვნა: მთელიდან გამორჩევა, გამოყოფა გამოკუთვნაა: ,, ჯორცი ჟერ არ გომოვკუთნავყე“ / ალიაბადი/.

გუბი: ძველ ქართულში ორგვარი მნიშვნელობის მქონე გუბი დღეს ინგილოურში შემორჩა გუბეს აღმნიშვნელად: ,,ბლენ ღამეში გუბში ჩავვარდი“ / ითითალა/, /საბა/.

კოლტი: ,,ღორის ჯოგი“ /საბა/. კოლტი — ჯოგი აქლემთა ანუ ღორთა /ნ.ჩუბ./. ძველ ქართულში კოლტ მხოლოდ ღორთა სიმრავლის აღმნიშვნელი არ უნდა ყოფილიყო. ეს სიტყვა იხმარება ქურციკთა, თევზთა, ორბთა და სხვა ცხოველთა სიმრავლის გამოსახატავად. გვხვდება კოლტ ძირიდან ნაწარმოები კოლტოვან და შეკოლტება ფუძეც. ახალ ქართულში კოლტი შედედებულ, დაკვეთილ / სისხლს/ აღნიშნავს /ქეგლ, IV/. კახურში ერთნაირ დასორსლებულ და გამომწვარ თიხას ნიშნავს /შდრ. ძვ. შეაკოლტის/. ინგილოურში გვაქვს კოლტი, დაკოლტება, შეკოლტება, რომელიც რაიმე ნივთიერების ერთად თავშეყრას, დაჯგუფებას აღნიშნავს: ,,ზურგზე კოლტები დაჰყდომია ჟეკვით“ /ს.მოს./. ინგილოურში დაცულია კოლტის თავდაპირველი მნიშვნელობა. საერთოდ ვარაუდობენ, რომ კოლტი აღმოსავლური სამყაროს კუთვნილება უნდა იყოს. ამის საფუძვლები მოჰყავთ ფალაური kot, სპ. kod ,,კრებული“. კოლტი სომხურშიც დასტურდება და ნიშნავს ,,სიმრავლეს“, ,,ჯოგს“.

გამოვყავით თანამედროვე ქართულსა და მის დიალექტებში, მათ შორის ინგილოურში შემორჩენილი ძველი ლექსიკური ერთეულები, რომელთა გამოყენების პრაგმატიკული ფუნქცია და სიხშირე გამოარჩევს ინგილოურს ქართულის სხვა დიალექტებისგან:

აზელა: ფეხით ან ხელით თელვა, ტკეპნა: ,,აზელა დიახ ჰადული ნუ ჰგონია“ / მოსული/.

ალიზი: უწვავი აგური: ,,ალიზი ქერფუჩით სახ ვდგამ“/ალიაბადი./ნ. ძველი ქართული ,,ალიზი ერთი დაიდვას სასთუნად / შუშ.XIV.17/;

არაწმინდა: ბილწი, უწმინდური: ,,არაწმინდა ინსანი ჰარჟა-მარჟა ზიარათზე ვერ წავა“ /ალიაბადი/;

ბუვი: ბუ: ,,თქენსა ჰარ ღამე ბუვი მოდის“ /მოსული/;

გამოკვრა: გახვევა: ,,ჩემ ყაბიც გამოჰკარე შენთან“ /ჰენგიანი/;

განაყოფი: წილი: ,,რაც გავჰყოფეთ, წაიღა /ქეჩხუთანი/;

გუდა: პარკი, ტყავისაგან ჩასადებელი /საბა/: ,,პურ გუდაში ვდევთ“ /ქაფიჩაი/;

დაგება: გაშლა, დაფენა: ,,ფართალი დოვგა“/ჰენგიანი/;

დაფი: დაირა: ,,უწინ ქორწილში დაფსაც უკრავდნენ“/ ქაფიჩაი/;

ვარცლი: გამომცხვარი პურის შესანახი ჭურჭელი“: ,,პურ ვარცში ვაწყოვთ“: /ითითალა/;

ნიშანი: მაჩვენებელი: ,,რა ნიშანი აქო ზეი“ /ქეჩხუთანი/;

სანდალი: ფეხსაცმელი: ,,უწინ სანდლები ცოტა იყო, ქალმევ ვიცომდით“ / ალიაბადი./ შდრ.ძველი ქართ.: ,,შეირტყი სარტყელი და შეისხენ სანდალნი შენნი“;

სარი: ჭიგო, ჯოხი, მარგილი: ,,შენ სარები დაჰსი, მე ეხლა მაასულივარ“;

ციდა: მანძილი ცერსა და საჩვენებელი თითის წვერს შორის: ,,ერ ციდა მიწას არ მოგცემ“ /მოსული/. დაცულია ამ სიტყვის პირვანდელი მნიშვნელობა. ზოგიერთი მკვლევარი ამოსავალში ცდილობს მციდა ფორმას დაუჭიროს მხარი. ეს უმართებულოდ მიგვაჩნია, რადგან მციდა-ში მ- სუფიქსი გვიანდელი დანართია და ამავე დროს მ- ელემენტით არ გვხვდება ძველ ქართულში.

ყველა ლექსიკური ერთეული, რომელიც საერთოა ძველ ქართულთან და შემორჩენილია დიალექტში, ასახულია სალექსიკონო მასალაში.

ინგილოურის ლექსიკა სხვა დიალექტებთან მიმართებით

ინგილოური დიალექტის დარგობრივი ტერმინების პარალელები დავძებნეთ ქართული ენის სხვა კილოკავების შესაბამის ლექსიკაში. გამოვლენილი ლექსიკური ნიმუშები სემანტიკური მნიშვნელობით ან იდენტურია, ან მცირე განსხვავებას ვხვდებით, ასევე, ზოგიერთ დიალექტში წარმოდგენილია ერთი და იმავე სიტყვის ფონეტიკური სახესხვაობა. შედარებამ შემდეგი სურათი მოგვცა[1]:

[1] ამ რიგის ლექსიკა ხშირად ნასესხებია, ავტორი წარმოდგენილ ნაშრომში ნასესხობის საკითხს არ განიხილავს, რადგან ამ შემთხვევაში მისი ინტერესია აჩვენოს სხვა დიალექტებთან საზიარო ლექსიკა (რედ.).

აბდალი: სულელი: ,,შენ მართლა აბდალი ნუ ხარ“ /მოსული/. ი. ჭყონია/, აგრეთვე /ნ. გურ./, ქეგლ.

აბედი: ძალზე გამხმარი, მაგარი: ,,აბედია შენ დანაკარ პური“ /ითითალა/, შდრ. მთიულ./ლ კაიშ./, აგრეთვე საბა.

აბრა: სასწორის გამაწონასწორებელი: ,,აბრა უქნელა ნუ აჰწონავ“ / ალიაბადი./ ,,აბრა გაქითა, გაუსწორდა“ /ი.ჭყონ.

აჟირიმებენ: ამარილებენ ხორცს: ,,ზამთარში დაჟირიმებულ ჯორცს აჭმობენ“ /ითითალა/. მთიულ. ჩადებული ჯორცი; ხევს. ჩამხმარი ჯორცი; მოხ. თუშ. ჩამარილებული ჯორცი.

ატკრეცა: ძლიერი ცეცხლის ალზე გამოცხობა, აწვა: ,,ატკრეცულ გირცი შენ ჭამე“ /მოსული/, კახურში ცხელ თონეში პურის ჩაკვრისთანავე აწვა, შდრ. ნ. ჩუბ. და დ. ჩუბ., ქეგლ.

აფუვლება: ადამიანის გაჭორვა : ,, ინსნი აფუვლება ნუ გიყუარს“ /ჰენგიანი/, ქართლურში ცეცხლის აალება /შ. ძიძ. ნ.კეცხ. პ.ხუბ./. თიანურში აფუება - დულილის პროცესი / დიალექტ. 597/.

აფუნკა: აშლა, არევ-დარევა: ,,რა აგიფუნკავ აქავრობა“ /ალიაბადი/. მესხურშია აფუტკნა, აფუნკულ—დაფუნკული/ ი.მაის./, აჭარულსა და გურულში აფუნკვა.

ბაკანი: ხის ან სპილენძის სარწყავი ჭურჭელი: ,,სულზე ერ ბაკანს გავქონ“ / ალიაბადი/. კუს ზურგის ფარი / შ. ძიძ. ქრესტ./, შდრ. ხევს./ ალ. ჭინჭარაული, დიალექტ. 550/; მოხ./ა.ყაზბ. II, შ.ძიძ. ო. ქავკ./; ფშ./ი.ქეშიკ./. თუშ./პ. ხუბ./.

ბალღუნჟი: ბლის ერთგვარი ჯიში: ,,ბალღუნჟა ბალი მოწევლა?“ /ალიაბადი/, ქიზიყურში ბალღოჯი — ველური, მწარე ბალი, შდრ. საბა, დ. ჩუბ.

ბარა: ვიწრო გასავალი. ცხვარს ბარაში წველიან: ,,ცხორი ბარაზე გაჰლე“ / ალიაბადი/, ქიზიყურში — ბერა.

ბარა-ბარ: თანაბრად, თანასწორად: ,, გაყოფაში ბარა-ბრა გაყოფე“ /ითითალა/, ქიზიყურში ბარი-ბარ, ბარდბარ.

ბიბილა: ყვავილი: ,,რა კაი ბიბილები გაქონ ეზოში“ /ალიაბადი/. შდრ. ქიზიყ. / სტ. მენთ./, აგრეთვე ქეგლ.

ბიზი: სადგისი, ხარაზის იარაღი: ,,ბიზი მაიღი დაავრეტლა“ /ალიაბადი/. შდრ, ქიზ./ სტ. მენთ./, აგრეთვე დ. ჩუბ..

ბუზანი: მუშტი: ,,ერ კაჲ ბუზან დაჰკრა ზურგში“ /ალიბეგლო /.შდრ. იმერულსა და რაჭულში - დიდი ტკვირთი / ივ. ქავთ./, ქეგლ.

ბუთქი: თხილის ქუჩელა, ჩენჩი: ,, თხილი ბუთქი არ შამიღია შინ“ /მოსული/, ბურჩხი/გ. შარაშ./.

გაწიება: მეტად გახმობა: ,,გაწიებულ თხილს რა ჩექუ ექნება“ /მოსული/, გურ.

,,ასე რამ გააწივა აი ჭადი“ /გ. სარაშ./.

გაჰლა: საქონლის გარეკვა: ,,შორს ნუ გაჰლავ საქონელს“ /ალიაბადი/, ხევსურულში გალალვა.

გემრა: ცხვრის სადგომი, ღამის სათევი: ,,ცხორი ჟერ გემრაზე არ ჩომოსულა“ /ჰენგიანი/. ქიზიყურში — გემრა ცხვრის კურკლის წივა / სტ. მენთ./. ცხვრის ძველი ნეხვი / ლ. ლეონ./.

დაბაჟლანა: ჯუჯა კაცი, ლილიპუტი: ,,რა დაბაჟლანა ინსანი იყო“ /ითითალა/, ლეჩხუმურში — ბაჟაჟღანა / შ.ალავ./, ქიზიყურში — დაბალი, სქელი და უშნო ადამიანი/ სტ. მენთ./.

დაბალი: საქონლის ავადმყოფობა: ,,თქენ ზროხას დაბალი შაჰყრია“ /ქაფიჩაი/, ქართლ-კახურში ტყავის გამომყვანი, გამკეთებელი: ლ. ლეონიძე./

დაბუჯება: სენისაგან ფეხის წართმევა: ,,დაბუჯებულ კამეჩი კალხოზ ჩააბარა“ /ითითალა/. ქიზიყურში ხელ-ფეხის დაზრობა, გაყინვა /სტ. მენთ./, მთიულურში კუტს ნიშნავს / ლ. კაიშ./. შდრ. საბა.

ექინი: ,,უმწიფარი ყანა“: ,,ექინ მაარწყელა მივდი“ / მოსული/, ხევს. ლოშნ. მოხ. დუდუდი: თუშ. მთიულ. ლურჯი. /ლ. კაიშ./. შდრ. ექინი — ზღვის ძღარბი / საბა/.

თალამი: ფიწლით ერთ ჯერზე ასაღები თივა ან ძეძვი: ,,ერ - ორ კაჲ თალამი დაადევ ღობეზე“ / ჰენგიანი/, ნ. ქიზიყ./. /სტ. მენთ./.

თანაქა: ნავთის ჩასასხმელი ჭურჭელი: ,,ერ დიდ თანაქა აავსო“ /მოსული/, შდრ. გურ./გ. შარაშ./, იმერ./ დიალექტ. 670/.

თექ: ოლონდ: ,,თექ მოჲ შენ ჩონსა“ /ზაგანი/, ქიზიყურში ,,თაქ შენ გადი და იჭიდავე და ქეიფი ჩემზე იყოს“ /სტ. მენთ./.

თოხუმი: ჯიში, ჯილაგი, ჩამომავლობა: ,,თქენ თოხუმი სრუ დოვზახე ქორწილში“ /ჰენგიანი/, ლეჩხუმურში ეშმაკი ადამიანი / მ. ალავ./, ნ. ქიზიყ. /სტ. მენთ./.

თხელფერდი: გვერდის უნეკნებო ნაწილი: ,,თხელფერდი არ ამიწონო“ /ალიაბადი./, შდრ.ქიზიყ. /სტ.მენთ./.

ისრიმი: მწიფე ალუბლის ან ყურძნის მარცვალთაგან შემზადებული წვენი, შეზავებული ნივრითა და მწვანილით: ,,ისრიმი გამიქითა დედამ“ /ითითალა/. შდრ. ქიზიყ, და იმერ. ,,ისვრიმი“ / ა. მარტ. გრ. იმნ. ლ. ლეჟ./ საბა. ნ.ჩუბ. დ.ჩუბ. ქეგლ.

კავი: სახურავის ლატანი, კოჭების ლარტყა, რაზედაც ჩალა, კრამიტი და მისთანანი იხურება: ,,სახლი კავიბეჲ შამინახავ აი ლაფნები“ /ითითალა/, ნ. ქიზიყ. /სტ.მენთ./, გურ. /ს. ჟღენ. ალ.ღლონ. /, შდრ. საბა.

კაკნატელა: ხრტილი: ,,ჩემთუნ სრუ კაკნატელა ჩეგეყარა“ /ჰენგიანი/, ნ. მესხ. /ი. მაისურ./, ქართლ. / შ. ძიძ, ნ. კეცხ., პ.ხუბ. / აგრეთვე კახური.

კაჭვა: თიბვა. ,,მინდორში მარტო ჰკაჭავს“ /მოსული/, შდრ ქიზიყ. კაჭვა, კა-

კაჭვა / სტ. მენთ./.

კიკო: ბავშვის სათამაშო დედოფალა: ,, კიკო მიყიდა დედამ“ /ზაგანი/, გურ. კურდღლის ბაჭია /ს, ჟღ./, შდრ. ქეგლ.

კირკილი: ჩრჩილი, მავნე მწერი: ,,კირკილი თუ დეეყარა, სრუს დააჭრია“ /ითითალა/, ხევს. ოჩოჩა, გუდ. ნამწვერალა, მოხ. კირკლი. თუშ. ნამწვერავი, მთიულ. კირკლი /ლ. კაიშ./.

კიჭი: კბილი ბავშვის ენაზე: ,,კიჭი ომოჰსულია“ /ყორალანი/,ქართლ./კირ./, იმერ./ ვ.ბერ./, შდრ. დ.ჩუბ.

კორა: ხის კოჭი, რითაც ურემია მიმაგრებული ღერძზე: ,,ურმი კორა გაჰვარდა“ / ჰენგიანი/, შდრ. ქიზიყ. /სტ.მენთ./, აგრეთვე საბა.

კორკალი: ცხვრისა და თხის განავალი: ,,მიდი კორკალი მოხეტე“ /ქაფიჩაი/, ქართლ-კახურში კურკლი / ლ.ლეონ./.

კოსოლა: პატარა კონუსისმაგვარი სამკუთხა ჯამი: ,,კოსოლა ჟამში მე ჩამიგდი ტოლმა“/ ქაფიჩაი/, შდრ. აჭარ. / შ. ნიჟ./.

კუბაჩა: საქონლის ხორცი კუდის არეში: ,,კუბაჩა სხოს არ მიჰცე“ /ქაფიჩაი/, ასეთივე მნიშვნელობით იხმარება გურულსა და ქიზიყურში / გ. შარაშ., სტ. მენთ./.

კურტი: კრუხი: ,,ჩონ ქათამი კურტა არ ჟდება“ /ჰენგიანი /, კრუხი / ქართლ. კახ./. კრუტი /საბა, გუდ. მთიულ. მოხ./.

კუტეკალი: გლერძი მცენარეა / ა. მაყ./: ,,კუტეკალი დემერიგა ფეყში“ /ალიაბადი/, ამავე მნიშვნელობით გვხვდება კახურში, მთიულ.. კუტიმლაშა /ლ.კაიშ./.

ლანქერი: ძლიერი ქარბუქი: ,,ლანქერიზგან ერამიც არ ჩანდა“ /მოსული/, მთიულ. ლამქერი, ლანქარი / ლ.კაიშ./.

ლინგი: მსხვილი ჯოხი, კეტი: ,,ლინგი თხლიშა კისერში“ /ითითალა/, შდრ. ,,ფიცრის კიდე“ /საბა/, ლეჩხ. მაგიდის კიდე, ნაპირი /მ. ჩიქ./. ქვ.იმერ. თოხის კიდე / ზ. ჭუმბ.280 / ნ. ჩუბ. დ.ჩუბ, ქეგლ. აგრეთვე შეადარე გურული ,,ლენგერა“ — სარი, მსხვილი ჯოხი.

მანა: სარი. ხმარობენ ღობისათვის: ,, ტყეში მივდივარ მანაიბეჲ“ /ალიაბადი/, შდრ. ხევს. /ა. შან./, საბა, დ.ჩუბ.

მარაქა: თავშეყრილი საზოგადოება: ,,მარაქაჲთი ნუ გაიყონ“ /ქაფიჩაი/, შდრ. ქიზიყ. /სტ.მენთ./. საბა, დ. ჩუბ.

მასკან: მას უკან, მერმე, მას შემდეგ: ,,მასკან რაც უნდა იქნოს“ /ჰენგიანი/, ნ.აჭ. /დიალექტ.658/.

მალმუნი: უშნო, გონჯი: ,,დიახ მალმუნ ინსანი ხარ“ /ალიაბადი/, ქიზიყურში მალმური /სტ.მენთ./.

მაშხალა: გრძელი ჯოხის წვერზე გაკეთებული სამიზნე, რაც ქორწილში პატარძლის წამოყვანამდე უნდა ჩამოაგდონ : ,,მაშხალა ჩამააგდა“ /ზაგანი/, შდრ.

კახური და მთიულური — ,, ქორწილში ნეფე-პატარძალისთვის მირთმეული ერთმანეთზე ჯვარედინად დაკრული ორი ჯოხი, რომელზედაც სხვადასხვა ხილი და ტკბილეულობაა აცმული / ლ. კაიშ./.

მაჭი: საზამთროდ შენახული შეშა: ,,მაჭი არ შაგიზრავ“ /მოსული/, მთიულ. ხალიკი / ლ.კაიშ./, მოხ. ცაცხვი,მცენარეა /ო.ქაჯ. ა. მაყ. დიალექტ. 562/.

ნიღნიღი: ცხვირში ლაპარაკი: ,,ნუ ნიღნიღოვ, კარგა ილაპარიკ“ /ალიაბადი/,შდრ. ქიზიყ. /სტ.მენთ./.

ნამღელი: ნაღველი: ,,ქათამ გომოშიგნაში ნამღელი არ გაჰხეთქო“/მოსული/, ხევს. ნაულელი / ა. ჭინჭ./.

პურიგული: ერთგვარი საჭმელია: ,,გამჭმარ პური მამიღი პურიგულიბეჲ“ / მოსული/, ასეთივე მნიშვნელობით გვხვდება ქიზიყურშიც / სტ. მენთ./.

ჟუტი: ფურთხი: ,,დიახ, შორს გადააჟუტა“ /ჰენგიანი/, ქიზიყურში ჟუდი / სტ. მენთ./.

ტაატა: ბავშვის სიარული. გადატ. ნელად მოსიარულე: ,,რა ტაატაჲთი მოჰდი“ /ქაფიჩაი/, მთიულურში — ტატი / ლ. კაიშ./.

ტომპუზი: დიდთავა ხის იარაღი მიწის სატკეპნად: ,,ეხლა ტომპუზი სადღაარი“ /მოსული/,ხევს. სატკეპნი; მოხ. სატკეპნელი; თუშ. საზეკელაჲი; მთიულ. საზეპელი /ლ. კაიშ./.

ფეთირი: საჟზე გამომცხვარი თხელი პური: ,, ჰეგი ფეთირ არ ჰჭამს“ /ითითალა/, ქიზიყურში — ფათირი; მთიულ /სტ.მენთ., ლ. კაიშ./.

ფიტი: ფიჭა: ,,ნახვერ ფიტი მოჰჭრა“ /მოსული/,. ქიზიყურში დაუმდნარი უთაფლო ფიჭა / სტ. მენთ./ შდრ. საბა. დ.ჩუბ. ქეგლ.

შამბი: მაღალი, ცოცხის მაგვარი ბალახი: ,,ქოხი გერდზე დაყარე შამბი“ /ალიაბადი/ ნ. ქიზიყ. /სტ.მენთ. /საბა, დ. ჩუბ. ვაჟა,III. ა. მაყ. გურამიშვილი.

ჩიქილა: მარლა, თავსახური: ,,ჩიქილა მამიღი დაახურლა“ /ქაფიჩაი/, შდრ. მთიულ. /ლ.კაიშ./.

ჩუმა: აუდუღებლად ჩადედებული რძე: ,,ჩუმა დამიგრუვებია“/ითითალა/,შდრ. ქიზიყ. /სტ. მენთ./, საბა, დ.ჩუბ.

ჩუტა: ცარიელი, ფუყე, ნაყოფგანუვითარებელი: ,, ჟერ ლებუა არ ქნილა, ჩუტაარი“ /მოსული/. შდრ. ქიზიყ. / სტ. მენთ./.

წინწკალი: წვეთი: ,,წიმაი წინწკალ მოხტომითავ დავაგდით გამარგლა“ /ქაფიჩაი/, შდრ. კახ./ ა. მარტ.. გრ. იმნ./.

წიფხი: წვრილი, მოქნილი წნელი, რომელსაც ერთ მოლოში მარყუჟს გაუკეთებენ და ხმარობენ ჩალის ან სხვა რაიმის კონებად შესაკრავად: ,,წიფხი მამიღი დააკონლა“ /მოსული/, შდრ. ქიზიქ. / სტ.მენთ. / წიფხა/ შ. ალავიძე/, საბა.

ჭკილი: ფრჩხილი საერთოდ: ,,ჭკილევ დავჭრი მუვალ“ /ითითალა/, ნ. ფშ.

პკილი; გუდ. პწკარი; მთიულ. კაპწკალი / ლ.კაიშ./.

ჭყანტი: გაუვალი ჭაობი: ,,ჭყანტში ჩავვარდი“ /ალიაბადი/, ნ. ქიზიყ./სტ. მენთ./, საბა, დ.ჩუბ. ი. ჭყონ. მაკალ. თუშეთი,61.

ხაში: საფუარად შენახული ცომი: ,, ხაში მაიღილა“ /ჰენგიანი/, შდრ. ქიზიყ. /სტ. მენთ. /. დ. ჩუბ.

ხაჭეკალი: ხის ორთითა: ,,ღობე შააკრელა ხაჭეკალი მამიღი“ /ითითალა/, შდრ ქიზიყ. /სტ. მენთ./, საბა, დ. ჩუბ.

ხიწიწი: ცხვრის დუმის გამოდნობის შემდეგ დარჩენილი შემწვარი ნარჩენები: ,,ბევ ხიწიწს ნუ შეჰჭამთ“ /მოსული/, ხევს. თუშ. ხიწიწი; მოხ. ნახშიორა, ფშ. ხროიჭი, გუდ. ნახშირვარა; მთიულ. ნახშიორა, ბორბოჟი / დ. კაიშ./.

ხოკერი: ხის ქერქისაგან დაწნული ჭურჭელი: ,,ხოკერი მამიღი“ /ალიაბადი/, შდრ. ქიზიყ. /სტ. მენთ./., საბა, დ.ჩუბ. კირ. ა. მაყ. მაკალ. მთიულეთი, 58.

ხოვი: ხვავი: ,,პური ხოვზე არ მიმიშო“ /ქაფიჩაი/, შდრ. ხევს. ხვავი /ა. ჭინჭარ./.

ხულა: ურქო: ,,ხულა ცხორი ვიყიდე“ /ითითალა/, ქართლ. კახ. მთიულ. დოლა; ქოლიკი/საბა/, გურ. უფანჯრო, მჭიდროდ შეკრული/ბელელი.

ინგილოურის სპეციფიკური ლექსიკა

ჩვენ მიერ ჩაწერილ ინგილოურ ტექსტებში დასტურდება ისეთი სიტყვები, ტერმინები და იდიომატური გამოთქმები, რომლებიც დღემდე გამოქვეყნებულ დიალექტურ ლექსიკონებში არ გვხვდება და არც პარალელები ეძებნება. ამიტომ ისინი ჯერჯერობით ამ კილოს საკუთრებად უნდა ჩაითვალოს. შეინიშნება ისეთი სიტყვებიც, რომლებიც სალიტერატურო ენასა თუ დიალექტებში ლექსიკონებში არის, მაგრამ ინგილოურში ნაწილობრივ ან არსებითად განსხვავებული მნიშვნელობა მოეპოვება. საილუსტრაციოდ მოგვყავს ზოგიერთი მათგანი:

აკლანზა: დამკლავება: ,,აღკლანზა ცხორი დააკლელა“;

აკოხებს: აქებს: ,,ჰეგი ჰამეშა თავი თავ აკოხებს“ /მოსული/;

ამჟურა: ამნაირი, ასეთნაირი: ,,ამჟურა ინსანი მე არ დამინახავ“ /მოსული/; ადმაზე — იმიტომ, იმისთვის: ,, ადმაზე არ მოვდა?“ /მოსული/;

არაწი: ღვინის ჭურჭელი: ,,არაწით მაღე ღუნეი“ /ალიბეგლო/;

ბრული: ბარდი, დაბურული ბუჩქი / მაყვლისა ან ეკლისა/: ,,ხუთ ურემ ბრული მავლი, კიდემ არ გამსტება“. /ალიაბადი/;

ბურჟულა: კუნწულა: ,,ბალი ბურჟულა მოჰჯეჩა“ /ჰენგიანი/;

გაგაღ: მიუხვედრი, გაუგებარი: ,, ცარიალ გაგაღ ხარ“ /ალიბეგლო/; დალენგა:

შეყოვნება, შეფერხება: ,,ჩემ საქმეს დიახ ნუ დაალენგევლა“ /მოსული/;

დამრუშკა: შუბლის შეჭმუხნა: ,, ჩონ შასულითავ დაიმრუშკა“ /მოსული/; დასამბლა — ხელდახელ წონის მოსინჯვა: ,,ქათამი ყიდლობაში დასამბლე“ /ითითალა/;

დეგა: პატარა სახლი: ,,ერ პატრა დეგა წომოდგა“ /ზაგანი/;

დიდობა: დიდკაცობა, უფროსობა: ,, ეხლა დიდობას ჩიდის ჰეგი“ /ითითალა/;

დილიგი: საბოსტნე ნაკვეთი: ,, დილიგში წანასული აღარ მოვდა“ /მოსული/;

დოვღა: დოსაგან შემზადებული კერძი: ,,დოვღა ჩამისხილა“ /ალიაბადი/, ერიგი — ჭერამი: ,, ერიგები დაახრელა ვიყავეთ“ /ითითალა/;

ვაიშუანი: ტირილი და ხმაური ერთბაშად: ,,ვაიშუანი ჩონგივარდეს კარზე“ /ითითალა/;

თიანი: სპილენძის დიდი ჭურჭელი: ,,თიანში მუვაჯალე ჰალვა“ /ჰენგიანი/;

თუღი: ლელი, მცენარეა ერთგვარი: ,,თუღით სახლი ჩაგავე, ცოცხით — ეზო“ /მოსული/;

კუდრუცუნა: ცხვრის კუდი: ,,კუდრუცუნა მოჰწყიტა ზაღმა /ქაფიჩაი/;

კუნტა: შდრ კუტი/, თონეში ჩავარდნილი და ნაღვერდალზე გამომცხვარი პური: ,, კუნტა ზაღ დოუყარე“ /მოსული/,

ლალუ: თოკით გაკეთებული ბავშვის საძილე: ,, ლალუ ჩამამბილა /ჰენგიანი/;

ლარტა: გრძელი, მსხვილი ჯოხი, გადატანით — მაღალი ადამიანი: ,,ლარტასავი გაზდილხარ, ხეჲრსუზი“ /მოსული/;

მუკენი: ჩალის დასამაგრებელი სახურავზე: ,,ქოხიბეჲ ერ ორასდენა მუკენი მინდა“ /ალიაბადი/;

ნავჩა: წყალსადინარი, გაპობილი ხისაგან დამზადებული მილისმაგვარი ღარი: ,,შაჰრეში ნაქნარ ნავჩა ჩავაგდოთ“ /ჰენგიანი/;

სადრეკი: სახსარი: ,,სადრეკზე დაჰკარ ცული, რომ გაიჭროს“ /ითითალა/; ტინყორა — მცენარე, რომელიც იჭმევა: ,,ტინყორაიბე არ მიჰდია?“ /მოსული/;

ფალამფუჩა: სუსტი, უგერგილო, ვერშემძლებელი: ,,ფალამფუჩა ნუ ხარ, გებნები“ /მოსული/;

შალა: ერთი საზურგე შეშა, თივა: ,,ერ შალა შიშა მაიღა“ /ითითალა/; ჩალიკი — მოხრილი ჯოხი დოლის დასაკრავად: ,,ჩალიკი დაკარგა“ /ჰენგიანი./;

ჭაჰჭუ: საქონლის საჭმელად გამოუსადეგარი ბალახეულობა: ,,ჭაჰჭუ არ გადაჰყარო, ღობეიბეჲ მინდა“ /მოსული/.

სხვა ენიდან შემოსული სიტყვები ინგილოურში

უცხოური ნასესხობები გარკვეული რაოდენობით ყველა ენაში შეინიშნება. სიტყვათა სესხება, ენის ლექსიკური შედგენილობის შევსების, გამდიდრებისა და განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ძველი ქართულის წერილობით ძეგლებში შენიშნული ნასესხები სიტყვების გამოყოფა და მათი ცალკე აღნუსხვა დღეს ყოველთვის როდი ხერხდება, რადგან ისინი უკვე ქართული ენის ორგანულ ნაწილს შეადგენენ.

უცხო ენებიდან ლექსიკური ფორმებისა და სემანტიკური ერთეულების შეთვისებისა და დამკვიდრების ორი გზაა ცნობილი: მწიგნობრული და ზეპირი, ცოცხალი ენობრივი ურთიერთობის გზა. სიტყვათა სესხება ყოველთვის არ არის განპირობებული ამა თუ იმ ენის საჭიროებით. ხშირად სესხება ხდება უცხოური ენის ინტენსიური გავლენის პირობებში, სახელდობრ, როდესაც ერთი ენობრივი კოლექტივი ძლიერ გავლენას ახდენს მეორეზე პოლიტიკური ან კულტურული უპირატესობით. ზეპირი, პირადი ურთიერთობის გზით შეთვისებული სიტყვები შედარებით ძნელად, მაგრამ მაინც ხვდებოდა სამწერლობო ენაში და მრავალი ახლადმოვლენილი ლექსიკური ერთეული შესაბამის ადგილს იკავებდა საერთო ლექსიკაში. ლიტერატურულ-მთარგმნელობითი მუშაობა შესაძლებლობას უქმნიდა ენას ფართოდ გაეღო კარი უცხო სიტყვებისა და ტერმინებისათვის, ინერგებოდა ინტერნაციონალური სიტყვები და გამოთქმები. მჭიდრო ლიტერატურული, სამეცნიერო და საზოგადოებრივ-კულტურული დამოკიდებულება ერთი ეთნიკური კოლექტივისა მეორესთან — საწინდარია სიტყვათა განუწყვეტელი დინებისა.

ინგილოურ კილოსაც ისე, როგორც ქართული ენის სხვა დიალექტებს, გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, შესაბამისი შეხვედრის წერტილები აქვს უცხო ენობრივ გარემოსთან. ზეპირი გზით ინგილოურში შემოსული სიტყვები სალიტერატურო ქართულში ნაკლებად შევიდა. ინგილოური, ყველა, (გარდა ფერეიდანულისა) ქართული დიალექტისაგან განსხვავებით, მკაფიოდ ატარებს თავისი მეზობელი ხალხის მიერ დასმულ ,,ლექსიკურ დალს“. სწორედ ამით აიხსნება აღმოსავლური ენებიდან შემოსული სიტყვების სიჭრელე. უცხოური სიტყვების შემოჭრა და დამკვიდრება დღესაც მიმდინარეობს აზერბაიჯანული ენის გავლენით. ინგილოურ დიალექტში ესოდენ ჭარბი უცხოური სიტყვების დანერგვას ხელს უწყობდა აგრეთვე უცხოელთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობა საინგილოში.

უცხოური ენების გავლენა განუცდია ყველა დარგის ლექსიკას. ხმარებიდან გასულა და საერთოდ გამქრალა მრავალი ქრისტიანული წეს-ჩვეულება და მათ ნაცვლად დამკვიდრებულა ახალი სარწმუნოების შესაბამისი რიტუალები და, შესაბამისად, ლექსიკა.

ინგილოურში არსებული ნასესხები ლექსიკის ერთი ნაწილი საერთოა სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებთან. როგორც ჩანს, ამგვარი სიტყვები ინგილოურს ოდითგანვე შეუთვისებია და შეუნახავს. ეს მაშინ, როცა იგი სალიტერატურო ერთეულთან ერთად ვითარდებოდა. ბევრია შემდეგ შეთვისებული სიტყვაც. ასეთებია:

ამანათი /არაბ., თურქ./— შესაბამისად მიბარებული რამ; **ანჯახ** /თურქ. ანჯაქ/— მხოლო, მარტო, ძლივს; **აჟალი** /არაბ — ჭირი, სული, უკანასკნელი დღე, დრო სიკვდილისა; **ასლი** /არაბ. ასლ/ფუძე, წარმომავლობა,ძირი; **ბაღი** /თურქ./ — ხეხილის ბაღი. გადატ. მნიშვნელობით ზონარი; **ბეჰ** /თურქ./— საწინდარი; **ბილი** /თურქ.აზერბ./— ულვაში; **დევი** /თურქ./—ზღაპრული გოლიათი; **დელუ** /თურქ./ დელი/გიჟი; **თერაზუ** /სპარს./— სასწორი; **თოხუმი** /სპ.თოხუმ/— ჯიში, შთამომავლობა; **იშილი** /თურქ.იშიკ/— სინათლე; **ინტიბარი** /არაბ. ინტიბარ/— ნდობა; **ჟალუ** /—**ჯალო** /სპ./—ჯადო; **ყამჩი** /თურქ. კამჩ/— მათრახი და სხვ.

ყურადღებას იქცევს ინგილოურში არსებული ნასესხები ლექსიკის ერთი ნაწილი, რომელიც არ გვხვდება თანამედროვე ქართულში, მაგრამ დიალექტში დამკვიდრდა. ასეთებია: **აბური** /სპ.თურქ./— სახელი, ღირსება; **ადაფსუზი** /არაბ. თურქ./— უწესო, უნამუსო; **აზიათი** /არაბ./— ტანჯვა, წვალება; **აიბი** /არაბ. თურქ./— სირცხვილი; **ალჩალი** /თურქ./— დაბალი, უჯიშო, ძაბუნი; **ამმა** /არაბ. თურქ./— მაგრამ; **ანა** /თურქ./— დედა; **არზუ** /სპ./— სურვილი, ნატვრა; **ალი** /თურქ./— თეთრი ფერის მიტკალი; **ალილი** /თურქ./— საქონლის დასამწყვდევი ადგილი; **აყრაპი** /არაბ.თურქ./— მორიელი; **ბალა** /სპ./— შვილი; **ბალდუზ** /თურქ./— ცოლისდა; **ბაჟი** /თურქ./— და; **ჰალი** /არაბ./— ძალის გამოლევა; **ჰამანი** /თურქ./— მოქნილი, მოხერხებული, ცუღლუტი; **ჰამეშა** /სპ./ — ყოველთვის; **ჰარაი** /თურქ./— აურზაურის ატეხვა; **ჰარქესა** /სპ./— თითოეული; **ჰელბეთ** /არაბ./— ალბათ, როგორც ჩანს, შესაძლოა; **ჰენგა** /თურქ./ — მაყრიონი; **ჰეჩ** /თურქ./— სრულიად არაფერი;

ნასესხებ სიტყვებში ხშირად შეინიშნება სახელისაგან ზმნის ფორმებისა და მასდარის წარმოება საკუთარი მაწარმოებლების დართვით: ჟაფა — ძნელი, აქედან: გა-ჟაფ-ი-ებ-ა — ძნელად მოჩვენება; ახშამი — საღამო, აქედან: მო-ახშამ-დ-ა, სა-ახშამ-ო — მოსაღამოვდა, საღამოსათვის; ხასტა — ავადმყოფი, აქედან: და-ხასტ-ავ-ებ-ა —ავად გახდომა, სანამ ავად არ გახდება; ხიანათი —ღალატი, აქედან და-ხიანათ-ებ-ა, და-ხიანათ-ებ-ულ-ი, უ-დოუ-ხა-ანათ-ებ-ლ-ა ღალატი, ნაღალატევი, უღალატოდ; ჰაზირი — მზა, აქედან: გა-ჰაზირ-ებ-ულ-ი, გოუ-ჰაზირ-ებ-ელ-ი, გოვ-ჰაზირ-ებ-ლ-ა — გამზადებული, გაუმზადებელი, მოუმზადებელი; ჰუნარი — შემძლეობა, აქედან: გა-ჰუნარ-ებ-ა, ჰუნარ-ოვ-ს, გა-ჰუნარ-დ-ა, გა-ჰუნარ-ებ-ულ-ი — გაძლიერება, ძლიერობს, გაძლიერდა, გაძლიერებული და სხვ.

ქართული სიტყვაწარმოებით შემოსილი უცხოური ლექსიკა ინგილოურში მრავლადაა: აბური — სახელი, ღირსება, ავტორიტეტი, აქედან: აბურ-იან-ი - სახელიანი; აინა — მინა, აქედან: აინ-იან-ი, უ-აინ-ო — მინიანი, უმინო; ასტარი — სარჩული, აქედან: ასტრ-იან-ი, უ-ასტრ-ო — სარჩულიანი, უსარჩულო; ნალილი — ზლაპარი. აქედან: მე-ნალილ-ე, ნალილ-იან-ი, უ-ნალილ-ო - მეზლაპრე, ზლაპრიანი, უზლაპრო; თორბა — პატარა პარკი, აქედან: თორბ--იან-ი, უ-თორბ-ო — პარკიანი, უპარკო; საჩალი — გრძელი ბეწვი, აქედან: საჩალ-იან-ი, უ-საჩალ-ო — გრძელბეწვიანი, მოკლებეწვიანი; ყისმათი — ბედი, აქედან: ყისმათ-იან-ი, უ-ყისმათ-ო — ბედიანი, უბედო;

ინგილოურ დიალექტს ისე შეთვისებია ნასესხები სიტყვები, რომ ზოგი მათგანის წარმომავლობის დადგენაც კი ჭირს. უცხო ლექსიკა ქართულ გრამატიკულ ნორმებს დამორჩილებია და ინგილოურის საერთო ფონდი საგრძნობლად გაუმდიდრებია, გაუმრავალფეროვნებია.

ინგილოურში დამკვიდრებულია აზერბაიჯანული ენის წარმოების მიხედვით წარმონაქმნი უცხო წარმომავლობის სიტყვები: ადაფ-სუზ-ი — უწესო, უნამუსო; ბედ-ხაბარ-სუზი — ამბის უცოდინარი; იმქან-სუზ — მოცლა, შესძლებლობა; იხტილათ-სუზ-ი — უთათბიროდ; ჰაია-სუზ-ი - უსირცხვილო; ჰარუმ-ჩუღ-ი — დაუმთავრებელი; ჰახში-ლული — სიკეთე; ბულან-ლუღ-ი — ამღვრეული; ბაშ-ჩობან-ი — თავჩობანი; დილან-ჩი — მათხოვარი; დემურ-ჩი —მჭედელი; ლიბა-სუზი — უსირცხვილო; სალინ-ჩი — მწველავი; ტუზ-ლაღ-ი — ძალიან მლაშე; ფეშქარ-სუზ-ი უსაქმური; ყოროღ-ჩი — მინდვრის დარაჯი; ყალაი-ჩი — მკალავი; ხეირ-სუზ-ი — უხეირო; ჰავა-ლუ — მზარდი; და ა.შ.

ეს სიტყვები, როგორც ჩანს, აზერბაიჯანულის გზით შემოსულა და დამკვიდრებულა.

ზოონიმები ინგილოურში

ინგილოები ოდითგანვე მისდევდნენ მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას. ამდენად აქ შინაური ცხოველებისათვის საკუთარი სახელების დარქმევის ტრადიციას ძველთაგანვე ჩაეყარა საფუძველი.

მიღებულია ორგვარი სახის ზოონიმია: გამოსარჩევი და მოსახმობი. გამოსარჩევი ნიშანდობლივია საზოგადოებრივი მეურნეობისათვის, ხოლო მოსახმობი კერძო პიროვნებისათვის. სოფელ მოსულის ზოონიმის უმრავლესობა ორივე ამ ფუნქციის ჩარჩოში თავსდება.

ზოონიმის თავისებურება ისაა, რომ მოტივირებულია. მოტივაცია, უმეტეს

შემთხვევაში, რეალურია. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა ზოონიმი საკუთარი სახელი კია არა, არამედ საგნის რაიმე ნიშან-თვისებაზე მინიშნებაა. სახელის შერქმევისას ირჩევა ისეთი სიტყვები, რომლებიც გამოკვეთენ ობიექტის დამახასიათებელ ნიშანს ან მასთან დაკავშირებულ სიტუაციას, შემთხვევას. ამისდა მიხედვით, ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალებში გამოვყავით ორი ჯგუფი:

1) ისეთი ზოონიმები, რომლებიც ცხოველებს (ფრინველებს) ახასიათებენ გარეგანი და შინაგანი თავისებურებებით, თუმცა ამ შემთხვევაშიც შეიძლება გამოვყოთ კიდეც რამდენიმე ქვეჯგუფიც:

ა) ცხოველის, ფრინველის სახელი დარქმეული ფერის მიხედვით:

შუნდა (ძროხა,ხარი) – შინდისფერის გამო.

კაშტანა (ძაღლი) – წაბლისფერის გამო დაარქვეს. რუსულიდან არის შემოსული.

ქურანა (ცხენი) – მოყვითალო ფერის გამო.

ლურჯა (ცხენი, ძროხა) – ლურჯი ფერის გამო.

თეთრა (ცხენი) – ძალიან თეთრი ფერის გამო.

ყიზილა (ძროხა, ხარი) – ოქროსფერის გამო. გიზილ - აზერბაიჯანულად ოქროს ნიშნავს.

ჩორნა (ცხენი) – შავი ფერის გამო.

ნაცარა (ქათამი) – ნაცრისფერის გამო ეძახიან.

ჭრელა (ძროხა, ხარი, ცხვარი, კატა, ქათამი) – ძალზე ფართოდ გავრცელებული სახელია, თითქმის ყველა სახეობისათვის.

ყორანა (ცხენი, ძროხა, ხარი) – შავი ფერის გამო. შავ ყორანთან გაიგივებული.

მურა (ძროხა, ძაღლი) – შავი ფერის მიხედვით არის შერქმეული.

ყუთელა (ძროხა, ხარი, ქათამი) – ყვითელი ფერის გამო.

გრიკა (ქათამი) – ჭრელს საინგილოში გრიკას ეძახიან.

ყარა (ძროხა, ხარი) – შავი ფერისა.

ყუთელი (კატა) – ყვითელი ფერის კატა.

შავა (ცხვარი, ძროხა, ქათამი) – შავი ფერის გამო ეძახიან.

სარუ (ძროხა, ხარი) – ყვითელი, წითური, ჟღალი ფერისაა.

დურნა (ძროხა, ხარი) – წეროს ფერის გამო ეძახიან.

ლაჩინა (კამეჩი) – მტაცებელი ფრინველია. შემოსულია აზერბაიჯანულიდან.

ჩიჩაქა (ძროხა) – ყვავილივით ლამაზი ფერის გამო ეძახიან.

პაცანა (ცხენი) – სისწრაფისა და ლამაზი ფერის გამო. შემოსულია რუსულიდან.

ზებრა (ძროხა) – ჭრელი, როგორც ზებრა.

ალგულა (ძროხა) – თეთრი ყვავილის ფერი, შემოსულია აზერბაიჯანულიდან.

ყარაგულა (ძროხა) - შავი წერტილებიანი პირუტყვია, აზერბაიჯანულიდან არის შემოსული.

ბაიაზა (ძროხა) – თეთრი ფერის გამო ჰქვია. აზერბაიჯანულია.

ზარნიშა (ძროხა) - ოქროფერის გამო. სპარსულია.

ზარგულა (ძროხა) – ოქროსფერის გამო.

ზუმრუდა, ზუმრუთა (ძროხა) – ფერადი, ძვირფასი ქვის მსგავსი. შდრ. ზურმუხტი (სპარს.) იზუმრუდი (რუსული).

ზემოალნიშნულ ზოონიმებში სახელი მოტივირებულია ლექსიკური მნიშვნელობით. სხვა შემთხვევაში სახელი შეიძლება გამოხატავდეს ფერის მიმსგავსებას.

მტრედა (ძროხა) – მტრედისებური ფერის გამო.

ყოვა (ძროხა) – შავი ფერის გამო.

ნაცარა (ქათამი) – ნაცრისფერი ბუმბულის გამო.

ჩორნა (ძროხა) – შავი ფერის გამო, რუსულიდან გამომდინარე.

თეთრა (ძროხა, ცხენი, ქათამი) – თეთრი ფერის გამო.

რიჟა (ძროხა) – მოყვითალო ფერის გამო.

ულდუზა (ძროხა, კამეჩი) – ვარსკვლავივით მოკაშკაშე ფერი.

გუმუშა (ძროხა) – ვერცხლისფერის გამო. აზერბაიჯანულია.

ალმასა (ძროხა) – ალმასის ნაირი, მისებრ ძვირფასი.

სოლმაზა (ძროხა) – გაუხუნარი ფერის გამო, აზერბაიჯანულიდან მოდის.

ზუმრუდა (ძროხა) – ფერადი ძვირფასი ქვა.

ბენევშა (ძროხა) – ბენევშ.

ბ) ამ გვგუფში ერთიანდებიან ისეთი ზოონიმები, რომლებიც გამოხატავენ ცხოველის სილამაზის ან გარეგანი მოყვანილობის მიმსგავსებას.

ირემა (ძროხა) – აქვს გრძელი რქები, როგორც ირემს.

მარალა (ძროხა) – მარალი აზერბაიჯანულად არის ირემი. ირემივით ლამაზია.

ჟეირანა (ძროხა) – ჯეირანივით ლამაზი, კოხტა შეხედულების გამო.

კურდღელა (ძროხა, ხარი) – გრძელი ყურების გამო დაარქვეს.

კოხტა (ძროხა, ხარი, ცხენი) – გარეგანი სილამაზის გამო დაარქვეს.

ცისკარა (ძროხა, ხარი, ცხენი) – მკვირცხლი, ლამაზი ტანადობის გამო დაარქვეს.

ყარაბაშა (ძაღლი) – შავი თავის გამო.

ყარაგოზა (ძროხა) – შავთვალა (აზერბ.) შავი თვალების გამო.
უზუნსაჰყალა (თხა) – გრძელი წვერის გამო, აზერბაიჯანულია.
გზელსაჩალა (ცხვარი) – საჩალი-ბეწვი, ე. ი. კარგი ხარისხის მქონე ცხვარი.
ბაშმაყა (ქათამი) – ფეხზე ბუმბულის გამო, თითქოს ბაშმაკები აქვს. ბაშმაკი რუსულია.
ჰირთანა (ძაღლი) – მგლევჯავი, ავი ძაღლი. აზერბაიჯანულია.
ტართანა (ძაღლი) – სწრაფი, წამრთმევი, ავი ძაღლი.
ჭირთანა (ძაღლი) – მოულოდნელი, სწრაფი, მძრომი.
ლამაზო (კამეჩი) – სილამაზის გამო.
სუმბულა (ძროხა) – შედარებულია სუმბულთან. შდრ. სუმბულ-თავთავი (აზერბ.) სუმბული-შროშანის ყვავილია. (არაბული).
ბულბულა (ძროხა) – ბულბულივით საყვარელი, მისნაირი.
მერცხალა (ძროხა, ხარი, ცხენი) – მერცხალივით ლამაზი და სწრაფი.
ბაჰარა (ძროხა) – ბაჰარ-გაზაფხული (აზერბ.). შედარებულია გაზაფხულთან.
გაიაზა (ძროხა) – თეთრი ფერის გამო. (აზერბ.).
ბაღდაგულა (ძროხა) – ბაღში მყოფი ვარდივით ლამაზი (აზერბ.).
გულნაზა (ძროხა) – ნაზი ყვავილივით საყვარელი (აზერბ.).
გულიშანა (ძროხა) – ყვავილივით ლამაზია (აზერბ.).
ნარგულა (ძროხა, ხარი) – ბროწეულის ყვავილის მსგავსი (აზერბ.).
მულგაზა (ძროხა) – ხის ყვავილის მსგავსი ფერის გამო.
ნიგარა (ძროხა) – მომხიბლავი შეხედულების მქონე (აზერბ.).
რეიჰანა (ძროხა, ხარი) – რეიანის მსგავსია.
სიმიზარა (ძროხა) – ოქრო-ვერცხლივით მოკაშკაშეა.
სონა (ძროხა) – სონა, გედის მსგავსი (აზერბ.).
სურაია (ძროხა) – ცისკრის ვარსკვლავივით მანათობელი (აზერბ.).
აიგუნა (ძროხა) – მზე და მთვარის მსგავსი (აზერბ.).
შოლა (ძროხა) – ალის მსგავსი (აზერბ.).
ბუზიკა (ძროხა) – წითური, დინჯი და საყვარელი.

გ)შეკრებილ მასალებში შეგვხვდა ცხოველებისა და ფრინველების ისეთი სახელები, რომლებიც შერქმეულია სხეულის ერთი კონკრეტული ნაწილის ან ბეწვის მიხედვით.

ბანგურა (ძაღლი) – გრძელბეწვიანი, ბანჯგვლიანი ძაღლი.
მერნოსი (ცხვარი) – ცხვრის ჯიში. მერნოსი – ესპანურია. არის ნაზბე-

წვიანი ცხვარი, კარგი მატყლით გამორჩეული.
კუდა (ძროხა) – მოკლე კუდის მქონე.
კუდურა, კუნდურა (ძროხა, ხარი, ძაღლი) – პატარა კუდის მქონე.
გზელკუდა (ცხვარი) – გრძელი კუდის მიხედვით არის შერქმეული.
დიდდუმა (ცხვარი) – დიდი დუმის მქონე ცხვარი.
ხაშალი (ცხვარი) – გაბერილი დიდი მუცლის გამო ეძახიან.
გზელსაჩალა (ცხვარი) – საჩალი – ბეწვი (აზერბ.) ე. ი. გრძელბეწვა.
თეფალა (ძროხა, ხარი) – შუბლზე ნიშნის მქონე საქონელი.
ქება (ძროხა, ხარი ქათამი) – რქიანი ცხოველი ან ფრინველი.
ხულა (ცხვარი) – პატარა ყურების მქონე ცხვარი.
ცალქება (ძროხა, ხარი, კამეჩი) – ერთრქიანი ცხოველი.
ჩხუტქებება, ჩხიტქებება (ძროხა, ხარი) – წვეტრქებიანი ცხოველი.
დურდიანრქებება (კამეჩი) –დიდი და მსხვილი რქიანი საქონელი.
ყაშხა (ძროხა, ცხენი, კატა) – შუბლზე ნიშნის მქონე.
ალაშა (ძროხა, ხარი) – ნიკორა საქონელი.
ღაბუა (ქათამი) – ღაბაბის მქონე ფრინველი (ჩიჩახვი).
ბურჟულა (ძროხა) – ბურჟულა, ინგილოურად კუნწულას ნიშნავს, მსუქან და ლამაზ საქონელზე ითქმის.
ცალთოლა (ძროხა, ცხვარი, ცხენი) – ერთთვალა, რომელმაც რაღაც მიზეზის გამო ერთი თვალი დაკარგა.
ბასარა (ძაღლი) – ძალიან ბასრი და მჭრელი კბილების მქონე.
ჩექმებიანი (ქათამი) – ფეხებზე ბუჩქივით აქვს ბუმბული.
ქოჩორა (ქათამი) – თავზე ლამაზი ქოჩორი ადგას.
სარუბაშა (ძროხა, ხარი) – ყვითელთავა საქონელი (აზერბ.)
ბუდალა (ძროხა) – ბუდალი – რტო (აზერბ.) დატოტვილი რქების გამო.
ჰაიქალა (კამეჩი) – დიდი ტანისა და რქების გამო ეძახდნენ.
ბირკა (ძროხა, კამეჩი, ხარი, ცხვარი) – ყურზე გაკეთებული ნიშნის გამო.
თიქბურნა (ძროხა) – მედიდური, ამპარტავანი, მიუკარებელი საქონელი.
თურანა (ძროხა) – მეტად უცნაური სახელია, რაც თურქების სამშობლოს, მათ მიწა-წყალს, გვაუწყებს.
ყარაგოზა (ძროხა) – შავთვალება ლამაზი საქონელია.
ცალყურა (ძროხა, ძაღლი, კატა, ცხვარი) – ყველა ის საქონელი, რომელსაც ერთი ყური არ აქვს.
მუნჟულა (ძროხა) – მუნჟული – მძივი (აზერბ.).
ბელკა (ძაღლი) – ციყვივით სწრაფი და მოუსვენარი.
ფაშა (ძროხა) – ფაშასავით მედიდურად მოსიარულე საქონელი.

ეზიზა (ძროხა) – ნაზი, აზიზი ბუნების მქონე.
დილაგა (ძროხა) – საოცნებო. (აზერბ.).
დოვლათა (ძროხა, კამეჩი) – დოვლათის, ბარაქის მომტანი.
დემურა (ძროხა) – დემირ – რკინა (აზერბ.) რკინასავით გამძლე და მაგარი.
ქოროღლი (ძროხა, ცხენი) – ცალთვალა საქონელი, სახელი მოდის ერთ-ერთი სახალხო გმირის – როვშანის მამის სახელიდან.
ყელწიტა (ქათამი) – ყელზე ბალანის არმქონე ქათამი.
ილდირმა (ძროხა) – ილდირმ – ჭექა-ქუხილი (აზერბ.).
ქარამა (ძროხა) – ღვთისნიერი, გულმოწყალეს აღნიშნავს.
ლაჩინა (ძროხა) მტაცებელი ბუნების მქონე. (აზერბ.).
ლატიფა (ძროხა) ნაზი, ლამაზი, სასიამოვნო გარეგნობის.
აშრაფა (ძროხა, ცხენი) – დიდებული პატივსაცემი.

დ) შეკრებილ მასალებში სიმსუქნე-სიგამხდრის მიხედვით დარქმეული სახელებიც შეგვხვდა:

გოდა, გოდორა (ძროხა, ხარი, ძაღლი) – მრგვალი მოყვანილობის მსუქანი ფორმის გამო.
ბურთა (ძროხა, ხარი, ძაღლი) – ბურთივით მრგვალი მოყვანილობის.
ჩიხრიხა, ჩახრახა (ძროხა, ცხენი) – მეტისმეტი სიგამხდრის გამო შეარქვეს.
ჰანაშა (ძროხა) – ასაკოვანი ჩასუქებული საქონელი.
ტიკლიკი, ტიკნიკი (ძროხა, ხარი) – დალეული, გამხდარი პირუტყვი.
ქოთანა (ძროხა) - ქოთნის ფორმის გამო შერქმეული.
დადაშა (ძროხა) – დიდიზომის საქონელი.
აჟდაჰა (ძროხა) – ურჩხულივით დიდი ტანის პირუტყვი, შემოსულია აზერბაიჯანულიდან.
მერდანა (ძროხა, კამეჩი) – მერდი – ხელმარჯვე, გულუხვი (აზერბ.) პირუტყვიც ამის შესატყვისია.
კუნდულა (ძაღლი) – პატარა ტანადობის გამო.
ყანტა (ქათამი) – მსუქანი დიდი ტანის ქათამი.
ჭირი (ქათამი) – პატარა ტანადობის მქონე ფრინველი.
მარხალა (ძროხა, კამეჩი) – მარხალი – დიდი ტანის მქონე პირუტყვი.
კურტუმა (ძროხა) – დიდი კურტუმის გამო დაარქვეს.
მალიში (ცხენი) – პატარა ტანადობის, მომდინარეობს რუსულიდან.

ე) გვაქვს თვისებების გამომხატველი სახელებიც:

მერცხალა (ხარი) – მერცხალივით დაუზარელი და გამწე ხარი იყო.

ყურდღელა (ხარი) – კურდღელივით სწრაფი და გრძელი ყურების მქონე.

ფხიტიანა (ძროხა, ხარი, ცხენი, ცხვარი) – მიუჩვეველი, მიუკარებელი პირუტყვი.

ბრუტიანა (ძროხა) – ბრუციანი, ცუდი მხედველობის გამო.

სტრელკა (ძაღლი) – ძალიან სწრაფი და მოუსვენარი, რუსულიდან არის შემოსული.

შარიკა (ძაღლი) – შარიკივით მრგვალი და მოძრავი თვალები აქვს. ესეც რუსულიდან არის შემოსული.

ციგანა (ძაღლი, კატა) – სულ ეზო-ეზო, გარეთ მოწანწალე ცხოველი, ლუკმაპურის მაძიებელი.

გარევლი (კატა) – მინდორში მცხოვრები კატა, გარეული.

შინავრი (კატა) – სახლში მობინადრე.

თაფლა (ძროხა) – მშვიდი თაფლივით ტკბილი.

კატუნა (კატა) – მაწანწალა ეზო-ეზო მოსიარულე.

ჩხავანა (კატა) – სულ ჩხაოდა და ამის გამო დაარქვეს.

ეზიზა (კატა) – მეტის-მეტად აზიზი და საყვარელი.

ყველა ზემოდასახელებული ზოონიმი წარმოადგენს სახელმდებელი ობიექტის, ამ შემთხვევაში ცხოველის დახასიათებას, რაიმე გარეგანი თუ შინაგანი ნიშნის მიხედვით.

მეტსახელები

არაოფიციალური სახელი, ანუ მეტსახელი, რომელსაც ამა თუ იმ ქცევა-მანერის, ნიშან-თვისებების, საქმიანობის, გარეგნობის ან სხვა ფაქტორების გამო არქმევენ ადამიანს, ფართოდ არის გავრცელებული სინგილოში. შერქმეული სახელები საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა სახელწოდებით გვხვდება. ესენია: „თიკუნი", „კილი", „სახინკარი", „მირქმეული სახელი", „ბუნი" და სხვა. საინგილოში მეტსახელი -„ნაყაფსახელი"/„ლაყაფსახელით" დომინირებს. ეს უკანასკნელი ძველ ყაჯს, უვარგის, დაობებულსაც ნიშნავს. ეს უძველესი გაგებაა. ამავდროულად ტერმინი ძველი საგვარეულო წარმომავლობის მაჩვენებელიც უნდა იყოს.

შერქმეული სახელი გამოხატავს სახელდების ძირითად მოტივს, ხოლო რაც

შეეხება მეტსახელს, ის მიესადაგება იმ „შერქმეულ სახელს, რომლის დეტონანტს სხვა (ოფიციალური, ძირითადი) სახელიც მიესადაგება" (პ. ცხადაია, 150). აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ შერქმეული სახელი საერთო ტერმინია, ხოლო რაც შეეხება მეტსახელს, ის კი მისი თანამედროვე სახეობაა. ხშირად ოფიციალური სახელი მივიწყებას ეძლევა და პიროვნება მთელი სიცოცხლის მანძილზე მეტსახელით მოიხსენიება.

ამა თუ იმ საგნის სახელში უმეტეს შემთხვევაში ასახულია არა ძირითადი, არსებითი, არამედ თვალში მოსახვედრი მეორეხარისხოვანი ნიშანი. ამიტომაც მეტსახელში ადამიანი გაცილებით მეტ ფიზიკურ ნაკლსა და უარყოფით თვისებას ხედავს. საინგილოში არ არქმევენ ძალზე დამამცირებელ, შეურაცხმყოფელ მეტსახელს, თუმცა არც უარყოფითი შინაარსის მქონე, მსუბუქად გამკილავი ირონიული სახელი არის სასიამოვნო. უარყოფითი შინაარსის შემცველი სახელის შექმევისას გარკვეულ როლს ასრულებს თავშეკავებისა და შიშის მომენტიც.

ინგილოური მეტსახელების სრულად გამომზეურება ახლომომავლის საქმედ გვესახება. აქ წარმოვადგენთ მხოლოდ მოსულის ფაქტებს.

აკულა – ზვიგენივით გრძელი თავისა და წვეტიანი კბილების გამო შერქმეული სახელი.

ასუ – ეს საკუთარი სახელის ასადულას შემოკლებულ ფორმად გვესახება, მოგვიანებით რომ მეტსახელად მოგვევლინა.

აფთექჩი – აფთიაქში მომუშავე ადამიანი. ჩი სუფიქსი ხელობის მაწარმოებელი აზერბაიჯანული სუფიქსია.

აღსაღი – კოჭლობის გამო დარქმეული სახელი.

აშიღი – ჩანგურზე მომღერალი (აშუღი).

აშხლართული – ტანაყრილი, მაღალი ადამიანი.

ახუნჩული – მხრებში მოხრილი, უშნო შესახედავი. მეტსახელად იხმარება.

ბაბუჭი – გვარიდან უნდა მოდიოდეს.

ბაკი – ცხვრის სადგომი. ბაკუ – ბავშვის ენაზე ბეკეკა. არის საგვარეულო ბაკინები.

ბაინკა – მამაკაცის მეტსახელად იხმარებოდა. საერთოდ საწყლის, არაფრის მქონის, შესაბრალისის ეპითეტია.

ბანცი – მსუქანა, ტანადი, ბანცი-ბანცით მოსიარულე ადამიანი.

ბაცნი – დედაჩემი ბავშვობაში ამ მეტსახელს მეძახდა. უნდა მოდიოდეს რუსული სიტყვიდან „პაცანი", ინგილოურში რომ ბაცნის ფორმა მიიღო.

ბაცუ – სიარულთან უნდა იყოს დაკავშირებული,: ბაცი-ბუცით მოსიარულე.

ბახა – მამაკაცის მეტსახელი. უნდა მომდინარეობდეს ბახალ-იდან, რაც შვილის სინონიმია.

ბახი – დაკავშირებულია საგვარეულო სახელთან. საერთოდ, ბახი-ბაყიდან მომდინარე ჩანს, რაც ერთგვარად თავისებური სიარულის აღმნიშვნელია. „რა ბახ-ბახით მოჰდიო"– იტყვიან უშნოდ მომავალზე.

ბაცა – ეს მეტსახელი „პაცანიდან" მომდინარე ჩანს.

ბახტავარი – უდარდელი ადამიანი. ითქმის იღბლიანზე, რომელსაც ნაკლები სადარდებელი აქვს და ბევრი – სამხიარულო.

ბენჩუ – აღებულია სიმღერიდან: „ბენჩუ შელებია, ენუ ელენძია, ბაქა-ბიქ ელენძია".

ბერზნელი – უსუფთაო, ჭუჭყიანის აღმნიშვნელია.

ბიზი – ფეხსაცმლის შესაკეთებელი ხელსაწყო – სადგისი. ამ შემთხვევაში გაგებულია, როგორც მჩხლეტი ხელსაწყოს მაგვარი ადამიანი.

ბიო - „ბია-ბია"! ინდაურების მისახმობი ძახილია. ამას კი დაუძახია „ბიო-ბიო".

ბიღლუ – გამოირჩეოდა წვერ-ულვაშით, რის გამოც დაარქვეს ულვაშა, ანუ „ბიღლუ" (აზებ.). შეადარე დ. გურამიშვილის ტაეპი: „ფუ, შენ, ჩემო ულვაშ-ბიღო!"

ბლუვი – ენაბლუობის გამო დაერქვა.

ბოზოლანი – მწითურა ბიჭის ეპითეტია. შესაძლებელია ეს იყოს ლაზურში დღემდე შემორჩენილი სიტყვა ბოზი - ლამაზი. იქნებ ეს იყოს ლამაზბიჭა-ს აღმნიშვნელი.

ბოჭკა – დიდი ტანადობის მქონე ადამიანი. მიღებულია რუსული სიტყვიდან „ბოჩკა".

ბრადიაგა – სასმელის სიყვარულის გამო შეარქვეს. მოხეტიალე მსმელი, რომელიც უსაქმოდ დაეხეტება. მოდის რუსული სიტყვიდან.

ბრიგადელი – სოციალისტური წყობის დროს სოფელი ბრიგადებად იყო დაყოფილი. ბრიგადის მეთაურს „ბრიგადირი" ერქვა. აქედან დისიმილაციით მივიღეთ „ბრიგადელი".

ბრიმა – დაუნახავი, ბრმა, რომელიც სიკეთეს ვერ ხედავს და არ აფასებს.

ბრუტიანი – მოუსვენარი, ხუშტურიანი ადამიანი, რომელიც მოსვენებას არ აძლევს სხვებს (მოდის ბრუციანიდან).

ბოყო – სიმსუქნის გამო დაარქვეს.

ბურდო – ხშირი ხვეული თმების მქონე, რომელიც ყოველთვის უშნოდ, თმებგაბუებული დადის.

ბუღა – გალაღებული, ყველაფრის ჩამდენია. შედარებულია დაუკოდავ

ხართან.

ბუღალტერი//ბუხალტერი – წლების განმავლობაში ბუღალტრად მუშაობდა და ამის გამო შეარქვეს.

გაბერული – დიდი მუცლის მქონე ადამიანი.

გარინჩა – ფეხბურთელი გარინჩას პატივსაცემად, რომელიც კარგი მოთამაშე, მაგრამ კოჭლი იყო. გრძელი ხელები და დაგრეხილი ფეხები აქვს.

გაღლეტული – საქმეს ყოველთვის თავს არიდებს. არაფრისმქონე ადამიანი.

ამნაყარ - ამოყრილი (მიწიდან) - ამნაყარ კართოფლი მეშუკში ჩაყარა. ამნაყარ - ეჩოთი ამნაყარ ვარცლ (როსტ.).

ამნაწან - ამოწნული ღობე. შენ ამნაწან ღობე დაშალა. ამნაწან (როსტ.).

ამნავროტ - ამოხვრეტილი. მაგი ამნავრეტი რანდა იქნოს. ამნავროტი (როსტ.)

ამობერტყვა - ნ. ომობერტყვა.

ამოქაქანება - ნ. ომოქაქანება.

ამოჭეჭყვა - ნ. ომოჭეჭყვა.

ამჟიება - გაფუჭება, დამჟავება. ანამჟიევ. წუხანდელ ფლავი ამჟიებულა. ამჟიებაჲ- ნ. დამჟიევაჲ (ღამბ.) როსტ.

ანადგომ - ამდგარი. ანადგომ ინსანი აღარ დაწება. ანადგომ (როსტ.). ანადგომ- დანაუდომი. ანადგომ- დანაუდომი

წაუდა.

ანადულევ - ადულებული. ანადულევ წყალი დასხი წრნს. ანადულევ (როსტ,).

ანავარ-ჩანავარი - ამვლელ - ჩანავარი. ანავარ-ჩანავარს ნუ უყოფავ არ გითხარია? ანავარ ჩანავარ (ღამბ.).

ანგალი - ნაკლი. ბევ ეზება, ანგალი ვერ უპოვნა.

ანამჩორევ - დაობებული. ანამჩორევ

საჭმელევ ვყრით. ანამჩორევ (როსტ.).

ანაფაყრ - ოდნავ წამოწეული. ანაფაყრ დროზე თქენც შრმეხელეთ. ანაფაყრ (როსტ.).

ანალუკმი - მცირე დანაყრებული. დილაზე ანალუკმი ვარ. ანალოკმ (როსტ.).

ანამელი - დამწვარი გემოს მქონე საჭმელი. ანამელ ისტიჟალი მის რაში უნდა. ამელაჲ (ღამბ.). ამელვა (მენთ.). ამელილი - გიგ., თოფ., ქავთ. (კახ.-ქიზ.).

ანდუზი - მსხვილფოთოლა მცენარე, კურმუხო. ინაი დაადებლა ანდუზი ფოთოლი მაიღი. ანდუზ (აზ.) -ერთგვარი ბალახი, გრძელი და ბრტყელი ფოთლები აქვს (ღამბ.) კულმუხო (მაყ.) ; ანდუზ (როსტ. ჳანგ.).

ანდღუებაჲ // ანდღიებაჲ - ამღვრევა, ამღვრეული. ანადღიებ. ანდღუებულ წყალში ჭიჭყანა არ დგებაყე ამდღუევაჲ - ამღვრევაჲ (როსტ.).

ანკარა - აკვნის ერთ-ერთი ნაწილი, რითაც ბავშვს არწევენ. ანკარაზე ზივევ ვკიდევდით. ანკაროჲ - აკვნის კამარა, აკვნის ხელმოსაკიდები ჯოხი (ღამბ.). ანკაროჲ - ხელით საჭერი აკვნის სწორი ხე, სახელური (როსტ.).

ანჟახ - ოღონდ, მხოლოდ. მე ვერ მუვალ, ანჟახ სხოს გომოვგზავნი. ანჟახ (აზ.) - ღამბ. ანჟახ (იმნ.). ანჟაღ - (გიგ., თოფ., ქავთ.) (ჯავახ. იმერხ.); (მენთ.).

ანსულება - ცუდი სუნის დაყენება. არ ვიცი რა იქნა, ნაგახტან აანსულა, წავდა. ამსულევავ, იგიევა, რაც აყროლევაჲ (ღამბ.). ასულება (შან., ვაჟა I).

ანჩორება - აშმორება, დალპობა. ჯორცი ანჩორებასუკან მის რაში უნდა? ამჩორევაჲ (ღამბ.).

ანწლი - სარეველა მცენარე. ღობესთან ანწლი ომოსულა.

ანწლიანი ყოროღები - სახნავ- სათესი მინდორი ს. ითითალაში.

აპარანი გოუწყიტა - ძალის გამოცლა, ბარაქის გამოლევა: მაგამ ჩონ პურს, აპარანი გოვწყიტა. აპარან გაწრყოტაჲ (როსტ.) შდრ. ბარაქათ გაწყრტა. აპაპაა//აპაპაპა - გადაჭრით უარის თქმა. აპაპაა მაგას ხელ არ მოვკიდევ. აპაპაპა - სრულებით არა (როსტ.). აპაპაპა (კირ.).

აპევრი - ტაბიკების შესაკრავი. აპევრით ტაბიკევს ვამბავდით. აპაური (ი. აბ., ჩუბ.); ამპოური (ჟღ.); აპევრ, აპეურ, აპრვრ (ღამბ.).

აპილპილება - გაცხარდება, გაღიზია-

ნდება, წითელი ფერი დაედება. აპილ-პილდება. ჟავრისგან ფერი შეეცოლა, აპილპილდა.

აჟალი - აღსასრული, დრო სიკვდილისა. მაგა აჟალი უჟე მოჰდგომია.

აჟალღება - დამყნობა: ,,გაჰრაი აჟალღება მინდა". დაჟალღევაჲ (ჯ.ანგ.)

აჟანჟლა - არევა, აწეწა რისამე. აჟანჟლული. შენ საქმი აჟანჟლა ნუ გიყუარს. აჟანჟლაჲ - აწეწა, აბურდვა, არევა, აჩეჩვა (ღამბ.)

აჟგაინი - მოცლილი. მე აჟგაინი რახან ვარ?

აჟდაჰა - ურჩხული. წინ ერ აჟდაჰა შახტო.

აჟდარი (დიდი, პატარა) - სოფელ მოსულის უბნები.

აჟი- ხევი. მოედინება ს. ალმალუსა და ალიბეგლოს მინდვრებს შორის.

აჟილლა - ულაყი ცხენი. აჟილლა ცხენი არ იყიდო! აჯილლა - ცხენის კურატი (საბა).

აჟილი - ღვარძლი. მაგამ შენზე აჟილი იყარა.

არა - დრო, ხანი. პაშტა არა გავდა არ გამოჩნდა.

არაბირ - ხანდახან, დროდადრო. არაბირ მოდისყე ჩონსა.

არაჲ (აზ.). შუალედი, შუაში მოქცეული ადგილი;შუალედი, ინტერვალი, მონაკვეთი (ღამბ.). არაჲ (ჯ.ანგ) -ხანი; არა-არ არის (როსტ.).

არაბოლლი - აქლემიანი კაცი, რომელიც სოფელში დადიოდა ყიდდა ნავთსა და მარილს. არაბოლლი ეტარება კარი-კარ. არაბოლლიჲ (აზ.)-მეაქლემე, რომელიც ყიდდა მარილს (ღამბ.).

არავშო - არაუშავს. არავშო, დეე ნუ მოვდეს, დაინახავს რას ვუყევ.

არაკუნევაჲ - დაუფიქრებლად, უთავბოლოდ ლაპარაკი. არაკუნევს. ჰეგი თავიბეი არაკუნევს.

არალული - ღარი, ღრიჭო. ნედ ფიცარი პოლი არალულ აზლევს. არალული,

არალოლ (აზ.) - დროის შუალედი (ღამბ.).

არამი - იხ. ჰარამი

არასათი - მეორედ მოსვლა. არასათი დადგომაში რანდა ჰქნო".

არაყარიშტურანი - ამთელი, ამრევი. შენ არაყარიშტურანი ნუ ხარ, ეიქაი დაიკარგე!

არბაი (აზ. არვა) - საჭაბე, საცავწონა (ღამბ.) ნ. აბრა (საბა, ჩუბ., ჟღ.); (შდრ. ჭყ., ქეგლ., ძოწ.).

არგაახარებელო - წყევლა. შე არგაახარებელო.

არ გაჰტყრო - ფიგურ. გამოთქმა, როცა ვინმეს ტყუილში გამოიჭერენ, მაშინ იტყვიან. არ გაჰტყრო, არ გავარდა (როსტ.).

არდევა - დიდი ტანის ზღაპრული არსე-

ბა, რომელსაც ადამიანი ვერ უძგება. ერ დიდ არდევა გომოვდა წინ. არდევაჲ, ნარდევაჲ - იგივე უნდა იყოს, რაც დევ-ის მნიშვნელობა (ჳან.) -ღამბ. არდევაჲ - ზღაპრული გოლიათი, დიდი ძალის მქონე (ჳანგ.); არდევაჲ - ბაყბაყდევი (როსტ.).

არვარგი - ცუდი, უვარგისი. არვარგ ყაბ-ყაშული გადაყარე. არვარგ (ღამბ. როსტ.).

არზუ - წადილი, ოცნება, სურვილი, ზმანება. ჩემ არზური მაგათ გათხიება.

ართმა -საჭმლის ალაგება. ართმა კარგა იცის, მორთმა - არ. ართმაჲ (როსტ., ღამბ.).

არმატიანდაღ//არმატიან - მთა სოფელ სუვაგილის ზემოთ.

არნანდომი - არასასურველი, ვინც არ გინდა. შენ არ ნანდომ ინსანი არ მაიყონო. არნანდომ, არნამდომ (ღამბ.).

არჟემლი ღელე - ღელე სოფელ ალიაბადსა და ვერხვიანს შორის.

არსათქმელები - არა საჭირო, უხეში სიტყვები. მაგამ პირზე მანადგომ არსათქმელები უთხრა.

არსათქმელევ - იგივეა, რაც უთქმელევ (ღამბ.).

არსაჯმარი - შესანახი, არსად სახმარი. არსაჯმარ ყაბ-ყაშული ცალკე დაალაგე.

არტახი - ბავშვის აკვანში ჩასაკრავი მაგარი შესაკრავი. არტახები კარგა მოვჭირე, არ დაბოშდეს.

არტახევ - წვრილი და მოკლედ დაჭრილი ჯოხები საწნახელში ჩასაწყობად. იგივეა, რაც სარღლი კავლუჲი (ღამბ.). არტახი (კირიონი).

არუხი - გამხდარი, დაბალი ტანის მქონე. ერ არუხ რაიმერი, შეგეშინდება. არუხ- გამხდარი, ნაზი (როსტ.).

არშავ მინდორ - სახნავ-სათესი მინდორი ს. თასმალოში.

არწყა - რისამე არწყვა. არწყას, არწყული; არწყი მემრე ჩოუყარე არ მოგატყუოს. არწყაჲ - აწყვა, არწყვა (ღამბ.).

არხაინ ქნა - დაწყნარება, დამშვიდება. არხაინ; შენ არხაინი იქენე, მე გაქითებივარ შენ საქმეს. არხაჲნ ქნაჲ (ღამბ.).

არხი - თხრილი, არხი. არხი გათხარა წყალი დააგებლა.

არხლუღი - გრზელი ლაბადა. არხლუღევ ეხლა არ იცმენ. არხოლოღ (აზ.) -ახალუხი (ღამბ.). არხლუღი - ზედა ჩასაცმელი, ახალუხი. არხლოღ - მამაკაცის და ქალის ზედა ჩასაცმელი ახალუხი (როსტ.) ახალოღი (ხუბ.).

ასა- ხელჯოხი. ასა კრებთან მიაყუდა, შავდა.

ასას - საფუძველი, არგუმენტი, მიზეზი. ასას საქმეებს შაჰხე. ესას (აზ).

ასას მაღსაბი - ძირითადი მიზანი. მაგი მოსლი ასას მაღსაბი რა იყო?

ასევლობა - საერთო ავადმყოფობა. რა გუკურს, ეხლა ეიგე ასევლობაარი. ასევლობაჲ - ინფექციური ავადმყო-

ფობა ერთგვარი (ღამბ.). ასევულოვაჲ -იტყვიან, როცა რაიმე გაჭირვება ან უბედურება აწევთ და ვერ იშორებენ თავიდან (როსტ.).

ასევნა - დასევა, დახვევა. ფოთლებ ჭია აჰსევია. ასევნაჲ (ღამბ.,როსტ.).

ასკარი - ჯარი, ჯარისკაცი. ასკარში არ მინდა წასლა. ასკარ (აზ.) -ჯარი, არმია (როსტ.); ასკარ -ჯარი, ჯარისკაცი (ღამბ.); ასკარი (იმნ. ჯანგ.). ასკერი - გიგ. ,თოფ., ქავთ. (ჯავახ.).

ასმა დახურა - ჩალის დახურვის ერთ-ერთი ხერხი. უწინ ჩალაჲ ქნაში სახლევ ასმას ვხურავდით. ასმაჲ (აზ.) ისლით სახლის დახურვის ერთგვარი წესი; ამგვარი წესით გადახურული სახლის სახურავი (ღამბ.). ასმა, ასმა დახურაჲ (როსტ.).

ასჟურა დაატრიალევა - ათასნაირად დაატრიალება. ასჟურა ატრიალა. ასჟურა ატრიალა ზლივ აიღა.

ასჟურა დახილა - ძირფესვიანად შემოწმება. ასჟურა დახილა, მაგრამ ვერ იპოვნა.

ასრომა//ასრიმა - ძაღლების ჩხუბში მონაწილეობა. თქენ ზაღლი ასრიმეს გოვშეს.

სრუტუნევა - ცხვირში მოჭერა. სრუტუნევს; ფინთა ასრუტუნევს, გაცივდა.

ასტომა - აცდენა, დაცდენა. ასტა; გზაში ერთმანეთ ასტნენ.

ასტა-ასტა -შიგდაშიგ, დროგამოშვებით. სიმინდები არაში ასტა-ასტა ლებუა გოვში, ასტა-ასტა წუმს. ასტა-ასტა - ადგილგამოშვებით, ერთის გამოტოვებით, შიგადაშიგ (როსტ.).

ასტამი - თონიდან პურის მოსაფხეკი რკინის იარაღი. პურ დაახდელა ასტამი მამიღი. ჯან. მენთ. ქაჯ. საბა, ჩუბ. ჭინჭ. ვაჟა, ძოწ ასტამაჲ (ხუბ.). ნიჟ. გიგ., თოფ., ქავთ. (ფერეიდ.).

ასტარი - სარჩული. ვერღნი ასტარი მაქონ შააკერელი. ასტარ (ღამბ.). ნიჟ., გიგ., თოფ., ქავთ. (ფერეიდ.).

ასტენა - აცდენა. ასტენს, დაასტინა; ესროვნა, მაგრამ აასტინა. დასტენაჲ, ასტენაჲ - დაცდენა, აცილება (ღამბ.) სტენა, დაასტინა, ასტა (ჯან.) დასთომილი, დაცთომილი (საბა). ასტენაი - შეცდენა, მოტყუება; ერთის გამოტოვება, ერთის გამოშვება (როსტ.).

ასუნები - საგვარეულო სოფელ მოსულში.

ასუყა - ასუყვა, ზომაზე მეტად დანაყრება. ასუყევს, ასუყებული; ქონიან ხორაგმა ასუყა იცის.

ასუსტიან. ასისტიანობა - ს. ალიაბადის ერთ-ერთი უბანი.

ასწროვა//აჰწროვა - გასწრება, შესწრება, მოულოდნელად თავზე წადგომა. აჰწროვს; ჰეგინ წაი, ნახო აჰწროვა? ასწროვაჲ//აჰწროვაჲ (ღამბ.).

ასხალა - ხის ტოტების წაჭრა. სხალავს, ასხალულა; ჩომოყრილ ტოტები

ასხალე!

ატანა - ალება. ცული ატანა კარგა იცი, მოტანა არ. ატანაჲ -ხელში ალება (როსტ.).

ატკრეცა - გავარვარებულ ღუმელში ცომის აწვა, ნახევრად გამომცხვარი. ატკრეცილი//ატკრეცული; მაგი ატკრეცულ ლავაში მის რაში უნდა? ატკრეცა, ატკრროცა - ცხელ თონეში პურის აწვა, დაწვა (ღამბ.). ატკრეცა (ჩუბ.), მენთ. მარტ. იმნ. ტკრცოლა -მხურვალი ქვის დახეთქა (საბა).

ატლინკება - უშნოდ ფეხების ქნევა, უხეიროდ ცეკვა. ტლინკავს, ტლინკვა; შენ მაგი ატლინკება არ დაგინახავ. ატლინკევაჲ, დატლინკევაჲ, ტლინკოვაჲ - ტლინკების სროლა, ხტუნვით გაქცევა (საქონლისა); გადატ. აყირავება (ღამბ.). ატლინკევაჲ, ტლინკავს, ატლინკდა, ანატლინკევ (როსტ.).

ატმი მინდორი - სახნავ-სათესი მინდორი სოფელ მოსულში.

ატრაყეჩა - ერთად შეყრილი, დალაგებული ნივთები. დედაკაც თავი მანატან ატრაყეჩა გოდოუყარა ეზოში. ატრაყეჩა -სხვადასხვა ნივთების ერთად თავმოყრა, უწესრიგობა. ატრაყოჩაჲ - არეულობა, უწესრიგობა, აურზაური (ღამბ.). ატრაყეჩაჲ, ჯანჯალი, მოუწესრიგებელი ადამიანი (როსტ.)

ატრუნჩა//დატრუნჩა - უკმაყოფილება, გაბუტვა. რაჲ ქნა, რაიბე ნაგახტან აიტრუნჩა? ატრუნჩაჲ//დატრუნჩაჲ -ტუჩის აბზუება, ცხვირის აწევა (ღამბ.). ატრუნჩაჲ - ტუჩის მალლა აწევა, ამრეზა (როსტ.).

ატურტურება - აკიდება, აყოლა. აიტურტურა, აიტურტავს. ინსნიბეჲ ატურტურება რაიბე იცი? ატურტურება (ღამბ.).

ატყარტყარება - დასუსხვა, კანის ცემისგან ან ცეცხლისგან. ბითოვ ზურგი ატყარტყარებულა. ატყარტყარევაჲ - დაფორაჯება, დასუსხვა, წითლად დაჭრელება კანისა (ღამბ.).

აფაყრა - ამობურცვა. გადატ. ითქმის ერთდროულად წამოდგომაზე. აფაყრულა. აფაყრული. ცოტახანს უკან სრუნი აიფაყრნენ. აფაყრაჲ -გადატ. უშნოდ, ზლაზვნით ადგომა (ღამბ.). აფაყრაჲ - კანის ამობურცება (როსტ.).

აფლასუნებს - ფეხს ითრევს. ფეყევ ზლივ-ზლივ აფლასუნევს.

ფლასუნ, აფლასუნევაი -ფლასუნი, ფეხების თრევით სიარული (ღამბ.)

აფომფილი - დაუტენლად ჩაყრილი (ფქვილი ან მისთანები). აფომფილ ვედრა ჩამიყარა.

აფუებაჲ - ცომის გამზადება პურის გამოსაცხობად. აფიებს, აფიებული. ცომ აფუებასუკან ვაგუნდიევთ.

აფუნკა - აშლა, არევა, არეული. აფუნკულს. აფუნკულ სახლი არ დამხტეს. აფუნკაჲ, აფუნკულ -უწესრიგოდ აყრილი (როსტ). აფუნკაჲ, დაფუნკაჲ (ღამბ.). იხ. აფუნჩვა (საბა). აფუტკვნა

(ჩუბ.).

აფშრუკა - წყალში ასრესილი ფქვილი და მისთანები. აფშრუკული, აფშრუკულს. წყალში ცომ ვფშრუკავთ, მემრე

ვზელავთ. აფშრუკული- ცოტა წყალში ხელით ასრესილი ფქვილი (როსტ.).

აქა-იქი - ალაგ-ალაგ. შენ დათესულ პური აქა-იქ ომოსულა.

აქა-იქ - თხლად, მეჩხერად (როსტ.).

აგრ - აქეთ-იქით (ღამბ.). შდრ. თექთუქ.

აქავრობა - აქაურობა. შენ აქავრობას თოლი არ მააშორო. აქავროვაღ, აქაუროვაღ, ექავროვაღ, ექავროვაღ-აქაურობა (ღამბ.).

აქათიან - აქეთ. შენ აქათიან დედექ, ჰეგი იქითიან.

აქათყენ - აქეთ, აქეთკენ. აქათყენ ფეყი არ გადმააბრუნო. აქათყენ (როსტ.).

აქათყენ-იქითყენ - აქეთ-იქით, აქათკენ იქითკენ. რა აქათყენ - იქითყენ იჭრიტები? აქათყენ- იქითყენ (როსტ.).

აქთონ//აქთენ - იმდენი. აქთონ ვილაპარიკე, დავღალე. აქთონ, აქთონ, ექთონ ქნა - ქონა, ყოლა. აქო. მაგა ბევრ ვარ-დრვლათი აქონ. აქო (როსტ.).

ალა - ბატონი. ალაღ ქალ მინ მოგცემს?

ალაბეგიინები - საგვარეულო სოფელ ალიაბადში.

ალააჰპახი - გაქათქათებული. სარუჩკა ალაჰპალი ქნილა.

ალბულალი//ალბულაგ - მთა კავკასიონის ქედზე. დალისტნის საზღვარზე, კახის რ/ნ სიმაღლე-3. 072 მ.

ალი ფერი დადება - გაფითრება. ალ ფერი დეედო, შიშით ალ ფერი დეედო.

ალი - ნარმა. ოთახში ალი ფერდები ჩომოჰკიდა. ალ (აზ.). მიტკალი, ნარმა (ღამბ.). ალ (იმნ., ჯანგ., როსტ.).

ალიზი - ხსენი. ბატკან ჟერ ალიზი მოწოვნა არ დოვგდია. ღიზ (აზ.) - პირველი რძე მოგების შემდეგ (ღამბ.). ალიზ - რძე შობისთანავე ჩამოწველილი (როსტ.).

ალილი - ფარეხი, ბოსელი. ზროხას ადრე ალილში ვინახავდით. ალილ (აზ.) - პირუტყვის საგაზაფხულო სადგომი (ღამბ.). ალილ (ჯანგ.); (შან.რეც., ჩიქ., ქობ., როსტ.). ჰალილი (ნიჟ. გიგ., თოფ., ქავთ., ჯავახ.).

ალილსუზი - უგნური. ალილსუზ ინსანი ნუ შაგხტება.

ალლივანწება - მცენარის წვრილად სიმაღლეში ზრდა. ალლივანწებას, ალლივანწებული. ალლივანწებულ ქინზი არ იყიდო. ალლივანწევაღ - ბოსტნეულის გაწოწოლავება, უცბად გაზრდა, ღეროს წაგრძელება (როსტ.) ნ. ღლივანწი.

ღრაჭუნ//ღრაჭუნოვა - საჭმლის უშნოდ, კბილების ღრაჭუნით ჭამა. ალრაჭუნევს. ჰავაღ კბილევ ნუ ალრაჭუნევ.

ალსალი - კოჭლი. ალსალოვს. თქენსა

მანასულ კაცი აღსაღი იყო. ასაღ, ასაღოვაჲ, აღსაღოვაჲ , აღსაღ (როსტ.). ახსაღ, აღსააღ, აჰსაღ (აზ.) -კოჭლი (ღამბ.). აღსაღი (იმნ.) ახსაღ (ჯანგ.).

აღსუ - მდინარე, ჩაედინება ქურმუხში.

აღუ - შხამი, საწამლავი. აღუ ჩოვყარა საჭმელში. აღუჲ (იმნ.). ავღუჲ (ჯანგ.).

აღუ - გადატ. მინიშნებით ეუბნებიან მოზრდილებს, რომელსაც საქმის გაკეთება არ შეუძლია. ჟერ პატრარი, აღური. აღუ (კირიონი) .

აყაბრება - ნ. ყაბარ- ყაბარ ქნა.

აღ ქილისა - თეთრი ეკლესია. დასახლებული პუნქტი (ბელაქნის რ/ნ) საინგილოში.

აყარი - სხვენი. უწინ ნასულელს აყარზე ვინახავდით. აყარი -სხუჰნის ლატანი ბინა საკადრისა (საბა), ჯან. ედილი, ქეგლი, იმნ. ძნეულის ან სხვენის ლატანი (ჩუბ.). (როსტ., ღამბ.)

აყაყა//აყოყა - უშნოდ მაღლა აწევა, ტანაყრილი. აყაყული; აყაყული იდგა ჩონ წინ, რას დავნახავდი? აყოყაჲ, აყონყაჲ - აყაყვა, უშნოდ ამართვა (ღამბ.). აყაყვა, აყაყული (საბა). აყოყილი (მენთ.). იყაყვება - მაღლა სწევს (თავს), კისერს ძაბავს (ჭინჭ., ვაჟა).

აყელთა - სიბრაზით ყელამდე ავსება. აყელთული, აყელთულს. მაგამ რა აყელთა ინსანი. აყელთაჲ, ომოყელთაჲ, შაყელთაჲ, მოყელთაჲ - თავის მობეზრება (ღამბ.); შაყელთება (მენთ.). შეყელთება - მეტად გულის მოსვლა (მარტ. იმნ.).

აყლარწუნევა - ლაპარაკისას ნერწყვს ყლაპავს. აყლარწუნევს. შაჰხე, როგო აყლარწუნევს.

აყოლება - გამოწვევა სამოქმედოდ. იყოლიევს. შენ აყოლება ნუ იცი. აყოლევაჲ (როსტ.). აყოლევაჲ - იხ. ატეხვაჲ .

აყოლა - საუბარში ჩაბმა. მაგიბეჲ აყოლა არ მინდა. აყოლევაჲ, აყოლაჲ-იგივეა რაც ატეხვაჲ (ღამბ.). აყოლაჲ (ჯან.); აყოლევაჲ -იხ. ატეხვაჲ (როსტ.).

აყრა - გადასახლება, რისამე წაძრობა. აყრას, აყრილა. აყრა, შორს წასვლა კი რაიმე არა, ფიცრები აჰყარა. აყრაჲ - გადასვლა ერთი ადგილიდან მეორეში; აძრობა, წაძრობა (ღამბ.). ჩამოყრა - ხირხლების გამოძრობა (ჯან.). წაიყრის, წაუყრავ (შან.). აყრაჲ - აძრობა, აცლა (როსტ.).

აყრაპი - მორიელი. აყრაპი რომ გომოვდეს არ მეშნიან. აყრაპ (აზ.) - მორიელი (ღამბ., ჯანგ.).

აყროვლება - ამყრალება, ცუდი სუნის დაყენება. ფინთა აყროვლება იცის. აყროვლევაჲ (ღამბ. როსტ.).

აყრომა - თავისით აძრობა, წაძრობა. აიაჰყაბი ზირი აჰყრომია. აყრომაჲ, წაყრომაჲ, მოყრომაჲ, გაყრომაჲ (ღამბ., როსტ.).

აშაღი თალა- სოფელი ზაქათლის რაიონში. რაიონული ცენტრიდან სოფლამდე 5კმ. დაშორებაა.

აშაჰ ქნა//ჰაშა ქნა - უარყოფა. დაინახია როგო ჰაშა ქნა. აშ ქნაჲ , აშითგ(ო) მიღევაჲ (ღამბ.). აშაჲ ქნა - უარყოფა (ჯანგ.).

აშარკლა - უშნოდ ჯდომა ან წოლა. აშაკლას, აშარკლული. მაგა აშარკლა უყუარს. აშარკლაჲ//გადაშარკლაჲ - იგივეა, რაც აბარკლაჲ (ღამბ.); აშარკლაჲ -უშნოდ წოლა (როსტ.) აშარკლულ -აპლაკული (ჯან.).

აშიევს -შავად მოჩანს, შავი ფერისაა: ერ რაიმე აშიევს. აშიევს (ღამბ., როსტ.).

აშიღი - აშული. მაგი ქორწილში აშიღი მაიყონეს.

აშკარა - ცხადად, ნათლად. მაგა დამალა რაშ უნდა, აშკარია სრუიბეჲ აშკარ (აზ.).

აშლა - არევა. შლის, რევს, თელავს. რაჲბე ჰამეშა აშლა გიყუარს.

აშორა - აშვერა (ფეხის). მაგამ რა ფინთა აშორა იცის. აშორაჲ - აშვერა (ღამბ.).

აჩარი//ჰაჩარი - გასაღები. ჰაჩარი მამიღი კარი გავაღო. (ჰ)აჩარ (აზ.) -გასაღები (ღამბ.) აჩარ, ჰაჩარ (იმნ. ჯანგ,)

აჩაფლევა//აჩაფლება//გაჩაფლება - გაჭუჭყიანება. წყალ ნუ აჩაფლევ ლაზიმი საქნია. აჩაფლევაჲ ნ. გაჩაფლებაჲ - გაბინძურება, გასვრა, ჩასვრა (ღამბ.), აჩაფლევაჲ (ჯანგ.).

აჩაჩა//ჰაჩაჩა- მიწის სახნავი. უწინ ჰაჩაჩაითი ხნავდით მიწას. ჰაჩაჩაჲ, ჰაჩეჩაჲ (ღამბ.); ჯან. იხ. ჰაჩაჩა.

აჩაჩულ - დაჩაჩული - უშნოდ ჩაცმული. რა ფინთა აჩაჩულ-დაჩაჩული ეტარები.

აჩემება - რისამე კატეგორიულად დაჟინება. აჩემებული. რაიბე აჩემება იცი შენ? აჩემევაჲ- მითვისება, მისაკუთრება (როსტ.). აჩემიევაჲ- აჩემება (ღამბ.).

აჩინჩხლება - ჩინჩხლების დაყრევინება. გადატ. გაბრაზება. აჩინჩხლევს. ცეცხლი აჩინჩხლება

ნუ გუყუარს. რა ფინ აჩინჩხლება იცის. აჩინჩხლევაჲ (ღამბ.); დაჩინჩხლება (მენთ.). აჩინჩხლევს (ჭინჭ. ვაჟა); აჩანჩხლევს (ქეშიკ.).

აჩლართა - ათელვა, გადახლართვა. აჩლართული. ფინთა აჩლართა კანაფი.

აჩონჩხილი - უშნოდ დაწყობილი, არეულ-დარეული. შენ დანაყარ შიშა ფინთა აჩონჩხილა.

აჩუნტა//ომოჩუნტა - ,,ველზე განასულ ჰერა აჩუნტა“.

აჩუღრი - ნათელი, ღია. ერ აჩუღ მინდორში გეველეთ. აჩოღ, აჩუღ (აზ.) — ღია, ნათელი ადგილი ეზოში, მინდორში, ტყეში (ღამბ.)

აჩუღ - ღია, ფარღალალა; ღია ბაცი; გარეთ; სახლის წინ მოშიშვლებული მოედანი (როსტ.).

აჩუღ-აიდინი - თვალნათელი. მაგი საქმე აჩუღ-აიდინია.

აჩულა თქმა - ღიად, დაუფარავად თქმა. აჩულა მითხა. აჩულა მითხა რაჲ თქმა გინდა.

აჩული გავდომა - ნათელი გახდა, გამოაშკარავდა. აჩული გავდა. ხეები მოჭრასუკან ეზო აჩული გავდა. ლაპარიკსუკან აჩული გავდა.

გაციევა - ავადმყოფობა, გაციება. დიახ აციევს, სიცხეები აქო, ვერ მუა. აციევს - სცივა (ღამბ.).

აცმა - გადატანით აკლება, აწიოკება. აიცო, ოვცია; იქავრობა თავზე ოუცომ. აცმაჲ (ღამბ.).

აცოტიება - შემცირება. ცოტავდება. წყალი აცოტიებაში დამიზახე.

აცუვლება - არაფრად ჩაგდება. აცუვლევს, ანაცუები. მაგა მინ ანცუვლევს.

აცხიება//აცხრილება - გასუფთავება, გაწმენდა. აცციებს. ეზოში პურს აცხიევს. აცხიევაჲ, გაცხიევაჲ -გაცხავება (ღამბ.). აწითლევს. აწითევს -წითლად მოჩანს. შორსაითი ერ რაიმე აწითლევდა. აწითლევს (ღამბ., როსტ.), აწითებს (ჭინჭ.ვაჯა).

აწილა - მაწვნის დღეებისას კარაქის წვრილი მარცვლების გაჩენა. შახე სადღობელი აწილულაა. აწილაჲ (როსტ.). აწილაჲ, ჩაწილაჲ (ღამბ.) ჯან., აიწინწკლება (კაიშ.); აჩენა (მარტ. იმნ.).

აწიწინება - აწიკვინდება; აწიწინდება; წიწინოვს. ფინთა აწიწინდება, ინსან ველარ ცნოვს.

აწკირა - ტოტებისთვის წვერების გადაჭრა. წკირავს. ცოტა წორები წალდით აწკირე. აწკირაჲ (ღამბ., როსტ.) ჯან.

აწკლარტება - დამწარება, ამჟავება. აწკლარტულა. დიდხან შანახულ წრლამ აწკლარტება იცის.

აწკნუვლება//წკუნვა - სიცივისგან წკმუტუნი. წკუნავს. ფინთა აწკნუვლება რაიბე იცი? აწკნუვლევაჲ (ღამბ.).

აწყდომა — მიჯახება. დაწყდომა, დაწყდა. კარგა შაჰხე, ნახო რემენ ფიცარი აწყდება კედელს. აწყდომაჲ -ნელა მიჯახება უნებრად (როსტ.) აწყდომინჟახ -მიჯახებამდე. აწყდომინჟახ ხელი გოვში.

აწყობა - დალაგება, დაწყობა. ეწყობას, დაწყობილი. ქერფუჩი აწყობას მოჰჩია?

აჭყანტურევს - ყელში წვდება, დახრჩობა. ჭყანტური. მაგი ვალი მაქონ მაჭყანტურევს. მადსარი იქნება მოჭანტყრევაჲ.

აჭყაპება - ატალახება. ჭყაპი. კალოშებით აჭყაპებულ გზაში როგო გავარო?

აჭყლაპუნევს - უშნოდ ღეჭვა. ჭყლაპუნი. ყბას ფინთა ნუ აჭყლაპუნევ!

ახვაი - მთა დაღესტნის საზღვარზე. სიმაღლე 3488მ.

ახირათზერი - ბოლო წუთზეა. ჰეგინ წაი უჟე ახირათზერი.

ახირათი - იმქვეყნად, საიქიო. ახირათში მოჰკითხენ.

ახირი - ბოლო, დასასრული. მაგი ახირი ჰიგეისია. ახირ (აზ.). ბოლოს და ბოლოს (ღამბ.). ახირ, ახირი (როსტ., იმნ.); ახირ - უკანასკნელი (ჩიქობ.) ; ბოლო დასასრული (ნიჟ.); ახში, არყში -ბოლოს, დასასრულ (მენთ.); ახში- ბოლოს- გიგ., თოფ., ქავთ. (კახ. — ქიზ.)

ახირზამანა - წარღვნა. უჟე ახირზამანა დამდგარა. ახირზამან (აზ.) - ქვეყნის დასასრული, მეორედ მოსვლა (ღამბ.) -ჯანგ.

ახირ-უხური - ბოლო ნარჩენები. ეისია შენ ახირ-უხური. ახირ-უხური - ბოლო დროება, აღსასრული (როსტ.).

ახლე-ახლოს. ცხენი ახლე საქნია. ახლე (როსტ.).

ახლიებში - ახლო ხანებში: ახლიებში თქენსა ყონაღა მასულივარ, ეხლიევში - ახლახან, ახლო ხანში (ღამბ.). ახლიებში (ჯან.).

ახმაზი - მდინარე ჩაედინება ალაზანში.

ახმახი - ყეყეჩი. ახმახი ნუ ხარ წაი!

ახო გამოჯდა - ტყის გაკაფვა, გასუფთავება სახნავ-სათესად. უწინ ახიები გოქონდა ალაზანთან. ახოჲ, ახოჲ გომოჯდა (როსტ.).

ახტარგუში ქნა - საგულდაგულოდ მოძებნა. იქავრობა ახტარგუში ქნა.

ახტრონა - მაღლა აგდება, ასროლა. ახტრონს, ოვხტენია. ყმაწილი ახტრონა ნუ იცი. ახტრონაჲ (ღამბ.).

ახური - საქონლისთვის წნელით ამოწნული საბალახე. ბალახი ახურში ჩოუყარე. ახორი - ბოსელი (ი. აბ.) ახურ (აზ.) - ბაგა დაბმული საქონლისთვის საკვების ჩასაყრელი (ღამბ.); მენთ., ახორი, ბაგა (ჯან.); ახორი- ბაგას ჰქვიან (საბა); ცხენთა ბაგა (ჩუბ.) ბოსელი (ქეგლი. იმერ. გურ.); ახვირი. ახორი-ის ადგილი, სადაც ცხენის საკვებს ჰყრიან (წერ.). ბოსელი (ნიჟ.); როსტ.

ახშამი - საღამო. ახშამი ქნითავ მაგათა წავდეთ ყონაღა. ახშამ (იმნ., ჯანგ.).

ავანჯლა - უშნოდ, ზლაზვნით წამოდგომა. ივანჯლება. ფინთა ახანხლა იცის. ავანჯლაი -უშნოდ აყრა ტანისა (როსტ., ღამბ.).

ავეჯება - უადგილო აქტიურობა. ეჯეჯება. შაჰხე, როგო ეჯეჯება. ავეჯება// ეჯეჯება -ძალად გამოწვევა. ავეჯევაჲ (როსტ.). ავეჯევაჲ,

ჯეჯევა -იგივეა, რაც ატეხვაჲ (ღამბ.).

ავირებული - თავშეუკავებელი, გასაოცარი. ავირება; ერ ავირებულ რამ იყო.

ავოჯილი - უშნოდ წინ დგომა. ავოჯა. ფინთა ავოჯლი იდგა ხალღში.

ავუნჩული - მხრებში მოხრილი. ავუნჩა. ხრებში ავუნჩული რაიბე ეტარები? ავუნჩა - მოხრა, მობუძვა (ღამბ.).

ავჯინოური - კახისა და შექის რაიონებს შორის მდებარე საზამთრო იალაღი.

ავჯი ჩაი - მდინარე კახის რაიონში. ქურმუხიდან გამომდინარე ნაკადი. ჩაედინება ალაზანში. სიგრძე 27კმ.

აჰეს - აი ეს. აჰეს წაიღი თქენსა.

აჰვალათი - შემთხვევა, ამბავი, მოვლენა. დიდ ხნი აჰვალათია. ეჰვალათ (აზ.).

აჰაყაბი - ფეხსაცმელი. აჰაყაბი არ მიყიდა ბაზარით.

აჰალი - მოსახლეობა. ,,დუნიაზე აჰალი აბევრებულა“. ეჰალი (აზ.).

აჰთიათი//ეჰთიათი- სიფრთხილე, მარაგი. ერ ეგე ქენე აჰთიათი ველით არ გოუშო. აჰტიათ, ათტიათ (აზ.) - მარაგი (ღამბ.). აჰტიათ, ეთიათ (ვკანგ.) აჰთიათ ქნა, ეჰთიათ ქნა - ფრთხილად ყოფნა. აჰთიათი ქნა არ დაიმირწყო. აჰტიათ ქნაჲ (ღამბ., ჩიქობ.).

აჰტაჟი - ხელსაწყოები, მასალა. უსტაჲ აჰტაჟი მაიღი ჩონსა. აჰტაჟ - მასალა, ნაწილი რისამე (როსტ.).

ბ

ბააბუარი - არაფერი გაეგება, არაფერი იცის. ჰეგი ერაგე ბააბუარი, მაგა საქმეს მინ დაანდოვს. ბააბუაჲ - გონებაჩლუნგი, შტერი ადამიანი (როსტ.).

ბაადურანები - ბადურაშვილების საგვარეულო შტო სოფელ ალიაბადში.

ბაანა, ბაჰნა - რაიმე საბაბი, შარი. ზალი-ზალი ბაანას ნუ იგონევ. ბაანაჲ, ბაჰანაჲ (აზ.) -მიზეზი, საბაბი (ღამბ.). ბაანაჲ- საბაბი, შარი (ვკანგ.; ბაჰნა (როსტ.).

ბაანა ქნა//ბაჰნა ქნა - იმეზიზებს. ,,ბაანას//ბაჰანას ჩიდის, არ უნდა წასლა. ბაანაჲ მექცევის (ღამბ.).

ბაარადან, ბააჰრადან - თვის, გამო. მე მაგი ბაარადან რაიბენდა დამჟეკონ. ბარადან (როსტ.).

ბაბა - პური ბავშვის ენაზე. პატარა ბაბამიეცე ყმაწილს. ბაბა (კირიონი).

ბაბადაღი - მთა კავკასიონის ქედზე. სიმაღლე 3629 მ. მწვერვალი მთელი წლის მანძილზე თოვლითაა დაფარული.

ბაბათა ქნა - საშუალოდ ყოფნა. ბაბათა ვართ. ერ თაარი ბაბათ ვართ ბაბათ - საშუალო, დამაკმაყოფილებლად (ღამბ.). ბაბათ - არა უშავს რა (როსტ.). ბაბათ ვართ (ვკანგ.).

ბაბალიანები - ბაბალაშვილების - ბაბილაშვილების საგვარეულო შტო სოფელ ალიაბადში.

ბაბანივი ტყე - ტყე სოფელ მოსულში.

ბაბაყული//ბაბაყულია - ვკადოსნური თვალის მქონე ცხოველი. გადატ. ითქმის ადამიანზე, რომელსაც ბოროტება მოაქვს ოჯახისათვის. მაგათა ამბოვენ, ბაბაყული არისო. ჰეგი ბაბაყულია ჩონ თავზე.

ბაბაყული - უხეირო, მავნე,ზარმაცი ადამიანის მეტსახელი (როსტ.).

ბაბი - თანასწორი, შესაფერისი. ჰეგი შენ ბაბი არ არის. აი ბალა, შენ ბაბი ნახე. ბაბ (აზ.) -ტოლი, ფარდი (ღამბ.) ბაბ (როსტ.).

ბაბუჭინები - ბაბუჭაშვილების საგვარეულო შტო სოფელ მოსულში.

ბაგა - ცხოველთა სადგომი. ცხორი ბაგაში შაყარა. ბაგა-ბოსელი ან გომი (ი. აბ.).

ბადია - ლითონის ქუსლიანი დიდი ჯამი. ყმაწილი სანახლა ერ ბადია ფლავი წაიღა. დიდი ჯამი (საბა); ქეგლი. დიდი საწვნე ჯამი (ჩუბ. მარტ.-იმნ.); ერთგვარი ჯამი (სასმისი), შან. ვაჟა II.

ბადიობან - იხ. გროვლობა.

ბადურჟანი - პომიდორი, ბადრიჯანი. ბადურჟანი ჟავე წელს ვერ ავადუღე. პატრიჟან (ალიაბ. როსტ.). ბადიმჟან, ბადუმჟან, ბადირჟან (ღამბ.).

ბაზარი - ნაქალაქარი. სავაჭრო ცენტრი. აქ წარსულში გაამაჰმადიანებულმა კონსტანტინე ბატონიშვილმა მოკლა ძმა სხვა წარჩინებულ კახელებთან ერთად.

ბაზანები - ბაზაშვილების საგვარეულო შტო სოფელ ალიაბადში.

ბაზმა - ჩირაღი. უწინ დროზე ბაზმაითი ვანათევდით. სანათი (საბა) იმნ. ბაზმაჲ (ღამბ.), ლამპარი, სანათი ან კანდელი (ჩუბ.). ნიგზვის ზეთი ანთებული (მენთ.) ზეთის ლამპარი, სანათური (ჭინჭ. ვაჟა;) ქეგლი.

ბათ - გაქრი, დაიკარგე. წა ჲ დაიკარგე, ბათ იქენე. ბათ (როსტ.).

ბათმანი -საწონი ერთეული. გუშინ ორ ბათმან შიშა წაიღა.

ბაი - ყველაფრის მქონე, უზრუნველი. მაგი ხელში ბაჲ ვერ იქნები. ბაჲ (როსტ.).

ბაი გავდომა - გამდიდრება. ბაი გავდა. შენავ ბაჲ გავდი. ბაჲ გავდომა (როსტ.).

ბაჲთალი - უვარგისი, გამოუსადეგარი, უხეირო. მაგ ბაითალ რა უნდა ჰეიქა. ბაითალ (როსტ.).

ბაირამი - მუსლიმანური სარწმუნეობის დღესასწაული. იმართება წელიწადში ორჯერ: ორუჟ ბაირამი - მარხვის შემდეგ იმართება. ყურბან ბაირამი - ამ დროს ზვარაკს წირავენ ღმერთს: ორუჟ ბაირამზე თქენსა ვერ მეველე, ყურბან ბაირამზე მაასულივარ.

ბაირამობა - ქეიფი, დროის ტარება. რა გიხარიან ბაირამობა ხუმარ გგონია.

ბაიყუში - ბუ. ბაიყუში ჟდება კაკალზე.

ბაკანი - ხისგან დამზადებული კასრი, რომელსაც იყენებდნენ ხორბლეულის ასარწყავად. ორ-სამ ბაკან ფითრა გავღი წელს.-ხის ჯამი, გინა კუს ზურგი (საბა). ბაკან (ღამბ.); საწყაო, ხისგან გამოთლილი (როსტ.) დიდი პინაკი (ჯან.); ხის ჯამი . (ქეგლი. ქავჯ.); ვარცლის მსგავსი ჭურჭელი - გიგ. თოფ., ქავთ. (ხევს.).

ბაკი - წყლის ჭურჭელი. წვრილფეხა საქონლის სადგომი. ბაკი წყლით აავსო, ცხორი ბაკში შაყარე. ბაკი- ეზო, საჩეხი (ი. აბ.). ბაკიჲ- ცხვარი, კრავი ბავშვის ენაზე (როსტ.). ბაკიჲ - ბავშვის ენაზე ცხვრის პატარა შვილი, ბატკანი, ბეკეკა (ღამბ.).

ბაკონები - ბაკოშვილების საგვარეულო შტო სოფელ მოსულში.

ბალაჰ//ბალა//აი ბალა - მიმართვა. შვილი, ჭირი, ვაგლახი, უბედურება ბალა, მოი ეიქა, აი ბალა, წაჲ ზროხაში. ბალა დამიჟერე კაისა?

ბალა - შვილი, უბედურება (როსტ.) ბალაჲ (აზ.) - საშიშროება, ხათაბალა (ღამბ.) ბალა - შჳლო (ჳანგ.); ბალახათა (მენთ.). ბელა (ჟღ., ნიჟ).

ბალა-ბალა -ცოტა-ცოტა. ეხლა ბალა-ბალა მუშიოვ.

ბალაბანი -საკრავი. ეხლა დაჟდეს, ბალაბანი დოუკროს. ბალაბან (აზ.) - სალამური (ღამბ.). ბალაბან (ჳანგ.). ბალაბანზე დოუკარე - ფიგურ. გამოთქმა მოისვენე, დაწყნარდი. წაჲ, ახლა ბალაბანზე დოუკარე.

ბალაჰ - უბედურება, ხათაბალა. ჰეგი ჩემ თავზე ბალაჰრი. ბალაჲ (აზ.) -უბედურება, საშიშროება (ღამბ.), ბალაჲ-განსაცდელი, გაჭირვება (ჳანგ,).

ბალბა - ერთგვარი ყვავილოვანი მცენარე. ეზოში ბალბაჲ ომოსლა არ მიყუარს. ბალბაჲ , ბალბა (როსტ.). ბალბაჲ ნ. ვირი ბალბაჲ (ღამბ.).

ბალბაყი - უშნო, მოუხერხებელი. ერ ბალბაყ ინსანი იყო. ბაყიჲ (როსტ.); იხ. საბა: ბაყი, მენთ. ბაყია

ბალახ დაბრუნება - გათიბული ბალახის გადაბრუნება მზეზე გასახმობად. ჰება მაიღი, ბალახ დაბრუნებლა მივდით. ბალახ დაბრუნევაჲ (როსტ.); ბალახ დაბრუნევაჲ (ღამბ.). შან. რეც.

ბალდუზი - ცოლის და. შენ ბალდუზი ლამაზ ქალია. ბალდუზ (ღამბ. , როსტ., ჳანგ.).

ბალთავს - მსხვილ-მსხვილად ჭრის , ანადგურებს. გაბალთა, გოვბათავ. ცულით ბალთავს იქავრობას.

ბალი მარცოლი - სილამაზის გამომხატველი ეპითეტია. ერ ბალი მარცოლივი ყმაწილია.

ბალღამი - საწამლავი, ძალიან მწარე. წარე ბალღამი იყო შენ მანაცემ შიჭმელი. ბალღამ (როსტ.)

ბალღუნჯა ბალი - ბლის ერთ-ერთი სახეობა. ბალღუნჯა ბალი ჩავდგი დილიგში. ბალღუნჭა ბალ -გარეულ ბალი, მწარეა, არ იჭმება (როსტ.); ბალღუნჭ - ბალღონჳი, ბალამწარა (ღამბ.) ბალ ღუნჳ (ჳან.); ბალღუნჳი (მაყ.).

ბალღუნჯი - ფრინველების ავადმყოფობა. ქათმი ჭუჭულევ ბალღუნჯი შაჰყრიაყე. ბალღუნჭ-ბაღლინჳო (ღამბ.); ბაღლინჳო(მენთ.); ბალღუნჳ (ჳან.).

ბამბაზია - ბამბეული ნაწარმი. ბამბაზია ხალათი ვიყიდე ბაზრით.

ბამბი ახო - სახნავ-სათესი მინდორი სოფელ ალიაბადში.

ბანგლი - ახლად ამოჳიჳინებული ბეწვი. პირზე ბანგლი ომოსულია. ბანგლ -ბანჳგვლი, ბალანი, თმის ბეწვი (ღამბ.) ბანგლ, ბანგლიან- გაბურძგვნილი (როსტ.)ჳან.

ბანგურა - გრძელბეწვიანი ბანჯგვლიანი ძაღლი. კანკალა ღობეითი გოდმოვხტი, ბანგურა ზალმა წამართო შენბეჲ მოტანილ კამპეტი. ბანგურა - ძაღლის ჯიში, აგრეხილი კუდით (როსტ.) ბანგურა (ღამბ.); ჯან., ბამბ ურაჲ (ბერ.).

ბანდი - ხელმოსაკიდი ნაჭერი ცხელი ჭურჭლის ჩამოსაღებას, ჩვარი. ქობი ჩაამაღებლა ბანდები მამიღი, ქალმანში ბანდი ჩოუგი. ბანდ (აზ.) - ჯენჯო (ღამბ.); ბანდ (როსტ.) ამას უწოდებენ უხმარისა ძონძსა, გინა წურილთა თასმათა და მისთანათა (საბა). ჯან. ი. აბ. ბანდა, ბანდი- უხმარი ძონძი . (ჩუბ., ძოწ., ხუბ.) ბანდი - წვრილი თასმა , სახლათავი (ჩუბ.); ქეგლი.

ბანდივი გდომა - გაუნძრევლად წოლა. ბანდივი გდია ვერ გააღიზევ. ბანდივი გდომაჲ (როსტ.) .

ბაჟანაღი - ქვისლი. ჩონ ერთმეთი ბაჟანაღები ვართ. ბაჟანაღი (აზ.) – ქვისლი (ღამბ.) ჯანგ., ნიჟ.

ბაჟარაღი - მოხერხება, შეძლება. ბაჟარაღ ყადარა ვეშელები. ბაჟარიღ (როსტ.); შდრ. ბაშარიღ.

ბაჟარაღიანი - მოხერხებული, კვაჭი. დიახ ბაჟარაღიან ინსანია.

ბაჟარაღსუზი - მოუხერხებელი. ბაჟარიღსუზ საქმეს ხელ ნუ ჰკიდევ.

ბაჟბაჟელა - დიდი წონის ავი სული,

რომელიც მძინარეს აწვება და სუნთქვას უხშობს. ერეგე ფინთა ვიწევე გეგონება ბაჟბაჟელა დამწოლიყო. ბაჟბაჟელაჲ -მაჟლაჟუნა, კოშმარი (ღამბ.) ბაჟბაჟელაჲ - ავი სული, რომელიც თითქოს ფეხმძიმე ქალებს ღამე აშინებს (როსტ.).

ბაჟი - დას ეძახიან. გუშინ თქენსა ჩონ ბაჟი იყო. ბაჟიჲ (როსტ.).

ბაჟლუნი - წნელიგან დაწნული ღობის დამცავად ზემოდან დაწყობილი კონები. ღობეჲ ბაჟლუნი ბითოვ ჩომოვლია ქარს. ბაჟლუნ (ღამბ.).

ბარაბარ - თანასწორი, ერთნაირი, ტოლი. ბარაბარ ქენე, ბარაბარ ქნეს. გაყოფაში აქა-იქ არ ქნო, ბარაბარ ქენე. ბარაბარ (აზ.) -თანაბარი, ბარიბარი (ღამბ.); ჯან., როსტ. ბარდაბარ, ბარიბარში (კირიონი).

ბარალანქ - უეცრად წაქცევა. ნაგახტან ბარალანქ წაიქცივა.

ბარაქათი არ ქნა - ძალა, გამძლეობის უქონლობა. თეთ ბარაქათი არ აქო. ბარაქათ (აზ.)-დოვლათი, ბარაქა (ღამბ., როსტ.).

ბარაქათიანი იქნოს - დალოცვა-ბარაქიანი იყოს. თქენ საქმეც ბარაქათიანი იქნოს. ბარაქათიან იქნეს (როსტ.).

ბარაქათსუზი - მწირი. ბარაქათსუზია ჰური ყიდლობა.

ბარბადი - გასვრილი, გაჭუჭყიანებული. ბითოვ ჭსტუბაში ბარბადი ქნილა. ბარბად - (როსტ.).

ბარბად ქნა - გასვრა, გაჭუჭყიანება. ბარბად ქნილა. ტალახში ჩავარდნილა ბარ-

ბად ქნილა. ბარბად ქნა (როსტ.).

ბარბარეს საყდარ - ეკლესია სოფელ თოფახში. მდებარეობს კეჭენის მთაზე.

ბარდანი - უხეში ტილოს ნაჭერი, რომლისგანაც ფარდაგს კერავენ. ფარდაგიბეღ ბარდანი მიყიდე. ბარდან - ხის ტოტებზე გაჩერებული თოვლი, რომელსაც მზე ოდნავ რომ დააცხუნებს გრიალით ჩამოცივა (როსტ.).

ბარდან//ბარდან ჩომოყრა - უხვად, ბარაქიანად თოვა. ბარდან ჰყრის, შაჰხე, როგო ბარდან-ბარდან ჰყრის.

ბარზღლიანი - უსუფთაო, ჭუჭყიანი, ბანჯგვლიანი. მაგი ბარზღლიან ლიბასი დანახა არ მინდა. ბარძღლიან (ღამბ.); ბარდღლიან-აბურძგნული, ჭუჭყიანი (ჯანა.); მეტად ბალნიანი, ბანჯგვლიანი (უფრო საქონელზე იტყვიან). კაიშ. ბალნიანი, ბანჯგვლიანი (ჭინჭ,. ვაჟა)

ბარუ - აგურის, ფიცრის კედელი. ჟერ ბარუ არ ამიჰწევია.

ბარუღ (აზ.) - თიხით შელესილი ქვის კედელი;

ქვითკირის გალავანი ან ყორე (ღამბ.). ბარუღ - ქვითკირის ან მხოლოდ ქვის კედელი (როსტ.).

ბარხუდარა - საძოვარი მინდორი სოფელ ალიაბადში.

ბასააბას ქნა - ჭედვა. ვერ შახოლდი ბასააბასი იყო. ბასაბას -ჩხუბი, თავპირისმტვრევა (ღამბ.). ბასაბას იყო (ჯანგ.).

ბას გაჰწევაღ-ჯიბრში ჩადგომა, ცელობა. მაგასთან ბას გაჰწევას ხეირი არ აქო. ბას გაჰწევაღ (როსტ.) .

ბასმა - ქსოვის სახეობა. ზოგ წინდევ ბასმაითი ქნიდით. ბასმაღ - სასუნთქი ორგანოების კატარი (როსტ.).

ბასმა ქნა - ერთგვარი კუჭის ავადმყოფობა. ბასმა ქნილა. მაგი ყმაწილი ბასმაქნილა. ბასმაღ - ის არის, რომ ყმაწილი ტანში შეიკვრის, ფეხზე ვეღარ დგება (შან. რეც. ღამბ.)

ბასტურმა - მაგრად ჩასობილი ხის სარი. ბასტურმაღ - ძმარში ჩადებული პილპილ - ხახვმოყრილი სამწვადე. აქა-იქ ბასტურმები ჩაჰსო, კაღ ბასტურმა გამიქითა. ბასტურმა (აზ.) 1. სიმაგრედ დასობილი ხის ძელები. 2. შენახული სამწვადე ხორცი (ღამბ., როსტ.). იხ. ქეგლი. მენთ., ჩუბ., შან. ვაჟა I.

ბატიან ჩაი//ბატიანი ხევი - ხევი ს. ალიაბადში. ჩაედინება ალაზანში.

ბატონი ტყე - ტყე სოფელი ალიაბადში.

ბახთალის//ბაღთალის ეკლესია - მდებარეობდა ისტორიულ ქალაქ ბაზარის ტერიტორიაზე. ადგილობრივი ამ ეკლესიას ფერიყალასაც უწოდებენ, რაც თამარის ციხეს ნიშნავს. ბახთალის წმინდა ღვთისმშობლის ეკლესიის მშენებლობას კახეთის მეფეს ლევანს მიაწერენ. პირველი ცნობები ამ ძეგლის შესახებ ეკუთვნის ალ. ხახანაშვილს (1898წ.)

ბაღი - ხეხილის ბაღი; ზონარი. ადრე კალიევზე კაი ვაშლი ბაღი იყო. წინდი ბაღი შაიკა. ბაღი (აზ.) - ძაფისგან ნაქ-

სოვი ზონარი, თასმა რისამე შესკრავად (ღამბ.); შან. რეც. ლუკვერთხი (ბერ.). ბაიღი (ნიჟ.); ბაღ (როსტ.); ბაღი - თასმა შესაკრავი, ღვედი (ჯანგ.)

ბაღლამა - შეკვრა, რაოდენობა. ერ ბაღლამა ნიორი მივეცე. ბაღლამაჲ- საწყაო (როსტ.)

ბალურა ატამი - ატმის ჯიში. ყვითელი ფერის, მსხვილი, იყენებენ საკამპოტედ. ბალურა ატმი კამპოტი გახსენე. ბალურა ატამ (ღამბ., როსტ.); გოგრის ჯიში (შან. რეც.)

ბალურა ჩიტი - ბელურა. ღობეზე ერ ბალურა ჩიტი იჟდა. ბალურა ჩიტ (ღამბ.)

ბაღჩა - სახლის მიმდებარე ნაკვეთი. წონილევ ბაღჩაში ვთესავთ. ბახჩეჲ, ბაღჩეჲ - თუთის ხეების ბაღი აბრეშუმის ჭიისთვის; იგივეა, რაც ფურცელი (ღამბ.) ბაღჩეჲ (შან. რეც.)

ბაყიჲ - მოუხერხებელი, უშნო, უნიათო. ერ ბაყიჲ რაიმერი. ბაყიჲ (როსტ.).იხ. საბა: ბაყი, მენთ. ბაყია.

ბაშ მეხრე - მეთაური, უფროსი მეხრე. ბაშ მეხრე ჟერ არ მოსულა. ბაშ (როსტ.).

ბაშარაღი - მოხერხება, გონიერება. მაგა დიახ კაჲ ბაშარაღი აქო. ბაშარიღ (როსტ.)

ბაშარაღსუზი - მოუხერხებელი. ბაშარაღსუზი ნუ ხარ, ცოტა დირი იქენე.

ბაშმაყი - მაღალქუსლა ფეხსაცმელი. ეხლა ბაშმაყი სა გიპოვნო. ბაშმაყ (რუს.)- ბაშმაკები (ღამბ.); იმნ.უყელო ქოშის მოყვანილობის ფეხსაცმელი, კაცის დაბალი ქუსლით, ხოლო ქალის მაღალ ქუსლზე (როსტ).

ბაშტან//ბაშტანვე თქმა - თავიდანვე თქმა. მე ბაშტანვე გებნები, მაგიზგნი კაცი არ იქნება. ბაშტან (როსტ.)

ბაშუსტა - თანხმობის დასტური. ბაშუსტა, ჰეი საქმე ჩემზერი. ბაშუსტა (ღამბ.)

ბაშჩი - მეთაური, მოთავე. მაგათ ბაშჩი მინ იყო. ბაშჩი (აზ.)

ბაცბაცი - არეულად სიარული. შაჰხე, როგო ბაცბაცით მოდის. ბაცბაც - ბავშვის გავლა პირველად ფეხის ადგმისას (როსტ.), ბაცბაცი, ბაცბაცოვაჲ (ღამბ.); ბორგანობა (საბა); ბარბაცი, ტორტმანი (ჩუბ.).

ბაცნი - ბიჭის მეტსახელი. პატრა დროზე დედა ბაცნის მეზახოდა. ბაცან (რუს.)-ბაცან (ღამბ.).

ბაწარზე მოყონა - რისამე გაწვდომა, გატოლება. ბაწარზე მოყონა ჰადუღლი არა. ბაწარზე მოყუნაჲ- გადატ. სწორ გზაზე დაყენება გზაზე ამცდარისა (როსტ.)

ბაწრით გომოლება, იფყარა - ხის მასალის

სწორად გამოთლის მიზნით ნახშირში ამოვლებული ბაწრით ხაზის გავლება. ჟერ იფყარაითი არ გამიტარებია. ბაწრი გვმოლევაჲ (როსტ.)

ბაჭარი - სულელი, უტვინო. ჰეიგე ბა-

ჭარს როგო ენდე?

ბახტავარი - უდარდელი, ბედნიერი. სრუ რაიმით ბახტავარ ინსანია, ბახტავარ (აზ.) - იგივეა, რაც ბახტიან (ღამბ.) ბახტავარ -ბედნიერი (როსტ.)

ბახმელაი ახო - სახნავ-სათესი სოფელ ითითალაში.

ბახტაბახტ - ალალბედი. ბახტაბახტ რაც იქნება, იქნება. ბახტაბახტ (როსტ.)

ბახტი - ბედი, იღბალი. ბახტი არ მაქო. ბახტ (აზ.)-ღამბ.

ბახტიანი იქნოს - დალოცვა - ბედნიერი იყოს ქორწილში დამიზახეს, ბახტიანი იქნოს თქენ ქალი.

ბახტსუზი - უბედური, ბედკრული, საცოდავი. ბახტსუზ ინსანი არ უნდა იქნოს.

ბავალა - ბარტყი. ჩიტი ბახალა დაიჭირა.

ბავალა - ხეხილის ნერგი. ვაშლი ბავალა ჩავდგი.

ბავალაჲ - ზოგადად შვილი. მცენარის ძირში ამონაყარი ნერგი (როსტ.). დაბავლაჲ, გადმობავლაჲ (ღამბ.).

ბავლევ გომოყონა - ბარტყობა. ბავლევ გომოყონასუკან ბუდე დოუნგრივა. ბავლევ გგმოყუნაჲ (ღამბ., როსტ.).

ბავლობა - ბარტყობა. ბავლობს, უბავლია. ჟერ ბავლობი დრო არ არი. ბავლობს - შვილებს აჩენს, ნერგებს იყრის. მერცხალი ბავლოვს. (როსტ., ღამბ.).

ბავჩა-ყურე - ეზო და სახლ-კარი ბავჩა-ყურე მაქონ მისახედი.

ბაჰნა - საბაბი, მიზეზი. ერ ბაჰნა უნდა წაასულელა. ბეჰანურ (აზ.).

ბაჰჩი - მოთავე. თქენ ბაჰჩი მინაა.

ბებრა - ბებო, დიდედა. ჰეგი ქორწილში არ მუა ბებრა მოჰკდომია. ბებერაჲ, ბებაჲ (ღამბ.); ვერ ბებრაჲ ნ. გერ. (ჯან.), ბებაჲ (როსტ.)

ბებრი ვევი - ხევი სოფელ ალიაბადში.

ბებრუცუნა - პატარა, ჩია ტანის მოხუცი ქალი. ერ ბებრუცუნა ქალი მოვდა თქენსა. ბებრუცუნა, ბებრუცა- მოფერებით მიმართვა მოხუცისადმი (როსტ.).

ბედბახტი - უბედური, უიღბლო. ქალიბეი ბედბახტი იქნა. ბედბახტ (აზ.).

ბევჟერ - ხშირად. მე ბევჟერ წასულვარ მაგათა.

ბედი - თავისნება, მტირალა, მოუსვენარი. ბედ ყმაწილი შამხტო. ბედ (როსტ.)

ბედნაქარ - იხ. ფითნაქარი.

ბედობა - ანჩხლობა, ახირება. ბედობა კაი რაიმე არ ალი. ბედობაჲ (როსტ.)

ბედნეფესი, ბედნეფესიანი - ბოროტი, ავი თვალის მქონე. ბედნეფესმა გაჰჭრა.

ბეე//ბეჰ მიჰცა - ფულის ნაწილის წინასწარ გადახდა. ბეე მიეცე, კაისა.

ბევრი - მრავალი. ბევრი მაიღი გამსტეს.

ბედნიშები - მინდორი სოფელ ითითა-

ლაში. ხეს ჰქვია ბედნიში.

ბედნაზარი - ავადმყოფობა. ბედნაზარით ვერ გომოვდივართ.

ბეზარ ქნა - მობეზრება. ბეზარ ქნილან. მაგი ჯელში ბეზარ ვართ. ბეზარ (აზ.) - აბეზარი. ბეზარ გოგჯადა (ღამბ.) ჩუბ., მენთ., ნიჟ., ჯანგ., ქეგლი.

ბეზბენტი//ბეზმენტი - სასწორი. ბეზბენტი მამიღი აწონლა.

ბეზირგანი - მდიდარი ვაჭარი. ერ ბეზირგანი გამაიჭირა. ბეზირგან (აზ. დიალ. ბაზისგან, ბაზირაი ან ქარავნის წამყვანი) ღამბ. ბერძეგანი -შეძლებული, მდიდარი (ბერ.); ბაზარგანი - უშრომელი, უთავმოყვარო, ყველაფრის მკადრებელი, უთვისტომო (ქაჯ.). ჩუბ., ქეგლი., ნიჟ., გიგ., თოფ., ქავთ. (იმერხ.), ბაზირგარი, ბაზირგალი (მესხ.)

ბეთარი - უარესი. ჰეგი იმიზგან ბეთარია. ბეთაარ (აზ.) - უფრო ცუდი (ღამბ., ჯანგ.), ნიჟ., გიგ., თოფ., ქავთ. (ჯავახ.).

ბეჱრუსპა//ბეირუსფა გაჯდომაჲ - შემარცხვინა. მაგამ ჟამაათში ბეირუსპა გამჯადა. გარუსპევაჲ - გაჩანაგება, დარბევა მოსპობა (ღამბ.); გარუსპება (ჯან.).

ბეიქარი - უსაქმური, მოხეტიალე. ბეიქარი ეტარება.

ბეიშური - უნიათო უშნო. ერ ბეიშურ რამ შამხტო.

ბეიშურა//ბეიშურა ტარევაჲ - უმიზნო ხეტიალი. ბეიშურა-ბეიშურა ტარევა ნუ გიყუარს.

ბელა//ბუდა ბელა - ასე, ესეც ასე. ბუდა ბელა, ეხლა უჟე წავდეთ. ბელა (როსტ.)

ბეიყაფულა - უცბად, მოულოდნელად. ბეიყაფულა დანაჭერ საქმე რანდა იქნოს. ბეიყაფულა (როსტ.).

ბელაქანი - საინგილოს ერთ-ერთი რაიონული ცენტრი. ბელაქნის მიდამოებშია მაჭის ანუ მაწიმის ციხე - ქალაქი, რომელსაც მცხოვრებლები ფერი ყალას ე.ი. თამარის ციხეს ნიშნავს. ბელაქნიდან ოთხი კილომეტრის მანძილზე მდებარეობს ეკლესია დარვაზქილისა. ბელაქანშივეა ნურ-ქილისა, რაც მადლის ეკლესიას ნიშნავს; შიმშათ-ქილისა, მოკავ-ქილისა და სხვა ისტორიული ძეგლების ნიშნები. ბელაქანი - დასაყრდენი პუნქტი იყო ლეკთა ურდოებისა, რომლებიც აოხრებდნენ საქართველოს 2 საუკუნის განმავლობაში. ბელაქანში მცხოვრებ ლეკებს შორის არიან გალეკებული ქართველები: გალავჯოვები- ვაჩნაძეები, ნასტალგალოვები-ერისთავები და სხვა. დღეს, ბელაქანში მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი სოფელია - ითითალა მაჰმადიან ინგილოთა საცხოვრისი.

ბენდამ - არავინ, ვერავინ. ჩონ წასლა ბენდამ არ გაიგოს. ბანდაი (აზ.) - ქმნილება, სულიერი ადამიანი, ვინმე ბენდამ, ბენდავ (აზ.) - ღამბ. ჯანგ. ულო - ნამჯისგან გაკეთებული ძნის შესაკრავი (ჯან.) რამდენიმე ღერო (ხორბლეულისა) ერთად აღებული, შეგრეხილი კო-

ნების შესაკრავად. შდრ.ულო (როსტ.).

ბენდი - წყლის შესაკავებელი ჯებირი; ერთი სტროფ ლექსი. ბიჰტუზე ბენდი შააკრელა მივდი, ერ ბენდი იმღერე კმარა. ბენდ (აზ.)-დამბა, ჯებირი (ღამბ.); ნიჟ.

ბერჩნელი ნუ ხარ - უსუფთაო, ბინძური. ბერჩნელი ნუ ხარ.

ბენჩ - იხ. გაბენჩა.

ბერთალა// ბერთბინა - მცირე დასახლებული პუნქტი. ბელაქნიდან რამდენიმე კმ-ზე. ამ ადგილას მონასტრის ნანგრევებიც არის.

ბერნუსი - ერთ-ერთი ჯიში. ბერნუსი ჟინში ცხორ კაი მატყლი არ აქო.ბერწა ნაწოვი - მეორე წლის საქონელი, რომელსაც ჯერ კიდევ წოვისთვის თავი არ დაუნებებია. ბერწა ნაწოვ ჯბო გაყიდა. ბერწანაწრვ (სინ. ყისირნაწრლ); ღამბ., როსტ.

ბერწი - მუცელმოშლილი ცხოველი. ჩემ ფური წელს ბერწი დაჰჩა. უშვილო (ი. აბ.); არა მშობელი (საბა).

ბეს ქნა - საკმარისი იქნება. ბეს იქნეს, ბეს იქნება? ჩემ წასლაც გონია ბეს იქნება. ბეს (აზ.) - საკმარისი (ღამბ.), ბეს იქნევ (ჯანგ.); ბეს ქნაჲ (როსტ.)

ბეტლუმი -სულელი, უვიცი. შენ ცარიალ ბეტლუმი ხარ.

ბექმაზი - ხილეულის შესქელებული წვენი. ბექმაზი არ მაქო. ბექმაზ (აზ. ბაქმაზ) - ხილისგან დამზადებული ბადაგი (ღამბ.); ბაქმაზი (მენთ, იმნ.); როსტ. ბეტმეზი, ბეთმეზი (ჟღ.); ბეთმეზი (ნიჟ.) შდრ. ჩუბ. ქეგლი.

ბეშბეთარი - ცუდზე უარესი. ეიმაზე ბეშბეთარი რალანდა იქნოს.

ბეშ-ბეშა - აგდებული ლაპარაკი. რა ბეშბეშა ლაპარიკოვ.

ბეშტაშობან - კენჭაობა. რახანია ბეშტაშობან არ გუთამაშია. ბეშტაშ (აზ.) - კენჭაობა ხუთი ქვით (ღამბ.)

ბეწი//ბრწი - თმის ბეწვი, საერთოდ თმა. ბეწი არ ჩავარდეს წრნში.

ბზე - პურეულის ნალეწი. ბზე გოვრივე ტალახში, ყანის ნალეწი (საბა).

ბია-ბია - ინდაურების დაძახება. ბია-ბია ქენე, აი ბალა.

ბიაბურ//ბიაბურ გაჯდომა - შერცხვენა. ბიაბურს ჯდის. ჟამაათში ბიაბური გამჯადა. ბიაბურ (აზ.) - სახელგატეხილი, თავლაფდასხმული (ღამბ.); ურცხვი, უნამუსო (ჩუბ.) ბიაბრო, ბრიაბრო (მენთ.); ბიაბროდ გახდის (ჭინ. ვაჟა). ბიაბურ გაკეთევაჲ ჯანგ.); ბიაბურ ქნაჲ, ბიაბურ გაჯდაჲ (როსტ.).

ბიაბურჩი - შემრცხვენელი. ჩონ თოხუმში ბიაბურჩი არალი.

ბიანა - თბილფესვა არეველა მცენარე. ბიანა ჟერ არ ქნილა. ბიან - ძირტკბილა (ღამბ.); სატკბურა (მენთ.) ბიან- არეველა ბალახი, ამოდის ყანაში (როსტ.)

ბიბი - ლამაზი ტანსაცმელი ან ყვავილი ბავშვის ენაზე. ბიბი პერანგი შაგიკერე.

ბიბიჲ-ლამაზი, ზიზია ბავშვის ენაზე (როსტ.).

ბიბილა - ყვავილი ზოგადად. მინდრით ლამაზ-ლამაზ ბიბილები მოგიტანე. ბიბილაჲ-ლამაზი (ბავშვის ენაზე). ჯან. ღამბ.როსტ.

ბიბილა პერანგი - ლამაზი ჩასაცმელი. დედამ ბაზრით ბიბილა პერანგი მიყიდა.

ბიბილა ჩიჩაქი - ყვავილის სახეობა. ბიბილა ჩიჩაქი დათესა.

ბიბილო - საძოვარი სოფელ ალიაბადში. ბიბილო მცენარის ჯიში.

ბიბინი - გაშლილი ყვავილები. ბიბინოვს. ეზოში ჩიჩაქები ბიბინოვს. ყვავილთ ფერადობა (საბა).

ბიზი - სადგისი. გზაში ერ ბიზი იპოვნა. ბიზ (აზ.) - ჩახმახის წვეტი (ღამბ.). მენთ., ნიჟ. სქელი ლურსმანი ან ჰალო, რომელსაც დაჰკრავენ მიწაზედ დადებულ რგოლში ამოსახვევად (ჩუბ.) ბიზ-ჯანგ. როსტ.

ბიზ-ბიზ დგომა - თმების ყალყზე დადგომა. ბიზ-ბიზ დგება. შიშით თმა ბიზ-ბიზ დგება. ბიზ-ბიზ (აზ.). ყალყზე, აშვერილად (ღამბ.) ბიზ-ბიზ (ჯანგ.).

ბიზიქალი - ბიძაშვილი (ქალი). ჩონ ერთმანეთი ბიზიქალები ვართ. ბიზიაქალ, ბიზიქალ (ღამბ. როსტ.).

ბიზიშული - ბიძაშვილი (ვაჟი) მამის მხრიდან. ჩემ ბიზიშული არ დოვზახნია ქორწილში. ბიზაჲშულ, ბიზიშულ (ღამბ., როსტ.).

ბითამდინ//მითამდინ - ვითომდა, თითქოს. ერაგე ქენე მითამდინ შენ ჩემ ზმა ხარ. ღამბ., მითამ-მენთ.

ბითბითა დაწიგნა - დაწვრილებით, ზედმიწევით მოყოლა. ბითბითა დოუწიგნის. ბითბითა დოუწიგნა, რაც იცოდა.

ბითბითა დაკრეფა - სათითაოდ, მარცვალ-მარცვალ, რაიმის გამოუკლებლად დამახსოვრება. ბითბითა ჰკრეფავს. შაჰხე, როგო ბითბითა ჰკრეფავს.

ბითოვ - მთელი, მთლიანი. ბითოვ მამიტა კაისა. ბითავ (აზ. ბუთოვ) - ღამბ.

როსტ. ბიტევი (ნიჟ.), გიგ., თოფ., ქავთ.,-(ინგილ.)

ბილა-ბილა -ცოდნი - ცოდნი- შეგნებულად, განზრახვით. შენ ბილა-ბილა ჰეი საქმე როგო ჰქენე? ბილა-ბილა (აზ.); ღამბ.

ბილაზიქი//ბილარზიქი - სამაჯური. ბილარზიქ არ საყიდივარ.

ბილი - რბილი. ბილ მიწა-ფხვიერი მიწა. ბილ მარილი- სუფრის მარილი; ბილ ხორცი-რბილი ხორცი; ბილა დაფქა. ბილ პურს ჭამს, მაგარს ვერ, ბილ მიწა დაბარა, ბილ მარილი დაყარა, ბილ ჯორცი მამიჭრა, საფქვი ბილა დაფქა. ბილ - ღამბ., როსტ., ჟღ.

ბილეკალ - სიკეთის მოჩვენებით, შეპარვით ვინმეს განაწყენება. ჟერ არ იცი ჰეგი როგო ბილეკალია.

ბილიგი//ბილიგიანი - ცოდნა, მცოდნე,

განათლებული. დიახ კაი ბილიგიან კაცია. ბილიგ-როსტ.

ბინა - სახლი, სადგომი, შენობა. ბინა გოვჩინე.

ბინადან - თავიდან, ოდითგანვე. ჩონ ბინადან აქავრები ვართ. ბინაი - დასაბამიდან, ადგილი (როსტ.). იხ.ჩუბ.

ბინაჩობანი - ბინაზე მდგომი მწყემსი. ჰეგი ჰამეშა ბინაჩობანია. -გიგ. თოფ. ქავთ. (ჯავახ.).

ბიჟი//ბიჟობა - ეშმაკი, ეშმაკობა, ნაბიჭვარი. ერ ბიჟ კაცია, შენ ვერ ცნოვ, რას ბიჟოვს ჰეგი, ბიჟი გააჩინა. ბიჟ (აზ. ბიჯ) - გაიძვერა, ნაბიჭვარი (ღამბ., ჯანგ.)

ბიჟ-ბიჟა იჭრუტება - ეშმაკურად იყურება. დაინახია, როგო ბიჟ-ბიჟა იჭრუტებოდა.

ბირბაშ - ერთი წყვილი. ბირბაშ საქონელი შაამბა ურემში.

ბირბაშა - პირდაპირ. შენ ბირბაშა მაგათა წაი. ბირბაშ (როსტ.).

ბირდან - ბირა - უეცრად. დათი ჟანავარს ბირდან-ბირა შაჰხტო.

ბირკი - ეკლიანი მცენარე, ბირკა. სეივანზე ბირკი დაჰკიდე. ბირკ- ეკლიანი ნაყოფი ზოგიერთი ბალახოვანი მცენარისა (ღამბ.) . ბირკად (როსტ.); ძუნწა (ჯან.); ბირკი (კირ.).

ბიტკი - მცენარე. ბიტკი ჟერ არ გაშლილა.

ბიღი - ულვაში. ჟერ ბიღები არ ამოსულა. ბიღ (აზ.) - ულვაში (როსტ. ღამბ. ჯანგ.); კატის ულვაში (ჯან.); კატის ბიღები (შან. ვაჟა).

ბიშმიში - მოხარშული. ბიშმიშ ქერფუჩი იყიდე.

ბიჩაღსალიანობა - დანებით თამაში. პატრა დროზე ჩონ ბიჩაღსალიობან თამაშოვდით.

ბიჩხი - ხერხი. შიშაი დააკუწლა ბიჩხი მამიღი. პატარა ხერხი (ღამბ.); იმნ. ბიჩხი -დიდი ხერხი, ბირდაბირი (როსტ.).

ბიჭიჭუა - ბიჭებთან მოთამაშე გოგო. ჰეგი ქალი კა არა, ბიჭიჭუაარი. ქალაჭუა (ღამბ.) ბიჭაჭუა (მენთ.).

ბლაყუნ//ბლაყუნ-ბლაყუნ ტარებად - უშნოდ სიარული. წაი რას ბლაყუნოვ ეიქა.

ბლენ კუკუმათი - ძალიან ბნელი ღამე. ერეგე ბლენ კუკუმათია, თოლში თით ვერ წაიღევ. კუკუმათ - ძალიან ბნელი ღამე (როსტ.). ბლენ - ბნელი, მუქი; სიბნელე (ღამბ.) ჯან.

ბლუვი - ბლუ. ჩონ სოფელში ერ ბლუვ კაცი იყო. ბლუვ (ღამბ., ჯან.).

ბლუყუნი//ტლუყუნი - სითხის თუხთუხის გამოცემული ხმა. ბექმაზი დულს, ტლუყუნოვს. ბლუყუნოვად, ტლუყუნოვად (ღამბ.).

ბობი - ავადმყოფობა, ერთგვარი სენი. ჰეგინ ქენე ფეყებში ბობი რუმ არ შაგყრია.

ბობი შეგეყაროს ფეყევში - წყევლა. შენავ ბობი შეგეყაროს ფეყევში.

ბოდალი - სარმა. ბოდალი მოუგდო, წააქცივა.

ბოეთანი - ქრისტიანული დაბა. მდებარეობს მდ . ბელაქნის შესართავთან ალაზნის ნაპირას (ვახუშტი).

ბოზი - ბოძი. ბოზები ჟერ არ მაქონ. ბოზ (ღამბ.).

ბოზდალი - მთა კავკასიონის ქედზე. სიმაღლე 1910 მ. ბოი, ბოი არ აქო - წყალში სიღრმის დასადგენად შედიან და როცა ფეხი ფსკერს მოცდება, მაშინ იტყვიან: ბოი არ მაქოე.ი. უკვე ღრმაა. სიდიდე, ზომა ბოი, ბოჰ- შხამიანი პარაზიტი მწერი (ღამბ.). ბოდი-სიმაღლე, ზომა (იმნ.); ბრჲ, ბოჰ (ჯანგ.).

ბოი - ბუხუნი - წარმოსადეგი. ბოი-ბუხუნი კარგი აქონ.

ბოიალი -საღებავი. ბაწარი შაიღებლა ბოიალი არ მაქონ. ბოიალ (იმნ. ჯანგ.)

ბოიალჩი - მღებავი. ბოიალჩისთან წაიღი პალტო.

ბოინთირი//ბოინთირ გატანაჲ - სხვენის ძირითადი დასაყრდენი ძელი. ჟერ ბოინთირი არ გამიტანია. ბოინთირ გაღევაჲ - ბოინთირი ატანა მაღლა და სახურავის დაშენება (როსტ.).

ბოლავი - ცეცხლის ალი.,ბოლავი დაინახა, გადაიხორწა. ბოლავ (ღამბ.).

ბოლბოლა - უხვად, ბლომად. საჭმელი ბოლბოლა ქენე. ბოლ-ბოლ (ღამბ.); უხვად (შან. რეც.). ბოლი- ბოლ (ნიჟ.); ბოლა.

ბოლი//ბოლული - უხვი, მოსავლიანი. წელს ნასულედი ბოლი იქნა, ბოლულობა მის არ უნდა? ბოლ (აზ.)-უხვი (ღამბ., როსტ., იმნ., ჯანგ.).

ბოლოკა - სარეველა მცენარე. ბითოვ ხორბალი ბოლოკას დოვცია. ბოლოკაი, ბოლოკა ცახ (ღამბ.). შალგი ((ჩუბ.); ცახი (როსტ.), მენთ. ; მოლოქა/ე (ყურ.)

ბრლქუ//ბრლუქი - ჯგუფი, გუნდი. ერ ბრ-ლუქ ცხორი იყო.

ბოლღანები - საგვარეულო სოფელ ალიაბადში.

ბორანი - მდინარეზე გადასასვლელი დიდი ნავი, ჯაჭვზე გამობმული. ადრე ალაზანზე ბორანი იყო ქედში გადავდიოდით. ბორან - არც ძილი და არც ღვიძილი, ძილ-ბურანი (როსტ.); ბორანი - წყალზე გადასასვლელი გადაბმული ნავები (კირიონი). ბორანიჲ (აზ.) -სახელია კერძისა, რომელიც კვერცხისა და მწვანილისგანაა მომზადებული (ღამბ.); ბურანჲი-ტრიანი და ხორცის ბორანი (ჯან.); გაწურული ისპანახი მაწონდასხმული (ჩუბ.); ერბო-კვერცხი, ყვეღით მოხრაკული (ნიჟ.), მწვანე ლობიო ვარიით (ქეგლი.).

ბორო - სულელი. ერ ბორო ინსანი შამხტო. სოფელ ალიაბადში მეტსახელად ეძახდნენ კაცს.

ბორჟი - მოვალეობა, სესხი. მე მაგი ბორჟი არ მაქო. ბორჟ (იმნ. როსტ.);

ბორჟ (აზ.)

ბორჟლუ - მოვალე, ვალდებული. მამა შუ- ლიბეი ბორჟლუა.

ბორტო - დიდი ბელტი. ერ ბორტო ყოლი მამცა. ბორტოჲ - დაუშლელი, მაგარი. მიწის გუნდა; გადატ. ყველის გუნდა (როსტ); ღამბ. გორახი, მრგვალი ბელტი მიწისა (ვკან.); ბელტო (მენთ.); კაზალა, ყველის ნაჭერი (ვკან.).

ბორტო დაშლა - მიწის გაფხვიერება. ბორტოჲ დაშლას მოჰჩა. ბორტოჲ დაშლაჲ (როსტ.). ბორტოი ცხურიან - დიდცხვირა. ბორტოჲ ცხურიან ქალი მაიყონა. ბორტოჲ ცხურუან (როსტ.).

ბოსტანი - საზამთროს ნათესი ადგილი. წელს ბოსტანი არ გამიქითებია. ბოსტან (აზ.) საზამთროს ბაღი; ნესვი (ღამბ., როსტ.); ბაღი, ყვავილნარი (ი. აბ.); ბოსტან- ნრს (ვკანგ.)

ბოსტნი ლებუა - ლობიოს ვკიში, ზომით მცირე მოცულობის. თესავენ მინდორში. წელს ბოსტნი ლებუა არ მაქონ. ბოსტან ლობიოჲ - იგივეა, რაც ტკიპი ფაყლაჲ (ღამბ.).

ბოტი - რეზინის ფეხსაცმელი. ბოტი მიყიდა მამამ ბაზრით. თხის ერკემალი (საბა).

ბოტი - ბოტი ტარება - ფეხგამართული სიარული. შაჰხე, ჰეგი რა ბოტი-ბოტი ეტარება. ბოტი- ბოტი -დგომი- დგომით. ბოტევ-ბოტევ (ღამბ.). ხან ერთ ადგილას გაჩერდება და მიაშტერდება, ხან მეორე ადგილას (როსტ.).

ბოღმა - ხრჩობა, ქინი. რა ბოღმა აქონ არ ვიცი.

ბოღმა - საქონლის ყელის ავადმყოფობა. ზროხას ბოღმა შაჰყრია. ბოღმაჲ (აზ.) ხუნაგი, ყელის ავადმყოფობა (ღამბ. როსტ.)

ბოღმა მოგხტეს - წყევლა. შენამ ბოღმა მოგხტეს.

ბოღრიალი - ხმამაღალი ყვირილი. ბოღრიალი ხმა გაიგა წავდა. ღრიალით ტირილი (როსტ.). ღმუილი, ყვირილი (ღამბ.) ყვირილი ირმისა ანუ ღმუილი მოზვრისა (ვკან.) დოღრიელა - მყვირალა ადამიანი. უფრო მყვირალა და მტირალა ბავშვი (მენთ.)

ბოღოღა - სიმსუქნით ღაბაბდაშვებული. მაგა შაჰხე, ტყავში ვერ ეტევა, ბოღოღა დოვშია. ღაბაბი (როსტ.); ბოღოღაჲ (ღამბ.); ვკან.

ბოღჩა - ფუთა. ბოღჩა შამაიტა.

ბოყბოყობა -იხ. ყელყობა

ბოყოყურა ქრივალი - დიდი ზომის ქლიავი. ერ ვედრა ბოყოყურა ქრივალი მამიტანა. ბოყოყურა (ალიაბ.); კორცხაჲ (კაკურში) -როსტ.

ბოში - არამაგარი, არა დაჭიმული, მალე მდნობადი. კანაფი ბოშა არ ქნო. შაქარი ბოშია. ღამბ., მენთ. ბოშ-სუსტი; ჩიქობ. ქაჯ. მიშვებული, დუნე . შან. ვაჟა IV.

ბოში - ცარიელი. ბოშ მეშუკები ერთა დაყარე!

ბოშყაბი - ცარიელი თეფში. ბოშყაბი

არ დაგჩა, მაიღი. ბოშყაბ- ორნამენტიანი სპილენძის ლამბაქი (როსტ.).

ბოშაყი - თავთავის ერთი შეკვრა. ჟერ ერ ბოშაყი მაიღი. ბოშაყ (აზ. ბოსაგ) -ხელეული (როსტ., ღამბ.); ბოშყავ (ჯანგ.); სადოშე კონა- თავთავები (ჯან.)

ბოშლული - სიცარიელე, ღრუ, ვაკუუმი. მაგრა მოვჭი ბოშლული აქო.

ბოხინი//ბოხინობა - ხმამაღალი ღრიალი, ბღავილი. ბოხინოვს. გაინაბ რას ბოხინოვ. ღამბ.როსტ.

ბოჯბოჯ - ხმამაღალი ლაპარაკი. ბოჯბოჯოვს. გაიგია, როგო ბოჯბოჯოვს.

ბოჯჩო - ფუთა. ერ ბოჯჩო ყიზილი წაიღა. ბოხჩოდ - ბოხჩა (როსტ.).

ბრჰტანი - ცილი, ცილისწამება. ზალი-ზალი ბრჰტანი მამდო.

ბრანქ წაიქცივა - უეცრად წაქცევა ნაგახტან ბრანქ წაიქცივა. მოწყვეტით წაქცევა (როსტ.) ბრანხ, ბრანქ, ბრანგ - ზღართანი (ღამბ.); ჯან.

ბრესტა - ჩარტყმა, ცემა. ბრესტავს, გაბრესტა. ერ მაგრა ბრესტა, გოვშო.

ბრაცუნი - უშნოდ სიარული. ბრაცუნოვს. ჰეგინ მოი, ბრაცუნით ნუ მოჰდი. ბრაცუნ (როსტ., ღამბ.)

ბრაცუნ - ბრაცუნი ტარევად - უშნოდ მოსიარულე. რა ბრაცუნ-ბრაცუნ ეტარება.

ბრე - მარცვლეულის დაფქვისას გაცილებული კანი. ბრე დასხორტე უგენგრე ჩაყარე. ბრედ - ქატო (როსტ.); (შდრ. საბა, ჩუბ., მენთ, კაიშ. ბრე).

ბრექა - გაბზეკა. იბრიქება. რა ბრექით მოდის. ბრექი- ბრექია, ბლენძია (ღამბ.); ჯან.

ბრეჯი-ბრეჯი ტარებად - მრუდე ნაბიჯებით სიარული. რა ბრეჯი-ბრეჯი ეტარები? ბრეჯ, ბრეჯიდ - მრუდფეხებიანი (ღამბ.). ჯან.

ბრიმა - ბრმა. ბრიმა ხუმარ ხარ ვერ ჰხედავა. ბრუმად, ბრიმა (ღამბ.); ბრიმად (ხუბ.)

ბრული -ეკალი. ბრული მავღი ღობეი შააკრელა. დაბურული ბარდი, ბუჩქი, ეკალბარდი, (როსტ., ღამბ.). მაყვლისა ან ეკლის დაბურული ბუჩქი, ბარდი (ჯან.).

ბრულ-ბუჩქი - ეკალ ბარდნარი. პაპაი სამარეზე ბრულ-ბუთქს დოვცია. ბრულ- ბუთქ (ღამბ., ჯან.)

ბრულ-ბუჩღაღი - გაუვალი ეკალნარი. ბრულ ბუჩღაღი გომოწმინდა ყოროღი გააქითა.

ბრულსუკან - ბუჩქის უკან. ბრულსუკან დამალულიყო. ბრუვსუკან (იმნ.)

ბრუტიანი -ბრუციანი. მაგი ბრუტიან თოლებით რას დაინახავს.

ბრუჟყი - ბრიყვი. ბრუყ ინსანი ნუ შაგხტება. ბრუჟყ -ღამბ. შან. რეც.

ბრუშ-ბრუშა დაწყობად - ნაოჭ-ნაოჭად დაწყობა. პერანგი ბრუშ-ბრუშა დოვყე-

ნებია. ბურუშ (აზ.). ღამბ.

ბუბუნი - გაურკვეველი ხმაური. ბუბუნოვს. ერ ბუბუნი ხმა იყო. ბუბუნი - ყურის გამოხმიანობაჲ (საბა).

ბუდრუკი - სახელდახელოდ გაკეთებული საცხოვრებელი. ერ პატრა ბუდრუკი გოვქითებია. ბუდრუკ, ბუდრუგ, ბუდრუგანაჲ (ღამბ.) ჯან.

ბუვი - ბუ. ჩონ დილიგში კაკალზე ღამით ბუვი ჟდება. ერ ბუვ ინსანი შამხტო, დავღალე. ბუვ (როსტ., ღამბ.); ბუვი (საბა), ჩუბ. ქაჯ. ხუბ. შან. ვაჟა III.

ბუვილი - ხმაური, ზუზუნი. ბუის, ბუვილი ხმას ვიგევ. ბუვილი, ბუილ -ბზუილი (ღამბ.), როსტ.

ბუვიქელიანი - გადატ. თმაგაჩეჩილი, დიდთვალება, აბურდნული ადამიანი. ერ ბუვიქელიან ქალი მოვდა.

ბუზანი - მუშტი. ჟავრით ერ ბუზანი გაატყრინა ზურგში. ღამბ. ჯან. ბუზვანი (უთურგ., ხუბ.)

ბუზი-ბუზი - ხბოს საალერსოდ შეძახილი, მოხმობა. ჯბოს ბუზი-ბუზი ხმით ვეზახით.

ბუზიკა - საქონლის სახელი. ჩონ ბუზიკა ჟერ არ მოსულა.

ბუზმა - ნაოჭი. ბუზმებიან პერანგი მამიტანა. ბუზმაჲ, ბუზმაჲ (აზ. ბუზმ) -ღამბ.

ბუზნიქჰწორწორა - მუშტის ხელის ოდენა. ჩონ ვაშლ ბუზნიქჰწორწორა დეესხა. ბუზნიქჰწორწორაჲ - მსხვილ (როსტ.).

ბუზუნტელა - გადატ. იტყვიან რაიმე ამბის ყურმოკვრისას. ბუზუნტელაი ხმამ ჩემამდინაც მოუწივა. ბუზუნტელაი - მიწის ბუზია ერთგვარი (ღამბ.).

ბუზუნტელი გაგიგია - ფიგურ. ე.ი. რაიმე ამბავი შეგიტყვია. შენ რაიმე ბუზუნტელი გაგიგია.

ბუთაღი - ხის რტო. ერ ბუთაღი მოვეჩა. ბუთაღ, ბუთახ (აზ. ბუდაგ)- ღამბ. როსტ. იმნ. ჯანგ.

ბუთოვ - მთელი, ერთიანი. ბუთოვ გირცი ჭამა.

ბუთუმ - ყველა, სულ. ბუთუმ მააგრუა წაიღა. ბუთუმ (იმნ.).

ბუთქი - თხილის ჩენჩი, ბუჩქი. თხილი ბუთქი არ მოჰწყიტო. ბუთქ- ბევრი ერთად (როსტ.) ღამბ.

ბუთქ-ბუთქ - ბუჩქ- ბუჩქად. დათესულ სიმინდი ბუთქ-ბუთქა ომოსულა. აფეთქებული მარე (ჯან.). გადაკაფულ ხეზე ამოსული ტოტები (კირ.); ბუთქვი ხე (ჭყ.); ღამბ. როსტ.

ბუკი ხე - ხე, რომლის ფოთლებს ხმარობენ სატოლმედ. ბუკი ფოთოლი მამიღი ტოლმაი ჩაადებლა. სრჲ -ერთგვარი მსხალი (როსტ.).

ბულანიხ - სუ//ბულანიხ ჩაი- მდინარე. ჩაედინება ქურმუხში.

ბულალი - წყარო. ჟეირან ბულალი წყალი მამიღი. ბულალ (აზ. ბულაგ).

ღამბ. ჯანგ. ბულაყი - პატარა წყარო (კირ.) ჭა. მარტ.- იმნ. ხუბ.

ბული-ბული - ინდაურის მოსახმობი. ჰინდავრევ ბული-ბულით ვეზახით. ბიბი, ბული - ბული (როსტ.); ღამბ.ბოლი-ბოლი - ბატების დაძახება (ბერ.).

ბულქო - ხვატი. ერაგე ფინ ბულქო იყო ინსანი ვერ ზლევდა. ბულქოჲ (აზ. ბურქუ) - პაპანაქება (ღამბ.) ჯანგ.

ბუნტი - არასასიამოვნო სუნის მქონე. შენ შიჭმელ ბუნტ გემო აქო. ბუნტ ღუნეი -ამბოხი ღუნოჲ (ღამბ.).

ბუნტ გემო აქო - არასასიამოვნო გემო აქვს. წონ დიახ ბუნტ გემო აქო.

ბურანი - კერძი, ამზადებენ გოგრით და ხორცით. ბურანს უწინ აქითევდნენ. ბორანიჲ (ღამბ.); ბურანიჲ (ჯან.) შდრ. ჩუბ. ნიჟ. ქეგლი. როსტ.

დაახრტინევა - დასუფთავება, გაწმენდა ნაგვისგან. ჰარ დილაზე ქოხს დაახრტინევს.

დაავდელი - დასახდელი (ტანისამოსი, პური). პური დაავდელი მაქონ, დაავდელ ადგილი არ აქო. დავდაჲ (ღამბ.), გიგ. თოფ., ქავთ., (თიან.)

დაბათ-ჩაი//დაბალთ ჩაი- მდინარე. ჩაედინება ყარაჩაიში.

დაბალება//ჩაბალება - ხილის გადამწიფება. დაბალებულა მურაბას ვერ ავადუღევ. დაბალევაჲ, ჩაბილევაჲ, გადაბალევაჲ (როსტ. ღამბ.).

დაბანი - ქუსლი. დაბნიანზე ვერ ეტარება.

დაბაჟღანა - დაბალი, უშნო ტანის ადამიანი. ერაგე დაბაჟღანა რაიმე იყო,

შახედნა არ მოგინდება. დაბაჟღანაჲ (ღამბ.როსტ.).

დაბარაბარება - გათანაბრება, გათანასწორება. აბარაბარევს, ერაგე დაიჭი ერთმეთთან დაბარაბრე. დაბარაბარევაჲ (ღამბ.).

დაბასება - შეჯიბრება, დაბასულან. არ ვიცი რაიბე დაბასულან ერთმეთან. აბასევაჲ (როსტ; დაბასევაჲ (ღამბ.). დოვბასოთ - დავიჭიდნეთ (შან.რეც.); დაბესევა - სანაძლეოს დადება (ნიჟ.); დაბასევაჲ (ჳკანგ.).

დაბალი - თურქული, საქონლის დაავადება. ზროხას დაბალი აქო. დაბალ (ჳკანგ.); ღამბ. ცხენის ავადმყოფობა (ქავკ.).

დაბზანება//დაზმანება - შეტოლება. დაზმანება; ერთა დედექეთ დაბზანება მინდა. დაბზანევაჲ, დაზმანევაჲ (ღამბ.); წააზმანა, შეეზმანა (საბა), შეზმანება (ჩუბ.); გაზმანვა, ზმანვა - ძიძ., კეცხ., ხუბ. (ქართლ), დაზმანება (ნიჟ.), გაზმანა - გიგ., თოფ., ქავთ. (მოხ.).

დაბინავება - დასახლება, ადგილის მონახვა. დაბინავებასუკან თქენსა მაასულივარ. დაბინიევაჲ (როსტ.)., დაადგილევაჲ (ღამბ.), შდრ. ჩუბ. მენთ.

დაბნელევა - დაბნელება. დაბნელევაში თქენსა მაასულივარ. დაბნელევაჲ (როსტ. ღამბ.).

დაბლითა - დაბლა მყოფი, ქვეითა. დაბლითა ნაქნარ შტოითი მოჰწყიტე. დაბლითაჲ (როსტ. ღამბ.).

დაბრახტუნევა - დათახთახება, შეტევა. ცოტა დაბრახტუნებითავ გადაიხორწა. დაბრახტუნევაჲ (როსტ.).

დაბოშება - მოშვება, კანაფი დაბოშება არ დაიმირწყო. დაბოშევაი - არყის, ძმრის, ღვინის გაწყალება, გრადუსების დაცემა ცუდი მოვლის გამო (როსტ.), დაბოშებაჲ - გაბოხება (ხმისა); სიმაგრის გამოცდა (ღამბ.); დაუბოშდება (ჭინჭ. ვაჟა).

დაბოშებული - მოშვებული.

დაბრეცა - არასწორად გავლება. ზოლისა. დაბრეცული, ხაზი რაიბე დაბრიცა.

დაბრეჯა - უშნოდ მოგრეხა. დაბრეჯული; რაიბე დაბრეჯულ კოვზ მაზლევ, დაბრეჯულ ფეყებიანი. დაბრეჯაჲ, დაბრეჯულ (როსტ. ღამბ.).

დაბრიმება - დაბრმავება. არხის მიწით ამოვსება. ინსნი დაბრიმება არ იქნება, არხი დაბრიმება მაგი საქმეერი,ზროხაჲ ზუზუ დაბრიმებულა. დაბრიმავება (ჯანგ.). დაბრიმევაჲ (როსტ.). დაბრუმიევაჲ, დაბრიმიევაჲ, დაბრუმაევაჲ - კვალის მოსპობა. გახმობა, ამბობენ მეწველ საქონელზე (ზუზუ დაბრიმებულა) - ღამბ.

დაბრუშა - დანაოჭება. პერანგი ლამაზა დაბრუშა. დაბრუშვაჲ (ღამბ.).

დაბრუნება//ბალახ დაბრუნება - გადაბრუნება, გვერდის შებრუნება: დაკაჭულ ბალახი დაბრუნება არ დაგმირწყდეს, დაბრუნევაჲ (ღამბ.): იხ, ბალახ დაბრუნევა.

დაბუბნა - ერთბაშად, ხარბად მობლუჯვა. ბუბნის; ქინძი დაბუბნა გოვშო. დაბუბნაჲ (ღამბ.); ბუბნ: დაბუბნეს, მოთელეს (შან. ვაჟა III). დაბუბნა (როსტ.).

დაბუჟება//ფეყი დაბუჟება -მოდუნება, უგრძნობლობა, ფეხის მოდუნება. ფინთა ვიჟექე ფეყი დამიბუჟდა. დაბუჩევაი (როსტ.); იხ. საბა: დაბუშება, ჩუბ. დაბუჟება; ფეხთ მოჭირება (ი. აბ.); დაბუჩევაჲ, დაბუჟევაჲ (ღამბ.); დაბუჩება (მენთ.).

დაბურა - დახურვა. იბურება; ერაგე დაბურა იცის ვერ იცნოვ. დაბურვა (ი. აბ.).

დაბუღებულ პური - დაორთქლილი დამბალი პური. დაბუღებულ პური. დაბუღებულ პურით ნადის ვერ ჩამაცილევ.

დაბუჭება - დაბიჯება, ფეხის დადგმა, გადაბიჯება. დაბუჭებას; ჟერ ფეყი დაბუჭება არ იქნება. დაბუჭევაჲ, დაბიჭევაჲ (ღამბ.); გადაბიჯება (ჯან.); შან. რეც. დაბუჭევაჲ (როსტ.).

დაბუჯა - დაბუხება, სიარულის უნარის დაკარგვა. ფეყევ მოკეცითავ ვიბუჯები. დაბუჯაჲ, დაბუჯევაჲ (რო სტ. ღამბ.). დაბუჯევა-ფეხთ მოჭირვება (საბა); შდრ. ჩუბ. მენთ. კირ., ჭინჭ., ვაჟა, კაიშ.

დაბღაჟნა - უშნოდ წერა. დაბღაჟნული; მაგი დაბღაჟნულ მინ წაიკითხავს. დაბღლანჟაჲ (ღამბ.).

დაბღერტა - დაბერტყვა, გასუფთავება. ბღერტავს; თხილი დაბღერტას მოჰჩა. დაბღერტაჲ (ღამბ.როსტ.).

დაბღლერზა - უხეიროდ, უშნოდ ხილის მოკრეფა. ბღლეზავს; ლოღი დაბღლერზა, წავდა.

დაგაზა - თავქუდმოგლეჯით სირბილი. დაგაზული; დავნახე როგო დაგაზული მირბოდა.

დაგება - გაშლა საწოლისა. აგევს, უგევს, დოვგა. ფართალ დაგება არ დაიმირწყო.

დაგება - წყლის გაშვება. დილიგში წყა-

ლი დოვგი.

დაგება - წნილის ჩადება. ქალამი დაგება არ ვიცი.

დაგება - ტარ დაგება. წალდი ტარი დოვგა. დაგევაჲ (როსტ. ღამბ.).

დაგლეჯული - დაგლეჯილი. გლეჯავს; ერ დაგლეჯულ შარვალი მამიღა.

დაგლეჯა - დაგლეჯა.

დაგლეჯა - დახევა.

დაგლეჯა - დამტვრევა.

დაგლეჯა - გატეხა (ღამბ.).

დაგორგლება - დამრგვალება, ერთად დახვევა. აგორგლევს; ნეჭას დაგორგლებასუკან ყუჟურში ვაყუდევთ. დაგორგლევაჲ (ღამბ.) .

დაგრთიება - დაახლოება. ჰავაშ-ჰავაში ჰეგენი დაგრთავდნენ.

დაგრიალება - ბევრი ხილის ერთბაშად ჩამოცვენა. ვაშლი შარყევითავ დაგრიალდა. დაგრიალევაჲ (ღამბ.).

დაგრობა//დაგრიმა - რჩოლა, რქენა. გუშინ ფურმა ყმაწილ დაჰგრიმა. გრომაჲ, დაგრობაჲ (ღამბ.როსტ.). გურემა - სხუერა (ჩხლეტა) - საბა; გვრემა - გვემა, ცემა (ჩუბ.); გრემა (ჯან.).

დაგროშა - მსხვილად დაფქვა. გადატ. ზედმეტი ინფორმაციის მიწოდება. სიმინდი დაგროშა, ბევ დაგროშა. დაგროშაჲ (როსტ.). იხ. საბა. გროში.

დაგრუება - დაგროვება. გადატ. მათხოვრობა. დაგრუება კარგა იცის, მიცემა უჭირს, კარი-კარზე დაგრუება

მის უხარიან. დაგრუევაი, დაგრუოვაი, დაგრუევაჲ (ღამბ.).

დაგუბება - დატბორა. გუბდება; დაგუბებულ წყალი გოუში.

დაგუდება - ტანისამოსის ტანზე უშნოდ დადგომა. დაგუდებული; ვერ ჰხედავა პერანგი როგო დაგუდებულა. დაგუდევაჲ, დაგუდევაჲ (ღამბ.).

დაგულა - დახურვა, დაკეტვა.დაჰგულავს; დანა დაგულა შარვლი ჟიბეში ჩაიდო, ოთაღი კარი დაგულა. დაგულაჲ (ღამბ.როსტ.). დაგულვა (ჯან. ჩუბ. მენთ.); დაგულავს (კაიშ.); დაგულვა, შეგულვაჲ (უთურგ.), გიგ., თოფ., ქავთ. (თუშ.), კარების დაგულვა - კარების ჭვრიტეების დაჩურთვა ჭინჭ. (ხევს.).

დაგუნდება - ცომის დაგუნდვება. აგუნდევს; ცომი დაგუნდებას ჟერ არ მოჰჩომილა. დაგუნდევაჲ (ღამბ.).

დაგურგლება - დამრგვალება. აგურგლებს, დაგურგლებული; დაგურგვლიებულ ცომს სათხელებლით ვათხელევთ. და(მ)გურგლევაჲ (ღამბ.); დაგორგლევაჲ (როსტ.).

დადაღა - ცხიმეულის დადნობა. დადაღული; ბაზრით მანაღევ კარაქი დადაღა. დადაღაჲ (როსტ.ღამბ.); დადაღვა - ცხიმში ხახვის მოწვა საშეჭამანდოდ (მენთ.).

დადი - მდადე, მაყარი ქალი, რომელიც

პატარძალთან არის. რაიბე დადი არ წაჰყევე? დად (როსტ. ღამბ.); მდადე (ჩუბ. მარტ-იმნ.); დადი (უთურგ.); ჯან.

დადრეცა//დადრიცა - გადატ. გადაყლაპვა, შესანსვლა. დრეცავს; რაც ჰქონდა დადრიცა. დადრეცაჲ (როსტ.) შდრ. ჩადრეცაჲ, მენთ. დადრეცა.

დადორდღნა - დანერწყვა. დადორდღნა გოვშო. დორდღნის; დადორდღლაჲ - დადობლა (ღამბ.);

დადღრენა - ბაგეების გადმობრუნება. ღრენავს; დაღრეჟა (როსტ.) . დადორღვა (ქაჯ.).

დადუდრიანება - მსხვილად ქცევა. ალუნჩა დადუდრიანებულა. დადუდრუანევაჲ, დადიდრუანევაჲ (ღამბ.).

დადღაბნა - დასვრა, დასვრილი. დადღაბნილი; აქავრობა დადღაბნა, წავდა.

დადღრენა//ყბაი დადღრენა - ინფორმაციის გაცემა, უშნო დაღრეჯილი, ულამაზო. დადღენული; რა დადღრენულ რაიმერი. ყბაი დადღრენა მაგი საქმეერი. დადღრენა - ბაგეების გადმობრუნება, დაღრეჯა (როსტ.); დადღრენაჲ -ღრენით პირის დაღება (ღამბ.).

დავაზირება - დავალების მიცემა, დასაქმება, დაკვალიანება. ვაზიროვს, დოვაზირნია.

ბრიგადელ დოვაზირნია. დავაზირევაჲ -ბრძანება, დავალება, დასაქმება (ღამბ. როსტ.). უვაზირა (ჯან.); ვაზირობა -საქმის რჩევა (საბა).

დავარდნილი - გამხდარი, დასუსტებული. დავარდნილ საქონელი ჯორცი არ ვარგა.

დავლა - მონახულება, შემოვლა. მაგა დავლა დიახ უყუარს. დავლაჲ (როსტ. ღამბ.).

დავსობა - დავსება, ამოგდება. დაავსოვს; სახ-კარი დავსობა ნუ იცი. დავსევაჲ, დავსოვაჲ (ღამბ.).

დაზანზარება - რხევა, შერხევა. ზანზაროვს; ნაგახტან იქავრობა დაზანზარდა. დაზანზარევაჲ (ღამბ.).

დაზახა - დაძახვა. იზახის; მატყლი დაზახა, წინდევ შაქმნა მინდა. დაზახაჲ (ღამბ.).

დაზახება//დაზახნა - ყვირილი, ხმამაღლა დაპატიჟება, შერქმევა. თქენ დაზახნა დამირწყებიაყე. დაზახნა არ მიყუარს, სახელ დაზხნა ჩემზე იყოს. დაზახნაჲ (ღამბ); დაზახება (ი. აბ.).

დაზბანება//დაზმანება - დატოლება, დაზომება. აბზანევს; შარვალ ყიდვაში დაზმანება არ დაიმირწყო. დაზბანევაჲ (როსტ.).

დაზგლუნა - გაცურება, გასრიალება. ზგლუნავს. ნაგახტან დაზგლუნა, ხელით გამივარდა. დაზგლუნევაჲ, გაზგლუნ(ე)ვაჲ (ღამბ.); ზგლუნ-საგლინავი, ლიპი, გლუსუნი;

დაზგლუნდა - დაცურდა (ჯან.); გლუნვა- ყინულზე ცურვა, სრიალი (მენთ.); ოუმლინდება (ძოწ.).

დაზებნა - ძებნა, მოძებნა. ზებნის; დიდსან დაზებნა ვერ იპოვნა. დაზებაჲ, დაზობრაჲ, ზებნაჲ (ღამბ. როსტ.).

დაზელა - დარტყმით ჭურჭლის შეზნექა, გალუნვა, გაფუჭება. ზელავს, ზელვა. დაზელულ ქობი მამცა, ჯრები დამიზილა. დაზელაჲ (ღამბ. როსტ.).

დაზრა//დაზრომა - დაძვრა, განძრევა. ადგილით დაზრა ეზარება, დაზრომასუკან ვერ დაალონევ. დაზრაჲ, დაზრომაჲ (როსტ. ღამბ.) .

დაზობა//დაზოვა - შობა, მოგება. ჩონ ზროხაი დაზობაში მოი. დაზოვაი, ზოვაი (როსტ. ღამბ.); არდანაზოვ - უზვი. ახალდანაზოვ - ახლად მოგებული; ერ დანაზოვ- ერთნაყოლი; ტურა იზება (ჯ,ან.), ზობა (ჯ,ან.); იზვება (საბა); ზვევა (ჩუბ.), ზარვა, იზარება (ლეონ.); ზობაჲ - გაბევრება, გამრავლება (უთურგ.); ზვება (ჭინჭ. ხევ.), საზვები - მაკე პირუტყვი.

დაზურგა - დიდი ტვირთის წამოკიდება. დაზურგული; ერ შაჰხე, როგო დაზურგულა. დაზურგაჲ (როსტ.).

დაზღარტება - დახეთქება, დანარცხება. ორჟერ მაიქნივა მიწაზე დააზღარტა. დაზღარტევაჲ (ღამბ.).; ეჟღეტება (ნიჟ.).

დათალამება - თივის თალამებად დაწყობა. ბალახი დათალამება არ დაგმირწყდეს. დათალამევაჲ (როსტ. ღამბ.).

დათარაშება - დატაცება. წინ მანალევ რამეი დათარაშება ნუ იცი. დათარაშევაჲ (ღამბ.), თარაშ (ჯ,ან.).

დათლა - დათვლა. დათლას//ითლის; სამშენებლო მასალის გათლა. ცხორი დათლა არ დაიმირწყო, აჰტაჟი დათალა. დათულაჲ, დათლაჲ, დათლოვაჲ (ღამბ.).

დათერგნა -დატუქსვა. თერგნის; რაიბე იცი ინსნი დათერგნა. დათერგაჲ (ღამბ. ჯ,ანგ.).

დათითქნა - თხუპნა, თხვრა. თითქნის, მოჰჟდა, დათითქნა წაუდა.

დათუნანები - დათუნაშვილების საგვარეულო შტო ს. ალიაბადში.

დათურთქლა - ხილის ცხელ წყალში წამოდუღება. თუთქავს, ქრივალი დათურთქლა ჩაფარზე დააყარა.

დაი-დაი - ბავშვის დასაძინებელი ნანა. დაი-დაი შულო, დაი-დაი. დაჲ-დაჲ (როსტ. ღამბ.). შან. რეც.

დაიდა//დაჰადა -უფრო მეტად. დაჰადა კაი იქნა მაგი იქ წასლა. დაიდა (აზ.)-დიდად (ღამბ.).

დაირისხა - დაფიცვა. დაიფიცა-დაირისხა მე არ მიქნიაო.

დაირმან-ჩაი - მდინარე. ჩაედინება მაწიმის წყალში.

დაყროყინება - ყროყინი. ყროყინოვს, დაიყროყინა, ვირმა ნაგახტან დაიყროყინა.

დაფუშა - დაშლა. დაიფუშება, დაფუშული, დაფუშულს; კარგა არ დანადგამ სახლი დაიფუშება.

დაჩხლართა - უშნოდ დაგრეხა, ათელა. დაიჩხლართება, დაჩხლართულს; ერაგე დაიჩლართა წრრ ვერ იპოვნი.

დახარჟა -გარდაცვალება. გუშინ სალამოზე დაიხარჟა.

დაკაფა - შტოების დაჭრა. შიშაიბეი მუხა დაკაფა. დაკაფა - დაჭრა (ი. აბ.).

დაკაჭა - თიბვა. ყოროლში ნაქნარ ბალახი დაკაჭა. დაკაჭაჲ (როსტ. ღამბ.); კაჭვა (ჯან.); გაკაჭვა (მენთ.).

დაკაჭიება -კაჭებად დაჭრა. აკაჭიევს, ყარფუზ დაკაჭიება უნდა. დაკაჭევაჲ (როსტ. ღამბ.).

დაკაწრა - ბრჩხილებით, ბრჭყალებით დაფხაჭნა. დაჰკაწრავს, პირი ბითოვ დაკაწრული ჰქონდა.

დაკერა - დაკერება, გაკერვა. დაჰკერავს, დაკერული. შარვალი დაკერა არ იცის. დაკერაჲ- გატეხილი ხის საგნების შეკეთება, გამთელება (ღამბ.); დაკერული (ი. აბ.).

დაკეჭნა - უშნოდ დაჭრა, გაფუჭება. კუჭნის, ხეზე ცულით ნიშნის დადება. ყოროლში მუხა დაკეჭნა.

დაკინკილება - ჩამოკიდება, ჩამოკონწიალება. ურმიბეი დაკინკილებაში გაჰტყრო. დაკინკილევაჲ (როსტ. ღამბ.).

დაკლა - დაკვლა. დაჰკლავს, ერჟა ზროხა დაკლა წავდა. დაკლაჲ (ღამბ.).

დაკლეტა - დახურვა, დაკეტვა. სახლი დაკლეტასუკან გული ფარაღათა მაქონ.

დაკლეტა - დახურვა, დახშვა (ი. აბ.); დაკლეტაჲ (როსტ., ღამბ.).

დაკლორსა - მანჭვა-გრეხა, უშნოდ მიხვრა-მოხრა. დაინახია, როგო დაიკლორსა. დაკლორსაჲ (როსტ.).

დაკმენა - დაკბენა. შაჭიდნაში დაკმენა მის გოვგია. დაკმენაჲ (ღამბ.).

დაკნეპა - უმადოდ ჭამა, ციცქნა. ცოტა დაკნიპა დააგდა, არ ჭამა. დაკნეპაჲ (ღამბ.). იკმკნება - ცოტას უგემურობ ჭამს (კაიშ.).

დაკნოტა - დაკვნეტა. ზრონამ მეივა დაკნოტა. დაკნოტაჲ (ღამბ.).

დაკონწა - განასკვა, აქედან შესაბამისი შესიტყვება. ბრიმა დაკონწა - მჭიდრო

ნასკვის გაკეთება. ჰიყლინბა დაკონწა - ადვილად გასახსნადი მარყუჟი. კანაფი ბრიმა დაკონწა. დაკუნწაჲ (ღამბ.); კუნწვა (ჯან.).

დაკოლა - ნაფეხურის დამჩნევა. მიწის გარშემო კვალის გავლება. კოლავს, სახლი დამიწმენდია არ დაჰკოლო. ერთხელ შომოუარა, დაკოლა წავდა. დაკოლაჲ (როსტ., ღამბ.). დაკვალვა მიწისა (მენთ.).

დაკოლტება - შედედება. დაკოლტებული, სისხლი დაკოლტება კაი რამე არა. დაკოლტევაჲ (ღამბ.); დაკოლტება (მენთ.).

დაკოპა - მომდინარე წყლის შეკავება მიწის ბელტებით. კოპავს, ხევში წანასულ წყალი დაკოპა. დაკოპაჲ - ბრინ-

ჯიის დასათესლად განკუთვნილ ადგილში კოპების გაკეთება. (ღამბ.) დაკოპა (ჯან.); როსტ.

დაკოსება - უადგილოდ გამოჩენა. რა დაკოსებულა, ჰეგი მინ დოვზახა.

დაკოტმანება - გამხმარი თივის გროვად დაწყობა. აკოტმანევს, გამამყევ ბალახი დაკოტმანებაში მემეშელე. დაკოტმანევაღ (როსტ. ღამბ.).

დაკრა - დაკვრა, დარტყმა. ერთხელ დაჰკრა, მიწაზე დააგდა.

დაკრა - საკრავზე დაკვრა. დოლზე დაკვრა დამაჩივა.

დაკრა - ცომის ჩაკვრა. პური დაკრა ვიცი.

დაკრა - ეშმაკისაგან შეპყრობილი. ჰეგი ღმერთისგან დაკრულია.

დაკრა - საჭმლის მოუნელებლობა. ერამქოთ უჭამია დაჰკრია, ველარ სენოვს. დაკრა (როსტ.); დაკრაღ (ღამბ.) .

დაკუკურება - კურკურის გამოჩენა. ხეები უჟე დაკუკურებულა. დაკუკურევაღ (ღამბ.)

დაკუნზა - წაკუზვა, ჩაკუზვა. დაინახია, როგო დაიკუნზა. დაკუნზაღ, ჩაკუნზაღ, გომოკუნზაღ (ღამბ.).

დაკუნტა - დაკუზება, იკუნტება, დაიკუნტა. ერაგე ფინთა დაიკუნტა სრუ რაიმე გომოჩდა.

დაკუნტული ტარევაღ - დაკუზული სიარული. დაკუნტული ტარევას მოჰჩი.

დაკუწა - წვრილად დაჭრა. ჰკუწავს, დაკუწული. ჯორცი დაკუწას მოჰჩა. დაკუწვა - წვრილად დაჭრა (ი. აბ.); დაკუწვაღ - გიგ., თოფ., ქავთ. (მთიულ.); ღამბ.

დაკუჭვა - დაჭმუჭნა. დაკუჭული; შაჰხე როგო დაკუჭულა მაგი პერანგი. დაკუჭაღ (ღამბ.); დაკუჭვა (როსტ.); შეკუჭვა- შეხრუსტვა (ჩუბ.); კუჭვა (ჭყ.).

დალაგი - პარიკმახერი. დალაგი არ გოქონ სოფელში. დალლაგ (იმნ.).

დალამული - მინდორი სოფელ ითითალაში.

დალავა - გათელვა, გატკეპნა. გადატ. დაჩაგვრა. დაილავება; ტალახი დალახა, ყმაწული დალავა, ჭიაი დალახა. ფეყით დალავა, გადავდა. ბევ ტარებით დილიგი დაილავება, ფეყებით ტალახი დალავა, ყმაწულ დალავა არ იქნება, ჭიაი დალავუსაკან სრუ გაწყალდა. დალავაღ (ღამბ.); დალავინებაღ (როსტ.); დალავა, ლავვა (ჯან.); ლახვა (შან. ვაჟა I), ლავ (შან. ხევს.); დალავვა (მენთ.); დალახვა (ჩუბ.) დალახავს ქეგლი (თუშ. ფშ.); უთურგ. ჭინჭ. ვაჟა.

დალბობა - დასველება. ალბობს, დალბობილი. გამხმარ პურს დალბობა უნდა. დალბომა - დასველება (ი. აბ.); დალბოვაღ (ღამბ.).

დალენგება - დაყოვნება, გაჭიანურება. ალენგევს, სესხი არ დაალენგებივარ. დალენგევაღ (აზ.)- ღამბ. როსტ. დალენ-

გაჲ (ჯანგ.)

დამაკება- განაყოფიერება. შენ ფური წელს დამაკებულა.

დამალიობან - ერთგვარი თამაშია. ერთი თვალს დახუჭავს დანარჩენები იმალებიან. გახუჭული თვალახელის შემდეგ მათ ეძებს: დამალიობან ვთამაშოვდით ყმაწილობაში. დამალოვან- დამალობანა (როსტ. ღამბ.).

დამბურა//დამპურა - დაბალი და მსუქანი ადამიანი. ერ პატრა დამპურა რაიმერი. დამბურაჲ (ღამბ.). შდრ ჩუბ. დამბურა.

დამგურგლება -დამრგვალება. აგურგლევს, დამგურგლებაში კაი საქნია. დამგურგლევაჲ (როსტ. ღამბ.).

დამდნარი - დალეული, დადნობილი. ერ დამდნარ ჩითით შამიკერა პერანგი. დამდნარი (ი. აბ.).

დამერჟნა//დამერჟა - დანაძლევება. არ ვიცი რაზე დაიმერჟეთ. დამერჟნაჲ (როსტ. ღამბ.). დამდამი არი, ჭამჭამი არ - უსუფრაო ცეკვა-თამაში. დამდამი არი ჭამჭამი არ.

დამზახნელები - წვეულებაში დამპატიჟებელი პირები. დამზახნელები გავგზავნე სოფელში. დამზახნელები (ღამბ.).

დამზერა - ჩუმად თვალთვალი. მალივი დამზერა რაიბე იცი? დამზერა - დაყურება, თვალთვალი (ი. აბ.).

დამიზნება - მიზანში ამოლება. მაგამ დამიზნება კარგა იცის.

დამირწყება - დავიწყება. მაგამ ჰამეშა დამირწყება იცის. დამირწყევაჲ (ღამბ.); დამირწყება (ჯან.); როსტ.

დამკლანზა - დამკლავება. კლავები დამკლანზასუკან ხანჟალი აიღა ხელში. დამკლანზაჲ (ღამბ.). იხ. მენთ. დამკლავება.

დამჟიებულ - დამჟავებული. დამჟიებულ ქალამიც წინ დამიდო. დამჯიევაჲ, ამჯიევაჲ (როსტ. ღამბ.).

დამრიალება//თოლევ დამრიალება - დაბრიალება, თვალების ბრიალი, გაბრაზება. თოლევ დაბრიალება კარგა ვიცი. დაბრიალევაჲ (ღამბ.); მრიალი (ჯან.).

დამრუშკა - დაბღვერა, დამრუშკული, რა ქნილა, რა დამრუშკულა. დამრუშკაჲ (როსტ. ღამბ.). დამრუშკული- გაბრაზებული (კაიშ.).

დამფადუმფი - ნაღარის, დოლის ხმა. დამფადუმფი ხმი გაგონითავ ჴელევ შლის. დამფ, დამფადამფ (როსტ.).

დამშნრვა//თავდამშრვა -კოხტაობა, მშვენივრად ჩაცმა. ქორწილში წასლაში თავი დამშნრვა ლაზიმია. დამშნოვაჲ, თავ დამშნოვაჲ (ღამბ.).

დამწარება - დამძაღება. დამწარებულ ჰალვა იყო. დამწარევაჲ, გამწარევაჲ (ღამბ.).

დამხალება - გადატ. კარგად ცემა. ერაგე კარგა დაამხალა ერ კურა ფართლით ვერ დგება. დამხალევაჲ (როსტ. ღამბ.). დაამხალა ჯან.).

დანაზელი - გვერდებდაჭყლეტილი

ჭურჭელი. დანაზელ ქობი მე რაშ მინდა. დანაზელ (როსტ.).

დანაკარ პურ - თონეში გამომცხვარი პური. დანაკარ პურიც ჩადევ. დანაკარ პურ (როსტ. ღამბ.).

დანალა - დანალვა (საქონლის). გადატ. მოტყუება. ნალავს, ცხენი დანალა, ქედში წავდა. შენ დანალა თუ უნდა ქნევს. დანალაჲ (როსტ. ღამბ.).

დანამატევ//მანამატევ - რაც მორჩება. მანამატევ ფლავი ჩონსა მაიღი. დანამატევ (როსტ.).

დანარჩომი - დარჩენილი, დატოვებული, ნაშიერი. ჩონ დანარჩომი მაგამ წაიღოს, შინ დანარჩომ მეშუკი მამიღი. მაგი დანარჩომი მინ საქნია. დანარჩომ- გადატ. გაუთხოვარი (როსტ.).

დანაყა - დანაყვა, დაცეხვა, თავის კატუნი. ნაყავს, ბრინჯი დაანაყლა დამიზახა, დაინახია როგო ნაყავდა თავს. დანაყაჲ (როსტ.ღამბ.); ნაყვა (შან.რეც.); დანაყვა-ცემა, დაჩეჩქვა (ი. აბ.).

დანაყარ - დაყრილი, მიტოვებული. კურტი დანაყარ ჭუჭულებია. დანაყარ (ღამბ.).

დანაჩი//ტანაჩი - სოფელი ზაქათლის რაიონში.

დანაცოლი -გამოცვლილი ტანისამოსი. დანაცოლ ტანსმუსი ერთა დაყარე. დანაცოლ (როსტ.).

დანდალი - ურმის ერთ-ერთი ნაწილი. ურმი დანდალი გაიხეჩა. დანდალი -ლაგამი, აღვირი (ი. აბ.); კიბის თუ ურმის სახიდარი (საბა); კიბის საფეხური (ჩუბ.) დანდალ (მენთ. ჭყ.), ქეგლი. ღამბ. დანდევ (როსტ.)

დაპირება - შეპირება, შეთქმა. გადატ. ითქმის ღმერთისთვის ან წმინდანისთვის შეპირებულ ფრინველზე, საკლავზე. დაპირებული. მამალ-ვარია მაქონ დაპირებული. დაპირებულ, დაპირევაჲ (ღამბ. როსტ.)- დაპირეულ.

დაპირსება - პირში წაყენება. მაგასთან დაპირისება არ მინდა. დაპირსევაჲ (ღამბ.); დაპირისევაჲ (როსტ.).

დაპლარტუნება - თვალის ხამხამი. აპლარტუნევს, ყმაწილი თოლევ აპლარტუნევს, ეზინება. დაპლარტუნევაჲ, პლარტუნ -პარპალი, ხამხამი (თვალის). პლარტუნ- თვალთა ან ყურთ უშნოდ ძრავა (ჯან.). ღამბ. პლარტუნი-თვალ-წარბთ ძრავა უხამსოდ (საბა).

დაპრუწა - დაჭკნობა, გადატ. ითქმის დამჭკნარ ადამიანზე. პრუწავს, დაპრუწული. ზეში დანარჩომ ლებუა დაპრუწულა, დაინახია როგო დაპრუწულა. დაპრუწაჲ (როსტ.), დაპრუწ(ევ)აჲ, შაპრუწაჲ (ღამბ.)

დაჟგლობა - შერყევა, შენჯღრევა. ჟგლობავს, ფინთა დაჟგლობა იცი. დაჟგლობაჲ -(ღამბ.); ჯგვლემა (ჩუბ.) ჟღვლემა, ავადზელა (საბა); ჯგვლემა-მუჯლუგებით ჩაცმა, გლეჯით ცემა (მაისურ.) ჯღვლემაჲ - ღეჭვა (უთურგ.). დაჟგლობაჲ (როსტ.).

დაჟდონა - დასმა. აჟდებს, ცხენზე დაჟდონა არ იქნება. დაჟდონაჲ (ღამბ.).

დაჟეკა - ცემა. ჟეკავს. კაი დაჟეკა უნდა.

დაჟეკა - ხელის დაკოჟრება. მაგი დაჟეკულ ხელები დაინახია?

დაჟეკა - რკინის გათხელება. ჩალლუს დაჟეკა უნდა. დაჟეკაჲ (როსტ. ღამბ.); ჟეკაჲ (შან. რეც.) ჟეკაჲ - გიგ., თოფ., ქავთ., (ინგილ.), უთურგ.

დაჟეჟლა - დაბეჟვა, მაგრად ცემა. ჟეჟლავს, ხორცი დაჟეჟლა წავდა. დაჟეჟლაჲ, დაჟეჟაჲ (ღამბ.).

დაჟერგება - დამწკვრივება. აჟერგევს, სალდათებივი დაჟერგებულან. დავჯერგევაჲ, ჩაჟერგევაჲ (ღამბ.); ჯანგ.

დაჟერება - გაგონება, ყურის გდება. უჟერევს, მე რომ დამიჟერა უგეიმაზე კაი იქნა.

დაჟერება - დანდობა. დაჟერება არ მინდა. დაჟერევაჲ, დაჟერნაჲ (როსტ. ღამბ.).

დაჟირიმება - ხორცის გასახმობად დასერვა. ზამთრიბეი ჯორცი დაჟირიმება არ დაგმირწყდეს. დაჟირიმევაჲ (როსტ. ღამბ.).

დაჟუტება - დაფურთხება. აჟუტევს, ფინთა დაჟუტება იცის. დაჟუტოვაჲ (ღამბ.); ჩაჟუტება (ჯან.).

დაჟღლა - დაჯეჯვა. დაჟღლილი, კომში დაჟღალა, მემრე ჭამა. დაჟღლაჲ (როსტ. ღამბ.); დაჟღლა, ჟღლა (მენთ.); ჟღლა (ჩუბ.).

დარაზიება - შეთანხმება, მორიგება. არაზიევს, მაგი დარაზიება ჰადილი არ საქნია. დარაზიევაჲ (ჯანგ. ღამბ.).

დარანღუ - ვერხვის მსგავსი ფოთლოვანი ხე: დარანღუ მაქონ მააჭრელი. დარანღ (როსტ.); დარანღუჲ, დარანღოჲ (ღამბ.). მაყ.

დარდოკაზი - სოფელი ზაქათლის რაიონში.

დარვაზა - ჭიშკარი. დარვაზაი დაკლეტა არ დაგმირწყდეს. დარვოზაჲ, დარვაზაჲ, დარვუზაჲ, დაროზაჲ, დარუზაჲ (ღამბ.); დარვაზა (ჩიქობ.); როსტ.

დარვაზბინა - დასახლებული პუნქტი ბელაქნის რაიონში.

დარიგება - თამბაქოს ასხმა ძაფზე. არიგებს, თუთუნი დარიგებას ჟერ არ მოჰკიდებივარ. დარიგევაჲ (როსტ.).

დარისხა - წყევლით ფიცი. დაირისხა, დაიფიცა - დაირისხა მე არ წამილიაო. დარისხაი (როსტ.); იხ. საბა. შდრ. ჩუბ. დარისხება. დარისხვა (მენთ.).

დარყევა -დარყევი - რყევა, შნო, მოშვებული სიარული. ნაგახტან თუ დაირყივა რას ქნევ. დარყევი-დარყევი ეტარება. დარყევაჲ (როსტ. ღამბ.).

დარცხნა - შერცხვენა. პირზე ლიბასი არ აქო, არც დარცხნა იცის. დარცხნაჲ (ღამბ.).

დარჭობა - მოულოდნელად გამოჩენა, უცბად მოსვლა. დაინახია როგო დარჭობილა. დარჭმა-დასობასავით (საბა).

დარჰალ -მაშინათვე. დარჰალ ჩემ გორდზე გაჩდა. დარჰალ - აი მაშინვე (ჯანგ.)

დასადრა - გაზომვა, გადაზომვა. სადრავს, ვერღნიბეი ფარჩა დასადრა. დასადრაჲ - მთელი ზალღონით ჩარტყმა (როსტ.). დასადრაჲ (ღამბ.); მოსადვრა ანუ მოსაზვრა საქმის მოსინჯვა მის დაწყებამდე (ჯან.).

დასამბლა - ხელით წონის მოსინჯვა. საბლავს, ქათამი ხელში დასამბლა. დასამბლაჲ (ჯანგ. ღამბ.).

დასარქლება - თეფშის გადმობრუნება, დახურვა; დასარქლება არ დაგმირწყდეს. დასარქლევაჲ -გადატ. მთელი ტანით გადაფარება (როსტ.). ღამბ.

დასასა - გაფანტა, გაბნევა. სასავს, რაც ჰქონდა სრუ რაიმე დასასა. დასასაჲ (ღამბ.); დასესაჲ (როსტ.).

დასახლება - დაქორწინება. დაოჯახება. დასახლებას არ ვაპირევ. დასახლევაჲ (ღამბ.); დასახლება (ნიჟ.).

დასიება - საჭმლის ნდომისაგან ცუდად გახდომა. ინსნი დასიება რაიბე გიყუარს. დასიევაჲ (როსტ. ღამბ.).

დასირიღება - დალიანდაგება. ასირიღებს, ვერღნი დასირიღებას მოვჭი. დასირიღება (როსტ.); დასირიღევაჲ (ღამბ.).

დასრნება//მოსენება//სრნობა - დასვენება, მოსვენება. დასრნება ჩონთუნაც ფინთი არ იქნება. დასრნევაჲ, მოსრნევაჲ, სრნევაჲ (ღამბ.).

დასრელა - სრელის გავლება, დაკვალვა. სრელავს, დასრელე მემრე დავთესავ. დასრელაჲ (როსტ.). სრელ-ზოლი. იხ. საბა. ჩუბ. მენთ. სრელა.

დასრომა - დაზელვა. სრომავს, ზურგი დასრომა არ გინდა? ასრომაჲ, დასრომაჲ (როსტ. ღამბ.). ასვრება, სვრება (ჩუბ.); სვრება (მენთ.), დაჰსრომავს (შან. რეც.)

დასლინგა - დალაქავება. სლინგავს, ფინთა დასლინგა სარუჩკა. დასლუნგაჲ, დასუნგლაჲ, დასუნგლაჲ, დასინგლაჲ, დასინგაჲ (ღამბ.).

დასტა - დართვა. ფარუი დასტა არ იცია? დასტაჲ, დასტუაიჲ (როსტ. ღამბ.).

დასტენა//ასტენა -დაცდენა, აცდენა. წოორა ესროვნე არ დაასტინო. დასტენაჲ, ასტენაჲ (როსტ. ღამბ.). სტენა, დასტენა, ასტენა (ჯან.).

დასტონა - სტვენა. ყმაწილმა დასტონა არ იცის? დასტონაი, სუსტუნ (როსტ. ღამბ.).

დასუნა - დასუნვა, დაყნოსვა. ჰსუნავს, დაჰსუნა. მარტო დასუნა წავდა. დასუნევაჲ (ღამბ.).

დასხლაპუნება - ხელიდან დაცურება, გავარდნა. სხლაპუნოვს, ნაგახტან დასხლაპუნდა გადვარდა. დასხლაპუნევაჲ (როსტ.).

დასხმა - სითხის მოსხმა. ნაყოფის მოსხმა. ისხამს, ფლავზე ქონი დასხმა არ დაიმირწყო. სხალმა კარგა დასხმა იცის. დასხმაჲ (ღამბ.).

დასხრტა - მძლავრად შერხევა. სხრტავს, კალი მაგრა დასხრტა. დასხრტაჲ, გასხრტაჲ (ღამბ. გასხრტა - ტოტების მოცილება (მოხ.).

გასხუერტა - თავთავიდან მარცვლების გაცლა ძიძ. (მოხ.).

დატარება - სიარული, გავლა-გამოვლა. შენ დატარება რაიბე იცი. დატარევაჲ (როსტ. ღამბ). დაიტარებს - შემოვლის - გიგ., თოფ. ქავთ. (ინგ.) .

დატაპუნება - ტუჩების ცმაცუნი. აკაპუნევს, ყბი დატაპუნებითავ ჩავჯდი. დატაპუნევაჲ (ღამბ.). კაპუნი ტუჩებისა (შან. ვაჟა III).

დატაყუნება - დაკაკუნება. ატაყუნევს, კრევზე დატაყუნება არ დაიწყო. დატაყუნევაჲ (როსტ.); დატრაყუნევაჲ (ღამბ.).

დატიტბა - ლაქების დაჩნევა. ტიტბავს, ახალ პერანგი დატიტბა. დატიტბაჲ (ღამბ.); დატიტბა (როსტ.); დატიტბა (შან. რეც.); ჭყ. დატიტბვა (მენთ.) დატიტვა ძაფისა (წერ.).

დატიტკნა - უმადოდ, ზანტად ჭამა. ტიტკნის, ფინთა დატიტკნა იცის. დატიტკნაჲ (ღამბ.).

დატიტყნა - დასვრა, დათხუპვნა. ტიტყნის, დატიტყნული. შენ რუბაშკა დატიტყნა. დატიტყნაჲ (ღამბ.); ტიტყნა (ბერ.).

დატკეპნა - ფეხით გათელვა. ტკეპნის, მიწა დატკეპნა მემრე პური ჭამა. დატკებნა - გაკავება (ი. აბ.).

დატკრპა - ძლიერ დატვირთვა. ტკრფავს, ურემი ბალახით დატკრპა. დატკრპაჲ (ღამბ.); დატკვეფა (მენთ.).

დატლინკება - არყევა, შეკუნტრუშება. ტლინკოვს, ურემი დატლინკებაში შემეშინდა. ნაგახტან დატლინკება ნუ იცი. დატლინკევაჲ (როსტ. ღამბ.).

დატრაყუნება - იხ. დატაყუნება.

დატყრომა - მზისგან, სიცხისგან დახეთქვა, დასკდომა. დატყრომაში დოდაღევს ქონს ვუსომთ. დატყრომაჲ (როსტ.).

დატრრმა//ტრრმა - საყველურით, წყრომით ვინმესთან ლაპარაკი. ტრრმავს, ყმაწილი დატრრმა ნუ გიყუარს. დატრრმაჲ, ტრრმაჲ (ღამბ.).

დატუმრა - ტომრებში ჩაყრა. ტუმრავს, თხილი მეშუკები დატუმრა. დატუმრაჲ (როსტ. ღამბ.).

დატყრნა - ტკაცუნი. თითევ დატყრნა ნუ იცი. დატყრნაჲ (როსტ.).

დატყუება - მტირალის მიფერებით გაჩუმება. მე მაგამ მაგრა დამატყუა. დატყუევაჲ, დატუოვაჲ (როსტ.).

დაფალსება - მოტეხვა, დასუსტება. მაგრა დაფალსებულა.

დაფანტა - დაბნევა. ფანტავს, ფესუყი ხელით გოვშო, დაფანტა. დაფანტაჲ (ღამბ.) დაფანტვა - დაგლეჯა, შეჭმა განადგურება, გაძარცვა (იმნ.).

დაფარაღათება - დამშვიდება. დაფარაღათდა, დავაქორწილე დავფარაღათდი. დაფარაღათევაჲ (როსტ. ღამბ.). დაფა-

რაღათება (იმნ.).

დაფაღირება - დაღარიბება. დაფაღირებასუკან მინმე ალარ მოდის. დაფაღირევაჲ (ღამბ.); დოვფაყირებია (ჩიქობ.).

დაფახილება - ჟანგის მოდება, დაჟანგვა. ჰენზი ქობი დაფახილება. დაფახილევაჲ (როსტ. ვკანგ. ღამბ.).

დაფეხა//დაფრხა - დატეხვა, დამტვრევა. ახალ ბელმები დაფეხა. დაფრხაჲ (როსტ. ღამბ.); დაფეხვა (მენთ.); ჩაფეხვა (მარტ.-იმნ.).

დაფხტრნა//შაფხტრნა - დაფრთხობა. ცხენებ დაფხტრნასუკან ვერ დაიჭერ. დაფხტრნაჲ (როსტ.); დაფხტომაჲ (როსტ); დაფრთობა - გაწყომა, ტლინკვა (ი. აბ.). შაფხტრნაჲ (ღამბ.).

დაფლანგა - დაფატვრა. ფლანგავს, ბითოვ ჟანი დაფლანგული იყო. დაფლანგაჲ, დაფანგლაჲ (ღამბ.).

დაფრუტება - დაფუტუროვება. ფრუტავდება, დაფრუტებულ შიშა კარგა არ იწება. დაფრუტევა (როსტ.).

დაფორება - დაობება. ფორდება, დაფორებული. რა მალე დაფორდა შენ პური“. დაფორევაჲ (როსტ. ღამბ.); დაფორება (ვკან.).

დაფტარი - რვეული. ორ დაფტარი მიყიდა ბაზრით. დაფტარ -იხ. დავთარ (როსტ.).

დაფურტა - ძლიერ მოწყურება. წყლიბეი დაფურტულიყო. დაფურტაჲ - ერთგვარი ავადმყოფობა, რომელიც ფილტვებს უზიანებს ადამიანს (ღამბ.).

დაფუშა - მოშლა, განადგურება. დაფუშული, სახლი დაფუშა.

დაფუშმანება - დანაღვლება, გულდაწყვეტა. ნაყიდ ცხენზე დაფუშმანდა. დაფუშმანევაჲ (როსტ. ღამბ.); ვკანგ.

დაფქა - დაფქვა. გადატ. ყველაფრის მოყოლა. ფქოვს, დაფქო, შენ საფქოვი დაფქა, რაც იცოდა დაფქო. დაფქაჲ უცებ ყველაფრის ჭამა (როსტ.); დაფქოვაჲ (ღამბ.).

დაფშნრტა - დაფხნა, ხელით მოსრესვა. ფშნრტავს, სიმინდი ხელით დაფშნრტა. დაფშნრტაჲ (როსტ. ღამბ.);

დაფხნა - დამსხვრევა, დამტვრევა. ფხნის, ისთაქანი ხელით გოუვარდა დაიფხნა. დაფხნაჲ (ღამბ.); დაფეხვა (მენთ.); ჩაფეხვა (მარტ.იმნ.).

დაფხლენჭა//დაფხნეჭა - გაკაწვრა ეკლით ან რაიმე იარაღით. ფეყები ეკლით დაფხლენჭული აქონ. დაფხლენჭაჲ (როსტ.).

დაფხრუსტა - დაჭმუჭნა, დანაოჭება. იფხრუსტება, პერანგი კალთა უთოითი დაფხრუსტა. დაბღრუნზაი, მობღრუნზაი - დაკრუნჩკა (ღამბ.); ვკან., მობღრუნძვა-მუხლებ შემოკვეცით წოლა (საბა); მოკუმშვა- მოფხრუწვა (ჩუბ.).

დაქადნა - დაქადნება, დამუქრება. იქადნება, დაქადნა მეც ვიცი. დაქადნაჲ (ღამბ.).

დაქანება -დარხევა რისამე. აქანევს;

თხილი დაქანებას მოჰჩია. დაქანევაღ (როსტ. ღამბ.); დაქანება (ვკან.); ქან (შან. რეც.).

დაქაქა - გაქექვა. ქაქავს; თხილევ დაქაქაში დამიზახე. დაქაქაღ (როსტ. ღამბ.).

დაქერეჭება - კანის დასკდომა. ხელები მუშაობით დაქერეჭებულა. დაქერეჭევაღ (როსტ.).

დაქესიბება - გაღარიბება. დაქესიბებულა, ჩონ დიახ დაქესიბებულვართ. დაქესიბევაღ (ღამბ.).

დაქოქა - ამუშავება. გადატ. ბიძგი ძალად ლაპარაკისაკენ. მაგა კიდემ დაქოქა უნდოდა? დაქოქაღ, დაქრქაღ (აზ.) - გვირისტი, ნაკერი. (ღამბ.); დაქოქაღ (ვკანგ.); დაქოქვა- ცუდად მიკერება (საბა); პირველჯერი ჩაკერება (მენთ.); აქოქვა- ალარვა, ხელჩქარად შეკერვა (ჩუბ.).

დაქუთება - დაკუტება. რა ქნილხარ, რა დაქუთებულხარ. დაქუთაღ, დაქუთევაღ, დაქუთულ (როსტ. ღამბ.).

დაქუსლა - წინდებზე ქუსლების გაკეთება. ქუსლავს; წინდები დააქუსლელი მაქონ. დაქუსლაღ (როსტ., დაქუსვლა (მენთ.).

დაღ დასმა - დარდის გულამდე მიტანა. ინსნიბეი დაღ დასმა რაიბე გინდა? დაღდადევაღ (ღამბ.).

დაღ თექა - ვკიხვი. დაღ თექაი ჯორცი ტკბილია. დაღ თექაღ იხ. თექაღ (როსტ.).

დაღდაღანი ზივი - ავი თვალისაგან დამცავი მძივი. აკუანზე დაღდაღანი ზივი დაჰკიდე. დაღდაღან (როსტ.).

დაღერღნა - ღრღნა, დაკბილვა. ღერღნის, ერჟა დაღერღნა გოუშო. დაღერღნაღ (ღამბ.). შდრ. საბა: დაღერღვა.

დაღეჭა - დაჭმუჭნა. ღეჭავს, დაღეჭულა; ფინთა დამჟდარხარ პერანგი დაღეჭულა. დაღრჭაღ (ღამბ.).

დაღირება - დაღერება, დამიზნება. უღირებს, თოფი დაღირებითავ გადაიხორწა. დაღირევაღ (ღამბ.). დაღირსება (საბა), დაღერება (ჩუბ.); ჭინჭ. ვაჟა; დოლ. კაიშ.

დაღირსება - მოულოდნელად გაჩენა. ნაგახტან ჩონ წინ დაღირსდა. დაღირსევაღი (ღამბ.); დაღირსება (იმნ.).

დაღონება - გაჩერება. აღონევს, ჩონ სახთან მეშინი დაღონება არ დაიმირწყო. დაღონევაღ, დაღენევა (ღამბ.).

დაღრა - დაღვრა. ღრის, დაღრა. წყალი დაღრაში გოვფრთხილდი. დაღრაღ (ღამბ.).

დაღუშლა - ბევრი ჭამის შემდეგ უქეიფოდ ყოფნა. დაღუშლულა, ზოგჯერ ბევ ჭამით ინსანი იღუშლება. დაღუშლაღ (როსტ. ღამბ.); ვკან.

დაყაბრება - დაკოჟება, ბევ მუშაობით ხელები დაყაბრებულა. დაყაბრევაღ, აყაბრევაღ (როსტ. ღამბ.).

დაყათიება - უთოთი ტანსაცმელზე ღარების გაკეთება. პერანგი დაყათი-

ება დამმირწყდა. დაყათიევაჲ (ჯანგ. ღამბ.).

დაყაპება - დაობება, დამძალება. დაყაპებულა, შენ ქონი დაყაპებულა. დაყაპევაი (როსტ. ღამბ.).

დაყენება - იხ. დაღონება.

დაყიება - გალვიება. ყივდება, თესლი დაყიებულა.

დაყიყა - წუთი. ,,ერ დაყიყა არ მელედა“.

დაყრდრება - დაყვედრება. ინსნიბეი დაყრდრება რაიბე იცი? დაყოდრევაჲ (ღამბ.).

დაყრა - დაკოდვა. ყორავს, ისამ თავი ულაყ ცხენი დაყრა. დაყრაჲ (ღამბ.).

დაყურვა//დაყუევა - დაყვავება. ,პიიწა დაყურვა ლაზიმია. დაყურვაჲ, დაყუევაჲ (როსტ. ღამბ.); დაყოვება (ჯან.).

დაყუჟლნა - ჩახუტება, გადახვევნა. ყუჟლნის, დანახითავ დაყუჟლნა. დაყუჟლნაჲ, დაყუჟრაჲ (როსტ. ღამბ.); დაყუჟლვა (ჯან.); ყუჟვა: მოყუჟვა, მიყუჟვა, შეკუჟვა -თავის შეწუხება - ძიძ. (ქართლ.).

დაშაგლი- ჩაი - მდინარე. ჩაედინება ალ-ჯიგან - ჩაიში.

დაშაპა - დაშაბვა. შაპავს. სხალმა პირი დამიშაპა. დაშაპაჲ (როსტ.).

დაშარტა - მაგრად შეკვრა. შარტავს; ერაგე დაშარტა ვერ გაჰხსნი. დაშარტვა (კირიონი).

დაშენა -ცემა. უშენს, დაშენას მინ დაგასწროვს. დაშენა (ჯან.).

დაშიება - ტყავის გასახმობად მომზადება. აშიევს, დაშიებულ ტყავ ზეზე გაჰქონენ, ახმობენ.

დაშლრპა - ფეხსაცმლის მოჭერით კანის დაშავება. ფეხები დაშლიპა. დაშლრპაჲ (როსტ.).

დაშნროვა - მოხდენა. თავითავი დაშნრვა არ იცის. დაშნრმაჲ (როსტ.), დაშნრვაჲ, მოშნომაჲ (ღამბ.).

დაშოლტა - საქალამნედ გამხმარი ტყავის დაჭრა. შოლტავს; მამამ ტყავი დაშოლტა. დაშოლტაჲ (ღამბ.)

დაშრეტა - დაშრომა, გაშრობა. წყალი დაშრეტასუკან ქონი დაამატე. დაშრომაჲ-დაღლა (როსტ. ღამბ.).

დაჩევა - სწავლა, დაჩვევა, ცხენის გახედნა. დერსები რაიბე არ დეეჩივე, ცხენი ტაჭკაში დაჩევლა, შენ ჩემ დაჩევა რაშ გინდა. დაჩოვაჲ (ღამბ.).

დაჩერთა - ერთიმეორეზე გადაბმა. ჩერთავს, სახლი კედლები ფიცრები ერთმეთან დაჩერთა. (როსტ. ღამბ.), დაჩალთვა - წვრილად დაჭრა, დაკუწვა (მენთ.).

დაჩლართა - ერთმანეთზე გადახვევა. ჩლართავს, კანაფით ხეზე დაჩლართა. დაჩლართაჲ ნ. აჩლართაჲ (ღამბ.).

დაჩოლფათება - მოშვება, მოდუნება. ჰეგი ერაგე დაჩოლფათებულა რაიმეს ვეღარ ქნევს. ჩოლფოთი - მოდუნებული

(კირ.).

დაჩულა - შეფუთვა, ჩულავს, დაჩულულა; ზამთარში ცხენს ჩულავთ, რამქითონ ჩაგიცომ დაჩულულხარ. დაჩულად (როსტ. ღამბ.); დაჩულვა - ჩულის თექის ან სხვა რაიმის დახურვა რომ არ გაცივდეს ძიძ., კეცხ., ხუბ. (ქართლ.).

დაჩურჩა - ჩურჩის შემოცლა. ჩურჩავს, თხილი დაჩურჩას მოჰჩია?

დაჩურჩა - კურკის გამოცლა. შუნდი დაჩურჩა გაავმობლა. დაჩურჩად (როსტ. ღამბ.).

დაჩხლორტა - ჩხვლეტა მრავალგზის. ჩხლორტავს, ქრივლი დაჩხლორტა არ დაიმირწყო. დაჩხლორთად (ღამბ.).

დაჩხუტა - წალდით ჭიგოს წვერის წათლა მიწაში ჩასასმელად. ჩხუტავს, ჭიგოი დაჭხუტა მინდა. დაჩხუტად (როსტ.).

დაცახა - საპარკედ ჭიისთვის ცახის შედება. ჭიაი დაცახა მინდა. დაცახად, შაცახად (როსტ. ღამბ.); შაცახვა (მენთ.), შამოცახვა (ძოწ.).

დაცემა - მცირე ოდენობით დამატება. ცემს, ცოტა წყალი დაჰცი.

დაცემა - მთლიანად დაფარვა. ალას იქავრობა დოვცია.

დაცემა - დატაცება. რაიბე დაცემა უყუარს. დაცემად (როსტ.).

დაცლა - ტანისამოსის გამოცვლა. იცლის, დაიცოლა. ჟერ ტანსმუსი არ დამიცლია. დაცლად (როსტ. ღამბ.).

დაცორა - დაცვარვა, დანამვა, დაორთქლა. სიცხით აინები დაიცორა. დაცორად (როსტ. ღამბ.).

დაცურება - გასხლტომა. გადატ. ითქმის ჭკუასუსტ ადამიანზე. ცოოტა დაცურებული აქონ შიფირი . დაცორევად (როსტ.).

დაცხრილა - სათითაოდ ჩხრეკა. ბით-ბითა დაცხრილა იქავრობა. დაცხრილად (როსტ.).

დაცხრომა - დამშვიდება, დაწყნარება. დაცხრომასუკან სალაპარიკივარ. დაცხრომად (როსტ.).

დაცხრუება - რაღაც მიზეზით კანკალი. აცხრუევს; ჟანში აცხრუევდა. დაცხრუევად (როსტ.).

დაწაფა - დაჭიმვა. წაფავს. კარგა დაწაფა კანაფი. დაწაფად - იხ. დაწიფხა (როსტ.).

დაწევნა - დაწევა. ეწევა; მაგიბეი დაწევნა ჰადული არა. დაწევნად (ღამბ.).

დაწეკა - წვრილად დამტვრევა. გადატ. ითქმის კვერცხზე, რომელსაც კრუხი წიწილის გამოსაყვანად ნისკარტს ჩაარტყამს. წეკავს; კურტმა კრცხი დაწეკა, ნაწეკი დოვყარა ჭუჭულევს. დაწეკაი (ღამბ.); წეკა, ჩეკა (ვკან.), წეკვა - კვნიწება; კვერცხ დაიწეკ (ვკან. არქ.). როსტ.

დაწიგნა - რაიმე გაგონილის ზედმიწევით მოყოლა. უწიგნავს; ბით-ბითა დოვწიგნა.

დაწილა - ახლადგამოსული ნაყოფის (კიტრის, ნესვის და მით.) მოწყვეტა. წილავს; დილიგში ნაქნარ კიტრი დაწილა, რაც იყო სრუ რაიმე დაწილა. დაწილაჲ (როსტ.).

დაწილა - დანაწილება.

დაწიფხა - გაჭიმვა, გაწევა. წიფხავს, რაც ქონდა დაწიფხა, კანაფი შუაზე გაწყიტა.

დაწიწკნა - გადატ. გაცხარებული ჩხუბი. ხელებით დაკაწვრა. წიწკნის; ერთმეთი დაწიწკნეს, ზლივ გავაშელეთ. დაწიწკნაჲ (როსტ.).

დაწკეპა//გაწკეპა - წკეპლით ცემა. წკეპლავს; მაგა კარგა გაწკეპა უნდა. დაწკეპაჲ (როსტ. ღამბ.).

დაწკლერტა - დაწვეთება, დაეწვეთა. აწკლირტევს, დაიწკლირტება; პერანგზე ქონი დაწკლერტაში გაყონა ჟაფაარი. დაწკირტიალევაჲ ნ. წკირტიალ (ღამბ.).

დაწნეხა//მოწნეხა - დაგრეხა, მოგრეხა. წნეხავს. ხელი დაწნეხა რაიბე იცი, კლავი მოწნიხა, მიწაზე დაჰცა. დაწნეხაჲ, მოწნეხაჲ (ღამბ.); როსტ. წნეხა-გრეხა წნელის, ვაზისა და მისთანათა (ჳ.ან.). წნეხა - ღრეცა, გაყრდენა (მენთ.).

დაწრიყინება - წრიყის შეყრა. შენ მანაყონ სრუ ჭუჭულები დაწრიყიანდნენ. დაწრიყინევაჲ (როსტ. ღამბ.).

დაწრუწლება - პატარა ნაწილებად დაჭრა. ჯორცი დაწრუწლება არ ვიცი. დაწრულევაჲ (ღამბ.).

დაწდა - თითო-თითო დაძრობა. წდუს, შენ ჩანაყარ სარები დაჰწუდა. დაწუდაჲ (როსტ.).

დაწყობა - დაწყობა. იწყოვს, დაიწყო. ქერფუჩი დაწყობას მოჰჩია?

დაწყობა - შერიგება. ბაირამზე დაწყობა კაი იქნება.

დაწყობა - დალაგება. ფიჩხს ლამაზა დაწყობა უნდა. დაწყოვაჲ (როსტ. ღამბ.); დაწყობა (ჳ.ან.).

დაჭამა - უზომოდ ჭამა, გაუმაძღარობა. ვეღარ გაზღა დაჭამა იქავრობა.

დაჭკილა - დაფრჩხილვა. ჭკილავს. ბითოვ პირი დაჭკილა. დაჭკილაჲ (როსტ. ღამბ.).

დაჭრევნება - დაჭრელება, ნაყიშების გამოყვანა. აჭრევნევს; გირცი დაჭრევნებას დეეჩივა.

დაჭყეტა - დაშტერება. ჭყოტავს; რა დაჭყეტულა, მის უჭრეტის. დაჭყეტაჲ, დაჭყოტაჲ (ღამბ.).

დახალი - პატარა სახლი, ხუხულა. ერ პატრა დახალიც არ მაქონ. დახალ- ბანიანი სახლი (როსტ.); დახალ (აზ.) - ღამბ.დახანება - შეყოვნება. ცოტა დახანებასუკან მეეკიდა ტირილს.

დახანხლა - დადაგვა, პირის წვა, გადატ. ითქმის ზალზე დატანჳულ, დადარდიანებულ ადამიანზე. პირპილმა პირი დახანხლა, მაგამ ერაგე დახანხლა ვეღარ ინელევს. დახანხლაჲ (როსტ. ღამბ.).

დახარჟა - ხარჟვა, გახარჟვა. ითქმის აგრეთვე მიცვალებულზე. ხარჟავს, დაიხარჟა. ანალევ თეთრი დახარჟა. ვერ დეეჰწრო დაიხარჟა. დახარჟად (ღამბ.); დაიხარჟა; იხარჟება (ჭინჭ. ვაჟა).

დახევა - დახვევა, შემოხვევა, დაგლეჯა. ქალმნი ტყავი დახივა, ფეყზე ბინტი დახევა დაჰმირწყდა, ტანსმუსი დახივა. დახევად (ღამბ.); ახევა (ჯ.ან.); დახევა - დაგლეჯა (ი. აბ.).

დახევნა - თოკის დახვევა. შენ დანამბავ ცხენი დაჰხევნია. დახევნად, დახევად, დახოვად (როსტ. ღამბ.); ახევა (ჯ.ან.).

დახილა - რისამე საგულდაგულოდ ძებნა. ხილავს; იქავრობა დახილა ვერ იპოვნა. დახილად (როსტ. ღამბ.).

დახლართა - კლაკნა, გრეხა. ხლართავს; ერაგე დახლართა თავ-ბოლოს ვერ გოუგევ.

დახლართა - ძაფების ერთიმეორეში გადახლართვა.

დახლართა - რალაცის თქმის სურვილი, მაგრამ ვერ თქმა. აქა-იქ დაიხლართა, ზლივ თქო. დახლართად (როსტ. ღამბ.).

დახლოპა - ხელის ჩამოსმით ფოთლების ჩამოყრა. ჭიაბეი ფოთოლი დახლოპა. დახლოპად, (როსტ.).

დახმა - ქოხი, ქოხმახი. ერ პატრა დახმა მაქონ. დახმა (აზ.)- (ღამბ. ჯ.ანგ.).

დახრობა - ცინგლის შესუტვით უკან დაბრუნება. ხრუპავს. ფინთა დახრობა ცხირი. დახრობად (როსტ.).

დახრწა - ძაფის დახვეწა. ზაფი დახრწა, მემრე შალება. დახწად (როსტ. ღამბ.). იხ. საბა, ჩუბ. მენთ. ხვეწა (მაკალ.).

დახრტად - გაწმენდა, გასუფთავება. ხრტავს, ქოხი დარხოტა არ დაიმირწყო. დახოტად (ღამბ.); ხვეტა (ჯ.ან.).

დახრა - დაბერტყა. ხრის, კაკალ დახრა ჰადული არ არი. დახრაი (როსტ. ღამბ.); დახრა - ნიგვზის ან წაბლის ბღერტა

ალატით (ჯ.ან.); ხრის- ბღერტავს (შან. რეც.).

დახტომა - დახვედრა. მაგათ დახტომა კარგა იციან.

დახუხა - პირის წვა. პირპილმა დახუხა ყბა. დახუხად (როსტ.).

დახწევა - გასხლტომა, დაღწევა. მაგი ხელით დახწევა ჟაფაარი. დახწევად (როსტ.). დახწევნად (ღამბ.); შან. რეც.

დავდა - თონიდან გამომცხვარი პურის ამოღება, ზოგადად- გახდა. აიაჰყაბი დავდა არ დაგმირწყდეს. დავდად, დაავდელ (როსტ., ღამბ.).

დავეთება - გაშეშება, გაჩერება. ჯეთდება; ნაგახტან დავეთება ნუ იცი.

დაფეთება - გაშეშება, გაჩერება. ნაგახტან დაფეთება ნუ იცი. დაფეთება (როსტ.).

დავეჩა - დატეხვა. გაღატ. ითქმის ნაუცბათევად რამეზე წასწრებისას. სიმინდი დაყეჩა. დახეჩა-ჯ.ობნა, დამარცხება (ღამბ.). დახეჩად (როსტ.); დახეჩვა (ჯ.ან.).

დავიფა - ნართის ხელზე გადახვევა, შესალებად გამზადება. ჯიფავს; ბაწარი დავჯიფე. დაჯიფა - ძაფის ხიფებად დახვევა (შან. რეც.); ხიფვა - გიგ. თოფ. ქავთ. (იმერ.) დახიფვა (მარტ. -იმნ.); ახიფვა (შარაშ.); ამოხიფვა (ნიჟ.); ამოკეცვა (მენთ.); ამოჯიფავ (კაიშ.); დავიფაჲ (როსტ., ღამბ.)

დავოლება - დახვევლება. ავრლევს; დავოლებაში ჯელი აიფარე ყბაზე.

დაჰა რა ვქნო - აბა რა ვქნა. ,დაჰა რა ვქნო, რაც იქნა იქნა. დაჰა (როსტ.).

დაჰადა, დაჰადა კაი ქენე - კიდევ უფრო, ძალიან, უფრო მეტად: ,,დაჰადა კაი ქენე რუმ წეხელე“. დაჲდა (ღამბ.); ჳანგ.

დაჰვა - დავა, ჩხუბი, ომი. რა დაჰვა ჩამაადა. მამა დაჰვაში მოკდო. დაავაჲ (როსტ.); ღამბ. ჳანგ.

დაჰირი - ღირებულება, ფასი. უკანახინდელი დაჰირი რა არი?

დაკრა//დაჰკრა - დწებება, დაკვრა. ცომი დაჰკრუა მალე ქენე. ბევ ჭამით, დაჰკრია ველარ იზრის. დაჰკრუ - საჭმლის წყენა, ბოყინი (როსტ.).

დაქარვა - გაძლომა, მუცლის ამღორვა. დაჰქარავს, მაგა ჰეი საჭმელი რა დაჰქარავს. დაქარაი -1. იგივეა, რაც დაზალაი. 2. დახეთქა, დასკდომა, დაფუღუროება, გამოფიტვა (ხისა, მცენარისა). 3. დაბზარვა, დასკდომა ((თორნისა). 4. ჰაერის, ქარის შესვლა, შელწევა (დახურულ ჭურჭელში, რომელშიც საჭმელი ინახება) 5. გაგრილება, ნიავის მოხვედრება. 6. რევმატიზმის გაჩენა, რევმატიზმით დაავადება. 7. მუცლის გაბერვა (გაზებით)- ღამბ.

წყალი დაცემა - წყლის დასხმა. მოიტაცა, სარეველა მოედო, წყალი დაასხი. ჩემ წინაი დაჰცი აიღი. იქავრობა ალლამ დაჰცა. საჭმელზე წყალი დაჰცი. დაცემაჲ (როსტ.).

დაჰწრობა - მისწრება. მაგი დაჰწრობინჟახ კარგა მეეწივა. დაჰწროვაჲ (ღამბ.).

დგაფ//დგუფი, დგაფუნი- წყლის ხმაური. დგაფ-დგუფით გაჰცურა.

დგრნა//დგენა - ჩაგდება, ჩატენვა. დგინავს, ყარფუზი დგრნა მეშუკში. დგრნაჲ, დგენაჲ (ღამბ.).

დეგა - პატარა ქოხი, სადგომი. ერ დეგა ზლივ დავდგი. დეგაჲ (ღამბ.).

დეგემ - იქნებ, ეგების. ველოდით, დეგემ მოდის. დეგემ, დეგმა, დეგემა - ვინ იცის, ვაი თუ (ღამბ.); დეგემ (როსტ.); დეგებ (ჭინჭ. ვაჟა).

დედაბონთ დაღ - მთა, კავკასიონის ქედზე.

დედანევ - გათხოვილი ქალის მშობლების ოჯახი. დედანევისა მივდივარ. დედანევისა, დედანთა (ღამბ.); დედიანი - მშობლები (უთურგ.).

დედ-მამაი ომოყრა - მშობლების შეგინება. დედ-მამა ომოვყარა. დედ-მამაი ომოყრა (როსტ.).

დევა - აქლემი. ერ დევაზე შაჟდა. დევაი (როსტ.ჳანგ. იმნ.), ღამბ. დევ-მდევი

(შან. ვაჟა III).

დევაბონუ - მთა, კავკასიონის ქედზე. დევაბოინუზი - წინდის სახეობა, შიგ ჩახატულია აქლემი. დევაბუინუზიან წინდა მამიღია. დევაიკისრიან (როსტ.); დევაისახეჲ - წინდის ჭრელია ერთგვარი (ღამბ.).

დევლათლუ - დოვლათიანი, მდიდარი. ერ დოვლათლუ ინსანინი იყო. დევლათლუ (ღამბ.).

დელამა -საყველედ შედედებული რძე. ჩობნებმა დელამა მაჭამეს. დელამაი (აზ.)-ღამბ. დელამა (როსტ.); დელამა - ქეგლი. (ქართლ. თუშ.); კირ; გიგ., თოფ., ქავთ. (ქართლ.) დელამა, დელამო (ლეონ.); დელამა, დელამუნტი, დელამუწი (მენთ.); დელემა (მარტ. - იმნ.); დელამუტი (საბა); დელამოტ (ჩუბ.); დელამა (კირიონი).

დელი-ჩაი - მდინარე, ჩაედინება კატეხჩაიში.

დელუ - სულელი. ერ დელუ რაიმე იყო.

დელუხანა - საგიჟეთი. ჰეგი დელუხანაში წააყონელია.

დემ - ნელ ცეცხლი - დეე დემით მაიხარშოს. დემ (როსტ.).

დემალი - მაშ. დემალი წავდა, აღარ გელოდა.

დემ დაჭერა - მხარის დაჭერა, მიმხრობა, დადასტურება. მაგა შენ დემ დაჭერა არ უნდა. დემ დაჭერაჲ (როსტ.).

დემზე დაყენება - ფლავის ქვაბის დადგმა ნელ ცეცხლზე. დემზე აყენევს. ფლავი გადაწურე, მემრე დემზე დააყენე. დემზე დაყენევაი (როსტ.).

დემურჩი - მჭედელი. დაანალა ცხენი დემურჩისთან წავყონე. დემურჩი (აზ.) - ჯანგ. ღამბ. როსტ.

დემურჩიხანა - სამჭედლო. დემურჩიხანა სადღა არი.

დენა - ცალი, არცერთი ცალი. ერ დენა მარცოლი არ მაქონ. დენაჲ (ღამბ.); დენა (იმნ.), გიგ. თოფ. ქავთ. (ინგილ.) .

დენი - მარცვალი. ქათამი დენი აღარ მაქონ. დენ (აზ.)- მარცვალი (როსტ. ღამბ.).

დენი - ღერი. ერ დენიც აღარ დამჩომია.

დენ აღებაჲ - მარცვლის გაკეთება. სიმინდ დენი არ ოვღია. დენ აღევჲი (როსტ.).

დენგრი - სარეველა მცენარის ზოგადი სახელი (ლელი, დაბურული ბარდი). იქავრობა დენგრს დოვცია“. დენგრა (საბა); დენგრ (ღამბ.), ჯან.

დერა - ხევი, ხრამი. დერა - თეფშა შამავარე, ზებნით დავღალე.

დერდი - დარდი. მე მაგი დერდი მაქო. დერდი (როსტ. ღამბ.).

დერდევ დაფანტა - დარდის გაქარვება. მაგა უთხა ერჟა დერდები დაფანტოს. დერდევ დაფანტა (როსტ.).

დერდევ ქნა - ნაღვლის გაფანტვა, დარდის მოყოლა. დერდევ ჩიდის. დოვსმინე, როგო დერდევ ჩიდის . დერდევ

ჩედის (ღამბ.).

დერდიბეი - თვის თანდებულის ფუნქციით ერთვის სიტყვას და ნიშნავს-გულისთვის, გამო. შენ დერდიბეი მე აღარ მზინავ. დერდიბე (ღამბ.).

დერზი - თერძი, მკერავი. დერზის შარვალი შავაკერინე. დერზი (აზ.) - ღამბ. დერციკი, თერძი - ჩოხა- ახალუხის მკერავი (მენთ.).

დერია - ზღვა. გადატ. ითქმის დარდიან ადამიანზე. გემი შავდა დერიაში“. დერიაჲ (შან. რეც.) დერიაჲ (ჯანგ.), დერიაჲ - ხეობა (როსტ.).

დერსი - გაკვეთილი. დღე დერსი ვერ დევეჩივე.

დესმელი - პირსახოცი. ჯელევ დაწმენდელ დესმელი მამიღი. დესმალ (აზ.); დასმალი (ჩიქობ.); დესმელი (ჯანგ.); ღამბ.

დესტა - ჯგუფი, ხროვა. ერ დესტა დეესივა. დესტე (აზ.).

დესტე - დესტა//დასტა- დასტა. კონები დესტა-დესტა დაწყო. დესტა- დესტა (როსტ.).

დესტამაზი - ლოცვის წინა რიტუალი ჟერ დესტამაზი არ ამიღია. დესტამაზ - ყველაფრის დასუფთავება (იმნ.).

დესტამბუ - დასტამბო, პატარა ნესვი მამამ ლამაზ დესტამბუ მამიტანა. დესტამბუჲ (ღამბ.); დასტამბო (მენთ.); დასტამბულა (მარტ.- იმნ.); ჯან.

დეფა, ერ დეფა - ჯერ, გზის, ერთხელ. ერ დეფა რაიმე არ ვუთხარე. დეფა (აზ. დაფა)-ღამბ. როსტ.

დეშტული - უმკლავებო თბილი ჩასაცმელი. დეშტული აღარ მაქო. დოშლუღი, დოშლუყი, დუშლუყი - ძიძ., კეცხ., ხუბ., (ქართ.); დოშლული - ორპირად შესაკრელი ახალუხის გულისპირი, საგულე უსახელოებო (ქეგლი.); დოშლუღი- ცხენის აკაზმულობის ნაწილი, მკერდზე ამოსაკრავი თასმა, -სამკერდული (ნიჟ.); დოშტუღ (როსტ. მენთ.).

დიასენ - განა, ვითომ. დიასენ მე საქნივარ წაასლელი. დიასენ, დესენ (აზ.)-ღამბ., როსტ.

დიახ - ძალიან, მეტად. დიახ ლამაზ ქალი იყო. დიაღ (ღამბ.); შან. რეც. საბა., ჭინჭ., ვაჟა.

დიგი-დიგი ქენე - ახლად ფეხადგმულ ბავშვს მიმართავენ ფეხის გასამაგრებლად. ბიჭო დიგი-დიგი ქენე. დიგი-დიგი (როსტ.).

დიდანიფკარა - მთა, კავკასიონის ქედზე. სიმაღლე 2226მ.

დიდგულა -დიდი გულის მქონე. გადატ. შურიანი, ავის მქნელი. ერ დიდგულა ინსანი იყო.

დიდ ღელე - ღელე სოფელ ალიაბადში.

დიდი, დიდობა, სახლი დიდი - უფროსი, უფროსობა, ოჯახის უფროსი. ჟერ დიდი გაილის, მემრე პატრა, ,,მაგა დიდობა უნდა. სახლი დიდი შინ არი. დიდოვაჲ (ღამბ.); დიდ (როსტ.); დიდობა - დიდკაცობა, თავგადიდება (ჯან.).

დიდისთანა - მათ შორის ყველაზე დიდი. ცხორში დიდისთანა დაიჭირე. დიდისთანაჲ, (როსტ.) დიდისტანაჲ, დიდისთანაი -ნ. ტანაჲ, ტანაჲ-ხბო (ღამბ.).

დიდური - დიდივით. დიდურა ეჭირა თავი. დიდურ (ღამბ.).

დიდწრჳულ - დიდპატარა, უფროს- უმცროსი. დიდწრჳულ სრუ მააგრუვ მაიღი. დიდწრჳულ (როსტ. ღამბ.).; წვრილი (შან.ხევს.).

დილაგი - ნატვრა, სურვილი. ჩემ დილაგი სხო რაიმე იყო. დილაგ (აზ.) - ღამბ. როსტ. აქედან მოდის წყევლა: შენამ დილაგევზე ნუ გოვწევ. დილაგ ნუ ათავდეს (როსტ.).

დილანჩი - მათხოვარი. მაგი ჯელში დილანჩი ვიქენე. დილანჩი (აზ.) - ღამბ. როსტ. დილენჯი (ნიჟ.); ზარმაცი, გაურჯელი (შარაშ.).

დილიგი - ბოსტანი. დილიგი ვერ გავაქითე. დილლიგ (აზ.); ბოსტანი (შან. რეც.); ღამბ. დილლიგ (ჯანგ.); როსტ.

დილიგ- დარამათი - ადგილი, ბაღ-ბოსტანი. დილიგ-დარამათი გაიჩინა. დილიგ-დარამათ (ღამბ.).

დილი ფლავი - ქორწილის მეორე დღეს გოგოს ოჯახიდან სასიძოს ოჯახში მისული სტუმრებისათვის გაკეთებული ფლავი. დილი ფლაობან მივდივართ. დილი ფლავი (როსტ.).

დილიმი, დილიმ-დილიმ -ნაჭერი, ნაჭერ-ნაჭერ. ნრსი დილიმი მამცა, პური დილიმ-დილიმ დაკუწა. დილიმ (აზ.) - ღამბ., იმნ., ჯან., ნიჟ. დილიმი -ძიძ. (მესხ. ჯავახ.) .

დილჩი -ენის მიმტანი, ჭორიკანა. ჰეგი რა დილჩიირი ჟერ არ იცი. დილჩი (როსტ.).

დილიხორი - მონდომება. სურვილის აღძრა. დილიხორი გამჯადა.

დინგი - საცეხვი. უწინ ბრინჯს დინგით ვნაყავდით. დინგ (აზ.) - ღამბ. როსტ. ჯან. ედილი. თრიმლის საბეგვი, ჩამური (მენთ.); დინგი- ღორის ცხვირი (ი. აბ.).

დინგი კლავ - დინგის სანაყი, რომელსაც თავზე წაწვეტებული ქვა აქვს დამაგრებული. ქვით ხდება მარცვლეულის ნაყვა. ბრინჯი დანაყაში დინგი კლავ ვჯმაროვთ. დინგი კლავ (ღამბ. როსტ.).

დინი - რელიგია, სარწმუნოება. მაგა რა დინი აქო არ ვიცი.

დინდარი - მორწმუნე. კაი დინდარ ინსანია.

დინდარსუზი - ურწმუნო. დინდარსუზ ინსანი ნუ შაგხვდება.

დინდგელი - შავი სანთელი, სკის წებო. სადღობელზე დინდგელი წოვსო. დინდგელ (ღამბ.); ქეგლი., ჭინჭ., ვაჟა. ჯან. დინდგელა (ნიჟ.); ბინდგელა (ბერ.); დვინდგლი (კაიშ.).

დინდი დაღ//დინდილა - მთა კავკასიონის ქედზე. სიმაღლე 3366 მ.

დინჯა დედექ - ჭკვიანად, ზრდილობიანად იყავი. დინჯა დაჯი თურემ საჟე-

კივარ. დინჯა დედექ - ხელი გააჩერე (როსტ.).

დინყი - ხმა, კრინტი. ერაგე მაგრა იდგა დინყი არ უქნია. დინყ-იგივეა, რაც კრანტ (ღამბ.).

დირა - კედელში გაკეთებული თარო ნივთების შესანახად. ზოლ სახ. დირა ჰქონდა“. დირაჲ (ღამბ.). ჳკან.

დირბალი - ალუბალი. დირბალი არ მოწევლა ჟერ. დილბალ, დილბარ (ღამბ.); დილბარ (ჳკან.); დიბალ, დილბალ (მაყ.); დირბალი (მარტ.- იმნ.); როსტ.

დირი - ცოცხალი: ,,კაი დირი ინსანია“.

დირიბაში - მოხერხებული. ჰეგი ჰამან დირიბაშია.

დირიჩექუ - ცოცხალი წონა. დირიჩექუთი გაყიდე მეზორი.

დიჰკანი - ჳიუტი, სიტყვის გამტანი. დიახ დიჰკანა დგას. დიჰკან (აზ.) – ახირებული, ჭირვეული (ღამბ.).

დო - შედღებილი მაწვნისგან დარჩენილი სითხე, რომლისგან ადუღების შემდეგ ,,სუზმას“ იღებენ. დო მაქონ დაადგმელი.

დოგანაგი - მუწუკი, წყლული. ერ დიდ დოგანაგი ქნილა შეგეშინდება. დოგ (ღამბ. როსტ.); დოგანაგი - კოჟიჟი (ჳკანგ.).

დოდაღი - ტუჩი, ბაგე. ქალმა დოდაღევზე პამადა წაისო. დოდაღ (აზ.) - ტუჩი, პირი ქვაბისა (ღამბ.); დოდაღ (როსტ. ჳკანგ.).

დოვდაღი გადატ. შეუსმენელი, შეუგნებელი ადამიანი, რომელიც უადგილოდ დაადგება თავზე ადამიანს. რა დოვდაღივი დამადექე თავზე. დოვდაღ (აზ.) - გარეული ფრინველი, ინდაურს წააგავს (ღამბ.).

დოვლათი - სახელმწიფო. ვარლუ დოვლათია.

დოვღა -დოს შეჭამანდი. ჰამეშა დოვღა რაშ მინდა? დოვღაჲ (აზ.) - ღამბ., როსტ.

დოვწიგნავს - ამბავს დაწვრილებით მოუყვება. ეხლა დოვწიგნავს სრუ რაიმეს.

დრზრმლუ - გამძლე. ერაგე დრზრმლუ იქნა ჩექმა გაჰშტერდები.

დრუმსუზი - უხარისხო. რაიბე დრუმსუზ აიაჰყაბ ყიდლოვ.

დოიფელა - სინდიოფელა. ჭუჭულები დოიფელამ შამიჭამა.

დომბაბინა - დასახლებული პუნქტი ზაქათლის რაიონში.

დომფალი - მაღალი ხარისხის აბრეშუმის პარკი, რომლისგანაც ძაფს ართავენ. კიდობანში ბევ დომფალი აქონ. დომფალ (ღამბ.); როსტ. უკუტოდ გამოხარშული პარკი (ჳკან.); ქეგლი. აბრეშუმის პარკი, ორჭიანი (მენთ.); დომფალა - აბრეშუმის პარკი, რომელშიაც ორი ჭიაა (ბერ.); დამფალი (ძოწ.).

დორდღლი - დორბლი. პირით დორდღლი ჩომოდის დორდღ, დორდგლ - (ღამბ. როსტ.); დორდლი (ლეონ.);

მენთ. ქავჯ.

დრთიან - ოთხივე მხარეს, ირგვლივ. ჟანავრები დრთიან შეემეხვნენ. დრთიან (ი)დრთიან(ი) - ღამბ. დორთიანი (ნიჟ.).

დოსტი//დოსტობაჲ - მეგობარი, მეგობრობა. ჩემ დოსტი ხარ. დოსტოვაჲ (ღამბ.).

დოუბოშა - იხ. დაბოშება.

დოფანები - დოფაშვილების საგვარეულო შტო ს. მოსულში.

დოღმაჲ - ნამდვილი, ღვიძლი, ალალი. ჰეგი ჩემ დოღმა დიშულია. დოღმაჲ (აზ.) -ღამბ.

დოღრამა - წვენში ან დოში ჩალბობილი პური. ხმელ პურ ქნაში დოღრამას ვჩიდი. დოღრამაჟ, დოღრამაი (აზ. დოღრამაჯ) -ერთგვარი საჭმელი, ოკროშკის მსგავსი (ღამბ.). დოღრამაჟ. (როსტ.).

დოყი- დუყი. ჟავანაი დოყები მამიღა. დოყ - (ღამბ. როსტ.). ჳან., მენთ., შარაშ.,

დუყი (ქეგლი), ახლადმოყრილი ფოთლის კოკორი (ჟღ.); ახალმოყრული ყლორტი (შარშ.); ყლორტი (ქავჯ); დოყი - ირმის ჩვილი რქა (საბა); ჩუბ.

დრშაგი - ლეიბი, ქვეშსაგები. დააწოლა პატარა დრშაგი დამიგა. დოშაქი (ჩუბ. მენთ.); დოშაკი (შან. ვაჟა II); დოშაგი (ნიჟ.); ღამბ.

დრშამა ფლავი - ცხიმიან ხორცში მოხარშული ბრინჯის კერძი. დრშამა ფლავი გამიქითა. დრშამა ფლავ (ღამბ.)., როსტ.

დრეცა//დრიცა - გაუმაძღრად ჭამა. დრიცავს; რაც ქონდა დრიცა.

დროქიალი - მოუსვენრობა. დროქიალობს, ერთ ადგილას ვერ გაჩერდება.

დრუსტი - შერგება. მაგი ჭამა დრუსტი არ იქნება.

დუა - ლოცვა, სამძიმარი. სამარიევზე წასულაში დუა ლაზიმია. კაცი მამკდარა დუაზე მივდი, მოლამ დუა დამიწერა. დუ(ვ)ა (აზ.) - ლოცვა, ვედრება (ღამბ.); იმნ.; დუვა (შან. რეც.); დუა - ძვ. მუს. ლოცვა, ვედრება (ნიჟ); დუაჲ (როსტ.).

დუანა - სულელი. შენ დუანა ხუმ არ ხარ? დუანაჲ (როსტ. ჳანგ.). დუ(ვ)ანაჲ (აზ.) - იგივეა, რაც სემაჲ (ღამბ.)

დუალი - ქვაბის სახურავი. ქობ დუალი მოჰხადე. დუალ (აზ. დიალ. დოიახ.)-ღამბ., როსტ. დუალ, დუვალი (ჳან.).

დუბიები - სახნავ-სათესი მინდორი სოფელ მოსულში.

დუგმა - ღილი. დუგმა მოჰწყდა კასტუმით. დუგმაჲ - ღილი. საზამთრო საძოვრის ბალახი. დუგმა ცახ-ცახი, რომელმაც ღილებივით თესლები იცის, მას აბრეშუმის ჭიას დაუდებენ პარკის მოსაქსოვად (როსტ.); დუგმაჲ (ღამბ.).

დუგუში -კოჟრი, ნასკვი, კვანძი: ,,ჟანზე დუგუშუმი დაჰჟდომია“. დუგუშუმი (ღამბ. როსტ.).

დუდუქი -შეუგნებელი. ერ დუდუქ რა-

იმერი.

დუგუში//დუგუში ქნა - განასკვა, ნუჟრიანი გამხდარა. დუგუუმი ქნილა. ბითოვ ჟანი დუგუში-დუგუში ქნილა“. დუგუში-დუგუში ქნაი - იგივეა, რაც დადუგუმევაჲ (ღამბ.).

დუდრუანები - მოხუცები, უფროსები. დუდრუანები არ წასულან. დუდრუანევ (როსტ.).

დუდრიანი//დუდრუანი//დადუდრუანება -მსხვილი, დამსხვილება. ტყიმალი უჟე დადუდრუანებულა. დუდრიან ყარფუზია. დადუდრიანევაჲ (ღამბ.); დუდრიან (როსტ.); დიდროანი - უდიდესი (ი. აბ.); დუდრუან (ვკან.).

დუდუნი - ბუტბუტი. დუდუნოვს; დუდუნი არ მიყარს. დუდუნოვაჲ, დუდუნ (ღამბ. როსტ.); იხ. საბა. ჩუბ.- დუდუნი.

დუზგინი - სწორი, სამართლიანი. დუზგინი არა შენ განაქითევ საქმე. დუზგინი (აზ.).

დუზგინულული - სისწორე. შენ დუზგინულული გინდა?

დუზი - სწორი, პირდაპირი. ეიქაითი წაი, დუზი აქა-იქ არ შოვხივო. დუზი - ვაკე, სწორი მინდორი (მენთ.); სწორი ზედაპირის მქონე ადგილი. ჭინჭ. ვაჟა., ქაკ. ღამბ.

დუზუდუნია - მთელი ქვეყანა. დუზუდუნია რომ შამაიარო ვერ იპოვნი. დუნიაჲ (აზ.) - დედამიწის ზურგი (ღამბ.). დუნიაჲ (ვკან.), დუნია (შან. ვაჟა I, შან. ხევს., ჩიქობ., ჟღ., ძიძ., (იმერხ.), გიგ., თოფ., ქავთ., (იმერხ.), დუნიაჲ (ნიჟ.).

დუმანი - ნისლი. დუმანი იყო, რაიმე არ ჩანდა.

დუმბა -დაბალი, მსუქანი, მრგვალი. ერ პატრა დუმბა რაიმერი. დუმბაჲ (ღამბ. როსტ.); ვკან.

დუმ - სრული, მთლად. დუმ შავია. დუმ (ღამბ.).

დუმბადარა - დაბალი, მსუქანი ადამიანი. ერ დუმბადარა რაიმერი.

დუნუა - ქვეყანა, დედამიწა. დუნუა დიდია, სადაც მინდა წავალ. აქედან: ემ დუნიაზე -ამ ქვეყნად; ემ დუნიაზე რაც გინდა მიყავე. იმ დუიაზე -იმ ქვეყნად: იმ დუნიაზე მააკითხივარ. დუნუაჲ (ღამბ. როსტ.).

დუნქი - კუნძი, მორი, მიწაში დარჩენილი ფესვები. გადატ. ზანტი, მოუქნელი ადამიანი. ერ - ორ დუნქი მაქო შანახული. რა დუნქივი დგახარ, მოი. დუნქ (ღამბ. როსტ.); დუნქ -ბუჩქი, კუნძი, მორი (ვკან.)

დუნყორაი - იხ. ტინყორაჲ

დურბენდი - ბინოკლი. ბაზრით დურბენდი მიყიდა. დურნა - ქინქლი; დურნა დაჰყრია ყურზენს. დურნაჲ - წერო (იმნ.).

დუქანი - სავაჭრო ადგილი. რა დუქანი გაგიხსნია ეიქა.

დურჩი-ჩაი - მდინარე, ჩაედინება ალაზანში.

დღიგამოშობით - დღეგამოშვებით. დღიგამოშობით სანახლა მიდის“. დღიგომოშოვი (როსტ.).

დღით-დღეში - ყოველდღე, თანდათან.

დღით-დღეში ფინთა კეჰთება. დღით-დღეში (როსტ.).

დღიურა - ყოველდღიურად. დღიურა პურ უზიდავს. დღიურა (როსტ.); დღით-დღეში (ღამბ.); დღითი-დღე - ყოველ დღე (საბა).

დღუე, დღივე -მღვრიე. დღივე წყალი არ დაჰლივო. დღუეჲ, დღუოჲ, დღუვეჲ (ღამბ.); მღვრიო (მენთ.); მღვრიე (მარტ.-იმნ.).

დღით - ყოველდღე. მე ჰარ დღით მოვდივარ. დღით-დღეში-ყოველდღიურად (ღამბ.); დღითი-დღე (საბა).

დღლუვი - სრიალა. დღლუვ რაიმეს მინ დაიჭერს?

ე

ებედი -სულ, სრულად. ებედი არ წავალ მაგათა. ებედილ (როსტ.).

ებლა - გამოუცდელი. ერ ებლა ინსანი არი. ებლა, -ებულა ნ. ევლა, -ეულა, -ეულა-ებურად (დაერთვის ზედსართავს და ზმნიზედად აქცევს). წალანდევლა // წალანდებლა, გუშიდევლა-გუშინდეულა (ღამბ.).

ეგინა//ჰეგინა - სწრაფად. ჰეგინა ქენე, მეჩქარება. ეგინა, ეგინა- ეგინა ნ. ჲეგინა, ჲეგინა (აზ.ეჲინ) ჩქარა, ჩქარ-ჩქარა (ღამბ.); ეგინ (იმნ.).

გლასუნ - ნაზად ეფერება. ეგლასუნება; შაჰხე, როგო ეგლასუნება.

ეგმა - მოხრილი, მოლუნული. ეგმა ფიცარი გორდზე დადევე. ეგმაჲ (აზ.) - ღამბ.

ეგრი - უგრ - მიხვეულ - მოხვეული, დაკლაკნილი. ერ ეგრი-უგრი ადგილი შამხტო. ეგრიჲ-უგრიჲ (აზ.) -ღამბ. ჯანგ. ეგრ-იგრ -აქეთ-იქით (როსტ.).

ედი//ჰედი - ჰედ ინსანი არ შამაოიყონო. ედ (იმნ.).

ეემ - აი ამან. ეემ ქალმა თქო. ეემ-აი ამ (როსტ.).

ეე - ეს. ეე მეშუკი წაიღი ბიზანთა, მემრე მოი. ეე -აი ეს (როსტ.); ე, ჰე - ეგ, ამ ღამბ.). შან. ვაჟა III; გიგ., თოფ., ქავთ., (ქართლ. ხევს. ჯავახ. რაჭ. აჭარ.).

ეემაგრ - ამნაირად, აი ასე. ეემაგრ შაინახე თავი. ეემაგრ, ჰეემაგრ (როსტ. ღამბ.).

ემამ - ამან. ემამ რანდა მითხროს მე? ემამ (როსტ.).

ეემას - აი ამას. ეემას კარგა გატკეცა უნდა. ეემას (როსტ.).

თურთული - ენაზე გამონაყარი. თურთული დაჰყრია ენაზე. თურთულ, თულთულ თურთულაჲ (ღამბ., როსტ.); თირთულ, თურთულ. -რთვილი, რთვილი (ჳკან.); თრთვლი (საბა); თრთვილი (ჩუბ.); თრთვილი (მენთ.); თრთვილი (შან. ვაჯა), ჭინჭ. ვაჟა, ვაჟა შან. ხევს.); თვირთვლი (უთურგ.).

თურმენი - თურმე. მე რა ვიცოდი, თურმენი მაგი ყოიმია. თურმენი (ღამბ. როსტ.); შან.რეც.

თუღი - ლელი. სახლი ჩააგელა თუღი იყიდე ბაზრით. თუღ (აზ.თუხ.). მაყ. სარეველა (მენთ.); ოსმალთა ფაშათ წინ სატარებელი ბაირაღი ცხენის ძუვისა (ჩუბ.).

თუში ხურჟინივი ჩომოჰკიდებია - გადატ. ადამიანი, რომელიც არაფრის დიდებით არ სცილდება მოსაუბრეს.

მამშორდი, რა თუში ხურჟინივი ჩემეკიდე. თუში ხურჟინ (როსტ).

თუჰთუ - შორისდებული. აფსუს. თუჰ, თუ, ეხლა რა ქნო. თუჰ (როსტ.).

თქონ//თქონსა - თქვენ, თქვენთან. თქონ, წაით, ჩონ მუალთ. თქონსა ყონაღი მოვდა. თქონ, თქონსა (ღამბ.).

თქონისიანი - თქვენი ახლობელი, ნათესაობა. თქონისიანი არ ალია, გომოგზავნე. თქონისიან (ღამბ.).

თხელნაჭუჭა//თხელყაბუხა - კაკლის ერთ-ერთი ჯიშია. ყიდვაში თხელნაჭუჭა კაკალი იყიდე.

თხელფერდი - ფერთხი, საქონლის გვერდის უნეკნებო ნაწილი. თხელფერდი

დაკუწე მაახარშლა. თხელფერდ (ღამბ. როსტ.); თხელფერდი (მენთ.).

თხლა -განიერად, იშვიათად, მსუბუქად. შითილი თხლა ჩაყარე კაისა. ჩონსა ყონალები თხლა მოდიან. თხლა (ღამბ.). რა თხლა ჩაგიცომ.

თხილიანი მინდრევ -საძოვარი სოფელ მოსულში.

თხიფსელა - კიდობანა, ჭანჭყატა. თხიფსელაჲ ხე არ მოჰჭრო. თხიფსელაჲ (ღამბ. როსტ.); თხიფსელა (საბა); თხის ფსელი (ჩუბ.); თხიფსალა (ჟღ., მაყ., მენთ.).

ი

იაბა, ჲება - იხ. ჰება.

იაბუ - იხ. ჰაბუ.

იავანული//ჲევანული - იხ ჰავანული.

იავაშ - იხ. ჰავაშ.

იაზლული -ხორბლის ჯიში. წვრიმარცლოვანი. იაზლული პური შავი კეჰთება.

იათალი//ჲათალი - იხ. ჰათალი.

იალანჩი - იხ. ჰალანჩი.

იამანი - იხ. ჰამანი.

იან//ჰან - მხარეს. იქითიჰან შავდნენ თქენ ჯბორები. იან (ღამბ.).

იარალუ - იხ. ჰარალუ.

იარამაზი - გამოუსადეგარი, უხეირო. ჰეგი იარამაზ ინსანია.

იახშილული -იხ. ჰახშილული.

იაჰარი -იხ. ჰაჰარი.

იალლა - იხ. ჰაალლა.

იბახლო - სოფელი კახის რაიონში.

იბლისი - ეშმაკი, ცბიერი, სატანა. ჰეგი დიახ იბლისია.

იგდა - ფშატი. თუ მინდორში იგდა შაგხტო დაკრიფე კაისა. იგდაჲ (აზ. იჲდა) - ღამბ. როსტ.

იგინა//ჲეგინა - იხ. ჰეგინა.

იგრევ - ტყუილად, უფასოდ, არაფრის გარეშე. მაგათა იგრევ არ მოვდი ყონაღა, იგრევ საქმეს მინ აქითევს, იგრევ მავკითხე, იგრევ მამცა. იგრევ, იგრავ (ღამბ.); იგრავ, იგრავ. იგრე (ალიაბ.) - როსტ. იგრე -ისე- ძიძ., კეცხ., ხუბ. (ქართ.).

იგულება - მაგრად დაკეტვა, დახურვა. კარები კარგა იგულება. დანა იგულება, იღება.

იდარა - დაწესებულება, სამმართველო. იდარაში მეზახიან.

იერიში - იხ. ჰერიში.

იერფინდული - იხ. ჰერფინდული.

იერხიარი//ერხიარი - იხ, ჰერხიარი.

იზი-თოზი გაქრობა - კვალის გაქრობა. მაგი იზი-თოზი გაქრა.

იზმუზნება//ისმუსნება - პირის ცმაცუნი. რას იზმუზნება, პირი კარგა გააღი.

ითათხება - გინება, ლანძღვა, ყვირილი. დოუსმინია, როგო ითათხებოდა.

ითბათ იქნა - დაიკარგა, გაუჩინარდა. ნაგახტან ჩონ თოლიწინ ითბათი იქნა (როსტ.).

ითითალა - ინგილოების სოფელი ბელაქნის რაიონში.

იკბენს თითზე - ინანებს, ინაღვლებს. ჰეგი მალე იკბენს თითზე.

იკნიპება - ცმაცუნით, ნელა-ჭამს. ჰავაში იკნიპება. იკნიპევის - ტუჩების ცმაცუნია, ილუკმება (როსტ.).

ინჟა დაღი - მთა კავკასიონის ქედზე.

ილაჟი//ილაჟი გამიწყდა - ილაჯი, ძალა, ღონე, არაქათი. მაგი ჯელში ილაჟი

გამიწყდა. ილაჟ გამწყვეტი (ღამბ.). შან. რეც. ილაჯი -ღონე, საშუალება (ჟღ.); ილეჯი. წამალი, ღონე, საშუალება (შან. ხევს.).

ილაჰი - ღმერთო. ილაჰი შენ დაიფარე ჩემ ოჯაღი.

ილდრიმი//ილდრიმი დეგეცეს - მეხი, მეხი დაგეცეს.შენამ თავზე ილდრიმი დეგეცეს. ილდრიმ (აზ.) - მეხი (ღამბ.).

ილილ-ბილილ - გაწკრიალებული, დასუფთავებული. სახ-კარი ილილ-ბილილ გაწმინდა.

ილიმ-ილიმ გადახორწნა - თავქუდმოგლეჯილი გაქცევა. ხაბარ ქნითავ ილიმ-ილიმ გადაიხორწა. ილიმ-მელიმ, ილიმ-ილიმ (ღამბ.); ილიმ-ილიმ წასულაღ -ელეთმელეთის მოსვლით გაქცევა, გადაკარგვა შდრ. ივა - წივა წასულაღ (როსტ.). ელეთ-მელეთ - გარდაქანჯვა, გადახვეწა (ჯან.)

ილმუ - განათლება, ცოდნა. მაგა კაი ილმუ აქონ. ილიმ- ხერხი (როსტ.).

ილხი - ცხენის ჯოგი. მინდრით ცხენები ილხი გომოლა. ილხიღ (აზ. ილხი) -ღამბ. როსტ.

იმა - იმას. იმა რას ექცევი? იმა (ღამბ.).

იმაზეი - მაზეგ - ხუალ არ ხუალზეი, იმაზეი მოი კაისა. იმაზით (ღამბ.); იმაზეღ (როსტ.). ხუალზეითის ზევით, ზეგის ზეგ (ჯან.).

იმამ - იმან. იმამ რომ გაიგა, რა გითხრა? იმამ (ღამბ.).

იმამი - სულიერი წინამძღოლი - მოძღვარი მეჩეთში მლოცველთა ხელმძღვანელი საერთო ლოცვის დროს.

ჩონ სოფლი იმამი წავდა მაჰკაში.

იმარათი - ვერცხლის სამკაული. უწინ პატარზალიბეი იმარათს ყიდლოვდით. იმარათ (აზ.). იმარათ-ფულის სამკაული (როსტ.). იმარათ-ღამბ., შან. რეც.

იმაშინ//იმაშინსუკან - აი მაშინ, მას შემდეგ. იმაშინ რაიბე არ მეხელე ჩონსა? იმაშინსუკან მე ჰეგი ვერ დამინახავ. იმაშინ (ღამბ. როსტ.); იმაშინ, იმაშინა - გიგ., თოფ. ქავთ. (ფერეიდ.).

იმაშინდებულა - მაშინდებურად. იმაშინდებულა არ ჰქნო, თავი არ მამჭრო. იმაშინდებლა, იმაშიდევლა, იმაშინდელევლუა (ღამბ.).

იმგურგლივ - ირგვლივ, გარშემო, ყოველი მხრიდან. იმგურგლივ ბევ ქუები დეეწყო. იმგურგლივ, იმგურგლუვ, იმგურგლით, იმგურგლივ სინ. დრრთიან, ჰარრამა (ღამბ. როსტ.); შან. რეც.

იმგურგლუვ მოჯნა - გარშემო მოხვნა. იმგურგლუვ მოჯნა, ჩონი დააგდა. იმგურგლუვ მოჯნაჲ (ღამბ. როსტ.), ჯ,ან. შან. რეც.

იმდუნია//იმდუნუია - საიქიო. იმდუნუიაში სრუ რაიმე კაი საქნია. იმ დუნუია (როსტ.).

იმდღაანევში - ორი, სამი, დღის წინ. იმდღაანევში რომ წაიღი ცული ალარ მოგიღია. იმდღეანევში (როსტ.).

იმთაჰანი - გამოცდა. იმთაჰანი ჩავაბარე, მეველე.

იმთავით - უთენია. იმთავით - უთენია. იმთავით ადგა, წავდა. იმთავი (ი) - ღამბ.

იმთონ - იხ. იქთონ

იმი- იმისი. იმი მანატან პურ ჰჭამთ. იმი (ღამბ. როსტ.).

იმიანი - ქონება, სიმდიდრე. კაი იმიან კაც გაჰყო. იმიან - იმ მხარეს, იქითა მხარეს, იქით, იქითკენ. იქითა (ღამბ.).

იმიგნი//იმიზგნი - იმისაგან. მე არ ვიცი იმიზგნი რა გინდა? იმიგნი, იმიზგნი (ღამბ. როსტ.).

იმიღმეტ - იმის მეტი, იმის გარდა. იმიღმეტ ინსანი ალარ მაქონ. იმიღმეტ (ღამბ.).

იმჟურა - იმგვარი. იმჟურა აიაჰყაბი ალარ იყიდო. იმჟურაჲ (ღამბ.).

იმქანი - შესაძლებლობა, საშუალება. იმქანი მექნა მაასულივარ.

იმქთონი//იმგთონი//იმქთონხარ -იმდენი, ბევრი, იმდენხანს. იმქთონ ილაპარიკა ყური ზაჰლა წაიღა, იმქთონხან დაჰჩა დალამდა. იმთონ, იმთრ, (ჰ) იქთონ, ჰეიქთრ, იმიქთონ, იმქთრ (ღამბ. როსტ.); იმთენი, იმთვენი - გიგ., თოფ., ქავთ. (ქართლ.); იქთენი იქვე (ფერეიდ.); იმთონი (ძოწ.).

იმწინევ - იმის წინეებს.იმ წინევ ალარ ვაგონევ. იმწინევ (როსტ.).

იმქწორა - იმხელა, იმოდენა. იმქწორა ქნილა ჯელ ვერ შოვსტენ.იმისწორ (ა)//იმისწორაჲ//იმიჰწორა. იქწორაჲ//იმწორაჲ//იმსწორაჲ, იმქწორაჲ// იქსწორაჲ (ღამბ.).

ინა - მცენარე, რომლის ფოთლებისგან ამზადებენ საღებავს. ინა დოუდია თავზე.

ინამი - რწმენა, ნდობა. მაგი ინამი ალარ მაქონ.

ინამსუზი - ურწმუნო, ნდობის არ მქონე. ინამსუზ ინსანი ნუ შაგხტება.

ინდავარ -იხ. ჰინდავარი.

ინკუბატორი -წიწილების ხელოვნურად გამოსაჩეკი აპარატი. ინკუბატორი ჭუჭულია.

ინჟინმიში - ნაწყენი. ჩემგან ინჟიმინში ნუ იქნევი.

ინსანი -ადამიანი. ჰეგი ინსანი ხუმარა, ჰეივანია. ინსან (აზ.) - ღამბ., როსტ., ჯ,ან., ნიჟ. ჰიმსანი ძიძ. (მესხ. ჯ,ავახ.).

ინსაფი -სინდისი, სამართლიანობა. ინსაფიც კაი რაიმეერი. ინსაფ (აზ.) -ღამბ.

ინსაფსუზი -უსინდისო, გულქვა, უგუნლო. ინსაფსუზ ინსანი დიახ ფინთია.

ინშაალა - ღმერთის შემწეობით. ინშაალა ყისმათი მექნება ქორწილში მაასლელა.

ინსნი ნატამალ არ ქნა -უსირცხვილოა. შაჰხე, როგო ინსნი ნატამალი აღარ აქო.

ისერ - სხვა, მეორე. ისერ დღეებში მე ვერ დამიჭერ. ისერ, ისიერ, იმერ (თ) იმიერ (ღამბ. როსტ.).

ისერთ - იხ. ისერ.

ისი - ის. ჩემ შინელ წანალებ ისი არი. ისი (ღამბ. როსტ.).

იოხსული - იხ. ჰოხსული.

იორღანი - საბანი. იორღან - დეშაგი გავაქითე. იორღან (ჯ,ანგ.).

იპლურწება - იპრანჭება, კეკლუცობს. პლურწავს, დაინახია, როგო იპლურწებოდა.

იჟაზა - ნებართვა. ჰალა იჟაზა არ გამირთომ. იჟაზაუ (აზ.იჯ,აზა) - ღამბ., ეჯ,აზა (ჩიქობ.)

იჟბაარი - იძულება. სუდმა იჟბაარით გომოვშო.

იჟლასი - კრება. იჯ,ლასი იყო უგეიმაზე დავგიანე. იჟლას (აზ. იჯ,ლას) - ღამბ. იჟლას აქითევ -კრებას აწყობს (ჯ,ანგ.).

იჟღანება - იჭყანება, იღრიჭება.ჟღანავს, შაჰხე, როგო იჟღანება.

ირაღოლსუნ - შორს ჩვენგან. ჩონგან ირაღოლსუნ ჰეი ნაჩაღობა.

ირემანები - ირემაშვილების საგვარეულო შტო სოფელ ალიაბადში.

ირიგი -უცხო მხარეში მოხვედრილი. ირიგი ჩავარდნილა.

ირმი სახე - წინდის ერთგვარი სახეობა. ირმი სახეს ვერ ვაქითევ. ირმი სახეი (ღამბ.).

ისენი -ისინი.ისენი რა იქნენ, სა წავდნენ. ისენ (ღამბ.); შან. რეც., შან. ხევს.

ისმარიშ გომოგზავნა -შეთვლა, ამბის დაბარება, შენ ერჟა ისმარიში ქენე მე მაასულივარ. ისმარიშ (აზ.) - ღამბ.,ჯ,ანგ.

ისიკნება - ბევრს ჭამს ზომაზე მეტად. გაისიკა, საჭმელ დანახაში ვეღარ ზღება ისიკნება.

ისრიმი - მაყვლისგან ან ალუბლისგან

დამზადებული საჭმელი. დირბლი

ისრიმი წელს არ მიჭამია. ისრიმ, უსრუშ (ღამბ.); ისრიმი -სასმელი. ამზადებენ მწიფე მაყვლის წვენით. შეაზავებენ მკვახე ყურძნის წვენით, მარილით, მწვანილითა და ნივრით (როსტ.). ისვრიმი -მკუხე, დაუმწიფებელი ყურძნის წვენი ნივრითა და მწვანილით შენე-

ლებული (მარტ.-იმნ.). შდრ. საბა. ჩუბ. ისრიმი.

ისტალული - დამატებითი გადასახადი. თეთ მიცემასუკან ჟერ კიდემ ზედ ისტალული მამთხოვა.

ისტაქანი - ჭიქა. ორ-სამ ისტაქან ჩაი დალივა. ესტაქან - ისტაქან (ღამბ. როსტ.).

ისტიფაადა - გამოყენება, სარგებლობა, ხმარება. ისტიფაადა რაიბე ქნა?

ისტიფაადა ქნა - მოხელთება. ჰარა ჰურაში იმან ისტიფაადა ქნა გადაიხორწა.

ისტიფაჲ - აბრეშუმის ქსოვილი, ლაბადა (როსტ.).

ისტიჟალი -საჭმელი ზოგადად. ჟერ ისტიჟალი არ მაქონ.

ისულის წყალი - მდინარე, ჩაედინება გიშის წყალში.

ისფრა ქრივალი -ქლიავის ჯიში, მუქი იისფერი. ყოროღში ნაქნარ ისფრა ქრივალი მოწევლა. ისფრაჲ, ისფრა ქლიავ (ღამბ. როსტ.). ისფერი (შან. რეც.).

ისტიყარაზი - ობლიგაცია. ისტიყარაზი შანახული მაქონ.

იტრუშება - რისხვა, გაბრაზება. ტრ ჩშავს, რაიბე იტრუშება არ ვიცი.

იტყუ შენ (იტყვი შენ)- ასე იტყვი, თითქოს, ვითომ. იტყუ შენ დრუზახე ზედ მოუდა. იტყუ შენ (ღამბ. როსტ.).

იფაგი -აბრეშუმი.იფაგი პერანგი შამიკერა.

იფათრება - გამწარებით ტირილი. ჰეგინ წაი, ყმაწილი იფათრება.

იფადა - გამოხატვა, სტილი. მაგიჟურა იფადას მინ ქნევს.

იფლიგი - მსხვილი ძაფი, იხმარება საბნების, ტომრების კერვისას. ვერლან დაასირიღებლა იფლიგი მიყიდე. იფლიგ (აზ. იფლიქ). ორგანიზმის ძაფისებრი შემადგენელი ნაწილები, ბოჭკოები (ღამბ.); იფლიგ -ტომრის პირის მოსაკრავი ბაწარი (როსტ.).

იფნიან მინდორი - მინდორი სოფელ ალიაბადში.

იფშიკება - გაჭიმვა ფეხის, ცომის. ფშეკავს, ფეყი იფშიკება ვერ კუნტავ, ლავაში იფშიკება არ ცხება.

იქავ - იქვე. იქავ დაკალე, ჯორცი გაყიდე. იქავ (ღამბ.).

იქავრი - იქაური. იქავრი არ მაიყონო, გაიგია! იქავრ (როსტ.).

იქავრელი - იქაური.იქავრელ კაცი ჟერ არ მოსუ იქავრელ (ღამბ.); იქავრ (როსტ.); იქაველ (ქაჯ.), იქაურელები (ნიჟ.).

იქაითი - იქიდან. იქაითი არ გამაიღო. (როსტ.).

იქე - იქ. რუმ წეხელე იქე მინ იყო? იქე (როსტ.)

იქთონ - იმდენი. იქთონ ილაპარიკა თავი ამატკივნა. იქთონ (როსტ.).

იქიდიასი - ხელმეორედ, თავიდან. იქი-

დიასი წაასულელი არ ვიქნო. იქიდიასი, იქიდიესი (ღამბ. როსტ.).

იქითიანი - იქითა მხარეს მყოფი. იქითიანი ნაქნარ ვერღანი მაიღი. იქიჲთი, იქიჲ (ღამბ.). იქით (შან. ხევს.).

იქნევ//არ იქნევ - იქნება, არ იქნება. იქნევ კიდემ უგენქა გელელებიან, ჰეი საქმე არ იქნება. იქნევ (ღამბ.).

იშიპრებს - იცეკვებს. ჰეგი მაგასთან არ იშიპრებს. იშიპრევს (იმნ.) ნახ. შიპრობა.

იშპიშკა - ასანთი. ცეცხ დაანთებლა იშპიშკა მამიღი. იშპიშკაჲ (როსტ.).

იშიღი//იშიღი ქნა - სინათლე, გათენება. //იშიღი იქნა ნაგახტან იშიღი დაინახა, იშიღი ქნითავ ჩაიცო (აზ.იშიგ) - ღამბ. როსტ.

იშიღპლანი იყო - გაჩახჩახებული იყო. გარე გომეველეთ ნახო იქავრობა იშიპლანი იყო. იშიღიან (ღამბ.).

იშტა//იშტა არ ქნა - მადა, მადა არა მაქვს. იშტა არ მაქო პური არ მინდა იშტა არ მაქო.იშტაითი ჰჭამს - მადიანად ჭამს. შაჰხე, როგო იშტაითი ჰჭამს. იშტაჲ (აზ. იშტაპ) -ღამბ.; მენთ., შან., ვაჟა II, ჭყ., იშტაჰი, იშტაღი (ნიჟ.) .

იშტრაქ ქნა - მონაწილეობა, თანამონაწილეობა. იშტრაქ ქნა, მაგრა იშტრაქ ქნა.

იჩალათი - შიგნეულობა. ზროხაი იჩალათი ვიყიდე.

იჩეჩხება - ფეხებს ზომაზე მეტად შლის. ჩეჩხავს, რა ფინთა იჩეჩხება, დგება.

იჩკი - სასმელი. მაგათ ქორწილში იჩკი არ საქნია.

იწკენტება - ძროხა ძალიან ცოტას იწველის. წკენტავს,ხლივ-ხლივ ცო-ცოტა იწკენტება.

იხანხლება - ცუდად ცხვება, ძალიან უნდა.ხანხლავს. ლავაში ცხელ თორნეში იხანხლება. იხანხლება თქენსა მაასულა.

იხტიარი - უფლება. მე იხტიარი არ მაქო გააშობლა. იხთიარ (აზ.) - ღამბ.

იხტიარსუზი - უუფლებო, უფლებას მოკლებული. მაგი იხტიარსუზ საქმეს ნუ დაიჭერ.

იხტილათ ქნა - საუბარი, ლაპარაკი, ბაასი. ჩონ იხტილათი ვქნოთ, ჰეგი წავდეს. იხტილაჲ (აზ. იხტილაფ - უთანხმოება, კონფლიქტი) - ღამბ. იხტილატი (არაბ.) – თანამესუფრეობა, მეგობრობა (ჭინჭ. ვაჟა). იხტილათ ქნაჲ.

იჰაჰუდი - იუდეველი. იჰაჰუდ ინსანი შამხტო.

იჰჰაქა - იხ. ჰჰაქა.

იჰენი//იენი - ესე იგი. იჰენი არ მაასულია ჩონსა.

იჰო//იიჰო - იფ, რა კარგია. იჰოო, რა ლამაზ ყმაწვილია. იჰო (როსტ. ღამბ.). ჳან. ჭინჭ. ვაჟა

კ

კაბურკაც - მთა კავკასიონის ქედზე. სიმაღლე 2913 მ.

კავი - ხის კოჭები, სახლის სახურავზე გასადები.სახლი კავები მაქონ გააღებელი. კავი- მოკაკული რკინა თუ ხე (ი. აბ.); კავ (როსტ. ღამბ.).

კავახჩოლ//კავახჩელ - სოფელი ბელაქნის რაიონში.

კაი//კაჰ - კარგი. კაი, მე მასულივარ, შენ წაი. კაჲ, კაჰ (ღამბ.).

კაიბალიანები -კაიბალიშვილების საგვარეულო შტო ალიაბადში.

კაი-კაი - კარგად-კარგად. კაი-კაი ვუთხარე, მაასულივარ. კაი- კაი (ღამბ.); კაჲ-კაჲს (ვკან.); კა, კაი (შან. ხევს.); კა (დოლ.), კაჲ (ჩუბ.ჟღ.), კაჲ (უთურგ.).

კაი გავდომა//კაი ქნა - მორჩენა, გამოჯამრთელება.კაი იქნა, კაი გავდომასუკან თქენსა მაასულივარ.

კაი დღე - მზიანი, კარგი, ბედნიერი დღე. კაი დღე თუ იქნა მშალ. კაჲ დღეჲ (როსტ.).

კაი დღეზე გასულა - ბედნიერების ასრულება. კაი დღეზე გასულა მის არ

უნდა? კაჲ დღეზე გასულაჲ (ღამბ.).

კაი დღეზე ნუ გახოლ - წყევლა. შენამ კაი დღეზე ნუ გახოლ. კაჲ დღეზე ნუ გახოლ (როსტ.).

კაიკაიები აჰკიდა - უშვერი სიტყვებით გამოლანძღა. შამხტო კაიკაიები ავჰკიდე. კაი-კაჲევ (ღამბ.). კაჲკაიევ აკიდევაჲ (როსტ.).

კაიობა - სიკეთე. მე მაგიბეი ბევ კაიობა მიქნია. კაოვაჲ, კაიოვაჲ (ღამბ.); კაობა-კარგობა (დოლ.). კაიობა - სიკარგე, კარგი (ძოწ.).

კაისთანა - საუკეთესო. ერ კაისთანა ცხენი ვიყიდე ბაზრით. კაისთანაჲ -ვინც მიყვარს, გულით ვინც გინდა (იხ. ნანდომ) - როსტ. კაჲსთანა (იმნ.).

კაისკანდარ - მთა კავკასიონის ქედზე კახთან ახლოს.

კაი - ფინთი - ავ- კარგი, ცუდი და კარგი. შენ კაი-ფინთს ვერ არჩევ. კაი-ფინთ (როსტ); ღამბ.

კაი ქნა - ავადმყოფობის მორჩენა, უკეთესად გახდომა. ნაჩალი კაი ქნაში მაასულივარ. კაჲ ქნა (როსტ.).

კაკა - კანფეტი ბავშვის ენაზე.კაკა მოგცე არ გინდა ბალა. კაკაი იხ. ყარაყაჰყაჲ //კარაკაჰაჲ (როსტ., ღამბ.). კაკა- ხილი (კირიონი).

კაკალა - სიმინდის ფქვილისაგან დამზადებული საჭმელი. არის დიდი და პატარა ზომის, გუგა. ზოგჯერ ცომს გულად დანაყილ ნიგოზს უკეთებენ.

პატარა ქნაში კაკალას ბევ აქითევდნენ, თოლი კაკალა გომოჰთხარა. კაკალაჲ -გუგა (როსტ.). კაკალაჲ, თოლი კაკალაჲ (ღამბ.).

კაკალივი წოორი - ზუსტი წონა.კაკა-

ლივი წოორია, სადაც გინდა აწონე. კაკალივი წოორ (როსტ.).

კაკანი - ქათმის კრიხინი. გადატ. ითქმის ქალის უშნო კისკისზე. კაკანოვს, ქათამი კაკანი გავგი, წეველე. ჰეგი რას კაკანოვს არ ვიცი. კაკან -გადატ. ქალის კისკისი (როსტ.).

კაკი//კახი - ერთ-ერთი უძველესი სოფელი საინგილოში. იგი მდებარეობს მდინარე ქურმუხის ვიწრო ხეობაში, რომლის ერთ მხარეს ულუბაშის მთა არტყია, ხოლო მეორე მხვრივ ბალუდარის მთა თავისი ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესიით. კაკი შედგება სამი ნაწილისაგან. კაკბაში (კაკისთავი), კაკინგილო და კაკ-მუღალი. კაკელებს ბინებიც ქონიათ. ესენია.ყიმურლო, ქეშკუტანი, ბახთალა, დიდი და პატარა ალათემური, ხარაბთალა.

კაკლი კაწახი - უმწიფარი კაკლის კანი, წენგო. კაკლი კაწახით ჯელები ბითოვ გამიშავდა. კაკლი კაწახ (როსტ.); კაწახ (აზ. დიალ. გარზახ)- ღამბ., ჯან.; ნ. აჭ. (ძოწ.).

კაკლიანი - მინდორი სოფელ ალიაბადში.

კაკლი ჰალვა - კაკლისაგან დამზადებული ხალვა. კაკლი ჰალვა გოგიქითა. კაკლი ჰალვაჲ (როსტ.).

კაკნატელა - ხრტილი. წრნში სრუ კაკნატელა ჩეეყარა.

კალამარინები//კალომარინები - კალამარაშვილების საგვარეულო შტო ალიაბადში.

კალანჩხა - მალალი, გამხდარი ადამიანი. ერ დიდ კალანჩხა მინმეა.

კალაჩაი//ქალაჩაი - მდინარე ჩაედინება მდ. ალაზანში.

კალიებურა - მსხლის ჯიშია, კალოობის დროს მწიფდება, შავი გული აქვს. კალიებურა სხალ მოწევნაში მოი ჩონსა. კალოჲ სხალ (ღამბ.); კალოს-სხალ (შან. რეც.). კალოს (მ)სხალ -ძიძ. კეცხ., ხუბ (ქართლ.).

კალთახ ახუბაშ - მთა კავკასიონის ქედზე. სიმაღლე 3017 მ.

კალთები - ხის დაბლა მყოფი ტოტები. ჟერ კალთები დააქანე, მემრე წორი.კალთევ (როსტ.).

კამიშთალა - დასახლებული პუნქტი ბელაქნის რაიონში.

კამპეტა სხალ//კამპეტაი - იხ. ყელიან სხალი.

კანალი - ღრმა არხი. ყოროღი დორთიან კანალი გოვჭრია.

კანაფა - ბალახია ერთგვარი (გრძელტოტება), ვიწრო ტოტებით. კანაფა ბალახი ომოსულა.

კანდახი//ყანდახი -სოფელი ზაქათლის რაიონში.

კანკალა ღობე -არამჭიდროდ დაწნული ღობე. კანკალა ღობე გაჰწივა ეზოში. კანკალაჲ//კანკალა ღობეჲ (ღამბ. როსტ.).; კანკალა ღობეჲ (ხუბ.).

კაპაჭრელა -ფერადი ძაფებით ნაქსოვი წინდა. კაპაჭრელა წინდევ ველარ ჩავცომ. კაპაჭრელად (ღამბ. როსტ.).

კაპიჩაი//ყაფიჩაი - მდინარე, ჩაედინება ალაზანში.

კაპრაში - ყვითელ მოწითალო. ბაწარს

კაპრაში ფერი ექნოს. კაპრაშ - ღია წითელი (ღამბ. ,როსტ.). ნარგიზის ფერი (ვკან.). ყვითელ მოწითალო (საბა), მუქი წითელი, მუქი სისხლისფერი (მენთ.); კაპრაშა ღია წითელი (ჭინჭ. ხევს.).კაპრაშად - ყვითელი (უთურგ.).

კაპრეტელი - მაღაზია. გადატ. ითქმის ადამიანზე (კაცზე), რომელსაც შარვლის ,,ზმეიკა“ აქვს ღიად დარჩენილი. კაპრეტელში ვიყავე აინ-ოინ საყიდლა,-შენ კაპრეტელი ღიაარი.

კაპუნი - კბილების ერთიმეორეზე ტკაცუნი. აკაპუნევს,მაგი კბილები კაპუნი აქ მოდიოდა.კაპუნ (როსტ.), იხ. საბა. კაპუნი; ღამბ.

კარაბალდურ//ყარაბალდურ -სოფელი კახის რაიონში.

კარაქ დადალა - კარაქის გადადნობა. კარაქ დადალასუკან ერბო კეჰთება. კარაქ დადალად (როსტ.).

კარა-ჩაი//ყარა ჩაი - მდინარე, ჩაედინება ალაზანში.

კარიპირი - სახლ-კარის, ეზოს წინა ნაწილი. ზალმა მარტო კარიპირი ჩაგავა.

კარიპირ (ღამბ.); ეზო (შან. რეც.); კარისპირი - სახლის მახლობლად საყანედ გაკაფული და ამოძირკვული ტყე, ახო - ქეგლი (ფშ.), სახლის გვერდზე მდებარე მამული, სამი- ოთხი დღის სახნავი. ეზო- მიდამო (ჭინჭ. ვაჟა).

კარსუკან - კარის უკანა მხარეს. კარსუკან ნუ იმალები. კარსუკან - იხ. კარი ყუჟურ (როსტ.).

კარში ტარება - კუჭის აშლილობა, ფაღარათი. მაგა კარში ტარება ხუმ არ აქო. კარში ტარევად (ღამბ.); როსტ.

კასრი - ხის დიდი ჭურჭელი. ქალამს კასრში ვაგევდით. კასრ (ღამბ.); ძიძ., კეცხ., ხუბ. (ქართლ.); ჭურჭელ, არს მისა სამწყემსო (საბა); ხის ჭურჭელ, განა საწყაო ნახევარ კოდისა, გინა ორის ჩანახისა (ჩუბ.); ქეგლი, შან. ხევს.

კასრი საყდარი - მდებარეობს კახში, საყარაულოს მთაზე. იგი აგებულია მეფე არჩილის მიერ VIII საუკუნეში. დღეისთვის შემორჩენილია საყდრის ნანგრევები. არავითარი კედლის მხატვრობა ან ხუროთმოძღვრული მორთულობა არ შერჩენია.

კატარი - თავსაფარი, ცხვირსახოცი. თავზე კატარი დაიხურე, კიდეც წაი. კატარ (როსტ.); კატარ - იგივეა, რაც გუგაზ (ღამბ.).

კატეხი - ერთ-ერთი უძველესი სოფელი ბელაქნის რაიონში. მცხეთის სვეტიცხოველს კატეხში ჰქონია მამული და ეკლესია.

კატიბილა - წინდის ერთგვარი სახეა.კატიბილიან წინდა მამიტანა. კატიბილად

(ღამბ. როსტ.).

კატითავა კომში - კომშის ჯიშია, წაგავს კატის თავს. კატითავა კომში ზირი იყო ჩონ თხილევში. კატითავა სხალ კატითავაჲ - მსხლის ჯიშია ერთგვარი (ღამბ.).

კატიცუცურა - ერთგვარი მცენარეა, გაზაფხულზე იშლება. იკეთებს მრგვალ

ბურთებს. მინდრით კატიცუცურა დეეკრიფა. კატაფსელაჲ - ერთგვარი მცენარეა ადრე გაზაფხულზე იშლება (ღამბ.).

კატუნა - გადატ. კატასავით აქეთ- იქით მოსიარულე ქალი. ჰეგი კატუნაარი სრუგან ზრობა. კატუნაჲ -. თავის მომკატუნებელი. ფეთხუმი, უსუფთაო და ულამაზო ქალის ეპითეტი (ღამბ.). კატუნი - ველური კატა (ი. აბ.); კატუნიჲ (როსტ.).

კაღო - კავი, კაუჭი. თხილი დააქანებლა კაღო მამიღი. კავლუაჲ (ღამბ., როსტ.); კავღოჲ (ჯან.).

კაწახი//კოხე - კაწახი, კოხე-კრაწი - უმწიფარი, მწვანე ფერის ხილი. კოხე-კაწახ ქრივალი დოვკრეფია. კაწახ, კოხე- კრაწი (ღამბ.); კაჭახ - უმწიფარი, ჯერ კიდევ მჟავე, მწვანე ფერისა და მაგარი (როსტ.); ჯან., საბა, ჩუბ.; კოწამახი, კოწმახი (ქეგლი), კოწმახი (მაის.); კოწახი, კოწნარი (ჭინჭ. ხევს.).

კაწახი დასკდომა - კაკლის წენგოს დახეთქვა. კაკლი კაწახი დამსკდარა, დაახრელია.

კაწი - ღობეზე გადასასვლელი ადგილი,

ოდნავ გასერილი, გაფხაჭნული. წყლის ვიწრო გასასვლელი ადგილი არხში. ხეზე ჭდე. ღობეზე კაწია, უგენქაი ხტება, წყალ გოვჩუჩე კაწი გოვქითე წავა. ხეზე კაწი უქნია. კაწ (ღამბ., როსტ.). კაწანი პატარა ღობე, დაბლი ღობე (მენთ.); ღობე მცირე ეკალთაგან აღმართული (საბა); ეკლის ღობე (ჩუბ.), ქეგლი.

კაცი - გადატ. ქმარი. კაცი არ ჰყავ. კაც (ღამბ., როსტ.), მენთ. ნიჟ. ქაჯ.

კაჭა//კაჭა -კაჭა - ნაჭერი, ნაჭერ-ნაჭერ გადატ. ითქმის უკანალის გამოჩენაზე. ყარფუზი კაჭა მამცა. კაჭა - კაჭა დაჭრა ნრსი გოდნი კაჭა ჩანდა. კაჭა, კაჭა-კაჭაჲ (ღამბ., როსტ.); ჯან.

კაჭი//კაჭი ქნაჲ - დანა ბავშვის ენაზე, ვითომც გაიჭრა. კაჭი იქნა, პატრა კაჭი მამიღა, მემე დანა კაჭი იქნები. კაჭ, კაჭი იქნა (ღამბ., ჯან.); კაჭი - ჭუჭყიანი ქალის მეტსახელი (როსტ.).

კბილანჩა - წინ კბილის ამოღების შემდეგ დარჩენილი სიცარიელე. მაგ კბილანჩას შაჰხე, როგო იცინის. კბილანჩაჲ (როსტ.).

კბილ გაჩხრეკა - სხვისი ამბის ზედმიწევით გაგება. ყასტინან კბილ გაჩრეკა უნდა. კბილ გაჩხრეკინევაჲ (როსტ.).

კბილი მოჭრა - სიტყვას მოუჭრის, სიტყვით დაიმორჩილებს. -კბილ მოჰჭრის, მაგა რაშ უნდა კბილ მოჰჭრის?

კბილევ მე მთხოვს - იტყვიან როცა ია-

რალი ბლაგვია. დანა ერაგეთია რუმ კბილევ მე მთხოვს.

კბილზე იკრა - წინასწარ იგრძნო, მიხვდა.მალე კბილზე იკრა, წაუდა.

კბილი კაწკაწი, - სიცივისგან გაყინვა, ცახცახი. კბილების ერთიმეორეზე ცემა. ერაგე შაჰციებოდა კბილევ აკაწკაწევდა. კაწკაწ, კაწკაწოვაჲ (ღამბ.); კბილების ერთმანეთზე ცემა (ქეგლი.).

კდარზალლი - მკვდარძალლი, ლანძღვაა. შე კდარზალლო, სიპტაითავ რაიბე მამატყუე. კდარზალლ (ღამბ.); ჴან.

კდომი-კდომი მუშიობა - დაზარებით მუშაობა. შაჰხე როგო კდომი-კდომი მუშიობს. კდომ-კდომ (ღამბ., როსტ.).

კდომი-კდომი ტარება - უხალისოდ სიარული. რა კდომი - კდომი ეტარები. კდომი-კდომ (როსტ.); კდომ - კდომ (ღამბ.); მოკ - მოკვდი (ჴან.).

კედელში ჩხირი - მეტაფ. გამოთქმა - მოულოდნელი გამოჩენა. კედელში ჩხირი გოუყარე.

კედემ//კიდემ - კიდევ, ისევ. სხო კიდემ რა გითხრა? კიდემ, კედემ, კიდემ, კიდემ, კედემ (ღამბ., როსტ.).

კედი - კოჭის ძაფი.ნემსზე კედი მაქონ ააგებელი. კედ (ღამბ., როსტ.); ძაფი (ჴან.).

კედი გორგალი - ძაფის გორგალი. კედი გორგალი მამიღი. კედი გორგალ (როსტ.); კედ (ღამბ.), ძაფი (ჴან.).

კევრიან ტურა მოდის - ბავშვის შესაშინებელი ზღაპრული ცხოველი. ძილის წინ ცელქ - მოუსვენარ ბავშვს აშინებენ. დაიზინე, თურემ კევრიან ტურამჭა წაგიყონს. კევრიან ტურაჲ - ზღაპრებში ნახმარი სიტყვაა. ტურის ეპითეტია (ღამბ.); კევრიან ტურაჲ (როსტ.).

კეკრუხი - უთმო, ქაჩალი. ერ კეკრუხ რაიმერი, ზედ არ შაჰხედავ. კეკრუხ (ღამბ., როსტ.); ჴან., კინკრიხი (შან., ვაჟა I).

კემური - თხილნარი, საძოვარი სოფელ ალიაბადში.

კეტოვ - კეტოვ - ჴოხის დახმარებით სიარული.კეტოვ - კეტოვ სახლამდე ზლივ მიდის.. კეტოვ-კეტოვ (როსტ.).

კეშგუტანი//ქეშგუთანი - სოფელი კახის რაიონში.

კეცეულა - გოგრით შეზავებული საჭმელი. ნაჩაღი სანახლა მივდი კეცეულას ვაქითევ. კეცეულაჲ (როსტ.).

კეჭნითაჲ - მთა, სოფელ თოფახში.

კეჭნის - ჭრის, აფუჭებს დანით, ცულით, წალდით ურტყამს და ჭრის ავეჴს, იატაკს, ხეს. ყმაწილ წალდი წაართი პოლი ფიცარს კეჭნის.

კეხი - ცხენის უნაგირის ხის ზედა ნაწილი. აქლემის კუზის ფორმის. კეხი მამიღი ტაჭკაში ცხენს ვამბავ. კეხ (როსტ.).

კეჰკელა - გრძელტარიანი კბილებიანი სამეურნეო იარაღი მიწის გასფხვიერებლად იყენებენ. კეჰკელა

ლაზიმია, მამიღი.კეჰკელაჲ - ფოცხი (ღამბ.); როსტ.

კეჰპა - წვერი, კენწერო. ხი კეჰპაზე არ გახიდო. კეჰპაჲ (ღამბ., როსტ.).

კიდბნი ჭრელი - კიდობნის ორნამეტის გამოსახულების წინდა. კიდბნი ჭრელ წინდა ჩამიდეს ხურჟინში. კიდბანა ჭრელ (ღამბ., როსტ.); ჯან.

კიდემ - ისევ. ჰეიგი კიდემ მოვდა თქენსა? კიდემ - იხ. კედემ . კიდდემ - იხ. კედემ (როსტ.).

კიკო - თოჯინა. ყმაწილ კიკო ვუყიდე ბაზრით. კიკოჲ (ღამბ., როსტ.); ჯან.

კილანი - პატარა ჯამი, ფიალა. დედინაცოლი კილანი ჟამში მიყრიდა საჭმელს. კილან (აზ. გილ-თიხა) -თიხის პატარა ჯამი. კილანა (ჯან.) ფიალა (ღამბ., როსტ.).

კილი - სარეველა მცენარის ნარჩენი. შენ ნაყიდ პურ კილი აქონ. კილი - ხვარბლის ბუდე (ი. აბ.); კილი- ჩენჩო (კირიონი).

კინაკუნა - ჯართი. კინაკუნა დაავრუა ეზოში. კინკუნაჲ (როსტ.).

კინიგზა - რკინიგზა. კინიგზა ჩონთან არ მოდის. კინიგზაჲ (ღამბ.).

კინკილა - ერთადერთი. ერ კინკილა ქალი ჰყავ, სხო მინამე არ აქონ.

კინკილო - თხილის, კაკლის ყვავილი. ჟერ თხილ კინკილო არ გოვქითებია. კინკიროჲ (ალიაბ.) მურყნის ყვავილი. კინკილოჲ (ღამბ., როსტ.); თხილის ბუჩქის ყვავილი (ჯან.).

კინკრიხო//კრიხო - ქაჩალი, თავზე ერთი ბეწვიც რომ არ აქვს. ეზოში კინკრიხო დავნახე.

კირკალი - ვაზისგან გაკეთებული რკალი. აკვანში ბავშვისთვის ძველი ნაჭრისგან გაკეთებული რკალი. კირკალი გაწყდა გადააგდი, სიფინჯს კირკალი დოვდევ. კირკალ (ღამბ., როსტ.). ვაზისგან გაკეთებული რკალი (ჩაჩისთვის). ჯან., კრკალი (ბერ.); გრკალი - რკალი (შან. ვაჟა III); კრკალი - გინა სალტე ხისა, გინა მეტალისა (ჩუბ.); გრკალი - მობოკვილი ხე და რქა (მოდრეკით გადაბმული)- საბა; კრკალი - რკალი საქონლის კისერზე ჩამოსაცმელი დასაბმელად (ძიძ., კეცხ., ჩუბ. - ქართლ.),

კირკალი (ლეონ., კაიშ., ქაჯ.) გირკალი (ჭინჭ. ხევს.) გირკალი (უთურგ.). კრიკალი - საცრის, ცხრილისა და ცხაკის ხის რკალი (მენთ.).

კირკილი - მღრღნელი, ჩრჩილი. შენ პალტო კირკილ დოვჭრია. კირკილ (ღამბ., როსტ.). იხ. ჩირჩილი. ჩრჩილი (ჯან.); კრკილი - ჯმელით ჯორცით განმრყუნელი ჭუა (საბა); კირკილა - ბუზის სრიალი ხორცზე -ქეგლი (მთიულ.); ქაჯ. კირკლი (კაიშ.); კირკლი - ერთგვარი მწერი, რომელიც ტყავს უჩნდება, ხრავს მას და უვარგისს ხდის (ჭინჭ. ხევს.).

კირკინა - ველური ვაზის ჯიში, წვრილი მარცვლები აქვს. კირკინა ყურზენი

აჰხევნია ჩონ გაჰრას.

კირკინაი აბრეშუმის ჭიის ერთ-ერთი ჯიში.

კირკინაი ამგვარი აბრეშუმის ჭიისაგან გაკეთებული პარკი. ყვითელი ფერისაა, წვრილია და მომრგვალო ფორმა აქვს. (ღამბ.). კრკინა - უსურვაზი და ძღვამლიც ნიშნავს გარეულ ვაზს (საბა).

კირკიტი - მაგარი, ძუნწი. კირკიტ კაკალით ლებანი არ გომოდის, დიახ კირკიტ კაცია. კირკიტ (როსტ.); კირკიტაჲ (ღამბ.).

კირკიტა კაკალი - კერკეტი კაკალი. გადატ. ჯიუტი, გაუტეხელი ადამიანი. ჰეგი დიახ მაგარ კირკიტ კაკალია. კირკიტ კაკალ (ღამბ.).

კირკნავს//კირკნი- კირკნი - კენკავს, უხალისოდ ჭამს, ქათამს გაპუტვის შემდეგ დარჩენილ ბუსუსებს წიწკნის. ქათამი საკიკს კირკნავს, აქა- იქი კირკნი-კირკნი თავში გავდა, კირკნაჲ, კერკნაჲ, დაკირკნაჲ, დაკერკნაჲ, გაკერკნაჲ (ღამბ.). კენკვა, გამოკიკვნა

(ჯან.); უხეიროდ თხრა, ზანტად რისამე კეთება (ბერ.); იკირკნებოდა-ნისკარტით ჩხრეკდა, საჭმელს ეძებდა -გიგ., თოფ. ქავთ. (ქართლ.).

კიტრი დწილა - კიტრის დიდ -წვრილიანად მოკრეფა. ჟაგზე ნაქნარ კიტრი დწილაჲ (ღამბ.); ჯან.

კიფჩაგ//კიფჩაკ//ყიფჩახი - სოფელი კახის რაიონში.

კიწი - პატარა, მცირე რამ. გაბარევ ერ პატრა კიწი არ ექნოს. კიწი - ქალის ლაყაბი სახელი (როსტ.).

კიჭი - ნივრის, ხახვის ერთი კბილი. კბილი ბავშვის ენაზე. ერ ნივრი კიჭი არ მაქონ, ჟერ ჩონ პატრას კიჭი არ ომოჰსულია. კიჭ - იხ. ნუვრი კიჭ. (როსტ.); კიჭ: ნივრუ (ნუვრუ) კიჭ- ღამბ.; ჭილო (საბა); ჭეო (წერ.); ქეგლი (იმერ.); კბილი (კირ.); ბავშვის კბილი (ბერ.).

კიჭკიჭა - კბილ- კბილად. ნიორს კიჭ-კიჭა ვარჩევთ.

კიჭკიჭაი - კერვის ან ქსოვის სახე

კიჭკიჭაი - უწინდელი ფერადზოლებიანი ჯევჯიმი.

კიჭკიჭაი - შიბის ერთერთი სახე. კიჭ-კიჭაი - ფერადი ძაფებით მოქსოვილი ერთგვარი ზონარი. კიჭკიჭაი - სახლის გადახურვის ერთგვარი წესი (ღამბ.). კიჭ - იხ. ნუვრი კიჭ (როსტ.).

კლავ გაჰწევა - ხელმოწერა. კლავს ჰწევს, შენ კლავ გაჰწევა მინდა. კლავ გაჰწევაჲ (ღამბ.); კლავ გაჰწევა (ჯანგ.); ჯან., ძიძ., კეცხ., ხუბ. (ქართლ.).

კლავი - მკლავი. კლავი მოჰჯეჩია ვერ მიდის. კლავ (როსტ.).

კლავი ბულუნი - იდაყვი. დაცემაში კლავი ბულუნი აჰტკიებია. კლავი კოჭანაჲ (ღამბ., როსტ.).

კლერტი - ხნულში დარჩენილი ბალახის ნარჩენები. დაბარაში მიწაითი კლერტე-

ბი გადაყარე. კლერტ, კლერტოდ (ღამბ., როსტ.). ბალახის გამხმარი ღერი (მენთ.). ყურძნის ღერო (საბა); ხმელი ღერი ფიჩხისა ან გაკაფული მტევნისა (ჩუბ.); ფოთლებგაყრეინებული ტოტი ან მარცლებგაყრეინებული მტევანი (შან. ვაჟა IV); კლერტოი - კლერტი (ჯან.); კლერტი, კლერტოი, გლერტა, კლერტა - მრავალწლოვანი სარეველა ბალახი (მარცვლოვანთა ოჯახისა) ქეგლი; კლარტა - მავნე ბალახია (შარაშ.); კლარტე (ჟღ.).

კლიები - მკლავები, ხელნები. კლიები აიკლანზე მემრე მოზილე, ურმი კლიები გაიყეჩა. კლიევ (ღამბ., როსტ.); კლიებ, კლავ (ჯან.).

ჩაკმიჩა - კბეჩავს.კმენჩავს, ვაშლ კმენჩავს ჰყრის.

კნეპი-კნეპი - უგემუროდ, უხალისოდ ჭამა. კნეპი-კნეპი ჭამს. კნეპი-კნეპი (როსტ.)

კნრსვა -კვნესა. კნრსის კნრსავა ნუ გიყუარს“. კნრსვად, კნრსად (ღამბ.).

კნუტი - კვნიტი (შაქრისა), კნუტი (კატისა): შინ ერ შაქრი კნუტი არ გოქო.. კატად კნუტი მაიყონა. კნუტ (ღამბ.).

კობალაკი - დაბალი, ჩამრგვალებული და ჩასკვნილი ტანის ადამიანი. კაცის ნაყაბსახელი. კობალაკი ყადიმა კაი კაცია. კორბაკ - დაბალი,

ჩამრგვალებული და ჩასკვნილი ტანის (ადამიანი). მომრგვალო და მკრიკი (კუნძი, კაცი)-ჯან.

კოლ დაზებნა - კვალის ძებნა. კოლ ზებნის, ორნი წეველეთ ცხენი კოლ დაზებნელა. კოლ დაზებნად იხ. კოლ მალევად (როსტ).

კობალა - მდინარე კახის რაიონში.

კოკოლა - ბავშვისთვის გამომცხვარი პატარა პური. ყმაწილ კოკოლა გომოვცხო. კოკოდ (როსტ.); კოკოლად ნ. გოგოლაი (ღამბ.).

კოკოლა - კოკოლა - წინდა, რომელშიც რგოლის ნაყიშებია ჩაქსოვილი. წინდაში კოკოლა- კოლა ნაყიშები ქენე. კოკო-კოკო (როსტ.).

კოლა - მაგიერ. შენ კოლა მე წავალ ზრონაში. კოლა (ღამბ., როსტ.); ჯან. კოლად (ქაჯ.).

კოლი დაცემა - მიწაზე კვალის გატარება. კოლი დოვცია, კოლი დაჰცა, წაუდა. კოლ. კოლ დაცემად (ღამბ., როსტ.). ჯან., გიგ., თოფ., ქავთ. (ქართ., მოხ. გუდამაყ.) კაიშ.

კოლეჟი - მთა კავკასიონის ქედზე.

კოლტი//კოლტ - კოლტ ქნილა - კოშტი, შემკვრივებული მასა ცომში. ცომში კოლტი არ იქნოს, დაჟეკასუკან ჟანზე კოლტ-კოლტ ქნილა. კოლტ, კოლტ-კოლტ ქნად (ღამბ.). კოლტ-კოლტ (ჯან.); , დაკურკუტული, დაკურკუტებული - მრგვლადგამაგრებული რამ, მაგ. ჯირკვალი, დასველებული ფქვილი (შარაშ.); შედედებული (სისხლი) - მენთ.

კოლსუკან წასლა - კვალის მიხედვით

ძიება. კოლსუკან წასულა. კოლსუკან წასლაჲ (როსტ.).

კომლი - კვამლი, ოჯახი. შორსაითი კომლი დავნახე. კომლ (ღამბ.).

კონტოლი - ნეხვის გროვა. მოი, შაჰხე რამქჰწორ კონტოლი დოვდია.

ქალმნი კოპი - ქალამნის ირგვლივ დაწნული ტყავის ღვედი, რომელშიც ქალამნის შესაკვრელი ზონარია ამოყრილი. ქალმნი კოპი გასხნილა, შაიკარე. კოპ ქალამნი კოპ (ღამბ.); კოპ (როსტ.); მოუქნელი თასმა (საბა, ჩუბ.); წვრილი თასმა ქალამნის ამოსასხმელად (მენთ., ძიძ., კეცხ..ხუბ.- ქართლ.) ; კვახუჭის (ქალამნის) ნახვრეტი თასმის, ბაწრის ამოსაყრელად (კაიშ.); კოპჭური - თავმოჭუპნული ქალამანი (ბერ.).

კორა//ურმი კორა - უღლის შუა ადგილას ჩაყრილი ორი ჯოხი, რომელზედაც ჩამოცმულია საუღლე, რომ აქეთ-იქით არ იმოძრაოს. გადატ. დაბალი ადამიანი.

ურმი კორა ნაგახტან გაიყეჩა. ერ პატრა კორა რაიმერი. კორეი, კორაჲ (ღამბ.), როსტ, კორეი - უღლის - შუაი (ჯან.).; გუთნი კორა ხის კოჭი, რითაც მიმაგრებულია ფრთა გუთანზე (მენთ.). კორაჲ (როსტ.).

კორკორა - გორა, ბორცვი სოფელ მოსულში. კორკორასთან გელედები. კორკორაჲ (ღამბ., როსტ.); ჯან.

კორაწა//კორონწა - დაბალი, პატარა ტანის ადამიანი. ერ პატრა კორაწა კაცი იყო. კორაწ - იგივეა, რაც კაწახ (ღამბ.); კონწაწ - დაბალი, პატარა ტანის მქონე ადამიანის მეტსახელია (როსტ.); იტყვიან ძალიან ხმელ პურზე. (მენთ.).

კორბაკი//კობალაკი - ცუდი ადამიანი

მსუქანი, დაბალი, ტანდაბალი. ჰეგი რა კორბაკია შენ არ იცი. კორბა - დაბალი, ჩამრგვალებული და ჩასკვნილი ტანის (ადამიანი) - ღამბ; კორბაკ : ბოროტი გადატ. მრგვალი და დაბალი ტანის ადამიანი (როსტ.). მომრგვალო და მკრივი (კუნძი, კაცი) - ჯან.

კორთე - ჭურჭლის თარო. უწინ ყაბა- ყაშულს კორთეზე ვალაგევდით. კორთეი (ღამბ., როსტ.); ჯან. იკორთა (საბა). კორთეში კი არ ჰყუდევ - ქალი ან ნივთი, რომელიც გარეგნულად ლამაზია, მაგრამ გამოუყენებელი. მაგა კორთეში კი არ ჰყუდევ რაშ გინდა?კორთეში კი არ ჰყუდევ (როსტ.).

კორკალი - კურკლი. კორკალი ცოცხით მააგრუვე. კორკალ, კორკლ (ღამბ.); შან. რეც.

კორკოტი - დანაყილი ხორბლისაგან დამზადებული კერძი. კორკოტი გამიქითა ყონალა წასლაში. კორკოტ (ი. აბ.).კორკოტოვაი - ქრისტიანული დღესასწაული დიდმარხვის შემოსვლიდან ოცდამეოთხე დღეს, ე.ი. დაახლოებით 25 აპრილს მოდის (როსტ.).

კორი - გამდნარი ცხიმი, მრგვალი ფორმის. კორი მაქონ შენთუნ შანახული. კორ - თხის ქონი ან სანთელი (როსტ.); კორ (ღამბ.).

კორნაანები - კვირიკაშვილების საგვარეულო შტო ს. მოსულში.

კორტნის - უშნოდ ჭრის თმას. მაგამ ფინთა გაკორტნა იცის.

კრცხრვლა - ერბოკვერცხი. დილაზე კრცხრვლა, გამიქითა. კრცხრვლად, კრცხრულად, კრცხრვლა კრცხრვლად) .(ღამბ.); კრცხრვლად (როსტ.); კრცხრვლად (ჯან.).

კოსოლა ჟამი - ვიწრო ფსკერის და ფართო მოყვანილობის ჯამი. კოსოლა ჟამით მამიტანა ფლავი. კოსალა ჟამძველი თიხის, ახლა ბრინჯაოს და სპილენძის (როსტ.). კოსოლა (კოსალა) ჟამ, კოსოლად, კოსალად - ერთ-ერთი ჯამი, რომელსაც ძირზე დასადგამი აქვს (ღამბ.).

კოსიანევ - კოსიშვილების საგვარეულო შტო.

კოსკოსელა - კოდალა. კოსკოსელა ხეზე იჟდა ურაკუნევდა. კოსოლად, კოსალად (ღამბ.). კოსალად (შან. რეც.); კოსალა (კირიონი, მენთ.); იგივეა, რაც მელელვია ჩიტი - ქეგლი (ქიზ.).

კოტენები - კოტეშვილების საგვარეულო შტო სოფელ მოსულში.

კოტი - სჯდომი ბავშვის ენაზე. კოტიდ დააბანლა მეზახის. კოტად (ღამბ., როსტ.); ჯან. კოტა (კირიონი).

კოტიაობა - დღესასწაული. ზაფხულში დიდი გვალვის დროს ბავშვები იკრიბებიან ერთად, აკეთებენ კიკოს და ობაში დადიან, რომელიმე სახლის კართან რომ მივლენ მღერიან. კოტია კოტია გელმიშამ, კოტია სალამ ვერმიშამ. ვინც მეტ საჩუქარს გაიმეტებს ვაჟი შეეძინოს, ვინც ცოტას-გოგო. ბევრის გამმეტებელს დალოცავენ, ხოლო მცირედის გაკოტრებას უსურვებენ. ვინც არაფერს გაიმეტებს იმ ოჯახს დაწყევლიან. ამიტომ ყველა ოჯახი ცდილობს კმაყოფილი გაუშვას კოტიას წევრები. კოტიაობის შემდეგ მართლაც ყოველთვის წვიმდა. ამას მე თავად მოვსწრებივარ და მონაწილეც ვყოფილვარ ბავშვობისას. კოტიობა - იგივე ქართლური ლაზარობა (კირიონი). კოტიოვად (ღამბ., როსტ.).

კოტკოტელა - სადურგლო იარაღი. ჩამჩებს აკეთებენ. მოსულაში კოტკოტელა მამიღი არ დაიმირწყო. კოტკოტელად (ღამბ., როსტ.). კოტკოტელა - იხ. კოსკოსელა.

კოტმანი - თივის გროვა, ბულული. ბალახი კოტმანი დადგა. კოტმან (ღამბ.,როსტ.). მრგვალი მაღლობი, კოტმანი.

აკოკოლავებული დიდი ხვავი და სხვ. (ჯან.); კოდმე -მთის კონცხი, გორის ფერდობი, გვედობი (ჭყ.).

კოტოში - გოგრისაგან გაკეთებული წყლის ამოსაღები ჭურჭელი. კოტოში მამიღი წყალ ამააღებლა. კოტოშ (ღამბ., როსტ.); ჯან. მიზიდვით სისხლის გამომღებელი ჭურჭელი (საბა); რქა სისხლის გამოსაშვები (ჩუბ.); წურბელების მოსაკიდებელი აყირო (მენთ.,ქეგლი).

კოტოში ქელიანი - გადატ. თავ- გადა-პარსული, უვიცი ადამიანი. ერ კოტოში ქელიან კაცი იყო. კოტოშად (როსტ.).

კოტყარაჩაი -ხევი სოფელ მოსულში.

კოფხალი - საგნის მცირე ნაწილი.შენ დაიჟერე ერ კოფხალი აღარ დამჩომია. კოფხალ - კუფხალი (ღამბ).; ჯან., როსტ. კუმხალი (კირ.), კუმხალი, კუმპალი (შარაშ.).

კოფხალ - კოფხალ - ნაწილ- ნაწილ, სათითაოდ. სრუ კოფხალ- კოფხალ აკრიფე.

კოცოვლა - საჭმელი ცომში აზელილი გოგრა. კოცოვლა გამიქითეს.

კოჭანა - იდაყვი.კოჭანები უჩანდა, პერანგი უგენგრე მოკლე იყო. კოჭანად (როსტ.)..

კოჭანაზე დოუდია - მუხლამდე მოუთოვია. ჩონთან ორ დღეერი თოვლოვს, კოჭანაზე დოვდია.

კოჭოპი- კოჭობი, უყურო ქოთანი. უწინ წრლას კოჭოპში ვინახავდით, მერე ვდღობავდით.

კოჭოპ - გადატ. წელში შემოჭერილ-ქამრიანი (სარტყლიან ხალათზე იტყვიან) -როსტ.; კოჭოპ (ღამბ.); ჯან.; კოჭობი (საბა); მცირე ქოთანი, რძის შესადიდებელი (ჩუბ.); ქეგლი.; კოჭობი არის ვერცხლის თასი ლუდის სასმელი (შან. ხევს.).

კოჭპევ დაყრა - ზურგზე საფენების (მცირე ზომის ქილების) მოკიდება. კოჭპევ დაყრასუკან ცოოტა კაი იქნა. კოჭპევ დაყრად (როსტ.).

კოხე კრაწი - მკვახე, დაუმწიფარი ხილი. რაშ მინდა ჟერ არ მოწევლა კოხე კრაწიირი. კოხე-კაწახ - იგივეა, რაც კოხე - კორაწ (ღამბ.). კოხე-კორაწ-ძალიან მკვახე, დაუმწიფებელი ხილი, ჯერ კიდევ მწვანე და მაგარი, პირს შაბავს. (შდრ. კომკორაწ, კაწახ, კორაწ) -როსტ.

კოხე ჟულაბი - გადატ. მოუფიქრებელი უკმეხი სიტყვა. მე მაგიბეი ერ კოხე ჟულაბი არ მითქომ. კოხე ჟულაბ (როსტ.).

კრამეტი - კრამიტი. სახ კრამეტი დაჰხურა. კრამეტ (როსტ.).

კრანტი//კრინტი, კრანტი არ გავგო. შენ კრანტი არ გავგო, გაიგია! კრანტი-კრინტი, ხმის დაძრა. რაიბე კრინტ ზრავ? კრანტ, კრანტ გაწყოტად (ღამბ., როსტ.). მენთ., გაკრენტა ხმისა (ჩუბ.), გამოკრინტვა - კრინტის ძლივს დაძვრა (წერ.).

კრაპუნი - კრატუნი, ხრაშუნი. კრაპუნოვს, ერეგე კაი კბილები აქონ, პურ კრაპუნით ჭამს. კრაპუნ, კნაპუნ, დაკრაპუნევა (ღამბ.); კნაპვა - ძვლის გამოხვრა (ჩუბ.)

კრაწუნი - ხრამუნი, რაიმეს მტვრევის ხმა. კრაწუნოვს, მაგი კრაწუნმა ყური ზაჰლა წაიღა. კრაწუნ (როსტ.).

კრიხი - ქაჩალი ადამიანის თავზე ირონიით გამოთქმული ეფითეტი. ქაჩალ, ქაჩალ კრიხო საითყენ გაგაგრიხო. კრიხ

(ღამბ.).

კუბაკანა - კუ. დილიგში ორ კუბაკანა დავჭირე. კუბაკანაჲ, იხ კუვ-კუ (როსტ.) კუიბაკანაჲ, კუუბაკანაჲ (ღამბ.); ჳკან.

კუბაჩა - კუდუსუნის ხორცი. კუბაჩაი ჯორცი მამიტანა.

კუდ აჰწევა - მიმხრობა, მიხმარება.კუდ უჰწევს, შენ კუდ აჰწევა არ უნდა.

კუდბუნბულა - ლამაზკუდიანი. კუდბუმბულა ჩიტი მოვდა.

კუდბეწელა - წაბლისფერი ჭია, გრძელი ორტოტა კუდით. მწარედ იკბინება. ჰეგინქე კუდბეწელა შამიზრო პერანგში. კუდბეწელაჲ, კუდბოწელაჲ (ღამბ., როსტ.); კუდბაწელა -კუდბაწარა და მრავალფერა ჭია (ჳკან.).

კუდ მოწყეტა - გადატ. ამბობენ, როცა სარწყავად გაშვებულ წყალს შეკრავენ, მაგრამ გაშვებული წყალი ჯერ კიდევ მოედინება. კუდს ჰწყოტენ - გადატ. ამბობენ, როცა ხვავთან ახლოს მყოფ ბზეს მეორედ ანიავებენ გაყოლილ მარცვალის გასაცალკავებლად (როსტ.).

კუდურა - უკუდო, კუდმოჭრილი. გადატ.დაბალი ტანის, მსუქანი კაცი. ერ პატრა კუდურა რაიმე იყო. კუდურ (ღამბ., როსტ.). ჳკან., საბა, კუდურა, კუდური (ჩუბ.); კუდალა (შან. ვაჟა I), მენთ.; კუდა, კუდალა -კუდმოკლე (ჭინჭ. ვაჟა) კუდალა - კუდმოკლე, კუდმოჭრილი ძაღლი შარაშ.).

კურიკა - კვიცი. კურიკა არ აქონა თქენ ცხენ? კურიჲ (როსტ., ღამბ.).

კუდურაანები - კუდუშვილების საგვარეულო შტო ს. მოსულში.

კუდრუცანა - ცხვრის დუმის კუდი. ერ პატრა კუდრუცანა რაიმე იყო. კუდრუც, კუდრუცაჲ (ღამბ.); კუდრუც - დუმის კუდი, რომელიც დუმის გადადნობის დროს შიგ უნდა იხრაკებოდეს (როსტ.); კუდრუცანაჲ - ცხვრის დუმის კუდი (ჳკან.).

კუვი - პატარა ორმო. წეველეთ კუებ ამაათხრელა. კუ, კუვი (ი. აბ.); კუვ-კუ (როსტ.).

კუზი ქნა - ზურგზე წამოკიდება.კუზის ჩიდის, მოი ბალა, კუზი გიყო.

კუილი - გაზებისაგან თავის განთავისუფლება. კუის, რა ფინთა კუის, სულით დავჯით. კუჲს (ღამბ.).

კუკრუჭანა - ნიგვზის მთლიანი ლებანი უღლიანად. გადატ. იტყვიან ლამაზ გოგოზე. ლებან დარჩევაში კუკრუჭანა არ შაგხტუა, ლამაზ კუკრუჭანა ქალია. კუკრუჭანაჲ (ღამბ.); კოკროჭანა (როსტ.).

კუკუმათი - ბნელი, წყვდიადი.კუკუმათია რაიმეს ვერ დაინახავ. კუკუმათ (ღამბ., როსტ.).

კუკუნა//კუმ-კუმა - ნელა მომუშავე. ერ კუკუნა რაიმერი. კუკუნაჲ, კუკუნოვაჲ, კუკუნა, კუკუნ (ღამბ., როსტ.). კუმ-კუმაჲ - პატარა ზომის ქვაბი (შდრ. საბა; კუმკუმა) -როსტ.

კუკური - კოკორი. ჟერ კუკური არ გოვშია. კუკურ (როსტ.)

კულაზა-ჩაი - მდინარე. ჩაედინება ალაზანში.

კულიერი - დამტარებელი. მე შენ კულიერი კი არ ვარ?

კულუფა -კოლოფი. თეთრი კულუფაში ჩადევე. კულუფაი - კიდობნის ერთ კუთხეში გაკეთებული პატრა ხის კოლოფი ფულის შესანახად (ღამბ.). კულუფა (როსტ.).

კუმბაში//ყუმბაში - მთა კავკასიონის ქედზე. სიმაღლე 2324მ.

კუნზი - სხვადასხვანაირი ფორმის დაბალი დასავდომი სკამი. ერ კუნზი მამიღი დააყდომლა. კუნზ (როსტ.).

კუნზრიანი - სახნავ- სათესი მინდორი ალიაბადში.

კუნტა//კუნტა პური - თონეში ჩავარდნილი და გუნდად გამომცხვარი პური. დაკუტებული ბებერი. კუნტა პურ მინ ჰჭამს? კუნტა ბებერია.

კუნტაი//კუნტა პურ//კუნტა ბებერ (ღამბ., როსტ.); ჳან., კუტი პური - ძიძ., კეცხ., ხუბ. (ქართლ.), კუნტი პური (ძოწ.).

კუნტრუშა გადახტა - ადგილიდან ხტომა. კუნტრუშა შორს ვერ ხტება.

კუნტრუშა ქნა - ყირას გადავა. ორ-სამ-ჟერ კუნტრუშა ქნა, ადგა.

კუნტულა - პატარა ზომის ნესვი ან საზამთრო. ნაქნარ კუნტულა დაკრიფა. კუნტულაი - უხარისხო, უფორმო კიტრი. ის ან მრგვალია, ან მოგრეხილი, ან გოგრის მოყვანილობისა (შდრ. თუშ. კუნტულა - პატარა დუმიანი ცხვარი) - როსტ.; კუნტულაი, კუნტულა კიტრ - მოკაუჭებულთავიანი, დაგრეხილი კიტრი (ღამბ.). კუნტულა - პატარა ჩურჩხელა (კირ.).

კუპ ქნა - ხმის გაკმენდა, ხმის აკრძალვით გაკმენდა, რის შემდეგაც ამბობენ. დაზინევი წინ ნალილევ მოყოლაში ამბობენ - კუპ ქნაო. კუპ ქნაჲ (ღამბ., როსტ.).

კურაკინები - კურაკიშვილების საგვარეულო შტო ალიაბადში.

კურიკა - კვიცი. ცხენი კურიკა დაკარგა. კური, კურიჰკაჲ (ღამბ.); კურიჲ (როსტ.). კურია (ჳან.).

კური-კური - კვიცის მოსახმობი შეძახილი. კუც კური-კურით ვეზახით.

კურკურა//კუჰკურა - გვრიტი. ჩონთან კუჰკურაჲ მოკლა არ იქნება.კურკურაჲ (აზ.გურგურა) - ღამბ; კუჰკუჲ : გუგული; ჰანგის სახე. კუჰკუჲ ჩიჩაქ - ბალახია, იჭმება. (როსტ.); ჳან.

კურკურა სხალი - მსხლის ჯიშია.

ტკბილი და ძალზე გემრიელია. თქენ კურკურა სხალი ჟერ არ მოწევლა?კურკურა სხალ (ღამბ.).

კურტანი -დაგლეჯილი უვარგისი ტანსაცმელი. დაინახია, როგო დაგლეჯულ დაფათრულ კურტანი აცია. კურტან -

ძველმანი (როსტ.); ღამბ; ჩვარი, ძველი ტილო, წვრილმანი (იმნ.); საბა, ჩუბ. კურტანი.

კურტი - კრუხი. წელს კურტი ვერ დავაჟდინე. კურტ (როსტ.); კურტ, კურტაჲ (იმნ.); კრუტი - საბა; გიგ. თოფ., ქავთ. (მოხ.); კაიშ., უთურგ.

კურტა დაჟდომა - გადატ. სახლიდან გარეთ არ გასვლა. რა კურტა ჟიხარ, გარე გომი. კურტა დაჟდომაჲ (როსტ.).

კურტი - უვარგისი მატყლი, კვირტი. მის რაში უნდა მაგი კურტი?კურტ -ცუდი მატყლი (როსტ.). კურტ: კვირტი მატყლის უვარგისი, შემკვრივებული ნაწილები, ანაჩეჩის შემდეგ დარჩენილი (ღამბ); კვირტი -საბა., ჩუბ, ქეგლი, ჭინჭ. ხევს. კვირტი - მოკლე ნაკრეჭი მატყლი, უვარგისია. მუთაქაში ყრიან (მენთ.).

კურტუმი - ფრინველის გავა. კურტუმი არ ჩამიგდო არ მიყუარს.

კურუსთავი - მიცვალებულის დამარხვიდან გასული ერთი კვირა. კურუსთავი ჟერ არ გასულა საქმეზე არ წავა,კურუთავი, კურიისთავ, კურუთავ, (ღამბ., როსტ.).

კუსკუსი//კუსკუსოვს - გულიანი სიცილი. იგევა როგო კუსკუსოვს. კუსკუს (როსტ.). კუსკუსაჲ (ღამბ.); კუსკუს ; სწრაფად და სანდომიანად მოსიტყვაობა (ჯან.).

კუტ-კუტი - დაბალ ხმაზე საუბარი. კუტკუტოვს, კუტ-კუტი ნუ გიყუარს

კუტაჰ - კრუხის გასაგდები შეძახილი. კუტაჰ ქენე, გააგდი. (როსტ.).

კუტეკალი - წვრილი ეკალი. ყოროლში კუტეკალი შემერჭო ფეჟში.

კუტი -კუტი -კრუხის მოხმობა. კუტი -კუტი ქენე მუა. (ღამბ., როსტ.).

კუტი ლებუა - დაბალი ლობიოს ჯიშია.წელს კუტი ლებუა არ დამითესია. კუტი ლებუა (ღამბ.).

კუტუხო - კურტუმი. ქათმი კუტუხო ჩამიგდი წონში. კუტუხაჲ (როსტ.).

კუცი - ცხენის ნაშიერი. კუცი გზაში არ გოვშო. კუც (ღამბ.); ჯან.

კუწანები - კუწაშვილების საგვარეულო შტო ს. მოსულში.

კუწუნ - კუწუნ გაგჯდი -მუქარა ნაჭერ-ნაჭერ დაგჭრი. ყიროდა კუწუნ-კუწუნ გაგჯდივო. კუწუნ-კუწუნ (როსტ.).

კუჭი ჰტკივა - ფიგურ. გამოთქმა. საქმის განგებ გაჭიანურება. მაგა ვიცი რაიბე კუჭი ჰტკივა. კუჭი ჰტკივა (როსტ.).

კურა//კირა - კვირა. ერ კურა დრო მემეცე. კურაი (როსტ.).

კუჭულა - თიხის წყლის ან ღვინის ჭურჭელი. კუჭულაითი მამიღი წყალი. კუჭულაჲ (ღამბ., როსტ.); ჯან.

კუჭულა შუნდი - შინდი მოგრძო ფორმის.კუჭულა შუნდი დამიხარა.კუჭულა შუნდ (როსტ.).

კუჰკურას აჰკიდებია - მოხუცი, რო-

მელიც უკვე საქიოში წასასვლელად გამზადებულია. ჰეგი უჟე კუჰკურას აჰკიდებია. კურკურაიბეჲ აკიდევაჲ (ღამბ.).

კუკუსავი ჟის - თვალმოუხუჭავად ღამის თევა. ბითოვ ღამე კუკუსავი იჟდა. კუჰკუსებრა ჟის (როსტ.).

ლ

ლაბარჟგანა - დიდი და გრძელი კეტი. ერ დიდ ლაბარჟგანა ეჭირა ჯელში. ლებარჟგინ (ღამბ., როსტ.). იხ. საბა, ჩუბ., მენთ. ბარჯი.

ლაგამი - აღვირი, ცხენის პირში ამოსადები რკინა. ლაგამი მამიღი ცხენ დაჭერლა. ლაგანი - სპილენძის ან თითბრის ტაშტი. ლაგანი მამიღი ფეყევე დაბანლა (ლაიგანი -ლაიან). ღამბ., როსტ. ლაგანი - დიდი თეფში სპილენძისა (ჯან.); ქეგლი. ლეგენი (ნიჟ.)., ჩუბ.

ლაგლაგები - მინდორი სოფელ ალიაბადში.

ლაგლაგი - ლაკლაკი, ყარუატი. ჩონ ლაგლაგი კორცხს არ ვჭამთ. ლაგლაგი, ლაგლაგ (აზ.ლეჲლაქ) - ღამბ., როსტ. ჯან., ლაკლაკი (საბა); წერო, ბაყაყსა და გველს იჭერს. (შან.მრეწვ.). ლაკლაკი, წერო - გიგ., თოფ., ქავთ. (მესხ.), ლეგლეგი (ნიჟ.).

ლავიწი - მორკალული ძვალი, რომელიც მკერდის ძვალსა და ბეჭს აერთებს. ლავიწი ზოლი გაჰვეჩია.

ლაზიმი - საჭირო. შენ ლაზიმი საქნიხარ, სადმე არ წახიდე. ლაზიმ (როსტ.). ლაზიმსუზი - არა საჭირო. ლაზიმსუზ რაიმები გადაყარე.

ლაილაი ქნა - იავნანა, სიმღერა ბავშვის ძილის დროს. გადატ. საქმის მიფუჩეჩება. ლაილას ჩიდის, ყმაწილ ლაილაითი ვაზინევთ, ლაილაი ქნა არ უნდა მალე გააქითე საქმე. ლაილაჲ (აზ.). ლაილაჲ ქნუაჲ (ღამბ.); ლაილა (ჯან.); საჭოჭინე ნანინა (ჯან.).

ლაიჟი - სოფელი ზაქათლის რაიონში.

ლაიღი ქნა - პატივი, დაფასება, ღირსად ჩათვლა.ლაიღვს, ჰეგი ჩონ ლაიღ არ გუყევს არ მუა. ლაიღ, ლაუღ ქნაი (აზ. ღირსეული) - ღამბ.

ლაიღსუზი - უღირსი. ლაიღსუზ გაფევ ქნა ნუ იცი.

ლაკო - ადგილი, სადაც ტალახი და ლაფი დგას. მანგუშნი ლაკოსთან არის შენ ცხენი. ლაკოჲ (ღამბ.); ლაკვა - წყლის საჟვენი ჯურღმული (ჯან.); ჯურღმული, ნაგები (საბა). ჩუბ.

ლალავს - ერეკება. მიჰლავს, ჰეგი დიახ მაგრა ლალავს.

ლალაფაშა - სოფელი კახის რაიონში.

ლალუ - ჰამაკის მსგავსი ბავშვის საძილე. ყმაწილი ლალუში დააწინე. ლაილუჲ, ლალუჲ (ღამბ). როსტ. ლალუჲ - ჩვილთა საძილე ჭოჭინა (ჯან.); ბალულა (მაის.), გაბმულა (მენთ.).

ლამი ახო - მინდორი სოფელ ალიაბადში.

ლანგარა სოკო - ლანგარის ფორმის

სოკო. ლანგარა სოკო იჭმება. ლანგარაჲ, ლანგარა სოკოჲ (ღამბ., როსტ.).

ლანგარი - საოჯახო თეფში. გირცი ლანგარში ამაიღი. ლანგარ (აზ. ლენგარ) - სპილენძის თეფში (ღამბ.), ლანკანი (საბა,

ჩუბ.), ლანგარი -ტაშტი (უთურგ.). ლანგარაჲ - სოკოს ჯიში , იჭმება (როსტ.).

ლანგრიპირიანი - დიდპირიანი ადამიანი. ლანგრიპირიან ინსანი იყო.

ლანზღი-ლანზღი - ლანძღვა - ლანძღვით. ლანზღავს, ლანზღი - ლანზღი მაიყონა შინ. ლანზღი-ლანზღი (ღამბ.).

ლასლასოვს - ლასლასიით სიარული. ზლივ თავიბეი შინ ლასლასოვს. ლანსლანსოვაჲ (ღამბ.).

ლანჭახი - ჭაობი, ერთმანეთში აზელილი ტალახი. ტარებით ეზო ლანჭახი ქნილა. ლანჭახ, ლენჭახ - ჭანჭრობიანი და თანაც ქვიანი ადგილი (ღამბ.). ლენჭყი, ლენჭყო -ნოტიო, ჭაობიანი ადგილი - ქეგლი (იმერ.).

ლაპარიკ//ლაპარიკობა - ლაპარაკი.ლაპარიკოვს, მე ლაპარიკი არ მინდა. ლაპარიკ, ლაპარიკოვაჲ, დგომი - დგომი ლაპარიკ (ღამბ.).

ლაჟი - გათლილი სწორი ხე. მაგარი, წყლით გამკვრივებული მიწა. ტაჩკაზე ლაჟები მაქონ ადებული, ერაგე ლაჟ მიწაარი ლაფათკას ვერ ჩოვგდევ. ლაჟ, ლაჟ მიწაჲ(ღამბ., როსტ.).

ლარისანები - ლარისაშვილების საგვარეულო სოფელ ალიაბადში.

ლარტა - გრძელი ჯოხი. გადატ. მაღალი ადამიანი. კაკალ დახრელა ლარტა მამიღი, ჩონ წინ ერ დიდ ლარტა იდგა. ლარტაი - ნაკაფ კაკლის ხეზე ამოყრილი ნორჩი ყლორტები, რომლის ქერქს ვაზის შეაყრელად ხმარობენ (ღამბ.); ლარტაიჲ (როსტ.); შდრ. საბა; ლარტყა.

ლარტელი - მინდორი სოფელ ალიაბადში.

ლარჭა - ლურჭი გაჰდის - ახალი რეზინის ფეხსაცმელის გამოცემული ხმა. ერაგე კაი რეზნი კალოშები აქონ,ლარჭა-ლურჭი გაჰდის.

ლასტი - აბრეშუმის ჭიისთვის გაკეთებული გრძელი მაგიდის ფორმის ჩელტი. ლასტი მაქონ გააქითებელი ჭიაი გაათხელებლა. ლასტ წნელით მჭიდროდ დაწნული ჩელტო, რაზეც ხალავდნენ კაკლის ლებანს; დაჩვრეტილი თუნუქი; წნელით დაწნული ხიდი, მდინარეზე ცხვრის ფარის გადასაყვანი (როსტ.). ლასტ სქელი და მაგარი წნელისაგან მოწნული ჩელტო, რომელიც ჩაფრისგან მასალობრივადაც განსხვავდებოდა და დანიშნულების მიხედვითაც (ღამბ.). ჯან., საბა., ჩუბ. ქეგლი. ძიძ. კეცხ. ხუბ. (ქართლ.). გიგ., თოფ., ქავთ. (მოხ.), ლასტი, ლაიტი (მენთ.). ჭინჭ. ხევს., ღომის გასაწყობი ჩელტი (ჟღ.). ლასტი - ხაჭოს გამოსაშრობად გაკეთებული წნული (უთურგ., ხუბ.).

ლაფ - ძალიან, , სწორედ, ნამდვილად, მართლაც. ლაფ ჰენგრეც არ იყო საქმე.

ლაფ (ღამბ.); ლაფ კაჲ - ძალიან კარგი (როსტ.); ჯან.

ლაფანი - ბოკვი. ლაფანი მაქონ დაახეველი. ლაფან (ღამბ., როსტ.); მაყ. ხის ჯიში. გიგ,, თოფ. ქავთ. (კახ. ქიზ.); ტირიფის ქერქი (კაიშ.); ცაცხვის ან თელის ქერქის შიდაპირი (ჭინჭ.. ვაჟა).

ლაფიანი - მინდორი სოფელ ალიაბადში.

ლაფლაფოვს - ძლივსძლივობით დადის. დაბერებულა თავიბეი ზლივ- ზლივ ლაფლაფოვს. ლაფლაფოვაჲ, ლაფლაფ - ლაპლაპი, ლიფლიფი, ციმციმი (ღამბ.).

ლაქა - სირცხვილი, სახელის გატეხვა. მაგი ცხოვრები ლაქა იქნა.

ლაქინ - ალბათ. იგიანევს ლაქინ ვერ მოდის.

ლალვი - მოსპობა, განადგურება. წანაღევ რაიმეები ლალვი უქნია.

ლალლაღი - არა მჭიდრო, თავისუფალი, უსაქმი საუბარი. კარგა ლალლალა დასხდნენ, წაი დაიკარგე, ლალლაღი თავი არ მაქონ. ლალლაღი, ლალლაღოვაი (ღამბ., როსტ.).გალალლალება - წყალში გაქნევი - გამოქნევიაი გავლება (ჯან.). ლალ-ლაღი (საბა);ლალლაღი. ძიძ. კეცხ. ხუბ. (ქართლ.); გალალლალება პირში გამოვლება (ჩუბ.); ლალლაღი (ქეგლი.).

ლაღოზი - ახალგაზრდა ყლორტი. გადატ. სწორი ტანაყრილი კონევ ლაღოზით ვჰკრავთ. ლაღოზივი გაზდილა. ლაღოზ, ლოღაზ (ღამბ., როსტ.); ჯან.,

ლაღოზა - წვრილი სარი (საბა., ჩუბ.); ლიბანი მაღლად ტანაზრდილი, უტოტო, სწორი ხე (ძოწ.).

ლაყაფი - უაზრო საუბარი.ლაყფოვს, ერაქთონ ილაყაფა ზაალა წაიღა. ლაყაფ, ლაყაპ, ლაყაფ სახელი (ღამბ.); ლაყაბ : ცუდი სიტყვა; ზედმეტი მეორე სახელი; ცუდი სიტყვის მთქმელი (როსტ.). იხ. საბა-ლაყაფი.

ლაყე - ფუჭი, არაფრის მქნელი. ცარიალ ლაყე ინსანი ხარ. ლაყ, ლაყე - გადატ. ფუჭი (როსტ.); ღამბ.

ლაყინტარა//ლაყინტარ-ლაყინტარ ტარებაჲ - უსაქმურად მოხეტიალე, უქნარა. გავგი, ერ ლაყინტარა რაიმე ყოფილა. ლაყინტარ-ლაყინტარ ნუ ეტარევი. ლაყინტარაჲ, ლაყინტარაჲ (ღამბ.); ჯან. ვიღაც მოთრეული, უპატრონო, ვიგინდარა(ქეგლი.). ლაყინტარ, ლაყინტარ-ლაყინტარა (როსტ.).

ლაყიწი - ნახევრად გამოუცხობი პური. მაგი განაცხობ ლაყიწ პური მის რაში უნდა. ლაყიწ, ლიყიწ - ნაწვიმი ხორბალი, ან ასეთი ხორბლის პური, რომელსაც გული არ უცხვება (ღამბ.).

ლაყლაყი - რყევა. ლაყლაყოვს,ჩონ აინა მაგარ ქარში ლაყლაყოვს. ლაკლაკ-ფომფლე რისამე რყევა (როსტ.). შდრ. მენთ., ლაკლაკი; კაიშ. ალაკლაკებს.

ლაცუნ-ლაცუნ ტარება - უშნო სიარული. რა ლაცუნ-ლაცუნ ეტარები. ლაცუნ-ლაცუნ ტარევაჲ (ღამბ.).

ლაშე - მლაშე. ლაშე შიჭმელს პირზე

ვერ წაიღევ. ლაშეი (ღამშ.).

ლაშე - წუწა - ძალზე მარილიანი. შენ წრნი ლაშე - წუწა ქნილა.

ლახა - ლოქო. ზაქრომ ალაზნით ლახა დაიჭირა. ლახაი. გადატ. იტყვიან ადამიანზედ სახლის ღუმელი, იცოდნენ ძველად (როსტ.). ლახჲი (ღამბ.); ლოხი - ორაგულის მსგავსი დიდი თევზი, მჭლე და უგემური ქეგლი. (საბა).

ლახანკა - ტაშტი. ლახანკა მამიღი ტანსმუს დაარეცხლა.

ლახტი//ლახტა-ლახტა - შავი ლაქა. ლაქებად დამჩნეული.ლახტა-ლახტა

ქნილა. ლახტ (ღამბ., როსტ.); შდრ. საბა. ჩუბ. მენთ. ლახტი.

ლაჰპა - ლაფი, თხელი მასა. ერაგე ოვრევია ერთმეთში ლაჰპა ქნილა. ლაჰპა, ლაჰფა, ლაჰპაჲ (ღამბ., როსტ.).

ლებუა - ლობიო. წელს ლებუა არ მაქონ. ფაყლაჲ (როსტ.).

ლებუაჲ დენი - ლობიოს მარცვალი. ლებუაჲ დენი მოხარშე.

ლებუას დენი ოვღია - ლობიოს მარცვლები აქვს. ჩონ ლებუას დენი ოვღია.

ლებუიან ფლავი - ლობიო შერეული ფლავი. თქენსა მოსლაში ლებუიან ფლავი გამიქითე. ფაყლიან ფლავ (როსტ.).

ლებუიწნი სურჰული - ლობიანი ცომის საჭმელი. ცომს პატარა ნაჭრებად ჭრიან, შემდეგ თითით გამოუსვამენ და ქვაბში ჩაყრიან. ლებუიწნიან სურჰულით კარგა ვზღებით. სურჰულიჲ (როსტ.).

ლეზათი - გემოვნება, სიამოვნება. ჰენგე ქორწილ ლეზათი არ აქო.

ლეზათლუ - სასიამოვნო. ერ ლეზათლუ დრო გავატარე.

ლეისანი - თქეში, თავსხმა, ძლიერი წვიმა. ლეისანი მოვდა.

ლელალუი - უბანი სოფელ ზაგანში.

ლემბა - გაუვალი ეკალ-ბარდნარი. ნაგახტან ერ ლემბაში ჩავვარდით.ლემბაჲ (აზ. ლამბა) -ეკლიანი მაღალი ბარდი შდრ. ლრლრჲ. ლემბაჲ. გადატ. სქელი და დონდლო ადამიანი (ღამბ.) ლემბას დოუცი იხ. ლრჰლრს დოუცი (როსტ.).

ლემსა - ციგანი. ჰეგი რა ლემსაარი ჟერ არ იცი. ლემსა ჰორიზანტალურ ბერკეტებიანი მოწყობილობა წყლის დინგში (ღამბ.) ლემსაჲ კლიევ -ჰორიზონტალურად მოძრავი, წყლი დინგზე მიდგმული დინგის სანაყელები, ხელნები, (როსტ.).

ლემსაიპირიანი - ციგნის მსგავსი. ცარიალ ლემსაიპირიანი ხარ.

ლეში - მძორი. ლეში გაათრივა დაამარხლა.

ლექეთი//ლექართი - სოფელი კახის რაიონში. ამ სოფელშია ლექართის მონასტერი.

ლიბასი - პირ-სახე. ლიბასზე ჩანს რა ინსანია.

ლილი - ბავშვის საცეკვაოდ გახმობა. ჰაბა ლილი ქენე ბალა ლილი- კბილებს შორის გამოსული ჰაერის საშუალებით შესრულებული სისინა ჰანგი (როსტ.). ლილიჲ -დაბალი ხმით სიმღერა, ღიღინი (ღამბ.), ჯ.ან.

ლინგი - ხის კეტი, იყენებენ სხვადასხვა დანიშნულებით. ხელში ერ დიდ ლინგი

ჰქონდა. ლინგ (ღამბ., როსტ.); კეტი ტივთა მისაწევ- მოსაწევად (ჯ.ან.);

ლინგერა - მაგარი მსხვილი ჯოხი - ქეგლი (გურ).

ლინყი//ლინყი ქნილა - ძალზე გაცივებული ჩაი ან საჭმელი. მოი

თურემ ჩაი გალინყდა. ლინგ (ღამბ., როსტ.);

ლინცნიცი - - პირამდე გავსებული სითხის ზედაპირის ციმციმი. ლინცლინცოვს. ზე მოხტომაში ბიჰტუი წყალი ლინცლინცოვს. ლიცლიცი - ძალიან სამსე (კირიონი).

ლიპლიპი - წყლის ან გაკრიალებული იატაკის პარპარი. ლიპლიპოვს , პოლი ერაგე ლამაზა დოვწმენდია, ლიპლიპოვს. ლიპლიპ -ლივლივი წყლისა, ოდნავ ღელვა (როსტ.). შდრ. საბა., ჩუბ., მენთ.

ლიფლიფი - გაურკვევლად საუბარი. ლიფლიფოვს, დოუსმინია როგორ ლიფლიფოვდა.

ლობბაზი - პირმოთნე, მლიქვნელი. მე ლობბაზ ინსანი არ მამწონს.

ლოგინი - ტახტი. ლოგინზე დამიგა

ფართალი. ლოგინი - საწოლი (ადგილი ფიცრისა) – ი. აბ., ლოგინი კიდევ - ლოგინის ფეხების დასადგმელი თლილი ოთხი ხე (როსტ.); ჯ.ან., საბა., დიდი, გრძელი ტახტი მთელი კედლის გასწვრივ (ძოწ.).

ლოკმა არ მაქო - ლუკმა არ დამრჩენია. შენ დაიჟერე ერ ლოკმა არ მაქონ. ლოკმაჲ (ღამბ.); შან. რეც.

ლოლი - ლოლიჲ - გასართობი თამაში. ბავშვს ხელს გაუშლიან და ცალკეული თითების რიგრიგობით მოკეცით ეტყვიან. ეიმამ მაიპარა, ეიმამ დაკლა, ეიმამ გაატყავა, ეიმამ მოხარშა, ეიმამ ჭამა. შემდეგ ხელის დადებით იტყვის: ეიქ ბეკეკა, ეიქ ჭია, ეიქ ბეკეკა და ყელთან მიღწევისას დაუწყებს ღიტინს ,,ღიტი-ღიტის“ თქმით, ბავშვი მხიარულობს და იცინის. როსტ. იხ. მენთ.

ლომფური - დიდი ტალახი, ტყლაპო. გზით გადასლითავ ლომფურში ჩავვარდი. ლომფურ იხ. ლამფურ (როსტ.); ლომფურ, ლუმფურ, ლამფურ, ლომპურ (ღამბ.). ლომპურ სველ-წყლიანი ადგილი, ნამეტან დასველებული (ჯ.ან.).

ლოპო - მიუხვედრი, გაუთვითცნობიერებელი. ვერჰ ჰხედავა ცარიელ ლოპოორი. ლოფოჲ. ლოპო, ნორჩი კაკლის ხის ყლორტისაგან გამძვრალი ქერქი, რომლისგანაც ბავშვები ჰიტიტის და ჭყლურთუნას აკეთებენ. ლოპოი - კაკლის ქერქი მრგვლად (როსტ.); ლოპოხეი შემოძრობილის ქერქის ნოტიო,

საიქი - კინალამ, თითქმის, დაახლოებით, თითქოს. საიქი ვუწევდით უკნი

დრგეწივა. საჲქი (ღამბ.); ჯან., საიქ (მენთ.). როსტ.

საკანი - ხის კიდობანი. გადატ. ვიწრო ოთახი. ერ დიდ საკანი ფქუალი გოქონ. საკანში ჩააგდეს. საკან (ღამბ.).

საკანი - ნასოფლარი სოფელ კახში.

საკიკი - ფრინველების საკენკი. ქათმიბეი საკიკი მიყიდე ბაზრით. საკეკ

(ღამბ., როსტ.); ჳკან. მენთ.

საკნრტელა - ხრტილი, მოსაკვნეტი. საკნრტელას მიჰნ შაჰჭამს? საკნრტრლაიჲ (ღამბ.).

საკერებელი - დახეულ შარვალზე მისაკერებელი ნაჭერი. შარვალზე საკერებელი დააკერა. საკერეველ (როსტ.); იხ. ჩუბ.

საკეთელი//საკოთელი- საჭრელი, რისამე საკვეთი. მიწას ჟერ საკოთელი ჰჭრის, მემრე გუთანი აბრუნევა.

საკომლე - საკვამური. ზრლ სახლევში ბუხარები იყო, საკმლები გაქითება მემრალნ დაიწყეს.საკომლეჲ (როსტ., ღამბ.). საკომლე (ქაჳ.).

საკუწავი - ხორცის საჭრელი, ფიცარი ან მორი. ჯორცი საკუწავი მამიღი ეზოითი. საკუწავ (როსტ., ღამბ.). საკუწელ (ჳკან; საკუწავ წალდი (შან.ჯევს).

სალამათინავ იყავ - კარგად იყავი. სალამათინავ იყავ ვუთხარე, მეველე.

სალამ აღება - მისალმება. სალამ აღება არ იცია? ჳკანგ.

სალანქარი - უსაქმური.ერ სალანქარი ზლივ მაიშორე.

სალბა - მოკლე ჳკოხი, ჭოკი, გადატ. ტანად მოუქნელი (ადამიანი). სხალ სალბა ესროვნა, ერ სალბა რაიმეერი. სალბაჲ (ღამბ.).

სალაჟა - მიცვალებულის წასაღები საკაცე. სალაჟაზე დადეს წაიყონეს. სალაჟაჲ (აზ.) -ღამბ.; ჳკან., სალაჟაი (იმნ.).

სალიგა - აკურატულა, წესიერება. პერანგი სალიგა არ აქო.

სალიგალუ - აკურატული, წესიერი. სალიგალუ ინსან ვეზევ.

სალმა-ბიჩაღ//ბიჩაღსალიობან - დანაობა. საბავშვო თამაში. ბიჩაღსალიობან ბევ მითამაშნია.სალმა- ბიჩაღ (ღამბ.). დანაობა (ბერ.), დანასობია - ქეგლი (იმერ.).

სალმა ჩაი - ტკბილი ჩაი. დილაზე სალმა ჩაის ვლევთ.

სალტე - რგოლი. სალტე გოვყარა კლავზე. სალტე, სავლეტ (ი. აბ.) სალტეჲსამაჳკური (ღამბ.); შან. რეც.

სამალიტ//სომალიტ დაღ - მთა კავკასიონის ქედზე.

სამ-სამა - სამივე ერთად. სამ-სამა დააწყოვე კაისა. სამ -სამაჲ (ღამბ.).

სამარვანი - სასაფლაო. ჩონ სოფელში ორ სამარვანია. დიდ სამარვანი და პატარა აჟდარი სამარვანი. სამარობანი (ი. აბ.); სამაროვან (როსტ.); სამარვან (ჳკან.).

სამარიებზე გასლა - სასაფლაოზე გასვლა მიცვალებულის მოხსენიების დღეს. ხუალ სამარიებზე გადიან. სამარიევზე გასულაჲ (გასლაჲ)- ღამბ., როსტ. სამარიებზე გასვლა (ჳკან.). საფლავის სანახავად გასვლა (მენთ.). სამარიებ (ჳკან.).

სამერჟავი - ქათმის გულისპირი. სამერჟავი ჯორცი მიყუარს.

სამიები ნამზინი - მესამე ძილი აბრე-

შუმის ჭიისა.სამიბეი ნამზინ ჭია მაქონ. სამიბე, სამიბეი დაზინევაჲ (როსტ., ღამბ.).

სამნიმ - სამივე. სამნივ ჩონსა მოით, კაისა. სამნიმ (ღამბ.).

სამფეყა - სამფეხა. სამფეყა სკამზე დამაჟდინა. სამფეყაჲ (როსტ.).

სამჯრე - მხრებზე დასადები სარჩული სიმაგრისათვის. პერანგი სამჯრეები მამიღი. სამჯრეჲ (როსტ., ღამბ.).

სანაათი - ხელობა. მაგა სანაათი არ აქუა?სანაათ (აზ.)- ღამბ.

სანადი - საბუთი, დოკუმენტი.სანადი არ აქონ. სენედ (აზ.).

სანახევრო - შესრულებული სამუშაოს შედეგად მიღებულის შუაზე გაყოფა. სანახევრო კაკალ ვახრევნევ.სანახევროჲ (როსტ.).

სანახელ - რაც უნდა თავისთავზე გამოსცადოს ან ნახოს. რაც ჩემ სანახელია, სხო ვერ ნახავს. სანახელ (როსტ.).

სანგარი - ადგილის სახელი სოფელ ალიაბადში.

სანდალი - ფეხსაცმელი. სანდლებით ბაზარში კი არ წავალ. სანდალ (ი. აბ.).

სანი//სანი-ჰისაბი - ანგარიში. მაგამ თავი ცხორი სანი-ჰისაბი არ იცის. სან (აზ.)-ღამბ; საჲ- რაოდენობა (როსტ.).

სანჟალი - ქიძისთავი პერანგზე სანჟალი გაიგდა.

სანჟუ//სანჟუმ დამიჭირა - ჭვალი, ჭვალმა გამაკავა. ნაგახტან სანჟუმ

დამიჭირა. სანჟუჲ (აზ.)- ღამბ.

საპოვნ - საპონი. დღე საპოვნი ვიყიდე კაპრეტელით საპოვნ (ღამბ.). როსტ.

საჟეიზო - სამზითვო. ქალიბეი საჟეიზო ჟერ არ მიყიდნია. საჟეჲზოჲ (ღამბ.).

საჟი//საჟი ფეთირი - თუჯის ჭურჭველი, რომელზედაც ფეთირს აცხობენ. გადატ. ორპირი, მლიქვნელი ადამიანი.ფეთირი დააცხო საჟზე, მაგა დიახ ნუ ენდები საჟი ფეთირია. საჟ (აზ.) -როსტ., ღამბ. საჯი (ჩუბ. მენთ.), თუნუქის ნაჭერი, რომელსაც კეცს ახურავენ ნალვერდლის დასაყრელად (ნიჟ.); სწორი აგური, რაზედაც მეცხვარე ფეთირს (პურს) აცხობს (კაიშ.); კიდეებ ოდნავ ამაღლებული თუჯის მრგვალი ჭურჭელი, ეწევა კეცის მაგივრობას (ხუბ.).

სარაი - სასახლე, დიდი ნაგებობა. ერ დიდ სარაი აქონ დადგმული.

სარაღანი - თრიმლი. ალაზანი პირზე სარაღან ჭრიდით. სარაღან (აზ.). -ღამბ., როსტ. მაყ.

სარეკელა - წისქვილის ხვიმრაზე მიმაგრებული ჩხარუნა. სარეკელა გაიჯეჩა.

სართხამი - სქელი და გრძელი კეტი. ერ კაი სართხამი აიღა გენგეკიდა.

სართხამ- ტყავის გადასაჭიმი თავებწაწვეტებული ნედლი ჭიგოები (ღამბ.); როსტ. ჯან.

სარი - ჭიგო, ჯოხი. ღობეი შააკრელა

სარი მინდა. სარი - კვერთხი (ი. აბ.).

სარსალი - ტუტუცი, ტვინთხელი. სარსალთან გაფ ნუ ჰჩიდი.

სარტყელი - ტყავის, ან ქსოვილის წელზე მოსახვევი. სარტყელი მაიჭი წელზე.

სარუ - ყვითელი. სარუ ფერი ბაწარი შაღება.

სარუბაში - მთა კავკასიონის ქედზე.

სარუბულდა - ხორბლის ჯიში, ყვითელი ფერის, მსხვილი მარცვლით.წელს სარუბულდა დათესა.სარიბულდაჲ, სარუბულდაჲ (აზ.)- ღამბ., როსტ.; შან. რეც.

სარულული - ავადმყოფობა, სიყვითლე. მაგა სარულული აქონ.

სარფა//სარფალუ - მოგება. ჰეიქა მე რა სარფა მაქონ?

სარქალი - უფროსი მეცხვარე.სარქალი შინ წავდა. სარქარ (ღამბ.). სარქალი (მენთ.), გიგ. თოფ. ქავთ. (გუდამაყ.), ქაჯ.,სარქალი (ხუბ.).სარქარდი, სარქარი - უფროსი ზედამხედველი (ჩუბ.).

სარღალი - სიგრძივ დაფენილი, დაგრეხილი ჩალა. ჩალა სარღლა დაჰხურა. სარღალ - ბოინთირზე სიგრძივ დაფენილი, გადაგრეხილი ჩალა (როსტ.).

სარღლი თირები - სარღალზე დასაწყობი კოჭები, ჩალის დასამაგრებლად. სარღლი თირები გოვდევეთ. სარღლი თირევ (როსტ.).

სარჰადი - საზღვარი. სარჰადზე არ გოდმოხიდო. სერჰედ (აზ.).

სასა - პირის ღრუს ზედა, თალისებური ნაწილი. ზოლი სასაში გეეჩხირა.

სასაპნე - საპნის ჩასადები ჭურჭელი. ზრლ დროზე სასაპნეს ქებით აქითევდნენ.

სას-სემური - ბგერა, ხმაური. ჰეჩ სას-სემური არ იყო.

სას-ქუისუზ - უხმაუროდ. სას-ქუისუზ წასულაჲ - უხმაუროდ წასვლა. სას-ქუისუზ წასულან სოფლით.

სასელაი - სახლის სახურავის გარშემო შემოვლებული წვიმის წყლის სადენი ღარი.

სასტავ - სართავი თითისტარი. დანასტავ, სასტავ ტარი მამიღი. სასტავ (ღამბ.).

სასტულა შირინი - ოთხკუთხა ბალიშის ფორმის კამფეტი. სასტულა შირინი მიყიდე. სასტულა კამპეტ (ღამბ.).

სასტული//სასტული პირი - ბალიში, სასთუმალი.

სასტული პირი გარეცხა. სასტულ, სასთულ (როსტ., ღამბ.); ჯან.; სასთაული (საბა, ჩუბ.).

სასტული//სასტულევ - ბალიში. გუთნის ფანფალაკზე ბალიშივით დადებული რკინა. სასტული დამიდო თავქე, გუთნი სასტულევ ვაჰწორევ, სასტულ, სასტულევ (როსტ., ღამბ.).

სასაპნე - ურემზე ჩამოსაკიდი ხელსაწყო, საპნის შესანახი. ურემზე ნაქნარ სასაპნე დაიკარგა.

სატარე - ხე, რომლისგანაც ტარი უნდა გამოთალონ. ერ სატარე მეც მემეცელა.

სატუნე - მსხვილი ძვალი, რომელშიც ტვინია. სატუნე ჩამიგდა ჟამში.სატუნეჲ, სატუნრჲ (როსტ., ღამბ.). ვკან., შინამრეწ. გალო (ჭინჭ. ვაჟა).

საფანტ - მთა კავკასიონის ქედზე.

საფანტე - შურდული. მამამ საფანტე გამიქითა ჩიტებ დაავოცლა. საფან (აზ. საფანდ) - შურდული (ღამბ.); საფანტი - იხ. ყირმაჲ (როსტ.).

საფრთხობელა - გადატ. შეუხედავი. ულამაზო ადამიანი. ერ საფრთხობელა რაიმე უპოვნია.

საფქოვი - დასაფქვავი მარცვალი.საფქოვი წავლი ცუცქულში. საფქოვ,

საფქოვ გაქეთევაჲ (როსტ.); ღამბ., ქაკ.

საფსმური - საქონლის სასქესო ორგანო. საფსმური მოჭრა არ დაიმირწყო. საფსმოჲ, საფსმოარ - ვაჟის სასქესო ორგანო (ღამბ.).

საქალმნე - ქალამანის შესაკერი ტყავი. ერ საქალმნე მამცე. საქალმეჲ (როსტ., ღამბ.).

საქართლე//საქართლო - საქართველო. წაი საქართლეში საკითხლა. საქართლეჲ, საქართოლოჲ (ღამბ.).

საქითი//სააქითი - მშვიდი, წყნარი, ჩუმი. სააქით ზალი შამხტო.

საქმეი მოჰჩენა - საქმის დამთავრება. საქმი მოჰჩენასუკან მოი. საქმეს მუარჩენ (ვკანგ.).

საქმეი წალება - საქმის წარმართვა. საქმი წალება არ იცი. საქმეჲ წალევაჲ (ვკანგ.).

საქმი დაწნიხა - საქმის საგანგებოდ შეყოვნება. საქმი დაწნიხა ნუ იცი. საქმეჲ დაწნიხა (ღამბ.).

საქმი წორ პოუნა - საქმის დაწყება, თავის მობმა. საქმი წორ მომბა ჟაფაარი, მემრე ჰადულია. საქმი წორ პოუნაჲ (ღამბ.). ვკანგ., საქმიწორ (როსტ.).

საქუ - შეყვარებული. ჰეიგი ჩემ საქურჲ. საქუჲ - მიწით ან ქვით გაკეთებული სამ- ოთხსაფეხურიანი დაბალი კიბე აივანზე ასასვლელად (როსტ.); საქუჲ-ფეხის დასადგმელად დადგმული ერთი ან ორი დიდი ქვა, რომელიც კიბის მაგივრობას ეწევა (ღამბ.).

საღ-სალამათი - ჯამრთელი, უვნებელი, საღი. საღ-სალამათი იყო ჩონ ნახუაში. საღ-სალამათ (აზ. საღ-სალამათ) - ღამბ.; საღსალამათი (ჩუბ. მენთ.); სახსალამათი - გიგ., თოფ. ქავთ (ყიზ.-მოზდ.).

საღარავი - ხის ამოსათლელი იარაღი. ჩონჩევ საღარავით ვაქითევდით.საღარავ (როსტ., ღამბ.).

საღი - მთელი.საღი მამიღი არ გაჰჯეჩო.

სალინი - მეწველი ძროხა. ჰეჩბეთ სალინი აღარ დამჩა. სალინ (აზ.).- ღამბ.,როსტ.

სალინჩი - მწველავი. ფერმაზე სალინჩი იყო.

სალისიან - მარჯვენა მხარეს. სალისიან დედა ეჟდა. სალინაჲ(აზ.), სალინაჲსიან, სალისიან -ღამბ.

სალირსო - ღირსი, ტოლი, შესაფერისი. ჰეგი შენ სალირო არ იყო. სალირსოჲ (ღამბ.).

სალლანი - ჯანმრთელი. შენ სალლანი დამიბრუნდი.

სალმალი - მეწველი ძროხა. სალმალი მეზროხე მინდა. სალმალ - მეწველი ცხვრის მომვლელი მწყემსი (როსტ.).

სალმო//სალმოი ქნა - საღამო, დაბინდება. სალმოი იქნა მეველეთ. სალმონჟახ -

სალამომდე (როსტ.); სალმოჲ, სალმოჲ ქნილ (ღამბ.); შან. რეც.

სალორე - კეფა. ტილი სალორეში გროვდება. სალორეჲ- იგივეა, რაც დონლუზლული (კაიშ., ჟინჭ. ვაჟა.).

სალრდე - სალვედე ტყავი. სალრდე ტყავი მამიღი. სალრდეჲ სალრდერჲ (როსტ., ღამბ.).

საყახაჟე - ყახაჟისთვის გამზადებული ხორცი. საყახაჟე ჯორცი არ მაქო. საყახაჟეჲ (როსტ., ღამბ.).

საყდართელა - ნასაყდარის ადგილას ამოსული ხე, სოფელ მოსულში. საყდარი ტყე - ტყე, სოფელ ალიბეგლოში.

საყდარი - ეკლესია. ერ საყდარი ააფეთქეს. საყდარ ნ. საყდარ (ღამბ.).

საყევარი - გუთნის წინა უღლების მოსაბმელი ნაწილი. საყევარი ნაგახტან გაიჯეჩა. საყევარ - იხ. ჩარგავ; ჩარგავ-საყევარი, გუთნის ნაწილი, უღლებს შორის დამაკავშირებელი კაპიანი, ბოლოებგახვრეტილი გრძელი ძელი (როსტ.). იხ. ჩუბ., მენთ. საყევარი.

საყელე - საყელო. საყელე შაიკა ცივა. საყოლრჲ (როსტ., ღამბ.).

საყურბნე - საზვარაკედ შენახული საქონელი, რომელსაც ყურბან ბაირამის დროს დაკლავენ და ხორცს მეზობლებს

გაუნაწილებენ. წელს საყურბნე მეზერი შავნახე.

საყლაყი - საყლაპავი ხორხი. საყლაყი გოვჭერ.

საშიპრელ - საცეკვაო. ერ საშიპრელ მუყანი დოუკა. საშიპრ(ევ)ელ, საშიჰპრ(ევ)ელ (ღამბ.).

საშრობელა - ბრინჯის ფლავი ნიგვზით შეზავებული. ჩონ მოსლაში საშრობელა გოგიქითა. საშრობელაჲ (როსტ.). ჩაშრობელაჲ, ჩაშროვილაჲ (ღამბ.).

საჩაღი//საჩაღიანი - გრძელი ბეწვი, მატყლი. ცხორ კაი საჩაღი აქონ.

საჩაღ (აზ.) -ღამბ.

საჩაჰბაკანე - იხ. ჩაჰბაკანი.

საჩეჩელი - მატყლის საჩეჩი ხელსაწყო.

საჩეჩელი მამიღი მატყლი მაქონ დააჩეჩელი. საჩირელ, საჩეჩ (ღამბ.); საჩიჩელ, საჩჩელ (როსტ.).

საჩონე - ჩვენი შესაფერისი. ჰეი ქალი საჩონე არა. საჩონეჲ, საჩონეჲ - გადატ. საქაო, ეს ქვეყანა (ღამბ.).

საჩხრეკელა - თონის საჩხრეკი ჯოხი. თორნეში ნაღორდალს საჩხრეკელათი ვურევთ. საჩხრეკელაჲ (ღამბ.,როსტ.); საჩხრეკი (მენთ.); საჩხრეკი, საჩხრეკელი (ქეგლი.); გიგ., თოფ. ქავთ. (ინგილ.).

საცრითოლიანი - დიდთვალა. საცრითოლიანი მე რაშ მინდა?

საჭირებელი - აკვნის არტახები, თასმები. ყმაწილ საჭირებელი მაგრა მოუჭი. საჭირეველ (როსტ., ღამბ.).

საწრლი//საღინი - მეწველი საქონელი. საწრლი, არ აჰყე. საწრლ (ალ.) - პირგანიერი, რძის ჩამოსაწველი ჭურჭელი (როსტ.), საწრლ (ღამბ.); საწელ (ჯან.), საწველი (მენთ.).

სახელ დადებაჲ - პირობის მიცემა. სახელი დადეს, ჟერ სახელ დადება ლაზიმია, მემრალან ნიშნობა კეჰთება. სახელ დადჟვაჲ (ღამბ.,ჯანგ.), როსტ.

სახელ დაზახნა - სახელის დარქმევა.სახელი დოვზახეს,სახელ დაზახნას მოგაწევენა. სახელ დაზახნაჲ (როსტ.).

სახელ ქნა - ოდნავ აღნიშვნა რაიმე წვეულების.სახელ ჩიდის, ერჟა სახელი ქნა. სახელ ქნაჲ (როსტ.).

სახელიანი - სახელოვანი. ჰეგი სახელიან კაცი იყო სოფელში. სახელიან (ღამბ.).

სახ გათეთრება - სახლის შეთეთრება. სახ ათეთრევს, სახ გაათეთრებლა ცოოტა კირი მინდა. სახლ გათეთრევაჲ (როსტ.).

სახ დადგმა - შემთხვევით ტალახში ან თოვლში წაქცევა. სახ დგამს, მოსლაში ფეყი გოუცურდა სახლი დადგა. სახლ დადგმაჲ (როსტ., ღამბ.).

სახლი დიდი - ოჯახის უფროსი.სახლი დიდი მოვდეს. სახლი დიდ (ჯანგ.).

სახ-კარ ჩომოყრა - სახლის ძირფესვიანად დალაგება. ხუალ სახ-კარი ჩომოყრა მინდა. სახ-კარ ჩომოყრაჲ (ღამბ.).

სახრავა ატამი - ატმის ჯიში. სახრავა ატამი მამიღი.

სახში დაჟდონა - მდგმურის აყვანა.სახლში აჟდონს, მიმეი სახში დაჟდონა არ მინდა. სახში დაჟდონაჲ (როსტ., ღამბ.).

სახსუკანი - სახლის უკანა მხარე. ჩონ დოგინახა სახსუკან დაიმალა.

საველი//საველები - სახელო, სახელოები. საველი აიკლანზე. საველ (საველევ, საველოევ)- ღამბ., როსტ. ჯან., საბა, მენთ. უთურგ., სახელი ; სახლები (ჩუბ.).

საჯიფე - დაძახვისათვის გამზადებული ძაფი. საჯიფე ბაწარი არ მაქონ. საჯიფე -ჯიფის ჩამოსაკიდებელი დანადგარი ბაწრის დაძახვისათვის (როსტ.); საჯი-

ფე-ჯიფის ჩამოსაკიდებელი სპეციალიალური ხე, რომელიც მოძრავია (ღამბ.).

საკლენჩა ატამი - საპობი ატამი. საკლენჩა ატამი მამიღა. საკეჩავ ატამ (ღამბ.); საკეჩი (შან.რეც.).

საკორცე - სახორცედ გამოყოფილი საკლავი საქონელი. წელს საკორცე არ მაქონ. საკორცეჲ (როსტ., ღამბ.); შან. რეც. მენთ., საკორცე-ხორცეული (ჩუბ.), რქიანი საქონელი (ჳკან.).

საკრე - სახრე.საკრე მამიტა ზროხები გალელა. საკრეჲ (როსტ., ღამბ.).

საკსნე - ქორფა საქონლის კუჭი, რომელშიც ხსენია მოთავსებული. საკსნე არ მაქონ ყელიბეი.

საჰიბი - პატრონი, გამგებელი, მფლობელი. მაგი საჰიბი მე ვარ.

საჰყავი - ცხენის ავადმყოფობა. ცხენ საჰყავი შაჰყრია. ყაჲსარ - ცხენის ავადმყოფობა (როსტ., ღამბ.).

საჰყიზი - კევი. ზიანაითი საჰყიზ ვაქითევთ. საჰყიზ, სახყიზ (აზ.).-ღამბ.,როსტ.

საჰყიზი ხე - კევის ხე. საჰყიზი ხე მოჰჭერე.

საჰყიზი ფოთოლი - მრავალძარღვა. საჰყიზი ფოთოლი დადევე ჰერას. საჰყიზი ფოთოლ როსტ., ღამბ.

სევგილი - ნანდომი, შეყვარებული.შენ სევგილი დავნახე. სევგილიჲ, სევგულიჲ (აზ.)- ღამბ., ჳკანგ.

სეველი - სველი. სეველ ზონზით დაწმინდა პოლი.სეველ (ღამბ.,როსტ.) სეველი იხ. სრველი.

სეივანი - აივანი. სახ სეივანი გოვქითე სოფელში. სევან (იმნ.).

სეიზი - ფარის წინამძღოლი, ბოტი. წინ სეიზი მიდის უკან ცხორი. სეიზ (ღამბ.); სეიზ (როსტ.).

სეირა - ქოთნისა და მისთანათა პირის მოსაკრავი. სეირას ზრლ დროზე ჯმაროვდნენ. სეირაჲ (ღამბ., როსტ.).; ჳკან., სერა (საბა, ჩუბ., ქეგლი. კაიშ., ჭინჭ. ხევს.); ხბოს (ცხვრის, თხის) ტყავი მსხვილფეხა საქონლის კუჭის აპკი ან ბუშტი სადღვებელის პირის გადასაკრავად გიგ., თოფ., ქავთ. (მთიულ.). ქაჯ.

სეირი//სეჰრი - გასეირნება, სეირნობა. სეჰირზე წასულა თიფლიზში.

სელი - ნიალვარი, ღვარცოფი.სალმოზე სელი მოუდა. სელ (როსტ., ღამბ.).

სემა//გასემება - სულელი, გასულელება. ერ სემა რაიმერი. სემაჲ, გასემ(ი)ევაჲ (როსტ., ღამბ.).

სემა-სემა ლაპარიკი - სულელური ლაპარაკი. სემა-სემა გაფი არ მინდა. სემოვაჲ (ღამბ.).

სერნა - რიგი. ერ სერნა სიმინდი გათოყა. სერნაჲ (ღამბ.).

სენი - ჩირქიდან გამონადენი სითხე. სენი დაიღორა. სენ (როსტ., ღამბ.).

სესხუა - სესხება. დიახ სესხუაჲ არ მინდა. სესხუაჲ, სესხულოვაჲ (როსტ.,

ღამბ.).

სეჩკუ - არჩევნები. ჩონთან სეჩკუ ჟერ არ ქნილა. სეჩკი (აზ.).

სიასათი - პოლიტიკა. მაგი სიასათ ვერ გაიგევ. სიასეთ (აზ.).

სივ-სივ - შეძახილი, როცა რაიმე საჭმელს დაანახვებენ, მაგრამ არ აძლევენ. სივ-სივ ბალამ, ხედავა, ჩონ რას ვჭამთ. სივ-სივ (როსტ., ღამბ.).

სიზგე - სიგრძე. ერ მეტრო სიზგე აქონ. სიზგეჲ (ღამბ.); სიზგე (იმნ.).

სილა ქნა - ყბამდე ავსება. შირი ვედრა სილა ქნა. სილაჲ-იგივეა, რაც სიფსილაი. სილაჲ ქნაჲ (ღამბ.)., როსტ.

სილლა//სილაჭ - სილაქი, სილა. ერ კაი სილაჭ უნდა ყბაში. სილლაჲ (როსტ., ღამბ.).

სილოსი - ძროხის სენაჯი. ფერმაზე სილოს ჩააყრელა მივდი.

სიმარტლი - ზღმარტლი. ზამთარში სიმარტლ აყარზე ვინახავთ.სიმარტყლ// სიმარტყლ, სიმარტ(ყ)ლ - როსტ., ღამბ. ჯ,ან., მაყ. ზიმარტყლი (მენთ.), ზმატლი - ძიძ. კეცხ. ხუბ. (ქართლ.).

სიმი - მავთული. სიმი გამიმბი ეზოში.

სიმსილა - იხ. სიფსილა.

სამუ(ვ)არი - სამოვარი. სიმუ(ვ)არი ჩაადგი, მოვდი. სიმუ(ვ)არ (რუს.) - ღამბ.

სიმღრუმე - სიღრმე. შაჰხე, სიმღრუმე რა აქონ. სიმღრუმეჲ (ღამბ.).

სიმყუთლე - სიყვითლე. სიმყუთლე შაჰყრია. სიმყუთლეჲ (ღამბ.).

სიმწოვე - სიმწვავე. სიმწოვე როგოთი აქონ?სიმწოვეჲ (ღამბ.).

სინი - დიდი თეფში.სინით სავსე საჭმელი მაიღა.

სინიფი - კლასი. თქენ სინიფში რათანი იყავეთ?

სინჟი - ხინჯი, დეფექტი. მაგა სინჟი აქონ. სინჟ (ღამბ.).

სიპ - ბრტყელი ქვა. სიპ ქუა მამიღი.სიპ, სიპ ქუაი (ღამბ.); სიპ, სიპქუაჲ (ჯ,ან.); სიპ (შან. რეც.), შან. ვაჟა I, III. შან.. ჯევს., ჭინჭ. ვაჟა, სარქველი (მენთ.); ისიპი ქუა, სიპი ქვა (ჟღ.); სიპი ქვა - რიყის ქვა, ხევის ქვა, გალესილა და მაგარი (მენთ.); სიპი - ბრტყელი ქვა, ხმარობენ სახლის სახურავად-გივ.თოფ. ქავთ. (მთიულ.).

სირ-სიფათი - პირისახე, ფიზიონომია. სირ-სიფათზე ჩანს რა კაცია.

სირი//სირ შანახა - საიდუმლო, საიდუმლოს შენახვა. ჩონ სირი კარგა შაინახე. სირ (აზ. სირრ)-ღამბ., როსტ.

სირბინი - სირბილი. სირბინით წავდა. სირბინ (ღამბ.).

სირბინ-სირბინ წაუდა - სირბილით წავიდა. სირბინ-სირბინ წაი, გაიგია.

სირთი - სერი. შითილი სირთა ჩაყარე. სირთ (როსტ., ღამბ.).

სირიღი - გვირისტი, ნაკერი. მეშინ გა-

ტარებაში სირიღი კარგა დაიცი.სირიღ (აზ. სირიგ).-როსტ., ღამბ.

სირცხულ - იხ.სურცხულ.

სიპტა -სიფთა. სიპტა მე მემეც, მემრე მაგა. სიპტა (როსტ).

სიპტანდელი - პირველი. სიპტანდელ ყმაწილია. სიპტანდელ (როსტ.) -ღამბ.

სისრვლე - სისველე. ეიგე სისრვლეში სანდა წახიდო? სისრვლეი, სისევლეი (ღამბ.).

სიტყე//სიტყო - სიტყვა. მაგასაც სიტყე მეეწივა. სიტყოჲ (ღამბ.).

სიფათი - სახე. სიფათი ჩოვლურჟდა.

სიფართო - სიფართოვე, სიგანე.ოთაღი სიფართო რა არი? სიფართოჲ (როსტ.).

სიფთა - იხ. სიპტა.

სიფინთობა//ფინთობა - სიავე, ბოროტება.ფინთობას ნუ ჩიდი. სიფინთოვაჲ, ფინთოვაჲ (ღამბ.).

სიფინჟი - აკვანში ბავშვისთვის შედებული მოსაშარდი ქოთანი.ყმაწილი სიფინჟი გადაასხი. სიფინჟ (ღამბ,).

სიფსილა//სიფსილა ქნა - მეტისმეტად გავსება ჭურჭლის. ვედრა სიფსილა ქნა. სიფსილაჲ, სიმსილაჲ (როსტ., ღამბ.).

სიღალი//სიღალიანი - ბზინვა, პრიალი. სიღალიანზე ოფლი ჩაღორა. სიღალ (აზ. სიგალ). პეწი, ბზინვარება (ღამბ.).

სიცხე ყიამათი - პაპანაქება. ეი სიცხე-ყიამათში სა წავდე. სიცხე- ყიამათ (ღამბ.). ყიამეთი, ყიამეთი დარი - ჯოჯოხეთური დარი (შარაშ.). ყიამათი - ძალიან ბნელი (ხუბ.).

სიხი - მჭიდრო. სიხა დასხეთ, სრუნი ჩეტივნონ.

სკლადი//სკლათი - საწყობი.საქონელი სკლათში შაიღი.

სლაპუნი - უშნოდ ჭამა. შაჰხე, როგო სლაპუნით ჭამს.

სლოყინი - სლოკინი. ფინთა ასლოყინევს. სლოყინ (ღამბ.); სლოყინ-გულამოსკვნილ ტირილი (როსტ.).

სლუკი - მკვირცხლი, მოქნილი. ჰეგი ჰამან სლუკია. სრუგან ზრობა. სლუკ (ღამბ., როსტ.); ჯან., სხვლიკა - ხვლიკივით პატარა (ძოწ.).

სრბათი - საუბარი. სრბათი ქნეს წავდნენ.

სრველი//სრველ - სრველ - სველი, გაუმშრალი, წყლიანი. სრველ-სრველ ჩაიცო. სრველ, სეველ (ღამბ.); სეველ, სეველ (ჯან.).

სოვხოზ - საბჭოთა მეურნეობა. ადრე სოვხოზები იყო.

სროვნა - სროლა. თოფი სროვნას დეეჩივა. სროვნა (როსტ.).

სოდრიანი - მინდორი სოფელ ალიაბადში.

სოზიე - ჭურჭლის დასაწყობი ადგილი ეზოში. უწინ ქობევ სოზიეზე კიდევდნენ. საზუეჲ (ღამბ.). საზვეჲ (ჯან.),

სოზიე (ედილი).

სოილუწჩულობაჲ - ყაჩაღობა. სოილუნჩულობა ქნილა.

სოლაღაი//სოლახაი - ცაცია. ჰეგი სოლაღაირი ვერ ჰხედავა. სოლაღაჲ, სოლახაჲ (ღამბ.); ჩოლაყა (იმნ.).

სპლი//სელი - შრატი. სპლით თავ ვიბანთ. სპლ (როსტ., ღამბ.).; სელ (ჳკან.); სუელი - გიგ., თოფ., ქავთ. (მოხ.).

სოლი - ხის საპობი. შიშას სოლით ხეთქენ. ჩუჲ - პალო მიწაში დასობილი. სოლი, სამკუთხედი მოკლე ხე, იხმარება შეშის გასაპობად. (როსტ.).იხ. საბა. ჩუბ. ჭანჭიკი.

სპობათი//სპობათ ქნაჲ - საუბარი, საუბრობა.მაგამ დიახ ბევ სპობათ ქნა იცის. სპობათ,სპჰბათ ჩედის (ღამბ.).

სორლუ-სუალი - დაკითხვა, გამოკითხვა. იმდუნია სორლუ-სუალი სხოორი. სორლუ (აზ.).სპობათი,

სპტი, ზოლი. ერ სპტი, ნაგახტან წაიქცივა, ერ სპტი გაატარე. სპტ (როსტ., ღამბ.).

სპტყე – სეტყვა. სპტყემ დილიგი გაასუნგა. სპტყეჲ, სპტყეოჲ ღამბ.).

სრელაჲ//სრელ-სრელი - ზოლიანი, ზოლი. სრელა პერანგი არ მიყუარს. სრელ- ზოლი (ღამბ.). ჭინჭ. ვაჟა, სრელა-სრელა (მენთ.); ზოლ-ზოლად; გადატ. ჭრელი-ჭრელი, არეული ფერი - ძიძ. კეცხ. ხუბ. (ქართლ.). სრელა - ზოლ-ზოლი სხვადასხვა ფერის ბეწვისა (ჩუბ.).; პირუტყუთა, რომელსაც ზურგზედ გრძლად სხვა ფერი წასდევს (საბა).

სრიგ ყმაწილი - მოუსვენარი, ცელქი. სრიგ ყმაწილია ადგილზე არ დგება.

სუბაი - გაუთხოვარი, დაუქორწინებელი.ჟერ სუბაი ხარა?

სრუნი - ყველანი. სრუნი მოით ჩონსა.

სროვნა - სროლა. ერ სროვნა რანდა იქნოს?

სრურაიმე - ყველაფერი. სრურაიმე იმა მიჰცა.

სუბუთი - საბუთი, არგუმენტი.სუბუთი არ გაქონ.

სუალი - შეკითხვა. სუალი მიჰცა.

სუვაგილი - სოფელი ზაქათლის რაიონში.

სუვაღი//სუვაღ ქნა - ბათქაში. შელესვა. ჟერ სუვაღი არ მიქნია. სუ(ვ)აღ (აზ.)-როსტ., ღამბ.

სუზმა - დოსგან დამზადებული ხაჭო. სუზმას ჰყიდის ბაზარში. სუზმაჲ (აზ. სუზმა) - ღამბ., როსტ.

სუზმაი აჭრა - დოს ცეცხლზე წამოდუღება და მისგან ხაჭოს მიღება. სუზმა მაქონ ააჭრელი.

სუზმი გირცი - ხაჭოიანი პელმენი. სუზმი გირცი გამიქითა. სუზმი გირც (როსტ.).

სუზმი ქათა - სუზმისგან დამზადებული

ცომეული საჭმელი. სუზმი ქათა გიყუარს თუ გუგრი ქათა?სუზმი ქათაჲ (როსტ.).

სუთული - ნედლი, მოუხარშავი. ჟერ ჯორცი სუთულია. სუთული (აზ.)-თოხლო (ღამბ.);სუთულ -ჩვილი, ჭყინტი (როსტ.).

სუთული//სუთულბაში -ბოძი, სვეტი. სეივანი სუთული მავღი, სუთულბაში გოვდევეთ. სუთუნ, სუთუნბაშ (აზ.)-ღამბ.

სუკი - ზურგიდან აჭრილი ხორცი სუკი წრდები ლეზათლური.ზურგის ძვლის ჯორცი (საბა).

სუკდულ - სიკვდილი. მამაი სუკდული არ მაგონდება. სუკდულ (როსტ., ღამბ.).

სული//სული მოჰდის - სუნი, სუნი სდის. დიახ ფინ სული მოჰდის. სულ (ღამბ., როსტ.); ჩუბ. შან. ვაჟა,III , ჭინჭ. ვაჟა; ძიძ. კეცხ. ხუბ. (ქართლ).

სულ ააღებლა მიდის - სულის მიმღები, სულთამხუთავი.ნაჩაღი სულ ააღებლა მიდის. სულ ამღეველ (ღამბ.).

სულ ახსნა - მიცვალებულის სულის ახსნა, სულპური. მარილი ჩოუყარა, სული ოჰვსნა. სულ ახსნაჲ - ორმოცობა (როსტ.) ღამბ., სულპურ (იმნ.ჯანგ.).

სული გაზრობა- სიქა გაცლამდე, ძალა გამოლევამდე მუშაობა. სული გაჰზრომი//გაზრომი, სულ გაზრომინჟახ ამუშავეს, დეე მოკდეს, სული გოვზრეს. სულ გაზრომი - იგივეა, რაც კდომი-კდომი (ღამბ.). სულ გაზრომი-გაზრომი (როსტ.).

სული მამიკდეს - ფიცილია. თუ გატყიევ სული მამიკდეს. სულ მამიკდრს (ღამბ.).

სულზე მოსლა - მოსულიერება, სულზე მოსულ იქნა. ჟერ სულზე არ მოსულა.

სულიმა -სულის მადლმა. ჩემ სულიმა მაასულივარ. სულიმა (როსტ.). შდრ. სულ მამიკდრს.

სულეპა - ხარბად ჭამა. სლოპავს,ნაგახტან სრუ სულეპა, წავდა. დასლოპაჲ (ღამბ.).სვლეპა, სულეპა (ჩუბ.).

სულუფი - სარეველა მცენარის მარცვალი. ბრინჟით სულუფი დააჰჩივე. სულუფ (ღამბ.); სულუფ, ღორმუჟ (მაყ. შინამრეწვ.).

სუმაილო - სოფელი ზაქათლის რაიონში.

სურუ - ჯოგი. ერ სურუ ჯბორები გომოლა მინდრით.სურუჲ (აზ..სურუ) - ღამბ.

სუმაღი - სხვადასხვა მწვანეულობა. სუმაღი მოყრა არ დაიმირწყო. სუმაყ, სუმაკ, სუმახ (აზ.).-ღამბ., მაყ.

სუნათი - წინდაცვეთა. ჟერ სუნათი არ მიქნია.

სუნაკი - მსუნაგი. მაგამ სუნაკობა არ დაჰთმო. სუნაკ (ღამბ.)., ჯან., ძიძ., ხუბ., (ქართლ.); სუნაგი (ჩუბ.).

სუნლი - წვნიანი საჭმელი სუნლი გამიქითა. სუხ - წყალშ მოხარშული ბრინჯის წვნიანი საჭმელი, შეზავებუ-

ლი მწვანილით, მარილით და ცხიმით (როსტ.).

სურაგი - ერთად ნადირობა. დიახ ბევ სურაგთან წასლა კაი არა. სურაგ, სურაქ (აზ.სურაქ) -ღამბ., სურაგ ქნაღ (როსტ.).

სურმა - ურდული, კარების შიგნიდან ჩასაკეტი. კარევ სურმა გოუყარე დაწევ. სურმაღ (აზ.)-ღამბ. სურმაღ ავადმყოფობა მარცვლეულისა, ხშირი წვიმების გამო მარცვალი ლპება და სუნი მიეცემა შდრ. ჩუბ. სურმა.

სურჰული - ცომისგან დამზადებული საჭმელი. საღამოზე სურჰულღ გამიქითა. სურჰულიღ, სურჰულლუღ,სურჰულლუღ, სურულიღ (ღამბ., როსტ.).

სურცხული - სირცხვილი. შენ წაი, თურემ სურცხულია. სურცხულ, სისურცხულეღ ღამბ.

სუსი - ყვითელი ფერი. სუსი რენგი ბაწარი მამიღი.სუს-ხეა, ბუჩქად იზრდება, მისი ფოთლების ან ყლორტების ნახარშ წვენში ღებავენ ბაწარს (როსტ.).სუს-დათვის კანაფი (მცენარე). ყვითელი ფერის საღებავად იყენებენ (ღამბ.); მაყ., სისვი (მენთ.), სისვი, მწვანე -გიგ.,თოფ. ქავთ.(ხევს.), ჭინჭ. ვაჟა.

სურათი - სისწრაფე, სიჩქარე. ჰეჩბეთ სურათი არ აქონ.

სურაღი ჩაგდება - ხმის გავრცელება. შენ სურაღი ჩაგდი, ზროხა დაკარგულაო. სურაღ ჩომოგდევაღ (ღამბ.).

სურგუნი - გადასახლება. ჩემ პაპა სურგუნში წასულა აღარ დაბრუნებულა. სურგუნ (იმნ.).

სურსულა - სირსველი, სირსვილი. ჯელზე სურსულა გომოსულია.სურსულაღ, სურსრლაღ, სურსულა (ღამბ., როსტ.); ჯან., სირსველა (მენთ.); სურსულა (ბერ., ჟღ.); სრსვილი (საბა); სირსველი, სრსვილი (ჩუბ).; სურსულაღ,-ქრისტესისხლას (მაყ.).

სუსმატი - მსუნაგი, წუწკი, სულწასული. სუსმატდება, გასუსმატებული. ჰეგი ხორაგ დანახაში სუსმატდება. სუსმატ (ღამბ.); ჯან., ციმფია (მენთ.).

სუსქენდი//სუსტქენდი - სოფელი კახის რაიონში.

სუტი ბიბილა//ჰენგა ბიბილა - ყვავილი. ლურჯი ფერის წაგრძელებელი ფორმა აქვს. სუტი ბიბილაგოვში ვევში.

სულურთა - დაზღვევა. სულურთა არ მაქონ. სიღორთა (აზ.).

სუხტა - რელიგიური თანამდებობა. ჟერ სუხტაარი.

სწორა - იხ. ქწორა.

სხილი - სხმილი. ბუზისა და მისთანათა ჭუპრი. სხილდანაყარ ჯორცი მის რაში უნდა. სხილ (როსტ., ღამბ.). მსხმილი (საბა), მსხმილი, სხმილი (ჩუბ.), მსხნილი (მენთ.).

სხლაპუნი - სრიალი, დაცურება. სხლაპუნ-სხლაპუნ გაუდა ხეზე.სხლაპუნ (როსტ., ღამბ.).

სხოგნით - სხვა ადგილიდან.შენც სხოგნით აიღი. სხოგნით (ღამბ.).

სხოგან - სხვაგან. შენ სხოგან წაი, მე სხოგან. სხოგან (ღამბ.).

სხოდასხო - სხვადასხვა.სხოდასხო კაცები მოვდა. სხოდასხოდ ღამბ.

სხო//სხოთა -სხვა, სხვისი. სხო რა გითხრო, სხოთა ქათამი გაყარე. სხუთა, სხოთა (ღამბ.); სხოგან-სხვა ადგილას, სადღაც (როსტ.).

სხოპლა - მუწუკი. ერ პატრა სხოპლა გომოჰსულია. სხოპლად (ღამბ., როსტ.); ჯანა., სხუპელი (მენთ.).

სხოჟურა//სხოჟურაითი - სხვაგვარი, სხვაგვარად. სხოჟურა დაიჭი ლანგარი. სხოჟურაითი რალა ვქნო. სხოჟურადთი, სხოჟურად (ღამბ., როსტ.)

სხოჟურ-სხოჟურ - სხვადსხვაგვარი. სხოჟურ-სხოჟურ ხაბრევ ვიგევ შენგნი. სხოჟურ-სხოჟურ (ღამბ.).

სხოფრულა- სხვანაირად.შენ სხოფრულა ნუ უჭრეტი, ჰეი ქალი ნამუსდური. სხოფრულად, სხოფრულ (ღამბ.).

ტ

ტაატა - ბავშვის ფეხის ადგმა. ჟერ ტაატას ვერ ჩიდის.

ტაბაკი - სინისებური მრგვალი და გადაშლილი ჭურჭელი. ტაბაკი მამიღი დააბღერტლა. ტაბაკ, ტაპაკ (აზ.თაბაგ). გობის მსგავსი ხის ჭურჭელი (ღამბ.)-მარცვლეულის გასარჩევი ჭურჭელი.

ტაპაკი//ტაბაკი//ტაფაგი -ტაფა (ი.აბ.), ქეგლი გიგ. თოფ., ქავთ. (ქართ. ფშ.); ქავჯ. ძოწ. დაბალი სუფრა, გრძელი ფიცარი ოთხ ფეხზე საჭმლის დასადებად და მოსასხდომად იქვე (ლეჩხ.), მრგვალი დიდი თაბახი (ჯან.); ხონჩა (საბა), დიდი ხონჩა ან ლანკანი ხისა (ჩუბ.). მთლიანი ხისგან ჩარხში გამოჭრილი მრგვალი ჭურჭელია, ზედ პურსა და ხმელ საჭმელს აწყობენ (მენთ.); ხის მრგვალი თეფში (ჭინჭ. ვაჟა).

ტაბლა - ფიცრისგან დამზადებული სუფრა. ტაბლაზე დამილაგე საჭმელები. ტაბლად - დღეს გამზადებული საჭმელი (როსტ.). იხ. ჯანაშვ. ტაბლად, შდრ. საბა, ჩუბ. მენთ., კაიშ. ტაბლა.

ტაბიკი - თავკომბალა ბოლოჭდიანი ჯოხი. ტაბიკი დაჰკრა თავში. ურმის სახელური (საბა).

ტავარი - საქონელი, პირუტყვი. დაკლელ ტავარი მაიყონია?ტავარ - იხ. დავარ - წვრილფეხა საქონელი (როსტ.). ტავარ -წვრილფეხა საქონელი (იმნ., ჯანგ.).

ტაი - ბიძა (დედის მხრიდან).შენ ტაი წავდა თიფლიზში. ტაიდ (აზ. დაი) - ღამბ. როსტ ტადა (ნიჟ.).

ტაიალი - საყრდენი. შენ ჩემ ტაიალი ხარ.

ტაიქალი - ბიძაშვილი ქალი. ტაიქალ ვათხუევთ. ტადქალ (ღამბ.).

ტაიშული - ბიძაშვილი ვაჟი. ტაიშული

ასკარში მიდის.

ტაკევ-ტაკევ - ძლივსძლიობით, ჯოხის დახმარებით სიარული. ზლივ ჟოხი ტაკევ-ტაკევ მიდის. კეტოვ-კეტოვ - ჯოხის ტარებით, კოჭლობით (როსტ.).

ტალახიანი -მინდორი სოფელ ალიაბადში.

ტალბატალ - მიჯრით, კვალდაკვალ. ტალბატალ მოვდნენ.

ტალდა - თავშესაფარი. ერ პატრა ტალდა დადგა დილიგში. ტალდაჲ (აზ. დალდა)- იგივეა, რაც საჭარ (ღამბ.).

ტალერკა - თეფში. ერ ტალერკა ფლავი ჭამა. ტალერკა (რუს.)- ღამბ., იმნ.

ტამაზლუღი//ტამაზდული - საქონელი, რომელიც რძეს იძლევა. ტამაზლუღ არ ქნა ჟაფაარი. ტამაზლუღ - მოსაშენებელი საქონელი (როსტ.); იხ. საბა, ჩუბ. ტამაზლუხი.

ტამარი - ძარღვი.ტამარში სისხლი აღარ მუშიოვს.ტამარ (აზ.)-ღამბ.

ტამზუ - წვეთი. ერ ტამზუ ქონი აღარ მაქონ.ტამზუჲ (აზ.)-ღამბ.

ტამზუ-ტამზუ - წვეთობით. ტამზუ-ტამზუ მოდის წყალი.

ტამპურა - დაბალი, მსუქანი ადამიანი. შაჰხე, ერ ტამპურა რაიმეერი. დამპურაჲ-დაბალი და ჩასუქებული ადამიანი (როსტ.). შდრ. ჩუბ. დამბურა.

ტამპური - თარის მგავსი სიმებიანი საკრავი. ტამპურზე დაკრას დევეჩივე.

ტამპურ (აზ. თანბურ)-ღამბ.

ტამღა - დაღი, ნიშანი. კამეჩ ყურზე ტამღა დაჰკრეს. ტამღაჲ (აზ. დამღა) -ღამბ.

ტამსუზ ქნა//ტანსმუზ ქნა - ტანისამოსის ქონა. დიახ ბევ ტანსმუზი აქონ. ტანსმუზ (როსტ.).-ღამბ. ტანსომოზ (ჯან.).

ტანა//ტანა - ტულული - ხბო, წვრილფეხა საქონელი. ერ ტანა მაქონ გაყიდელი, ობაი ტანა-ტულული ჩონ ორღობეშია.ტანაჲ (აზ.დანა); ტანა-ტუნაჲ-წვრილფეხა საქონელი (ღამბ.); ჯან. ხბო-წლიდან ორ წლამდე (მენთ.); ხბო ერთ, ერთნახევარ წლამდე (ნიჟ.), წლის დეკეული (ჩუბ.); როსტ.

ტანაყირანი - სარეველა მცენარე, რომლის ჭამისას საქონელი კვდება. ტანაყირანი ხუმ არ უჭამია. ტანაყირან (როსტ., ღამბ.).

ტანკეტი -დაწნული კალათა. უწინ ფაროს ტანკეტში ვაწყოვდით. ტანკეტ -იხ. ტანკიჲ (როსტ.), ღამბ. ტანკეტ, ტანკიჰ (ჯან.). ტანკ, ტანკიჲ-კალათი. გიგ., თოფ., ქავთ. (ინგილ.).

ტანსმოზ - იხ. ტანსმუზ.

ტანტრაყელა//ტანტალიკო - ტიტველა, ტიტლიკანა. პატრა ტანტრაყელა ყმაწილი იყო ეზოში. ტანტალიკოჲ (ღამბ; ტატაყევ -შიშველი მუხლები (როსტ.). ტანტალიკონი-შან. რეც.

ტანში შაკრა - კუჭში შეკრული. ტანში შაკრა ფინ რაიმეერი. ტანში შაკრაჲ

(როსტ.).

ტაპტაპა - ვირთხა. ტაპტაპა შაჰჩევნია თხილი მეშუკევ. ტაპტაპაჲ (როსტ., ღამბ.).

ტარაპუზანი - თამბაქოს ერთ-ერთი ჯიში. წელს სრუ ტარაპუზანი ჩაყარა. ტარაპუზან - დიდი ხმაური, აურზაური, აყალმაყალი (როსტ.).

ტარაკუა - არაფრის მაქნისი, ბაქია.ტარაკუა რაიმეერი.

ტარება - სიარული. მაგა ტარება დიახ უყუარს. ტარევაჲ (ღამბ.). ტარებაჲ, სატარელა, ნატარ (ჯან.).

ტარ ილქინდი - სალამოხანი. ილქინდი არ მილოცნია. ტარ ილქინდიჲ -სალამოს 7-8 საათი (როსტ.).

ტარი - თითისტარი, სახელური. ტარზე ბაწარ ვზახავთ, თოყი ტარი გავეჩა. ტარ (როსტ., ღამბ.), ჯან. შან. ვაჟა III, ჭინჭ. ვაჟა, უთურგ., გიგ., თოფ., ქავთ. (ფშ. კახ. ქიზ.).

ტარრული//ტარრულობაჲ - გაჭირვება. ტარრულობას რა უთხრო, გენახა რას ქნევდი. ტარულობა (ღამბ.).

ტარრლალიანები - ტარლალაშვილის საგვარეულო შტო სოფელ ალიაბადში.

ტაპტაპა - ტაპტაპით მოლაპარაკე. ტაპტაპა ინსანი მაიყონა ჩონსა.ტაპტაპაჲ,-ვირთხა (როსტ., ღამბ.).

ტატა - ხელი ბავშვის ენაზე. დამიჭი ტატაითი. (როსტ., ჯან.

ტატა - დიდი მსხვილი ჯოხი. ერ დიდ ტატაი ეჭირა ჯელში.ტატაჲ -უსაქმური ზარმაცი (ღამბ.), როსტ. დიდი, მსხვილი ჯოხი (ჯან.)

ტატიკელა - ჯოხებისგან გაკეთებული ბავშვის სასიარულო გასავლელი ჭოჭინა. ტატიკელაში ზლივ-ზლივ ეტარება. ტატიკელაჲ (ღამბ.).

ტატიკელაანი - ტატიკაშვილების საგვარეულო შტო ს. მოსულში.

ტაღარი//თაღარი - ტყავის გუდა. ერ თაღარ ნასულედი დაყარა აყარზე. ტაღარ, დაღარ (აზ. დაღარ)- ღამბ. დაღარ-გუდა, მხარზე წამოსაკიდებელი, მას გულაჲც ეწოდება.

ტაშალმა - ვაშლის ერთ-ერთი სახეობა, ქვავაშლა. ტაშალმა ჩაყარა ორმოში. ტაშალმაჲ (აზ.) - ღამბ., როსტ. ქვავაშლა.

ტაშფანდურა - უდარდელი, მხიარული ადამიანი. ერ ტაშფანდურა რაიმეერი.

ტაშ-ტაშობან - საბავშო თამაშია კენჭებით. ტაშტაშობან სატამაშლა არ მოჰდია? კენჭაობა (ღამბ.)

ტაუტი - ტაოტი. ურმი თოლზე ტაუტი წოვსი.

ტელა - წვნიანი საჭმელი. ამზადებენ პატარა-პატარა გაბრტყელებული ცომის ნაჭრებით. ზი ტელა გააქითა. ტელაჲ (ღამბ., როსტ.). ჯან.

ტიკნიკი - გამხდარი, მცირე რაოდენობის მეწველი ძროხა. ერ პატრა ტიკნიკი

ზლივ ვიყიდე. ტიკნიკ (ღამბ.).

ტილი - მწერი არის . პური ტილი. ტილი აქონ, პურს ტილი დაჰყრია. ტილ (ღამბ.).

ტილიყრუვი - მიუხვედრი, შტერი. ცარიალ ტილიყრუვი ხარ.

ტიმტიპლაყი - მთლად შიშველი. ერ ტიმტიპლაყ კაცი დავნახეთ. ტიმ-ტიპლაყ, ტიმი-ტიპლაყი (ღამბ.).

ტინყორა- ფერიცვალა მცენარეა, ღრიჭოს წააგავს. ტინყორა ომოსულა დილიგში. დინყორაჲ (როსტ.). დუყორაჲ (ღამბ.); დუყვერა (მაყ.),

ტიპლაყი - ტიტველი. ცარიალ ტიპლაყი ეგდა. ტიპლაყ -იხ. ტიტრლაჲ (როსტ.), ღამბ.

ტირ-ტირი - ყბედობა, ლაქლაქი.ტირ-ტიროვს, მაგა ტირტიროვა მოჰწონს. ტირტირ (ოვაჲ), ტირტირ (როსტ., ღამბ.).

ტირუა//ტირვა//ტირილ - ტირილი. ტირუა ვერ უშელის. ტირუაჲ (როსტ.), ტირ (ო)ვაჲ (ღამბ.).

ტიტავს - ამლაშებს. შიჭმელს ზალი-ზალი ტიტავს.

ტიტი - უშნო, დაფლეთილი, ჩამოძონძილი.ცარიალ ტიტი ნუ ხარ.ტიტიჲ (როსტ., ღამბ.).

ტიტყნა - უშნოდ, არეულ-დარეულად საქმის კეთება. ტიტყნის, რას ტიტყნის არ ვიცი.

ტიღა - შავი ადამიანი. ერ შავ ტიღა რაიმე იყო.

ტიღი - ტიღი - ქათმების დაძახება. ტიღი-ტიღით ვეზახით ქათმებს.ტიკ-ტიკ (როსტ.).

ტიყლინყოჩა - აიწონა-დაიწონა. ტიყლინყოჩაზე არ შამაჟდინა. ტიყლინყოჩ, ყიყლინყოჩ (როსტ., ღამბ.); აწონ-დაწონა(ჭყ.).

ტკბილ ზილი -ღრმა ძილი. ტკბილ ზილში ნაქნარ ყმაწილ ნუ აღიზევ. ტკბილ ზილ (როსტ.).

ტკეველი - მტკაველი. ერ ტკეველ მიწას არ მოგცემ. ტკეველ (ღამბ.).

ტკიპა - ღილი.შარვალზე ტკიპა დამიკერე.

ტკიპი - ტკიპა (ადამიანი). ცარიალ ტკიპი ხარ, ვერ მოგიშორე. ტკიპ (ღამბ.), ჩუბ.

ტლანყი - ძალიან თხელი, წყალ-წყალა. ერ ტლანყ წრნი გააქითა. ტლანყ - იგივეა, რაც წლანკ (როსტ., ღამბ.).

ტლაყუნი - უშნოდ სიარული.ტლაყუნოვს, რა ტლაყუნ-ტლაყუნ ეტარები. ტლაყუნ, ატლაყუნევაჲ (ღამბ.).

ტლინკინ ახო - სახნავ-სათესი სოფელ ალიაბადში.

ტლინკობა - კუნტრუში, ხტუნვა.ტლინკავს, მაგა ტლინკობა მოჰწონს. ტლინკოვაჲ (როსტ., ღამბ.).

ტლინკოვ-ტლინკოვ - კუნტრუშით,

ხტუნვა-ხტუნვით. დაინახია, როგო ტლინკოვ-ტლინკოვ წავდა. ტლინკოვ-ტლინკოვ (როსტ., ღამბ.).

ტოკაკი - კოტიტა, ინვალიდი ადამიანი. ერ ტოკაკ ჯელი აქონ. ტოკაკ (როსტ., ღამბ.) - კოტიტა (ჯან.).

ტოლალი - შემოსახვევი გრძელი ნაჭერი, რომლითაც შარვლის ბოლოებს იმაგრებდნენ წინდაზე. ტოლალევ ადრე ვიქითევდით ყანაში. ტოლახ, ტოლაღ (აზ. დოლაგ.) -როსტ., ღამბ. ტოლალი (შან. რეც.); მენთ. ტოლაღები (ხუბ.).

ტოლი - სიგრძეზე დაფენილი აბრეშუმის ჭიის ერთი რიგი ერ ტოლი გავათხელე. ტოლ - ქსოვილი (როსტ.), ღამბ.

ტოლკი - რისამე ძირფესვიანად შემოწმება.სახ-კარი ტოლკი ქნა. ტოლკ - ქონების აღწერა, გაყიდვა (ღამბ.).

ტოლმაი ქუვა - ბრტყელი ქვა, რომელსაც ტოლმას ზემოდან ადებენ. ტოლმაჲ ქუვა დაადევე. ტოლმაჲ ქუაჲ (ღამბ.).

ტოლჩა - წყლის სასმელი ჭურჭელი. ერ ტოლჩა წყალი დალივა.

ტომაყი - ჩომბახი, ტომი. ჰეი დიდ ტომაყი რა უყავე? ტომაყ -იხ. ჩომაყ (როსტ.) -კომბალი, დიდი ჯოხი. ტომაყ (ღამბ.); ჯან.

ტომაყევი ახო - ადგილი სოფელ კაკისთავში.

ტომპუზი - მიწის სატკეპნი დიდი კეტი.

ჯარზე დიდ ტომპუზი გოვდია. ბანზე დაყრილი მიწის დასატკეპნი სქელი ხე, მორი; დიდი ჯოხი; გადატ. მაღალი, მსხვილი და ტლანქფეხებიანი ადამიანი (როსტ.).

ტონი - ქალის ტანსაცმელი. დერზიმ ტონი შამიკერა.ტონ (როსტ.).

ტონული - ჯამაგირი.ჯერ ტონული არ ამილია. ტონნულ (იმნ., ჯანგ.).

ტონჩინები - სოფელ ალიაბადის ერთერთი უბანი.

ტორახუტი - კამა. დილიგით ტორახუტი დაკრიფე. ტორახუტ (როსტ., ღამბ.) ; ჯან., მაყ.

ტორი გადენა - გადატ. საქმის უცბად, სწრაფად დამთავრება.ტორი ჩაგავე, ტორი გაადინა მალე მაჰჩინა. ტორ, (როსტ., ღამბ.).

ტორონჩი - ჭურჭელი. ერ ტორონჩ რაიმე იქნა. ტორონჩოჲ (ღამბ.).

ტოღანაღ - იხ. დოღანაღ.

ტრანტიტიჲ - მოხეტიალე, უდარდელი ადამიანი. ტრანტიტიჲ ხუმ არ ხარ, რას აქა-იქი ეტარები. ტრანტიტიჲ (როსტ.).

ტრაპა-ტრუპი - წვიმის წვეთების ან ცხენის სვლის დროს გამოცემული ხმაური. ტრაპა-ტრუპი ჯმას ვერ იგევა? ტრაპ- ტრუპ (როსტ.); ჯან.

ტრაყ - ტრუყ - რახა-რუხი, ბრახუნი. რა ტრაყ-ტრუყი ჯმა არი. ტრაყ-ტრუყ (როსტ., ღამბ.).

ტრახ-ტრუხი - ძველმანები. რაც ტრა-

ხ-ტრუხია გადაყარე. ტრახ-ტრუხი (ღამბ.).

ტრიალ-ტრიალ -უმისამართოდ აქეთ-იქით ტრიალი, ხეტიალი. ტრიალ-ტრიალ (როსტ.); ღამბ.

ტრომა - საყვედური. ინსნი ტრომა რაიბე გიყუარს. ტრომაჲ, ნ. დატრომაჲ (ღამბ.).

ტროყიალი - უსაქმოდ, აღმა-დაღმა სიარული. ნუ ტროყიალოვ შინ წაი.

ტუგნა - ძაღლის ლეკვი. ზაღლი ტუგნა მაიყონა. ტუგნაჲ (როსტ., ღამბ.). ჯ,ან.

ტუკლუკი - ფეხის ფოსო, მრგვალი ძვალი.ტუკლუკი ჩამიგდა ჟამში.

ტული-ტული - ლეკვის დაძახება ზაღ ტული- ტულიჲ ვეძახით. ტული-ტული (როსტ.); ტულაჲ, ტულიჲ-ტულიჲ (ღამბ.); კული (ტული) ჯ,ან.

ტულიკაანები - ტულიკაშვილების საგვარეულო შტო ს. მოსულში.

ტუმპეპელა//ტუნპეპელა - ჭკვანაკლები, მოსულელო. ჰეგი ცარიალ ტუნპეპელა, რაიმეერი. ტუმპეპელაჲ, ტუნპეპელაჲ (ღამბ.).

ტუნუ წაიღა - ტვინი წაიღო, გული გაანყალა. ტუნ მიჰქონს, მაგამ ჩონ ტუნუ წაიღა. ტუნუ წაჲღა (ღამბ.). ჯ,ან.

ტუნტური - უაზროდ სიარული, ტანტალი.ტუნტუროვს,რას ტუნტუროვ.

ტურა იზობა - მზიან ამინდში, რომ ოდნავ მოწვიმს, იმ დროს იტყვიან. ტურა იზობა - ო . ტურაჲ იზრვის (ღამბ.).

ტური - კოპი, ამონაბურცი. ქელლა დაჰკრა ტური დააჟდა. ტურ (ღამბ.).

ტურულა//ტირილა - საკრავი. ერ კაი ტურულა გამიქითა მამამ.

ტუფანი - ალმური. ტუფანი გაჰდიოდა, ტუფან (როსტ.); შდრ საბა: ტვფონი.

ტუჩვა//იტუჩება - გაბუტვა, იბუტება. შაჰხე, როგო იტუჩება.

ტურაანები -ტურაშვილების საგვარეულო შტო ს. მოსულში.

ტურ-ტურ იქნა - დაფორეჯება. დაჟეკით ჟანი ტურ-ტურ იქნა. ტურ-ტურ (ღამბ.). შდრ. მენთ., ტურტურ; როსტ.

ტურბა//დურბა - მილი. თერთმეტ დურბა მამპარეს ეზოითი. ტურბაჲ (რუს.) - ღამბ.

ტუხაანები - ტუხაშვილების საგვარეულო შტო ს. ალიაბადში.

ტყელ - ბრტყელი.ტყელ ქუვა მამიღი. ტყელ (ღამბ.).

ტყი ვარდი - თეთრი ვარდი. ტყი ვარდი რაშ მინდა?ტყი ვარდ-იგივეა, რაც თეთ ვარდ (ღამბ.).

ტყილპი - ელენთა. ტყილპი მაგრა მაწუხევს. ტყირპ (როსტ., ღამბ.); ტყირპაჲ (ქაჯ.).

ტყიმალი - ტყემალი. ეზოში ერ ტყიმალი ზირი მაქონ. ტყიმალ (როსტ.).

ტყიმლა ქრივალი - ქლიავის ჯ,იში,

ტყემალს ჰგავს. ტყიმლა ქრივალი ავადულე. ტყიმლა ქლიავ (როსტ.). ტყიურა//ტყივრა - თხილი ველური ჯიშის, მაგარ ნაჭუჭიანი მოგრძო ფორმის. ტყივრა თხილი არ დამიქანებია. ტყიურა თხილ (ღამბ., როსტ.);ჯან. დათვის თხილი (მაყ.).

ტყლაპი - რბილი. ტყლაპ ცომი არიქნოს. ტყლაპ (ღამბ.). ტყლამპა-ტყლუმპი//ტყლაპატყლუპი - ტყაპუნი, ჭყაპა-ჭყუპი. ტყლაპატყლუპით ეტარებოდა წყალში. ტლამპა-ტყლუმპ, ტყლამპუნოვაჲ, ტყლუმპ (ღამბ.).

ტყრუშულ ღობე - წნელისაგან დაწნული მაგარი ღობე. ეზო-ყურეს ტყრუშულ ღობე შამაავლო.

ტყუსებრა - ძალიან სწრაფად, ტყვიის სისწრაფით.დაინახია, როგო ტყუსებრა გაჰვარდა.ტყუსებრა (როსტ.).

ტყუეჲ - ტყვია. ორ ტყუე მოხტომია თავში.

ტყუპა გაცურა - ბაყაყური. ცურვის ერთგვარი ხერხი. ტყუპა გაცურა, გავდა.

უ

უბარაქათო - უბარაქო. ეიგე თხილ გაყიდაში უბარაქათო კეჰთება.უბარაქათოჲ (ღამბ., როსტ.).

უბჟუის//ყურები უბჟუის - ყურებში ხმაური ესმის.სიცივით ყურები უბჟუის.

უგანებს - უღალატებს, მოატყუებს. ჰეგი უგანებს მაგას.

უგეიმ -აგე იმ. უგე იმ კაცმა თეთრი მიჰცა. უგეჲმ (ღამბ.).

უგეიმაგრე - როგორც იყო. სასტული უგეიმაგრე დადევ ადგილზე.

უგეიმამ - იმან. უგეიმამ თოლი მიყო.

უგეემით - აგე ამით. უგეემით რანდა იქნოს. უგეამით, უგეემით (ღამბ.).

უგეისი - აგე ის. რაც გითხარე, უგეისი მამიღია?უგეჲს (ღამბ.). უგის - იხ. ოგეს (როსტ.).

უგეისენი -აგე ისინი. უგეისენი არ დაიმირწყო კაისა.

უგეიქაითი - იქიდან. უგეიქაითი მაიღი ქერფუჩი. უგექაჲ თი (ღამბ.).

უგემქთონ - აგე ამდენი, აი ამდენი. უგემქთონ თეთრი სა წაიღა. უგემქთონ (ღამბ.); უგემთონ (როსტ.).

უგეიმიბეი - ამისთვის, ამიტომ. მაგა უგეიმიბეი არ ვეზახი. უგეიმიბე, უგეჲმიბე (როსტ., ღამბ.).

უგეიმაშინ - აგე მაშინ. უგეიმაშინ სანდა წავდეს ვნახოთ.

უგემჟურა//უგემჟურა - აგერ ამგვარი. უგემჟურა კაცი ალარ მაიყონო.უგემჟურაჲ, უგეემჟურაჲ (ღამბ.).

უგი -იხ. ოგი

უგლასუნევს - უსვამს. გოვგლასუნევს, კარაქს პურზე უგლასუნევს.

უგოუჩხუტელ - წვერწაუთლელი. უგოუჩხუტელ ჟოხი მამაწუდე.

უგოუჩხუტელ (როსტ., ღამბ.).

უდოუზახნელ - დაპატიჟების გარეშე. უდოუზახნელა მინ წავა? უდოუზახნელა (ღამბ.).

უდოუშლელა - დაუშლელად. უდოუშლელა ვერ მუვალთ. დოუშლელ (როსტ.)

უენო - უთქმელი. უენო ნუ ხარ, ამაიღი ჯმა.უენო (როსტ.).

უზირო გუბი - გუბე, სოფელ მოსულში.

უზრახნელი//უზრახნელა - ჩუმი, უსიტყვოდ.მაგი უზრახნელ პატარზალ თეთრი მიეცია? უზრახნელა საქმე არ იქნება. უზრახნელ (როსტ.).

უზღომარი//უზღომელი - გაუმაძღარი. უზღომარი ველარ ზღება. უზღომურ, უზღომარ, უზღომ (ღამბ.).

უთანმაზი - უსირცხვილო. უთანმაზ ინსანი ნუ ხარ.

უთიმთიმევს - სიმსუქნისაგან სხეულის ნაწილის რხევა.შაჰხე, მუცელი უთიმთიმევს. უთქმელები//უთქმელები არ დაჰჩა - უთქმელი, რისი თქმაც არ შეიძლება.უთქმელები აღარ დაჰჩა. უთქმელევ არ დამიგდა (ღამბ.).

უილუნი - შესაფერისი, შესატყვისი, შესაბამისი. მაგასთან უილუნი არ მოდის. უილუნ (აზ.).

უილუნსუზი - შეუფერებელი. შენთუნ უილუნსუზ საქმეს ნუ აქითევ.

უკან - შემდეგ, მერმე. საქმი მორჩომასუკან ჩონსა მოი. უკან (ღამბ.).

უკანაყენ - უკან, უკნისკენ. უკანაყენ ნუ იხედები. უკანაყ, უკანაყენ (ღამბ., როსტ.); ჯან.

უკანახინდელი//უკანახენ//უკანახიანში - ბოლო, ბოლო დროს, უკანასკნელი. ეისი უკანახინდელია, ჰეგიც წაიღი. უკანახიან ჩარა გამიწყდა წეველე. უკანახიან, უკანახანდელ, უკანახენ, უკანახენდელ, უკანახანდელ (ღამბ., როსტ.); ჯან.

უკანებლა - უკანვე. უკანებლა მამიყონე კაისა. უკანებლა, უკანობლი(ვ) - ღამბ. უკანიან, უკანიან არ მამდევს - ზურგს არავინ მიმაგრებს, მეხმარება. მე უკანიანი აღარ მამდევს. უკანიან, უკანიამ არ მამდევს (ღამბ., როსტ.).

უკანით//უკნით - უკანიდან.უკანით დანა ჩაჰცა.უკანით (ღამბ.).

უკან მანაყონი - გერი. ჰეგი უკან მანაყონი კი არა. უკან მანაყონ (როსტ.).

უკმენს - უკბენს. ფინ ზალლი უკმენს ყმაწილს.

ულაღი - ულელში შესაბმელი საქონელი. ულაღი გალე საზოვარზე. ულაყ, ულაღ (აზ. ულაგ) -ღამბ. ჯან. გუთნითავი ჯარი (კაიშ.).

ულგამ//ულგან-სუ - მდინარე აზერბაიჯანსა და საქართველოს საზღვარზე. ჩაედინება ალაზანში.

ულუბაში - მთა კავკასიონის ქედზე, რომელიც მთელ საინგილოს გადმოჰყუ-

რებს.

ულუმბო - ყვავილოვანი, მრავალფოთლოვანი მცენარე. ულუმბო ფოთოლი დაადევე. ულუმბოჲ (ღამბ.).

ულო -კონის შესაკრავი ღეროები. უწინ კონევ ულოითი ჰკრავდნენ. ულო (ალიაბ.) - იხ. ბენდამ (როსტ.).

ულუ ქორფი - თამარ მეფის ხიდი მდინარე

ქურმუხზე.

უმა - თეძო. უმაითი მამიჭერ ჯორცი. უმაჲ (აზ. ომბა) - როსტ., ღამბ., ჯანგ.

უმარიფათო - მარიფათის არ მქონე, უშნო, უზრდელი. უმარიფათო ინსანი არ მიყუარს.

უმედი, უმედი ვარ - იმედი, იმედი მაქვს. უმედი არ დაჰკარგო, უმედ ვარ,

დამიზახებენ. უმედ, უმუდ, უმედ ვარ (ღამბ.).

უმედ მოსხლეტა - იმედის დაკარგვა. უმედ უსხლეტავს,უჟე უმედი მავსხლიტე. უმედ მოსხლეტაჲ (ღამბ.).

უმზრახობა - მომდურავი, უბრად მყოფი.უმზრახობას მის ექცევა? უმზრახ (ღამბ.); ჯან., ქეგლი. უმზრახი, უმზრახავი, უზრახავი (ჩუბ.); უმძრახი, უნძრახი-ძიძ. კეცხ. ხუბ. (ქართლ.), მენთ.; უმრახი-გიგ., თოფ. ქავთ. (ხევს., მოხევ.)., კაიშ., ქაჯ., უმძრახაი (ხუბ.). უმზრახ (როსტ.).

უმუმი - საზოგადო, საერთო, საზიარო. უმუმი იჟლასი ჩაატარა.უმუმი (აზ.).

უნაწილო - უზმო, უჭმელი. ბალახი მაალებლა უნაწილო წეველე. უნაწილოჲ (ღამბ.); შერგულ -უზმო (როსტ.). კაიშ., უნაყრო - გიგ. თოფ. ქავთ. (მთიულ.) დაუნაყრებელი, მშიერი (ქეგლი.).

უნდა - უნდა, უყვარს, საჭიროა. ცული უნდა მიჰქონს, მაგას ჩემ ქალი უნდა, თუ უნდა წავალ. უნდ, ჰუმდ, ვუნდ (ღამბ.).

უნდილო - უმარილო, არაფრის გემოს მქონე. უნდილო ჯორცი წრნი იყო. უნდილი - უმწიფარი, მოუწეველი (ია.ბ.); უმბილ უმარილოჲ - სრულიად უმარილო (როსტ.); უნდილ უმარილოჲ (ღამბ.).

უნდომურა - მოუნდომებლად. უნდომურა საქმეს ნუ იჭერ. უნდომურ (ღამბ.).

უნდომურ- უნდომურ - დაზარებით, უხალისოდ. უნდომურ- უნდომურ განაქითევ საქმე რა იქნება. უნდომურ-უნდომურ (ღამბ.).

უნდუნია//უნდუნიაზე - საიქიო, საიქიოში. უნდუნიაითი მანასული არ არის, წანასული ბევრია.

უნდუნიაში წაი - ჯოჯოხეთში მოხვდი, წყევლა. შენავ უნდუნიაში წახოლ.

უნსუნუღ დაგრუებაჲ - დასიებულისათვის (ადამიანის) მეზობლებისაგან დაგროვილი საჭმლის მირთმევა.უნსუნული დააგრუებელი ვიქენე. უნსუნუღ, უნსუნუღ დაგრუევაჲ (ღამბ.).

უჯზაგო - უძარღვო. უჯზაგო ცომი იქნა. უჯზაგოდ. (როსტ., ღამბ.).

უპირბანო - პირდაუბანელი. უპირბანო წეველე საქმეზე. უპირბანოდ (ღამბ.).

უჟინშო - უჯიშო, ცუდი ჯიშის. ერ უჟინშო რამ შამხტო.

უჟუზი - იაფი, იაფასიანი. უჟუზ ტანსმუს ეზევს.

ურცხუნარი - უსირცხვილო. ურცხუნარ ინსან რანდა უთხრო. ურცხუნარ (ღამბ.).

ურწანი - უშობელი, უზვი საქონელი. გადატ. ითქმის უშობელ ქალზეც. მაგი ურწან მირასი მის რაში უნდა, ერ შაჰხე რას მინგავს ურწან თავს. ურწან (ღამბ., როსტ.); უშობელი, უზვი, შვილ-უყოლი (ძროხა, ფურ-კამეჩი და სხვა) ჯან:

საქონელი (ძროხა, კამეჩი, ცხენი (ქეგლი), უშვილო, ბერწი პირუტყვი ძიძ. კეცხ. ხუბ. (ქართლ.), (ჭინჭ. ხევს.), ცხენი უზვი (საბა), უზვი, ბერწი კამეჩი ან ცხენი (ჩუბ.); ბერწი ფური, ბუღას, რომ ახლოს არ იკარებს, ხბო რომ არასოდეს გასჩენია (მენთ.); ბერწი ძროხა, ჯარა-ფურა; უშვილო ქალი (კაიშ.), ქაჯ.; ურწანია, ურწანი (ძოწ.).

უსიანი - აჯანყება. ერ დიდ უსიანი იქნა. უსიან (აზ.).

უსტა- ხელოსანი, ოსტატი. უსტა მაქონ, ვერ მუვალ. უსტაჲ (აზ.)-როსტ., ღამბ.; ჩუბ. დურგალი (ჟღ.).

უსტალუღი - ზედმეტი. უსტალუღი რა საქნია?

უსურ-ბუსური - არა ყაირათიანად ხარჯვა.თეთ უსურ-ბუსურ ნუ ჰხარჟავ. უსურ-ბუსურ (როსტ.).

უტლუყუნო - უსაქმური, მოხეტიალე. უტლუყუნო,უტლუყუნო არ დეეტარო.

უტყლაშუნევს - ფიგურ. კარგად მიირთმევს.ხედავა როგო უტყლაშუნევს. უტყლაშუნევს - კოკისპირულად წვიმს, დიდი ხმაურით წვიმს. (როსტ.).

უფრენს//თოლი უფრენს - ქუთუთოს სწრაფი რხევა. გადატ. იტყვიან თოლი

მიფრენს-ო, როცა რალაც მოულოდნელ ამბის შეტყობას ელოდებიან. თოლი მიფრენს, ვნახოთ კაი ხაბარია.

უფტანი//უფტნობა - პრანჭია, პრანჭვა. უფტოვს, ერ უფტან ქალი იყო, უფტნობა ჩემ დედაკაც უყუარს. უფტან (ღამბ.).

უქისქისევს, ქის-ქის - აქეზებს, ძაღლების წაქეზება.ზაღლევ ერთმეთ უქისქისევს.

უღრო-ჩოღრო - უსწორმასწორო. უღრო-ჩოღრო გზაითი წამიყონა. უღურ- ჩუღურ (ღამბ.,როსტ.).

უღუროლსუნ//ოღუროლსუნ - ბედნიერი, იღბლიანი, სვიანი. შენთუნ კაი გზა უღუროლსუნ.

უყმაწუღლო - უშვილო. უყმაწილო აილას ლეზათი არ აქო. უყმაწუღლოდ (როსტ., ღამბ.).

უშკო - ბურღი.უშკო მამიღი ხეი გაააჯროტლა. უშკოჲ (როსტ., ღამბ.).

უჩერეთი - რიგი. უჩერეთი დაიჭი, მეც მოვდი. უჩთაფა - მთა კავკასიონზე. სიმაღლე 8992 მ. უჩუმრა - ჩუმად. უჩუმრა წაი კაისა. უჩუმრა (ღამბ.); ჯან., იმნ., უჩუმრად (ჩუბ. უთურგ. გიგ. თოფ. ქავთ -კახ.-ქიზ.), უჩუმრაჲ (ნიჟ.);უჩუმრაჲ (ჭყ.). უჩული - გამონაყარი პირზე. დოდალზე უჩული გომოვდა. უჩულ (აზ. უჩუგ) - ღამბ., როსტ., ჯან.

უჩეჩავს - უშარდება. ჰხედავა, როგო უჩაჩავს საქმეს.

უჩდიობან - თამაშია ერთგვარი. ხელს მიწაზე დადებენ და ერთ-ერთი იტყვის. აქლემი უჩდი თუ ხელს აწევს, დამარცხდება. რადგან აქლემი არ ფრინავს.

უწინდელ დროზე - იხ. ზოლ დროზე.

უწოუსლოლა - წაუსვლელად.უწოუსლოლა არ იქნება, სურცხულია.

უთუ - უთო. პერანგი გაითიებლა უთუ მამიღი. უთოჲ (ღამბ.); უთუჲ (როსტ.); ჯან.

უჰარმევს - უმწარებს. ცხოვრებას ზალი-ზალი უჰარმევს. უჰარმევს (როსტ.).

უჰანები - უხაშვილების საგვარეულო შტო ს. ალიაბადში.

უჰლუნსუზ - შეუფერებელი, არასათანადო. უჰლუნსუზ გაფ ნუ ჩიდი.

ფ

ფაამი - გონება, დაკვირვება. ფაამი დიახ კაი აქო. ფაამ (აზ.), უფამოჲ - უგონო (ღამბ.).

ფაამი აქო - მიხვედრილია. სრუ რამზე ფაამი აქო.

ფააფუ - მორჩა, გათავდა, აღარ არის. ფააფუ მოჰჩა აღარ არის. ფააფუ - დაიკარგა (კირ.).

ფაგა - ცხვრის სადგომი, ფარეხი. ცხორი ფაგაში შაყარე. ფაგაჲ (აზ. ფაჲა); ბაგა- საკვების ჩასაყრელი დაბმული საქონლისათვის (წნული ან ფიცრული), ქეგლი., საბა, ჩუბ. მენთ.

ფადარი - ნასოფლარი სოფელ მოსულთან ახლოს, ალაზნის მარცხ. სანაპიროზე.

ფათითური - ხელთათმანი. ფათითური აიცი ჯელზე. ფათათურ (ღამბ.,როსტ.). ჯან. ხელთათმანი, რომელსაც მხოლოდ ცერი აქვს ცალკე, სათათური საბუხარი ქეგლი (ინგილ.)

ფაიდალუ - ხელსაყრელი, სარგებლიანი, სახარბიელო. ჰეგ საქმე ფაიდალუ არა. ფაიდალ (აზ.).

ფაიდა არა - გამოსავალი არ არის. ფაიდა არა მენდა წავდე.ფაიდაჲ - ხეირი, სარგებლობა (როსტ.); იხ. მენთ. ფაიდა

ფაიშა - მეძავი, როსკიპი, გარყვნილი. ერ ფაიშა რაიმეერი.

ფაიზი - პროცენტი. რათა ფაიზი იქნა?

ფაიტონი - მსუბუქი ეტლი. ზალი ფაიტონით წაიყონეს.

ფალაქათი - უბედურება, გასაჭირი, ფათერაკი, კატასტროფა. ერ დიდ ფალაქათი ქნილა. ფალაქათ (აზ.).

ფალი//ფალ ყრა - მძევალი კვერცხი. საქონლის ბეჭის ძვალი ხორციანად მოკვეთილი. მკითხაობა. ქათმი ბუდეში ფალი ჩადევ, თურემ კორცხ არ დაადებია. საქონლი ფალ არ მამიჭრო. ყარაჩიმ ფალი მიყარა. ფალ (ღამბ.,როსტ.); ჳან.

ფალ დახედნა - მკითხაობა. ფალ დაახედნელა წავდა. ფალ დახედნაჲ (ღამბ.,როსტ.). იხ. საბა: ფალი.

ფალასი - ნაჭერი ცხენის ზურგზე დასადებლად ან კარებთან დასაგებად ფეხის საწმენდად. ცხენ ფალასები კარგა დოვგი, კართან ფალასზე ფეყები გაიწმინდე. ფალას (აზ. ფალაზ) - ღამბ. ფლასი, ძაძა (ჳან.); ფლასი - მდარე ფარდაგი, უსახვო, მატყლის ნაგულისაგან და თხის ბალნისაგან მოქსოვილი (შან. ვაჟა III, ჭინჭ. ვაჟა; გიგ. თოფ. ქავთ. (ფშ.); ჭრელი ფარდაგი (ჭინჭ.ხევს.); ფლასი ბალნის ძაძა (საბა. ჩუბ., ფალასი, ფლასი-ძონძი, ძაძა, მჩვარი (ჩუბ.); ფასალი - მტვრის საწმენდი ჩვარი-ძიძ., კეცხ., ხუბ. (ქართლ.); ფლასი დახეული ტანსაცმელი, ფეხსაცმელი; ძონძი (კაიშ.).

ფალანქაში - საწურავი, თუშფალანგი.

ბრინჯი გადაწურლა ფალანქეში მამიღი.ფალანქაშ (ღამბ.); ფალანქა-სპილენძის ფლავის საწური (როსტ.) იხ. მენთ. თუშფალანგი.

ფალანფუჩა - მოუხერხებელი, მოუქნელი. ცარიალ ფალანფუჩა რაიმეერი, მაგამ რანდა ქნოს. ფალანფუშ, ფალანფუშაჲ (ღამბ.); ბაყიჲ- უშნო, მოუხერხებელი, რომელიც ყოველთვის სხვის შენიშვნებს ღებულობს (როსტ.); იხ. საბა: ბაყი, მენთ. ბაყია.

ფალდარლო//ფალდარლუ - სოფელი ზაქათლის რაიონში. ფალთაგი - ენაჩლუნგი. ერ ფალთაგ რაიმე იყო, ზლივ ლაპარიკოვდა. ფალთაქ (აზ. ფალთაქ) -ღამბ.

ფალი - მკითხაობა. ფალი ვაყრევინე.

ფალჩი - მკითხავი. კრევზე ფალჩი მამადგა. ფამბუღლუ - სოფელ მოსულის სახნავ-სათესი მინდორი ალაზნის მარცხ. ნაპირას. ფანჩხლიანი - ბევრი ტოტების მქონე.ერ ფანჩხლიან ხეერი, ზედ ვერ გახოლ.ფანჩხლიან - მრავალშტოედი (როსტ.); ფანჩხლ - ნემსის ამოგების ერთგვარი სახე, ზიგზაგი, კლაკნილი (ღამბ.); ფარჩხი - ქეგლი (იმერ.-გურ.)

ფანჩხუნები - ფანჩხუაშვილების საგვარეულო შტო სოფელ მოსულში.

ფარალათ - თავისუფლად, მოცლილად. შენ ფარალათა ჭამე. ფარალათ (როსტ.).

ფარგალში ჩააჟო - საქმის წახდენა.

შააქირამ ფარგალში ჩააჟო წავდა.

ფარასათი - მოხერხება. ჰეჩ ფარასათი არ აქონ.

ფარდაგი - დიდი ტილოს ნაჭერი. იყენებენ თუთის რხევის დროს. ფარდაგი მაიღი თუთაი დააქანებლა.

ფართალი - ლეიბი, საბანი ერთად. ფართალი ჟერ არ ამიკეცია. ფართალ (აზ. ფალთარ) - ღამბ., როსტ., შან.რეც.

ფართალ-ფალასი - ლოგინი, ქვეშაგები. ფართალ-ფალასი დააგი დაწოლა. ფართალ-ფალას (როსტ., ღამბ.).

ფართლი ჰუქი - ქვეშაგების შესანახი ადგილი. ფართლი ჰუქი არ დანგრივო. ფართლი ჰუქ (როსტ., ღამბ.).

ფართო - განიერად. ფართო შარვალი ჩაიცო. ფართოდთი (როსტ., ღამბ.).

ფარნიკი - სათბური. ფარნიკი გავაქითე პამიდრი შითილობეი ფარნიკ (ღამბ.).

ფარო - ფთილა მატყლისა, ფარტენა. ფაროი დაასტელა თქენსა მოუდი.ფაროდ (როსტ., ღამბ.); ჯან., მენთ., გიგ., თოფ., ქავთ. (კახ.-ქიზ.), ქეგლი.

ფარფარობად - კრიალი, ბზინვა. ფარფაროვს, იქავრობა ფარფაროვს თოლი დაგჩება. ფარფაროვად (როსტ., ღამბ.).

ფარღიათი - ფარღალალა, ღია. სახკარი ფარღიათი მაქონ, ვერ მუალ.ფარღიათ (როსტ., ღამბ.). ფარღია -სახლი გვრდღია (საბა, ჩუბ. ქეგლი.); ფარღიატი გვერდებ ღია სახლი (ქავჯ.), გადახდილი სახლი (კაიშ.);

ფარღიათად - შინაურულად, ხალვათად ჩაცმული- საცვლების ამარა (მენთ.).

ფარყი - განსხვავება, სხვაობა. ვერ ანჩნევა რა ფარყი აქონ.

ფარჩა - ზოგადად ქსოვილი. ფარჩა არ მაქონ, ვერღან ჩააგდებლა. ფარჩად (აზ. ფარჩა)- ღამბ.; შან.რეც., ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი (შან. ვაჟა II); ფარჩეული - აბრეშუმის ქსოვილი, აბრეშუმეული (მენთ.).

ფარსადანი - მთა კავკასიონის ქედზე. სიმაღლე2875 მ.

ფასდუ - მინდორი სოფელ ალიაბადში.

ფასტი - ჭუჭყიანი, უსუფთაო. მაგ ფასტისა პურ მინ შეჰჭამს.

ფარჩები - მინდორი სოფელ მოსულში.

ფაფა - ფქვილისაგან დამზადებული საჭმელი. წუხელ ფაფა გამიქითეს. ფაფად (ღამბ.).

ფაფარი - გრძელი თმა. ფაფარი შოუნახავ, ვერ შაჰხედავ.

ფაფხაჭელა - ფლავის ქვაბის ფსკერზე მიმხმარი ფენა. თონეში ჩავარდნილი ცომის გამხმარი ფენა. ფაფხაჭელა დადო ფლავი ღანგარს. ფაფაჩხალად, ფაფხაჭყელად, ფაფხაჭელად (როსტ.) ფაფაჭყელად, ფაფხაჭყრლად, ფაფაჩხალად ფაფხაჭელად, ფაჩაჩხელად, ფაფაჩხალად (ჯან.); ფაფხაჭელა(მარტ. -იმნ.), ფაფხაჭა (მენთ,).

ფაშატი - დედალი ცხენი. ფაშატ ცხენი ვიყიდე ბაზრით.

ფაშფაში - პარპაში.ფაშფაშოვს, მაგი ფაშფაში მოჰჩა, გათავდა.ფაშფაშ (როსტ.); შდრ. მენთ. ფაშფაშა.

ფაში - ფაშვი. ზროხი ფაში მაქონ გაააქითებელი. ფაშ (ღამბ.); ჳკან., ფაში (ჭინჭ. ვაჟა).

ფაში გირცი - საქონლის ფაშვისგან დამზადებული კერძი. ფაში გირცი მე არ მიყუარს. ხარხუშ - შეზავებული. დაკეპილი კუჭმაჭი, შიგანი საქონლისა. წალდით წვრილად დაკეპავენ ფაშვსა და ნაწლავებს, ხახვსაც დააჭრიან, ყველსაც აურევენ, სუნელსაც მოაყრიან და ქილაში შეინახავენ დამჟავებამდე. ამით აკეთებენ გირც-ს, ქათა-ს. ხარხუში გირც - ხარხუშის გულიანი გირც-ი. ხარხუში ქათაჲ, აცხობენ ტაფაში, თონეზეც (როსტ.).

ფაშფუში - საქონლის შიგნეულობა. ფაშფუში სხოს არ მიჰცე, ჩემთუნ შაინახე. ფაშფუშ- ფაშვი და სხვა შიგნეულობა, ღუზლისა და ფურტის გარდა (როსტ.); ფაშფუტარ, ფაშფუშ-შიგნეულობა (ღამბ.); ფაშფუში (მენთ.); ფაშიფუში (ჩუბ.); ფაში-ფუში-ფაშვები, დიდი მუცლები (შან. ვაჟა IV); ღიპი დიდი მუცელი (ჭინჭ. ვაჟა).

ფაღირი//ფაღირ-ფუღარა - ღარიბი, საცოდავი, ღარიბ-ღატაკი. გზაში ერ ფაღირ ინსანი შამხტო. ფაღირ, ფაღირ-ფუღარაჲ (როსტ.).

ფახილი//ფახილიანი//ფახილობაჲ - ჟანგი, ჟანგიანი, შურიანი.ფახილოვს, ზრლ ქობი ფახილდება, მემრე კალავთ, ფახილიანი ნუ ხარ, მიეცე.ფახილ (აზ.) ფახილოვაჲ

(როსტ., ღამბ.); ფახირი - სპილენძის-გიგ., თოფ., ქავთ., (ჳკავახ.).

ფახილსუზი - შურიანი. დიახ ფახილსუზ ინსანია.

ფახფახი - ყანყალი. ფახფახოვს,ჰხედავა, როგო ფახფახოვს, მალე გააჯეჩია. ფახფახოვაჲ (ღამბ.).

ფაჰლა - მუშა. ზავოდში ფაჰლად მუშაოვს.

ფაჰჩა - ხელმწიფე. ერ ფაჰჩამ ვეზირებს დოუზახა, უთხრა. ფაჰჩაჲ (აზ.)-როსტ., ღამბ., ჳკან. ფადიშაჰი (ნიჟ.). ფადიშარი (ჟღ.).

ფეელავანი - ფალავანი. გაიგია, ჩონ სოფელში ფეელავანი მოსულა. ფეჲლივან ფეჲლავან//ფეელავან (ღამბ.); ფაჰლევანი -გიგ.,თოფ., ქავთ (ქართლ.), ფალავანდი ჩხუბში ან ჭიდაობაში მოპირდაპირე (ჟღ.).

ფეთირი - თხელი ლავაშივით გამომცხვარი პური. ფეთირი გაამაცხო საჟზე. ფეთირ (აზ. ფათირ) -ღამბ., როსტ.; -ფათირი (მენთ.); ხმიადი (ჩიქობ.), მეცხვარეების მიერ საჟზე გამომცხვარ პატარა რგვალი პური (ლეონ.), ფათილე (კაიშ.).

ფეიქარანები - ფეიქარაშვილების საგვარეულო შტო ს. მოსულში.

ფეიღამბარი - წინასწარმეტყველი. ჰაბა ფეიღამბარზე დაიფიცე. ფეიღამბარ, ფეჲღამბარ, ფეელამბარ (აზ. ფეიღამბარ) - ღამბ; ფეიღამბარ (ჳკანგ.); ფეეღამბარ - ნ. ფენღაბარ; ფეღამბარი (ჩუბ. ქეგლი).

ფეიღამბრისმა - ფიცილი. ფეიღამბრისმა მე არ მითქომ.

ფელა - გადატ. მრუდფეხებიანი. მაგი ფელა ფეყებიან ქალს მინ წაიყონს? ფელაჲ -წინწამოხრილი რქებიანი კამეჩი (როსტ.).

ფელაქანი//ფილაქანი - ხის ან ქვის კიბე.ფილაქანზე ველარ გაჰდია? ფელაქან (აზ.) - ღამბ. ფილაქანი-აგურით დაგებული იატაკი (მარტ.-იმნ.).

ფენჟაქი//ფენჟაკი - პივჯაკი. ფენჟაგი მამიღი ჩააცმელა. ფენჟაქ, ფენჟექ (რუს.) - ღამბ.

ფერბიჩ-ყალა - ციხე-სიმაგრის ნანგრევი საინგილოში.

ფერდა - ზოგადად ფარდა. აპკი. თხელი გარსი. გადატ. უსირცხვილო ადამიანზე. ფერდა დაჰკიდია, თოლზე ფერდა მოჰსულია. მაგა ფერდა ალარ აქონ. ფერდაჲ (აზ. ფარდა) -ღამბ., როსტ.

ფერდი-ფერდ მიჰკრია - მეტისმეტად გამხდარი. ჰხედავა, როგო ფერდი-ფერდ მიჰკრია.

ფერიჟან ჩოლ - მინდორი ზაქათლის რაიონში.

ფერფლავს - თოვს, ოდნავ ფერფლს ყრის. ჟერ ცოტა-ცოტა ფერფლავს ფესელი - ცომისგან დამზადებული თხელი ლავაში, ერბოში გამომცხვარი.ყონაღა ქნაში ფესელი მაჭამა. ფასალიჲ -მაჩკატი (როსტ.); ფასალლიჲ, ფასაალიჲ (ღამბ.); ვკან., ფასალი (ედილი).

ფეყ ქენ! - ძროხა, როდესაც წველის დროს ფეხს წინ გადადგამს და დაეფარება ძუძუებს. ფეყ ქენ! ნინო. ფეყ ქენ (როსტ.).

ფეყი - ფეხი. ერ ფეყი წინ წავდა, ვერ დეეწევით. ფეყ (როსტ., ღამბ.); შან. რეც.

ფეყევ დაგჯეჩავ - მუქარა ფეხებს მოგამტვრევ. ჩონ ყოროლში შახოლ ფეყევ დაგჯეჩავ.

ფეყ გაწდა - გადატ. შეტოლება, დადარება.ფეყ იწდის, ჩონ მაგასთან ფეყ ვერ გავწდით. ფეყ გაწდუაჲ, ფეყ გაწდაჲ (როსტ., ღამბ.).; იხ. მენთ. ფეჯის გაწვდმა.

ფეყზიმე - ფეხმძიმე. ფეყზიმე ქალი დანახითავ ადგა. ფეყზიმეჲ (ღამბ.).

ფეყ მოშნევა - ფეხის კარგად დაცდა. ფეყი მაშნიან, მაგი ფეყი მაშნიან. ფეყმოშნომაჲ (როსტ.); ფეყ მოშნოვაჲ (ღამბ.).

ფეყზემდგომელი - სუფრაზე საჭმელების მიმტანი ქეიფის, ქორწილის დროს. ფეყზემდგომლები კარგა გზაში ჩაგდი, ფეყზე დგომელ, ფეყზედგომელ (ღამბ., როსტ.); ვკან.; დგომელ (შან.რეც.)

ფეყსაბანი - ქორწილის მეორე დღეს პატარძალმა ფეხი უნდა დაბანოს ქმარს. ფეყსაბანი ადრე იყო, ეხლა არ ჩიდიან. ფეყსაბან (ღამბ.).

ფეყსადგომი - ტუალეტი. ფეყსადგომი სა გაჰყე.

ფეყ ითრევს - ნელა მიდის, ორჭოფობს. ვიცი რაიბე ფეყ ითრევს.

ფეყი მოწნეხა - ფეხის გადატრიალება, გადაბრუნება.ფეყი მემეწნიხა, ფეყი მოწნეხა, ნაგახტან წასლაში ფეყი მემეწნიხა.

ფეყი მიწაზე გემეკრა - გაოცება, გაკვირვება, სახტად დარჩენა. ერ ადგილა დავჩი, ფეყი მიწაზე გემეკრა. ფეყ მიწაზე მოკრაჲ (როსტ., ღამბ.), შან.რეც.

ფეყი ომოკეთა - მისვლა -მოსვლის შეწყვეტა. ფეყი ამაიკოთა, მაგათგანი ფეყი ამაიკეთა.

ფეყსამუზი - ფეხსაცმელი. მამა ფეყსამუზი აღარ მაქონ. ფეყს(ო)მოზ, ფეყს(უ)მუზ, ფეყს(ო)მოს ფეყს(უ)მუს, ფეკს(ო)მოზ, ფეკს(უ)მუზ -(ღამბ., როსტ.). ჯ,ან. არქ., ფეხსომოზ (შან. რეც.); ფეკსამოსი (უთურგ.).

ფეყშრშრლა - ფეხშიშველა. ყმაწილი ფეყშრშრლა რაიბე გოუში?ფეყშრშრლაჲ, ფეყშრშრლა -(ღამბ., როსტ.).

ფეშაქარსუზი - უსაქმური. ფეშაქარსუზ ინსანი რაშ გინდა. ფეშაქარ - მწყემსი, რომელიც ყოველთვის ცხვარშია (როსტ.). ფეშაქარ - ახლად დამწყები, ჯ,ერ გამოუცდელი ჩობანი (ღამბ.).

ფეკსამოზ - იხ. ფეყსამოზ

ფია - საჭმელი ბავშვის ენაზე. ფია ჭამე ბალა. ფიაჲ (როსტ.). შდრ. საბა. ჩუბ. იხ. მენთ. ფია.

ფიადა - ფეხით. ფიადა წაუდა თუ მინიგი იპოვნა? ფიადა (აზ.ფიჲადა) -როსტ., ღამბ.

ფიადა ლებუა - დაბალი ლობიო. ფიადა ლებუა დაგლიჟე. ფიადა ფაყლაჲ -(ღამბ., როსტ.).

ფიჲ//ფიჰი - ქონი.ცარიალ ფიჲ იყო მაგი ნაყიდ ჯორცი. ფიჲ (აზ.) - ცმელი (ღამბ.); ჯ,ანგ., ფიჲ- საქონლის მუცლის ქონი და თხის ქონი (როსტ.).

ფითნაქარი -შურიანი, ეშმაკი, გაიძვერა ადამიანი. ფითნაქარ ინსან მოჰშორდი.ბედნაქარ-შურიანი, ნავსი ადამიანი (როსტ.).

ფითნა-ფასათი - ხერხი, ეშმაკობა.მაგასთან ფითნა-ფასათი საქნია.

ფითრაი გატანა - მარხვის შემდეგ გასატანი შესაწირი.ფითრა გაიტანა, ორუჟი მოჰჩომასუკან ფითრას გაჰქონენ. ფიტრ - ფითრი, პარაზიტი მცენარე ხეზე (ღამბ.).

ფილთა - ლამპის პატრუქი. ჩირაღი ფილთა აღარ მაქონ. ფილთაჲ (აზ. ფილთა). -ღამბ., როსტ. იხ. ჩუბ. ფილთა, შდრ. მენთ. ფილთა. ფითილა (საბა).

ფილთა-ფილთა - თოვლის დიდი ფთილები. შაჰხე, როგო ფილთა-ფილთა თოვლოვს. ფილთა-ფილთა თოვლოვს (როსტ.).

ფილთაქუა - ფილთაქვა, ქვასანაყი. ერ ფილთაქუა იპოვნა გზაში. ფილთაქუ(ვ)ჲ (ღამბ.); გიგ., თოფ. ქავთ. (ინგილ.).

ფინ ზაღლი - ავი ძაღლი. ერ ფინ ძაღლი

დომბავ ეზოში. ფინ ზალლ (ღამბ.).

ფინთა მოსლა - ცუდი, ცუდად, წყენა. ფინთი//ფინთა//, ფინთა მოჰდის, ფინ ტარო არ მამიღო. ფინთა ხარ წაი, ჩონ თქმაში ფინთა მასულია. ფინ, ფინთ (ღამბ., როსტ.).

ფინთობა - ცუდი საქმის ჩადენა. ფინთობა არ მინდა. ფინთოვაჲ, ფინთოვს (ღამბ.).

ფინთოლიანი - ავთვალიანი. ფინთოლიანი კაც ნუ შაჰხტება. ფინთოლიან (ღამბ., როსტ.).

ფისო ბალახი - ბალახია ერთგვარი. ფისო ბალახ ზროხა არ ზოვს.

ფიტი//ფიჭი. ერ ფიტი თაფლი მამიღი კაისა. ფიტ, ფიტ(აჲ) - როსტ, ღამბ. ფიტი - თაფლგამოცლილი, უთაფლო ფიჭა ქეგლი, ჭინჭ. ვაჟა; დაუმდნარი უთაფლო ფიჭა. (მენთ.); თაფლის ნაჩენჩი (საბა, ფიტი, ფიჭი - თაფლის ჩენჩო ან გადაუმდნარი სანთლის ნაძირალი (ჩუბ). ფიტიჲ-ქოთანში გაკეთებული საჭმელი (როსტ.).

ფიფი ქნა - იარა ბავშვის ენაზე. ავად გახდომა. ფიფი, ფიფი ქნილა, გუშინ ფიფი იქნა. ფიფიჲ, ფიფიჲ ქნაჲ - ატკიება (როსტ.).

ფიფინეთი - ერთ-ერთი უძველესი სოფელი ზაქათლის რაიონში. ეს სოფელი დასახლებულია ვახუშტი ბატონიშვილთან. ფიფინეთში არის ორი ეკლესია.

ფიქირ//ფიქირ არა - ფიქრი, ფიქრი არ არის, არა უშავს! ფიქირ ჰწევს,ფიქირ გაჰწევით თმა გოვთეთდა. დეე, ფიქირ არა, ნუ მოუდეს, მეც არ წავალ. ფიქირ არა (ღამბ.).

ფიქირ ქნა - დაფიქრება. იგრევ ფიქირ ქნა კარგია. ფიქირ ქნა - მნიშვნელობის მაცნე, ყურადღების მიქცევა, დარდი (როსტ.).

ფიქირ გაქ -თუ ასე ფიქრობ (ჯანგ.); ფიქირ ქნაჲ, ფიქროვაჲ (ღამბ.)., შან. რეც.ფიში ქნაჲ - მოშარდვა ბავშვის ენაზე. ფიში ქენე, გაიყო, ფიში აქნევნე.

ფიჩხი//ფიჩხი კონა - წვრილი ტოტების კონა. იყენებენ თონეში ცეცხლის დასანთებად. ფიჩხი კონები მამიღი.

ფიწალი//ჲაბა//ჰება - თივის ასაღები იარაღი. ბალახი ააღებლა ფიწალი მინდა.ფიწალ - იხ. ჲაბა (როსტ.).

ფლასუნი//ფლასუნ-ფლასუნი - ფეხების თრევით სიარული. აფლასუნევს,რა ფლასუნ-ფლასუნით მოჰდი, ჰეგინ ქენე. ფლასუნ, ფლასუნევაჲ, დაჰფლასუნოვს, მოჰფლასუნოვს (ღამბ.).

ფლახები - ზომაზე დიდი ფეხსაცმელები. ერაგე ღუდრუან ფლახებია, მინ ჩაიცომს.

ფოთოლა ხინკალ - გათხელებული წვრილად დაჭრილი ცომის ნაჭრები, რომელსაც მოხარშვის შემდეგ დაამატებენ ცხიმს - ხახვით. ფოთოლა ხინკალი გამიქითე კაისა! ფოთოლაი, ორფოთოლაჲ (ღამბ.).

ფოდრაჩინები//ფუდრაჩინები -პეტრია-

შვილების საგვარეულო შტო ს. ალიაბადში.

ფოთოლივი მაცხრუევს - ფოთოლივით ვკანკალებ. შიშით ფოთოლივი მაცხრუევს. (როსტ.).

ფორი//ფორიანი - ობი, ობიანი. ფორ ქნაში პურ ვაბულევთ. ფორიან პური დოგიდო. ფორ, ფორ მოგდევად (როსტ., ღამბ.); ჴან., ნიჟ., ძოწ.

ფორმა - მსგავსი, მსგავსად, ნაირი, ნაირად. პერანგი მაგი ფორმა შამიკერე. ფორმაე, ფორმაზედა (როსტ., ღამბ.).

ფორსოვს - იპრანჭება. ერ შაჰხე, როგო ფორსოვს. ფორს, ფორსევ დაყრაე (ღამბ.).

ფრტი - ფეტვი.ფრტს ალარ თესენ. ფრტ-ფეტვი (ღამბ.)., ფრტრუ - ფეტვის ყანა და მისი ჴეჴილი (როსტ.); მაყ.; ფრტ (ჴან.).

ფოჩი//ხახი ფოჩი//სიმინდი ფოჩი - გარჩეული სიმინდის ნარჩენი. ფოჩი ზროხას დოუყარე. ხახი ფოჩით კორცხ ღებავთ. ფოჩ : ნერგი (ხახი), სიმინდი ფოჩ (ღამბ.).

ფოხოხა - გაბერილი პილპილი. გადატ. გაბერილი ადამიანი. ფოხოხა პირპილი მამიღი. ფოხოხა (როსტ.).

ფოხფუშმანი - ძალიან დადარდიანებული. დიახ ფოხფუშმანი წავდა. ფოხფუშმან (როსტ.).

ფრინჟი - თითბერი. ფრინჟი ქობი გარეცხე. ფრინჟ (აზ. ბურჟუნჴ) -პრიალა ყვითელი ფერი ლითონი (ღამბ.).; ფრინჟი ლაგან (როსტ.).

ფრუტი - ფუტურო, დამპალი ხე.ფრუტო მორი არ მაიღო. ფრუტოე, ფრუტ (როსტ., ღამბ.); ნიჟ., ფოტორო ზეზე დამპალი ხე (ალავ.); სუსტი, უგულო (ქავთ. III) ფუტურო-დამპალი შეშა - გიგ., თოფ. ქავთ. (კახ.-ქიზ.).

ფსუტი//ფსუტიანი - შარდი, უსუფთაო. ფინ ფსუტი სული მოჰდის, ფსუტიან დედაკაცი იყო. ფსუტ, ფშუტ (ღამბ.); ზინზლის სუნი (საბა. ჩუბ.).

ფუილი - ბევრის ერთად არევა. ფუის,ხალი ფუილ ვერ ვიტან. ფუელ, ფუვილ, აფუევად-ფუილი, აფუება (მხოლოდ მიწაზე ითქმის) -ღამბ. ფუილი- დულილი (მიწისა) - შან. ვაჟა I; ფუვილი-დულილი (ლუდისა), გიგ., თოფ., ქავთ. (თიან.), დულილი (უცებ-ცხლად), გალვივება (ქავჴ.), ფუილი (ჭინჭ. ხევს.) უფუის: სისხლი უფუის - სისხლი უდუღს, უჩქროლავს. (ჭინჭ. ვაჟა).

ფულანი//ფულან-ფულანი//ფულანგან, ფულანგნი - მავანი, ამა და ამ ადგილას, ესა და ეს კაცი. ჩემ სახელით წაი უგეი კაცთან, ფულან-ფულანმა გამამგზავნაო, უთხა, ფულან ადგილა სალედნივარვო.ფულან (აზ. ფილან); ფულან -სიტყვის მასალაა - მნიშვნელობის გაძლიერებისათვის გაორკეცებული იხმარება. ფულან-ფულან (როსტ.); ფლანი -ესა და ეს (კირ., მენთ.).

ფულანქესი - მავანი. ფულანქეს ინსანი

მოუდა?ფულანქეს (აზ. ფილანქეს) - იგივეა, რაც ფულან (ლამბ.).

ფუნტარი - ფხვიერი. ფუნტარ მიწაში დათესულ კართოფლი კაი საქნია. ფუნტარ (ლამბ.,როსტ.).

ფუნჟი - ჯაგრისი. სიმინდის წიწილა. ფუნჟით წოესი კრასკა, სიმინდი ფუნჟები მავლი, შალავი ფუნჟები. ფუნჟ-ფოჩი (ლამბ.).

ფურაღანი - ბავშვის სათამაშო. ერ ფურაღანი მოვტანა ყმაწილ.

ფურსად ქნა - დროის ხელთება. ფურსანდ ჩიდის,ფურსად ქნითავ მააღებივარ.

ფურსუყი - მაჩვი. ყოროლით ფურსუყი დაიჭირა. ფურსუყ (აზ. ფურსუგ) -ლამბ., როსტ.

ფური - ძროხა. ფური არ მოსულა ზროხაითი. ფურ (ლამბ., როსტ.); ჯან. საბა., ჩუბ., ჯან., გიგ. თოფ. ქავთ. (გუდამაყ. ფშ.).

ფურტი - ფილტვი. ფურტი არ ჩამიგდო, არ მიყუარს.ფურტ (ლამბ., როსტ.); ჯან. ფირტვი - შან. ვაჟა III, ჭინჭ. ვაჟა, ქეგლი. (ქიზ. მოხევ. მთიულ.); ქავჯ. კაიშ.

ფურტივი პური - რბილი, ახალი პური. ფურტივი პური დამიკრავ. ფურტივი პურ (ლამბ.).

ფურულდაჩი - ყალთაბანდი, თაღლითი, გაიძვერა, მატყუარა. მაგი ფურულდაჩიობა სრუმ იცის. ფირილდაჩი (აზ.).

ფურღუნი - ფურგონი. ერ ფურღუნ ყარფუზი მამიღა. ფურღუნ (ლამბ.).

ფურცელი - თუთის ხის ფოთოლი. ჭიას ფურცელი დოუყარე. ფურცელ ლამბ.,როსტ.) თუთის ხე (შან.რეც.); უნაყოფო უთუთო ბჟოლა. აბრეშუმის უდგათ (მენთ.). თუთის ხე - გიგ., თოფ., ქავთ. (ყიზლ-მოზდ.), ფოთოლი; თუთის ხე - ძიძ., კეცხ., ხუბ. (ქართლ.).

ფურცლობან წასლა - თუთის ფოთლის მოსატანად წასვლა. ფურცლობან

წეველეთ. ფურცლოვან წასულაჲ (ლამბ.).

ფუტკრი ვეჩა - ფუტკრის ნაყარის გამოყოფა. ფუტკარ ვეჩა მივცია.ფუტკრი ვეჩაჲ (როსტ.)

ფუტკრი გეჟაში ჯელ ჩაცემა - გადატ. გაბრაზება, გაღიზიანება. ფუტკრი გეჟაში ჯელ ჩაცემა ნუ გიყუარს. ფუტკრი გეჟაში ყიტ წაცემაჲ (როსტ.).

ფუფუ - ბავშვის საჭმელი. ფუფუ გამიქითა, რაშ მინდა. ფულარა - ღარიბი. ფულარა ინსანია, მაგიზგან რა გინდა. ფულარაჲ (როსტ.).

ფუში - თიაქარი. ზიმე აჰწევით ფუში ჩომოჰსულია. ფუშ (ლამბ.); საბა, ჩუბ. მენთ. როსტ.

ფუშმანი - დაღონებული, შეწუხებული. რაიბე ფუშმანი ხარ?ფუშმან, ფეშმან (აზ. ფეშმან) - ლამბ., როსტ.

ფუშმან გავდა - შეწუხდა. დიახ ფუშმანი გავდა.

ფუშმნობა - დაღონება, მოწყენა. ფუშმნოვს, დაფუშმანდა.ფუშმნობს რაიბე წავდაო. ფუშმნოვაჲ (ღამბ.,როსტ.).

ფუშრუკი - ფაფისებური ცომის საჭმელი. ყმაწილ ფუშრუკი გოვქითა, მეც მაჭამა. ფუშრუკ, ზიან ფუშრუკ (ღამბ.,როსტ.).; საბა, ჩუბ. ძიძ. კეცხ. ხუბ. (ქართლ.), ქავკ., რძეში ან წყალში მოხარშული პურის ფქვილის გორგლები (კაიშ.). ნაფშრუკი-ნაზელი, შეზელილი (შან. ვაჟა III),

ფშრუკვა - ოდნავ წყლისა და ფქვილის ან ნაცრისა და მისთანათა ერთმანეთში არევა და აზელა. ფშრუკავს, (მენთ.); ცომის ასრესა ან ნაცარის აზელა (ჭყ.).

ფუშტა - წისქვილის რუს მაღლა აყვანილი წყალი, რომელიც ვარდნის შედეგად აბრუნებს წისქვილის ბორბლებს. ეხლა ფუშტას მინღა აქითევს? ფუშტაჲ (როსტ.).

ფუშტათალა - სოფელი ბელაქნის რაიონში.

ფუჩი - უგულო, წამხდარი თხილი ან კაკალი. ფუჩ თხილი არ იყიდება. ფუჩ (როსტ.).

ფუხრუტი(ა) - ჭიანი. გადატ. ავადმყოფი ადამიანი. ფუხრუტა კაკალი მამყიდა, ერ ფუხრუტ ინსანია. ფორხა გადატ. გაბერილ და არაჯამრთელ ადამიანზე იტყვიან (როსტ.).

ფშრაკი - გამხმარი. შენ დანაკარ პური ფშრაკი ქნილა. ფშრაკ- ძალიან გამხმარი (როსტ.).

ფშუნვა - ფშვინვა. ფშუნავს, დედაკაცი დიახ ფინთა ფშუნავდა. ფშუნოვაჲ (ღამბ.); ფშუნვა (ჯან.).

ფშუნი-ფშუნი - ფშვინვით. რა ფშუნი-ფშუნი მოდის. ფშუნი-ფშუნი (როსტ.).

ფხაწუნი - ფხაჭნა.ფხაწუნოვს, კატა გარეითი ფხაწუნით დაიღალა. ფხაზუნ (ღამბ.).

ფხლანკუნი//ფხლანკუნ-ფხლანკუნ - ფხლაკუნი, ფართხალი.ფხლაკუნოვს, რას ფხალკუნოვს, ფხლანკუნ-ფხლანკუნ წავდა.ფხლანკუნ, ფხლანკუნოვაჲ (ღამბ., როსტ.); ფხლაკუნ, ფხლანკუნ (ჯან.).

ფხიტი//ფხიტიანი - მოუსვენარი, უკარება.ფხიტიან ზროხა არ მინდა.დაინახია როგო ფხიტოვდა. ფხიტ - ცქვიტი, ყურმახვილი, ყოჩალი, მარჯვე. ფხიტოვაჲ-იხ. ზრინგოვაჲ (როსტ.). ფხიტ, ფხუკ - ცქვიტი, ცოცხალი, მარდი (ღამბ.); ფხიტი (მენთ.).

ქ

ქათა - ბლინი, რომლის გული შეიძლება იყოს: გოგრა, ხაჭო. ამის მიხედვით არჩევენ: გუგრი ქათას, სუზმი ქათას. სუზმი ქათაიზგან გუგრი ქათა მიყუარს. ქათა (აზ. ქათა), ჭინჭრი ქათაჲ, ჯორცი ქათაჲ, გირცი ქათაჲ (ღამბ.); ქათაჲ-ქადა (როსტ.).

ქათმი ჭკო - გადატ. ჩერჩეტი, სულელი. მაგა ქათმი ჭკო აქო. ქათმი ჭკოჲ (როსტ.).

ქათმი ჭკილა - წინდის სახე - ქათმის ბრჭყალები ჩაქსოვილი. ქათმი ჭკილა წინდევ მინ ჩაიცომს. ქათმი ჭკილაჲ (ღამბ.,როსტ.).

ქათმიან ფლავი - ქათმის წვენში მოხარშული ფლავი. ქათმიან ფლავი ჰჭამია? ქათმიან ფლავ (როსტ.).

ქათამი წონი - ქათმის ხორცისგან დამზადებული კერძი. ქათმი წონი გამიქითა. ქათმი წონ (როსტ.).

ქათმი ჯევი - ნასახლარი კახის რაიონში.

ქალამი - კომბოსტო. ქალამი მაქონ დააგებელი. ქალამ(აზ. ქალამ) - როსტ. ღამბ.; თავხვეული კომბოსტო, ლახანა (მაყ.).

ქალამ დაგება- კომბოსტოს დამწნილება. ქალამ დაგებას ვერ დეეჩივა.

ქალაქუა - სოფ. მოსულში დიდი ქვაა ქალის ფორმის. ქალაქუა გადაბრუნებაში ჰამეშა წუმს.

ქალალა - ბაღდადი. ჩონ ქორწილში ქალალას ვაკრავთ. ქალალაჲ (აზ.) - ღამბ.; შან. რეც., ქალალა - ძიძ., კეცხ., ხუბ. (ქართლ.); ძიძ. (მესხ.ჯავახ.), ქალალაჲა (მარტ.-იმნ.); წითელი თავსაფარი, თხელ აბრეშუმის თავსაფარი ქალისა - გიგ., თოფ. ქავთ. (კახ.-ქიზ.).

ქალაჭუა//ქალაჩუა - ქალაჩუნა ბიჭი. ერაგე ქალაჭუა რაიმერი შაგცხრბა. ქალაჭუაჲ, ქალაჭუვაჲ (ღამბ., როსტ.). მენთ., ქავკ., გოგოჩუა (ჩუბ.), გოგოჭუა (მენთ.).

ქალი - გაუთხოვარი ქალი, გოგო, ქალიშვილი. ქალი მოყონა. (როსტ.). გიგ., თოფ., ქავკ. (ფშ.)

ქალთაიფა - მდედრობითი სქესის წარმომადგენელი. ქალთაიფა არ მაიყონო სუფრაზე. ქალ თაიფაჲ (როსტ.).

ქალიმა - სიტყვა. რაიბე განაბულხარ, ერ ქალიმა შენც თქი. ქალიმაჲ (აზ.) - ღამბ.

ქალიში - შალიფა, ბალახი. დილიგში ბევ ქალიში ომოსულა. ქალიშ (აზ. ქალიშ) -ღამბ., როსტ., მაყ.

ქალჩა - მამალი ზაქი, გადატ. უდარდელი ახალგაზრდა. ქალჩა მაქონ გააყიდელი. ქალჩაჲ (აზ. ქალჩა) - ღამბ.

ქალმნი შაქნა//ქალმნი კოპი //ქალმნი ბაღი - ქალამანი, ქალამანის შეკერვა, ქალამნის ამოსახვევი. ქალმან მინღა იცომს. ქალმნი შაქნა მე არ ვიცი, ,,ქალმნი ბაღევ, კოპევში უყრიდნენ“.

ქალმან შაქნაჲ, ქალმი კოპ (როსტ.); ჯან., შან. ვაჟა III, მენთ. ქალმანი მრ. ქალმები ძიძ., კეცხ., ხუბ. (ქართლ.), კაიშ., ქალბანი (უთურგ.).

ქანი - დირე. სახ ქანები დოვლაგესა ქან, კარი ქან-ზღრუბლი (ღამბ.); ქან-სახლის ბოძების, სვეტების დასაყრდენი ბრტყელი კოჭი (როსტ.). საჩეხის ან სახლის კარისპირა დერეფნის სვეტების დასაყრდენი დირე (მენთ.).

ქანოვ-ქანოვ - მთვრალივით სიარული. რა ქანოვ-ქანოვ მიჰდი. ქანოვ-ქანოვ - თავშეუკავებელი, გაქანებით სიარული

(როსტ.).

ქარავან ყირანი - სამი ერთნაირად მოკაშკაშე ვარსკვლავი, რომელიც ამოდის სალამოს პირზე. ქარავან ყირან მასკულა ჟერ არ ომოსულა. ქარავან ყირან (ღამბ.), ქარავანყირანი (მენთ.).

ქარანები - ქარაშვილების საგვარეულო შტო სოფელ ალიაბადში.

ქართრლი//ქართელი - ქართველი. ჩონსა ერ ქართრლი, მოვდა.

ქართული//ქართული აქ დაჰჩეს - სიტყვა, სიტყვა აქ დარჩეს. ერ ქართულ თქმაც ვერ მააწრო, ჩემ ნათქომ ქართული აქ დაჰჩეს. ქართულ, ქართულ არ აქ, ფინ ქართულ არ აქ - არაფერი არ აქვს დასაწუნი (ღამბ.); ჯ.ან. გიგ., თოფ., ქავთ (თიან.), ძიძ. კეცხ.ხუბ.(ქართლ.), ჭინჭ. (ვაჟა).

ქართული არ დაიმირწყო - სიტყვა არ დაივიწყო. შენ ქართული არ დაიმირწყო კაისა.

ქართულსუკან - სიტყვის შემდეგ. ჰეი ქართულსუკან მე რაღანდა მექნა. ქართულსუკან (იმნ.).

ქაფანაქჩი//კაპანაქჩი - სოფელი ზაქათლის რაიონში.

ქაფაქი - ქატო, ფქვილის ანაცერი. ქაფაქით ზაღლიბეი ჰელი გააქითა. ქაფაქ (აზ. ქაფაქ), ფქულუ ქაფაქ, ჩალთუქი ქაფაქ, ხი ქაფაქ (ღამბ.,როსტ.).

ქააფირი - ურწმუნო, სჯ.ულგანდგომილი. ერ ქააფირ რაიმერი.

ქაფტარი - აფთარი, კუდიანი, ჯ.ადოქარი. ჰეიგი რა ქაფტარირი შენც კარგა იცი. ქაფტარ (აზ. ქაფთარ)-ღამბ., როსტ., შან.რეც.

ქაფჩა - სამშენებლო იარაღი, რითაც კედელს ლესავენ. ერ ქაფჩა ლამიღა დაჰჩა.

ქაფქირი - საწური.ქაფქირი მამიღი ფლავ გადააწურლა.

ქაცავატი - სუსტი, ავადმყოფი ადამიანი.

გადატ. სიმინდის ტარო, რომელსაც აქაიქ აქვს მარცვლები. ქინზი ქაცავატა გაზდილა,სიმინდს ქაცავატ ტარო გოუქითებია. ქაცავატ ინსანია. ქაცავატ - გახუნებული, უფერული, ფერწასული

(როსტ.)., ღამბ., გაქცეული, ფოთოლგაცვივნული, ფერწასული (ჯ.ან.). იხ. საბა, ჩუბ. ქარცი.

ქებელობა - დასახლებული პუნქტი ზაქათლის რაიონში.

ქები//ქებებიანი - რქა, რქიანი. ერ ქები მოჰვეჩეს. ქებებიან კამეჩი გემეკიდა. ქებ, ქებევიან (ღამბ.,როსტ.); ქა-რქა; ქებ გემეება -რქები გამოება (ჯ.ან.).

ქედეკრიანი - მინდორი, სოფელ ალიაბადში.

ქეერიზი//ქეჰრიზი - ჭა. ეზოში ქეჰრიზი მოთხარა. ქეერიზ, ქეჰრიზ, ქეჱრიზ (ღამბ.); როსტ., ჯ.ანგ. ქარიზი, ქაჰრიზი - ღრუდო (საბა).

ქევხიანები - ქევხიშვილების საგვარეულო შტო სოფელ მოსულში.

ქეთხუდა//თეთხუდა - მდიდარი, დოვლათიანი, შეძლებული. ჰეგი ქეთხუდაი ქალია. ქეთხუდაჲ (აზ. ქათხუდა) - ლამბ. მამასახლისი (ჩიქობ.), პირველი მოქალაქე ან მამასახლისი სოფლის (ჩუბ.), ქედხუდა - მამასახლისი ქეგლი., ძიძ., კეცხ., ხუბ. (ქართლი).

ქეიფსუზი - შეუძლოდ, უგუნებოდ ყოფნა. დღეს ცოტა ქეიფსუზი ვარ.

ქელლა - თავი თავის ქალა. ხახვის თავი. გადატ. მიუხვედრი ადამიანი. ქელლა მააპარსლა წაუდა, ერ ქელლა ქალამი მამცა, ცარიალ ქელლარი, რაიმეს ვერ გააგებინევ. ქელლა (აზ. ქალლა) - ლამბ., როსტ.

ქელლაზე ბოსტან მოჳნა - შავ დღეში ჩაგდება. ჟერ სად ხარ ჰეგი შენ თავზე (ქელლაზე) ბოსტან მააჳნია. ქელლაზე ბოსტან მააჳნევარ (ლამბ.).

ქერეჭი - ქერქი. ქერეჭი მესროვნა თავში.

ქერქი - ნორჩი ყლორტის ქერქი. ქერქით პამიდორ ვამბავთ. ქერქ (როსტ.).

ქერფუჩი - აგური. ქერფუჩით დადგა სახლი. ქერფუჭ (რუს.) - ლამბ.

ქერფათუნი - გაზი. ქერფათუნი არ მაქონ შაქარ დააჳჩლა. ქერფათუნ , ქელფათუნი, (ლამბ.,როსტ.) ქელფათინი- ოქროს ან ვერცხლის მავთულის გამოსაწევი გაზია, ბრტყელი, დაკბილული პირი აქვს, რომ მავთულს კარგად მოეჭიდოს (როსტ.).

ქესაგი - ბელტი.ცარიალ ქესაგებია.

ქესაგებს ფანტავს - ბელტებს შლის. ერჟა ქესაგებს ფანტავს, სხო რაიმეს არ ჩიდის.

ქესიბი - ღარიბი. ქესიბი ქალი არ მაიყონო. ქესიბ (აზ. ქასიბ) - ლამბ.

ქეფინი - სუდარა. ქეფინიც სხომ უყიდა სამარეში ჩაადებლა. ქეფინ (აზ. ქაფან) - ლამბ., ჳანგ.

ქექერი - ქოჩორი. შენთუმ კაი ქექერი შოუნახავ.

ქეშიში - მღვდელი. ერ ქეშიში შახტო გზაში. ქეშიშ (იმნ.).

ქეშქელი - გადასახადი. ზოლ დროში ქეშქელ ვივდით.ქეშკელ - სათესი

ნაკვეთის გარკვეული რაოდენობა, რომელზედაც ძველად იხდიდნენ 5 ბაკან პურს (როსტ.)

ქეჩი ემჟაგი - ყურძნის ერთ-ერთი ჯიში, თითა. ქეჩი ემჟაგი ზირი მამიღი. ქეჩიჲ ემჟაგ (აზ.) - ხეზე გაშვებული ვაზის ჯიში (ლამბ.). ქეჩი ემჟაგ (როსტ.).

ქეჩა - იგივეა, რაც ნაბადი. ქეჩა გადააფარა წუშა არ ჩოუჟდესო.

ქეჩი - თხა. ერ პატრა ქეჩი მიყიდა.ქეჩი - ხბოს დაძახება (ვ. ბერ.)

ქეჩმიში - ძველად, წარსულში. ქეჩმიში ჰაშაიში ზიმე იყო.

ქერეჭა ნრსი - ნესვის ჯიში, ტკბილი და გემრიელი. ერ დიდ ქერეჭა ნრსი მამიღა. ქერეჭაჲ, ქერაჭაჲ ქერეჭა ნრს, ქერეჭა ბოსტან -ნესვის ჯიშია, მოგრძო

ფორმისაა (ღამბ.). ქერაჭაჲ - ნესვის ჯიშია; ქერქი ხისა (როსტ.).

ქერეჭი - ხის, ხილის ნაფცქვენი, ნარჩენი. ქერეჭი ცულით ააყრევნა, ჭმასუკან ქერეჭი გადაყარე. ქერაჭი, ქერეჭი - ქერქი ქეგლი (ინგილ.) - ღამბ., როსტ.

ქეჩიქება - წიწაკა, გრძელი და მეტად მწარეა. ქეჩიქება არ ჩააგდო ქობში.ქეჩიჲქებაჲ (ღამბ.).

ქეჰრიზი - ჭა. ეზოში ნაქნარ ქეჰრიზით მაიღი წყალი. ქეჰრიზ, ქეჲრიზ (როსტ., ღამბ.). იხ. საბა - ქაჰრიზი.

ქივჩი - არაფერზე აურზაურის ამტეხი. ჰეგი ჰამან ქივჩია.

ქითილა - თუთის ნორჩფოთლოვანი შტო. გაჰრაი ქითილა მამიღი კაისა. ქითილჲ (ღამბ., როსტ.)., ჯან.

ქილიმი - ქვეშსაგები, ფარდაგი. ქილიმი დააგი ფეყქე. ქილიმ (აზ.) -ღამბ. ქილიმ - ტილოს დიდი ოთხკუთხედი ნაქსოვი ნაჭერი, რომელსაც გაშლიდნენ თუთის ქვეშ ტოტების დასარხევად (როსტ.).

ქილსა//ცივ ყური - მინდორი სოფელ ალიაბადში.

ქინი -ჯავრი. მე მაგი ქინი არ მაქონ. ქინ (აზ.) - ღვარძლი, სიბოროტე, ქინიან - გულღრძო, გულღვაძლიანი (ღამბ.), ჯანგ.

ქინი აქონ -ჯავრი ჭირს. მაგა იმაზე ქინი აქონ.

ქირდა - ორი წლის დაუთესავი ბრინჯის მინდორი, ნაჩალთუქარი ადგილი. ქირდა წელს არ მოჯნეს. ქირდაჲ, ჩალთუქი ქირდაჲ (აზ. ქირდა) - ღამბ., როსტ.

ქის-ქის ქნა - ძაღლის მიქსევა. ჩონ დანახაში ზალლებს გუქისქისევდა.

ქიშმიშა ყურზენი - ყურძნის ჯიშია. ქიშმიშა ყურზენი არ გოქო. ქიშმიშაჲ, ქიშმიშა ყურზენ (ღამბ., როსტ.); შან. რეც. ქიშმიში - გიგ., თოფ. ქავთ. (ქართლ.); ქიშმიშის ყურძენი (მენთ.).

ქიჩინჩო - ბიბილო. მამალ ქიჩინჩო გაჰშიებია. ქიჩინჩოჲ, ქეჩინჩოჲ (ღამბ., როსტ.); ჯიბლიბო (ჯან.).

ქლუნგი - წერაქვი. ცოტახნიბეი თქენ

ქლუნგი მინდა. ქლუნგ (აზ. ქულუნგ) - ღამბ., როსტ.; შან. რეც.; ჩუგლუგი (ჩუბ.).

ქნაჲ - ქონა, სიმდიდრე. გამოცხობა, მოხარშვა. კეთება. ქმნა. იქნა, ქნილა, არ ქნაში რა ქნოს. ქნაში დამიზახე, ფლავი ქნაში მამიღი, რა იქნა ეიქაითი, მაგიბეი ქნა არ იქნება, ყულუღ ქნა ბორშტუვარ. ქნაჲ , ქნო(ვ)აჲ, ქნუ(ვ)აჲ (ღამბ., როსტ.)

ქნილა - მომხდარა, მოხარშულა, ყოფილა. რა ქნილა მითხა? ქნილა ამიღი, ჰეგი ადრე ქნილა. ქნილ(ა) - როსტ.

ქნინჟახ - სანამ მოიხარშება, სანამ გამოცხვება. სანამ იქნება. გაკეთებამდე. ქნინჟახ სუნელი ჩაყარე, ქნინჟახ მიჰხედე, ქნინჟახ ელედე, მაგი ქნინჟახ შენ მოხოლ. ქნინჟახ (როსტ.).

ქნიშ-ქნიშოვს, ჯნიშ-ჯნიშოვს - ქოშინი. რას ჯნიშ-ჯნიშოვს რუმ არ დაიღალა. ჯნიშქნიშოვაჲ, ჯნიშნიშოვვაჲ (ღამბ.) ჯნაშ-ჯნიში - ხვნეშა (უთურგ.) .

ქნუაჲ - იხ. ქნა.

ქობა - შემოკერვა, შემოვლება, შეფიცვრა. ჟერ ქობა არ შამივლია.

ქობარი - ამაღლებული ადგილი. ერ ქობარზე გავდა. ქობარ ადგილ - ბექი, აბექრებული (ღამბ.).

ქობი მონაცრა - ქვაბისათვის ნაცრის წასმა, რათა კვამლისაგან არ გაშავდეს. ქობ ნაცრავს, ქობი მონაცრე, მემრე დაადგი. ქობი მონაცრაჲ (ღამბ.).

ქობულაანები - ქობულაშვილების საგვარეულო შტო ს. ალიაბადში.

ქოვრ, ქევრ - ქვევრი. ღუნეს ქოვრში ასხამდნენ. ქოვრ (ღამბ., როსტ.).

ქოქოვ//ქოქოვა აიგდეს - ყიჟინი, ღრიალით აკლება. რა ქოქოვ მორთეს, ლაფ იქავრობა ქოქოვა აიგდეს. ქოქოვ -ერთგვარი თამაშობაა ქუდით (ღამბ.). - როსტ.

ქოთუქი - ხის მორი, ჯირკი, კუნძი. ქოთუქი მაქონ მაალებელი. ქოთუქ (აზ.ქოთუქ) -როსტ., ღამბ.; ქოთუკი- მარტ.-იმნ. ქოთუკი -ხის ანახეთქი დიდი ნაფოტი (ქეგლი -დიალ.); კუნძი- ქეგლი (ქიზ.); ქოთუქ -ტივი (შან. რეც.).

ქოზი - ნაკელის საყრელი ადგილი. დუდრუან ქოზები იყო.

ქოთანჩი - მინდორი სოფელ მოსულში.

ქომაგ ქნაჲ - დახმარება. ქომაგ ქნა არ გინდა? ქომაგ (აზ.), ქომაგ ქნაჲ (ღამბ.).

ქომბა - ნაკვერჩხალზე გამომცხვარი სქელი პური. ქომბა მამიღა ქედითი. ქომბაჲ (აზ.ქომბაჲ) - ღამბ., როსტ.

ქომბაპირიანი - გადატ. ითქმის პირმრგვალ ადამიანზე. ერ ქომბაპირიან რაიმეერი.ქომბაპირიან - მსუქან ლოყებიანი (როსტ.); ღამბ.

ქომოითი//ქომოთიან - ქვემოდან, ქვემოთა მხარეს. ქომოით გალლე ზროხა.

ქომოითიან არ წახიდე. ქომოჲთ, ქომოჲთიან (ღამბ., როსტ.).

ქონ დასხმა - ცხიმის მოპკურება ფლავზე, კერძზე. ქონს ასხამს, ქონ დასხმა არ დაგმირწყდეს.ქონ დასხმაჲ (როსტ.). ქონ დასხმა - გადატ. საქანელათი არასწორი ქანება, საქანელას გვერდულად ტრიალი (ღამბ.).

ქონგური - სახლის წინ გაკეთებული ორნამენტი. სახ კაი ქონგურები ჰქონდა.

ქონდალანი - გარდიგარდმო. ქონდალანში სალედნივარ. ქონდალან (აზ.) -ღამბ.

ქონდრი გრილო - იტყვიან. დაბალ და მსუქანი ბავშვზე ჰეგი ჩემ ქონდრი გრილოორი. ქონდრიგრილოჲ (ღამბ.).

ქონი - ზოგადად ცხიმი. ქონი გამთიებია აღარ მაქონ. ქონ-ერბო. ქონიან. ერბოიანი, ცხიმიანი (ღამბ.) . ქონიან ვაშლი - ვაშლის ჯიში. წითელი.

ქორობან - თამაშია. ქორი დაეცემა და ვითომც ვიღაც ბავშვი მიჰყავს. ყმაწი-

ლობაში ქორობან თამაშობა ვიცოდით. ქოროვან თამაშოვაჲ იგივეა, რაც წიპ-წიპოვან თამაშოვაჲ (ღამბ.).

ქორუქი - საბერველი. უწინ დემურჩის ქორუქი ქონდა.ქორუქი, გორუქ (აზ. გორუქუქ) - ღამბ., როსტ.; ქორუგი (ნიჟ.); ჯანგ., იმნ.ქორფაანები - ქორფაშვილების საგვარეულო შტო ს. ალიაბადში.

ქორწილ ქნა - ქორწილის გადახდა. ეხლა დიახ ჟაფაარი ქორწილი ქნა. ქორწილ ქნაჲ (ჯანგ).

ქორწილი დაფანტა - ქორწილის დაშლა. ქორწილი დაფანტასუკან წევეღეთ.

ქოსა - უწვერულვაშო, დაბალი ტანის კაცი. ერ პატრა ქოსაარი.ქოსაჲ (როსტ., ღამბ.).

ქოსანაღარა - დიდი ზომის ნაღარა. ქოსა ნაღარას უკრავს. ქოსანაღაჲ (როსტ.).

ქოსა - მასხარა. ფეჰლავანთან ქოსა მოსულიყო.

ქოსი დაკრა - ქორწილის დაშლის მაუწყებელი დიდი ნაღარის ხმა. ქოსი დოუკრეს, ვერ იგევა ქოსი დაჰკრეს, დაიშალნენ. ქოს, ქოს ნაღარაჲ, ნ. ნაღარაჲ (ღამბ.); ქოს., გეთააჲ- როცა ქორწილი დამთავრდება და ხალხი შინ წასვლას დაიწყებს, ან როცა პატარძალი გამოყავთ გარეთ, იტყვიან.გეთაჲ დოუკარით, ხალხ წავდეს (როსტ.).

ქოსრო ჯიდი - ხიდი სოფელ ალიაბადსა და მოსულს შორის.

ქოფალაქ//ჩოფალაჟი - ხის ჯიშია, ძრო-ხის გაბერვისას, მის სახრეს ხმარობენ წამლად. ორ-სამჟერ ქოფალაჟში საჭრე შომოჰკრა ზროხას კაი იქნა. ქოფალაჟ, (ღამბ.).

ქოფუთი - ტლანქად გამოჩერკნილი ხე. გადატ. გაუზრდელი. ბრიყვი (ადამიანი). ვერ ჰხედავა ქოფუთა ნაქნარ რაიმეერი, ჰეგი დიახ ქოფუთ ინსანია. ქოფუთ (ღამბ., როსტ.).

ქოფუქი - ქაფი. ქობს ქოფუქი მოჰჯადე. ქოფუქ (აზ. ქოფუქ) -ღამბ., როსტ.

ქოფუქიანი - ქაფიანი. ქოფუქიან წყალი მოჰჯადე. ქოფუქიან (ღამბ., როსტ.).

ქოქი - ძირი. თქონ ქოქი ომოჰწყდეს. ქოქი (იმნ.).

ქოშაითი//ქოშაითი - ქვეშიდან, ქვემოდან. ქოშაი შენ მამაწუდე, ზეი მე გავდე.ქოშაი (ღამბ.)

ქოჩორა ჩიტი - ჩიტის სახეობა, რომელსაც თავზე ქოჩორი აქვს. ქოჩორა ჩიტი დაიჭირა. ქოჩორა ჩიტ (ღამბ., როსტ.).

ქოცო - პატარა ზომის ქვევრი. ქოცოში სხალი დააგა. გადატ. ტანდაბალი, უშნო კაცი. ქოცოჲ (ღამბ., როსტ.).

ქოხი - საქონლის შესანახი სახლი. ქოხში ზროხას ვინახავთ. ქოხ (ღამბ., როსტ.).

ქოხ დახრტა - საქონლის სადგომის დასუფთავება. ჟერ ქოხ დახრტას მოჰჩი, მემრე წაი.

ქრივალი - ქლიავი. არჩევენ ვირა ქრი-

ვალს, ისფრა ქრივალს, ჩურჩა ქრივალს, შავ ქრივალს, წითელ ქრივალ, გამჯმარ ქრივალს. ღამბ.

ქუა (მრ. ქუევ) - ქვა. ქუევ ჩაყრაში დამიზახე. ქუაჲ (ღამბ., როსტ.).

ქუა დეგეცეს - წყევლა. შენამ თავზე ქუა დეგეცეს. ღამბ.

ქუაჲ ჩადგმა - საფლავის ქვის ჩადგმა.

ქუაჲ ჩადგმას რახან აპირევ? ქუაჲ ჩადგმაჲ (როსტ.).

ქუბრა - სასუქი. თხილევ ქუბრა დოუყარე. ქუბრა (ვანგ.).

ქუთი - კუტი. ქუთი ქნილა რაიმეს ვერ აქითევს. ქუთ (აზ.) - კუტი, ქვითი (ღამბ., როსტ.).

ქულფათი - ოჯახობა.ჩონ ქულფათი მაგათთან ვერ წავა. ქულფათ (აზ.) - ღამბ., ქულფათი (მენთ.); ქულფეთი (ნიჟ.); ქულფათი - ოჯახი გიგ., თოფ., (ფერეიდ.); მხლებელნი, სვიტა (ჩუბ.); ქულაფათები - ძიძ., კეცხ., ხუბ. (ქართლ.).

ქუმბაზი//ქუმბაზი - თაღი. ქუმბაზი ჟერ არ დონგრევიაყე უგენგრე დგას. ქუმბაზ, ქუმბაზ (აზ,ქუმბაზ) - ღამბ..

ქურა - ცეცხლის სანთები ადგილი. ქურაში ცეცხლი დაანთი ქობ შაადგმელა. ქურაჲ იხ ქულბაჲ (ალიბეგ.) -გარეთ ცეცხლის დასანთები ადგილი (როსტ.).

ქურა - სოფელ ალიაბადის ერთ-ერთი უბანი.

ქურანი - წაბლისფერი. ქურან ცხენი ვერ დაინახია? ქურან, ქურან (აზ. ქურან) -ღამბ.ქურანა (საბა), ქურა, ქურანი (ჩუბ.); ქურანა-კვიცი სამ წლამდე ორივე სქესისა (მენთ.).

ქურმუხი - მდინარე კახის რაიონში. ჩაედინება ალაზანში.

ქურმუხი საყდარ - ერთადერთი მოქმედი ეკლესია კახის რაიონში.

ქურსაგი - ძუნაობა, მძუკნობა. ქურსაგ ზალლებმა საიქი არ დაგლიჟეს.ქურსაგ (ღამბ.).

ქუს მოვლებაჲ - წინდაზე ქუსლის მოქსოვა. ქუს ავლევს, ქუს მოვლებას მეეკიდა. ქუს მოვლოვაჲ (როსტ.).

ქუფთა - რბილი ხორცი, უძვლო. ქუფთა მამიტანა. ქუფთა (ღამბ.); ვან.

ქუქურდი - გოგირდი. ქუქურდით თხილ ვაწითლევთ. ქუქურდ, ქუქურთ (აზ. ქუქურდ) - ღამბ., როსტ., ვან.

ქუში დაწოლა - ღრმად ჩაძინება, ველარ იღიზევს, ქუში დაჰწოლია..

ქუშუპპა//ქშუპპა - სკუპი. ქუშუპა ხტება, თუ ხტები ქუშუპა გადახტი. ქუშუპპა, ქშუპპა (ღამბ., როსტ.); ვან.

ქუჩუ -ქუჩუ - ძაღლის დასაძახებელი ხმა. ქუჩუ-ქუჩუ ქენე მუა. ქუჩჩუ -ქუჩჩუ,

ქუჩუვ! ქუჩ-ქუჩ (ღამბ.).

ქშუპა - იხ. ქუშუპპა.

კალოჲ ქცევა - გალეწვის დროს გასა-

ლეწი პურის ნიჩბით გადაბრუნება გვერდის შეცვლა, რათა ერთნაირად გაილეწოს ყველა. ჟერ ერ ქცევა გავლეწე, მემრე მეორე. ქცევაჲ - გალეწილის გადაბრუნება ფიწალით, რომ გაულეწავი

ზევით ამოვიდეს (როსტ.); ქცევაჲ - იგივეა, რაც კალოჲ ქცევა (ღამბ.); იხ. მენთ. ქცევა.

ქწორა//შენ ქწორა//იმი ქწორა - ტოლი, ხელა, შენი ტოლი. შენქწორ ბიჭი იყო. ქწო -სწორი, ტოლი, ხელა, ოდენა. ქწოწო -ტოლები (როსტ.).

ღ

ღალაცოფა - ღოლოშმაგა. იქავრობა ღალაცოფას ოვღია. ღალაცოფაჲ (ღამბ., როსტ.). მაყ., ღოლოცოფა (მენთ.) ,ქეგლი; ღვალოშმაგა (საბა), ღვალოშმაგი, ღოლოშმაგი (ჩუბ.).

ღამევლა - უთენია. ღამევლა წავდნენ, აღარ დაჰჩნენ. ღამეულა, ღამევლა, ღამრვლა (ღამბ., როსტ. დიალ.).

ღამი - ღამით. ღამი არ წახიდო მაგათა-ღამი (როსტ.).

ღანზილი - ღანძილი. ორ წელია ღანზილი არ გუჭამია. ღანზილ, ღანზილოვან (ღამბ.); ღანზილი (მენთ.).

ღარიბ-ღურბათი - ღატაკები. ღარიბ -ღურუბათიც მაიგონე კაისა. ღარიბ-ღურბაჲ (ჯანგ.).

ღარღატი - ფიცრებს შორის დარჩენილი ხვრელი. პოლ ღარღატები მიუცია. ღარღატ (ღამბ., როსტ.); ღარღატი -ქეგლი (ინგილ.).

ღაჭო - აჭრილი რძე. ჩონსა მოი ღაჭოი შეჭმელა. ღაჭოჲ -ხსენის ხაჭო (ღამბ.); როსტ.; ხაჭო (ჯან.), აჭრილი რძის ხაჭო (მენთ.).

ღელე - ჩაღრმავებული არხი. ერ ღელეში გადვარდა ურემი. ღელეჲ (ღამბ.).

ღერობაჲ - მღერა. ღეროვს, მაგამ ღერობა არ იცის. ღეროვაჲ, ღრეროვაჲ (ღამბ.); ღერობა, ღერობს. (ჯან.).

ღზილი -ღრძილი. ზღილი გაჰსიებია, დოხტურთან მიდის. ღიზილ - (როსტ.); ღიზილ (ღამბ.).

ღირღიტაანები - ღირღიტაშვილების საგვარეულო შტო ს. მოსულში.

ღიჭი - მსხვილი ეკალი. ღიჭი ეკალი შემერჭო. ღიჭ ეკალღიჭი, ეკალი (ღამბ.); ღიჭ- ეკალა (როსტ.); საბა, ერისთ., ჩუბ., მენთ., ქეგლი (ქართ. კახ. ფშ.) ჭინჭ. ვაჟა; ბალახია შან. ვაჟა I).

ღიჭი ჯევი - ხევი სოფელ ალიაბადში.

ღლივანწი - წვრილად ტანაყრილი მცენარე. გადატ. ითქმის მაღალ და წვრილ ადამიანზეც. ქინზი ალღივანწებულა, ერ ფინთა ღლივანწა გაზდილა შეგეშინდება. ღლი(ვ)ანწ (ღამბ., როსტ.). ღლივანწ (ჯან.); აყვირება აყვირებული (მენთ.).

ღმერთიმა//ღმერთისმა - ფიცილია. ღმერთიმა მე არ ამიღია“. ღმერთისმა

(როსტ.).

ღრუვი - ღრუ, ფუღურო. ერ ღრუვში შაზრო. ღრუვ (როსტ.).

ღრდკეცი - ხვიარე. ერთწლოვანი მცენარეა. ადვილად გასალუნი. მისგან აკეთებენ კალათებს. ღრდკეცით კალათევ წნავთ. ღრდკეც (ღამბ., როსტ.); ჯ,ან. მაყ., ღვედკეცი, ჯ,აშკუტა (საბა).

ღრდი - წვრილი და გრძლად დაჭრილი ტყავი ქალამნის შესაკრავად. ღრდი გამითავდა ქალმები შააქანელა. ღრდ

(ღამბ., როსტ.); იხ. საბა. ჩუბ. ღვედი, ღუედი.

ღოჟი//ღოჟი კბილი - ეშვი. ღოჟი კბილი მაიგლიჟა.

ღორი ბირკი - სარეველა მცენარეა, რომლის ნაყოფი ადამიანის ან ცხოველს შეხებისას ეწებება. ცარიალ ღორი ბირკი ქნილხარ. ღორი ბირკაჲ (ღამბ.)

ღოტო - დიდი ტანადობის მქონე ადამიანი.ერ ღოტო რაიმეერი.

ღრიმე - ღრმა.კაი ღრიმე ორმოში ჩავარდა. ღრიმ, ღრუმ (ღამბ., როსტ.).

ღუდ - ღუდ ქნილა - დამსკდარა, დახეთქილა. ჯელები ღუდ-ღუდ ქნილა. ღუდუდ - ღუდუდ ქნაჲ - იგივეა, რაც დაღუდუდევაჲ (ღამბ.). ჩუბ., ღუდუდა -ძიძ., კეცხ. ხუბ. (ქართლ.).

ღუზლი - ღვიძლი. ღუზლი შაწო ცეცხზე. ღუზლ (ღამბ., როსტ.).ღვიძლ - ფირტვი (ჭინჭ. ვაჟა).

ღული - ხელით ყანის მოსამკელი იარაღი. ყანას ღულით კიდით. ღულ დაკბილული ნამგალია ერთგვარი გადატ. საახალწლოდ თონეში გამომცხვარი დაკბილული პური (ღამბ.); ღულ - ნახევარმთვარის მოყვანილობის ნამგალი (როსტ.); წვრილკბილა ნამგალი (ჯ,ან., საბა., ჭყ.), ნამგალი (ჭინჭ. ხევს.), ღუილა ნამგალი, ღულა ნამგალი (მენთ.). ლუღ -ნამგალი(იმნ.).

ღუმღუმი - ცეცხლის გიზგიზი.ღუმღუმოვს, ფეჩი ღუმღუმით იწებოდა. ღუმღუმოვაჲ (ღამბ.).

ღუნე - ღვინო. ღუნეჲ დალევა არ მინდა. ღუნეჲ, ღუნოჲ (ღამბ., როსტ.).

ღურბლიანებ - ღულუნიშვილების საგვარეულო შტო სოფელ ალიაბადში.

ყ

ყაბარი - კოჯრი. ბევ მუშიობით ჯელებზე ყაბარი დაჰჟდომია. ყაბარ (აზ.გაბარ) -ბებერა, ბურცი, კორძი (ღამბ.), როსტ.

ყაბარ ქნაჲ - დაკოჟრება. ყაბარ იქნა, ორივ ჯელები ყაბარ-ყაბარ ქნილა. ყაბარ-ყაბარ ქნაჲ (ღამბ.).

ყაბი - ჭურჭელი. ერ ყაბი მაიღი წრონ ჩაასხმელა. ყაბ (აზ. გაბ) - ჭურჭელი ყველანაირი (ღამბ., როსტ.); სინი ფლავისა (ჩუბ.); ყაბა - ხის ჭურჭელია, 200 კილომდე ტევადობისა, ხისხელიანი სარქველი აქვს, ჰერმეტულად იხურება (ძოწ.).

ყაბლამა - ცხვრის ხორცისგან დამზადებული გემრიელი საჭმელი. ქორწილში ყაბლამა გააქითა. ყაბლამაჲ (აზ. გაბლამა) - ჩალაგება, ჩაწყობა (ღამბ., როსტ.). ყაბლუფლავი - ფლავი მომწვარის ხორცით შემზადებული (ჩუბ.).

ყაბუხი//ყაბული - ქერქი. ყაბუხები ერგან დაყარე კაისა. ყაბუხ, ყაბულ (აზ. გაბიგ) - ღამბ.; ყაბუხ (კავ.) - ხის ან ხილის ქერქი (როსტ.).

ყადარ//ყადარან//ყადარი//ყადარ ნაქნარი - საკმაო რაოდენობა, რაც უფრო მეტად; სიკვდილის ჟამი; ის ვისაც სიკვდილის ჟამი დაუდგება.ფულან ყადარ თეთრი დახარჟა, ერაგე კაი შიჭმელი იყო, ფულან ყადარან გინდოდა ჭმა. მაგა ყადარი აჰთიებია, ყადარ ნაქნარი მააკდომია.

ყადარ - ბევრი; სიკვდილის ჟამი (როსტ.); ყადარ (აზ. გადარ) -ღამბ.

ყადაღა - აკრძალვა, აღკვეთა, დაშლა. ყადაღა დოუდეს მაგათა აღარ წავდეს. ყადაღაჲ (აზ. გადაღან) -ღამბ., როსტ.; აკრძალვა, აკვეთა, დაშლა (ჩუბ.); საქონლის წანახედის საზღაური (მენთ.).

ყადაშანები - ყადაშაშვილების საგვარეულო შტო სოფელ მოსულში.

ყადირი - ყადრი, ფასი, ღირებულება. შენ მაგი ყადირი არ გაქო. ყადირ (აზ. გადრ) -ღამბ., როსტ. ყადარი, ყადირი, (ჩუბ.),ყადრი (მენთ.); პატივისცემა; ამაგი, სიკეთე, გიგ., თოფ., ქავთ. (ინგილ.), რიდი, ღირსება (შან. ვაჟა IV).

ყადირსუზი - სიკეთის დაუფასებელი. რა ყადირსუზ ინსანი ყოფილა.

ყავარი - მსხვილი ლერწამი. ყავარი მავღი ჩაფარ დააწნელა. ყავარ (ღამბ.); ყავალ - მსხვილი ლერწამი (როსტ.); ლერწამი (მაყ.); თხელი და ვიწრო ფიცარი (საბა); თხლად დახდილი ფიჭვი, სახლის სახურავად ხმარობენ (ჟღ.) ყავარი (თურქ.) - ნაპობი თხელი ფიცარი შენობის სახურავად (ქეგლი.).

ყავრი ჰანდი - სახნავ სათესი მინდორი სოფელ მოსულში.

ყაზი თანამდებობის კაცი, ქონების აღმწერი. სოფელს თავი ყაზი ჰყავდა.ყაზიჲ - უპატრონოთა უფროსი. ქონების აღმწერი, რომელიც ბავშვების

წამოზრდამდე ვალდებული იყო ეპატრონა (როსტ.).

ყაზივი ჟიხარ - გადატ. ეტყვიან ადამიანს, რომელიც სხვებისგან გამორჩეულად ზის.ყაზი ჟის, შაჰხე, როგო ყაზივი ჟის.

ყაზმა - გომური. ერ პატრა ყაზმა დადგა. ყაზმაჲ (აზ. გაზმა) - გომი, საქონლის ზამთრის მიწური სადგომი (ღამბ., იმნ., ჯანგ.).

ყათარი//თოფი ყათარი - სავაზნე, პატრონტაში. ყათარი შამაირტყა წელზე, თოფი აიღა ჯელში. ყათარი (აზ. გათარ) - ღამბ., როსტ.; ყათარა (ჩიქობ.).

ყათ-ყათა - ფენებად, ნაკეცებად. ყათ-ყათა დააწყოვ ცომი. ყათ-ყათ (ღამბ., როსტ.).

ყათი//ყათ-ყათა - ფენა, წყება, შრე. თუთნი ყათ-ყათ დააწყოვე. ყათ (აზ. გათ) -ღამბ., როსტ.; დარანი (მენთ.); გიგ., თოფ., ქავთ. (იმერხ.).

ყათულა ჩოფსალანი - ამრევი, შუღლის შამომგდები. ნუ ხარ ყათულა ჩოფსალანი.

ყაია - კლდე. ერ ყაიაზე გავდა.

ყაიდა - წესი, ჩვეულება. ჩონ ყაიდაზე ქენე ქორწილი. ყაიდაჲ (აზ. გაიდა) - ღამბ., კირ.

ყაიდა-ყანუნი - წესი, კანონი. სრუ რამ ყაიდა ყანუნი აქო.

ყაინი - ცოლის ძმა. ჩემ ყაინი არ დოუზახნია. ყაინ, ყაიინ (აზ. გაინ)- ღამბ., ჯანგ.

ყაისარ - იხ საჰყავი.

ყაილუი გაჰწევა - საზრუნავი, დარდი. ერჟა ქალები ყაილუ მაწუხევს. ყაიღუ (იმნ.)

ყაილუსუზი - უდარდელი. ყაილუსუზ ინსანი ბევ ცხრვრრვს.

ყაიჩი - მაკრატელი. ყაიჩი მამიღი, თმაი გააჰწორებლა. ყაიჩიჲ (აზ. გაიჩი) - ღამბ.

ყაიჩიქესმაზ - ქორწილის ერთ-ერთი რიტუალი. ყაიჩიქესმაზში რამქთონა აიღა?

ყალათ ქნაჲ - მიქარვა, სისულელის თქმა. ყალათ იქნა, ყალათ ქენე თქენსა მუელე. ყალათ (აზ. გალათ), ყალათ ქნაჲ (ღამბ.).

ყალათ ჩიდის - დანაშაულს ჩადის. ჰეგი დიახ ყალათ ჩიდის, არ მიდის. ყალათ ჩედის - მიჰქარავს, სისულელეს ამბობს (ღამბ.); ყალათ ჩადენაჲ (ჯანგ.).

ყალაიჩი -მკალავი. ობაში ყალაიჩი ეტარებოდა. ყალაჲ (აზ.). როსტ., ღამბ.

ყალაიჩინები - მკალავიშვილების საგვარეულო შტო ს. მოსულში.

ყალამი - სანაყენე კალამი (ხეხილის),- ფანქარი. ვაშლი ყალმები მამიღა საჟალღებლა, ყმაწილ ყალამი უყიდე. ყალამ (როსტ., რამბ.), შდრ. მენთ. ყალამი).

ყალანი//ყალანიც - დანარჩენი. ჩონ წალებასუკან, ყალანი თქენი იქნოსყალან (აზ.) -ღამბ., როსტ.

ყალთაღი - დაღესტნელი ლეკი. ერ ბერ ყალთაღი იყო ჩონ უსტა. ყალთაღ (აზ. გათაგ) - უნაგირის კეხი (ღამბ.).

ყალია - ხაშის მაგვარი საჭმელი. ყალია არ მიყუარს. ყალია, დოვლაჲ, ყალიაჲ - საჭმელია ერთგვარი (ღამბ.); ყალია - ღორის მალები ჩაყაურმებული და შინდით შეზავებული (მენთ.); ღორის ხორცის წვნის ჩიხირთმა - ქეგლი, (ქეგლი.), მოხარშული ხორცი მჟავით (ჩუბ.); ხორციანი შეჭამანდია ჭანჭურის ჩირითა და ტყლაპით შეზავებული (მაის.).

ყალბი//ყალბობა//ყალბგულიანი - შურიანი, ბოროტი ადამიანი. დიახ ყალბგულიან ინსანია, ყალბობა კაი არა ყალბ,

ყალბოვად (ღამბ.)

ყალიბი - შევსებული (სისხლი), ფორმის მიმცემი ჭურჭელი. სისხლი ყალიბი დაინახა, ქერფუჩ დააჭრელა ყალიბი მამიღი. ყალიბ (აზ.გალიბ) - სპეციალური ჭურჭელი, კალაპოტი რაიმე მასისთვის სათანადო ფორმის მისაცემად (ღამბ.; ყალიბ (როსტ.).

ყალიბ-ყალიბ ქნა - ჩადედება, შედედება. სისხლი ყალიბ-ყალიბ ქნილიყო. ყალიბ-ყალიბ ქნად (ღამბ.).

ყალიბი ჭმა - ფორმის მიღება რაიმე სიმძიმის ქვეშ. თუთუნს ყალიბი ჭმასუკან ჰეშიკ ომოჰქონთ. ყალიბი ჭმად (როსტ.); ყალიბ ჭმევნევად (ღამბ.).

ყალმაყალი - აურზაური , აყალ-მაყალი. ყალმაყალს, აყალმაყალი ჩემეეგდა, იქავრობა თავზე ეეცო. ყალ-მაყალ (ღამბ.); ყალმაყალ - იხ. ტრაპუზან (როსტ.).

ყალტი - მოხალული ფქვილი ბექმაზში არეული. ყალტი არ გამიქითო, კაისა. ყაუტი, ყავტი - ქუმელი, ხალი (ღამბ., ჯანგ.).

ყამჩი//ყანჩი - მათრახი. ცხენ ყამჩი დაჰკრა. ყამჩიდ (აზ. გამჩი)- ღამბ., როსტ.; ყამში - გიგ., თოფ. ქავთ. (ჯავახ.), ყამჩი - ძიძ. (მესხ.-ჯავახ.), ჯან., შან. რეც.

ყანადი - ფრთა (ფრინველის), ხნულის ერთ-ერთი ნახევარი. ქუაითი ყანადი მეეჯეჩა. ერ ყანადი მაქონ დააბარელი. ყანად (აზ.განად) - ღამბ.; ნაფთევი (მენთ.).

ყანდაღი - გრძელი და ღრმა თხრილი. ყანდაღი გათხარა დილიგი ღობესთან. ყანდაღ (აზ. განდახ)- (ღამბ.).

ყანმაზი - შეუგნებელი. რა ყანმაზ რაიმეერი.

ყანი ყობი - სისხლიანი ღელე საინგილოში.

ყანნი დერა - მთა. სისხლიანი მთა.დარქმევია მას შემდეგ, რაც მთიდან კაცი გადმოვარდა.

ყანჟიღი - ძუკნა ძაღლი. გადატ. ითქმის ადამიანზეც. ყანჟიღია, ჰეგი ერაგე ყანჟიღია, სრუ რაიმეს ქნევს ყანჟიღ (აზ. განჯიგ). ღამბ.

ყანტა - დიდი მოცულობის ფრინველი. გადატ. ითქმის ადამიანზე. ყანტა მამალი დამიკლა. ერ ყანტა რაიმია.

ყანღალი - ეკლიანი სარეველა მცენარე.

ეზოში ყანღალი ომოსულა.ყანღალ (აზ. განგალ) - ნარშაკი (ღამბ.); თეთრი ნარი (მაყ.).

ყაჩურა ქნა - ფილტვების ავადმყოფობით დასუსტება. ყანჩურა ქნილა, ყანჩურა დაჰჩომია, არ გაზდილა. ყანჩურად, ყანჩურად, ქნად, (ღამბ.).

ყანწუნ-ყანწუნ - წკმუტუნ-წკმუტუნით. ყანწუნოვს,ზაღლი ყანწუნ-ყანწუნ წავდა. ყანწუნოვად, კანწუნ (ღამბ.).

ყაპაჭონები - ყაპაჭოშვილების საგვარეულო შტო ს. მოსულში.

ყაპი - ობი, ფორი. ყოლი დაყაპებულა,

გადაყარე. ყაპ - (ღამბ., როსტ.); ყაპი, ყაპყი - ორი ღვინისა. ხავსი ჭაობისა. საერთოდ თხიერი ნივთიერებების ობი (მენთ.); წყლის ხავსი-ძიძ., კეცხ., ხუბ (ქართ.).

ყაპყაპი - მწვანე ფერის კალია. ყაპყაპი დამაჟდა კისერზე. ყაპყაპი- ყვითელი ფრინველი (კირ.).

ყაჟარი//ყაჟარ ჩაყრაჲ - საძირკველი, საძირკველის ჩადება. ყაჟარ ჰყრის, ყაჟარი არ ჩოუყრია ჟერ. ყაჟარ, ყაჟარიჲ, ყაჟარაჲ, ყაჟარი, უნაგირზე გადასაფარებელი. ფერადი ძაფებით იქსოვება (ღამბ.). ყაჟარი, ორთუქი, ცხენთ ზურგზე გადასაფარი (ჩუბ.), წერ., გიგ., თოფ., ქავთ. (ფშ.), მენთ.

ყაჟი - ღრმა არხი.ერ დიდ ყაჟი გაჭრა დილიგთან. ყაჟ (აზ. დიალ. გაჟ) -ღამბ., როსტ.;

ყარა - ხორციანი საჭმელი. ყარა გავაქითე.

ყარაბულა - შავი ფერის მწერია.ყარაბულები დაჰსევნია. ყარაბულაჲ, (ღამბ.).

ყარაბულდა - შავთავთავიანი ხორბალი. თავთუხი. ბაზრით ყარაბულდა იყიდა. ყარაბულდაჲ, (აზ.) - შავფხიანი თავთუხი (ღამბ.). (როსტ.)

ყარაგადანები - შავიშვილების საგვარეულო შტო ს. მოსულში.

ყარაგუნი - შავი დღე. თეთ ყარაგუნიბეი ინახავს. ყარაგუნ (აზ.) - ღამბ., ჯანგ.

ყარაზ - ერთი სიტყვით. როგორც იქნა, ყარაზ გოუწივეთ. ყარაზ (აზ. გარაზ) - ღამბ.

ყარაზი//ყარაზლუ//ყარაზლური - სამაგიროს გადახდა, გაბოროტებული. მე ყარაზ არ ვიჭერ

მაგაზე, ყარაზლუ არ ვარ. ყარაზლუჲ (ღამბ.); გარაზ (აზ.).

ყარალი - ნორმა, საკმარისი. ყარაზეა, სრუიბეი ერ ყარალი ქენე. ყარალ (აზ. ყარარ) - ღამბ.

ყარამათ დოუცია - ძალზე დადარდიანება. დაინახია, როგო ყარამათ დოუცია. ყარამათ - მძიმე დარდი (როსტ.).

ყარამალი - ძროხის ზოგადი სახელი. ყარამალი შენ გალლე, კაისა. ყარამალ (აზ. გარამალ) -ღამბ., როსტ.

ყარარი - გადაწყვეტილება. ყარარი ქნილა, გოვშო.

ყარაჩაი - მდინარე. ჩაედინება ალაზანში.

ყარაჩიჲ//ყარაჩიობა - მათხოვარი, მათხოვრობა. ყარაჩიოვს, ყარაჩი ეტარება ობაში, ყარაჩიობა ნუ გიყუარს. ყარაჩიჲ (აზ. გარაჩი) –(ღამბ.); ყარაჩი ალბათ ყარაჩელი, ბოშებზედ იტყვიან. გადატ. შავი ადამიანი (მენთ.).

ყარასაჰყიზი//ყარასახყიზი - შავი ფისი. ყარასაჰყიზი დასხი წუმა აღარ ჩავა.ყარასახყიზ, ყარასაჰყიზ (ღამბ., როსტ.).

ყარაშანბა - სარეველა მცენარე თავისებური სუნით. უჯანგრი. ყარაშანბაჲ (ღამბ., როსტ.); მაყ.

ყარიშულლუ - ერთად შერეული. თქენ სრუს ყარიშულლუ გეზახით ქორწილში. ყარიშულლ, ყარიშულლუ, ყარიშულლა (ღამბ.); ყარიშულლუ (იმნ.).

ყარმახი//ყარმალი//ყარმახი ჩოუგდა - ანკესი. გადატ. ბრჭყალის მოდება.ყარმახს უგევს, ყარმახით ჭიჭყანას ვიჭვერთ, ყარმახი ჩოუგდა. ყარმალ, ყარმახ, კარმახ (აზ. გარმაგ) - ღამბ., როსტ., ჯანგ.

ყარსავი - ცხელი და ჭაობიანი ადგილები. ყარსავ მიწაზე რა ნასულედი იქნება. ყარსავ (ღამბ., როსტ.); ჯან.

ყარტლიანი//ყარტლიან-ყარტლიან - ჭუჭყიანი, ტურტლიანი. მაგი ყარტლიან თავს მის აწონევს. ყარტლიან, ყარტლიან (ღამბ., როსტ.); ჯან., ჭინ., ვაჟა; ყარტლ - გულის სიბილწე და სიმყრალე საბა, ქეგლი; წყლისგან ქვებზე წარმოქმნილი ლორწოვანი მასა თამბაქოს წევის შემდეგ წარმოქმნილი მოყვითალო-მოყავისფრო ლორწოვანი მასა (ძოწ.).

ყარღიში - წყევლა. მაგათ ყარღიშით მინ გომუა.

ყასტიბეი//ყასტინან - განგებ, განზრახ. მე ყასტიბეი არ მეველე, ყასტინან არ დაგიზახა. ყასტიბე(თ), ყასტ, ყასტინან, ყასინდან (აზ.) - ღამბ., როსტ. ყასიდან -სხვათაშორის, ისე (მენთ.).

ყატი - სახლის სახურავისთვის გამოუყენებელი თირები. სახლიბეი ყატები მინდა. ყატ -აივნის ჭერზე გადებული მოკლე თირები, რაზეც ლამფა არის მიკრული (ღამბ.).

ყაუმ -ყარდაში//ყოუმ-ყარდაში - მოყვრები, ნათესავები. ჩემ ყაუმ-ყარდაში იყო. ყაუმ -ყარდაშ (აზ. გოჰუმ-გარდაშ) - ღამბ., ყაუმ- ყარდაშ (როსტ).

ყაუტ - იხ. ყალტი.

ყაჭყაჭი - კაჭკაჭი.ყაჭყაჭი კუდივი ქანოვს. ყაჭყაჭ (ღამბ., როსტ.)., ჯან.

ყაფანი - დიდი სასწორი. თხილი ყაფანზე აწონე. ყაფან (აზ.გაფან) -ღამბ; კირ.

ყაფალი - სარქველი, ხუფი. ქობ ყაფალი მოჰჯადე. ყაფალ (აზ.გაფაგ) - ღამბ. თავსახურავი - გიგ., თოფ. ქავთ (იმერხ.).

ყაშავი - სავარძელი მსგავსი ჯაგრის, რითაც ცხენს ასუფთავებენ. ყაშავით ცხენი გაწმინდა.

ყაში - წარბი. ყაში დაწდა იცის, პირ დაბანა არ.ყაშ (აზ.) - ღამბ., როსტ.

ყაშხა - ნიკორა, სინ. თეფალა. ყაშხა ზროხა არ დაგინახავა? ყაშხად, ყაშხად (აზ.გაშგა)- ღამბ., როსტ., ჯან.

ყაჭი - უვარგისი აბრეშუმის ჭიის პარკი. წელს ბევ ყაჭი იქნა. ყაჭ-მდარე ხარისხის, დამპალი და გაფუჭებული აბრეშუმის ჭიის პარკი (ღამბ.); ყაჭ-უხარისხო, თხელი გამჭვირვალე პარკი, რომელშიც ჭია მკვდარია ან პეპელა გომოსულია (როსტ.); ბოჟი გამოხარშული (საბა); აბრეშუმის პარკი, ბოჟი გამოხარშული. ყაჭის ჭია (ჩუბ.); საკერავ-საქარგავი მასალა (ჭინჭ. ხევს);

ყაჭ-აბრეშუმი - ქსოვილი აბრეშუმისა და ყაჭის ძაფისაგან (შარაშ); შალ-ყაჭი-შალისა და ყაჭის ნარევი ქსოვილი (წერ.); ყაჭა- აბრეშუმის ნართი (ქაჯ.). (მენთ.).

ყაჭყაჭს დააჩხავლებს - მეტისმეტი მჟავე საჭმელი. ჰეგი ერეგეთია ყაჭყაჭს დააჩხავლევს.

ყახაჟი -გამხმარი ხორცი, ლორი. ზამთარში ყახაჟი გავაქითე. ყახაჟ (აზ. გახაჟ) - ღამბ., როსტ.; ყალი - მზეზე გამხმარი ხორცი (შან. ვაჟა II, ჭინჭ. ვაჟა). მჭლესა და ცუდსა ვმელსა ჯორცსა ეწოდების (საბა), დამარილებული, გამხმარი ხორცი (ქეგლი); მარილში გამოყვანილი გამხმარი ხორცი (კაიშ.); დამარილებული ხორცი, ოდნავ თორნეში შემწვარი (მენთ.). კალი - ცხვრის ხორცი, დამარილებული და მზეზე გამხმარი ქეგლი (ფშ.), ყალი (უთურგ.).

ყაჰბა - კახპა, მეძავი. ყაჰბოვს, ყაჰბა ინსანი უნამუსოა. ყაჰბაჲ ნ. ყაბაჲ, ყაჰბაჲ (ღამბ.), როსტ., შან. რეც.

ყბა - პირი (ადამიანის), პირი (ჭურჭლის). ყბა დაგულე, ნუ გაგიღია , ქოთან ყბა მოჰჯეჩა. ყბაჲ (ღამბ., როსტ.).

ყბა აკუნა - გაჩუმება, გაყუჩება. მაგამ ყბა აკუნას ვერ დეეჩივა. ყბაჲ აკუნაჲ (ღამბ.).

ყბა გაჯმობა - პირის გაშეშება, გადატ. ხმის არ ამოღება. ყბა გამიჯმეს თუ კრინტი დავზარე. ყბაჲ გაჯმოვაჲ (როსტ.).

ყბა დაფანტა - ზედმეტი ლაქლაქი. ყბას ფანტავს, ყბა დაფანტა იცის. ყბაჲ დაფანტაჲ (ღამბ., როსტ.), ჯანგ.

ყბა ზეიტყენ - პირალმა, გულალმა. ყბა ზეიტყენ ეგდა. ყბაზეიტყენ (ღამბ., როსტ.).

ყბა თავქრ//ყბათავქე - თავდალმა, ქვევით. ყბათავქრ ჩომოჰკიდა. ყბათაქრ, ყბათავქე (ღამბ., როსტ.).

ყბა მიყოფა - ჩხუბი უშვერი სიტყვებით. ყბა მიჰყოფა უკან არ დაიწივა, ყბაჲ მინაყოფ (ღამბ.). ყბაჲ მიყოფაჲ (როსტ.).

ყბაჲ მოკრა - ქილის ან მეშოკის გამაგრება ხუფით, კანაფით. ყბა მოუკრა, ყბაჲ მოკრასუკან ვერ ამაიღევ შიგაითი. ყბაჲ მოკრაჲ (როსტ.).

ყბა მოსხნა -გაუთავებელი ლაპარაკი. გადატ. ხუფის მოხსნა. ყბა გოუხსნა, ყბა მოსხნა ალარ დააყენა, ბანკაი ყბა მოსხნა ყბაჲ მოსხნაჲ (ღამბ., როსტ.).

ყბაზე მონასული - რაც პირს მოადგა. ყბაზე მონასული უთხრა. ყბაზე მანასულ (ღამბ.).

ყბა-ყბაზე მიყოფა -გაცხარებული ჩხუბი უმსგავსო სიტყვებით. ყბა-ყბაზე მიყოფასუკან დაჰცილდი. ყბა-ყბაზე მიცემაჲ (ღამბ., როსტ.).

ყბაი შანახა - დადუმება, თავშეკავება. ყბაი შანახა დიახ კაი რაიმეერი. ყბაჲ შანახაჲ (ღამბ.).

ყბამდინ ავსებაჲ - პირამდე ავსება. ვედრა ყბამდინ აავსო. ყბამდინ ავსრვაჲ

(როსტ.).

ყეირი - გარდა, მეტი. მე შენ ყეირი მინდა მაქონ.ყეირი (აზ. გეირ, გაჲრ) - ღამბ., როსტ.

ყელ-ყური დაჭერა - სურდოს დროს ყელისა და ყურის ტკივილი. ყელ-ყური

ბითოვ დაჭერული მაქონ. ყელ-ყური დაჭერაჲ (ღამბ., როსტ.).

ყელყელობა - ფუფუნებაში ყოფნა. ყელყელოვს, დაინახია, როგო ყელყელოვს. ყელყელოვაჲ - ყელმოღერებით სიარული (ღამბ.).

ყელწიტა - ყელტიტველა ქათამი. ყელწიტა ქათამი გოქონ.

ყერყანტუ - ყარყანტო. მაგა ყერყანტუითი დავჭერ. ყერყანტუჲ (ღამბ., როსტ.). შან. რეც. ყარყანტო (საბა), ყარყანტი (ჩუბ.), ყაყრანტო (შან. ვაჟა IV), ყანყრატო, ყაყლანტო ძიძ., კეცხ., ხუბ. (ქართლ.), ჯანჯატო (მენთ.).

ყეფნი-ყეფნი - გადატ. თავისთვის რამდენიც უნდა ილაპარაკოს. ყეფნი-ყეფნი იდგეს, მაგა მინ უსმენს? ყეფნი-ყეფნი (როსტ.); ყეფუაჲ, ყეფნაჲ (ღამბ.). ნაყეფნ (ძოწ.).

ყიამათი - საშინელი სიცივე, გადატ. ჯოჯოხეთში გზა ჰქონია. ყიამათში წავდეს, ყიამათ სიცივეში მინ მუა?ყიამათში ნუ მუა. ყიამათ (აზ.)-ღამბ. ყიამეთი (ნიჟ.), ყიამათი - მეორედ მოსვლა - ძიძ. (იმერხ.) (აღდგომა, მეორედ მოსვლა), გადატ. დიდი ამბავი, განსაკუთრებული მოვლენა - გიგ. თოფ., ქავთ. (იმერხ.); ყიამათი ძალიან ბნელი - ძიძ., კეცხ., ხუბ. (ქართლ.); ძალიან ხმელი ყინვა და სიცივე (მენთ.); ყიამეთი ყიამეთი დარი - ჯოჯოხეთური ავდარი (შარაშ.); ყიამათი, ყიამეთი -ძნელი, უბედური, საზარელი, საშინელი (ქეგლი.).

ყიბლაჰ//ყიბლაზე დედექ - პირით მექისკენ. ლოცუაში ყიბლაზე დედექე.

ყიდუა - ყიდვა. ყიდლოვს, ჩემთუნ აიაჰყაბ ყიდუა არ დაიმირწყოთ. ყიდუაჲ, ყიდლოვაჲ (ღამბ., როსტ.).

ყივი - ღივი. ჩონ ხახ ყივი გოვშოვ. ყივ (ღამბ., როსტ.); ჯან., ჭინჭ., ხევს., ღივ (საბა) - ღივი (სან. ვაჟა IV), მენთ., გიგ., თოფ., ქავთ. (მოხ.).

ყიზყალაჲ - ქალის ციხე, ციხის ნანგრევი კახის რაიონში.

ყიზილი - ოქრო. მაგათ დიახ ბევ ყიზილი აჰყე. ყიზილ (აზ.) - ღამბ., როსტ.

ყიზილიქოჩრიანი//ყიზილქოჩრიან - ოქროს ქოჩრიანი. ჰეგი ყიზილქოჩრიანია.

ყიზილუზუმი - ვაზის ჯიში. წითელი ფერის ყურძენი. ყიზილუზუმი ზირ მინდა. ყიზილუზუმ (ღამბ.), ყიზილ ყიზილ ჰუზუმ (როსტ.).

ყითობა - ხელმოკლეობა, სიღარიბე. ყითოვს, მაგათ ეეხლა ყითობა აჰყე. ყითოვაჲ (აზ. გით) - ღამბ.

ყილჩიღი - პურის, ბრინჯის, თავთავის ფხა. პურში ბევ ყილჩაღი იყო. ყილ-

ჩიღ (აზ. გილჩიგ), ყილჩიღი ან ფხიანი (ღამბ.), როსტ.).

ყინტორა - იხ. ტინყორა.

ყინწიპი - ჭურჭლის სულ ზემოთა პირი. ღეროს ბოლო ნაწილი. ჩაინიკი ყინწიპი მოჰვეჩა, ფინთა ყინწიპში გასკდა. ყინწიპ, ყუნწუპ (ღამბ., როსტ.); თავთავის ყელი (ვკან.).

ყირიათი - ნამუსი, სინდისი. მაგა ყირიათი საა აქო. ყირიათ (როსტ.).

ყირიათიანი - ნამუსიანი, სინდისიანი. ყირიათიან ინსანია, მეგეშელება. ყირიათიანი (როსტ.).

ყირიათსუზ - უნამუსო. ყირიათსუზ ინსან რა უნდა უთხრო. ყირიათსუზ (როსტ.).

ყირი - ფისი, კუპრი.ყირი წოუსო ზურგზე. ყირ (ღამბ.).

ყირავი - თრთვილი, ყინული. ჟერ ყირავი

არ ქნილა. ყირავ (აზ. გიროვ) - ღამბ.; ყინული (ნიჟ.).

ყირმა - საფანტი. შოშიბეი ყირმა ლაზიმია. ყირმაჲ (აზ.) - ღამბ., როსტ.

ყირმუზი ქილისა - წითელი ეკლესია საინგილოში.

ყირინთუ - ნაკუწები, ნარჩენები, ნაწუვეტები. ცარიალ ყირინთუ იყო რაშ მინდა? ყირინთუჲ (ღამბ.).

ყირლაჩი - ირიბი, ელამი. ყირლაჩა არ მოჰჭრო, ყირლაჩა იჭრიტება. ყირლაჩ (აზ.) - ღამბ., როსტ.

ყირღინი - ჭირი, ავადმყოფობა, წყევლა. ყირღინმა ქათამი გაწყიტა, თქენამ ყირღინი მოგხტეს.

ყირხაიაღი - მრავალფენა. ყირხაიაღი მეეკრა ფეყზე. ყირხაჲაღ (აზ.) - ღამბ., როსტ.

ყისმათი//ყისმათსუზობაჲ - ბედი, უბედობა. ჩემ ყისმათი ჰეიგი იყო, ჩონ ყისმათსუზობას შაჰხე. ყისმათ (აზ. გისმათ) - ღამბ.; მენთ., შან. ვაჟა III; გიგ., თოფ., ქავთ. (ფშ.); ქეგლი. ძიძ., კეცხ. ხუბ. (ქართლ.); ქაჯ: ყისმათიანი-იღბლიანი (კაიშ.).

ყისირი - ბერწი, უზვი. ჩონ ზროხა ყისირი დაჰჩა. ყისირ (აზ. გისირ) -ღამბ., როსტ.

ყისირ მანაწოვნი - ხბო, რომელიც დიდია, მაგრამ ისევ წოვს. ყისირ მანაწოვნ ჯბო აქო. ყისირემან (როსტ.).

ყიტი - ჩხირი. უკმეხი სიტყვა. ადამიანი. ყიტი შაჰცა, ყიტ ჟულაბი უთხრა. ყიტ,

ყუტ, ყუტ-მუტ (ღამბ., როსტ.). კითი, კინთ (მენთ.).

ყიტყიტი, ყიტყიტა ლაპარაკი - უკმეხ-უკმეხი, უზდელური საუბარი. ყიტყიტოვს, ყიტ-ყიტ ლაპარიკ მეეში. ყიტ-ყიტ, ყუტ-ყუტ (ღამბ., როსტ.).

ყიყლინყოჩი - აიწონა-დაიწონა.ყიყლინყოჩზე არ შამაჟდინა. ყიყლინყოჩ (ღამბ.,

როსტ.).

ყლუმპი-ყლუპი. ერ ყლუმპი ვერ ჩავთქი, თავზე დამადგა.

ყლურწი - ყლუპი. ერ ყლურწი არ ჩამაყლაპინა. ყლურწ (ღამბ., როსტ.).

ყმაწილი დალაჯა - ორ ოჯახში ერთდროულად ბავშვის დაბადებისას ერთი მეორესთან ბავშვის სანახავად არ მიდის, რადგან რელიგიური რწმენის მიხედვით მისი ბავშვი გართულდება. ჩონ ვერ მუალთ ყმაწილი დალაჯება. ყმაწილი დალაჯად - წეს-ჩვეულების რიტუალი, რომელიც სრულდება ბავშვების ბასმით დაავადების დროს (ღამბ.).

ყრუვი - ყრუ. ყრუვი ხარა, ვერ იგევა იზახიან. ყრუვ (ღამბ.); ყრუვი -გიგ., თოფ., ქავთ. (კახ.-ქიზ.).

ყოვ - ყვავი. ერ ყოვი მოკლა. ყოვ (ღამბ., როსტ.); ჯან., შან. ვაჟა III; გიგ., თოფ., ქავთ. (ფშ.); ჭინჭ. ვაჟა; ქაჯ.

ყოვილა - ყვავილა (ავადმყოფობა). პატრა ქნაში ყოვილა არ ომოუჭრიაყე ჩემბეი. ყოვილად (ღამბ., როსტ.); ჯან.

ყოვილი - ყვავილი. ერ კონა ყოვილი დეეკრიფა მინდრით. ყოვილ, ყოდლ (ღამბ., როსტ.).

ყოთური//ყოთურიანი - ქეცი, მუნი, ქეციანი. ჩონ ცხორ ყოთური შაჰყრია. ყოთურ (აზ. გოთურ) -ღამბ., როსტ. ყოთური - ცხენის კანის ავადმყოფობაა -ძიძ., კეცხ., ხუბ. (ქართლ.).

ყოიმი//ყოიმობა - ნათესავი, ნათესაობა. ჰეიგი ჩემ ყოიმია, მაგამ ყოიმობა არ იცის.ყაუმ (ღამბ.), გოუმ (აზ.).

ყოუმ-ყარდაში - ნათესავები, მოყვრები. ქორწილში ყოუმყარდაში დოუზახე. ყაუმ -ყარდაშ (ღამბ., როსტ.).

ყოლი - ყველი. დღეს ყოლი გოგითავდა. ყოლ (როსტ.).

ყოლაი - ხერხი, მიდგომა. ყოლაი არ აქონ, ყოლაი არ მამდის.

ყოლაისუზ//ყოლაითი - ხერხი, მიდგომა. არ ეხერხება, მოუხერხებლად.მე ყოლაი არ მაქონ, შენ ქენე, ერაგე ყოლაითი გააქითა, დიდხანს გააზლომია. ყოლაისუზა ნუ ხარ. ყოლად, ყოლად არ აქ, ყოლად არ მამდის, ყოლაითი (ღამბ.); ყოლაილუე, ყოლაისუზ (როსტ.).

ყოლთული - იღლია. დოშაგი ყოლთულქე ამაიდო, წაუდა. ყოლთულ (აზ. გოლთუგ) - (ღამბ.).

ყოლთული ჟიბე - გულის ჯიბე. დედა თეთრს ყოლთული ჟიბეში ინახავდა. ყოლთული ჟიბეე (ღამბ.).

ყონაღი//ყონაღლულობა - სტუმარი, სტუმრობა. თქენსა ყონაღა მოუდი, თქენ ყონაღლულობას ვერ გოდუჩებით. ყონაღ, ყონაღლულ, ყონაღლოვად (ღამბ., როსტ.).

ყონდაღი - თოფის კონდახი,გახვეული ბავშვი ხელში დასჭერად. თოფი ყონდაღი ჩაჰცა თავში, ყონდაღში გომოჰკრა ყმაწილი. ყონდაღ (აზ. გუნდაგ) -ღამბ., როსტ.

ყონლურა წუმა - წვიმის მსხვილი წვეთები. ყონლურა წუმარი არ გადაიღევს.

ყონლური - ჟღარუნა მძივი, საქონელს კისერზე უკეთებენ, რათა ადვილად

მიაგნონ. ყონლური ჯმაზე მივდით. კონლურად, ყონლურად (ღამბ.).

ყორამა კარები - ორფრთიანი, მოჩუქურთმებული კარი. ყორამა კარები შავაკრევნე.

ყოროღანი - სოფელი კახის რაიონში.

ყოროღი - სათიბი ადგილი, ნაკრძალი. ჩონ ყოროღში არ შახიდო. ყოროღ (აზ. გორუგ) -ღამბ., როსტ. შან. რეც.., მენთ., ნიჟ., კორული-საბალახო (ბერ.); ხამი საძოვარი ყორული (მარტ.-იმნ.), ყორული- ცხვარის ბინის მახლობლად შემოღობილი საძოვრები, სადაც ცხვარსა და ბატკანს აძოვებენ (კაიშ), ნაკრძალი (ქაჯ.), ძიძ., კეცხ., ხუბ. (ქართლ.), დაწინდული (ჩუბ.), აკრძალვის ნიშანი - გიგ., თოფ., ქავთ. (კახ.-ქიზ.).

ყორყოტი - ყარყატი. ყორყოტი გადაფრენა დაგინახავა. ყორყოტ (ღამბ., როსტ.); წერო, ყარყატი (ჯან.).

ყოტი - მწვანილის, ხახვის ალაღებული ღერო. ხახ ყოტი გოვშოვ.

ყოტყოტა - მამალი ქათამი. ყოტყოტა დაკლა.

ყოტ-ყოტ - მამლის გასაქცევი შეძახილი. ყოტ-ყოტ, წაი დაიკარგე! ყოტ-ყოტ (ღამბ., როსტ.).

ყოყინი//ყროყინი -ვირის, კამეჩის ხმიანობა. ყოყინოვს, ვირი ყროყინი გავგი.

(როსტ.). ჩოფუზ - ქეჩისგან შეკერილი თბილი ჩასაცმელი (ღამბ.).

ჩოფური - ნაყვავილსახიანი, შეუხედავი, დაბალი ადამიანი. ერ ჩოფურ ინსანია.ჩოფურ (აზ.) როსტ., ღამბ., მენთ., ჩოფურა (კირ. ჭყ.).

ჩოქაქ ბამბები - საძოვარი სოფელ მოსულში.

ჩოქაქი - ჩაღრმავებული, ორრო-ჩორრო ადგილი. ბოსტნიბეი ერ ჩოქაქ ადგილი მინდა. ჩოქაქ (აზ. ჩოქაქ) (ღამბ.).

ჩოყოყო - ჩიჩაყვი, ჩივი, ღაბაბი. შაჰხე, როგო ჩოყოყო დოუშია, ჩოყოყო დანახითავ დოხტურთან წაი. ჩოყაყ (ღამბ.); ჩუყაყ (ვკან.), ჩუყაყი - საქონლის ავადმყ.(ქეგლი).

ჩოჯა - ჩოხა. ადრე ჩოჯას იცომდნენ. ჩოჯაჲ, ჩოყაჲ (ღამბ.) ჩოყაჲ - მარცვლის ბუდე (როსტ.); ჩოყიან - ჩოხიანი; კილიანი მარცვალი (როსტ., შან. .რეც.). ჩოჯა (შან. ხევს; უთურგ.).

ჩუ - ხის ან რკინის სოლი. ცხენი კანაფი ჩუიზე დაამბა.

ჩუჲ - კარზე ხის პატარა რიკი კარის დასაკეტად; იგივეა, რაც კორაჲ, მნიშ. ურემში ხის პატარა რიკი დანდლების დასამაგრებლად (ღამბ.). ჩუჲ (როსტ.). იხ. საბა, ჩუბ. ჭანჭიკი.

ჩული - ქვეშ დასაგები რაიმე ნაჭერი. ცხენი ჩული მამილი.ჩულ (აზ.) - მძიმე პალტო ან სხვა რამ თბილი ჩასაცმელი (ღამბ.); ჩულ - სხუათა ენაა, ქართულად სახურავი (ცხენთა და ძაღლთა)- საბა., ცუდი ფიჩვი, ან ცხენთა სახურავი (ჩუბ.), ცხენის სახურავი, უნაგირის მოხდის შემდეგ დაღლილ, გაოფლიანებულ ცხენს გადააფარებენ, რომ არ გაცივდეს, ხალიჩასავითაა (მენთ., უთურგ., ქაჯ., შან. ვაჟა III).

ჩუთი - წყვილი. ჩუთი იქნოს, თექი არ. ჩუთიჲ - ზველი ქართული აბაზიანები, მოსართავად ხმარობდნენ (ღამბ.).

ჩუთ საბური - წყვილად დაცემინება. ჩუთ საბური მაშნიან.

ჩუკჩუკობა// ჩუკჩუკი - ჩურჩული. ჩუკჩუკოვს, მალივი ჩუკჩუკობა რაიბე იცი? ჩუკჩუკოვაჲ, დაჩუკჩუკოვა (ღამბ.); ჩუკჩუკი, ჩუქჩუკი (მენთ.), ჩუქჩუქი - სიტყვის მიტან-მოტანა (შარაშ.).

ჩული - ჩვილი, ფაფუკი. ცომი ჩული ქნილა. ჩულ (ღამბ.).

ჩუმა - აუდუღარი რძისგან შედედებული მაწონი. ჩუმა დამიგრიებია ოგეიმა ჰდლობავ. ჩუმაჲ -ჭირი, გადამდები ავადმყოფობა, ძნელად მოსარჩენი (როსრ., ღამბ., მენთ.). უმი ერბო (საბა), ნაღების კარაქი (ჩუბ.).

ჩუნგური - ჩონგორი. ჩუნგურზე ღეროვდა ჩემ ზმა. ჩუნგურ (ღამბ., როსტ.).

ჩუნგური ქელიანი - გადატ. ოვალურთავიანი ადამიანი. ჰეი ჩუნგური ქელიანი სა გადაიხორწა? ჩუნგური ქელიან (როსტ.).

ჩუნქი - იმიტომ რომ, ვინაიდან, რადგანაც. ისიც ჩუნქი არ მუა. ჩუნქი - ნ. ჩონ-

ქი (ამბ., იმნ.).

ჩუნტი-ჩუნტი - ჩიჩქნა- ჩიჩქნით. ჩუნტი-ჩუნტი დგას, მოჰჩეს. ჩუნტი- ჩუნტი (ღამბ., როსტ.).

ჩუპე - ჭიპი. ეხლა ჩუპეს აჩენენ ქალები. ჩუპე (ღამბ., როსტ.); ჯან., იმნ. ჩუმზე - მუცელი დაშვებული(საბა); ჩუმპი - გაბერილი მუცელი, ღიპი (ალავ.), ქავთ. ძოწ.

ჩურჩა ქრივალი - ქლიავის ჯიში. კურკა ადვილად სცილდება. ჩურჩა ქრივალი მაქონ დაკრეფელი. ჩურჩა ქლიავ (ღამბ., როსტ.); ჩურჩა (საბა, ჩუბ., ქეგლი), ჩურჩა ქლიავისა (მენთ.).

ჩურჩი - ქლიავის ან შინდის ჩირი.წელს ჩურჩი არ მაქონ. ჩურჩ (ღამბ., როსტ.). იხ. საბა, ჩუბ. ქეგლი.

ჩურუქი - დამპალი. ჩურუქ ქოთუქი მამცა. ჩურუქ - საზამთრო საძოვრის ბალახი აჟინაურში (შინამრეწ.). ჩურუქ -დამპალი; საზამთრო ბალახის საძოვრის ბალახი (როსტ.).

ჩურუქი - მთა კავკასიონის ქედზე.

ჩუტა - ფშუტე, ცარიელი მარცვალი. სიმიჩქა ბევრისთანა ჩუტა ქნილა. ჩუტა (ღამბ., როსტ.). იხ. ბჟიტ, შდრ. მენთ. ჩუტი. ჩლუტი - დაფუყებული, დასუსტებული (კირ.).

ჩუჩუნა//ჩუჩუნ-ჩუჩუნ - ზანტად მომუშავე. ჩუჩუნოვს, მაგი ჩუჩუნა თავ, რას იფასევს. ჩუჩუნად (ღამბ., როსტ.); იხ. საბა; ჩუჩუნა ჩუბ., მენთ., ქავჯ.; გაჩუჩუნება - ძიძ., კეცხ., ხუბ. (ქართლ.); ჩუჩ ; გაჩუჩვა (შან. ხევს.), იჩუჩება, გაჩუჩუნდება; შეჩუჩუნდება (ჭინჭ. ვაჟა).

ჩულუნდური - ჭარხალი. ჩულუნდურ გაამარგლელა წეველეთ. ჭერხლ - თრთვილი (როსტ.). იხ. საბა, ჩუბ. მენთ. ჭირხლი, ჯან. ჭერხილ.

ჩხიპ-ჩხუპი - წვრილი ჯაგი. ჩხიპ-ჩხუპი ერთა დააგროვე. ჩხიპ-ჩხუპ - იგივეა, რაც წკირ-წკურ (ღამბ.).

ჩხიტქებებიანი - წაწვეტებულრქიანი საქონელი. ჩხიტქებებიან ფური მასულია. ჩხიტქებებიან (ზროხა) - ღამბ.).

ჩხლართვა - უთავბოლოდ რამის კეთება. ჩხლართავს, არ ვიცი, რას ჩხლართავს.

ჩხლაფუნი - წყალში მოძრაობით გამოცემული ხმა.ჩხლაფუნოვს, მაგი ჩხლაფუნი მოსმენი დრო არ მაქონ. ჩხლამფუნ. ჩხაფუნ (ღამბ.).

ჩხლინკი//ჩხლინკობან - ჩილიკა. თამაშის სახეობა. რიკ-ტაფელობა, გამხდარი ადამიანი. ერ პატრა ჩხლინკი გააქითა, ჩხლინკობან სათამაშლა წავდეთ. ჩხლინკობან - ჩხინკობან თამაშოვად, ჩხლინკ (ღამბ.). ჭლინკ- ხეში გასაყარი, სოლივით გათლილი ჩხირი, როსტ. შდრ. მენთ. ჩლინკი.

ჩხუკი - ჩხიკვი. ჩხუკი გოდმოფრინდა ჩონ ეზოში. ჩხუკ (როსტ.). იხ. ჯან., მენთ., ჩხვინკი.

ჩხუნკინები - ჩხიკვაძეების საგვარეულო შტო სოფელ მოსულში.

ჩხუტი - წვეტიანი ჯოხი. ჩხუტით

შითილს ყრით ჩხუტ (ღამბ., როსტ.); ჯან.; ჩქუთი, ჩხუტი - ხის ჭურჭლის გულის გამოსაღები იარაღია, მოხრილპირიანი (მენთ.) ჩქუთი - ძელთ ამოსათლელი (საბა). საჭურეთელი (ჩუბ.).

ც

ცალაპერანგა - პერანგის ამარა. ღამით ცალაპერანგა გავდა ეზოში. ცალაპერანგაჲ, ცალაპერანგოჲ (ღამბ., როსტ.).

ცამ-ცარიელი - სულ მთლად ცარიელი. ცამ-ცარიელი დაბრუნდა. ცამ-ცარიალ (ღამბ.); ცარიალ-ტარიელი (შან. რეც.), გიგ., თოფ., ქავთ. (გუდამაყ.).

ცანცაროვს - ცანცარით სიარული. ცანცარი, თავიბეი ზლივ-ზლივ ცანცაროვს.

ცარიალი - ცარიელი. ერ ცარიალ ქობი მამიღი. ცარიალ (ღამბ.).

ცარცაფუტა - ცერცეტი, თავქარიანი. ცარიალ ცარცაფუტა რაიმეერი. ცერცაპეტაჲ (ღამბ.) ცარცაბუტა (მენთ).

ცარუნები - ცარუშვილების საგვარეულო შტო ს. ალიაბადში.

ცაცა - ბავშვის მოსაფერებელი სახელი. ჩონ ცაცა დიახ ჭკიანია.

ცაცუნი - ხელის ცეცება. ცაცუნ-ცაცუნ, ჯელი ცაცუნით მიდის. ცაცუნი - ხელის მოსმა (ი. აბ.).

ცახი - გამხმარი მცენარის კონა. იყენებენ აბრეშუმის ჭიის დასაცახად. ჭიას ცახით ვცახავთ. ცახ (ღამბ., როსტ.).ჯან., ცახი ან ფიჩხ., რაზედაც აბრეშუმის ჭია პარკებს აბამს (კირ.); ცახის ბალახი (მენთ.), ცახი, ჩხი-საჭიე კონა ბოჟისათვის (საბა), ბალახეულის კონა ან ფოთლებიანი ფიჩხი, რომელსაც უდებენ აბრეშუმის ჭიასპარკის გასაკეთებლად (ქეგლი. ძოწ.).

ცეციანი//ცეციან-ცეციან - სწრაფი, სწრაფად. ცეციან-ცეციან საქმეს ნუ აქითევ, არ გითხარია? ცეციან, ცეცი - შტერი (ღამბ.); ცეციან-ცანცარა, ცერცეტი (როსტ.); ცეციან: ცეციანოვს - აქეთ-იქით იცეცების (ჯან).

ცეცხლი დადება - ოჯახის საძირკველზე ცეცხლის დანთება. ჟერ ცეცხლი დადება ვერ მოგიჰწროვ. ცეცხლი დადევაჲ (იმნ.).

ცეცხლისმა - ფიცილია. ცეცხლისმა, მე არ წამიღია. ცეცხლისმა (ღამბ.).

ცეცხლიპირი - ოჯახის შემადგენლობის თავშეყრის ადგილი. ცეცხლიპირს შომუჟდნენ.

ცეცხნავთი - ძალიან სწრაფი და ყოჩაღი. მაგათ ზალი ცეცხნავთია.

ციბრიკი - ბიჭის სასქესო ორგანო. ყმაწვილი ციბრიკი ჟერ არ მოუჭრიაყე. ციბრიკიჲ ნ. წიბრიკაჲ (ღამბ.).

ციდა//ერ ციდა - მანძილი დიდ თითსა და საჩვენებელ თითებს შორის. ერ ციდა მიწას არ მოგცემ.

ცივყური - მინდორი ს. ალიაბადში.

ცისანგუ -წამოწვიმება. დილაისუკან

ციანგუ იყო.

ციცნა - ჭრაქი. ღამის პატარა ლამფა, ხმარობდნენ ეზოში პატრუქად. ქურაზე დედა ჰამეშა ციცნას ანთევდა. წიჰწაბურა - ღამის პატარა ლამფა (როსტ.)

ციცო - კატა. ჩონ ციცო შაჰრეში გადის. ციცო (ღამბ.), შან. რეც.

ციცონები - ციცოშვილების საგვარეულო შტო სოფელ ალიაბადში.

ცმაცუნი - ტუჩების მოძრაობა. აცმაცუნევს,ზლივ დოდაღევ აცმაცუნევს.

ცორი//ცორ-ცორ - ცვარი, წვეთ-წვეთად.ჟერ ცორი არ გამშრალა, ცორ-ცორ ნუ ჰკაჭავ. ცორი, ცორ-ცორ, ცორ დაყრაჲ (ღამბ., ქაჯ.).

ცოტა დაჰჩა - იგივეა, რაც პატა მორჩა. ცოტა დარჩა არ წეველე. ცოტა დარჩა (ღამბ.).

ცომი ხორაგი - ცომისგან დამზადებული საჭმელი. ცომი ხორაგი გამიქითა. ცომი ხორაგ (ღამბ., როსტ.).

ცომი გუნდა - ერთი პურის გამოსაყვანი ცომი. ჟერ ცომი გუნდა გააქითე, მემრე დააკარე. ცომი გუნდაჲ (როსტ.).

ცომი სუფრა - ცომის ვარცლზე გადასაფარებელი ნაჭერი. ცომი სუფრა მამიღი. ცომი სუფრაჲ (როსტ.).

ცოტახნიბეი - ცოტახნით. შენ ლაფატკა ცოტახნიბეი მემეცელა. ცოტახნიბე (ღამბ.).

ცოტ-მოტა - იგივეა, რაც ცოტა-ცოტა. ერ ცოტ-მოტა იქნა. ცოტა-მოტაჲ, ცოტა-მატაჲ (ღამბ.). ცოტმატაჲ. გიგ., თოფ., ქავთ. (თუშ.), ცოტამატა (ქეგლი).

ცოცოლაანები - ცოცოლანების საგვარეულო შტო სოფელ მოსულში.

ცოცხობან წასლა - ცოცხის დასაკრეფად წასვლა. გუშინ ცოცხობან წევეღეთ. ცოცხობან წასლაჲ (ღამბ.).

ცოჰ-ცოტა - ცოტა-ცოტა. დასხმაში ცოჰ-ცოტა ქენე. ცოჰცოტაჲ, ცოცოტაჲ (ღამბ.); ცოტა ცოცოტა (შან. ხევს.).

ცრიფინები - ცრიფაშვილების საგვარეულო შტო ს. მოსულში.

ცრიხი//ცრიხიანი - ელამი. მაგი ცრიხ ქალი მის რაში უნდა. ცირიხ - ელამი (ღამბ., ჯან.).

ცრუვი - ცელქი, მოუსვენარი. ცრუვ ინსანი მე დიახ არ მომწონს. ცრუვ (ღამბ., როსტ.).

ცუკცუკოვს - ძუნძულით სიარული. ცუკცუკი,ზლივ-ზლივ შინ ცუკცუკოვს.

ცუნცურობაჲ - ცუნცული. ცუნცუროვს, რას ცუნცუროვ არ ვიცი. ცუნცუროვაჲ, ცუნცურ (ღამბ.).

ცუნცურ-ცუნცურით - ცუნცულ -ცუნცულით. ცუნცურ-ცუნცურით ელოდებოდა დროს. ცუნცურ-ცუნცური (ღამბ.).

ცური - ჯიქანი. ტალახიან ცური დაჰბანე. ცურ (როსტ.).

ცურ დაზრა - საქონლის მოსაგებად მომზადება. ცური დოუზრავ,შენ ზრობას ცური დოუზრავა? ცურ დაზრაჲ (როსტ.).

ცურცანები - უბანი სოფელ ალიაბადში

ცუცური - მამაკაცის სასქესო ორგანო. მე მაგი ცუცური ვერ დამინახავ. ცუცურ (ღამბ.).

ცურცნუს - ძარცვავს.გაჰცურცნა, ზალი-ზალი ცურცნუს.

ცუცქი//ცუცქია - მოძრავი, ცქვიტი. ჰეგი არ დაიკარგება ცუცქია. ცუცქ, ცუცქ (ღამბ., როსტ.), ციცქი - ცელქი (იმნ.), ციცვი (მენთ.).

ცუცქილუბანი - სოფელ ალიაბადის ერთ-ერთი უბანი.

ცუყი - ციყვი.ტყეში ერ ცუყი დავნახე. ცუუ (ღამბ.).

ცხელობა - ციებ-ცხელება, მალარია. ცხელობა ჟერ არ შაჰყრია.ცხელოვაჲ (ღამბ., როსტ.).

ცხენი გრლი - მოწითალო შხამიანი გველი. ზროხაში ქნაში ცხენი გრლი მოკლა. ცხენი მგოლ, ცხენიგრლ (ღამბ.); გოლ, ცხენიგელ (ჯან.).

ცხენითავა - კომშის ჯიშია. ცხენითავა კომში ზირი ჩავჰდგი.

ცხილიანი ყოროლები - მინდორი სოფ. ითითალაში.

ცხრუება - კანკალი, ცახცახი. აცხრიევს, ცხრუება აქონ ჯელევში. ცხრუევაჲ, დაცხრუევაჲ, დაცხრუევაჲ, დაცხრუოვაჲ (ღამბ., როსტ.); ცხროება (შან. ვაჟა III), აცხრუებს (ჭინჭ., ვაჟა, ქავჯ.),ცხოვა, ცხოვის (კაიშ.), ცხრო -ციების სენი (საბა, ჩუბ.), გაცხრუება - ციების, მალარიის შეტევა; -გაციება (ნიჟ.).

ცხური - ცხვირი. ცხური აპრეცია ჟერ არ უქნიაყე. ცხურ (ღამბ.)

ცხურით მეგედინოს - წყევლა. ჩემ მანაცემ პური ლუკმა ცხურით მეგედინოს. ცხურით მეგედინას (როსტ.).

ცხური გორუქი - ცხვირის ნესტო. ცხურუ გორუქები არ ჩანს. ცხურუ ქორუქ (ღამბ.).

ცხურით მოდენა - გადატ. ჩაშხამება, წაშხამება. ჰენგრე მანაგებ ცხურით მოდენაც აქონ. ცხურით მოდენაჲ (ღამბ.).

ცუცქული//ციცქილი - წისქვილი. ცუცქულში მაქონ საფქოვი. ცუცქული, (ღამბ., როსტ.). ცუცქული, ცუცქული, ცუცქულ, ცუცქუულუ ქუებ (შან. რეც.).

ცხორი - ცხვარი. გადატ. სულელი, ჭკვანაკლები, მოხეტიალე ადამიანი. რა ცხორივი ეტარები? ცხორ (ღამბ., როსტ.); გიგ., თოფ., ქავთ. (მოხ.) კაიშ. ქავჯ.

ცხურ ჰწევს - უარს ამბობს, არ სურს. ჰეგი ჰამეშა სრუ რაიმზე ცხურ ჰწევს.

წ

წააკიდნელ//წაკიდება - საჩხუბრო. წააკიდნელი რა აქო მითხროს.წააკიდნელ (ღამბ., როსტ.).

წაასლოლა - წასასვლელად. წაასლოლა ჟერ ჰაზირი არა.

წაასლოლი - წასასვლელი. წაასლოლი სხო არ მაქონ. წაასლოლი (როსტ.).

წააყონელი - წასაყვანი. წააყონელი ჟერ არ წოვყონიაყე. წააყონელ (როსტ).

წაბლიანი - მთა კავკასიონის ქედზე, სოფ. ყუმთან ახლოს.

წაგლასუნება - წასმა, გახახუნება. უგლასუნევს, პურზე ქონი წაგლასუნება უყუარს, ზალი-ზალი წაგლასუნება იცის.

წაკიდება - გავკავრება, გაბრაზება. წაჰკიდებია, ყმაწილიბეი წაკიდება რაიბე იცი? წაკიდევაღ (ღამბ., როსტ.).

წაკიდნა - ჩხუბი, წაჩხუბება.წაკიდნებულან, ზალი-ზალი წაკიდნა უნდა. წაკიდნა (ღამბ., როსტ.).

წაკრა//წაჰკრა - მოპარვა. სასმელის მიღება.ნაგახტან წაკრაც არი, ერ პუტლიკა ღუნე წაჰკრა, წავდა. წაკრაღ (ღამბ.); აკვრა (მენთ.).

წაკუნტა - წელში მოხრა, წახრა.წაკუნტულ, რომ წაიკუნტები უგეიმაშინ გეტყი. წაკუნტაღ (როსტ.).

წაკუნტულ ბებერი მოუდა თქენსა. წაკუნტულ ბებერ (როსტ.).

წალამი - სამყნედ მოჭრილი ნორჩი შტო. ერ-ორ წალამი მამიღი, კაისა.

წალდი - ფიჩხის საჭრელი იარაღი. ალიაბათით წალდი ვიყიდე.წალდ (ღამბ.).

წალდი ყბა - წალდის საჭრელი მხარე. წალდი ყბა კარგა გალესე. წალდი ყბაღ (ღამბ., როსტ.).

წალდ დაგებაღ - წალდის ტარში ჩასობა. წალდი დოუგა, წალდი მაქონ დააგებელი. წალდ დაგევაღ (ღამბ., როსტ.)

წამნასხამი - მოსასხამი. წამნასხამ კატარი მამიღი. წამნასხამი (ღამბ., როსტ.)

წანასულ-მანასული - წამსვლელ-მომსვლელი. თქენსა ბეურ წანასულ-მანასულია. წანასულ-მანასულ (ღამბ.).

წანატან - წაღებული, წამღები. წანატან ცული არ მოგიღია. თოყი წანატან კაცი მოუდა. წანატან (როსტ).

წანაწოდ - გამომრობილი. წანაწოდ თოყი მინდორში არ დააგდო. წანაწოდ (როსტ).

წარე - მწარე. წარე კიტრი არ იყიდო.

წაპერანგება - ეკლის თხლად დაფენა,

დაჭრა. ნათესის თხლად ალაგ-ალაგ ასარვა. ბრული აქა-იქ დავაყარე, წავაპერანგე. წავაწერანგევაღ (ღამბ.). წავაწერანგვა (მენთ.).

წარაბაკანა//წიწკანა - ღობემძვრალა, ჭინჭრაქა ჩიტი. ერ პატრა წიწკანა ჩიტი ღობეში შაზრო. წარაბაკანა - . გადატ.

დაბალი ტანის მკვირცხლ ადამიანზეც იტყვიან მეტსახელად (როსტ.). წარაბაკანა (ღამბ.); ვან., წრაპაკანი - ყოელთა სირთა უმცირესია (საბა), ჭინჭალა (ქეგლი. გურ.).

წარაკუა - ჩია, სუსტი, პატარა ადამიანი.ერ წარაკუა რაიმეერი. წარაკუჲ (ღამბ.).

წარაფი - ვიწრო ნაკვეთი მიწისა. ერ წარაფი მოჯნა. წარაფ- ვიწრო ჩანახევი ნაჭერი უნაწიბურო (როსტ.).წარაფ (ღამბ.); წურილი მოგრძო ტყე (საბა), ჭურილი და მოგრძო ჭალა ტირიფისა (ჩუბ.); წვრილი ტყე სადმე ნინდვრიანში, ღელის პირად, ტანაყრილია, ხუთიოდე წლისა თუ იქნება (მენთ.); დაბლა კლდე, წაგრძელებული (შან. ვაჟა III); წაგრძელებული დაბალი კლდე; პატარა მოგრძო ტყე; ორ ნახევს შუა დარჩენილი მოუხნავი კვალი (ქეგლი). უბე ოდნავ ჩაღრმავებული ადგილი მთის ფერდობზე (ხშირად ტყიანია) უთურგ.

წართმა - წართმევა. წაართო, ართომს, წართმა ჰადჟლია, მიცემა ჟაფა არი. წართმაჲ (ღამბ.)

წარე-ბალღამი - ძალიან მწარე. წარე-ბალღამი იყო პირზე ვერ წაიღევდი. წარე-ბალღამ (როსტ.).

წასულა//წასლა - წასვლა. ნაგახტან წასულა შინ. წასულაჲ, წასლაჲ (ღამბ.).

წასლუ-წასლუ - თან მიდის თან არ. წასლუ-წასლუ მებნება. წასლუ-წასლუ (ღამბ.).

წატანა - იგივეა, რაც წაღება. მიჰტანს, წატანა იცი, მოტანა არ. წატანაჲ (ღამბ.).

წატყუებაჲ - მოტყუება. ატყუევს, მაგამ წატყუება კარგა იცის. წატყუევაჲ (როსტ.).

წაფუშა- წაშლა, გადაშლა. ფუშავს,დანაწერი სრუ წაფუშა. წაფუშაჲ (ღამბ.).

წალან - ახლას წინ, წარსულში. წალან გითხარე წაიღი - მეთქი. წალან (ღამბ., როსტ.).

წალანდელ დროზე - ძველად, წინათ. წალანდელ დროზე კაი ცხოვრება იყო. წალან დროზე (ღამბ.); წალან დრო - ძველი დრო (როსტ.).

წაჭყანტურება//მოჭყანტურება - ყელში მოჭერა. უჭყანტურევს, მაგა წაჭყანტურებაც აქონ.წაჭყანტურევაჲ - იხ. მოჭყანტურევაჲ (როსტ.).

წაყონა - წაყვანა. მაგითავი წაყონა არ უნდაყე. წაყონაჲ, წაყუნაჲ (ღამბ.).

წაწდა//წაწუდა - წაძრობა, გაძრობა. წდუს, ნაგახტან ხანჟალი წაჰწუდა, შაჰცა. წაწდაჲ, წაწუდაჲ (ღამბ., როსტ.). იხ. წაყრა.

წაწინები - წაწიშვილების საგვარეულო შტო ს. ალიაბადში.

წახევა - ნაჭრის ჩამოხევა, შეხვევა. წაჰხივა, პატრა ადგილა წახევა უნდა, მაგამ მალივი წახევა იცის. წახევაჲ (როსტ.).

წაჯდომა - გახდომა, გაფუჭება. წა-

მჳდარა, წაჳდომასუკან დაგინახავა, ზაფხულში გარე დანარჩომ საჭმელმა წაჳდომა იცის.წაჳდომა (ღამბ., როსტ.). შდრ. წახდომაჲ (საბა).

წაჰკრა - სასმელის დალევა. ცოოტა წაჰკრა მოუსო.

წაჰწუდ - გასწი აქედან, მოუსვი! ჰაბა წაჰწუდ ეიქაი. წაჰწუდ - გასწი აქედან, მოუსვი (როსტ.).

წელნასტენი - წელგამოშვებული. წელნასტენ ჰეივანი იყიდა დააკლელა. წელნასტენ (ღამბ.).

წელვანდელი//წლევანდელ - წლევანდელი.წელვანდელ საქონელია. წელვანდელ (ღამბ.).

წერეთელ თახთ// წერეთელ ტახტ - ადგილის სახელია კახის რაიონში.

წიატუა - საბავშვო თამაშია. პატრა დროზე წიატუას თამაშოვდით. წიატუაჲ -თამაშის დროს მოგება და სხვისი დამარცხება (როსტ.).

წივა-წივა - დამსხვრევა, ნაკუწ-ნაკუწებად ქცევა. ჯელით გამივარდა ქასა, წივა-წივა წავდა. წივა-წივა (ღამბ.). დაშლა, დაქსასვა (ჳკან.), წივაწივა - ხე რომ გაიპატრება მრავალ ნაწილებად (ჳკან.); წივი-პატარა ნაკვერჩხალი (კაიშ.).

წივანა//წივანა ბალახი - ძაფივით წვრილი ბალახი, საქონლის საჭმელი. წივანა ბალახი ომოსულა დილიგში. წივანაჲ, წივანა ბალახ (ღამბ.); ჳკან., მწივანა ბალახი (მენთ.), წივანა (მარტ.-იმნ).

წითელბალახიანი - სახნავ-სათესი სოფ. ითითალაში.

წითელი ხალი - წითელი მხალი. წითელ ხალი არ იჭმება. წითელ ხალ (ღამბ.); წითელ ხალ. ჭრიანტელი - წითელი ჳკიჳკლაყა (მაყ.).

წიკო-წიკო - საბავშვო თამაშია. ადრე წიკო-წიკოს თამაშოვდით. წიკო-წიკოჲ (ღამბ.).

წიკოს დაჩხავლევს - გადატ. იტყვიან მჟავე, მწარე ან მლაშე საჭმელზე, რომლის ჭამა შეუძლებელია. ერაგე შაჭმელია წიკოს დაჩხავლევს-ო. წიკოს დაჩხავლევს, წიკოს დაჩხავლევს (ღამბ., როსტ.).; ჳკან.

წილ ქნა//წილ გაღება - ახლად შემოსული კიტრი, ნესვი და მისთ. დღევბის შედეგად ახლად გაჩენილი კარაქი. კიტრი წილი დაინახია? სადღობელი არ აწილულა, წილ გაღება არ დაიმირწყო. წილ (ღამბ., როსტ.). ახლად გამოსხმული კიტრი (ჳკან.) კარაქის წილნი (ჭინჭ. ხევს.).

წილ გატანა - წილის მიტანა, დანაწილება. წილ გაჰქონს, ჩონთუნ წილ გატანა არ დაიმირწყო. წილ გაღევაჲ (ღამბ.).

წილყრა - კენჭის ყრა. წილ ჰყრის, წილყრასუკან მე ეი სახლი შამხტო. წილ ყრაჲ (ღამბ.).

წინა მეჯრე - წინა უღელზე მჯდომი მეხრე. წინა მეჯრეს დოუჟერე. წინა

მეჯრე (ღამბ., როსტ.).

წინა ულაღ - საქონელი, რომელსაც წინა მეხრე მიერეკება. წინა ულაღი შაამბი. წინა ულაღ (ღამბ., როსტ.).

წინიანი - წინამხარი. წინ რაც მოგელის, იმის გათვალისწინება. წინიანი მე დამიგდი, უკან გაწმინდე. წინიანი არ გასანთაში ჰენგრე საქნია. წინიან (ღამბ., როსტ.).

წანაკა დაჰჩომილა - ცუდად განვითარებულა, დაჩაგრულა. ჰეჩბეთ არ გაზდილა, წანაკა დაჰჩომილა.

წინაყენ -წინა, წინისკენ. წინაყენ წეველე მამხტო, უკან დავწივე მამხტო. წინაყ, წინაყენ (ღამბ.).

წინაყენ-უკანაყენ - წინ და უკან.წინაყენ-უკანაყენ ნუ მიჰდი. წინაყე, უკანაყ (ღამბ.).

წინდი ბაღი - წინდის ბაწარი, რომელითაც წინდას ფეხზე იმაგრებენ. წინდი ბაღი აჰშობია. წინდი ბაღ (როსტ.).

წინდი ბაწარი - საწინდე ბაწარი. წინდი ბაწარი ჟერ არ შამიღებია. წინდი ბაწარ (ღამბ., როსტ.).

წინდი გადაქნა - წინდის ქსოვის დამთავრება. ზლივ წინდა გადაქნა.წინდაჲ გადაქნაჲ (ღამბ., როსტ.).

წინდი შაქნა - წინდის მოქსოვა. შენ წინდი შაქნა არ იცია? წინდაჲ შაქნაჲ (ღამბ.).

წინდი ყელი - წინდის ზემო ნაწილი, რომელიც ფეხის წვივზე აქვს ამოცმული. წინდი ყელი ჟერ არ მამიჰჩენია. წინდი ყელ (როსტ.).

წინკერი - ხის ტოტის წვერი, კენწერო. ერ წინკერ დირბალი გადმიგდი. წინკერ (ღამბ., როსტ.); ჯან., კინწერი (მენთ.),

კინკორი, კინწორი (ბერ.); კენწერი - თხემი, მწვერვალი (ჩუბ.); კენწერი - ხეთა რტოთა წინა მწვერვალი (საბა, ჩუბ.); კინწალი -უწვრილესი შტო, კენწერო (წერ.).

წინტი - პინტი - იხ. ჩინტი-პინტი.

წინტილი - პატარა ჩიტი. ერ პატრა წინტილი მოფრინდა. წინტილიჲ (ღამბ.); ჯან. წინტილა- ჭაობის ფრინველია, გულთეთრი და ნაცრისფერი. აქვს გრძელი, სწორი ნისკარტი (ქეგლი). გადატ. პატარა ტანის , უშნო ადამიანი. პატრა წინტილ რაიმეერი.

წინწკალი - ნაპერწკალი. ერ პატრა წინწკალი ჩავარდა პერანგში. წინწკალ (ღამბ.); წინწკალი (შან. ვაჟა IV, ჭინჭ. ვაჟა).

წიპ - შინაური ფრინველი. ერ წიპ ნაქნარი არ გოქონ. წიპ, წიპაჲ (ღამბ., როსტ.).

წიპი-წიპი - წიწილის მოსახმობი ხმა. წიპი-წიპი ვეზახით ჭუჭულევ. წიპი-წიპი (ღამბ.).

წიტი - ქათმის განავალი. ქათმი წიტი ჩაგავე. წიტ (როსტ.); წიტი (საბა, ჩუბ.).

წიფხი - ნორჩი ხის წნელი, იყენებენ

კონების შესაკრავად.ფიჩხს წიფხით ვკრავთ. წიფხ (ღამბ., როსტ.). მენთ., საბა, ქეგლი (ქიზ. ინგილ.).

წიწილა - თმის ნაწნავი. ხორცში არსებული მაგარი მყესები, რომელიც არ იხარშება და არც იღეჭება. მაგა დიახ ლამაზ წიწილები აქონ. წიწილას ვერ ვღეჭავ. წიწილაჲ (ღამბ.); ჯან., წიწილები (შან. რეც.). წიწილა ნაწნავის ბოლოზე შემოხვეული იმავე თმის მცირე ნაწნავი ქეგლი (რაჭ.).

წიწინობა - გამყინავი, წვრილი ხმით წივილ-კივილი. წიწინოვს, იგევა, როგო წიწინოვს. წიწინოვაჲ (ღამბ.).

წიწკანა - ღობემძვრალა. წიწკანა ჩიტი მოკლა. წიწკანა (ღამბ.); იგივეა, რაც მესკია (ქეგლი).

წიწლანყი - წვრილი. ერ წიწლანყი ქალი იყო.წიპლანკ, წიწლანკ, წიპლაკ (ღამბ., როსტ.); წიწლანკ- მეტად წვრილი, აწოწილი ხე, კაცი, საბელი და სხვ. (ჯან.).

წკალი - ვაზის, კიტრის, საზამთროს ულვაში.ჟერ ლებუას წკალი არ მიუცია. ჭკალ - ვაზის, ლობიოს, კიტრის ულვაში (როსტ.); წკალ - ნ. ჭკალ (ღამბ.).

წკაპ//წკაპწკაპი - წყლის წვეთის დაცემის ხმა. წკაპწკაპით ეცემოდა წუმი წრთები.წკაპ (ღამბ.); წკაპწკაპი (მენთ., ჭინჭ. ვაჟა); წკაპი-წკუპი--წულილად ცემის ხმა (საბა); წკაპი,წკაპუნი - ჩხაპუნი, შხეპა წყლისა (ჩუბ.);

წკაპწკაპი, წკაპა-წკუპი რიტმული წკაპუნი (ქეგლი); წკაპი, წინწკილი - წვრილი წვეთი, შხეფი (იქვე).

წკენტავს - ჩხვლეტავს, ყრუ ტკივილი. ჰერა ფინთა წკენტავს.

წკეპლა - წვრილი მოქნილი ჯოხი. ერ წკეპლა დაჰჩა, მგემა ესეოდენ წკეპლებითამ. ცხ. (ი. აბ.).

წკინვა//წკინუა - ბრწყინვა, ბზინვა. წკინავს, ერაგე ჰწკინავდა, თოლებ აბრიმებდა. წკინვაჲ, წკინუვაჲ, წკინოვაჲ (ღამბ., როსტ.).

წკირი - პატარა ჩხირი. ერაგე ლამაზა ჩაგავა წკირი არ დოუგდია. წკირ (ღამბ.); წკირი- გადატ. გამხდარი (როსტ.) საბა, ჩუბ., მენთ., ქეგლი; წინწკარი - წვრილი ტოტები (შან. ვაჟა IV).

წკირი წკირზე არ დოუდია - ფიგურ. გამოთქმა- ხელი არ გაუნძრევია, მცირედიც კი არ გაუკეთებია. წკირი წკირზე არ დოუდია, სრუ რაიმე სხომ გააქითა.

წკიპარტლი - წკიპურტი. ერჟა ერ წკიპარტლი დაჰკრა თავზე. წკიპარტლ, წიპარტკლ (ღამბ.). ჯან. წიპარტკლ - შხეფი გაზიანი სასმელისა (როსტ.).

წკლუნტი//წკლუნტუანი - ფურთხი, წვინტლი. წვინტლიანი. ცხურით წკლუნტი ვერ მოუწმენდია, მაგი წკლუნტუან ბიჭი მის რაშ უნდა. წკლუნტ, წკლინტ, წკლუნტუან, წკლუნტიან (ღამბ., როსტ.). წკლინტ (ჯან.).

წკნუვილ-წკნუვილ - წკმუილი, წკმუ-

ტუნი. წკნუვილ-წკნუვილ წაუდა. წკნუ(ვ)ილ (ღამბ., როსტ.). იხ. საბა. წკმუილი, ჩუბ. წკმუვილი.

წლანკ//სლანკ - წყალ-წყალა და უგემური საჭმელი. ერ ქობ ტლანყ წრნი გეექითებინა. სლანკ-თხელი წვენი (ჯან.); წლანკ, სლანკ (ღამბ.); წლანყ (როსტ.).

წლით-წელში - ყოველ წელიწადს. წლით წელში ბერდება ინსანი. წლით, წლით წელში (ღამბ.).

წმინდა ფქული - თეთრი ხორბლის ფქვილი. წმინდა ფქული მამიღი. წმინდაჲ, წმინდა ფქულ (ღამბ.); კაიშ., წმინდა, წმინდანი ხორბალი, იფქლი (ჭინჭ. ვაჟა).

წნელი - გრძელი და წვრილი ხის ტოტები ღობისათვის. წნელი დამიჭრია ღობეი დააწნელა. წნელი -შტო (ი. აბ.).

წნეხი-წნეხი - ხლართვა-ხლართვით, უშნოდ სიარული. რა წნეხი-წნეხი მოჰდი. წნეხი-წნეხი (ღამბ., როსტ.).

წნუან - წვნიანი. წნუან შიჭმელს არ აქითევს. წნუან ნ. წონ (ღამბ.)

წრიპა - გამხდარი, დაბალი ადამიანი. ჰეი წრიპამ მე რანდა მიყოს.

წრიყი//წრიყიანი//წიტი - ქათმის თხელი განავალი. შენ წრიყიან ქათამი მის რაში უნდა? ქათმი წიტი დოუყარე. წრიყ (ღამბ.).

წრუმალი - ფიჩხის წვრილი ნამტვრევები. ფიჩხი წრუმალიც აკრიფე. წკრუმალ (ღამბ.); წკრიმალი (მენთ.). წკრუმალ (როსტ.)

წოვე - მწვავე. წონი დიახ წოვე უქნია. წოვეჲ (ღამბ., როსტ.); ჯან.

წოდი - მწვადი. წოდი შაწობინჟახ მე მაასულივარ. წოდ. წოდ (როსტ.).

წოდ-წოდ დაგკუწავ - ასო-ასოდ დაგჭრი, აგკუწავ.შენ მე ვერ მცნოვ, წოდ-წოდ დაგკუწავ. წოდ-წოდ დაგჭრი (ღამბ.); ჯან; მწოდი (ქაჯ.).

წომოკუნკურება - წამოსკუპება, წამოვჯდომა. წომოკურებია, დილაზიავ რას წომოკუნკურებია ტაჭკას? წომოკუნკუევაჲ, წომოკუნკევაჲ, წამოკინკევაჲ (ღამბ.).

წოთი//წოთ-წოთ - წვეთი, წვეთ-წვეთად. ზეთი ერ წოთი აღარ მაქონ, წუმა წოთ-წოთ ჩომოდის, წოთ, წოთ-წოთ (ღამბ.).

წოლა//წელა - მაწონი. მე წოლა დიახ მიყუარს. წოლაჲ (ღამბ.); წელა (ჯან., იმნ.) წველა (ჩუბ. მენთ.); წოლაჲ (როსტ.).

წონი//წენი - წვენი. ჯორცი წენი ჩამისხი! წონ (ღამბ.); წენ (ჯან.).

წონე - მწვანე. წონე პერანგი ჩოუცომ ქორწილში.წონეჲ (ღამბ., როსტ.).

წონილი - მწვანილი. ბაზრით წონილი იყიდე. წონილ (ღამბ., როსტ.).

წოორი - სწორი, პირდაპირი. გადატ. მართალი. მორი ერაგე წოორია, ერგან დუგუმი არ აქონ, ჰეგი წოორია, რანდა თქო. წოორ -წოორა (ღამბ., როსტ.);

წოორა (ჯან.).

წოორობას არ ჩიდი - არასწორად იქცევი, უსამართლოდ იქცევი. შენ ქალ არ აზლევ.

წორბასწოორ - ძალიან სწორი.წორობასწორ წაი, აქა-იქ არ შოუხიო. სწობასწორ (როსტ.).

წორ-წორ ეტარება - მაღლა კენწეროებზე დადის. კაკლი წორ-წორ ეტარება. წორ-წორ (ღამბ., როსტ.).

წორი - წვერი. წვერო. წორი მაქონ მაპარსელი, კაკლი წორზე გაუდა. წორ, წორ (ღამბ., როსტ.).; ჯან.

წორი -წორზე მოყონა - საკვების ეკონომიურად ხარჯვა. ზლივ წორი - წორზე მავყონეთ. წორი -წორზე მოტანაჲ - იგივეა, რაც თავ თავზე მოტანაჲ (ღამბ.).

წორ მოპარსა - მიცვალებულის ნათესაობა ორმოცი დღის შემდეგ წვერს იპარსავენ. წორ მოპარსასუკან დოუზახეთ. თავსაპარს (ღამბ., ჯანგ., ქეგლი, (ინგილ.). თავმოსა (მ)პარსიო -ქეგლი (ფშ.), ტავმოსაპარსიო (ჭინჭ. ვაჟა).

წოსწორა//წოჰწორა - ტოლი, ოდენა, ხელა. შენ წოსწორა მინღა არი? წოსწორ, წოსწორაჲ (ღამბ., როსტ.). წორწორაჲ, წოორაჲ.

წრხელია - წახვედი ? შენ წრხელია მაგათა? წრხრლი (როსტ.).

წრულა - წვრილად. წრულა დაჭერე კაისა. წრულა (ღამბ.).

წრული - პატარა (ფეხსაცმელზე). ტუფლები წრული იქნა. წრულ (ღამბ.).

წრულ-მალი - წვრილმანი, პატარები. წრულმალი მააგრუვ გადაყარე. წრულმალ (ღამბ., როსტ.).

წრულ-წრულა - პატარა-პატარა. წრულ-წრულა წუმს (ღამბ.); წვრილი (შან. ხევს.).

წრწრულ-წრუალიანი - წვრილი, ნორჩი ხეები. ცეცხ წრწრულ-წრულიანი შოუქითე. წრწრულ-წრუალ-წრულ-წრულუ ან (ღამბ.); წვრილიანი (შან., ვაჟა II, ჭინჭ., ვაჟა., გიგ., თოფ., ქავთ.,- თიან.).

წუკნაკი - გადატ. -უხეირო,უვარგისი ადამიანი. ჰეგი ჰამან წუკნაკია.

წუმაწყალი - ხშირი გადაუდებელი წვიმები. წუმაწყალიზგან თოლი ვერ ავხილეთ. წუმაწყალ (როსტ.).

წუმრიანევ - ცუდი ამინდები. წუმრიან ქნაში შინაი გარე ვერ გავდით. წუმრიანევ (ღამბ., როსტ.).

წრულფეყა//წრულფეყობა - გადატ. მცირეწლოვანი ბავშვები.შენ წრულფეყობა რას ჩიდიან. წრულფეყა, წრულფეყოვაჲ (ღამბ.).

წუმპალი - წვეთი. ერ წუპალი მამხტო თავში. წუმპალ (ღამბ., როსტ.); ჯან.

წუმპლავს - წვეთავს. სახში წუმაში წუმპლავს. წუმპლავს (როსტ.).

წუმრიანი - წვიმიანი ნალექიანი. წუმიან ამინდში როგო წეხელე. წუმრიან

(როსტ.).

წუმს - წვიმს. ბითოვ დღე წუმს.წუმს (ღამბ.).

წუმა ყბაში უჭერია - საცაა გაწვიმდება. წუმა ყბაში უჭერია. წუმა ყბაში უჭერი (ღამბ.).

წურა-წურა გაჰდის - სიცხით სახეზე ბევრი ოფლის ჩადენისას იტყვიან. შაჰხე, როგო წურა-წურა გაჰდის. წურა-წურა (როსტ.).

წუმამ დამცა - წვიმამ დამასხა.წუმამ დამცა, ჰეგინ ქენე. წუმამ დამცა (ღამბ.).

წუნკალა - უსუფთაო, ავი, ფეთხუმი. ერ წუნკალა ზალი ქონდაყე. წუნკალა (ღამბ.).

წურა-წურა მიდის - ცუდად მოზელილი ცომი, რომელიც თონეზე არ მაგრდება და იშლება. წურა-წურა მიდის. (ღამბ.).

წურიან - ბინძური ჭუჭყიანი. მაგი წურიან თავს შაჰხე. წურიან,წურუან (ღამბ., როსტ.).

წუნკლიანი - ბინძური, უსუფთაო.ერ წუნკლიან ბებერი ცხოვროვდა.წუნკლიან, წუნწკლიან (ღამბ.); წუნწკელა (ჩუბ.).

წუნტლები ნავადი -სახნავ-სათესი მინდორი ს. ითითალაში.

წუნწმა - თუჯის ან სპილენძის წყლის ჭურჭელი. წუნწმა მამიღი ფეყევ დაბანლა. წურწუმა - წუმწუმა (ღამბ.); წუმწუმა - სპილენძის წყლის ჭურჭლი, ოქროსფერი ან ვერცხლისფერია, თუნგს წააგავს, ორი პირი აქვს. ვიწრო პირი წყლის გადმოსასხმელია, ფართო პირიდან კი შიგ წყალს ასხამენ (როსტ.); იხ. საბა, ჩუბ. წურწუმა. მაის., წუმწუბა, წუმწუბი, წურწუმა, კუმკუმა (წერ.).

წუნწურა - წვეთ-წვეთად მომდინარე, მოწანწკარე წყალი. ზროხა წუნწურა წყაროსთან გავლე. წუნწურაჲ (ღამბ., როსტ.).

წუნწურა წყარო - წყარო სოფელ მოსულში.

წური-წური - გადატ. მალვით, მიპარვით მისვლა. რა წური-წური მოჰდი, დაგინახე.

წუწა - ძალზე მწარე, მლაშე. ერაგე წუწა უქნია, პირზე ვერ აიღევ.

წუწა დაჰჩა - სურვილის შეუსრულების გამო დადარდიანება.წუწა დაჰჩომილა, წუწა დაჰჩა, წუწუ დარჩომაჲ (როსტ.).

წუწუანი -ჭუჭყიანი, უსუფთაო.ერ წუწუანი რაიმერი, შაგზიზღება მაგი განაქითები.

წუწლუტი - მოგრზო და წაწვეტებული, წოწოლა.წუწლუტ ქუდიან კაცი მოუდა თქენსა. წუწლუტ (ღამბ.); ჯან. წუწლუტ - კაპასი, ეშმაკი, მოხერხებული ქალი (როსტ.).

წუწლუტი ვაშლი - იგივეა, რაც ძუძუა ვაშლი. წუწლუტი ვაშლი დამიკრიფა. წუწლუტი ვაშლ (ღამბ., როსტ.). იხ.

მენთ. ძუძუვაშლა.

წყალ დაგება - ნათესში წყლის გაშვება.წყალ უგევს, დილიგში წყალ დაგება არ დაგმირწდეს. წყალ დაგევაჲ (ღამბ., როსტ.).

წყალ მოწყეტაჲ - წყლის შეწყვეტა. წყალ წყოტავს, წყალ მოწყეტაში ვერ მაარწყივარ. წყალ მოწყეტაჲ (ღამბ.).

წყლა გასულა - ავადმყოფობისას მხოლოდ შარდის გამოყოფა. მარტო წყლა გასულა.წყლა გასულა - მოშარდვა (ღამბ.).

წყალი დაცემა - წყლის დამატება.წყალ ჰცემს, ქობ ცოტა წყალი დაჰცი.

წყლი ყბა - წყლის სათავე. წყლი ყბა შამიკრავ, ალარ მაასულია. წყლი ყბაჲ (ღამბ.).

წყლი შიჭამანდი//ზი შიჭამანდი - ბრინჯისგან დამზადებული ერთგვარი საჭმელი. ორჟურა შიჭამანდი ვიცით. წყლისი და ზისი. წყლი შიჭმად (ღამბ., გიგ., თოფ., ქავთ. (ინგილ.).

წყევლა გაჟდომა - წყევლის ასრულება. მაგა წყევლა გაჰჟდომია. წყევლაჲ გაჟდომა (როსტ.).

წყერი - მწყერი.ორ წყერი მოკლა ყანაში.

წყილ - რწყილი. წყილევი აჰყე მაგათ. წყილ (ღამბ., როსტ., ჯან., გიგ., თოფ., ქავთ. (ფშ.).

წყლი ზაღლი - წავი. წყლი ზაღლი მოკლა თოფით. წყლი ზაღ (ღამბ.).

წყლისმა - ფიცილია. ეი წყლისმა, მე არ მითქომ. წყლისმა (ღამბ.).

წყლიყოვილა - ერთგვარი ავადმყოფობა. წყლიყოვილა შაჰყრია. წყლიყოვილაჲ (ღამბ.), წყლისყვავილა (კაიშ.).

წყრალი - გამწყრალი. მე მაგიზგან წყრალი ვარ. წყრალ (ღამბ.).

წყული - წყვილი. ორ წყულ ჩექმა მამიღა. წყუწულ (ღამბ.).

ჭ

ჭადა - თივის ძნაში ჩასარჭობი ჯოხი. ჭადა მაგრა დაიჭი.

ჭადარ-ჭადარ - დამსკდარი, ღრმა ნაბზარი, ნაპრალი.მიწა ჭადარ-ჭადარ ქნილა. ჭადარ (აზ. ჯადარ) - ღამბ. ჭადარ-ჭადარ-ჭადრის ქერქივით დამსკდარი, დახეთქილი (როსტ.).

ჭადი კოკოლა - მცირე ფორმის სიმინდის ფქვილისაგან დამზადებული საჭმელი. ჭადი კოკოლა დაანახლა არ მინდა. ჭადი კოკოლაჲ (როსტ.).

ჭალი - ურმის ხელმოსაკიდი. ურმი ჭალი მაგრა დაიჭი.

ჭანა//ჭანაქი - უვარგისი, ცუდი, უხეირო. ერ ჭანაქ რაიმე მამცა.ჭანა, ჭანაქი (ღამბ.). ჭანა- ტყუილად; ცუდი, ცუდად (როსტ.), ჭანაქიჲ - უვარგისი, ცუდი (როსტ.).

ჭანდარი - ბაღის სახელია სოფელ ალიაბადში.

ჭაპჭაპ//ჭაპჭაპოვს - ბანაობისას წყლის

მიერ გამოცემული ხმა. მოი, ბალა, ჭაპ-ჭაპი გიყო. ჭაპჭაპ, ჭაპჭაპოვაჲ (ღამბ.);

ჭიპჭიპი//ჭუპჭუპი - სითხის მოძრაობის ხმა (ქეგლი)

ჭარი - ერთ-ერთი უძველესი სოფელი საინგილოში.

ჭარულ თხილი - თხილის ჯიში, მაგარი კანი აქვს. ჭარულ თხილი ჩონთან არ ჯაროვს. ჭარულ თხილ (ღამბ.); შან. რეც.

ჭანჭური//ჭიან-ჭუანი - ჭიანი ხილი. ჰალა ჭიან-ჭუანი ცივა, არ მოწევლა. ჭანჭურ იგივეა, რაც ჭანაჲ (ღამბ.).

ჭახჭახი - დულილის ხმა. ფრინველის ხმიანობა. ჭახჭახოვს, ერაგე ჭახჭახოვს, ჯმა აქ მოდის. ჭახჭახოვაჲ (როსტ.).

ჭაჭჭუ - უვარგისი თივა, ნარჩენი. ზრონხი წინაი დანარჩომ ჭაჭჭუ მამცა.

ჭენება - ხელის კვრა. უჭენევს, ერაგე მაგრა უჭენა, იქითყენ გააგდა. ჭენევაჲ გადატ. ჩაეცმა, ჩარტყმა (დანისა). ღამბ.

ჭიაი წრიყი - ჭიის განავალი. ჭიაი წრიყი მაქონ გადააყრელი.წრიყ (როსტ.).

ჭიანდღელა - ჭიაყელა. მიწაი დაბარაში ჭიანდღელა გომოდის. ჭიანდღიწლაჲ, ჭიანდღელაჲ (ღამბ.).

ჭიაი გათხელება - აბრეშუმის ჭიის გაშლა. ჭიას ათხელევს, ჭია მაქონ გაათხელებელი.

ჭიაი გომოლუზება - იგივეა, რაც ჭიაი ომოსულა. ჭიაი გომოლუზებასუკან კაი ჭმა უნდა. ჭიაჲ გომოლუზევაჲ (ღამბ.).

ჭიაი ომოსულა - აბრეშუმის ჭიის მიერ კანის გამოცვლა.ჭია ჟერ ერთიბეი არ ომოსულა. ჭიაი ომოსულაჲ (ღამბ.).

ჭიაი ომოწმენდა - აბრეშუმის ჭიის მიერ კანის ცვლის დამთავრების შემდეგ მისი ამოკრეფა და ცალკე გადაღება.ჭიას ჰწმენდავს, ჭიაი ომოწმენდასუკან პარკს ვარჩევთ. ჭიაი ომოწმენდა. ჭიაი ომოწმენდაჲ - აბრეშუმის ჭიის მიერ კანის ცვლის ერთიანად დამთავრება (ღამბ.).

ჭიგო - პამიდვრის სარი. პამიდორ ჭიგო დოუსი. ჭიგოჲ - ვენახის სარი, ხარდანი (ღამბ.). ჭიგოჲ - ვაზისთვის ძირში ჩასობილი მაღალი სარი (როსტ.). ქეგლი, ძიძ., კეცხ., ხუბ., (ქართლ.), გოგ., თოფ., ქავთ. (კახ. - ქიზ. ინგილ.)

ჭივინები - ჭივიშვილების საგვარეულო შტო სოფელ მოსულში.

ჭიმი - მიწის დიდი ბელტი. მოჯნაში დიახ ჭიმები არ დააყენო. ჭიმ (აზ.) - ღამბ., ჯან. ჭიმ - ბალახიანი, დაუშლელი მიწის ბელტი (როსტ.).

ჭინტილი - ცომისგან დამზადებული სახმელი. ყონაღა მოსულაში ჭინტილი არ გამიქითო. წინტილიჲ წყალ-წყალა. გადატ. მსუბუქი, პატარა ტანის ადამიანზე იტყვიან, რომელიც ჩქარა და მსუბუქად დადის (როსტ.).

ჭინჭიმაარი შენ საქმე - გადატ. ითქმის გაუთავებელ საქმეზე. ჰალაქი შენ საქმე ჭინჭიმაარი.

ჭინჭყლობა - ჭინჭყლი. ერთმეთან ჭინჭყლობა რაიბე იცით. ჭინჭყლოვაჲ (ღამბ.).

ჭიპლი//ჭიპლიანი - წირპლი, წირპლიანი. თოლით ჭიპლი მოჰდის, ჭიპლიან-ჭიპლიან წამიყონა. ჭიპლ, ჭიპლიან (ღამბ., როსტ.).; ჯან.

ჭიპჭიპობა - ჭურჭლის მეტისმეტად ავსება რაიმე სითხით. ჭიპჭიპოვს, ქონი

მოუქცევია თავასარი ჭიპჭიპოვს. ჭიპჭიპოვჲა (ღამბ.); ჭიპჭიპი, ჭუპჭუპი-სითხის მოძრაობის ხმა (ქეგლი.).

ჭირი//ჭირ ვაშლი - ველური, გარეული. ჭირ მეივა მე არა მინდა. ჭირ (ღამბ.); ჭირ ვაშლი - მაჟალო (მაყ.). ჭირ, ჭირ ბალი, ჭირ შუნდ, ჭირ სხალ, ჭირ ვაშლ, ჭირ ქათამ (როსტ.)

ჭირ ქათამი -პატარა, გამხდარი ქათამი. ერ ჭირ ქათამი დამიკლა. ჭირ ქათამ (ღამბ.).

ჭირ ხე - გარეული, ველური ხე. ჭირ ხეს ეზოში არ ვინახავთ. ჭირ ხეჲ (ღამბ.).

ჭირიტანები - ჭირიტაშვილების საგვარეულო შტო ს. მოსულში.

ჭირკუტი - დაბალი ზრდანაკლული ადამიანი. ერ პატრა ჭირკუტ რაიმეერი. ჭირკუტ (ღამბ.); ჭირკოლი (ალიბეგ.)-იხ. კოწაწ- დაბალი ტანის მქონე ადამიანის მეტსახელი (როსტ.).

ჭიღარა - თხელი ქალალდი. ჭიღარა მამიღი შაახევლა. ჭიღარა, ჯიღარა - თამბაქოს შესახვევი სპეციალური ქალალდი (ღამბ., როსტ.).

ჭიყჭიყობა//ჭიყჭიყი - ბევრი, არეული ლაპარაკი. ჭიყჭიყოვს,ბევ ჭიყჭიყობას დაანებე თავი, საქმეს მიჰხედე. ჭიყჭიყოვა, ჭიყჭიყ, ჭიყ-ჭიყ (ღამბ., როსტ.). ჭიყჭიყი- ერთგვარი ხმიანობა ფრინველისა (ქეგლი).

ჭიჭმახ ჟავე - ძალზე მჟავე. პანტა მაგრა ჭიჭმახი იყო. ჭიჭმახ ძალიან მჟავე (ღამბ.).

ჭიჭმახ//ჭიჭმახ სიცხე - მეტისმეტი სიცხე, მზიანი დღე. ლამაზ ჭიჭმახ ზიან დღე იყო. ჭუჭმახ, ჭუჭმახ სიცხეს (ღამბ.).

ჭიჭნაგური -კუპატი, დაკეპილი ხორცი, მწვანილით შეზავებული და ნაწლავში გამხმარი. ზამთრიბეი ჭიჭნაგური ვერ ჩავასხი. ჭიჭნაგურ (ღამბ., როსტ.), ჯან.

ჭიჭნაგურიან ფლავი -ჭიჭნაგურთან ერთად მოხარშული ფლავი. ჭიჭნაგურიან ფლავი მინდა. ჭიჭნაგურიან ფლავ (ღამბ., როსტ.).

ჭიჭყინოვს - ბევრს ლაპარაკობს. ჭიჭყინა, მაგი ჭიჭყინით ყური ზაჭლა წამიევდა. ჭიჭყინაჲ (ღამბ., როსტ.), ჯან.

ჭიჭინა - ჭრიჭინა. სიცხეში ჭიჭინაჲ ჯმა არ წყდება. ჭიჭინა (ღამბ., როსტ.); ჭიჭინა (საბა).

ჭიჭინასავი გატყრომა - გადატ. გაუთავებელი, გაბმული ბავშვის ტირილი. ყმაწილი ჭიჭინასავი გატყრო. ჭიჭინა-

სავი გაზრომაჲ (როსტ.).

ჭიჭინები - ჭიჭიაშვილების საგვარეულო შტო ს. ალიაბადში.

ჭკალ - იხ. წკალ.

ჭკილი - ფრჩხილი, ჩლიქი. ჭკილები მაქონ დაჭრელი,ზროხი ჭკილი. ჭკილ (ღამბ., როსტ.). ჩხილ (ჯან.), მწკილი (კაიშ.).

ჭკილ არ გააზდელო - წყევლაა ერთგვარი. ჰეი ჭკილ არ გააზდელი სადღა წაუდა?ჭკილ არ გააზგელებელო (ღამბ.). ჭკილ არ გააზგელეველ (როსტ.).

ჭკილით სამარეს არ მაათხრია - ფიგურ. გამოთქმა - შენს გაწეულ ამაგს, არ დაგიფასებს, არ გაირჯება. ვიცი, ჩემბეი ჭკილით სამარეს არ გაათხრია. ჭკილი სამარეჲ გათხრაჲ (როსტ.). ჭკილით სამარე გაათხრაჲ -ვინმესთვის თითის არ განძრევა, არაფრის გაკეთება (ღამბ.).

ჭკო//ჭკუანი - ჭკვა, ჭკვიანი. მაგა ჭკო არ აქო, ჰეგი ჭკუანი იყონდეს, ქალ არ მიჰცემდა. ჭკო , ჭკუან (ღამბ., როსტ.).

ჭკო უჭრის - ჭკუაში დაჯდომა. ჭკოი გაჭრა, თუ კარგა ჭკო უჭრის მუა. ჭკო გაჭრაჲ, ჭკოჲ უჭრის (ღამბ., როსტ.)

ჭკუთ გასლა - ჭკუაზე შეშლა. ჭკუთ გადის, ჭკუთ განასულ ინსანივი ჩიდის. ჭკუთ გასულაჲ (ღამბ.).

ჭკოში დოუჟდა - ჭკუაში დაჯდომა. ჩონ ნათქომი ჭკოში დოუჟდა. ჭკოში გააჯდომი (ღამბ.); ჭკო გაჭრაჲ (როსტ.).

ჭკოი მიცემა- ჭკვის დარიგება.ჭკოს აზლევს, ზოგჯერ ჭკოი მიცემაც ლაზიმია. ჭკოი მიცემაჲ (ღამბ.).

ჭკოში მოტყიება - ჭკვით მოტყუილება. ჭკოში ატყუევს, ჭკოში მოტყიება უნდა.

ჭლე - მჭლე. ჭლე ჰეივანი ჯორცი არ იყიდო. ჭლეჲ (ღამბ.); ჯან.

ჭლივ-ჭლიობენ - ფრინველების ჭიკჭიკი. გადატ. გადამეტებულად ილხენენ. ჩიტები ჭლივ-ჭლიობენ, თქენსა კარგა ჭლივ-ჭლივობდნენ. ჭლივ-ჭლივ - გადატ. ტიკტიკი მთვრალის ტკბილად საუბარი (როსტ.); ჭლივჭლიოვაჲ, ჭლივ-ჭლივ, ჭლიკჭლიკ, ჩლიკჩლიკ (ღამბ.).

ჭლინკ - იხ. ჩხლინკი.

ჭმა//ჭმუა//შაჭმა - ჭამა. ჭმუა ჰადულია, მოლება ჟაფა არი. ჭამაჲ ჭმუაჲ, შაჭმაჲ ღამბ.).

ჭმი-ჭმი - ჭამა-ჭამით ჭმი-ჭმი წაი ყოროლში. ჭმი-ჭმი (ღამბ.).

ჭოროლა - ბავშვების სათამაშო. პატარა სოლის ფორმის გამოთლილი ხეა, რომელსაც თავში რკინის წვერი აქვს, რათა კარგად დატრიალდეს. ეხლა ჭოროლა სადღარი.

ჭორტკლი - მჭვარტლი. ფეჩი დურბებით ჭორტკლი დასხერტე. ჭკორტლ, ჭორტკლ (ღამბ., როსტ.).ჯან. ჭორტლი (ქაჯ.).

ჭრაყუნი -ჭრაჭუნი. ჭრაყუნოვს, ჭრაყუნი რაიბე გიყუარს. ჭრაყუნ (ღამბ.).

ჭრე - მჭრელი. ჭრე ცული მამიღი.

ჭრეჲ (ღამბ.).

ჭრელგრილო - მზენარევი ჩრდილი. ჭრელგრილოითი გომოი, ჩონთან მოი. ჭრელგრილოჲ (ღამბ.); ჭრელ გრილოჲ (როსტ.).

ჭრელ-პრელი - ჭრელა-ჭრულა. ჭრელ-პრელ პერანგ ვერ ჩავცომ. ჭრელ-პრელ (ღამბ., როსტ.).

ჭროხი - ლობიოს ჯიში. ჭროხ ლებუა მამილა დათესლა. ჭროხ, ჭროღ (ღამბ.); ჯან. ჭროლაჲ-ჭრელი (ქაჯ.).

ჭროხ თოლები - ჭროლა თვალები. ყმაწილ ლამაზ ჭროხ თოლები აქონ.ჭროხთოლევიან (ღამბ., ჯან.).

ჭროხ თუთა - ჭრელი თუთა. ჭროხ თუთაი მურაბა კაი არ კეჰთება. ჭროხ თუთაჲ (ღამბ., როსტ.); ჭროლა თუთა ალაჯა (ჩუბ., მარტ.-იმნ., მენთ.)

ჭროხინები - ჭოლაშვილების საგვარეულო შტო ს. ალიაბადში.

ჭუა - ქსოვილის პატარა ნაჭერი. ერ ჭუა არ დამჩა, სრუ დაიხარჟა. ჭუაჲ (ღამბ.). ჭუაჲ მიწის მრუდე ნაწილი ტოტში ან სახელოში ჩასადები სამკუთხედი ნაჭერი, აზლუდზე პატარაა (როსტ.).

ჭუა-ჭუა ქნა - პატარა ნაჭრებად დაჭრა. დოშაგი დაჭრა ჭუა-ჭუა ქნა. ჭუა-ჭუა ქნაჲ (როსტ.); ჭუაჭუა, ჭუაჭუა, ჭუაჭუა ქნა (ღამბ.); ჯან.

ჭუბაჭი - სულელი, ჭკვანაკლები. ჰეგი ცარიალ ჭუბაჭია. ჭუბაჭ - იხ. ჭიბაჭ - სულელი, გიჟი (როსტ.); ჭუბაჭ - იხ. ჭიბაჭ-თავგზადაკარგული (ღამბ.)., ჯან. მთვრალი (მენთ.).

ჭულუკ//შულუღ - ცელქი, ცეტი.შულუღ ყმაწილია. ჭულუკ, შულუღ (აზ. შულუღ)- (ღამბ.), როსტ. ჯან., მენთ.

ჭურმაჭუჭუხი - ზალიან წვრილი, ნაყარ-ნუყარი. ჭურმაჭუჭუხ -პატარა, ჩია, დალეული (ღამბ., როსტ.). წვრილმანი და ჯოლღო- მოლღო ხალხი ან ხილი (ჯან., ჯანგ.).

ჭუჭული - წიწილა. გადატ. პატარა ბავშვი. ერ ჭუჭული ალარ დაჰჩა, შაჰხე, როგო პატრა ჭუჭულია. ჭუჭულ (ღამბ., როსტ.); შან. რეც, მენთ., გიგ., თოფ., ქავთ. (გურ.), ჯუჯულა (ჭინჭ. ვაჟა).

ჭუჭუნკალია - შავი კალია. ღამით ჭრიჭინებს. ბუხარაში ბევ ჭუჭუნკალია კეჰთებოდა. ჭუჭუნკელაჲ, ჭუჭუნკალიაჲ (ღამბ., როსტ.); იხ. საბა, ჩუბ. ჯუჯუმკალი. ჭუჭუნკალიაჲ (მენთ.), ჭიჭიმკალია (კაიშ), ჭუჭუნკლაჲ- ციცინათელა (ჯან.).

ჭყლაპა-ჭყლუპი - ხმაურით ღეჭვა. ტალახში სიარულისას გამოცემული ხმა. ჭყლაპაჭყლუპი ნუ ჰჭამ, ტალახში ჭყლაპა-ჭყლუპით ეტარება.

ჭყანტი - ჭაობი. ერ კაი ჭყანტში შავდა. ჭყანტ მიწა (ღამბ.); ჭყანტი-ჭანჭრობზე მეტი (ი. აბ.); ჭყანტ-ჭაობი (მენთ., ჩუბ., ჭყ., ქაჯ.), ჭყანტი, ჭყანტობი (ჭინჭ. ვაჟა).

ჭყლურტი - ნედლი. ჭყლურტ სიმინდი მამიღი. ჭყლურთ, ჭყლურტ - უზეო-

ბის გამო, მოუმწიფებელი, მჟავე და წყალწყალა ყურძენი (ღამბ.); ჭყლურთ - ყურძნის მტევნის ავადმყოფობა, რომელიც ზედმეტი დატვირთვისა და ჩრდილის გამოა გამოწვეული. ემართება მომწიფების პერიოდში, მარცვალი მწვანედ რჩება, ოდნავ შეჭკნება ხოლმე (როსტ.).

ჭყოპი - დიდი ტალახი, ჭყაპი, წყლიანი თოვლი. ეზოში ჭყოპ ქნილა, უჩექმო ვერ გახოლ. ჭყოპ (ღამბ., როსტ., ვკან., გიგ., თოფ., ქავთ. (ქართლ.), კაიშ.).

ჭყუილი - მუცლის ყურყური. ჭყუის,შერობით მუცელი ჭყუის. ჭყუვილ (ღამბ., როსტ.).

ხ

ხაბარ ქნა - ამბის შეტყობინება.ხაბარი ქენე, ეიქა მოუდეს. ხაბარ აზ.ხებერ)- ღამბ., როსტ. გიგ., თოფ., ქავთ. (მესხ.), ქავკ.

ხაბარსუზი - ცნობის უქონელი, საქმეში ჩაუხედავი. ხაბარსუზ მოვდა.

ხაბარ ჩომოვარდნა - ხმის გავრცელება. ხაბარ ჩომოვარდნილა, ქალი გაჰყოლიაო. ხაბარ ჩომოვარდნაჲ (ღამბ., ვკანგ.).

ხავანა - მდინარე. ჩაედინება სუვაგილ დერაში.

ხათა - ხიფათი, ფათერაკი. ხათა ერ მუნუთში კეჰთება, არ წახიდო. ხათა (აზ. ხათა) - ღამბ., როსტ; კირ., მენთ., შან., ვაჟა IV, გიგ., თოფ., ქავთ.(ქართლ.) ხათავ (ჩუბ.).

ხათაითი - უცბად, შემთხვევით. ხათაჲთი მოხტო. ხათაითი (ღამბ., როსტ.). კირ., მენთ., შან., ვაჟა IV, გიგ., თოფ., ქავთ. (ქართლ.), ხათავ (ჩუბ.).

ხათირი - ხათრი. შენ ხათირი დიახ მაქონ, უგეიმაზე მეველე. ხათირ (აზ.)-ღამბ., როსტ.

ხათირ დაკლება -წყენინება. მე ხათირ დაკლება არ მინდა. ხათირ დაკლევაჲ (ღამბ., როსტ.).

ხაიათი - აბრეშუმის ძაფი. ხაიათით

ვერღნევ ვასირიღევდით. ხაიათ (შან. რეც.); ხაიათი, ჯიფი -ერთი გაბმა ძაფი. ზოგის თქმით, ხაიათი წმინდა აბრეშუმის ძაფია (მენთ.).

ხაიმა - ნოხი, ხალიჩა.ხაიმა მამიღი ქოშ დააგებლა.ხაიმა - ნოხი, ფარდაგი (იმნ.).

ხაინი - ვერაგი, მუხთალი, ცბიერი, გამცენლური.ხაინ ინსანი დიახ მეჟავრებაა.ხაინ (აზ.).

ხაიში - თხოვნა.ხაიში უყავ, ერჟა რაზი იქნოს.

ხალბური - საცერი დიდი ნასვრეტებით. პური ხალბურით გავატარე.

ხალვათი - განცალკავებული, ფარული. ერ ხალვათ ადგილი ვიპოვნეთ.

ხალთალა - სოფელი ბელაქნის რაიონში.

ხალი - ზოგადად მხალეული. ხალი გაა-

ქითა სალმოზე. ხალ (როსტ.).

ხაალისი -სუფთა, ნამდვილი.ხაალის წონა რათა იქნა.

ხალღი - ხალხი. ხალღი ერთა დაგროვდა. ხალღ, ხალყ (ღამბ., როსტ.); შან. რეც.

ხალჩა - ნოხი. კაი ხალჩები სადღა არი.

ხამი - ყამირი, მიუჩვეველი, უცხო, უწვრთნელი, გაუხედნავი.ხამ მიწაში კაი ბოსტანი კეჰთება, ხამია გზას ვერ საპოვნია, ჟერ ხამია, განწყნა უნდა. ხამ (ღამბ., როსტ.).

ხამუთი - ცალული. ცხენის კისერზე ჩამოსაცმელი მოწყობილობა. ცხენი ხამუთი მამიღი.

ხამ წყალი - ახლადმოტანილი, სუფთა წყალი. ხამ წყალი დაასხი. ხამ წყალ აუდუღარი წყალ (როსტ., ღამბ.).

ხანხლი- ხანხლი - პირის წვით ჭამა. ხანხლი - ხანხლი ჭამა. ხანხლი- ხანხლი- იხ. ხლართ-ხლართი, წნეხი-წნეხი (როსტ.) ხანხლი- ხანხლი -ნ. დახანხლაჲ (ღამბ.).

ხარტა-ხარტა - ლესვისა და შალაშინის ხმარებისას გამოცემული ხმაური. ხარტა-ხარტა მუშიოვს. ხარტა-ხარტა (როსტ.).

ხაჟალათი - ხაჟალათ გაჰწევა - წუხილი, სევდა, დადარდიანება. ხაჟალათ (აზ.). (ღამბ., როსტ.).

ხაჟალათლამიშ კეჰთება - დარდიანდება. ჩონ რომ არ წავდეთ ხაჟალათლამიშ კეჰთებიან (ვკანგ.).

ხარაბა - ნანგრევი, გატიალებული. მაგი ხარაბაში მინ იცხოვრევს. ხარაბი - ცუდი, უხეირო.ხარაბ თხილი ცალკე დაყარე.

ხარალა - დიდი ტომარა. ერ ხარალა მამიღა.

ხარ-ხარით მოდის - წყლის სწრაფი და ხმაურით დინება. არხში წყალი ხარ-ხარით მოდის.ხარ-ხარი, ხარხარ, ხარხაროვაჲ (ღამბ., როსტ.).

ხარჟი - ხარჯი, გასავალი.დიახ ბევ ხარჟი აქონ.

ხასისი - გაუმაძღარი, ხარბი.რაიბე ხასისი ხარ, არ გეყოფა?

ხასტა - ავადმყოფი. ხასტას რაიონში მინ წაყონია? ხასტაჲ (როსტ., იმნ.). ხესტე (აზ.).

ხასტალული - ავადმყოფობა. ფინ ხასტალული შაჰყრია.

ხაშალი - დიდმუცელა. ხაშალი ცხორი არ მაიყონო.

ხასონები - სოფ. ალიაბადის ერთ-ერთი უბანი.

ხასხასი//ხასხასოვს - ფორთხვა, ძლივს-ძლივობით გადაადგილდება, ვაი-ვაგლახით ცხოვრება. თავიბეი ზლივ-ზლივ ხასხასოვს, ჩონც ერჟურა ვხასხასოვთ. ხასხასოვაჲ, ხასხას, ხასხასტარევაჲ (ღამბ., როსტ.), ხასხასი (მენთ.).

ხაშკალამი - შხამი, შხამად შერგება.

ჩონ მინაცემ პური მაგიბეი ხაშკალამი იქნოს. ხაშკალამ (ღამბ.); შან. რეც.

ხაში - დამჟავებული პურის ცომი. ხაში მამიღია, პურ ვაკრავ.

ხაჭაკალი - ორთითა ხის იარაღი. იყენებენ ეკლის, თივის ასაღებად. ხაჭაკალი მამიღი ღობეი შააკრელა. ხაჭაკალ, ხაჭეკალ, ხაჭაკელა (ღამბ., როსტ.). საეკლე ბარჯი (ჯან.), ხაჭაკალი (მენთ); ხეჭაკალი, ბარჯი-კაპიანი ჯოხი, მანა სათივეზე ხოჭი (ხაბა); ხეჭაკალი -ბარჯი სათივეზე (ჩუბ.).

ხაჩი - ჯვარი. ხაჩზე რომ დაიფიცო არ დაგიჟერევ. ხაჩ (ღამბ., როსტ.); ხაჩ-ჟორ (ჯანგ.).

ხაჩფარაზი - ქრისტიანი.მაგა ხაჩფარაზი უთხოვნია.

ხაჭიპურ - მდინარე, ჩაედინება ყარაჩაიში.

ხახი - ხახვი.ხახი იყიდე ბაზრით.ხახ (ღამბ.)., ჯან., მაყ.

ხახარა - პატარა თარო კედელში. ერ ხახარა აქონ კედელში. ხახარა (ღამბ., როსტ.); ხარო, სარკმელი (ჯან.).

ხეირა - თიხის ჭურჭელი.ხეირაში ზეს ვადედევთ.ხაჲრაჲ, ხეჲრაჲ (ღამბ.); ხაჲრაჲ (როსტ.), ხეირაჲ- ქელახ (ჯანგ.).

ხეირი - სარგებლობა.ხეიროვს, უხეირნია.მაგით ხეირი არ მაქონ.

ხეირიხახ საქმე -სასიამოვნო, მომგებიანი საქმე.ხეირიხახ საქმე დამიწყოვ.

ხიალში წასლა - ფიქრი, ფიქრში წასვლა.ხიალში წაუდა, შენ ხიალი შორს არი,ხიალში წაუდა. ხიალ (აზ. ხეალ) (ღამბ., იმნ).

ხიანათი - მოტყუება, ღალატი.ხიანათოვს, ხიანათობას ნუ ჩიდი, წოორა გაყოფე. ხიანათ (იმნ.).

ხიბალი -შხამი, საწამლავი. ხიბალი ჩოუყარა, ზაღ ხიბალი დოუყარა. ხიბალ (ღამბ., როსტ., მენთ.). ეშმაკი და კუდიანი (ჭყ.)

ხივა//ხივა-ხივა ქნაჲ - პატარა ნაკუწი, ერ პატრა ხივა არ მაქონ, პერანგი ხივა-ხივა ქნა.ხივაჲ (ღამბ.).

ხიდმათი - სამსახური. ხიდმათ ექცევა, წაი ხიდმათი უყავე. ხიდმათ (აზ.).

ხინკალი - ცომისგან დამზადებული საჭმელი. ხინკალი გამიქით, მოუდი.ხინკალ - ცომის ფურცლოვანი შეჭამანდი (როსტ.).

ხიშტაკი არ მაქო - რაიმე ჩასაცმელი არ გამაჩნია.ერ ხიშტაკი არ მაქონ. ხიშტაკ ტანსაცმლის სახელოს ძირში ჩასაყენებელი ნაჭერი. (ღამბ.). ხიშტაკ-სახელოს იღლიასთან, შარვლის უბეში დასადები პატარა, მოკლე ოთხკუთხედი ნაჭერი (როსტ.). იხ. საბა., ჩუბ., მენთ. ხიშტაკი.

ხიწიწი - დუმის მოხრაკული ნაჭრები. დუმა გომოდნობასუკან ხიწიწი ჰჩება. ხიწიჲ, ხიწიწ(აჲ) - როსტ., ღამბ.; ხიწიწ (შან. რეც.), ხიწიწი (საბა, კირ., მენთ., ხუბ., ლეონ.) ხოჭიჭვი (ჩუბ.),

ხაწიწი - ქეგლი (ლეჩხ.). ძოწ.

ხირხიროობა - ხარხარი. ხირხიროვს, მაგათა ერ დიდ ხირხიროობა იყო.ხირხიროვაჲ (ღამბ.).

ხიხა - ცუდი, რაც პირში ჩადება არ შეიძლება. ხიხაარი არ ჰჭამო. ხიხაჲ, ხიხიჲ (ღამბ.).

ხიჰწორი - ხის კენწერო. ხიჰწორზე გეველე.

ხლართი-ხლართი - კლაკვნით სამუშაოს შესრულება.რა ხლართი-ხლართი მუშიოვ. ხლართი-ხლართი (როსტ.).

ხლუკი- ხვლიკი.ორ ხლუკი მოკლა. ხლუკ (ღამბ.)

ხოვი - ხვავი, მარცვლეულის გროვა. ერ ხოვ თხილი აქონ. ხოვ (ღამბ., როსტ.); ჳკან., გიგ., თოფ., ქავთ. (მოხ. ქართლ.), კაიშ., ქავკ.

ხოკერი - წნელისგან დაწნული კალათი წინდის ძაფისა და ფითილების ჩასაწყობად. ხოკერი მამიღი, ფაროს ვასტავ. ხოკერ - ხის ჭურჭელი (ღამბ.). ხუკერ (ჳკან.), ხოკი, ხოკერ (ჩუბ.), ხოკერი (საბა, შან., ვაჟა I, მენთ., კირ., უთურგ., ჭინჭ., ხევს.)

ხონი - ქორწილში სასიძოსთვის ლანგრით მირთმეული ძღვენი. ხონი გოვქითა,ხონი გაქითება იცოდნენ ადრე. ხონ (ღამბ., როსტ.); თაბახი, მთლიანი ხისგან მრგვლად გამოთლილი გობი. მასში ცომსა ზელენ ან ფქვილს ცრიან. აქედან ხონჩა (მენთ.); ხონი,- დიდგობი - გიგ., თოფ., ქავთ. (ინგილ.); ხონი, ხონჩა - გრძელი და დიდი ტაბაკი, სეფილა (ჩუბ.).

ხონჟარი - შარვალში გასაყრელი ზონარი. ხონჟარი მამიღი შააყრელა. ხონჟარ (ღამბ., როსტ.); ხონჳარი (ქავკ.).

ხონჩა - სასმელ-საჭმელის მოსატანი ხის ჭურჭელი. ხონჩა გოუშალა, ხონჩა დამიდო წინ. ხონჩაჲ - მოგრძო ხის ფიცარი (ღამბ.); ხონჩაჲ მოლაგევაჲ - საჭმლის მოტანა (როსტ.); მენთ., საბა. ჩუბ.

ხორაგი - საჭმელი, სანოვაგე.ხორაგ აქითევს,ხორაგი გაქითე, დამიზახე. ხორაგ (აზ.ხორაქ) - (ღამბ., როსტ., გიგ., თოფ., ქავთ. (მთიულ.).

ხორთქლა - ხვართქლა.ხორთქლა აჰხევია თხილს.ხორთქლა, ხორთქლა ჩიჩაქ (ღამბ.). ხვართქლა (საბა).

ხორკალი - ნუჟრი, გამონაყარი კანზე, ხელზე, ხილზე.ხორკლიან გუგრა,ხორკლ (ღამბ., როსტ.). იხ. საბა., ჩუბ.

ხორტაგი//ხორტამა -საფლავიდან ამდგარი, რაღაც ცხოვლად ქცეული. გადატ. ღრმად მოხუცებული ადამიანი, რომელიც დიდხანს არ კვდება.ხორტაგი დოუნახავყე სამარიებზე, მაგ ხორტაგ რა მოჰკლავს.ხორტაგ (აზ.) (ღამბ.).

ხოშბახტი//ხოშბახტიანი - ბედნიერი, იღბლიანი.ხოშბახტიანი იქნოს თქენ ბიჭი.

ხოშბეშ ქნა -მისალმების გაცვლა.ერთმეთ ხოშბეს ქნა ვერ მუვასწარეთ. ხოშბეშ მოქცევაჲ (ჳკანგ.).

ხოში - საამური, სასიამოვნო.ხოშიანა, კაი ხოშიანა ვიქეიფეთ.

ხოშიება - ტრფიალება, არშიყობა.ხოშიოვს, რას ხოშიოვს ჰეიგი. ხოშიევაჲ (ღამბ.).

ხრწი შეერჭო - ხიწვის შერჭობა.თითში ნაგახტან ხრწი შეერჭო. ხორწ (ღამბ., როსტ.); იხ.საბა, ჩუბ., მენთ., ხიწვი.

ხრწიან ლებუა - ფხიანი ლობიო.ხრწიან ლებუა არ გააქითო.ხრწიან ფაყლაჲ (როსტ.).

ხრალი - თუთის ხის რტო.ხრალები

დოუყარე ჭიას.ხრალ (ღამბ., როსტ.); ჳან. ეს არს რაც ხის ქერქი დაიხევის და სფირიდად, ავრიტად, ნეჭად და მისთანად მოიქსოვების (საბა); ლაფანი, თელათა, ჟოლა ცაცხვთა და მისთანათა ავრიტად დაგრეხილი, რომელთაგან მოიქსოვება სფრიდი (ჩუბ.); ხი ტოტებიდან ამოზრობილი ლაფნის ბოჭკოები.ხმარობენ ასახვევად, ჭილობებისა და კალათების დასაწნავად და სხვა (ქეგლი), მხრალი-ხრალი, ნორჩი ხის (თუთის, კაკლის ხის, ლაფნის, აკაციის და მისთ.) ქერქი, თოკად იწვნება (მენთ.); ხარალი-მხრალი (მარტ., იმნ.). ხარალები (მრ.) ოქროსკბილი, სამინდის ძირზე გამოსული მიწისზედა ფესვები, რომლებიც თითქმის მიწას დასწვდება. გიგ., თოფ., ქავთ. (ლეჩხ.), ქეგლი; კირ.

ხრამები - ადგილის სახელი სოფ. მოსულში.

ხრასტი - ამონახველი. ახრასტევსხრასტი გადააჟუტე ყბით ხრასტ (ღამბ.).

ხრუნჭთმა//ხრუნჭთმიანი - თმახუჭუჭა.ხრუნჭთმიან კაცი იყო.ხრუშტ - ხვეული, ხუჭუჭი (თმა) - ღამბ; ხრუშტ, ხრუშტთმიაჲ (როსტ.).

ხუალ//ხუვალ - ხვალ.ხუალ თქენსა მაასულივარ.ხუალ, ხუვალ (ღამბ.).

ხუალზეი - ზეგ.ხუალზეი შაჰარში ვაპირევ წასლას.ხუალზეი, ხუალზეჲ (ღამბ., როსტ.); ხუალზეჲთ (ჳან.), ხუალზეით (გიგ., თოფ., ქავთ (ფშ).

ხუვილი - მთის მდინარის, ქარის და მისთ. ხმაური.ხუვილი ხმა გავგით წეველეთ.ხუვილ, ხუილ (ღამბ., როსტ., ჭინჭ., ვაჟა).

ხუთქიბეი ზინავ - აბრეშუმის ჭიის მეოთხე ძილი. ხუთქიბეი ზინავ.ხუთქიბეი ზილ (როსტ.).

ხუთქიბეი ომოსულა - აბრეშუმის ჭიის მეოთხედ კანის ცვლა. ამის მერე ის უკვე მზადაა პარკის მოსაქსოვად. ხუთქიბეი ომოსულა, უჟე დააცახელია. ხუთქიბე ომოსლაჲ (როსტ.).

ხულა - წვრილყურება ცხვრის ჳიში. ხულა ცხორი არ იყიდო.

ხუშტრუკი - ხუშტური, ხუსტური. მაგი ხუშტრუკები თავი არ მაქო. ხუშუკ, ხუტუკ (ღამბ.). ხუტუკევ (როსტ.).

ხუხუნი - ცხენის ხვიხინი. ხუხუნოვს, ცხენი ხუხუნი ჯმაზე წეველე. ხუხუნ,

გახუხუნევაჲ (ღამბ., როსტ.).

ხურთხურუში - წვრილმანი. წაი ბაზრით ხურთხურუში იყიდე. ხურთხურუშ იხ. წრულმრალ. პატარები (როსტ.).

ხურჟინი - ხურჳინი.ხურჟინი აავსო ყიზილით.ხურჟინ (ღამბ.).

ხურჟინ გაქითება - ვაჟის მხრიდან გოგოს ოჯახში მისატანი საჩუქარი, ხურჟინში ჩაწყობილი. ხურჟინ გაქითება არ მინდა. ხურჟინ გაქითევაჲ (როსტ.).

ხუსუსი - პირადი.ხუსუსი საქმეები როგო არი.

ჳ

ჳამფ - გატეხვისას გამოცემული ხმა. ჳამფ იქნა, მიწაზე დევეცი.

ჳაფი - ადვილად მტეხი. ლოლი ხე ჳაფია, წინ არ წახიდე. ჳაფ - ხმელი, ადვილად მტვრევადი (როსტ.); ჳაფ (ღამბ.). უთურგ.

ჳაფუნი - მიჳახუნებისას ან რაიმეს გატეხვისას გამოცემული ხმა. ჳაფუნი ჳმაზე ზალები აყეფდნენ. ჳაფუნ (ღამბ., როსტ.).

ჳაფაფ//ჳაფუნოვს - ძლიერი ჩქეფა რისამე. ქაფქაფი. მაგი სისხლი ჳაფუნოვს.ჳაფაფ, ჳაფუნოვა (ღამბ., როსტ.)., ჳან., საბა, ხაფ-ხაფი (ჩუბ.).

ჳაჩ ქნა - გატეხვის დროს გამოცემული ხმა, გატეხა (ბავშვის ენაზე). ჳაჩი იქნება, ნუ აჰქონ. ჳაჩ, ჳაჩ ქნაჲ (ღამბ.)-როსტ.

ჳაჩჳაჩ - ძლიერი დუღილის დროს გამოცემული ხმა. ჳაჩჳაჩოვს ჰეგინ ქენე, ქობი ჳაჩჳაჩოვს. ჳაჩაჩოვაჲ, ხაჩხაჩოვაჲ (ღამბ.).

ჳევსური ხარ? - გადატ.უსუფთაო, ბინძური ადამიანი. ჳევსური ხარ?

ჳეთოვ-ჳეთოვ//შიშოვ-შიშოვ - ნელ-ნელა, გაუბედავად მისვლა. რა ჳეთოვ-ჳეთოვ ეტარები, რაიბე გეშნიან. ჳეთოვ-ჳეთოვ, ყეთოვ-ყეთოვ (ღამბ., როსტ.).

ჳელი - ხელი.ჳელი არ ჩამაართო, გაიგია! ჳელ (ღამბ., როსტ.).

ჳელ გამართა - დახმარება, ხელის გამართვა. ჩონ ჳელ გამაართლა ბორშლუ ვართ. ჳელ გამართაჲ (ღამბ.).

ჳელნაკლები// ჳელმოკლე- ხელმოკლე, ღარიბი. ჳელ ნაკლებია, რანდა იქნოს. ჳელნაკლევ (ღამბ.).

ჳელევლი -ხელეული, ერთ ხელში დასაჭერი თავთავი. ერ ჳელევლ თავთავი ზლივ მაიღა. ჳელევლი, ჳელეულ (ღამბ.); ჳან. ჳელეულ- გიგ., თოფ., ქავთ. (ინგილ.); მჭელეული - ჳელევლი ყანისა (საბა; ხელეული (ჩუბ.);ჳელეური (მენთ., გიგ., თოფ., ქავთ. - მოხ.); ჳელეურა (კაიშ.); ჳელაური - გიგ., თოფ., ქავთ. (გუდამაყ.); ჳელაურაჲ (ქაჯ.); ხელაური (ძოწ.).

ჳელებ ომოშლა - აკვანში ჩაკრული ბავშვისთვის ხელების ამოშლა, გათავი-

სუფლება. ყმაწილიბეი ჯელებ ომოშლა არ დაიმირწყო.

ჯელდაჯელ - მაშინვე, საჩქაროდ. ჯელდაჯელ გააქითა საქმე. ჯელდაჯელ - მაშინვე, საჩქაროდ (ი. აბ.).

ჯელ განებება - თავის განებება.მაგი ჯელ განებებასუკან ჩონ მივხედეთ. ჯელ განებება (ჯანგ.).

ჯელ მრუდი -ქურდი. ჯელმრუდ ინსანი შინ არ მაიყონო.

ჯელსაქმე - ყოველგვარი სამუშაო, რომელიც ხელიდან გამოსდის ადამიანს. ჯელსაქმე არ გაქონა ჩემბეი. ჯელსაქმე (ღამბ.).

ჯელურემი - ტვირთის გადასაზიდი პატარა ურიკა. ჯელურემი მამიღი, ნორხ წაალებლა. ჯელურემ (ღამბ., როსტ.).

ჯელქრ//ჩემ ჯელქრ - ხელთან ახლოს, ჩემ ხელში. ქათამი ჯელქრ არ მოდის, ჩემ ჯელქრ საქნია. ჯელქრ, ჩემ ჯელქრ (ღამბ.).

ჯელსატაცი - სასწრაფო, სავაზირო ადამიანი. ჯელსატაც ინსანი აღარ მაქონ.

ჯელცარიალი - ხელცარიელი. ჯელცარიალი როგო წავდე. ჯელცარიალ (ღამბ.).

ჯეჩილი - ნამტვრევები, ნატეხები. ცეცხ დაანთებლა ჯეჩილი მამიღი. ჯეჩილ (ღამბ., როსტ.).

ჯერჯალი//ჯერჯლები - ეზოს კარში ორ ბოძს შუა ჰორიზონტალურად გაყრილი ლატანები. ჯერჯლებ უყრის, ჯერჯლები ჩომოყარე ტაჭკა მოდის. ჯერჯალ - ხირხალ (ღამბ.). ჯერალ - ბოძებში გასაყარი თლილი სქელი ხე, რითაც სამ-ოთხ რიგად შემორაგავენ საქონლის საზაფხულო სადგომს. მას ჩახჩალიცჰქვია (როსტ.); ჯერჯალ (ჯანგ.); ჯრიჯალი (მენთ); ჯირჯალი არს სხვილის ძელით სამ-ოთხ რიგად სიგრძედ შემოვლებული (საბა); ხირხალი - ზღუდე ლატანებისა გარემოს ხნულთა ან კალოთა (ჩუბ.).

ჯეჩავს - ტეხავს. ჩონ სიმინდს ჯეჩავს. წინ მანატან პურს ჯეჩავს.

ჯინცვა - მჭიდროდ, შემჭიდროებულად ჯდომა. ჯინცავს, ჯინცი-ჯინცი, ჯინცი-ჯინცი ვერ დაუსხდებით.

ბაწრი ჯიფი მაქონ შაალებელი.ჯიფ (ღამბ., როსტ.); შან. რეც. საბა, მენთ. ხიფი (ჩუბ.), ჭინჭ. ხევს. გიგ., თოფ., ქავთ. (კახ. ქიზ.), კაიშ.

ჯლარჩ - ჯლურჩ, ჯლარჩუნ-ჯლარჩუნ - ტოტების, ჯოხების მტვრევის ხმა. ჯლარჩუნ-ჯლარჩუნ წაუდა. ჯლარჩ-ჯლურჩ, ჯლარჩუნ (ღამბ., როსტ.).

ჯმა -ხმა.დაზახნით ჯმა აღარ მაქონ. ჯმა (ღამბ.)

ჯმა გაწევა - ხმის მიწვდენა. ჯმას აწევს, ჯმა გაწევა ლაზიმია მოუდეს. ჯმა გაწევაღ (ჯანგ.).

ჯმა გაწყოტა - ხმის გაწყვეტა. ჯმას წყოტავს, ჯმაი გაწყოტასუკან ვერ იპოვნი? ჯმა გაწყოტაღ (ღამბ.).

ჯმა დაჭერა - ხმის ჩახლეჩა.ჯმაღ დაჰ-

ჭერია, გაციებულა ჯმა დაჰჭერია. ჯმაჲ დაჭერაჲ (ღამბ.).

ჯმა მიცემა - ხმის მიცემა. ჯმა მიცემა არ უნდა. ჯმა მიცემაჲ (ჯანგ.).

ჯმა ქნა - დაძახება. ჯმას ჩიდის,ჯმა ქნა, წეველეთ. ჯმაჲ ქნაჲ (ღამბ., როსტ.).

ჯმა უყო - დაუძახა. ჯმა უყოს, ჯმა უყო გომოიო. ჯმა უყო, ჯმის ყოფა - გიგ., თოფ., ქავთ. (ინგილ.) ღამბ.

ჯმა-ჭკო - ხმაური, აურზაური. სახლით წაი, მაგი ჯმა-ჭკოი გაგება არ მინდა. ჯმა-ჭკოჲ (ღამბ.),ჯმა ჭკოჲ (როსტ.).

ჯმა-ჭკოი ქნა - აურზაურის ატეხვა. ჯმა-ჭკოი ქნას ვეღარ ვუზლევ. ჯმა-ჭკოჲ ქნაჲ (ღამბ.).

ჯმაი საქნელა წაუდა - დასაძახებლად წავიდა. ხათუნა ჯმაი საქნელა წაუდა. ჯმაჲ საქნელა (ღამბ.).

ჯმას ჩიდის - იძახის. რაიბე ჯმას ჩიდის? ჯმას ჩედის (ღამბ.).

ჯმელი - ხმელი, გამხდარი. ჯმელ პურ ვერ ჰჭამს. ჯმელ (ღამბ.).

ჯმელ ბალახი - გამხმარი თივა.ჯმელ ბალახი დოუყარე ცხენს. ჯმელ ბალახ (ღამბ.).

ჯმიანობა - ლაპარაკი, ხმის გამოცემა. ჯმიანოვს,ეზოში ყმაწილები ჯმიანობა კარგია. ჯმიანობა (ღამბ.).

ჯნრშა//ჯნრშვა//ჯნოშუა - ხვნეშა. ჯნრშავს, მაგი ჯნრშით გული წაიღა. ჯნრშაჲ, ჯნრშილ, ჯნრშოვაჲ, ჯნრშუაჲ (ღამბ.); ჯნრშოვაჲ, ჯნოშუაჲ - ხვნეშა (როსტ.). იხ. საბა.

ჯნოში-ჯნოში - ხვნეშით, ძლივძლივობით. ჯნოში-ჯნოში მოუდა. ჯნოშუ-ჯნოშუ (როსტ.).

ჯროტი - ხვრელი.ზაღ ჯროტი გოუქითებია.

ჰ

ჰააყინ - დანამდვილებით. ჰააყინ ვერ მოდის დაიგიანა.

ჰა - აჰა. ჰა აიღი წაი.ჰა (ღამბ., როსტ.).

ჰა - რა? ჰა ილაპარიკა? ჰა (ღამბ., როსტ.).

ჰაბა? - აბა? ჰაბა რა ქნილა, დამანახეთ. ჰაბა (ღამბ., როსტ.).

ჰაბე - იხ. ჰაბე

ჰაბუ - დედალი ცხენი. ჰაბუ ცხენი შაანახლა ჰადულია.

ჰაბულაანები -აბულაშვილების გაგვარეულო შტო სოფ. მოსულში.

ჰაბგა - აბგა. ჰაბგაში პური ჩადევა არ დაიმირწყო. ჰაგ(უ)ბაჲ, ჰაბგაჲ, ჰაბგაჲ (ღამბ., როსტ.); შან. რეც., ჰეგიბა, ჰეგბა -ორთვლიანი, ნივთების ჩასალაგებელი ჩანთა, რომელსაც მხარზე იკიდებენ, აბგა. ხურჯინი (ნიჟ.).

ჰადისა - შემთხვევა, მოვლენა, ამბავი. ერ ჰადისა ქნილა მაგათ სოფელში.

ჰადიქი - მოხარშული სიმინდის მარცვლები. ჰადიქი დოვდგამ ცეცხზე.

ჰადულ - ადვილი, იოლი. ჰადულ საქმეერი, შენ წაი. ჰადულ (ღამბ., როსტ.); ჯ,ან.

ჰადულობა//ჰადილოვა - სიადვილე.ჰადულობა ნუ ჰგონია მაგა ჰადულოვაჲ (ღამბ., როსტ.); ჯ,ან.

ჰავაი//ჰავაჰი - ტყუილად, ტყუილ-უბრალოდ. მე ჰავაი წეველე მაგათა. ჰავაჲ (აზ.) -ამაოდ (ღამბ., როსტ., ჯ,ანგ.); ჰავაჰი (გიგ., თოფ., ქავთ. (ინგილ).

ჰავაი მოჯეჩა - ამინდის გარდატეხა. უჟე ჰავა მოჯეჩულა, მალე დათბეს უნდა. ჰავაჲ მოჯეჩა -წყლის ოდნავ შეთბობა (როსტ.).

ჰავალუ - გალაღებული. შენ დანათეს ლებუა ჰავალუ ქნილა.

ჰავასი - ხალისი, მონდომება.მე ჰავასი აღარ მაქონ საშიპრელლა. ჰავას (აზ. ჰევეს) - ღამბ.

ჰავასქარი - მოყვარული, მსურველი. ჰეგი მუსიკი ჰავასქარია.

ჰავაშ//ჰავაშ-ჰავაშ - ნელა, ნელ-ნელა. ჰეგინ ნუ მიჰდი, ჰავაში წაი, ჰავაშ-ჰავაშ ჩონც მუვალთ. ჲევაშ, ჲევაშ-ჲევაშ, ჰევაშ-ჰევაშ (ღამბ.).

ჰავაშ ქენე - შეანელე. ცოტა ჰავაშ ქენე.

ჰაზირი//ჰაზირ ქნა - მზად, ბარემ მომზადება. ჰაზირია, მე ჰაზირი არ ვარ ჟერ, ჰაზირ ქნაში დამიზახე,ჰაზირ მიჰდიხარ, ჩემ ბიჭიც წაიყონე. ჰაზირ (აზ. ჰაზირ), ჰაზირ ქნა - ღამბ., როსტ; გამზადებული (იმნ.), ხაზირი, მზა გიგ., თოფ., ქავთ. (ფერეიდ., აჭარ.); ხაზირი-მზადება, იქვე (იმერხ.); ჰაზირ, აზირ ძიძ., კეცხ., ხუბ. (ქართლ.).

ჰაზირდა - სახეზე, ამჟამად მზად. ჰაზირდა ათ მეშუკი მაქონ.

ჰაზირლუღი//ჰაზირლუღ გაჰწევაჲ - თადარიგი, სამზადისის გაწევა.ჰაზირლუღ ჰწევს, ჟერ ქორწილი ჰაზირლუღი არ გამიჰწევია. ჰაზირლუღი (აზ. ჰაზირლიგ) - ღამბ., როსტ.

ჰაზუღი - საცოდავი. დაინახია, ჰაზუღი როგო ჩომოხრილა.

ჰაია-ნამუსი - სირცხვილ-ნამუსი.მაგა ჰაია-ნამუსი აღარ აქონ.

ჰათიათი - თადარიგი. ჰათიათ დაჭერაჲ, ჰათიათი დოუჭერია.

ჰათარ იქნა//ჰათარ ქნილა - როგორ, რანაირად მოხდა. მითხა, ჰათარ იქნა? ჰათაარ, რათაარ (ღამბ., როსტ.).

ჰათათ- ძალის გაგდება.ზაღ ჰათათ უყავე.

ჰაისჰა - რა? ჰაისა საქმე? ჰაი (როსტ.).

ჰაიასუზი - ურცხვი, უტიფარი, უდიერი, თავხედი. ჰაიასუზია, ერ ჰაიასუზ რაიმეერი. ჰეიასუზ (აზ.).

ჰაიოხი - მშვილდ-ისარი. ერ ჰაიოხი გამიქითა ჩონ ბიზამ. ჲაჲუხ (ღამბ.).

ჰაიფ - აფსუს, დასანანი. ჰაიფია,ჰაიფ რომ ვერ მეველე ქორწილში. ჰაჲფ (აზ.) -ღამბ.

ჰაიასუზობა - უსირცხვილობა, უნამუსობა. ჰაიასუზობასთან არა არ მაქონ.

ჰაიფი არ ხარა შენ? - ცოდო არა ხარ? ჰაიფი არ ხარა შენ? მაგი ჯელში ჰაჲფ არ ხარა შენ (ჯანგ.).

ჰაიფ შენ ნაჭამ პური - ფიგ. გამოთქმა, დანანება. ჰაიფ შენ ნაჭამ პური, ჰარამი იქნოს.

ჰაი-ჰუი - ჟივილ-ხივილი. ჰაი-ჰუი ჩომოგდება რაშ გინდა?

ჰაკიდა - აკი, ხომ, მაშ. ჰაკიდა კაი იყო, რა იქნა რა მოუდა? ჰაკიდა (როსტ.).

ჰალა - ჯერ. ჰალა ვერ მოუდი, მემრე მუალ. ჰალა (აზ ჰელე) -ღამბ., ჰალა (იმნ.).

ჰალადაც - ჯერაც. ჰალადაც ბორჟი მაქონ.

ჰალალ გული აქონ - ალალი გული აქვს, გულმართალია, უეშმაკოა, კეთილია. ჩონ კაც ჰალალ გული აქონ.

ჰალალი იქნოს - ლუკმის ყელზე დადგომისას ეუბნებიან. ჰალალი იქნოს.

ჰალალული მიეცე - აპატიე, შეუნდე. რაც იქნა, იქნა, ჰალალული მიეცე.

ჰალანჩი - მატყუარა. ჰალანჩი ნუ ხარ. იალანჩი (აზ.).

ჰალაჟინები - ბალარჯიშვილების საგვარეულო შტო სოფ. მოსულში.

ჰალაქი - ჯერ-ჯერობით. ჰალაქი ჟერ ეისი წაიღი, მემრე სხოს მააცემივარ. ჰალაქი (აზ. ჰელექი) -ღამბ; ახლა რომ, თურომ (ჩიქობ.); გიგ., თოფ., ქავთ. (ფერეიდ.).

ჰალთალი - მლიქვნელი, ქლესა. ჰალთალღოვს, ჰეგი რა ჰალთალია მე ვიცი.

ჰალი -ძალა, მდგომარეობა, ვითარება, გარემოება. ჰალაქი ჰალი მაქონ მუხლებში, მემრე ჟაფა საქნია. ჰალ (აზ.) – დრო, მომენტი ყოფა, მდგომარეობა, ვითარება (ღამბ.).

ჰალყა - რგოლი, ყულფი. კანაფ ჰალყა გოუქითა, თავი გაყოფა შიგ. ჰალყაჲ -კილო (როსტ.). ალყა - აბრეშუმის ძაფი, სალტე, რგოლი ან კრკალი (ჩუბ.), ალყები -დოლის რკინის სალტეები შემოსაკერებლდ (მენთ.).

ჰალჰალაჲ - ავკარგის უცოდინარი, გაუგებარი. მაგა ჰალჰალა არ მეკითხება. ჰალჰალაჲ (როსტ.).

ჰამ//ჰემ - თან, აგრეთვე. ჰამ უკრავს, ჰამ შიპრობს.ჰამ (როსტ.)

ჰამამ - აბანო. ჰამამი არ მუშიოვს. ჰამამ (აზ.) როსტ., ღამბ. გიგ., თოფ., ქავთ. (ჯავახ.).

ჰამამ-ჩაი - მდინარე, ჩაედინება ქალალ ჩაიში.

ჰამ ქნა - ბავშვის ენაზე ძაღლის კბენა. ჰამ ჩიდის, ზირზე არ წახიდე, თურემ ჰამ საქნია. ჰამ ქნაჲ (როსტ.).

ჰამანქი - სწორედ იგივე. ჰამანქი ადგილზე სალედნივარ შენთუნ. ჰამანქი (აზ.) (ღამბ.).

ჰამანი//ჰამანია//ჰამანი შეგეყაროს -

დაავადება. წყევლა. გადატ. შემტევი ადამიანი.ჰამანი მოხტეს, ჰეგი დიახ ჰამანია, შენავ ჰამანი შეგაყაროს. ჰამან (აზ.) - სწორედ ის (ღამბ.),ჲამან - ციმბირის წყლული (ღამბ.); ემენი -ესა და ეს, მავანი (გიგ., თოფ., ქავთ. მესხ.).

ჰამაჟი - ფერდობი.ჰამაჟი შენთუნ შამინახავ.

ჰამალი//ჰამალიანი - საკერებელი.შარვალზე ჰამალი დაადო.

ჰამზანები - ჰამზაშვილების საგვარეულო შტო სოფ. ალიაბადში.

ჰამმეშა//ჰამმიშა - მუდამ, ყოველთვის. მე ჰამმეშა მაგა კაიობას ვექცევი, თუთან ვერ იგევს. ჰამმეშა, ჰამმიშა (აზ. ჰემიშა)- ღამბ., როსტ. ჰამმეშაბე (თ) - სამუდამოდ იმნ.

ჰამთონი//ჰამთონა - რამდენი. ჰამთონა მავლო?ჰამთონა, ჰამთონ (როსტ.).

ჰანა-ჰანა წავდა - დამწვარი, გაცეცხლებული. ჰანა-ჰანა წავდა ჩონგნი.

ჰანდი - ბრინჯის დასათესი ნაკვეთი. დილაზე მალე ჰანდი მააწყელა წავდა. ჰენდ - დათესილი დიდი ნაკვეთი (როსტ.).

ჰანაჟალი - საწვავი.მეშინზე ჰანაჟალი არ მაქონ.

ჰანზე//იანზე - განზე.ჰანზე რაიბე დგახარ, ჩონთან მოი. ჰანზ, ჲჰანზე, ჰანზე, (ღამბ.). ჲანზ (შან. რეც.).

ჰანლლიში - შეცდომა.ჰანლლიში არ იქნოს. იანლლიშ (აზ.).

ჰანლუ - ხანძარი.ჰანლუ ზლივ ჩააქრეს.

ჰაჟი - საპატიო ტიტული, მუსლიმანისა, რომელმაც მექა მოილოცა. ჰაჟი ქნილა ჰეგი.

ჰარ//ჰარ რამე - ყოველი. ჰარ რაიმეს თავი დრო აქო. ჰარ (აზ ჰერ) - ღამბ., იმნ. გიგ., თოფ., ქავთ. (ფერეიდ.).

ჰარდღე - ყოველდღე. მე ჰარ დღე მივდი დედაი სანახლა.

ჰარაი - ძახილი, ყვირილი. ერ ჰარაი უქნია, ბითოვ ხალღი შოუყრია. ჰარაჲ. შორისდ. საგანგაშო ნეტავი (როსტ.), ჰარაჲ (აზ.)- არიქა! ნეტავი (ღამბ.); ჯან., ჰარა (გიგ., თოფ., ქავთ.). (ყიზ. მოზდ.), ჰარია (მენთ.,ჯანგ)

ჰარაი - ბასხუნი - აურზაურის ატეხვა. ერაგე ჰარაი- ბასხუნი ჩამააგდა, იქავრობა შაჰყარა. ჰარაჲ, ჰარაჲ ჩომოგდებაჲ (როსტ.).

ჰარაი ქნა - დაძახება საშველად. ჰარაჲ ქნაჲ მემეშელეთო.ჰარაი ქნა (ჯანგ.).

ჰარალუ - დაჭრილი.ჰარალუ სალდთი შაგხტო.

ჰარამი - არამი. ჰარამი იქნოს ჩემ მანაცემ პური. ჰარამი (აზ.) - ღამბ. არამი (შან. ვაჟა III). ჰარამიჲ -ვაზის ღეროებზე ამონაყარი ყლორტი (როსტ.).

ჰარამ გარევა - მოპარულის გასხვისება, გაცემა სამოწყალოდ. ჰარამ გარევა არ მინდა სადაყაში. ჰარამ გარევაჲ- ღალატი, ორგულობის გამოჩენა (ღამბ.).

ჰარაქათი - საქციელი, მოქმედება, ქმე-

დება, მოძრაობა. მაგი ჰარაქათ შაჰხე.

ჰარაიმე - ყველაფერი. ჰარაიმე თავი თოლით ნახოს, მემრე წაიყონე.

ჰარაყულუ - ბეჩავი, გაუგებარი. ცარიალ ჰარაყულუ ხარ.

ჰარაწი - ღვინის სასმისი, ორი ჭიქის ტევადობის. ჰარაწით ღუნეს ლევდით. ჰარაწი (ღამბ., როსტ.). არაწ, ჰარაწ (შან. რეც.); ერაწი- პატარა ქვაბი (შან . ხევს., ჭყ.).

ჰარბირი//ჰარბირს - ყოველი, თითოეული. ჰარბირის თავი ყისმათი აქონ. ჰარბირ (აზ. ჰარ ბირ) -ღამბ.

ჰარდღე//ჰარდღით - ყოველდღე, ყოველდღიურად. ჰარდღე ნაჩალი სანახლა მიდის. ჰარდღით, ჰარდღე ღამბ.

ჰარდუმი - დახმარება. მაგა ჰარდუმი რაიბე მიჰცეს?

ჰარჟა- მარჟა - იშვიათად.ჰარჟა-მარჟა დაგუანება არ იცის.

ჰარჟურა//ჰარჟურაითი - ყოველგვარი ჯურისა. ჰარჟურაითი ორ-სამ ცალი მამილი. ჰარჟურაჲ (აზ.). (ღამბ.).

ჰარჟურა ჩალიშმიშ ქნა - ყოველნაირად ეცადა. ჰარჟურა ჩალიშმიშ ქნა, ხეირი არ აქო.

ჰარრამა - ირგვლივ, გარშემო. ჰარრამა შომოუარა, მემრე წაუდა. ჰარრამა (აზ.)- ღამბ., როსტ.

ჰარრამა დანალა//ჰარრამ ნალავს - ირგვლივ, გარშემო მყოფნი ყველანი მოატყუა ჰარრამა დანალა მემრე წაუდა. ჰარრამა დანალაჲ - გარეთა ჩლიქების გარშემო ნალის დარტყმა (როსტ., ღამბ.).

ჰარრამა მოჯნა - წრიულად მოხვნა.ჰარრამა ჯნავს, ჰარრამა მოჯნა, მემრე წაუდა. ჰარრამა მოხნაჲ (როსტ., ღამბ.).

ჰარუმჩული - დაუმთავრებელი, დაუსრულებელი. სახლი ჟერ ჰარუმჩული მაქონ, არ მამირჩენია.

ჰერუმჩულ//ჰერიმჩულ//ჰერუმჩულ, ჲარუმჩულ (ღამბ.).

ჰარუმჟანი - ცოცხალ-მკვდარი, უსიცოცხლო. ჰარუმჟან ინსნი ცხოვრება რანდა იქნოს. იარუმჯან (აზ.).

ჰარქესა -თითოეული. ჰარქესა თავიბეი ჰკრეფავს თხილევ. ჰარაქესან (აზ. ჰერქეს) -ღამბ. ჰარქესან (როსტ.).

ჰასაკინები -ასაკიშვილების საგვარეულო შტო სოფ. ალიაბადში.

ჰასრათი ქნილა - დანატრება, დანატრებული. ჰასრათია, შაჰარში წაასულა ჰასრათი ქნილა.

ჰაფუშხანი - წებო. ჰაფუშხანი წოვსო კარდონ თაგი დაჭერლა. ჰეფიხშან (აზ.) - ღამბ.

ჰაქიმ//ჰექიმ - ექიმი.ჰექიმი ჟერ არ მოსულა.ჰაქიმ, ჰექიმ (აზ.). (ღამბ.).

ჰაქიმიათი - ხელისუფლება. ჰაქიმიათი მაგი ხელშია.

ჰაქქა//ჰაქქარი - დიდი, უშველებელი. ერ ჰაქქა რაიმერი, შემეშინდა. ჲექა,

ჲეჰკა, ჲაჰკა, ექქა (ღამბ.).

ჰალინთუ- ავდრიანი, წვიმიანი.ჰალინთუ იქნა კაი საქნია.

ჰაყიყათან - დანამდვილებით. ჰაყიყათან იცია მაასულია?

ჰაყისაბი - ანგარიშსწორება. ჰაყისაბ აჰწორევს, ჰაყისაბი გააწორა.

ჰაშაში - საცხოვრებელი.შენ ჰაშაში არ გაქონ.

ჰაშ//ჰეში - ასაკი. ჟერ ჰაში არ ათიებია. ეშ, ჰაშ, ეშ (ღამბ.).

ჰაშლუ - ასაკოვანი.ერ ჰაშლუ კაცი მოვდა თქენსა.

ჰაშა ქნა - დამალვა, უარყოფა. ჰაშას ჩიდის, სრუ რაიმე ჰაშა ქნა.სრუ რაიმე ჰაშა ქნა. ჰაშ ქნაჲ (ჰ)აში(თ) გ(ო) მოტანაჲ - სათრიმლე ნივთიერებაში ტყავის გამოყვანა, თრიმვლა (ღამბ.). ან სხვა წესით დამუშავება - გამოყვანა, გამოქნა.

ჰაშუმა - მიუხვედრი, გაუგებარი.ჰეგი ცარიალ ჰაშუმაარი.

ჰაშუში -მცირედი ნამცეცი.თოლში ჰაშუში ჩამივარდა.

ჰაჩა - ორტოტა, ორად გატოტილი ხე. ჰაჩა მაიღი.

ჰაჩალუ- ორტოტა, კაპიანი.ჰაჩალუ შიშა მამიღი.ჰაჩა (აზ.) -როსტ., ღამბ. ჰაჩაჲ (როსტ., ღამბ.).

ჰაჩა ყუირული- სარეველა მცენარეა. ხორბალში ჰაჩა ყუირულა გარევლა.ჰაჩაყუირულ (ღამბ.).

ჰაჩაჩა - ხის კავი.ადრე ჰაჩაჩაითი ჯნავდით მიწას. ჰაჩეჩაჲ, ჰაჩიჩაჲ (როსტ., ღამბ.); იმნ., ჯან.

ჰაჩუ - ბავშვის ენაზე ცხენი. ჰაჩუზე შაააჟდენივარ.

ჰახშილული - კაიობა. მაგიბეი ბევ ჰახშილული მიქნია.

ჰაჰარი - უნაგირი.ცხენზე ჰაჰარი დაადო.

ჰაჰყან//ჰაჰყინ -ნამდვილად. ჰაჰყან მაასულია, გითხრა“. ჰაჰყ(აზ. ჰაგგ)- გასამრჯელო ჰაყი - გიგ., თოფ., ქავთ. (ინგილ. ფერეიდ.); დასამაკებელი ვადა; სინამდვილე (ღამბ.).

ჰაჰყი - გასამრჯელო. მაგიზგნი ჰაჰყი მაქონ აალებელი. ჰაჰყ (ჰაგგ). (ღამბ.). ჰაყი (გიგ., თოფ., ქავთ. (ინგილ., ფერეიდ.).

ჰაჰქა - დიდი.ერ ჰაჰქა რამ დავნახე.

ჰაჰუდი - ებრაელი.შაჰარში ორ ჰაჰუდი შახტომია?

ჰება - ფიწალი. ჰება მამიღი ბალახი დააბრუნებლა. ება, აბა, ჰება, (როსტ., ღამბ.).

ჰებეი - იხ. რებეი

ჰეგა - ქლიბი. ჰეგა მამიღი, თოყ გამაწკეპლა. ჰეგა - ნ. ეგა (ღამბ.).

ჰე - შეძახილი ცხენის გასაგდებად. ჰე, მუდრაგო! ჰე (როსტ., ღამბ.). შდრ. ჩუბ. ჰე.

ჰეეგი - ეგ. ჰეეგი რას ჩიდის, არ აპირევსა წასლას. ჰეეგი - ნ. ეეგ (ღამბ.).

ჰედი//ჰედობა - უცხო, უცხოობა. ჰედოვს,ჰედ ინსანი დანახითავ იმალება, რაიბე ჰედოვ, კარგა დაუექე. ედე, ედ, ჰედ (ღამბ.).

ჰედიგარი - სახსოვარი, საჩუქარი. მამაი ჰედიგარი არ დაჰკარგო, კაისა. ედიგარ (ღამბ.); ედიგარ - საჩუქარი (ჩიქ.).

ჰედი გელინ იუმაზი - საქონლის ფაშვის ძნელად გასარეცხი ნაწილი. იედი გელინ იუმაზი გარეცხა არ მინდა. ედიგელინ (როსტ.).

ჰეემ//ჰემაც - თან, თანაც. ჰეემ იკითხე, ჰემ ითამაშე. ჰემ, ჰემაც, ჰამ, ჰამაც (როსტ., ღამბ.). გიგ., თოფ., ქავთ.(იმერხ. აჭარ)., ჰემ მენთ.; ჰამაც; (იმნ.).

ჰეემაგრე - აი მაგრე. ჰეემაგრე არ იქნება საქმე. ჰეემაგრ (როსტ.).

ჰეემაზე//ეემაზე - აი ამისთვის. ჰეემაზე არ მოუდა ჩონსა. ჰეემაზე, ეემაზე - ნ. აამაზე (ღამბ.).

ჰეემათ - აი ამათ, აი ამათი. ჰეემათ არ ეზახია ქორწილში? ეემათ, ჰეემათ (ღამბ.).

ჰეემამ//ეემამ - აი ამან.ჰეემამ საქმე არ წაავდინოს. ჰეემამ, ეემამ -ნ. აამამ (ღამბ.).

ჰეემანდ - აი მანდ. ჰეემანდ რაც გინდა იყოს მაიღი. ჰეემანდ -ნ. ეემანდ (ღამბ.).

ჰეემი -აი ამით.ჰეემი განაქითევ საქმე რანდა იქნოს. ჰეემი -ნ. ეემი (ღამბ.).

ჰეემიგნი//ჰეემიზგნი - აი ამისგან, აი ამაზე.შაჰხე, ჰეემიგნი კაცი იქნება? ჰეემიზგნი თეთრი არ ამიღია. ემიგნი, ემიზგნი, ჰემიგნი, ჰემიზგნი (ღამბ.).

ჰეემისი - აი ამისი. ჰეემისი რალა მოგიჭრო. ჰეემის - ნ. ეემის (ღამბ.).

ჰეეიგი//ჰეიმი - აი ეგ. ჰეეიგი რა მაიტანე, რაშ გინდა? ეეგ, ჰეეგ (ღამბ.).

ჰევა//ჰევა-ჰევა - მაწანწალა, წანწალ-წანწალ სიარული. ზროხას ჰევა ნუ უშოვ. ჰევა-ჰევა ტარება ნუ იცი. ევა, ჰევაჲ (ღამბ.).

ჰევანნული - მისაყოლებელი.ჰევანნული ალარ გოქონ. ჰევანნულ ნ. ევანნული (ღამბ.).

ჰევაში - იხ. ჰავაში.

ჰეზდალი - ბორცვის სახელია სოფ. ალიაბადში.

ჰეთალი - ჯოგი, ფარა.ერ ჰეთალი ცხორი ჰყავ. ეთალ, ათალ, ჰეთალ (ღამბ);

ჰეთიმი - ობოლი. ჰეთიმი მამიყონა შინ. ეთიმ, ჰეთიმ, (ღამბ.); ეთიმი - ძიძ. (იმერხ.).

ჰეჲ - შეძახილი, მიმართვა ცოლ-ქმარს შორის.ჰეჲ აქ მოიღა, ჰეი, გაიხედე გარეღა. ეჲ (როსტ.); ეჲ (შორიდებული) - ღამბ; ჯან.

ჰეზი - სპილენძი. ჰეზი ქობი მამპარეს. ჰეზ- ნ. ეეზ (ღამბ.)

ჰეზნა - სიძე.შენ ჰეზნა დავნახე ბაზარში. ეზნაჲ, ჰეზნაჲ (ღამბ.).

ჰეივანი - ცხოველი. ორ-სამ ჰეივანი დაკლა ქორწილში. ჰეღვან - ნ. ჰაღვან (ღამბ.).

ჰეილალი - იალალი, საძოვარი.ცხორ ჰეილალზე მიჰყონ. ღეღლალ, ჰეღლალ. ღეღლალ (ღამბ.).

ჰეიმან - აი მაგან. ჰეიმან მე რანდა მიყოს?

ჰეიმაითი - აი მანდედან.ჰეიმაითი არ წახიდო, მოუარე იგრე წაი. ემაჲთი, ეიმაითი, ეიმაჲთი, ჰემანთი, ჰეიმაჲთი (ღამბ.).

ჰელაბელა - ისე რა.ჰელაბელა რაიმე იყო.

ჰეირანი - აღფრთოვანება. ერ ბიჭი ერ ქალზე ჰეირანი ქნილა.

ჰელავი - ალი. ცეცხლი ჰელავი აყარზე გავდა. ჰელავ ნ. ღელავ (ღამბ.);ჲალავ (შან. რეც.); ჰალავ (ჳკან.).

ჰელბეთ//ჰელბეთ მუა//ჰელბეთ ქი - ალბათ, უთუოდ. ჰელბეთ მუა, ჩონ არ დოგაგდევს. ჰელბეთ (აზ.). (ღამბ., ნიჟ.).

ჰელვა - ელვა.ჰელვაში შინ იმალება. ჰელვაჲ (ღამბ., ჳკან.).

ჰელი - ცხოველისათვის გამზადებული თხელი ფაფა. ჰელი გოუქითე ზროხას ჰელ - ნ. ელ (ღამბ.).

ჰემ//ჰემც//ჰამ//ჰამაც - თან, თანაც, კიდეც. თავიბეი მოდის ჰემ ფიქროვს, ჰემაც ჟავროვს.ჰემ, ჰემც, ჰამ. ჰამაც (ღამბ.); ჰემ (ნიჟ. მენთ.), ჰამაც (იმნ., გიგ., თოფ., ქავთ.). (იმერხ. აჭარ.).

ჰემაგრე -ასე, ამნაირად. ჰემაგრე როგონდა წახიდო. ჰემაგ(რ), ჰემააგ (რ) - ნ. ემაგ (რ) (ღამბ.).

ჰემანდ -აი მანდ. ჰემანდ, რაც არი მამიტანე. ჰემან (დ) - ეემან(დ) - ღამბ.

ჰემგიბეი - აი მაგისთვის, ამის გამო. ჰემგიბეი არ მოუდი თქენსა. ჰემგიბე, ემგიბე (როსტ., ღამბ.).

ჰემაც - თანაც. ჰემაც ჩონ მუვალთ, ჰემაც საქმეს გავაქითევთ. ჰამაც (იმნ.).

ჰემგეთი - ასეთი, ამისთანა, ამგვარი. ჰემგეთი არც ქალი მინდა, არც ბიჭი. ემგე (როსტ.). ჰემგეთჲ, ჰემგეთაჲ - ნ. ემგე (ღამბ.).

ჰემენი//რემენი//რამენი - რომელი?რემენი მავყონო თქენსა? ჰემენ, რემენ, რამენ (ღამბ.).

ჰემთონ - ამდენი, იმდენი.ჰემთონ შითილი სა ჩავყარო? ჰეგთონ - ნ. ამთონ (ღამბ.).

ჰემი - საკვები. ჰემი გამთიებია ჭუჭულიბეი.

ჰემმეტი - ამის მეტი. ჰემმეტ ზროხა აღარ მაქონ. ჰემმეტ - ნ. ემმეტ (ღამბ.).

ჰემიში - ხილი.ჭმასუკან ჰემიში მაიღეს.

ჰენგა - მაყარი, ქალთა მაყრიონი.ჩონ ჰენგა წეველეთ. ჰენგაჲ, ღენგაჲ (აზ.) - ღამბ., როსტ.; ჰენგა (ჳკან.).

ჰენგობან წასულა - ქორწილში ქალის

მოსაყვანად წასვლა. მე ჰენგობან წასულაში მაასულივარ. ჰენგოვან - მაყრად (როსტ.).

ჰენი//ენი - ესე იგი, ანუ. ჰენი შენ არ ყოფილხარ, მა მინ იყო? ჰენი, ჲენი (აზ.)-ღამბ.; ანი, - გიგ., თოფ., ქავთ. (ფერეიდ.).

ჰენიჰეთმა - მოზარდი, შეღერებული. ჰენიჰეთმა გამრავლებულა. ჰენიჰეთმა (აზ.).

ჰენჩი - ვაჟის ხელის მომკიდე.ერ ჰენჩი მე საქნივარ. ჲანჩიჲ (ღამბ.).

ჰერა//ჰერალუ - იარა, ჭრილობა,

ჭრილობიანი. ჰერა შააკრელა ბალინცაში წაუდა. ჲერა, ჲარა, ჰერა, (ღამბ.). ჰერალუჲ, - ნ. ჲერალუ.

ჰერაბ//ერაბ - ნეტავი, ნეტავ, ნუთუ. ჰერაბ ტაი რებე არ მოუდა ჩონსა? ჰერაბ, ჲერაბ (ღამბ.), ნეტავ, ნუთუ, მართლა თუ, განა, მართლა გიგ., თოფ., ქავთ. (ინგილ.).

ჰერამაზი - უვარგისი. ჰერამაზ შუული გომოდგა.

ჰერე - იარე, წადი.შენ ჰერე, მეც მაასულივარ. ერ, ჰერ! (ღამბ.)., ჰერ (ჯან.).

ჰერეთი - საქართველოს ერთ-ერთი უძველესი კუთხე.

ჰერიში - სისწრაფე. შენ ცხენ ჰერიში ჰეჩბეთ არ აქონ. ჲერიშ, ჰერიშ (ღამბ.).

ჰერხიარი - მიწური კიტრი. ჰერხიარი არ დამითესია. ჰერხიარ - ნ. ჲერხიარ (ღამბ.).

ჰესაბ ქნაჲ - ანგარიში. ჰესაბ ქნა კარგა იცის.

ჰესი შანახაჲ - გლოვის წესების დაცვა. მაგამ ჰესი არ შაინახა. ჲესი შანახაჲ (ღამბ.).

ჰესირი ჩავარდნაჲ - ტყვედ ჩავარდნა. ნემცევთან ჰესირი ჩავარდნილა.

ჰეფინჯი - ნაბდის წამოსასხამი.ჰეფინჯ ჩობნები იცომენ. ჲეფინჯ, ჰეფინჯ (ღამბ.).

ჰეშიკი - ყუთი.ვაშლები ჰეშიკევში ჩაწყოვე. ჲეშიკი, ჰეშიკ (ღამბ.); ჲეშიკ (გიგ., თოფ., ქავთ. (მესხ).

ჰეჩ//ჰეჩბეთ - უარყოფით ნაწილაკთან ერთად აღნიშნავს სულ(არ), სრულად(არ), სავსებით(არ). ჰეჩ არ ყოფილა თქენსა, ჰეჩბეთ არ წასულა მაგათა. ჰეჩ (აზ.), ჰეჩბეთ (ღამბ.); ჰეჩ, ჰეჩბეთ (იმნ.).

ჰეჩ მინამე არ მაქო - არავინ მყავს. ჰეჩ მინამე არ მაქონ. ჰეჩ მინამ (ღამბ.); იმნ.

ჰეჩ ჰათაარ - ვერანაირად, არანაირად. ჰეჩჰათაარ ვერ მუალ. ჰეჩჰათაარ (ჯანგ.), ჰეჩჰათაარ (ღამბ.).

ჰეა - დარცხვენა. ჰეჩბეთ ჰეა აღარ აქო პირზე.

ჰიგემ//იგემ//ჰიგემ - აგე იმ.ჰიგემ კაცთან წახოლ, ისი წააყონია. ჰიგემ. იგემ, ჰიგემ (ღამბ.).

ჰიგემამ - აი მაგან. ჰიგემამ არ მამცა ყა-

რფუზი. ჰიგემამ (ღამბ.).

ჰიგემგი - მაგისი. ჰიგემგი მანატან იავანული არ მინდა. ჰიგემგი (ღამბ.).

ჰიგემაგრე - ეგრე, აგე ისე. ჰიგემაგრე ქენე, შენც სათავისოს აიღევ. ჰიგემაგრ (ღამბ.).

ჰიზანგუ - უზანგი. ჰიზანგუში ფეყი გოუყარა, ცხენზე შაჟდა. ჰიზანგუ, გიზანგუ (ღამბ.).

ჰიმი ქნა//ჰიმი უყო - თვალი ჩაუკრა. ჰიმ ჩიდის, ჰიმი უყო თავისყენ წაიყონა. ჰიმ ქნაჲ, ჰიმ უყო (ღამბ.).

ჰინდავარი - ინდოური. ჰიდავარი ვიყიდე ბაზრით ახალ წლიბეი. (ჰ)ინდავარ, (ჰ)ინდაჲ, ჰინდავრ (ღამბ., როსტ.).

ჰირსი - რისხვა, მრისხანება, ბრაზი. ჰირსლამიშ იქნა.

ჰისაბი -ანგარიში. ჰისაბი არ იცის.ჰისაბ (ღამბ.); (ჩიქობ., გიგ., თოფ., ქავთ. (აჭარ).

ჰისაბში არ ჩაგდება - არაფრად ჩათვლა, არაფრად ჩააგდო. ჩონ ჰისაბში არ ჩოგაგდო, არ დოგიზახა. ჰისაბზე არ აიღა (ღამბ.); ჯანგ.

ჰისს ჩიდია - გრძნობა (რისამე). სიცივეს ჰისს ჩიდია.

ჰიქთონ -იმდენი. ჰიქთონ თხილი სანდა გაყიდოს. ჰიქთონ - ნ. იმთონ, იმთონ, ჰიქთონ, იმიქთონ, იმქთონ (ღამბ.).

ჰიღნალი - გროვა (ხალხის). რაშ უნდა ჰიქთონ ჰიღნალი შოუყრია. ჰიღნალ (აზ.). (რამბ., როსტ.).

ჰიღნალი შაყრა - ხალხის მოგროვება.ერ ჰიღნალი შაჰყარა.

ჰიყლიმბა//ჰიყლინბა ქნა - ადვილად გასახსნელი მარყუჟი, ნასკვი. კანაფი ჰიყლიმბა ქენე. ჰილყიბ (აზ.), ჰილყბ დაკნზჲა, ჰილყიბ ქნაჲ (ღამბ., როსტ.).

ჰიშ -ხარის გასარეკი ხმა. ჯარევ ჰიშით მივჰყრით. ჰიშ! (ღამბ., ჯან.,)

ჰოვ//ჰოუ- დიაღ, ჰო.ჰოვ თქო, არ ვიცი მუა თუ არ. ჰოვ, ჰოუ (ღამბ.), ჯან., როსტ. ნ. ჩუბ -ჰო.

ჰოობა//ჰოობა მიცემა - თანხმობა.პირობის მიცემა დანიშვნამდე. ჰალაქი ჰოობა მივციაყე, მემრე დაჰნიშნავენ.ჰოობაჲ (ღამბ.); (უთურგ., გიგ., თოფ., ქავთ., (კახ.-ქიზ).

ჰოპპა//ჰოპპაქე - ხელში აყვანა. გადახტომის დროს წარმოთქმული შეძახილი. ჰაბა ჰოპპაქე შულო, ჟერ ჰოპპა თქი, მემრე გადახტი. ჰოპპა, ჰუპპა, ჰუფუფ, ჰოპპოპ (აზ.) (ღამბ., როსტ.).

ჰოჟათი//ჰოჟათობაჲ - ჯიუტობა, გაჯიბრება, უხეშობა. ჰოჟათოვს, ჰოჟათი რაშ მინდა, მოი ვილაპარიკოთ, ჰოჟათობა არა საჭირო, ვრჟათ, ვეჟათ, ოჟათ (აზ. ჰოჟათ), ვოჟათოვა (ღამბ.); უჯათობა (ქეგლი). იმნ.

ჰორლა - კარგად მოსიარულე ცხენი. შენ ცხენი ჰორლა ეტარება.

ჰორლუნი - დაღლილი. ჰორლუნი დაწო, დეეზინა.

ჰოსსა - შეძახილი ცეკვის დროს.ჰოსსა, კარგა შიპროვს. დასსე (როსტ.).

ჰოქმი - განაჩენი, მსჯავრი. ჰოქმი არ გომუტანია.

ჰუა - ხომ. შენ გითქომ ჰუა? ჰუა (როსტ.).

ჰოჰყა - ფოკუსი, ოინი. ჰოჰყას გომოჰქონს, რა ჰოჰყა მაიგონა, დაინახია.

ჰუდულავინები - უდულაშვილების საგვარეულო შტო სოფ. ალიაბადში.

ჰუმ - რომ, ხომ. წენი ჰუმ არ გინდა? ჰუმ (როსტ.).

ჰუმბარაგ ბაირამ ოლსუნ - ბედნიერი, დალოცვილი იყავ. ბაირამზე წასლაში ვამბოვთ - ბაირამ ბარაგ ოლსუნ - ისინი პასუხობენ: ჰუმბარაგ ბაირამ ოლსუნ ჰუმბარაქ -ნ. ნუმბარაგ (ღამბ.);ჰუმბარაგ შან. რეც.), მუბარაქა - დოვლათიანი, ბედნიერი, დალოცვილი გიგ., თოფ., ქავთ. (ინგილ.); მუბარექი - დალოცვილი, კურთხეული, წმინდანი, ნეტარხსენებული (ნიჟ.).

ჰუნარი - ვაჟკაცობა, გმირობა, შეძლება, მოხერხება. მაგა ჰეი ჰუნარი სად აქონ? ჰუნარ, ვინარ (აზ. ჰუნარ), ჰუნარევ დაყრაღ- ვაჟკაცობის, გმირობის ჩადენა (ღამბ.). იმნ. ჰუნარ, ჰუნარიან (როსტ.)

ჰუნი - მუმლი//ქინქლა.დაჭყლეტულ ყურზენს ჰუნი დაჰყრია. ჰუნუი , ჰუნიღ - ნ. ვინიღ. ვინი, ჰუნუღ, ვუნუღ (აზ. ჰუნუ) (ღამბ.). ვინიღ (როსტ.).

ჰუპპა - იხ. ჰოპპა.

ჰუჟუმი - იერიში, შეტაკება. ჰუჟუმ ჩიდის, დუშმანზე ჰუჟუმი ქნეს.

ჰუჟრა - სამლოცველო შენობა.სალოცავი ჰუჟრაშია.

ჰურა ქნა - დატაცება, ტაციაობა. ჰურას ჩიდის, ბოსტანი ჰურა ქნეს. ჰურაღ - ჰურაღ ქნა (როსტ.). ჰურაღ ქნა, ჰურაღ - იგივეა, რაც დათარეშევაღ (ღამბ.) სინ. თარაშ ქნა.

ჰურმათი//ურმათ ქნა - პატივი, ღირსება, დაფასება, პატივისცემა. მაგარ ჰურმათი არ გუყეს, ჰურმათ ქნა ლაზიძია. (ჰურმათ, ურვათ (აზ. ჰურმათ), ჰურმათ (ჰურმათ, ურვათ (აზ. ჰურმათ), ჰურმათ ქნაღ (ღამბ.). ურვათი - სასიძოს მიერ საცოლის სახლში მიტანილი ფული, საქონელი და სხვა (ქავჯ.) ჰურმათით ჩომოვარდნაღ ჰურმათსუზი - უპატივცემულობა. ჰგი უჟე ჰურმათით ჩომოუარდნულა, ჰურმათი (ურვათი) ჩომოვარდნა, (ღამბ.).

ჰუუტუტუ - საბავშვო სასტვენი, სალამურის მსგავსი. ამზადებენ ნორჩი კაკლის ან ლაფნის რტოსაგან. მამამ ჰუუტუტუ გამიქითა. ჰუუტუტუღ, ნ. ვიჰტიტიღ, (ღამბ.); - ჰუუტუტუღ, თიხისგან გაკეთებული სასტვენი, სათამაშო. ჩიტის მოყვანილობისაა, მას კუდის მხრიდან ჩაბერავენ (როსტ.).

ჰუქი//ფართლი ჰუქი - ტვირთი, საპალნე; კეცილი ქვეშაგებელი, ჯეჯიმი, და ჰუქიმისთ.ზიმე ჰუქი მაქონ, ვერ წავღევ, ფართალი ჰუქი არ დაჰშალო.ჰუქ (ვუქ (აზ. ღუქ) - (ღამბ.); ჰუქ - ქვეშ-

საგების შესწყობი ადგილი კედელში (როსტ.).

ჰუქუმათი - მთავრობა, ხელისუფლება. ჩონ ჰუქუმათი დაიშალა.

ჰუჩუნჩა - საქანელა. ყმაწვილ ჰუჩუნჩა ჩომოუმბი ხეზე გაქანდეს.

ჰუხი - იხვი. ჰუხი ჯორცი არ მიყუარს. ვუხ (ალიაბ.) -როსტ. იხ. ორდაგ. იხვი.

ჰუხი ჭუჭული - იხვის ჭუჭული. ,,ჰუხი ჭუჭული მამიყონა“.

ალიაბადური ტექსტები

მოლა იდრისა და ოვჩი

ერ კაც –დედაკაც ყოფილან, ჰყოლიაყე ერ შული. კაცი კაი ოვჩი ყოფილა. დედაკაციბეი უთქომ: მე რომ მოვჰკდები, ჩემ შულ ჩემ სანაათი არ დაჩივოო. ერთიც უთხარე, რომ, თოქსმეტ წლის რომ იქნება, ოვჩიობან არ წავდესო, ზი ჩასლის წინო. კაცი კდება, ბიჭი იზდება. ერ დღე შაჰრეში გომოდის ბიჭებთან და იბზის. ერ ბიჭი ებნება: შენ რომ კაი ინსანი იყო, შენ მამაი სანაათს გაჰყებოდიო. ბიჭი მოდის შინ გაჟავრებული და დედას ებნება: პური მაჭამეო. პურს რომ მაიტანს დედა, შული ებნება დედას: შენც დაჟი და ჭამე ჩემთანო! დედა რომ დაჟდება, პურ შეჭმელა შული გამაიტანს დანას და ებნება დედას: თუ შენ არ მეტყი, ჩემ მამა რა საანათის იყო, შენ უნდა მოკლოვო! დედამ ბევრ აქა-იქი შაიხედა, მაგრამ რაკი ჩარა აღარ ჰქონდა, უთხრა შულს: შენ მამა სახელგანთქმულ ოვჩი იყო. შულმა უთხრა: თუ განთქმული ოვჩი ყოფილა, მაშინ სად არი იმი ჰარაღიო. დედამ უთხრა: აი ბარუ, გაჰჭერე, შიგ არი ჩადებულიო. ბარო რომ გაჭრა შულმა, გამაიტანა ხანჟალი და თოფი. დედამ უთხრა: შულო, მამაი ნასიათი უგეისი იყო, რომ შული თექსმეტ წლის მემრე ოვჩიობან ზი ჩასლი მემრე არ წავდესო. ბიჭმა რუმ ჰარაღი აისხა, ოგეიმაშინ ზე ჩადიოდა. წავდა ოვჩიობან, წინ ერ დიდ ღელე იყო, უგეიმითი რომ გადავდა, დაინახა წინ ერ ირემი. თოფი ჩამაიღა, ესროვნა. ირემამ ენა ამაიღა, უთხრა: შენ ყისმათი ეხლა მაასულია, მე ნუ მესრიო. ეისი თქო ირემმა და გაქრა. ბიჭმა უკან რომ შაიხედა, დაინახა მეორე ირემი. ესროვნა თოფი და მოკლა. ბიჭი თუთან შერი იყო, პური მოჰშიებოდა. თავიბეი იფიქრა, მოი, ერ ბარკალ გავჰხდი, შავწოვ, შავჭამ, მემრე გავხდიო. ბარკალი რომ მოჰჭრა, ცეცხლი რომ დაანთა და წოდი შაწას მეეკიდა, ნაგახტან ირემი განახად ტყავი დაიხურა და სალი ადგა. ბიჭ უთხრა: შენ ყისმათი ეისი იყოო და გაქრა. ბიჭმა ბევ იფიქრა. მე ეი სირფირი უნდა გავგოვო და დიდრიან კაცევთან წავდა. ერდგან იყო ერ მოლა იდრისა, რემენმაც სრუ რაიმე იცოდა. ბიჭიც მაგათა მოვდა, მაგრამ შინ ვერ იპოვნა მოლა. გომოვდა გზაზე და ქუაზე დაჟდა. ამ დროზე მოლა იდრისა ქომოითი მოდიოდა, ვირებით ქუას ზიდავდა. მოლამ სალამი მიცა ბიჭს. ბიჭმაც სალამი აიღა. ფეეზე ადგა, უთხრა: მოლა იდრის, მე შენთან ბევ დერდი მაქონო. მოი ვირები ზედაი ქუები ჩამავტანოთ, მემრე სობათი ვჰქნოთო. მოლა იდრისამ ვირევ „თოოქშ" უთხრა, ვირები დადგნენ. მოლამ უთხრა: ამათ ზედაი ქუები ჩომოტანა არ უნდა, შენ დერდი თქიო. ბიჭმა სრუ რაიმე უთხრა. მოლამ უთხრა: ჰეგი ბალა ერამიც არ ყოფილა. ბიჭმა კიდემ უთხრა, ვირები ცოდვანი არიან, ჩომოვალაგოთო. მოლა კიდემ არ დარაზივდა.

მოლა იდრისამ უთხრა: შენ ბალა, ეხლა მე დამისმინეო და ქუაზე დაჟდა.

ბალა, მე მოლა იდრისა ვარო. ვიყავ ვარლუ, დევლათლუ, სრუჟურათი თავი გამდიოდაო. ერ დღეს შინაითი რომ გეველე, ერ-ორ ინსანმა მითხრა, შენ დედაკაცი სხოსთან ეტარებაო. მართლა მე დავჟერე და შინ დავბრუნდი. იქ ერ ლოთ შავასწარე. ჩონ სახში ისთაქანში ერ ბეჭედი გოქონდა, რა დილაგიც გინდოდა, უგეიმა გისრულევდა. კრები რო გავაღი, ლოთმა დედაკაც უთხრა: მოლა იდრისა მოდისო. ჰეგინ დედაკაცმა აიღა ბეჭედი და თქო: მოლა იდრისა ზაღი იქნოსო. მეც ზაღლი ვიქენე. მალე ეზოითიც გამაგდესო. აქა იქი, ამი იმი კარზე დავჩი უპატრონო. ვამბოვ: „მე მოლა იდრისა, ჩემ თავზე მანასული რა არიო. ჩარა გამიწყდა, გეველე მინდორში, შერი ვიყავე, რა მექნა. დავნახე ცხორი ფარა, წეველე ფარასთან, ჩობნი ზაღლებმა მე ამფესკეს. ჩობანმა ზაღლები მამაშორა და ერ პატრა ლუკმა მეც გადმიგდა. ცხორი რომ გაიშალა, ჩობანი გორდზე წომოწო. მე, მოლა იდრისა-ზაღლი ავდექი, ცხორი მუვაბრუნე და მეველე იმასთან. ჩობანმა თქო: რა კაი ზაღლი ყოფილაო, სრუ პური დამიყარა. საღმოზე ბინაში რომ წეველეთ, ჩობნევს უთხრა: ჩობნებო, ეი ზაღლი, ჰამან კაი ზაღლიაო, ჩობნებმა გააქითეს ხინკალი და ერ ჟამი მეც დამიდეს, როგორც ზაღს. ეი ხაბარი ფათიშაჰს მიაწიევს, ეიგე ზაღლი არისო. დილაზე ფათიშაჰ მოვდა ჩობანთან და ჩობანმა სრუ რაიმე ელაპარიკა. მე იმათ ნათქომს ვიგეევდი, მაგრამ რა უნდა მექნა, ზაღლი ვიყავე. ცხორი დილაზე რომ გალეს, მეც უკან გავყევეყე. მალე ფათიშაც მოვდა. დასხდნენ თეფაზე. ცხორი გაიშალა. მეც ავდექე, წეველე, ცხორი მუვაბრუნე და იმათან მიველე. ფათიშაჰს მევეწონე და ჩობანს უთხრა - მამყიდეო! ჩობანმაც უთხრა: ვერ მოგყიდი, შენ რაც გინდა მემეცეო. ჩობანი ფადიშაჰსთან დარაზივდა, რომ ზაღლი ცოტახნიბეი წაიყონეო. მე ერ ქალი მაქონ, ღამი ტანსმუსით წება, დილაზე ტიპლაყი დგება, მაგი სირფირი ვერ გავგიო. ფათიშამ წამიყონა თავიანთა, კარგა პური მაჭამა. საღმო რო იქნა, ფათიშაჰამ თავი ვეზირებ ჩააბარა, წაიყონეთ ეი ზაღლი, ქალი კარევთან დაამბითო. ქალსაც ზაღლისგან დიაღ ეშინოდა. ქალი რომ კრავოტზე დაწო, შუაღამეში სახლი შუაი // შუაჲ ერ ცეცხლიან შამფური ჩომოვარდა. როგორც ჩომოვარდა, უგეიმაშანვე ბიჭი იქნა, ბიჭმა ქალს ორ შილა დაჰკრა და ტანსმუსი გაჰხადა და წავდა. მეც ბევ ვიხუფათე, მაგრამ ვერ დავჭირე. დილაზე ქალმა ტანსმუსი მაითხოვა. მოლა იდრისამ ვირებ კიდევ „თოოქშ" უთხრა. ეი დღე ეიგრე გაივარა. მეორე საღმოზე უგეი დროზე წამიყონეს ქალი კარევზე დაამბელა. მე ქელა გავაქნივე, ნუ მამბავთო. ფათიშაჰმაც უთხრაყე, გოვშითო! წეველე, მეც კიდემ უგეი ადგილზე მავკუჭე. შუაღამე იქნა, კიდემ უგეი რაიმე ჩომოვარდა, რომ ბიჭი იქნა, გადავხტი, დავჭირე. ბიჭმა მითხრა: აი, მოლა იდრის, შენ გამიში. მე არ ვუშოვდი. ეშმაკმა მითხრა: მე ეი ქალ უგეიმაზე ვაწუხევდი, რომ ღამით ცხელ წყალი გადაასხა და შულები და-

მიწო. დღეისუკან ვიფიცავ, რომ ამი შუდ ნასლს აღარ მოვხტებიო. ზალმა გოვშო. დილაზე ქალი ჩაცმულ-დახურული გამოვდა. ფათიშაჰამ რომ ეისი დაინახა, თავი სარაიში ცალკე ოთალი მამცა. ყურსაც კარგა მიგდევდა, მაგრამ მე ბინა ვათანი მამაგონდა, გუნან-გუნა ვჭლევდებოდი. ფათიშაჰმ ერ კაი დოხტური მაიყონა, მაგრამ ერ რაიმეც ვერ მიპოვნეს. დოხტურმა უთხრა: ამა ერ მეთლები აქო, უგეიმაზე გოვში, წავდესო. ფადიშაჰმ ვეზირევს უთხრა: ეი ზალლი წელზე ყიზილი ქამარი გოვქითეთ და ზედ დაწერეთ „მიც შაინახავს, ეი ზალლს ქამრიც უგეიმისი იქნოსო. გამიქითეს ყიზილი ქამარი და გამიშეს. სოფელში რომ შემეველე, მინც დამინახავდა, დაწერულს კითხლოვდნენ და შინ არ მიშოვდენ წაასულა. სოფლით გომოსლი შემდეგ ქამარი გავწყიტე და გადვაგდი. სწორდასწორ შინ მიველე. როგორც შინ შეველე დედაკაცმა დამინახა, თავი ლოთის უთხრა: არ იქინა მოლა იდრისა მოვდაო. ბეჭედი აიღა და უთხრა: მოლა იდრისა ყაჭყაჭი იქნოსო. ვიქენე ყაჭყაჭი. მოლა იდრისამ ვირევ კიდემ თოოქშ უთხრა და გააგზელა. მე მოლა იდრისა ყაჭყაჭი ვიქენე, რა ვქნო, სრუ რაიმე ვიციო. შერი ვიყავე, მაგრამ ყაჭყაჭი ვიყავე რა მექნა, არ ვიცოდი. წეველე მეზობლებში, დავნახე, ჩიტი ჩომოვარდნილიყო დინგზე. თურმე ყმაწილევ მახე დოვგიაყე. ჩომიველე შეეჭმელა, მეც გევემბი მახეში. მოვდნენ ყმაწილებმა, დამიჭირეს. ერთმა თქო: მოჰკლოთო! მეორემ თქო: გავყლიფოთ, დავწოთო. მე მოლა იდრისა რა უნდა მექნა, ვერ ვლაპარიკოვდი. ბუმბულები გამყლიფეს. ორი ბიჭი წავდნენ ბენზინ მაატანლა. ერ დროზე ერ ბერ კაც მოვდა, უთხრაყე: ეი ყაჭყაჭი მე მამყიდეთო, რაში გინდაყე თქენ, არ მოჰკლოთო. თითოს ოროლ შავრი მიჰცა კამპეტ საყიდლა. მე მიმცეს ბერ კაცს. ბერ კაცმა აქ რომ ამიყონა, თქო: ეი მოლა იდრის, შენც ჩემ ხელში მოვწივეო. წამიყონა ბერ კაცმა შინ. პური მაჭამა. მითხრა: ეხლა მე დამისმინეო: აჰფრინდები, წახოლ თქონ შინ, ფულან-ფულან ადგილა აინა გაყეჩულაო. შაჰზრები უგეი ხრეტით შინ, აიღევ ისთაქით ბეჭედს, გომოხოლ გარე, დაჰყდები ბაღზე, ეტყი ბეჭედს: მე მოლა იდრისი უნდა ვიქნო! მეც უგენგრე ქენე. წეველე, დავნახე ლოთიც და დედაკაციც შინ ისხდნენ. შავზერე ჭუჭრუტანაში, ავღი ბეჭედი, გემეველე ღობეზე დაჟექე. ვუთხარ, ბეჭედს: მოლა იდრისა იქენეო. ვიქენე მოლა იდრისა, ახლა მოვბრუნდი და ვთქი: დედაკაცი იქნოს დედალ ვირი, კაცი - მამალ ვირი. აი ეი ორივ ვირი ეხლა შენ წინ დგანან. შენ დარდი ჩემ დერდზე ზიმე ყოფილა, - უთხრა ოვჩი შულმა. მოლამ იდრისამ ოვჩი შული შინ გაგზავნა, თუთან კი გზას გოვდგა.

ნაგახტან ბოხჩით ორ ვაშლი გოდმოვარდა. ავღი, მინდოდა შენთან მემეტანა. კანკალა ღობეითი გოდმოვხტი, წუნკალა ზალმა წამართო.

მთქმელი: ნურიევ შაჰბან ისრაფილ ოღლი

2.11.1970, მოსული

სულეიმან ფათიშაჰ და ბაიყუში (ბუვი)

სულეიმან ფადიშაჰს ჰყოლია დედაკაცი. ეს დედაკაცი მუდამ ნაჩალი ყოფილა. ერ დღეს სულეიმან ფათიშაჰამ მოჰკითხა, როგო ვქნო, რომ შენ გომგაგო. დედაკაცმა უთხრა: დუნუაზე რაც ფრინველები არის, დააგროვე, დახოცე და იმათ ზლებით კრავოტი შაკარე. სულემან ფათიშაჰმ ბითოვ ფრინველები ენა იცოდა და იმამ ერ დღეს ფრინველები დააგრუა. მარტო ბაიყუში არ მოვდა. მემრე დაიბარა ორ-სამჟერ. კიდემ არ მოვდა. მემრე თუთან წავდა და უთხრა: შენ ქელა დიდი გაქონ არ მოჰდიხარ თუ ჭკო? ბაიყუშმა უთხრა: მე ქელაც დიდი მაქონ, ჭკოც და ჰიგეიმიბეი არ მეველეო. სულეიმან ფათიშაჰამ უთხრა: თუ ამბოვხარ, ჭკო ბევრი მაქონო მაგაშინ სამ ქართული უნდა მოგკითხო, თუ გამაცანე, ცოცხალ გაგიშობ შენც და ფრინველევსაც, თუ არა და სიპტა შენ მოკლავ და მემრე ფრინველევს. სულეიმან ფათიშაჰამ უთხრა: დუნიაზე დედაკაც ბევრია თუ კაციო? ბაიყუშმა უთხრა: დედაკაციო. როგო გამაიცანეო?-მოჰკითხა. ჰიგეიმიბეი, რომ დედაკაციბე- დანაჟერებ კაციც დედაკაციაო. მემრე მოჰკითხა: დუნიაზე ვერანა ბევრია თუ შენუგიო. შენუგიო უთხრა. რაიბეო? ჰეგეიმიბეი რომ ვერანა დაჰა ვერანა არისო, შენუგიც ვერანა უნდა იქნოსო. მემრე უთხრა: დუნიაზე კდარი ბევრია თუ ცოცხალიო? კდარი უთხრა. რაიბეო? ჰუგეიმიბეი რომ კდარი კდარია, ზოგ ინსანი ფეყზე მდგომელიც კდარიაო. სულეიმან ფადიშაჰმ სრუ ფრინველი გოვშო.

მთქმელი: ნურიევ შაჰბან ისრაფილ ოღლი, 86 წლის.
მოსული.
2.II.1970

ბაჰლულ პაპა და ფათიშაჰ

ერ კაცი მიდის ბაჰლულ პაპასთან, ებნევა, რომ ახალ თეთხუდაიზგან თეთრი არ ისესხო, მეორეც, დედაკაც არ დეენდოვო. სახრეზე ჟდება და მიდის. ბაჰლულ პაპა ამას იგებს და მიდის, ფათიშაჰს ყოჩს პარავს და სახში მიჰყონს, მალავს და დედაკაცს ებნევა, მინმესთან არ თქოვო! ფათიშაჰ ეზებს ყოჩს და ვერ პოვნოვს. ამბოვს: მინც მიპოვნის, იმას ორ ბაკან ყიზილს ვაზლევო. ამას ბაჰლული დედაკაცი იგებს და ამბოვს: წავალ, მე ვეტყი, ჩემ კაც ორ ბაკან ყიზილი მირჩევნიავო. მიდის, ებნევა ფათიშაჰს, რომ მე მემეცე ყიზილი და გეტყუიო. ყიზილს აზლევს ფათიშაჰ, ისიც ებნევა, ჩონსა არისო. ფათიშაჰ ყოჩს ჰპოვნოვს. ბაჰლულ პაპას იჭერს. აგრივებს ბევ ხალხს და ჰკითხავსყე როგო მოჰკლოო. ერთი აბოვს, თორნეში ჩავაგდოთო! ბაჰლული იგევს და ამბოვს ნასლუჰუ. მეორე ამბოვს ცხენი კუდ გომოვბოთო! ამა გაიგევს ბალული, ამბოვს: „ასლუჰუ". ფათიშაჰ იგევს ბალულ პაპა- ნათქომევ, ებნევა, მითხარე, „ნასჰლუ", „ასლუჰუ" რა თქმა არიო.

ბაჰლულ პაპა ებნევა, მინც სიპტა თქო ჩემბეი თორნეში ჩავაგდოთო. იმათ ათაბაბა მეპურეები ყოფილან და ჰეგეიმიბეი ამბოვსო. მეორე, მინც თქო, ცხენი კუდ გომოვმბოთო, იმათ ათაბაბა ილხიჩი ყოფილაო. ბალული როგორც ამას იტყის, უმეიმაშინვე ნაგახტან ქრება.

მთქმელი: ნურიევ შაჰბან ისრაფილ ოღლი.
2.11.1970, მოსული

ყაზი და ქესიბ კაცი

ქესიბ კაც ერ ზროხა ჰქონია-ზროხას ყიდის, თეთრს რა უნდა უყოს, ყაზის უნდა ჩააბაროს. ქესიბ კაცმა თეთრი უგეი დროზე წაიტანა, ყაზი რუმ ლოციოვდა. ყაზის ხელით უჩენა შენთან თეთრი მამიტანია სა დავდოვო. ყაზიმ ნალოც ადგილით მითამ ლოცვა არ გაწყიტა, ქესიბ კაც უთხრა: თეთრი ხალიჩაქე ომოდევო ქესიბ კაც წავდა. ერ დროზე დაჰჭირდა თეთრი ქესიბ კაც. ყაზისთან მოვდა და თავი თეთრი მოჰთხოვა, ყმაწვილები შერი მაქონო. ყაზიმ უთხრა: შენ თეთრი სა დეგედოვო. ქესიბ კაცმა უთხრა: ხალიჩაქე ომოვდევეო. ყაზიმ უთხრა, სადაც დაგიდია უგენქა იქნება, წაი, აიღიო! კაცი წავდა, ხალიჩა აჰწივა მაღლა, იქ თეთრი არარ იყო. ყაზის უთხრა: აქ თეთრი არ ალი. ყაზიმ უთხრა: ჰენქა თეთრი არ დაგიდია და უგეიმაზე არ ალივო. თუ დეგედო, იქნებოდაო. ქესიბ კაცმა დაიწყო დაფიცება, თეთრი ეიქა დემედოვო. ყაზიმ უთხრა: ჰმა გაიწყუტე, თურემ ვეტყი, მოგკლონო! დროზე წაი, აქაი დაიკარგეო! ქესიბ კაცი ყაზიგან გომოვდა. თეთრიბეი დერდოვდა, ყმაწილებთან ხელცარიელი როგო წავდეო?! ქესიბ კაც ჟიბეში ერ აბაზი ქონდა. წავდა ბაზარში. ბევრი ეტარა. ერ ბერ კაც შახტო. ბევრი იტირა ბაზარში. ბერ კაცმა უთხრა, ერ ჟულაბ ვყიდი ათ კაპიკაო. იმანაც იყიდა ჟულაბი „არ ვიცი", ცოტა ეტარა, ბევ ეტარა კიდემ, ერ ბერ კაც შახტო, იმიზგანაც ათ კაპიკა ერ ჟულაბი იყოდა-„ვიცი". კაცი უთეთრო ლუთი დაჰჩა. ბაზრით გომოვდა, მაგრა დერდ აღებული. გზაზე ერ ბერ კაცი დაინახა. იმან უთხრა, შენ რაიბე დერდ ოვტანიხარო. ამან უთხრა: მე ჩემიც მეყოფა, შენც ნულარ მიმატებო! იმან უთხრა, შენ რაი დერდი გაქონ, იქნევ მე გიშელო? საწყალ კაცმა სრუ რაიმე მოვყო. ერ ზროხა მქონდა, გავყიდე, თეთრი ყაზის ჩავაბარე, ეხლა ისიც მებნება, მე რაიმე არ ვიციო. ბერ კაცი შაჰპირდა, მე მეგეშელებიო. ჟულაბი განაყიდ კაცი დიდ ეშმაკი ყოფილა. ამ კაცმა უთხრა: ჩონ მეტ-მეტობით ყაზიზგან თეთრი უნდა ავღოთო, ხუალ დილაზე ადრე ლოგინით რომ ადგები, გომოხოლ გზაზე, გზას იქითყენ კანალი საქნია, ღელეში ლურჯ ყათირი ზედ ყამჩი ჩომოკიდებული, შაჰჟდები ზედო. კაცი წავდა შინ ქორფუშმანი. დილაზე ადრე გომოვდა შინაი. კანალი იქითყენ გადავდა ღელეში, შაჰხედა, ლურჯ ყათირი დაინახა, ყამჩითი. ჰოხსულ კაცი წავდა ყათირი ზირზე. იმან ლაპარიკს მეეკიდა.

ეხლა შაჰყდები ჩემზე. ამ ყამჩისაც აიღევ, ლაგამსაც მაგრა დაიჭერ ხელში. ყაზი სახლი ზირზე გაწევნაში ერთხელ მაგრა დამკარ ყამჩი. მე გავქანდები. ყაზი გეტყის, დააყენეო, შენ ეტყი, მაჰკაში მივდი სალოცლა მეჩქარებაო. როგორც ყათირმა უთხრა, კაცმა უგენგრე ქნა. ყაზიმ უთხრა: მაგა მართლა ამბოვაო?! ამან უთხრა-მართალ ვამბოვო. ყაზიმ უთხრა: თუ ჰენგრეა, ხუალ ვერ გამაილია, ბიზიშულთან წიგნ გაგატანო? მემრე ორივნი თავ-თავიან სახლევში წავდნენ. ყათირმა ჰოხსული კიდემ გააფრთხილა, ხუალ უგეი ადგილზე მოი, ყაზი წიგნიც ავტანოთ, წავდეთო. დილაზე მართლაც ადრე ადგა კაცი, წავიდა ყათირი დაიჭირა. შაჟდა და გააქანა. ყაზი სახთან გაწევნაში დგუზახა: ჰაი ყაზი, მეჩქარება მალე გამოი, ლოცვას მოვსწრონდაო. ყაზიმ გამაიტანა ფეჩეთ დაკრული ფაქეთი და მიჰსცა. წაიღი შენ წასლას მაჰკა შიეიმითი გავგევთო. გადიან მინდორში. თურმე ეი ყათირი კი არ ყოფილა, ეშმაკი ყათირი ლიბასით მოჰჩენებია, ეშმაკი იმ დაიყაში ამ ფაქეთს ხსნის, გამააქონს კითხლოვს, მემრე თუთან წერავს: „მე შენ წიგნი ავღი საღ-სალამათნი ვართო". ამას ფაქეთში დევს, მაჰკაი ფეჩეთ არტყამს აზლევს ჰოხსულ კაცს. ებნევა, წაიღი ყაზის მიეცეო. სოფლელ კაციც ყაზის სახთან ეზახის: ყაზი, მოი, შენ ბიზიშული ფაქეთი წაიღი. ყაზი მოდის ფაქეთს აჰქონს: მართლა უჭვრეტავს თავი ბიზიშული კლავია წიგნზე, ფაქეთზე მაჰკაი ფეჩეთი აქო. ყაზი ებნევა ქენჩის: შენ თუ ეი ყათირი ლაზიმი ალარ იქნება, იქნება მე მამყიდო, მეც მაჰკაში წასლა მინდაო. ღმერთი, დინი გზაზე ვდგავარ, დღეში ხუთჯერ ვლოციოვ ჩემი დილაგი მაჰკაში წასლაარი. იოხსული ებნევა:ჟულაბ ხუალ გეტყიო, შაახტომელ ადგილიც დანიშნეს. მეორე დღეს ყაზი და ფალირ კაცი კიდემ ნათქომ ადგილზე შაჰხტნენ. ყათირმა ფალირ კაც უთხრა, შენ დიდ ფასი უთხარე ყაზის, თუ თეთრი მოგცა, გამაართი, ერაჟა არ დაგმირწყდეს ლაგამი არ მიჰცე, ულაგმო გამატანე. კიდევ წავდნენ ყაზისთან მაალაპარიკებლა, ყაზიმ ფასი ოვჰსწივა, მაგრამ ფალირ კაცმა კიდემ არ მიჰცა, მაჰკაში მივდი, მემრე მოგყიდიო. როგორც იქნა, ფალირი და ყაზი დარაზივდნენ თეთზე, ფალირმა გამაართო ბევ თეთრი. ყაზიმ ჰარაქათები გაგება მაინდომა. კაცმა უთხრა: ჩემ ჟორი ხასიათი უგეისია, რომ მინდორში გავა, სხო ხასიათზე დგება, ფრინავსო. ყაზიმ ლაგამი მოჰთხოვა, ფალირმა არ მიჰცა, წაი კანაფი მაიღიო! ყათირი კანაფით სხლი ზირზე მიამბეს. ფალირი შინ წავდა. სახლი ზირში ქოცო ყოფილა. ყათირ ტუჩი ჩოვყოფავ ქოცოში. ყაზის დოვნახავ ეისი, დედაკაციბეი უთქომ: დედაკაცო, წაი, ყათირ წყალი დაალევნეო! დედაკაცი წყალ მოლებინჟახ, ყათირი ქოცოში შამზროლა, ყაზის ზლივ კუდით დოვჭერია, უკან ომოჰწევია, კუდი ხელში დაჰჩომია. დედაკაც დიდ ჩაქუჩი მოვლია ქოცოი გაახეჩლა. ტკიცეს ჩაქუჩი, ქოცო დაიფხნა, შიგ რაიმე არ დაჰჩა. ყაზი ყოიმებიც დიდარ ხალღი

ყოფილან. ერთხელ ბევ ხალღ ეძახიან ყონაღა. ყაზიც ყონაღა მიდის იმათა. ორ კაცზე ერ ლანგარ ფლავ მოჰქონენ, ზედაც მოხარშულ დედალი კეჰთება. სრუ ხალხი წინ ფლავს ალაგებენ. ელოდებიან, ყაზიმ ბისმილა ქნას, ყაზი კი ლანგრი შიგაი ყათირი ყურებს ხედავს, მემრე ყურევთან ერთად ბითოვ ქათამი ყათირი ეჩენება. ყაზი წელში წოორდება და ბისმილას ამბოვს. ფლავი ლანგარზე ზედ ჟდება, ყათირზე შავჟიქეო. ხალღი ხედავს, ყაზი ჰარაქათს-იქ იფანტებიან, სრუს გონია, ყაზი ჭკოითი შაირყივაო, იჭერენ დელუხანაში.ფალირ კაცი ამაშანსუკან თავიბეი კაი ქონებას იჩენს და კარგა ცხოვრობს. ყაზი გაჟავდა ფალირ კაცზე. წავდა გალანზღა, ყათირი მამყიდე, მამატყუეო. კაცმა ატკაზი ტკიცა ყათირი არ გამიყიდიაო. ყაზიმ ჟიბით ყათირი საბუთი ამაიღა, შაჰხედა ბაშფორტი კი არ იყო, ნათამაშ კართი დაინახა. კაცმა უთხრა ყაზის ყომარბაზი ხარო. ყაზი გაჟავდა, კუდი დააზრო, კუდი კოლა ხელში ყალიანი შაჰჩა. ფალირი აყირდა: შაჰხეთ, ყაზი ყალიანს წევსო. ყაზის ცეცხლი მეედო. დელუხანში წაყონა მაიდომეს, ყაზი პატრონებმა დაიცეს, ხელი დაფარეს.

მთქმელი: ბაბაევ მაჰმად იდრის ოღლი, 3.II.1970.
სოფ. მოსული

კაც დედაკაცი

კაც დედაკაც დაეჟათნენ, კაცმა თქო: ჩემ ჟულაბზე უნდა დაჰდგე! დედაკაცმა თქო: ჩემ ჟულაბზე! ერ დღე კაცი წავიდა მინდორში, უნდოდა ხი გუთნით მიწა მეეხნა. კაცმა პური არ წაიღა, დედაკაცმა უთხრა: მე მაატანივ ვარ შენბეიო. თურმე ამ კაც დიახ თევზი დომებია. კაცმა დედაკაცთან ერთხელ მაიდომა, ერ შამწორ ჭიჭყანა მეჭამაო! ამ დედაკაც ბაზრით უყიდნია ჭიჭყანა. მოვტანია, პურთან ერთად შოვხევია, წოვლია კაცთან. კაცი ნახნავი თავში ქნაში დედაკაც გუთნი კოლში ჭიჭყანა დომარხავ. გუთანმა რომ გაივარა, მიწასთან ერთა ლახა გადმაატრიალა. კაცმა ლახა რომ დაინახა, დოვზახა დედაკაც და უთხრა: წაიღი, ეი ლახა შაწი, მეც მალე მასულივარ, ვჭამოთო! დედაკაცმა აიღო ლახა და სუნკაში ჩადო. მაიტანა შინ . კაცსაც უხაროდა, სალამოზე წავალ ლახას შავჭამო, თურმე დედაკაც ამლობა გოვქითებია, ლახა დოვმალავ. კაცი რომ მოვიდა სალმოზე, უთხრა რომ ლახას შავჭამო. დაინახავს, რომ შინ არც ბუხარაში ცეცხლია, არც ლახა არი. კაცი დედაკაც უყირებს: სად არის ცეცხლი, ლახა რაიბე არ მოჰხარშეო?! დედაკაცი ებნება: შე კაცო ჭკოითი ხომ არ შაირყივე, რაი ლახარიო. კაცი ებნევა: დედაკაცო, გუთნით რომ ხნავდი, უგეიმაშინ რომ ომოვაგდი უგეი ლახა როვყავეო?! დედაკაცი ებნევა: კაცო, შენ გაცოფებულხარ, შრალზე ლახას რა აქო?! კაცი უფრო აყირდა. ორივემ დაიწყეს ყურილი. მეზობლები დაგროვნენ. მაიკითხეს, რაიბე იბზითო? კაცმა უთხრა: ხალღო მე ნახნავით ლახა ომოვაგდი, ამა უნდა მეხარშა, გოჭამაო. დედაკაცმა თქო: აი, მეზობლებო, ეი

კაცი თუ არ შარევლა ჭკოზე, მითხარეთ, შრალ მიწაზე ლახას რა უნდაო?! კაცი შაიშალა ჭკოზე. დედაკაცმა ხალღო შოლა მოჰთხოვა. კაცი დაიჭირეს. ტანსამური გაჰხადეს და ჩააგდეს ქოხში. ღამით ჩიფლაყ კაც ქოხში შაჰცივდა, თავიბეი დაფიქრდა: მართლა მე ხომ არ ვტყუი, შრალში ლახას რა უნდაო?! დედაკაც დოვზახა და უთხრა: დედაკაცო, მე მართლა შავშალე, შრალში ლახას რა უნდა? ერჟა გამიყონე ქოხით, ლახა რაიმე არ მინდა! დედაკაცმა გამაიყონა კაცი ქოხით და შინ წაიყონა. ქოხში შაჰციებულ კაცი ფეჩთან იზმარებოდა ზემოითყენ,ქომოიტყენ. ამ ზმორაში კაცმა ნაგახტან დაინახა ჩომოკიდებულ ლახა. დედკაც ჩომოვკიდებია კაც დანახლა. კაცი დედკაცს ებნევა: არ იქნა, დედკაცო კიდევ ვხედავ ლახას, არ ვიცი ჭკოზე ვირევიაო?! დედკაცმა უთხრა კაც, ეხლაც არ დაჰდგებია ჩემ ჟულაბზეო? დედაკაცმა აჟობა კაცს.

მთქმელი: ბაბაევ მაჰმად იდრის ოღლი, 3.II.1970.
მოსული

შაჰ-აბასი

შაჰ-აბას ყიზილი ხაზნა ჰქონია, ერ ღამე გაქურდეს. შაჰ-აბას ჩოვცომ ღარიბულ ტანსმუსი, გასულა შაჰრაში, ჩასულა სტალავოებში. გასულა ღამე, ხედავს სამ კაცი ჭამს და ლევს. შაჰ-აბასი შედის იმათთან და ჟდება. ისმინება, ნახო, რა ხალღიაო. ესენი დაითრობიან, ერთი ამბოვს: ღმერთიზგან ერ დილაგი მაქონიო, შაჰ-აბაზი ადგილზე დამაჟდინოსო, მეორე ამბოვს: ღმერთს ვეხვეწები, შაჰ-აბაზი ქალი მე მეთხოვნაო, მესამე ამატებს: ღმერთს ვეხვეწები, ჩემ კისერი აქლემი კისერზე გრძელი და სქელი მქონდესო. შაჰ-აბასმა ესი გულში ჩაიტენა. ისინიც წავიდნენ. შაჰ-აბასი მეორე დღეს დაჟდა ტახტზე, ვეზირებ უთხრა: წაი, მაიყონეთ უგეი კაცები ჩემთანო. მაიყონეს სამივე. შაჰ-აბაზი თითო-თითო ეზახის შიგ ებნევა: ჰაბა მითხარე, გუშინ რა დილაგ თხოვდი ღმერთსო?! კაცი გაწითლდა, კანკალი დაიწყო და აიკისრა გუშინდელ დილაგი. შაჰმა უთხრა: შენ გარე გაივო. მეორე შამაყონინა: ახლა ამას უთხრა: ახლა შენ მითხარე, გუშინდელ ფულანა-ფულან ადგილა რომ ლევდიო, ღმერთს რა დილაგი მოჰთხოვეო?! თუ წოორა არ მეტყი, ქელას გაგაგდებინებო. იმანაც აიკისრა, რომ ჩემ დილაგი იყო შაჰ-აბაზი ქალი მე მეთხოვნოსო. ესეც გააყონინა გარე. მესამე შამააყონინა და იმასაც უთხრა: შენც წოორა აიკისრე, გუშინღამ ღმერთს რა დილაგს თხოვდიო?! ამ ბიჭმა თქო: შაჰ-აბას საღოლსუნ. მე ღმერთს უგეი დილაგი ვთხოვე, ჩემ კისერი აქლემი კისერივით გზელი, სქელი, მრუდი იყოსო. შაჰ-აბაზმა უთხრა: შენ რაიბე გინდა გზელი, სქელი და მრუდ კისერიო? ბიჭმა უთხრა: შაჰ-აბაზ საღოლსუნ გძელ კისერი, სქელი კისერი, მრუდ კისერი უგეიმიბეი არის საჭირო, ბევ ჟულაბს არვარგს რომ ამბოვს კაცი,

გრძელ კისერ ქნაში უკან დაბრუნებს. უგეიმბეი გზელი, სქელი და მრუდ კისერი კარგია. შაჰ-აბაზს მეეწონა ბიჭი ჟულაბი და სიცოცხლე აჩუქა, დანარჩენევს ორივეს ქელა გააგდებინა.

მთქმელი: ბაბაევ მაჰმად იდრის ოღლი, 3.II.1970.
მოსული

წიწკანა ჩიტი ნალილ

უწინ დროზე ეს პატრა წიწკანა ნათქომ ჩიტი ყოფილა. ეხი ჩიტი ერთხელაც ნაგახტან ზრზი ზირზე დამჟდარა. ჩიტ ფეყში ეკალი შაჰჭმია, მაგრა აჰტკიებია. ამდგარა ტკივილ-ტკივილ უგენგრე გაფრენულა მაღლა ზეიტყენ. ჩიტ ფრენი დროზე დოვნახავ სოფლი, ერ სახლი ეზოში ერ ბებერ დედაკაც ვაჰცლში ცომი მოუზელია, ოუფიებია, დააკრელა ჰაზირი უქნია, ანჟახ აქა-იქ იჭრიტება, თორნე ჩაანთებელ ნაზირ-მაზირს ეზევს, რემენიც ქალ-ეზო-ყურეში არ აქაონ, რას იპოვნიდა?! წიწკანა ჩიტი ჩომოფრენილა ბებერთან, შაჰხეწ-შაჰჟიჟინებია: ფეყში ეკალი შამრჭომია, კაიობა ქენე, ამიღიო მეც იქნება რამეში გონგადგეო! ბებერმა თავიბეი თქო: ჩიტი ფეყით ეკალ გომოტანა რა დიდრაიმერო, გომოვტან იქნება რაიმეში გამადგესო. ადგა და ჩიტ ეკალი გომოვღა. წიწკანას გოუხარდა, ყანადი-ყანად შომოჰკრა, გააფრენლა მემზადა და ზეითი ჩომოჰზახა: „ბებერო საღოლ-ვაროლ რუმ ეკალი გამიღი, მე საქმე მაქონ მივფრინავ, ჩემ მოსლიჟახ ჩემ ფეყით გონალევ ეკალი შამინახე, არ დაჰკარგო. ამი თქმას უკან ჩიტი გაფრენულა თევში. ბებერ დიაღ გაჰხარებია თორნეი ჩააქითებელ რაიმე ვიპოვნეო, ეკალით თორნე ჩოუქითებია, გოვყიზღინებია, კაი ლამაზ, შამწორ პურები დოუცხოვ. პურები ვაჰცლში ჩალაგებულ ვახტზე, საითი არ ვიცი, წიწკანა ჩიტი დაღირსებულა და ბებრიბეი თავი ჩანაბარევ ეკალი დაბრუნება მოუთხონია. დედაკაც უთქომ: „აი ჩიტო, შენ ეკალი მე საითი მოგცე, იმით თორნე ჩონთი პური გომუაცხოვეო". ჩიტი გაჟავრებულა ბებრიბეი უთქომ: „ან ეკალი დამიბრუნე უკან, ან იმი ევეზ გამამცხორ პურევ მემცეო". დედაკაც რა ჩარა ჰქონდა, ადგა ეკალი კოლა ერ ნეჩა პური მიჰცა. წიწკანამ პურები გამართო და გაფრინდა. ჩიტმა ფრენი დროზე დაინახა ერ მინდორში. ერ დიდ ცხორი პათალი ბალახ ზოვდა. ჩობნევიც მიწაზე ფეყევმოკეცული ისხდნენ, ჰეზი ყაბევში ზე ჩეესხაყე, ანჟახ შიგ ჩააყრელ პური არ ჰქონდაყე, უგეიმაზე აქა-იქ იჭრიტებოდნენ, იქნევ მინმე გომოჩნდეს, ალაჰვერანმა ქომაგი ქნოსო?? წიწკანა ჩიტი თავი პურებითავ ჩობნევთან ჩომოფრინდა, იმათ პურები შანახა ჩააბარა და უთხრაყე: „მე ეხლა თეეჟილი საქმე მაქონ, წაასლელი ვარ, ე. ი. პურევ თქენ გაბარევყე, ჩემ მოსლინჟახ შამინახეთო". ჩობნევიც ჩარასუზ დარაზივდნენ, პურები გამაართეს და ჩიტიც თავი გზით გაფრინდა. პაშტა დრო რუმ გასულა,

ჩობნევ ველარ გოვზლიაყე შიმშილიბეი და ჩიტი მინაცემ პურები სრუ უჭამიაყე. ნაჭამ პური ლუკმას მუცელში ვერ ჩოჰხწევნია, რუმ წიწიკინა ჩიტიც ჩობნევ თავზე დაჰდგომიაყე და თავი მინაცემ პურევი თალაბი უქნია. ჩობნევ უთქომყე: „პურევ ვერ მოგცემთ უჟე ჩონ მუცელშიაო". ჩიტ უთქომ: „რახან პურები აღარ ალი, გიჭამიაყე, მაშინ პურევი ევეზ ერ ნეჩა თავ ცხორი მემეცეთო". ჩობნევ რა ჩარა ჰქონდაყე, დარაზივდნენ, ადგნენ ერ ნეჩა თავ ცხორი წიწკანა ჩიტ მიჰცეს. ჩიტმა ყოჩები წინ ჩაიყარა და ლალი-ლალი თავის გზას გოუდგა. ბევ წაუდა თუ ცოტა, ერ დიდ სოფელში შავდა. იმ სოფელშიც უგეიმაშინ ქორწილი ყოფილა თურმე, ბევ ჟაამათი დაგრიებულა, ჟივილ-ხივილით იქავრობას იკლებდნენ. ზურნაი ხმა ჰერი-გოგოს ანგრევს. შიპრობით ფეყზე ზლივ დგანან, ანჟახ ბედბახტევ შაჭმელა ქორწილში დააკლელი არ აჰყვე და ჩარასუზ, იმათ კოლა ზაღლები, კატები მოუყონიაყე და იმათ დაკლას აპირებენ. ჩიტ ქორწილი ჰასიბეი უთქომ: „ინსნებო ქორწილში სად გაგიგიაყე, ცხორი კოლა ზაღლევ-კატევ დაკლა?! მაგათ ხორც მინ შეჭამსო? თქვენ ქორწილბეი საკლავი არ გაჰყე, ჩემ ყოჩები არ დაჰკლოთო. მე ვაჟიბ საქმე მაქუნ მივდი, მალე მაასულივარო. ჩიტი თავი გზით გაფრენულა. ქორწილი ჰასის გაჰხარებია ღმერთმა დააკლელ ჰეივნები მამაწივა ქორწილი ჩამაიცილებლაო, უგეიმაშინვე ყოჩები დაკლა, სუფრა ცხრუ ხორციით აავსო, ხალღს შერ მუცელი გოუზღო. ნაღარა-ზურნა უფრო ეშხში შასულა, შიპრობა მოჰკიდებია. ანჟახ არ გასულა პიწახანი, საითი არ ვიცი, წიწკანა ჩიტიც გამამჩდარა, შოუხედნია თავი ცხრები აღარ ალიანო, სახლი პატრონიბეი ყოჩები დაბრუნება თალაბი უქნია. მიცემულ პირობა შოჰხსენებია. ჩიტ უთქომ: „ჰა ცოცხალ საღ ყოჩები დამიბრუნეთ, ჰადა თქენ მანაყონ პატარზალი მემეცეთ ცხრები კოლაო". ქორწილი პატრონს რა ჩარა ჰქონდა, ცხრევ როგო მიჰცემდა უჟე შაჭმული ჰქონდაყე, ადგა და ჩარასუზ მანაყონ პატარზალი მიჰცა. წიწკანამ ფრენი-ფრენი ერ დიდ დენიზი პირზე მიჰფრინდა, დაინახა ერ კაცი, ხელში ლამაზ სალამური დოუჭერია, ერაგე ლამაზა უკრავს, რომ ჰერი-გოგით ნაქნარ ჰეივან-ყუში დოუგრიებია. ჩიტი კაცი სალამური თოლში ჩოუარდა და კაც პატარზალში გოუცოლა. აიღა სალამური და დენიზი ზეითი გადაჰფრინა, ერ მაღალ თი წორზე დამჟდარა, სალამური ომოვღია, ჩოუბერია, ლამაზ მუღამათი დოუკრავ, იქაურობა ტკბილ ხმით დოუტკბოვ, ფიქირ-ხიალ წოვღია და თავი-თავზე მანასულ ჰადისები მოჰგონებია. თუ როგორ შეერჭო ეკალი, ბებერ როგორ წაართო პურევი, ჩობნევ ყოჩევი და ქორწილით პატარზალი როგორ დაითრივა. სალამური უკრავდა და უკრავდა იმგურგლივ-დერა თეფაითი ყუშ-ჰეივნები სალამური ხმაზე გროვდებოდნენ, იქავრობა ივსებოდა, ნაგახტან ზეითყენი შავ ღურბელი გაჩ-

და, ჰერი-გოგი ჩომობნელდა, გაშავდა, ალიშხუნი ომოვარდა, იქავრობა პირწმინდა მოხეტა ჩიტ სალამური ტუჩით გააგდებინა, ტორ-ქარბუქში ამაატრიალა და სრუ ერთბაშა მოხეტა არმასულელში წაიღა. ჰაზუღ წიწკანა ხი ტოტ მეეკრა და ზლივ-ზლივ გადაჰჩა მუსუბათს. ალიშხუნი მოჰჩომასუკან იქავრობას ჰამეშალუღ მოჰშორდა. ამბოვენ: იმაშინსუკან რაც ჰეი ჰადისა იქნა, ჩიტი ინსნებიზგან შორ-შორ დაჰფრინავს, ზირზე არ მიდის, ინსნიზგან ეშნიან და თავიბეი ჰაშამიშ არი. დუნიაზე ჩიტი საკიკი დაყრაშიც ინსნი ზირზე არ მოდის, უჭკო ქათამივი.

ნალიღ ეიქა გათავდა და მე დააზინებლა ვწები, იქნება სიზმარში უგეი წიწკანა ჩიტო დავნახო და ვუთხრო, მომიყეს თავზე მემრე რა ჰადისები გადაჰხდა.

მთქმელი :ომაროვ რამაზან ჰასრათ ოღლი,
25.III.70წ. ს.მოსული

დედინაცილი და ოგაი ქალები

როგოგც ჩონ ათა-ბაბაი მონაყოლით გოგია: იყო და არ იყო, ეიჰ დუნიაზე რა იქნებოდა კარგ იყო ერ ჰოხსრულ ჰაზუღ კაც-დედაკაცი. ღარიბ აილა თავიბეი ზლივ-ზლივობით ცხოვრობდა. მალე აილაში ღმერთი ნანდომ დროზე დუნიაზე ყმაწვილები გაჩნდნენ. ოღლუშაღი ქალი თაიფაისი იყნენ და ერთმეთიზგან ლამაზებიც იყნენ. წრულები ტკბილა თამაშოვდნენ ერთმეთან, დედ-მამას კარგა უჟერევდნენ. ჰოხსულ აილა იქნოსაც იმათთან ჰამეშა სიტკბო და სიხარული იყო. ალათალაჰ მანაცემ სიტკბო-სიხარული დიდხან არ გაჰწივა. მალე ყმაწილევ დედა გოუნაჩაღდაყე, ფართალ ხასტა ქნა. ქალები დედას თავზე დაჰტრიალოვდნენ, სრუჟურა ყულუღ ექცეოდნენ, ანჯახ ფინ ნაჩაღობამ თავისი ქნა და ერ დღესაც მუსუბათი კარზე მიადგაყე. დედაკაცი ნაჩაღობით რაჰმათში წავდა. ქალი ჰეს მოჰჩომასუკან აილაში ვაზიათი ჩეთინი გახდა. კაცმა ბევ იფიქრა, იხაჟალათა და უკანახენ ჩარასუზ გადაწყიტა, აილაში მეორე დედაკაცი მეეყონა. ახალ მანაყონ დედაკაციზგან ერ წელში კაც კიდემ ერ ქალი ეყოლა და ჰოხსულ აილაში სამ ქალი იქნა. დედინაცოლი კაც ერაგე აჩენევდა, მითამ ოგაი ქალები შულებივი მიყუარსო. დედაკაცი ამლობა პაშტახანს გაგზელდა, ახირი ყმაწილევ ქუდი გომოვბრუნაყე და მეეკიდა ოგაი ქალები განაპირება: იმათ თოლით დაანახლა ვეღარ იტანდა სრუ რაიმეში თახსირ ადევდა, საჭმელ-დაალეველს ცოტას აზლევდა, ზოლ ტანსმუს აცომდაყე. ჰამეშა ჩალიშმიშ იყო, ქალები თოლ-პირი დეეწო, გაჟავრებულიყო, ჰწყევლიდაყე და სრუჟურა ცდილოვდა, როგო მეეშორებინა გერები თავით. ჰარ სალმოზე პურ ჭმასუკან დედაკაცი კაც ცალკე გაჰყონდა, თომათ აზლევდა, ებნებოდა: შენ ქალემა სრუ რაიმე ჭამეს, გადახრეს, რაიმე აღარ დოგჩა მაგათ ხელში, რაიმეს ვერ ვინახავ, სრუ რაიმეს იპარენ, მაგათ დანახა აღარ შემიზლია,

რაც გინდა ქენ, ერჯა თავით მამაშორე, სადაც გინდა, წაიყონეყე, ჩემ თოლებმა აღარ დაინახოსყე. კაცი უჩუმრა უსმენდა დედაკაც, რაიმეს არ ებნებოდა, გულში ებრალებოდა ქალები, ანჯახ დედაკაც რაიმი თქმას ვერ უბედავდა. ეიგრე გადიოდა დრო. ერ დღესაც ქალები მამა ზროხი ნაბათში წაუდა. შინ რუმ დაბრუნდა სალმოზე დაღლილმა, ჰალ დაკარგულმა ქალევ უთხრაყე, ფეყით წინდები გამხადეთო! დიდ და შუათანა ქალ შეეზარაყე მამიბეი წინდები გახდა, პატრა ქალმა ყოჩალობა გამაიჩინა და მამას წინდები გაჰხადა ფეყებით. წინდები გახდაში, საითი არ ვიცი, ნაგახტან მამაი შარვლი ჟიბით ერ წითელ ვაშლი ჩომოჰვარდა. მამამ დაინახა ვაშლი, აიღა და პატრა ქალ მიჰცა, ისერთებმა რუმ დაინახეს წითელ ვაშლი, იმათაც მონდაყე ვაშლი, მამას შეეხეწნენ, ჩონბეითაც მაიტანეო, მამაც შაჰპირდაყე და უთხრაყე: „ტყეში ერ ვაშლი ხი ზირი ვიცი, დიაღ ბევ ვაშლი ასხია, იწირთება, მე დავაქანევ, თქენ ქოშაი აკრიფეთ და შინ მავლოთო. ქალევი დარაზივდნენ, ღამით ადრე დაიზინეს, დილაზე ადრე ავდგეთო, ვაშლიბეი წაასლელი ვართო. მეორე დღეც იქნა. მამამ ქალევი ტყეში ვაშლი ზირთან წაიყონაყე, პიწა ადრე წაუდა, ხექე ერ ღრიმე დიდ ორმო მოთხარა, ზედ ფარდაგი გადააფარა და შინ მობრუნდა ქალევ წააყონლა. ქალევი რუმ ვაშლი ხესთან წაიყონა, მამამ უთხრაყე:„ ქალებო ვაშლი ხექე ფარდაგი დავაგი, მე ეხლა დავაქანევ ვაშლ, თქენ ერთა მააგრუვეთ, ერ ტუმარაში ჩაყარეთ და შინ წავლოთო. ქალებმა გახარებული გაირბინეს ვაშლი ხექე და ნაგახტან სამივნი ორმოში ჩაცივდნენ. მამას დიახაც არ უნდოდა ქალები ორმოში ჩაყრა, მაგრამ რას ქნევდა, სხო ჩარა არ ჰქონდა, დედაკაცი ოჰტასინან ვერ ომოდიოდა. კაცი ჩახაჟალათებულ შინ დაბრუნდა. დედაკაცმა კაცი რუმ მარტო დაინახა, გოუხარდა. ხელევგაშლილი წავდა წინ, მალე აილაში ტაშ-ფანდური გამართა.

ორმოში ჩაცივნულ ქალები ორმოითი ამასულელა ბევ ხუფათოვდნენ, ტიროდნენ, ყიროდნენ, შოლას, ჩარას ითხოვდნენ. ახირი ჩარა რუმ გოუწყდაყე, შოლელლი მინმე არ გომოჩდა, თუთანავ გადაწყიტეს, ერ თაარი ორმოითი თავი დახწევას. აქა-იქ ეჟუჟგუნებოდნენ, ერთმეთ ფეყ უჭერდნენ, ზეი ომოსვლას ცდილოვდნენ, ანჯახ ვერ ომოდიოდნენ. დაღლილები დასხდნენ, თავები ერთმეთ მიჰყუდეს და უგენერე ჩეეზინაყე მარტო.

პატრა ქალმა არ დაიზინა. აქა-იქ იჩეჩქებოდა, კატარს ეზევდა და ნაგახტან ჟიბით კატართან ერთა პატრა დანა გოდმოჰვარდა. ჰეგინ-ჰეგინ ისერთებიც გააღიზა. დანაი დანახა სრუს გოუხარდა, უგეიმაშინავ დიდ ქალმა პატრა ორმოები გომოთხარა ფეყ დააბუჭებლა. ორმოები გაქითებასუკან ბევ ხუფათით დიდ ქალი ორმოითი ომოზრა. დიდ დას შუათანა მიჰყო და ისიც ორმოითი გომოვდა. ახირი ორივ დამ პატრა დაც ორმოითი ამაიყონეს. დებმა იქავრობა რომ დაათორიალეს, დაინა-

ხვს, ტყეში იმათ გარდა მინმე არ იყო. შეშინდაყე ტურა ჟანავრიზგან, არ დოგ-ფათროსო. ხელები ერთმეთს მოჰკიდეს და შიშოვ-შიშოვ ტყითი გომოვდნენ. ბევრი ეტარეს თუ ცოტა, ახირი ერ ადგილით ონასულ შავ კომლ დაინახეს, გოუხარდაყე და ონასულ კომლისყენ წავდნენ. დაინახეს კომლი ერ იშღიან სახლით გომოდიოდა. ქალევმა გარე-ითი შაიჭრიტეს, მინმე ვერ დაინახეს, კრებიც დაკლეტული არ იყო, ადგნენ და შიგ შავდნენ. დაინახეს დიდ ცეცხლი დანთებული. შაციებულები ცეცხლთან მივდნენ გაათბობლა, ცოტა ხანში ფეყი ხმა გაიგეს და უგეიმაშინვე დაიმალნენ. სალმო რუმ იქნა, უგენქავე დაიზინეს. ზილით კიდევ ყეფი ხმამ გააღიზაყე. სახში ერ დიდ დევი ტრიალოვდა. იქა-ვრობას ახტარგიშ ჩიდიოდა. რაიმე რუმ ვერ იპოვნა, დევი ცეცხლი პირზე დაჟდა შეჭმელი გამაიღა, წინ დაიდო, უნსუნა, არ მეეწონა სული, თოლები დაამრიალა და ყურულ მეეკიდა – ინსნი სული მამდის ეიქა, მინ ხართ დამა-ლული, გომოი დაგინახოვო. დევმა ბევ იზახა ეზება, მაგრამ რაიმე ვერ იპოვნა, ახირი ფართალი დააგა და დაწო დააზი-ნებლა. დევი კარგა ზილში რუმ წავდა, ხრუნვაც ომოვშო, დიდ ქალი დამალულ ადგილით გომოვდა, ცომი მოზილა, საჟზე ფეთირი გამააცხო, ვაჰცლი ფე-თირებით აავსო. თუთან კიდევმ უგენქა დაიმალა. დევმა დილაზე გამამცხორ ფეთირი დაინახა, გოუხარდა კარგა გომოზლა, წავდა. მეორე ღამეს დევმა კიდემ ბევ ეზება თავი სახში შანასულ ინსნები, ანჟახ ვერ იპოვნა, დაწო, დაი-ზინა. შუათანა ქალმა დიდ თიანში ქონი აადუღა, თარჰალოვა გააქითაა და დაი-მალა. დევ დილაზე გოუხარდა, თიანში თარჰალვა რუმ დაინახა, ჭამა და თავი გზით წავდა. მესამე ღამე იქნა, პატრა ქალმა ერ დიდ კასში დულარა წყალი ჩაასხა. დევ მახე დოუგა. დევმა კასში ცხელ წყალი რუმ დაინახა არ გოუსინ-ჟავ უგენგრე, ჩახტა წყალში. წყალი დულარა იყო და დევიც დაითუთქა. ღრი-ალით იქავრობა აიკლა, ქალები გამო-ვარდნენ დამალულ ადგილით ცეცხში შაზრენულ გაცხელებულ შამფურები აიღეს და დევს გოუჭეს ჟანში, სული ომოხადეს. ქალევმა დევი სახ-კარი, ვარ - დოვლათი რაც რაიმე ჰქონდა, ხელში ჩაიგდეს და დაიწყეს ერთა ტკბილა ცხოვრება. ეიგრე ჰაშაიშით ერ ნეჩა წელიც გავდა. დედინაცოლი ხელში ჩა-ნავარდ ქალები მამა ხაჟალათ ეჰწეოდა ქალევზე, ბევ ნაღლოვდა, ახირი ადგა ერ დღეს, რაც იქნება, იქნებაო, გზას გოუ-დგა ბევ ეზება, დერა-თეფა შამაიარა და ახირი მიადგა დიდრულ სახ-კარს. ისიც თურმე იქენ თავი ქალევი სახლი. მამაი დანახა ქალევ დიაღ გოუხარდაყე, თა-ვიანთან შაინახეს ერ ნეჩა დღეს, კარგა აჭამეს, მოუარეს. შინ გაცილებაში მა-რიფათიანა გზაში ჩააგდეს, ბევ თეთრი გაატანეს დედინაცოლთან. კაცმა დედა-კაც უთხრა: თეთრი ტყეში ერ ვაშლი ხექე ვიპოვნეო. თეთრი რუმ გოუთა-ვდაყე, დედაკაცმა კაც უთხრა: კაცო, წაი უგენქა, მოთხარე მიწა, იქნება კი-დემ იქნოს თეთრიო, ჩონ ქალიც წაიყონ,

ისიც მეგეშელოს თეთრი პოვნაშიო! კაცმა ქალი წაიყონა ტყეში, ერ დიდ ხექე დააგდა, უთხრა: ეიქა საქნიაო თეთრი, ელედეო. თუთან შინ დაბრუნდა. უგეი ღამი ტყეში ჟანავრები ხროვა მოგროვდნენ, საჭმელ ეზევდნენ. ერ ჟანავარი ქალთან მივდა და ფეყი წომოჰკრა, ქალმა გაიღიზა, ეგონა ჟანავარი მეთამაშებაო, აიღა ჟოხი ჟანავრ დაჰკრა, ჟანავრი გაჟავდა და ქალი უგენქავე დაფათრა.

დედინაცოლი ელედა-ელედა ქალს. ანჟახ ქალი არ გომოჩდა, ახირე კაც უთხრა: „წაი ტყეში, ნახე, რა იქნა ჩონ ქალიო". კაცმაც გუდა აიკიდა ზურგზე და წაუდა ტყეში. ქალი ბეუ ეზება ახირი უგეი ხესთან მივდა, დაინახა დაგლეჯულ-დაფათრულ ტანსმუსი,შაჭმულ გომოხრულ ხლები. კაც სხო რა ჩარა ჰქონდა, ხლები მააგრუვა, გუდაში ჩაყარა და შინ დაბრუნდა. დედაკაცმა კაცი რუმ დაინახა ზურგზე აკიდებულ სავსე გუდაითი, გოუხარდა, მოთაფლულ ენაითი გემეელაპარიკა: „კაცო, შენ რა დიდ გუდაითი მეხელე, ჰერაბ თეთრით აგივსია თუ მეჩენებაო. ჰაბა ჩონ ქალიო"? კაცმა დედაკაცთან მოწეევნაში გუდა ზურგით ჩამაიღა, ოფლი მაიწმინდა და გუდა ქალი წინ მააპირქავა, გუდაითი გომოხრულ ხლები რაბა-რუხი გოდმოცივდნენ. გაჟავრებულ კაცმა დედაკაცს უთხრა: „ჰა ეხლა გაზახე შენ შული ხლებით, ეხლა იქნებ გაჰხლე, მე თეთრით ვერ გაგაზღეო". ქალს გული შოუწუხდა ხლები დანაზაზე და უგენქავე უსულო დეეცა. კაცმა დედინცოლი დამარხა და თავი ქალევთან დაბრუნდა. ცოტა ხანში ქალებიც თითო-თითო მიყოლებით გათხოვდნენ, სრუს თავი აილა ექნა. ალაჰთალაი ქარამათით ყმაწილებიც გოვჩდნენ. მამაც იმთან ერთა ჰაშაიშ ჩიდიოდა, სანამ ჰაში არ ოუთავდა და რამათში არ წავდა. ქალებმა მამა თავი ლაიღლუ დამარხეს და პირობა დადეს, მამას ჰამეშა მაიგონევდნენ, არ დაიმირწყევდნენ. ამბობენ: ვერ განაზღომ ინსნი თოლი ჰამეშა შერია, ჰამეშა სხოისყენ იჭრიტება და ახირი იმასაც კაი დღე არ ელედება, როგორც ნაღილში მანაყოლ დედინაცოლ მოუდა თავზე.

ნაღილი ეიქა ჩება. მე თქენთუნ წითელ ვაშლები მამქონდა, კანკალა ღობეითი გოდმოხტომაში ბანგურა ზაღლი გემეკიდა და ხელით გადმიცივდა, ბაგურა ზაღმა წაიღა ვაშლები.

მთქმელი: ომაროვ რამაზან ჰასრათ ოღლი,
25.III.70წ. ს.მოსული

ზოლ ჩონებურ ნიშან-ქორწილი

ბითუნ ჰერ-გოგზე ნაქნარჟურა ჩონთანაც უწინ ზოლ ადათ ყაიდაითი ტარდებოდა ნიშნობა და ქორწილი. ეხლანდელ დროში ზოლ ადათ-ყაიდები მისდა აგონდება, ბევ რაიმეი დაიმრწყეს, ეხლა სხოჟურა ტარდება ნიშან-ქორწილი. დრო იყო, რომ ჩონ ხალიი ზოლ ათა-ბაბაი ნათქომ ჟულაბ მიწაზე არ ცემდა, იმათ ანარჩევ გზა-კოლ მიჰყებოდა,

დიდ-პატრა ერთმეთ ჰურმათ უნახავდა. მამა-პაპიგნი გამიგია, რუმ უწინ ჩონთანაც ყმაწვილევ პატრობითავ ჟერ აკუანწში ქნაშიავ ნიშნავდნენ. ერ აილას რუმ ბიჭი ექნებოდა, მეორეს ქალი, ჰელბეტა ისნები თუ კაი აილათიც იყნენ, დედ-მამა ყმაწილევ აკუანში ნიშნავდა. პიწა რუმ მაიჩჩქებოდნენ, დანიშნულ ყმაწილევ აქორწილევდნენ. სრუუმან სოფელში იცოდა მის ყმაწვილი მისთან არის ნიშანლუო. აკუანში დანიშნას სრუ აილა ვერ ახერხევდა, მაგა ანჟახ ვარლუ აილები ათავნევდნენ. იმ დროში ნიშან-ქორწილი წშინდა საქმე იყო, ჟამაათიც ყაიდა-კანუნევ იცავდა, ლაიღლუ ატარევდა. სოფლელები ერთმეთი ყოუმ-ყარაბა იქნონაც, ინსნი ნამუს ჰიას ინახავდნენ. ჟავან ჰაშლუ ქალ-ბიჭი ერთმეთ არ ელაპარიკებოდა. ქალი ბიჭს რომ დაინახავდა თავ დაბლა კუნტავდა , ერაგე უჩუმრა ჩოუვლიდა ბიჭს, რომ ვერ დეენახა ჟავანს. ეშნიანდა მინმე დაინახავდა და იმაზე ფინ რაიმეს იტყოდა. ჟავანები ანჟახ წყაროზე ქნაში, ნადიევში, ქორწილევში ჰქონდაყე მიმქუნი ერთმეთი ახლე დენახაყე, დელაპარიკნაყე, ნანდომ თოლით შეეხედნაყე, ემერჩივაყე ნანდომი. ჰარჟამარჟა თუ მინმე ფინ ჟულაბ ეტყოდა ქალს, ის სირცხილით შაჰრეში აღარ გომოდიოდა, მარაქაში თავს აღარ აჩენდა, სრუს ემალებოდა, რაიმე ფინთი არ თქონ ჩემზეო. ბეუჟერ ქნილა, ბიჭი თავი დანიშნულ ქალსაც ვერ ცნოვდა, არ დეენახა, ანჟახ გაგებულობა ჰქონდა მავან-მავანი ქალიაო და სოფლი ამა და ამ ობაში ცხოვროვსო. როგორც ბიჭ უგენგრე, ქალ ანჟახ სხოები ნათქომით იცნოვდნენ. დანიშნულები ერჟა ქორწილი დღე ახერხევდნენ ერთმეთი გაცნობას, დალაპარიკებას. სხო სოფლით ბიჭები ქალევს ჩარასუზ არ თხოვნოვდნენ, არც ქალევს ათხიევდნენ შორს. სოფლელები ამბოვდნენ: ,,რაც არ უნდა იქნოს, ჩონებური იქნოს (ბრიმა იქნოს თუ აღსაღი ჩონ სოფლით იქნოსო)", სხო მილაათი არ იქნოსო. ქორწილ სრუნი ჩიდიოდნენ-ღარიბი თუ ვარლუ, ანჟახ იმათ ქორწილები ერთმეთიზგან განსხიებული იყო. თუ ვარლუ აილა იყო, იმათ ქორწილიც დიდრული, მარიფათიანი ბევ ჟამათიანი კეჰთებოდა. ჰოხსულ აილას ჰამეშა თავი ლაიღლუ ქორწილ ათავნევდა, ხალღიც ცოტა კეჰთებოდა. ქორწილით ნაარაზიც ბევრი ჩებოდა. ვარლუ და ჰოხსული ჰამეშა ქნილა დუნიაზე, უგეიმაზეც ნიშან-ქორწილებიც სხოდასხოჟურიც იყო. დიდ-პატრობა, კაი-ფინთობა ჰურმათ-მარიფათობა სოფელში ნაცხოვრევ აილაზე ბაღლუ კეჰთევოდა.

ნიშან-ქორწილ ჩონში ჰამეშა შემოდგომით ჩიდიან. შემოდგომა ლაფ კაი ვახტია, სრუ რაიმი ბოლულლობა არი. აილევ თხილი, კაკალი, ნასულედი სახში შემოგრივებული აჰყე. სხო საქმეებიც ხალღს ჰავაშ-ჰავაშ უცოტავდებაყე. სოფელში ნაქნარ ბერკაცები გუნგებზე გომოდიან გაფ საქნელია. ბერკაცები სობათის სხოდასხო რაიმეზე ჩიდიან. ლაპარიკობენ მის რამქთონ ვარ-დოვლათი დააგრუა, დუნიაზე რაები

კეჰთება, სოფელში მინ ნაჩალია, მინ მოკდო, მინ რა გააქითა და არც ნიშან-ქორწილი ხაბრევ იმირწყებენ. მუან-მუან დროზე ამა და აილა ნიშან-ქოწილ ქნას აპირებენო. დანიშნულ ქორწილ საქნელ აილები ერთმეთთან ახლე ქნას თავს არიდებენ, ხალღ რაიმე სალაპარიკი არ ექნოსო. ანჟახ რაც არ უნდა თავი დაიცონ აილებმა, ხმა მაინც ვარდება სოფელში, ფულან-ფულანი ქორწილობეი ჰაზირლულს ეჰწევაო. ჟეიზს ყიდლოვსო, საკლავს ეზევსო ეზო-ყურეს, სახ-კარ ალამაზევსო. მანამ ხეირუ საქმეს მეეკიდებოდნენ, ბიჭი აილაში დედ-მამა ყოჰუმ-ყარაბას ეზახის, ერთა აგრუევს, პატრა შინავრ გროვლობას აქითიევს (პურ-მარილს აქითევს), როგორც იტყიან, მასლაათობენ. სახლი პატრონი ყოიმებს ებნება: „ყოიმებო, ხეირუ საქმეი მოკიდები ნიათი გოქონ, თქენ რას იტყითო". ყოიმები: ბიზები, ტაიები, დეიდები, მამიდები და სხონი დანაზახ ყოიმები ებნევიან: „ჰამეშა ხეირუ საქმე იქნოს თქენ აილაშიო. ალაჰთალამ კაი დღიები ნუ მააკლოს თქენ აილსო, ხოშბახტი იქნოსო". გროვლობაში დანაზახ კაცები ცალკე სხდებიან ოთახში, ქალები ცალკე გროვდებიან. იმათ მასლაათს ოღლუშაღმა არ უნდა მოუსმინოს. აილაში სოჰბათი რუმ მოჰჩება, ბიჭი ბიზას ან ტაის გზავნიან ქალი აილაში ჟულაბ მაატანლა. ქალი თარაფით განაგზავ კაცი სალმოზე მიდის ქალი აილაი დარავაზებთან და იზახის: „აი ფულანქესო გომოი, შენთან სქმე მაქონო". შაჰრით დანაზახნი წინ აილაითი მუთლაჰ კაცითაიფა უნდა გავდეს. თუ აილაში კაცითაიფა არ ალი, მაშინ ჰაშლუ ქალთაიფა გადის შაჰრეში. ერთმეთან სალამ-ქალამსუკან დანაზახი ყონაღი წინ გონასულ ებნევა: „მე თქვენ კარზე ხეირუ საქმიბეი მოსულვარ, გუნდა ორ აილა ერთმეთი ყოიმები ვიქონოთ, თქენ რაზიობით, თქენ ქალი ჩონ ბიჭიბეი გუნდაო". ქალი თარაფით გონასული დანაზახ კაც სათქმელს დარვაზასთან ებნევა, ჰავაშ ხმაზე რუმ მინმემ არ გაიგოს. მანასულ კაც შინ არ შაჰყონენ. სიპტა წასლაში მაჭაკლა მანასულ ებნევიან: „მასლაათ ქნევთ, თუ ქალი დარაზივდა, მემრე ჟულაბ მოქცემთო". მაჭაკალ ერ წასლით არც ჰოვს ებნევიან, არც არას, უგეიმაზე მაჭაკალი, მეორეჟერ, მესამეჟერ მიდის, მანამ ქალი აილაითი ჟულაბ გაიგევს-რაზიობი ან არ რაზიობი ბაარადა. თუ სრუ რაიმემ კარგა ჩაივარა, ქალიც დარაზივდა. მაჭაკალს ქალი აილაში სახში შაჰყონენ ჩაი დაალევა, რაც ქალი აილაი დარაზიები ნიშანია. მაჭაკალიც ქალი აილაში ხელცარიელი არ მიდის კამპეტ-კალეთით-ტკბილევლით შადის ახალ ყოიმებთან. ქალი აილაში მაჭაკალს ქალი აილაი ყოუმ-ყარამა ხტება, პატრა გროულობაც იმართება. ხეირუ საქმეი მოკიდებიბეი ფლავ აქითებენ, ყონაღლულობას აწყობენ პურ ჭმასუკან ბიჭი აილაითი მანასულ მაჭაკალი ხეირუ საქმეი მოკიდები ჰაყინდა სახლი პატრონს თოლით ჰიმს უყევს და ისიც გროვლობაში დანაზახ ყოუმ-ყარაბას

ებნება, თუ რა მაანაითი არიან დაგრუებული ერთა: ყოუმ-ყარაბავ დღეს ჩონსა ხეირუ საქმეზე დაგიზახეყე, ერთა შაგაგრუეყე, რუმ ალაჰთალაი რაზიობით აილაში შად გუნი იქნოს, დაფა-ზურნა დაიკროს, ქორწილი, შად გუნი იქნოს. ეიქნა ნაქარ მაჭაკალიც ჰეი საქმეზე მოსულ ჩონსა, გუნდა გავგოთ თქვენ ფიქირ ხიალი, რას იტყითო. ყოუმ-ყარაბა გახარებული ამბოვს: „ლაფ კაი საქმეა, ღმერთმა კაი დღეები ნუ მააკლოს თქვენ აილას, ხოშბახტი იქონონ". სობათი მოჰჩომასუკან მაჭაკალი ხელს აზლევს ქალი მამას, იმამაც თუ გამოვწოდა, ხელი ჩამაართო საქმე გადაწყეტილია, როგორც იტყიან აქავრები-ჰოობა მიცემულია. ამაშინსუკან ბითოვ სოფელში ხმა ვარდება: ფულან-ფულან ბიჭი ამა და ამ კაცი ქალთან დანიშნულაო, უკე ჰოობაც მიცემულაო. ჰოობა მიცემასუკან მაჭაკალი ქალი აილაში ჰუზიაღი, ბევ ტკბილევლებით და პადარკებით მოდის. მაჭაკალს ჰამეშა კაი ჰურმათს ექცევიან, იმასთან ერთა მასლაათობენ, რახან კაი იქნება ნიშანი მოტანა, ქორწილ ქნა. თუ ქალი თარაფი ნიშნიბეი ჰაზირი არ ალი, ნიშნობი დროს გადაჰწევენ საქმეები მოჰჩომიჟახ. ნიშანი მოტანას ქალი აილაში თავიჟურა ჰაზირლული გაწევა უნდა. ნიშანი მოღებინჟახ ქალი აილა ბით-ბითა ასაღევს ბიჭს მინ აქონ აილაში ყოიმები მინ არიან (ბიზები, ტაიები, ბიზიშილები, დეიდიშილები და სხები) ბიჭი აილაზე სრუ რაიმეს იზიებენ, იციან, რუმ სრუნი ხურჟინს გააქითებიან და იმათ ხურჟინებში ჩაადებელ წინდები, დესმლები, ხელკატრები ნასკები ლაზიმი საქონიაო. ამიბეი ჰაზირლულს ეჰწევიან. დარაზიებასუკან მაჭაკალი და ქალი აილა ნიშანი დღეს ნიშნენ. ამაშინსუკან ორივ აილა ცალ-ცალკე ნიშანში დააზახნელები ყოუმ-ყარაბაი, თანიშ-თუნუში სიას წერენ, მინმე რუმ არ დარჩესყე, დაწერულ სიას ორ-სამჯერ კითხულობენ, გონარჩომებს ამატებენ და მემრე დამზახნელებს (ორ ჟეილ ბიჭს) აზლევენ ობაებში წაასლელა. მინც შორს ცხოვრობს, ხაბარ აზლევენ ამა და ამ დღეს ნიშან-ქორწილი გოქონ – გეზახითო. ნიშნობი დღეს ბიჭი ალაში დილაზიავ გროვდებიან დედაკაცები, კაცები, ოღლუშალი.

ზოგი რას ზოგი რას საქმიანოვს. სრუნი გახარებულნი არიან. ჰარქესას ცალ-ცალკე საქმეს უჩენენ. მინ უნდა პური დააკროს, მინ უნდა სუფრა გაშალოს, მინ უნდა ფეეზე იტრიალოს, წამსულ-მამსული გზაში ჩაყაროს. მინ იქნება მექობე, სიმრები ამდუღებელი და სხები. ნიშნი დღეს 3-4 თორნე ლავაშ აკრენ, მემრე პურევს აცხობენ ამათ მოჰჩომასუკან თორნეში ნაზუქს აკრენ ქალისა წააღებლა. ცალკე დიდ თიანში ჰალვას აქითებენ. ნიშანში დაზახნულ ხალიც ჰავაშ-ჰავაშ გროვდება, სრუნი ლამაზა ჩაცმული არიან, ხელში სავსე ხურჟინები, სუმკები უჭირავყე. შიგავრები ერთმეთ ულოცენ: „ბახტიანი, პიღვლიანი იქნონ, თეთრა დაბერდნენო". მემრე აქა-იქ იფანტებიან : ზოგი

შინ შადის, ზოგი ეზოში დანთებულ ცეცხლთან ჟდება, ზოგი სტოლთან ჟდება, ჩაის ლევს, ზოგი ნარდს თამაშოვს, პაპრუს ეჰწევა. მაჭაკალი აილაში შინავრივი ტრიალოვს მანასულებიზგან პადარკევს აჰქონს, ერთმეთ ლოცენ, ხელს ართომს, სახლი პატრონთან მასლაათოვს, სრუ რაიმეზე თოლყურს იჭერს, რაიმე არ დაჰმირწდესყე, სრუ რაიმე პარიადკაითი ჩატარდეს. ნიშანი ხალღმა იციან მაჭაკალი განაქითევ ხურჟინი სრუიზგან გომორჩევლია. შიგ ბევრ რამები საქნია ჩადებული და მიმქუნჟა იმიბეი კაი პადარკასაც ჩაადებიან. ახშამი პირზე ნიშანში დანაზახ ხალღი სრუნი სუფრაზე, ჟდებიან პურ შაჭმელა. ჭამი მოჰჩომასუკან დგებიან, ჰარქესა თავი ხურჟინს აჰქონს ხარზე იკიდევს და ჰაზირდებიან ქალისა წაასლელა. ნეფეი ხურჟინში ალაგებენ პატარხლიბეი ნაყიდ პადარკევს, ყიზილი ბეჭედს, ბრასლეტს, საათს, თანევს, ბელერზიქს, საპერანგო ნაჭრევს, ჟეკეთევს, აიჰაყაბევს, თავზე დანახურ ქალაღეე, კატრევს, ჩექმევს, და კიდევ ბევ რაიმეს. სრუ რაიმეს ერთა გომოჰკრენ და ერ დიდ ხურჟინში დებენ. ფარჩაი ხურჟინიზგან ელევა სხო ხურჟინსაც აქითებენ. აქ ნაზუქევს, ქადას, კამპეტ-კალეტს, ერ სინი ჰალვას და ნამცხრევს ტკბილევს, მეივას ალაგებენ. მემრე იმ ხურჟინსაც ტანსმუსი ხურჟინთან ერთთა დებენ ქალისა წააღებელა. ამასთან ერთა ადათია ბიჭი აილამ ერ დიდ ყოჩი ნიშანში და ერ მეზერი ქორწილში ქალი აილას აჩუქოს. გომოჰყონენ კაი სუქან, დუმიან დაგრეხულქებება ყოჩს, ქებზე წითელ ბანტს აბმენ და ჰაზირდებიან ქალისა წაყონლა. მანამ ნიშან წაიღევდნენ ქალისა მუსურმან ადათით მუთლაჰ ლაზიმია ნიქაი გაჭრა. ამიბეი ბიჭისა მოჰყონენ სოფლი მოლას, მაჭაკალს და შაადებს ორივ თარაფით. მემრე ერთა გროვდებიან. ნიქაში დაზახნულევს კარგა ჰურმათ ექცევიან. პურჭმასუკან მოლა იწყოვს ნიქაი გაჭრას. მოლა მიდის ბიჭი ნაქნარ ოთახთან. შიგ არ შადის, ოთალი კარევთან დგება, მუსურმნულ ნიქაი დუას ამბოვს, ლოცვაი მოჰჩომასუკან გორდზე ნაქნარ შაადებთან ერთთა მოლა ნეფეს გარეითი შიგ სუალს აზლევს: ალაჰთალაი შარიათით, შენ რაზის ხარა ფულან-ფულან ინსნი ქალთან ნიქაი გააჭრელაო. ბიჭმა იქაითი რაზიობი ნიშნით ჰოვ უნდა თქოს. ამაშინსუკან სრუნი დუას ჩიდიან და ბიჭი აილაითი შაადებთან ერთა ქალი აილაში მიდიან იქაც მოლას მიჰყონენ ქალი ნაქნარ ოთახთან. აქაც მოლა ქალს სუალ აზლევს-რაზი არის თუ არ ფულან-ფულან ბიჭთან ნიქაი გააჭრელაო, ქალმაც ჰოვ უნდა თქოს. ქალი ზოგჟერ მოლაი სუალზე ოსმაათ ჟულაბს არ აზლევს, უგეიმაზე მოლა სამჟერ იმევრევს სუალს. აქაც დუას ჩიდინ. ნიქაი გაჭრას ულოცენ ქალი აილას, ხოშბახტლუღობას, თეთრადაბერებას უსურვებენ. ნიქაი გამჭრელევს ქალი აილაც კარგა ჰურმათ ექცევიან. მოლას თეთ აზლევენ და თავი სახში მიყონენ. მაჭაკალი და ყოიმები ბიჭისა ბრუნდებიან . სრუნი ერთა გროვდებინ კაც-დედაკაც, ყმაწი-

ლები და მიდიან ქალი აილაში. ნიშნობა ახლა ქალი აილაში გადადის. ნიშანში წანაყონ ყოჩ ქალი თარაფი უგემაშინვე ჰკლენ, აქითებენ ხორცი წონს, ფლავს, ყაბლამას, ტოლმას, ქათმიწონს, სოუთმას და სხოდასხოჟურ სალათევს, ტკბილევლევს. მაჭაკალთან ერთა წანასულ ბიჭი თარაფი ხალღ ცალკე გაქითებულ ადგიზე ასხდენენ. იშლება დიდრულ სუფრა, მოჰქონენ სხოდასხო საჭმელებს, ჩაის, ტკბილევს. მაჭაკალი წინ ერ დიდ სინით ქადა-ნაზუქ, კამპეტ-კალეტ, ჰალვა ნამცხრევ, მეივას დებენ. მაჭაკალი დედაკაცი იწყოვს თავიან ხურჟინი ომოლაგებას. მანამდე სახლი ხურჟინი იშლება. ომოჰქონს ტანსმუსს, თითო-თითო ალაგევს ცალკე, მაღლა ჰწევს ხალღს აჩენევს. ომოჰქონს ყიზილი ბეჭედს, თანევს, საათს, ბილერზიკს და იმასაც ნიშნი ხალღს აჩენევს. პატარზლიბეი ნაყიდ ერ საპერანგოს დევს. ქალი თარაფით ეზახიან პატარზლი დას, ან ახლე ყოიმს და ისიც ხელში ყაიჩით მოდის. აჰქომს ხელში პატარზალი საპერანგოს და ყაიჩით გააჭრელა ამზადებს და ჰმამაღლა ამბოვს: „ყაიჩი ქესმაზო", რაცა იმას ნიშნავს: „მაკრატელი ნაჭერს ვერ ჭრისო". მაჭაკალი ჟიბეითი თეთ ომოჰქონს და ყაიჩი დამჭერელ ქალს აზლევს, ქალიც მინაცემ თეთ შორითავ ათორიელევს, თუ ეცოტავა, კიდემ ყაიჩის ათამაშევს ხელში და „ყაიჩი ქესმაზო" იმეორევს, ხალღიც თეთრი მომოტევას ითხოვს, მაჭაკალიც ჩარასუზ უმატებს. ყაიჩი დამჭერელ ქალი დარაზიებასუკან ქალი ფარჩას პატრა კაწ უქითევს და თეთრით ხელში ყონალღე შორდება. ამ ადათს „**ყაიჩი ქესმაზს**" ეზახიან. ამი მოჰჩომასუკან ქალი თარაფით კაცი პურს აიღევს ხელში და მაჭაკალ უწდის და ისიც პურ წორ ხეჩავს, რაც უგეიმი ნიშანია, რუმ მარაქას იხტიარი აქონ, პურ-ჭმას მეეკიდნონ. ეკიდება-ჭმა დალევა, ქეიფი. ჭმა-დალევასუკან იწყება მანაღევ ხურჟინები ომოშლა. ქალები თითო-თითო შლიან ხურჟინს, შიგ ჩანადევ პადარკას, ტანსმუსს, საპერანგოს ან სხო საჩუქარს ხალღს აჩენებენ, ხმამაღლა აცხადებენ: „აი, ჟამაათო ბიჭი ბიზას, ტაიყის ზილი ბეჭედი, ყიზილი თანები ან საპერანგო უყიდა, ტაიშულ ბილერზიქი, დეიდშულ, ლამაზ ჩექმები და ა. შ. საჩუქრევ ზეიტყენ წევენ და ჟამაათს აჩენებენ, ისნებიც ერთთა ამბოვენ: „ბახტიანი, ხოშბახტიანი იქნონო". ხურჟინევს მემრე მიჰქონენ ქალი სახში სადაც ერ ნეჩა ქალები სხედან და მანაღევ ხურჟინევ ცლიან. ტკბილევ კამპეტ-კალეტს ცალკე ჰეშიკში ყრიან, ჩაი-შაქარს ცალკე, მეივას ცალკე. დაცლისუკან ხურჟინში დებენ წინდევ, დესმელ, კატარ, ნასკის და მანაღევ ქალები ხურჟინს უკან ატანენ. სრუ ხურჟინები რუმ მოჰჩება, მემრე ხალღი ფეხზე დგება, ნეფე-პატარზალი ოჟახევ ლოცენ და თავ-თავიან ხურჟინევს აჰქონენ, პატარზალი ყუდაევ ხელს ართმევენ ემშიდობებიან. ჰავაშ-ჰავაშ ეზოითი გომოდიან და ჰარქესა თავი სახში მიდიან. ისნები ბიჭისა აღარ მიდიან.

ნიშნობასუკან ორ-სამ კურა გადის

ან ბევ იქნეს ერ თე, რუმ ბიჭი აილაითი ქალისა ანჟახ რაიმე პრაზნიკი თუ იქნება, უგეიმაშინ მიდიან პადარკაითი. ბიჭი აილაი ახლე ყოიმები მიჰქონენ, სხიევს არ ეზახიან ამჟურ ყონალლულობაში.

ქორწილები ჰაზირლული ეკიდება დერზით. პატარზლიბეი პერანგევს, რუბაშკევს აკერინებენ. ჩექმას, პალტოს პასანიჩკის, ტუფლს ჰყიდლოვენ. რაიმე ექსინი თუ იქნა, შაჰარში მიდიან საყიდლევზე, ზოგჯერ ხალღი მალივი პატარზალსაც მიჰყონდნენ, ჩააცმელები გაასინჯლა, დაანახლა. თუ პატაზალს რამე არ მეეწონებოდა, უკან აბრუნევდნენ, ახალს, სხოს ყიდულოვდნენ და სრუჟურა ჩალიშმიშ არიან პატარზლიბეი ლამაზ ტანსმუსი შაარჩიონ, კარგა შაკაზმონ რუმ დუშმან, თოლი გომოთხარონ. ქალი თარაფი დიდრულ ჟეიზს ამზადევს. სრუნი ჩალიშმიშ არიან, ქალი კარგა გაათხოვონ, ლამაზა ჩააგდონ გზაში, მინმემ არ თქოს: „რა იყო მაგი განატანევ ჟეიზიო". ქალი თარაფიც სრუჟურათი ტყავში ზრებიან, თეთ არ იშურებენ, უკან არ იჰწევიან, ხალღში ბიაბური რუმ არ იქნონ, ლაიღლუ ჩააგდონ ქალი გზაში.

მანამ ქორწილი მეეკიდება, ორ-სამ დღით ადრე დედაკაცები გროვდებიან ბიჭისა ლავაშ დააკრელა. ამ დედაკაცევ ლავაშდამკრელევ ეზახიან. ლავაშდამკრელ დედაკაცები წმინდა, მარიფათიანები უნდა იყნენ, ლავაშ კარგა აკრავდნენ. იმათ დანაკრავ ლავაშს სრუნი აკოვხევდნენ. ლავაშ დაკრიბეი ლაზიმია ფქული და წყალი. უგეიმიბეი ჟავანები მეზებლებით მოჰქონენ დუდრუან წყლი ბიტნევს ამბენ ტაჭკევს და წყაროითი მოჰტანენ წყალს. ბიჭი აილაი ეზოში დიდ ცეცხლ ანთებენ, შიშაი მორევ აჰაზირებენ, პურ დააკრელა ფიჩხს აჰაზირებენ. საჭმელევ გააქითებლა დუდრიან ქობევ, თიანევ, სიმრევ, ყაბ-ყაშულ აგრუებენ. მეზებლები ყოუმ-ყარაბა სრუჟურა ქომაგობას აზლევენ, ლაზიმ აინუნს აგრუებენ, ზოგი მინიგით ქომაგობას ჩიდის, ზოგი ბაზრით პროდუქტი ყიდლობაში ეხმარებაყე.

ქალი აილა იწყოვს ჟეიზი გაქითებას. აქითევს ვერღან დოშაგს, ყიდლოვს კრავოტევს, სიმუარს, თუნგს, წუნწმას, სტენკა-მებელს, სტოლს, სკამებს, კიდბანს, ჟეჟიმებს, ფერდებს, სასტულევს, მუთაქევს, პატრა დოშაგევს აქითევს და სხო სახლიბეი ლაზიმ აინუნს ერთა აგრუევს და ლამაზა აწყოვს. ზოგჯერ ქალი ყოიმები სახლი პატრონ ჟეიზი გაქითებაში ქომაგობას უჰწევენ. ზოგი კიდბანს, დივანს, სტოლს, სიმუარს ან სხო რაიმეებს ყიდლოვს.

სანამ ქორწილი მეეკიდება წინა დღეს მეფეი აილაში ყოიმები გროვდებიან,სობათ ჩიდიან, ახლე ყოიმებით მემზანაგევს ირჩევენ. მემზანაგეები ნეფეს ქორწილში გორდით დგანან, იმა არ შორდებიან, იმათ ბორჟია ნეფეი დაცუა, რუმ მინმემ არ მაიტაცოს. ქორწილი მოჰჩომამდინ ერთა არიან. ამ ადათს მემზანაგება დაყენებას ეზახიან. როგორც ნეფეს, უგენგრე პატარზალს თავიანთ შერჩევ შამკაზმელები ჰყავყე.

ნეფე-პატარზალი შამკაზმელევს ჰარჟამარჟა ინსნევ არ აჰყონენ. ჰამეშა კაი გემოვნება მისაც აქონ უგეიმა მოჰყონენ შააკმანზლა. სრუს უნდა რუმ ნეფე-პატარზალი ლამაზა ჩაცმულ-დახურულნი იქნეს, სრუს იმაზე თოლი დაჰრჩესყე.

ქორწილები სამ დღეს მიჰწევს, შაბათ დღეს ეკიდება და მიჰწევს ორშაბათ სალმომდინ. შაბათ დღეს ქორწილი ქალი თარაფისა კეჰთება, დაზახნულ ყოუმ-ყარაბა, თანიშ-თუნუში ნაცნობები ქალისა მიდიან. იქაც იშლება დიდრულ სუფრა. ბიჭი თარაფით დაზანიათებულ დამკრელები ნალარა-ზურნას უკრენ. ადრე სოფელში ნალარა-ზურნაი დამკრელები ჰეჩ არ იყნენ, ახლე სოფლებით-ალიაბათით, ვერხიანით, მოჰყონდნენ. ბიჭი აილათი მიჰგზავნიდნენ კაცს დამკრელებთან და ნათქომ დროზე ქორწილში იბარებდნენ. თუ დამკრელები უგეი დროიბეი ზანითი იყნენ, იმაშინ სხო სოფლევში მიდიოდნენ ანდა რაიონით მოჰყონდნენ. ქალი ქორწილშიც ბევრ ხალღი გროვდება. იქაც შიპრობა, ჭმა-დალევა, ხიარულება, კეჰეთება, მემრე შუადღეზე ეზოში ერ სტოლ გომოჰქონდნენ ზედ ლამაზ სუფრას აფარებდნენ და იწყებოდა შეწევა-შომოკრა. ქალი დედა გომოჰქონდა ლამაზ ქალაღას, საპერანგოს და სტოლზე შლიდა. იმა მოჰყებოდა ქალი ახლე ყოუმ-ყარაბა და სრუნი შონაკრევს ხალღი წინ შლიდა და სტოლზე ფენავდნენ. ზოგი შაკერულ ტანსმუს, ზოგი ლამაზ აჰაყაბს, ზოგი თეთს, შაკერულ ჩააცმელებს აკრენ. დამკრელები შომოკრიი მუყანს უკრენ, შინავრები შომოკრასუკან თითო-ოროლა ჩალიჩიები წინ ხელევ შლიან-შიპრობენ. შომკრა რუმ მოჰჰჩება, შინავრები მოდიან შონაკრევ ერთა აგრიებენ, შიგაი პატრა ქალაღევ გულიკატრევ აჰჩევენ და დამკრელევ ნალარაზე, მეშინევზე, ამბენ. დაფა-ზურნაი დაკრა და შიპრობა სხოდასხო ჰავაზე გუან ღამემდე მიჰტანს, სანამ დამკრელები არ დაიღლებიან და დიდ მენალარე ქოს არ დაჰკრავს. ქოს დაკრა ნიშნავს დიდნალარაიბეი ორ-სამჟეღ ჩალიკი დაკრას. ამაშინსუკან ქორწილი ხალღი ჰავაშ-ჰავაშ იფანტებიან და თავიან სახლებში მიდიან. კურა დილაზიავ ქორწილში დანაზახ ხალღი ბიჭისა გროვდება, ეკიდება დაფა-ზურნაი დაკრი ხმა. ზურნაი განაგები ხდება, რომ ბიჭი აილაში ქორწილი უჟე მეეკიდაო. ქორწილში დანაზახ ჟამაათ ბიჭი თარაფი ახლე ყოიმები წინ ხტებიან და სუფრაისყენ მიჰყონენ. კაკრაზ ეი ვახტზე შიპრობაც ეკიდება. იწყება ჭმა-დალევა, სალლუღები, სიცილ-ხარხარი. დამკრელევ წინ პატრა თაბრეტკას დებენ, რემენზეც პატრა სინი (ლანგარი) დადებულია შაბაშიბეი. ნაშიპრა გონასულემი ჟერ „აიშაბაშ“-ო ყურიან, ჟიბით თეთ ომოჰქონენ და ლანგარში ჰყრიან, ზოგი მეზურნეს ქუდქე ან ნალარზე აკრავს, რაც უფრო დიდ შაბაშ შამააკრენ დამკრელებიც უფრო მალალ ხმაზე აყურებენ ზურნა-ნალარას. შიპროვს ერთი მარტოვკა ან ორნი ერთა, ზოგჯერ კაი მუყანზე ბევნი გადადიან და ერთმეთში ირევიან, შაბაშიც უგეიმაშინ

ბევდება. შიპრობას ბიჭი ახლე ყოიმი ეკიდება, მემრე სხიები მიჰყებიან. შაბაშს ზოგი ნაშიპრევ ხელში აზლევენ, რემლებიც თეთრით ხელში მუყანი-მოჰჩომიჟახ შიპრობენ, მემრე შაბაშს თეთ ლანგარში ჰყრიან, ზოგი ლანგარში არ ჰყრის და თავიბეი ინახავს. ქალი თარაფით ბიჭისა მიდის ჰენგა (მაყრიონი). ჰენგობან წასლაში ბიჭისა შამაკრევლევსაც მიჰქონენ. იმათბეი ბიჭი აილაში ასობი ადგილია გაქითებული, იქ ასხდენენყე. ჰენგაც ბიჭისა შიპრობაში იშტრაკ-ჩიდის. კარგა რუმ დაიღლებიან შიპრობით, მემრალან მემზანაგე შინაითი თოფს გომოჰქონს და მაღლა ისრის, რაც ნიშნავს, რუმ ნეფეს გარე გომოჰყონენ შამააკრელა. დიდ მენალარე, სახლი სეივნი წინ დგება, გომოყონი მუყანს უკრენ, ჰეგინ-ჰეგინ სტოლ აჰაზირებენ. გორდით სკამევ ულაგებენ. მემზანაგები ნეფეს გარე გომოჰყონენ. ადრე ნეფეს ჰეფინჟმოხურულს გომოჰყონდნენ მემრე-მემრე ჰეფინჟ ალარ აცმენ, ანჟახ თავზე დიდ ქუდ კიდემ ახურენ. ნეფეი გომოყუნასუკან ბიჭი დედა გომოდის დიდ სინით ხელში. სინი სავსეა ტკბილევლებით, სტოლზე დევს, ქალალს ბიჭს კისერზე ახვევს და ლოყაზე კოცნის. ნეფეი ახლე ყოიმებო სტოლთან ახლე ალაგებენ „შახებს". შახებს აჰყე დაადგმელ ზირი, ორ ყანადი, როგორც ნაზი ხეს, აქონ. ყანადევზე კამპეტ-კალეტი, შირინებია ჩომოკიდებული, შახი წორზე წითელ ვაშლია ჩარჭობილი. ლამაზა შაკმანზულ შახევს ნეფეს წინ ულაგებენ. ეკიდება ბიჭი თარაფით შომოკრა და შიპრობაც ყიზლუნდება. ჟაამათი შაბაშ მიცემას უმატევს და დამკრელებიც ეშხში შადიან, ჰავასლუ უკრენ. შაამაკრელა მანასულ ნეფეი ყოუმ-ყარაბა ბიჭს პადარკევ აწევეს. ზოგი ნეფეს ყუჟლნის, კოცნის, ზოგი ყელზე ახევს შანაკარს, ზოგი თეთ დევს სტოლზე. შომოკრი დროზე მემზანაგები ნეფეი გორდევზე დგანან და ნეფეს იცენ, მინმემ ნეფეს, ქუდი ან დოშაგი ად მოჰპაროს. თუ მინმე გაჰბედავს ნეფესთან მაპარლა წასლას, უგეიმაშინვე მემზანაგები წკეპლები იშხუვლებენ მანაპარი ფეყევქე. ზოგჯერ ნეფეს ქუდს ან დოშაგს პარენ, მემზანაგები ერთაარი (თავიან ხარჟით) ახერხებენ უკან დაბრუნებას. შომოკრი მოჰჩომასუკან ნეფეს მემზანაგები მიჰყონენ თავი ოთაღში. სტოლზე ნაქნარ შონაკრევ აგრუებენ, ერთა ჰკრენ ბოჰჩოსავით. შახევ შაჰქონენ სახში. პატარა ყმაწილები ველარ უზლებენ შახზე ნაქნარ კამპეტ-კალეტი სილამაზეს და შახევს ეპარებიან მააწყეტლა. ზოგი ახერხევს მოპარას, ზოგ წკეპლა ხტება და „ვაი-ვაი" ყურილით მიიხორწება. ზოგჯერ ნეფეს ფეყევთან შომოკრი დროზე ბიზა ან ტაი ყოჩ უკლავს, რაც ქორწილი აილაი დიდ დაფასებას ნიშნავს. ყოჩს ქებზე წითელ ლენტი აქონ შაბმული. ქორწილი ხალღი ხედავს როგო დიდ ჰურმათი დაადო ბიზამ ბიზიშულს (ტაიშულს). შომოკრაი მორჩომასუკან სრუნი ჰავაშ-ჰავაშ ჰაზირდებიან ქალისა წაასლელა, რასაც ზალ მააყონლა გამზადებას ეზახიან. ბიჭი თარაფით ჰენგა მიდის ქალი აილა-

ში. მენალარეები წინ მიდიან, იმას მიჰყებიან ქორწილი ხალხი, ქალი სახთან რუმ გოვწევენ, ქალი აილაი ეზოი დარვაზები დაკლეტული ხდებაყე. დარვაზაი წინ ჟეილ-ჟუანები გზელ ალატებით დგანან. დარვზაი ბოზზე ერ მაღალ ალატია გაქითებული, რემენი წორზეც პატრა ზონზში შახევ ზოლი ან ქუა არი ვიშით დმაგრებული. ამ ამლატს და სამიზნეს აქავრები „მაშხალას" ეზახიან. ქორწილი ხალხი დარვაზასთან რუმ მოვწევს, ეკიდება ჟრიამული, ყურილი. სრუნი ითხოვენ მაშხალაი ჩომოგდებას. მაშხალაი უჩომოვგდებლა ბიჭი თარაფით მანასულევ შიგ არ უშოვენ. მემზანაგე თოფს ესრის მაშხალას. თუ მაახტინა და ჩამააგდა, სრუნი გახარებულნი შადიან ქალი აილაში, თუ ვერ მაახტინა, ააცილა, იმაშინ ლაზიმია თეთრით ჟეილები დარაზიება. თუ დარაზივდნენ ჟეილები, დარვაზებიც იღება და ბიჭი თარაფით მანასულ ჰენგა შადის ქალი აილაი ეზოში. მენალარეები წინ გომოდიან ქალი თარაფი ახლე ყოიმები, მემრე იმათ მიჰყებიან სხები. პატარზალი ცალკე ოთახშია თავი თაი-თუშთან. მაჭაკალი ქალი აილაში შინავრივი ტრიალოვს. იმიბეი ადელნი ცალკე სუფრას შლიან, კაი ჰურმათ ექცევიან. ქალი აილა ჰავაშ-ჰავაშ ჰაზირდბა პატარზალი გზაში ჩაგდებლა. შამკაზმელები პატარზალ ლამაზა ჰკმანზენ. ადრე პატარზლიბეი ბიჭი თარაფი „იმარათი" (სამკულს) მოჰქონდა. იმარათი გუმუშით გაქითებულ ქამარი ყელზე ჩონაკიდები და სხო დასხოჟურა ბრასლეტებია. შაკმანზი მოჰჩომასუკან გარე გომოდიან და მაჭაკლიზგან თეთ აჰქონენ. პატარზალთან ერთა ბიჭი აილაში წაასლელა ჰაზირდებიან ქალები, რემლებიც მუთლაჰ გათხიებული უნდა იყნენ. იმათ იქავრებ „დადებს" ეზახიან. პატარზალ რუმ ჩააცმენ-დაჰხურენ, თავზე ჰირათს ან ქალაიის ჩამააფარებენ, სხიებმა იმი პირი არ დაინახონ. ოთალი კრევ ალებენ და პატარზალს მამა და ბიზა ხელმოკიდებულნი გარე გომოჰყონენ. ერ დადი ხელში ლამფაით, მეორე დადი სარკით პატარზალი წინ მიდის. აქაც პატარზალი გომოყონაში თოფ ისრიან, ბერ კაცები დუას ჩიდიან და პატარზალ გამზადებულ მინიგზე აჟდენენ. ლაფ ადრე მინიგი რუმ არ იყო, პატარზალ ცხენზე აჟდენდნენ, ბარგს ურმით მიჰქონდნენ და ზოგი ცხენით, ზოგი ფეხით პატარზალ ბიჭისა მიაცილევდა. ეხლანდელ ზამანაზე მინიგი შაიცოლა, ზალ კაი მეშინით მიჰყონენ. მეშინი წინ ქალაღას ამბენ, მეშინზე კიკოს აჟდენენ. ზაალ გორდით დადები უსხდებიან. პატარზალი მეშინ დაზრაში უკნითი წყალს ასხმენ, კაი გზას, ხოშბახტლულობას უსურვებენ. პატარზალ ახლე ყოუმ კაცი მოჰყება, რემენსაც აქავრები „ჟილავდარს" ეზახიან. ჟილავდარს ხელში შამფურივი გაქითებულ ჟოხი აქო, რემენზეც ქათამი და ხორცი ნაჭრებია ჩომოცმული. შამფურ წორზე წითელ ვაშლი აქონ ჩომოცმული. პატარზალი შაჟდენამდე ჟერ ქალი ჟეიზ უდებენ ურემზე ან მეშინზე. ჟეიზი ადებასუკან

ფართალ-ფალას კანაფევს უჭირებენ. გატანები ყმაწილევ ასხდენენ ბიჭისა წაასლელა. პატარზალი მეშინი წასლითავ უკან ჟეიზი მეშინი მიჰყება. ნეფე სახლისყენ სიგნალით, დაფა-ზურნა დაკრი-დაკრი მიდიან. გზაში პატარზალი წანაყონ ჰენგას ზოგჯერ გზა შაკრული ხტებაყე; გზაზე კანაფს ამბავდნენ ან მორევს აგორევდნენ. ბიჭი თარაფით ქორწილი იშტრაქჩიები ჩომოდიოდნენ მეშინით ან ურმით. გზი შანაკარ ჟეილევს ჰალვას სინით, დაალეველს და თეთ აზლევდნენ, რუმ გზა გეეხსნაყე. შამკრელები გზი გახსნიბეი ჰენგაიზგან ბალხოს აჰქონენ და მემრე ატარებენ. ზალი ბიჭი აილაში გაწევინჟახ წინდაწინ ხაბარ მიჰქონენ, მიმტანს (ხაბარ წანალევს) „მუშტულულს" (თეთ) აზლევენ. პატარზალი მანაყონ ჰენგას ბიჭი აილაი დარვაზები გაღებული ხტება. პატარზალი მეშინი ეზოში შასლაში სიგნალ აზლევენ, თოფ ისრიან. ბიჭი მამა და ბიზა დადებთან ერთა პატარზალ სახლი ფილაქანზე აჰყონენ. სახლი აყრით პატარზალ თხილ-კამპეტევს აყრიან თავზე, რაც აილაში სიტკბო-სიხარული შემოტანას ნიშნავს. პატარზალ ფეყქე ტალენკას უდებენ, რუმ ფეყით გახეჩოს. მემრე შაჰყონენ სახში დედამთილთან, რემენიც სამჟერ შამაატარევს ზალს სახში, სახლი ერ ყუჟურში ფერდაჩომოფარებულ ადგილზე შაჰყონენ დააჟდომლა. დადები ფერდი გარე სხდებიან. პატარზალი სახში შაყონი წინ ჟილავდარი შადის სახში, ნეფეი დედას ხანჟლით მაიზრი კალთას აჭრის. პატარზალსაც თავი გომოტანება აქონ, რემენსაც მაჭაკალი ზალი ჩომოყონამდე თეთ აზლევს, არაზიევს. ჟეიზი ურემსაც (მეშინსაც) ჟეილები ცლიან, სრუ რაიმეს ზალი ოთაღში შაჰქონენ და ამაშინსუკან ეზოში მენალარეები წინ შიპრობას ეკიდებიან. ქალი თარაფით მანასულ გომოტანებას ცალკე ასხდენენ, სუფრას უშლიან, სრუ რაიმით არაზიებენ, რასაც მაითხოვენ. მემრე აქა-იქ იფანტებიან, ზოგი დააზინებლა, ზოგი საშიპრელა მიდის. შიპრომა გუან ღამემდე მიჰწევს, ხალღი შიპრობი ეშხში ვარდებიან. მენალარები წინ ქალი ტანსმუს ჩაცმულ კაცები გომოდიან, სრუნი ხალისდებიან, ჟივილ-ხივილი მატულოვს და მატულოვს. მუსიკაი ზაკაზები ბევდება, შაბაში ხი ფოთლებივი ბევდება. ჟეილები შიპრობით თავს იკლენ, დაღლას ვეღარ ატყობენ.ჟილავდარი გომოტანები ხალღთან ერთა ქეიფოვს, ზაკაზი ზაკაზს ცლის, ჰოჟათი-ჰოჟათს, ზოგჯერ ჟილავდარი ერაგე რაიმეს ითხოვს, ინსანს უჭირდება იმი პოვნა, ფიქროვს ეხლა ჰეიგი, მე საითი გოვაჩინო. ახირი ბევ ჟან ამანსუკან ზაკაზი სხო რაიმეთი იცლება და ერთაარი რაზივდებიან. შუაღამე გადასლასუკან სახლი აყარ კიბეს ჰყუდებენ, დადები პატარზალ ნეფესთან შაახედრელა აყარზე აჰყონენ. ამა ერაგე უჩუმრა აქითევენ ქორწილი ჟამაათი ვერ იგევს, შიპრობით დაღლილები მაასენებელ ადგილევ ეზებენ. დიდ ნაღარაი ქოსი დაკრი ხმა ჟაამათს ხაბარ აზლევს, რუმ ქორწილი მოჰჩაო; სრუნი იფანტებიან. შინავრები

და გომოტანება აქა-იქ ყუჟურ ბუჩღალში ადგილს ეზევს თოლ მაახუჭლა. მეორე დღი დილაზე ხალღი გამოღიზებინჟახ დადები მიდიან ნეფესთან პატარზალი ჩამააყონლა. ნეფე დადევს თეთ აზლევს, ასაჩუქრევს. პატარზალ აბრუნებენ თავი სიპტანდელ ადგილზე. ოჟახი ჰავაშ-ჰავაშ იღიზევს, დილი ფლავი დღიბეი უნდა ჰაზირლული გაჰწიონ. გომოტანება ერთა გროვდება ეზოში ცეცხთან და ელედებიან ნეფეი ყოიმებს. თუ ყოიმი გომოჩდება, უგეიმაშინვე იჭერენ, კანაფით ხეზე ამბენ ქათამ და დაალეველ თხოვენ. ხეზე მიმული ჩასარუზ ბორშტუა იმათ ნათქომი ქნოს. ყოიმები ეიგრე შაწუხება პაშტახანს მიჰწევს. ისნებიც ბლომა ქათმევ, დალეველ აგრუებენ. მემრე დაგრუებულს ერთა აგრუებენ, ზოგს იყოფენ, ზოგსაც ქალისა მიჰქონენ ერთა საქეიფებლა. ქორწილი მესამე დღეს, ორშაბათს ბიჭისა დილი ფლავზე წაასლელა ქალი აილაითი გზავნიან დამზახნელს ყოუმ-ყარაბაში. ხალღიც იმათ ნათქომ საათზე გროვდება ქალისა, მემრე ერთა მიდიან ბიჭისა. ნეფეი აილაში დილაზიავ ჰაზირლულია დილი ფლავი ხალღიბეი. ერ ქობში ხორცი წონს, სხიებში ტოლმას, ყარას, სოუთმას, ქათმევ, ფლავ ხარშენ. სრუნი ელედებიან დილი ფლავი ხალღს. ისნებიც კაცი-დედაკაცი, ყმაწვილები ერთა შომოდიან. სალამ-ქალამ თქმასუკან ეზოში გაშლილ სუფრას უსხდებიან. ახლე ყოიმები პატარზალი სანახლა სახში შადიან. ეზოში აშიღი ჩუნგურს უკრავს, ლამაზ ბაიათევს ღეროვს. ამ დღეს პატარზლიბეი პირმანახად დღე ჰქია. ხალღი. სანამ პურ-მარილზე დასხდებიან, მანამდე პატარზალ გომოჰყონენ, რემენსაც ხელში წყლით სავსე წუნწმა და ლაგანი აქონ. პატარზალი დედმთილ-მამამთილს ხელევს აბანინევს. ზალგორდით ქალები მოჰყებიან, რომლებსაც ხელში საჩუქრები, პატრა დოშაგები უჭერიაყე. ყოიმებს ხელევს აბანინებენ, დოშაგევზე აჟდენენ, ისნებიც თეთ აზლევენ პატარზალს. თეთ ლანგარში ჰყრიან, რემენ ზალი გორდით მანასულ ქალ უჭერია ხელში. ჟერგა-ჟერგა ივლის ზალი წუნწმითი და ლაგანიც თეთრით ივსება: ზოგს ზალი დოშაგსუგევს, ზოგს დესმელს, კატარს ნასკის აზლევს, სრუიზგნი თეთ აჰქონს. ძალს ხოშბახტლუღობას არზულამიში არიან. მოჰჩომასუკან პატარზალი ქალევთან ერთა სახში შადის, ეკიდება სუფრაზე ათაჟურ საჭმელები მოლაგება. ფლავს სრუიზგნი ბოლოში მოჰქონენ, იმი ჭმასუკან სრუნი ათიბენ ჭმა-დალევას და დგებიან. ლოცენ ნეფე-პატარზალს და ჰავაშ-ჰავაშ ჰარქესა თავი სახში მიდის. ქორწილი მოჰჩომასუკან პატარზალი დედმთილ-მამათილს უნზრახობას ექცევა, არ ზრახავს, არ ელაპარიკება , იმათ ნათქომს უსიტყო აქითევს. პატარზალმა რუმ შაჰზრახოს დედმთილ-მამათილს, ამიბეი პაშტა დრო უნდა იქნოს. ზალი ზოგს მალე ზრახავს, ზოგს გუან, დუდრუანევ ჰურმათ უნახენ. შაზრახნაში

პატარზალი დედამთილ-მამამთიზგან კაი საჩუქარ აქონს. ამაშინსუკან დიდ დრო არ გადის, ეკიდება ზახლობა ერთმეთან ყონალა დაზახნა. ჟერ ქალი თარაფი ეზახის ჰეზნას თავი ყოუმ-ყარაბითი ერთა. იმათ დაზახნაშიც დიდ სუფრა იშლება. ახალ ყუდაები ერთა ქეიფობენ, ბევ ილოცებიან. დროს ეშხიანა, ლაზათიანა ატარებენ. პატარზალი დაზახნაში ზალს თუ მოუნდება, შეუზლია თავი დედ-მამაი სახში ერ ღამე დაჰჩეს. დილაზე მიაცილებენ ზალს თავი კაცისა. მემრე ბიჭი თარაფი ეზახის ქალი ყოუმ-ყარაბას. ისნებიც ერთა მიდიან, კარგა ქეიფობენ. ჰარ დაზახნაში აილები კაი პადარკევ, ბოხჩოევ უგზავნიან ერთმიეთს, შიგ მუთლაჰ ერ კაი ბადია ფლავი უნდა იქნოს, სხო ტკბილევლევთან ერთა მემრე-ნეფე პატარზალ ყომ-ყარაბა ცალ-ცალკე ეზახის ყონალლულა. ისნებიც დაზახნულ ადგილა პადარკათი მიდიან.

გადაზახ-გოდმოზახნასუკან ახალ ყუდაები დედ-მამას ცალკე, ეზახიან, იმათუნ ასობი ჰაზირლულს ეჰწევიან, კარგა ყულულ ექცევიან, კაი პადარკევ ყიდილოვენ. ყუდაები ერთმეთ გულით ლოცენ.

ქორწილი მოჰჩომასუკან ახალ პატარზალი ჰავაშ-ჰავაშ ალაგევს თავი ოთაღს. თავი ნანდომჟურა აწყოვს ოთაღს. ახალ აილას ეჩევა და იწყოვს იმათაჟურა ცხოვრობას. სრუ სახში სხოდასხო ყაიდები არი და პატარზალიც ეჩევა ახალ აილაში ნაქნარ ადათ-ყაიდევს. პატარზალი ბორშტუა დედამთილ-მამამთილს, მაზლევს, მულევს ჰურმათი უყოს. ჰარ საღმოზე მამამთილ-დედამთილს ფეყევი დაჰბანოს, მაზლი, მული ნათქომ დოუჟეროს. ხმა უმოვღებლა გააქითოს იმათ ნათქომი. დილაზე მალე ადგეს., ეზო-ყურე ჩაგავოს, სიმუარი ჩადგოს, საჭმელი მამზადოს, ღამით სრუ რაიმი ალაგებასუკან დაწოს. პატარზალი კაც დიდებთან ცოტას ელაპარიკება, ჟულაბ არ უბრუნევს, ახალ აილას ჰავაშ-ჰავაშ ეჩევა და იმ აილაი უზვი ხდება. შაჰრეში და მეზებლებში არ გადადის და სრუნი იმა დიდ ჰურმათს ადებენ.

მთქმელი: მამედოვა ემინათ ისმაილ ყიზი,
26.07.1970 წელი.
ჰასრათოვ ვეი სულყარა რამაზან ოღლი,
20.08.2014 წელი

სოფ: მოსული

გამოყენებული ლიტერატურა და შემოკლებანი

აზ.- აზერბაიჯანული

აზ. დიალ.- აზერბაიჯანული დიალექტი

ალიაბ.- ალიაბადი

ალავ.- მ. ალავიძე, ლეჩხუმური ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, I, თბ.,1938.

არაბ.- არაბული

აჭარ.- აჭარული

ბერ. ვ. - ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, ს.- პეტ.., 1912

გაჩ.- პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა. თბ., 1976.

გამხ. - გ. გამხარაშვილი, საინგილო, თბ., 1960.

გელენ. - ლ. გელენიძე, ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში, თბ., 1974.

გიგ., თოფ., ქავთ. - ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.

გრიშ. - ი. გრიშაშვილი, ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა ლექსიკონი, ალ. ჭავჭავაძის თხზულებანი, თბ.,1940.

გორგიჯ. - ფ. გორგიჯანიძე, ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი, გამოცემული მ. ჯანაშვილის მიერ-1889.

გუდმაყ. - გუდმაყრული

გურ. - გურული

დიალ. -დიალექტი

დოლ. - გ. დოლიძე, ხევსურული ტექსტები (ლექსიკონითურთ), თბ., 1975.

ედილი - ზ. ედილი (ედილაშვილი), საინგილო, თბ., 1947, მეორედ გამოიცა 1996.

ერისთ. რ. ერისთავი, მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა, ლითონთა სამეფოებიდგან, თბ., 1884.

თოფ. ვ., გიგ. ი. - ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი, ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1941.

თურქ. - თურქული

თუშ. - თუშური

ი. აბ. - ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

იმერ. - იმერული

იმერხ. - იმერხეული

იმნ. - გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966.

ინგილ. - ინგილოური

კაიშ.- ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობრივი ლექსიკა, თბ., 1967.

კახ. - კახური

კახ.- ქიზ. -კახური-ქიზიყური

კიკნ. - ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგიის ლექსიკონი, რედაქტორი თ. გამყრელიძე, თბ.,1984.

კირ. - ეპისკოპოსი კირიონი, სალექსიკონო მასალა, ,,ძველი საქართველო'', II, ტფილისი, 1911-1913.

კობახ. - ალ. კობახიძე, რაჭული დიალექტის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1987.

ლეონ. - ლ. ლეონიძე, მესაქონლეობის ლექსიკონი, თბ., 1925.

ლეჩხ. - ლეჩხუმური

მაის. - ი. მაისურაძე, მასალები მესხური ლექსიკიდან, რუსთაველის სახ. ბათუ-

მის ედ. ინსტ. შრომები, IV, 1954.
მაკალ. - ს. მაკალთია, ხევსურეთი (მეორე გამოცემა), თბ., 1984.
მარტ. იმნ. - არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი (ლექსიკონი), თბ., 1956.
მაყ. - ალ.მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1949.
მენთ. - სტეფ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თოფურიას რედაქციით, თბ., 1943.
მეტრევ. - რ. მეტრეველი, საქართველოს ისტორია, ლექსიკონი, I (ა-ვ), თბ., 1979
მესხ. - მესხური
მთიულ. - მთიულური
მოხ.- მოხევური
მუსაევი ა. - აზერბაიჯანულ-ქართულ იურიდიულ ტერმინთა ლექსიკონი, თბ., 2010.
ნეიმ. - ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 2006.
ნიჟ. (ზ. აჭარ) - შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკონი), ბათუმი, 1961.
ნიჟ. (ზ. აჭარ) - შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი ლექსიკა, ბათუმი, 1971.
ჟღ.- ს. ჟღენტი, გურული კილო (ლექსიკონი), ტფილისი, 1936.
რაჭ.- რაჭული
როსტ.- ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბ.,1978.
რუს. - რუსული
ს.- სოფელი
საბა - სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, ტფილისი, 1928.
სახ.- თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა თქმანი, თბ., 1979.
სინ. სინონიმი
სმტ. - სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია, თბ., 1959.
უთურგ. - თ. უთურგაიძე, თუშური კილო (ლექსიკონი), თბ., 1960.
ფეიქ.- ჟ. ფეიქრიშვილი, მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1992.
ფშ.- ფშაური
ქავთ. III,ი. ქავთარაძე, მასალები იმერული ლექსიკონისთვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბილისი, 1963.
ქავთ. IV- ი. ქავთარაძე, მასალები იმერული ლექსიკონისთვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბილისი, 1974.
ქართლ. -ქართლური მასალა, შეკრებილი საქართველოს მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ 1950-1962წწ
ქავჭ. - ო. ქავჭაია, მასალები მოხური კილოს ლექსიკონისათვის, ცხინვალი, 1967.
ქეშიკ. - ი. ქეშიკაშვილი, თ. რაზიკაშვილის თხზულებათა ლექსიკა: თ. რაზიკაშვილის თხზულებანი, თბ., 1969.
ქიზ. - ქიზიყური
ქეგლი - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I-VIII, თბილისი, 1950-1964.
ღამბ. - რ. ღამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი (აკად.

ა. შანიძის რედაქციით), თბ., 1988.
შატ. - გ. შატბერაშვილი, ჭაშნიკი, თბილისი, 1974.
ჩუხ. - მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003წწ.
შან. ვაჟა - ა. შანიძის მიერ შედგენილი ლექსიკონი,რომელიც დართული აქვს ვაჟა-ფშაველას შემდეგ თხზულებებს: ლექსები, I, 1946; II, 1950; პოემები III, 1930, IV, 1932 (სათანადო ტომები მითითებულია ფრჩხილებში).
შან. რეც. - ა. შანიძე, რეცენზია გამოკვლევისა „მ. ჯანაშვილი, საინგილო" ZVORAO XXII, 1915 (ლექსიკონი).
შან. ხევს. - ხევსურულის მასალების ლექსიკონი, „ ქართული საენათმეცნიერო საზოგად. წელწადული," I-II, ტფილისი, 1923-24.
შარაშ.- გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, I, თბილისი, 1938.
შინამრეწვ. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, შეკრებილი 1935 წელს ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით.
ჩიქოვ. - მიხ. ჩიქოვანი, ლეჩხუმური ლექსიკონი, ა. პუშკინის სახ. თბილისის სამასწავლებლო ინსტ. შრომები, ტ. I, 1941.
არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი (ლექსიკონი), ტბილისის სახ. უნივერსიტეტის მოამბე, VII, 1927.
ცოც. - გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი. თბ., 2000.
ჩუბ. - დ. ჩუბინაშვილი, ქართული-რუსული ლექსიკონი, С.Петербургъ, тип. Академіи Наукъ, 1887. - XXXIX.
ძიძ. - შ. ძიძიგური ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბ., 1956 (სათანადო დიალექტები მითითებულია ფრჩხილებში).
ძიძ. კეცხ., ხუბ.. (ქართლი) - შ. ძიძიგური, ნ. კეცხოველი, პ. ხუბუტია, ქართლური ლექსიკონი (გამოუცემელი).
ძოწ. - ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბილისი, 1974.
წერ. - ბ. წერეთელი, ზემოიმერული ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, I, თბ., 1938.
ჭინჭ. ხევს. - ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, არნ. ჩიქობავას რედაქციით, თბილისი, 1960.
ჭინჭ. ვაჟა - ალ. ჭინჭარაული, ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი (არნ. ჩიქობავას რედაქციით), თბილისი., 1969.
ჭყ. - ილ. ჭყონია, სიტყვის კონა, ს.-პეტ., 1910.
ხუბ.- პ. ხუბუტია, თუშური კილო (ლექსიკონი), თბილისი., 1969.
ჯან. - მ. ჯანაშვილი, საინგილო, „ძველი საქართველო" II ტფილისი, 1911-1913.
ჯანგ. - ვ. ჯანგიძე, ინგილოური დიალექტი აზერბაიჯანში, თბ., 1978 (რუსულ ენაზე).
ჯავჯ - პ. ჯავჯანიძე, მასალები იმერული კილოს ლექსიკონისთვის, ქუთაისი პედ. ინსტ. შრ. ტ. IX, 1949. ტ. X 1950-1951.

„საქართველოს ლინგვისტური
პორტრეტის“ ბიბლიოთეკა

ISBN 978-9941-8-6703-3